სამოქალაქო განათლების საუნივერსიტეტო კურსი

დემოკრატია და მოქალაქეობა

გრიერ ბუროუსი, ზვიად აბაშიძე, ქეთევან მუხიგული,
სალომე დუნდუა, თამარ ქარაია

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE
IFES
CELA

სამოქალაქო განათლების საუნივერსიტეტო კურსი

დემოკრატია
და
მოქალაქეობა

საკითხავი მასალა სტუდენტებისათვის
(მესამე გამოცემა)

ავტორები: **გრიერ ბუროუსი, ზვიად აბაშიძე, ქეთევან მუხიგული, სალომე დუნდუა, თამარ ქარაია**

რედაქტორები: **მალხაზ მაცაბერიძე, ლელა ჯავახიშვილი**

საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი (IFES)

International Foundation for Electoral Systems (IFES)

2020

საკითხავი მასალა სტუდენტებისათვის შემუშავებულია საქართველოში საარჩევნო და პოლიტიკური პროცესების მხარდაჭერის (EPPS) პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი (IFES). საკითხავი მასალის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. მასალაში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნით მხოლოდ ავტორებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის მთავრობის შეხედულებებს.

The course reader for students was developed in the framework of the Elections and Political Processes Support (EPPS) in Georgia project implemented by the International Foundation for Electoral Systems (IFES). The course reader edition is made possible by the support of the American people through the United States Agency for International Development (USAID). The content of the material is the sole responsibility of the authors and do not necessarily reflect the views of the International Foundation for Electoral Systems, USAID or the United States Government.

რედაქტორები:	მალხაზ მაცაბერიძე პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
	ლელა ჯავახიშვილი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
დიზაინერი და დამკაბადონებელი:	ნუგზარ არჩემაშვილი

© 2020 International Foundation for Electoral Systems (IFES). All rights reserved.
© 2020 IFES. ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-8-2129-5

სარჩევი

შესავალი 6
წარსულის გაკვეთილები 7
დემოკრატიული მოქალაქეობა 22

კარი პირველი
მართვა-გამგეობა და საზოგადოება

თავი I. მართვა-გამგეობისა და სახელმწიფოს საჭიროების შესახებ 31
1.1. „ბუნებითი მდგომარეობა“ და „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ 31
1.2. სახელმწიფოს ნიშან-თვისებები 34
1.3. მთავრობის/ხელისუფლების/მმართველობის მთავარი დანიშნულებები 38
1.4. როგორ ყალიბდება მთავრობა და ხელისუფლება ლიბერალურ დემოკრატიებში 45

თავი II. კონსტიტუცია და სახელმწიფო 59
2.1. რატომ იქმნება კონსტიტუცია? 61
2.2. ხელისუფლების დანაწილება კონსტიტუციის მიხედვით 64
2.3. საქართველო და კონსტიტუციონალიზმი 69

თავი III. ადგილობრივი მმართველობა და სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა 78
3.1. ადგილობრივი მმართველობა და თვითმმართველობა 78
3.2. უნიტარული სახელმწიფო 80
3.3. ფედერაციული სახელმწიფო 81
3.4. ტერიტორიული მოწყობის და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები საქართველოში 83

თავი IV. არჩევნები და პოლიტიკური პარტიები 89
4.1. არჩევნები და საარჩევნო სისტემები 89
4.2. საარჩევნო სისტემის საკითხები საქართველოში 91
4.3. პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემები 93
4.4. პარტიების წარმოშობა და იდეოლოგიები 95
4.5. პარტიული სისტემები 98
4.6. პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემის ფორმირების საკითხი საქართველოში 99

კარი მეორე
ადამიანის უფლებები

თავი V. ადამიანის უფლებათა არსი, თვისებები, კლასიფიკაცია.....105
5.1. ადამიანის უფლებათა არსი, თვისებები, კლასიფიკაცია.....105

თავი VI. ადამიანის უფლებები.....111
6.1. სამოქალაქო უფლებები.....111
6.2. პოლიტიკური უფლებები 125
6.3. სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები 133
6.4. კოლექტიური უფლებები 134

თავი VII. გზა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისაკენ...139

თავი VIII. ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მიღებული სხვა
მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტები 145

თავი IX. ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები.....152

კარი მესამე
სამოქალაქო საზოგადოება

თავი X. სამოქალაქო საზოგადოება: ცნების თანამედროვე
და ისტორიული გაგება.....163
10.1. სამოქალაქო საზოგადოების ცნების დეფინიცია და ძირითადი
მახასიათებლები 163
10.2. სამოქალაქო საზოგადოების იდეის ისტორიული ევოლუცია 171

თავი XI. სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიული ფუნქციები
და სოციალური კაპიტალი 180
11.1. სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიული ფუნქციები 180
11.2. სოციალური კაპიტალი: ცნება, როლი და ფუნქციები.....191

თავი XII. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში.....200
12.1. სამოქალაქო საზოგადოების იდეა საქართველოში: ისტორიული
ევოლუცია 200
12.2. სამოქალაქო საზოგადოება თანამედროვე საქართველოში 212

კარი მეოთხე
მოქალაქეთა თანამონაწილეობა

თავი XIII. მოქალაქე და სამოქალაქო პასუხისმგებლობა 223
13.1. არჩევნები და სამოქალაქო პასუხისმგებლობა 229

თავი XIV. მოქალაქეზე ორიენტირებული მმართველობა 239
14.1. ელექტრონული დემოკრატია და ელექტრონული მონაწილეობა 245
14.2. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა 247
14.3. ადგილობრივი თვითმმართველობა და მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობები 251

თავი XV. მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგიები 257

თავი XVI. ადვოკატირება საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად 266

დასკვნა 278

გამოყენებული ლიტერატურა 279

შესავალი

„ადამიანს დემოკრატიული აზროვნების უნარი ბუნებითად როდი მოსდგამს. მასში მომეტებულია ეგოცენტრიზმი და ეთნოცენტრიზმი, რასაც, როგორც სუნთქვას, არანაირი დაოსტატება არ სჭირდება. დემოკრატია კი, თავის მხრივ, იმგვარ ჩვევებსა და მომზადებას გულისხმობს, წვრთნას რომ საჭიროებს, რადგან, უამისოდ ისინი ვერც ფეხს მოიკიდებენ და ვერც განვითარდებიან.“ (პარკერი, 1996. გვ. 3)

როგორი ჩვევები და რა კომპეტენცია მოეთხოვებათ დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეებს? არის თუ არა საგრძნობი განსხვავება დემოკრატიულ მოქალაქეობასა და სხვა სახის მოქალაქეობას შორის? თუ მოქალაქენი ბუნებრივად არ ელტვიან დემოკრატიულ პრინციპებს, როგორღა განვითარდნენ ისე, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში თვითდამკვიდრება შეძლონ?! აქ წამოჭრილია ისეთი საკითხები, რომლებმაც წინამდებარე სახელმძღვანელოს მიმართულება განსაზღვრეს. რაკი ქართული საზოგადოება დემოკრატიისკენ სვლას განაგრძობს, მოქალაქეებსაც ახლებური ცოდნით აღჭურვა, ახალი უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების გამომუშავება დასჭირდებათ.

ამ სახელმძღვანელოსა და მისი თანმხლები სასწავლო კურსის მიზანია, დაეხმაროს უნივერსიტეტის სტუდენტებს, მოემზადონ დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეობისათვის, რათა მათ ხელი შეუწყონ ქართულ საზოგადოებაში დემოკრატიული პრინციპების განხორციელებასა თუ დანერგვას, საზოგადოებისა თუ პიროვნების საკეთილდღეოდ ისარგებლონ ყველა იმ სიკეთით, რომელიც თან ახლავს ამგვარ სისტემას.

სწავლულები, ზოგადად თანხმდებიან, რომ ჯანსაღი დემოკრატიის განმტკიცების საქმეში არსებითი როლი მოქალაქეებს ეკისრებათ. მართალია, სახელისუფლებო სისტემის „რაგვარობა“ ქვეყნის ხელისუფლების სტრუქტურითა და ქმედებით განისაზღვრება, მაგრამ მოქალაქეებმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ამ სტრუქტურის დაკანონებაში. დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეებს გადაწყვეტილების მისაღებად მოუწოდებენ ისეთი ღონისძიებების გასატარებლად, საზოგადოებისა თუ პიროვნების დაცვასა და წინსვლას რომ ემსახურება.

დემოკრატიული სახელმწიფოების უმეტესობა, ასე ვთქვათ, რესპუბლიკებს წარმოადგენს. ეს გახლავთ არაპირდაპირი დემოკრატიის სისტემა, სადაც სახელმწიფოში მცხოვრები ხალხი მისსავე წარმომადგენლებს დემოკრატიულად ირჩევს, რათა მათ ხალხის სახელით მართონ და იღვაწონ. ამ სისტემის ფარგლებში სახელმწიფოს ყოველდღიურ მმართველობაში ხალხი უშუალოდ არ არის ჩართული, თუმცა სადავე ხელისუფლების ძალაუფლებისა მაინც მათ ხელშია. აქედან გამომდინარე, მოქალაქეები არსებით როლს თამაშობენ, რომლის შესასრულებლადაც ისინი სათანადოდ უნდა აღიჭურ-

ვონ. ამის ეფექტიანად განსახორციელებლად მოქალაქეებმა გარკვეული დემოკრატიული პრინციპები უნდა შეითვისონ, სათანადო უნარ-ჩვევები და დემოკრატიის მხარდასაჭერად კეთილგანწყობა გამოიმუშავონ.

სახელმძღვანელო გათვალისწინებულია სტუდენტთათვის საფუძვლიანი ცოდნის მისაწოდებლად, რათა ისინი უკეთ გაერკვნენ საქართველოში სულ უფრო და უფრო გამყარებულ დემოკრატიულ სისტემაში. ასევე, იმის გასააზრებლად, თუ რა როლის შესრულება ხელეწიფებათ და ევალებათ მოქალაქეებს და, იმავდროულად, რა უფლებამოსილებანი ენიჭებათ მათ. ზოგიერთებისთვის ეს ახალ იდეებთან ზიარებაა, ზოგს კი აღნიშნული ინფორმაცია საშუალებას მისცემს, მისთვის უკვე ნაცნობ საკითხებს ხელახლა გადახედოს, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ აქვს გააზრებული დემოკრატიული მოქალაქეობის პრინციპები დღესდღეობით. ეს გახლავთ ხანგრძლივი და საიმედო პროცესი, რადგან დემოკრატია დიდი თავისუფლების შანსს და ამასთანავე, დიდი პასუხისმგებლობის ტვირთსაც გვაძლევს.

იმის გამო, რომ საქართველოში, სადაც სამოქალაქო განათლებასა და დემოკრატიულ საზოგადოებას ხანგრძლივი ტრადიციები არ აქვს, მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებასა და საზოგადოების ცხოვრებაში მათ აქტიურ მონაწილეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს მომავალი რიგითი მოქალაქეების ხელშია, რომლებიც მომავალშიც მოახდენენ გავლენას იმაზე, თუ როგორ განვითარდება დემოკრატია საქართველოში.

წარსულის გაკვეთილები

ისტორიას ბევრი რამ უსწავლებია ჩვენთვის, თუ გავიხსენებთ მმართველობის საკითხისადმი სხვადასხვაგვარ მიდგომას ან იმას, თუ როგორი განსხვავებული ნიშნით წარიმართებოდა დემოკრატიული იდეალების განვითარება თუ შეზღუდვა. ქვემოთ მოვიტანთ წარსულში მომხდარ რამდენიმე ამბავს – ისევე, როგორც უფრო გვიანდელ ისტორიულ ფაქტებს. თითოეული ამბის წაკითხვისას შეჩერდით და დაფიქრდით წამოჭრილ კითხვებზე, გაიაზრეთ, რა გაკვეთილის გამოტანა შეგიძლიათ დემოკრატიის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. გახსოვდეთ, ზოგჯერ შეცდომებიდანაც იმდენს ვსწავლობთ, რამდენსაც იმ საქმიდან, რომლისთვისაც თავი წარმატებით გაგვირთმევია.

ამბავი I

ახლად აღმოჩენილი მიწებისაკენ, ახალშენებში ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მიემართება, შორდება საზოგადოებას, რომლის რიგებშიც აქამდე უცხოვრია. ჩვეულ ყოფას მოწყვეტილი, მშობლიური ადგილებიდან შორს, თავს ბევრად უფრო ლაღად გრძნობს და თავის ყოველდღიურ ყოფას თავად განკარგავს. ადამიანები ქონების მოსახვეჭად ახალი მიწებისაკენ მიისწრაფიან. ოქროს მაძიებელთა ამბავს მათ ყურამდეც მიუღწევია. გამდიდრების წყურვილით შეპყრობილი უქონელნი, მცირე საგზლით, შორეულ გზას დასდგომიან. მეტწილად, „ჯენტლმენთა“ წრიდან არიან და, სხვისი შრომის ხარჯზე ცხოვრებას მიჩვეულნი, მძიმე ფიზიკურ დატვირთვას ვერ ეგუებიან. მათი ერთადერთი საზრუნავი სიმდიდრის მოხვეჭაა. დანიშნულების ადგილას ჩასულნი თავშესაფარს ეძებენ და წყალთან ახლოს სახლდებიან. გარშემო სულ ჭაობიანი ადგილებია, თან, ირგვლივ დაავადების გადამდები უამრავი კოღო ირევა. იმ არემარეში მკვიდრი მოსახლეობაც ცხოვრობს. როგორ ფიქრობთ, რით საზრდოობენ ისინი? წარმოიდგინეთ, რამდენი გაჭირვებისა და სიძნელის პირისპირ აღმოჩნდებიან. რა უნდა იღონონ თავის გასატანად?

ხომ წარმოგიდგენიათ, რა დაბრკოლებების გადალახვა მოუწევდათ მოახალშენეებს! ისინი, ფაქტიურად, ვერაფერს ახერხებდნენ. ოქროს ძიებაში იმდენ დროს ხარჯავდნენ ფუჭად, რომ საღ აზრს არაფრად დაგიდევდნენ: აღარც თავის გატანაზე ფიქრობდნენ, აღარც სახლის აშენებასა და აღარც სარჩოს მომარაგებაზე, მოახლოებული ცივი ზამთრის თვეებში თავი რომ რამენაირად გამოეკვებათ. ბევრი მათგანი დაუძლურდა და დაავადმყოფდა, ბევრიც, საკვების სიმწირის გამო, შიმშილით დაიხოცა. თითქმის ნახევარი გაწყდა მოახალშენეობის პირველივე წლებში. მკვიდრ მოსახლეობასთან დაძაბული ურთიერთობა დროდადრო კონფლიქტში გადაიზრდებოდა ხოლმე, რაც მათ მშვიდობიან ცხოვრებას საფრთხეს უქადდა. შესაძლებელი იყო თუ არა ამ ყველაფრის თავიდან აცილება?

ზემოთ აღწერილი ამბები 1607 წელს ხდებოდა, როდესაც ას ოთხმა ინგლისელმა ახალმოსახლემ ჯეიმსთაუნის კოლონია დააარსა, სადაც ამჟამად ვირჯინიის შტატი მდებარეობს. დღესდღეობით შეერთებული შტატები 300 მილიონზე მეტი ადამიანის სამშობლოა და 200 წელიწადზე მეტია, ქვეყანაში რესპუბლიკური მმართველობაა. და მაინც, თავდაპირველმა ბრიტანულმა კოლონიამ თითქმის ვერ გაამართლა. ერთ-ერთი უპირველეს მიზეზთაგანი, რაც ავისმომასწავლებელი იყო ბრიტანელი მოახალშენეებისათვის, მართვის უუნარობა გახლდათ. ამის გარდა, პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობამ და პირადულის საერთო საქმეზე მაღლა დაყენებამ, მოახალშენეებს საფრთხე შეუქმნა.

1608 წლის შემოდგომაზე კოლონიის მმართველთა საბჭოს პრეზიდენტად ჯონ სმითი აირჩიეს. სმითმა მკაცრი დისციპლინის პოლიტიკა გაატარა, რაც ყველასგან კოლონიის ჩამოსაყალიბებლად სასარგებლო საქმიანობას

მოითხოვდა – „ვინც არ მუშაობს – არ ჭამს". იმ დროისთვის ახალშენის გადარჩენა სმითის ძლიერი მმართველობის დამსახურებაა. ჯეიმსთაუნის გამოცდილებიდან მიღებული გაკვეთილები ყველას გასათვალისწინებელია. პირველ რიგში უნდა დავფიქრდეთ მმართველობის ფორმაზე ანუ ხელმძღვანელობაზე, საზოგადოებაში პიროვნებისათვის დადგენილი წესების დაცვასა და იმ შედეგებზე, რაც ამ წესების უგულებელყოფისას იჩენს თავს. ფილოსოფოს ჯონ ლოკის (John Locke, 1632-1704) განმარტებით, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ და მის ხარჯზე „საყოველთაო თანხმობას" მივაღწიოთ. საყოველთაო თანხმობა იმაში გამოიხატება, რომ საზოგადოების წევრები თანხმდებიან ერთმანეთთან, დანერგონ გარკვეული წესები, რაც მათ, როგორც საზოგადოების წევრებს, სიკეთეს უქადის. ლოკის მიერ შემოთავაზებულ სასარგებლო წესებსა თუ კანონებს მიეკუთვნება სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების ხელშეუხებლობა. ლოკის თეორიებზე მმართველობასთან დაკავშირებულ მომდევნო ეპიზოდში უფრო მეტს შეიტყობთ, გაიგებთ, როგორი ზემოქმედება იქონიეს მათ მმართველობის დღევანდელ ფორმებზე. აბა, ჰკითხეთ საკუთარ თავს, რატომ გირჩევნიათ უერთგულოთ იმ საზოგადოებაში დამკვიდრებულ კანონებს, რომელშიც ტრიალებთ? ალბათ დამერწმუნებით, რომ „საყოველთაო თანხმობას" (საზოგადოებრივ ხელშეკრულებას) დიდი სიკეთე მოაქვს კაცობრიობისათვის. თუმცა, ჯეიმსთაუნის გამოცდილებიდან მიღებული კიდევ ერთი გაკვეთილი გვიდასტურებს, რომ საყოველთაო თანხმობას გარკვეული ნაკლიც ახასიათებს. ცალკეულმა პირებმა გააცნობიერეს, რომ მათ, საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, პიროვნული სურვილების გარკვეულწილად მიჩქმალვაც მოუწევდათ. საყოველთაო კეთილდღეობის განმტკიცების თვალსაზრისით ჩვენ ერთმანეთზე ვართ დამოკიდებული და ამიტომ იძულებული ვხდებით, ხელისუფლების სასარგებლოდ ზოგ-ზოგიერთ უპირატესობას შეველიოთ. შესაძლოა დაგვებადოს კითხვა, რა უპირატესობები უნდა დათმონ მოქალაქეებმა ნებით თუ უნებურად საყოველთაო კეთილდღეობის განსამტკიცებლად? ვნახოთ, რას გვასწავლის ისტორია ამ საკითხთან დაკავშირებით.

ამბავი II

წარმოვიდგინოთ ძველი ჩინეთის ეპოქა – ქრისტეშობამდე 221 წელი. უკვე 200 წელიწადზე მეტია, ჩინელები ერთმანეთს ებრძვიან, რაც ქვეყანას ხლეჩს და ყველას გულისტკივილს, ტანჯვას აყენებს. ხელისუფლების სათავეში ექცევა იმპერატორი ცინ შიხუანგი, რომელიც ქვეყანას აერთიანებს. მისი მმართველობის წლებში (ძვ.წ. 259 – 210) ჩინეთი აღორძინდება: ვითარდება ვაჭრობა, მკვიდრდება საერთო ენა და შენდება ჩინეთის დიდი კედელი. როგორ შეძლო ერთმა კაცმა, ბოლო მოეღო საუკუნოვანი ომისათვის, გაეერთიანებინა და აეღორძინებინა ქვეყანა?! პასუხი ცინ შიხუანგის მმართველო-

ბის სტილში უნდა მოვიძიოთ. მან სრული წესრიგი დაამყარა იმის წყალობით, რომ ღალატში ეჭვმიტანილებს, განურჩევლად ყველას, სიკვდილით სჯიდა. მის სამხედრო კამპანიასა და თავდასხმებს ათასობით კაცის სიცოცხლე შეეწირა – ინტელექტუალები თუ სხვა ათასი ჯურის ხალხი ტანჯვასა და კატორღულ შრომაში ასრულებდა სიცოცხლეს. ცინ შიხუანგიმ მკაცრი ცენზურა დააწესა და ყველა წიგნი, რომლის დედაარსი ხელს უშლიდა დამკვიდრებული თვალსაზრისის გაბატონებას, ცეცხლს მისცა, ურჩი სწავლულნი – ცოცხლად დაამარხვინა. იმპერატორი სამხედრო ძალას იშველიებდა მის მიერ გამოცემული კანონების ხორცშესასხმელად და ქვეყანაში სიკვდილით დასჯის ულმობელი წეს-ჩვეულების დასამკვიდრებლად. როგორ ფიქრობთ, რა გრძნობებს აღძრავდა ხალხში მათი მესვეური? ღირსეულად ემსახურა თუ არა იმპერატორი ცინ შიხუანგი ჩინელ ხალხს? მან ხომ ბოლო მოუღო სამოქალაქო ომს და ქვეყანა განვითარების გზაზე დააყენა? იყო თუ არა აუცილებელი ამხელა მსხვერპლის გაღება და ღირდა თუ არა ამ ფასად წინსვლა უფრო განვითარებული საზოგადოების შესაქმნელად? ამართლებს თუ არა საბოლოო მიზანი იმ საშუალებებს, იმპერატორმა რომ გამოიყენა ჩინეთის გაერთიანებისა და აღორძინებისათვის? ზოგიერთები შესაძლოა შეგვედავონ და ამტკიცონ, რომ ცინ შიხუანგის მიერ გატარებული ღონისძიებები აუცილებელი იყო ქვეყნის წარმატების უზრუნველსაყოფად, მაგრამ იმ ეპოქის ხალხი ალბათ სხვაგვარად ფიქრობდა და გრძნობდა. დიდგვაროვნებიცა და გლეხებიც ერთნაირად იტანჯებოდნენ მისი უღლის ქვეშ და ამიტომაც აუჯანყდნენ. ძველი წელთაღრიცხვის 207 წელს, გაიმპერატორებიდან მეთხუტმეტე წლისთავზე, ცინ შიხუანგი ტახტიდან ჩამოაგდეს და მის მმართველობას ბოლო მოეღო. ცინების უძველესი დინასტიის ისევე, როგორც ბევრი დიქტატორული რეჟიმის, მაგალითიდან მიღებული გაკვეთილი ის არის, რომ, როდესაც მოქალაქის უფლებებს ლახავენ, შეუძლებელია ხალხში ხელისუფლებისადმი ერთგულების შენარჩუნება. ბოლოს და ბოლოს ჩაგრული ხალხი ჯანყდება. ანუ, რაკი ყოველი ცალკეული პიროვნებისთვის მნიშვნელოვანია მთავართათვის ხელისუფლების მინდობა, მოქმედ ხელისუფლებასაც, თავის მხრივ, მოქალაქის უფლებების დაცვა და განმტკიცება მოეთხოვება. თომას ჯეფერსონმა (Thomas Jefferson, 1743-1826), ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორმა, დეკლარაციაში ჩაწერა:

„ჩვენთვის თავისთავად ცხადია ის უდავო ჭეშმარიტება, რომ ყველა ადამიანი დაბადებულია, როგორც თანასწორი არსება, რომ მათ ღვთის მიერ მინიჭებული აქვთ გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, როგორიცაა: სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ ლტოლვა;

რომ ამ უფლებათა განსამტკიცებლად იქმნებიან მთავრობები, რომლებიც თავიანთ კანონიერ ძალაუფლებას ღებულობენ მათივე თანხმობით, ვისაც ისინი განაგებენ;

რომ თუ მართვის რაიმე ფორმა ოდესმე ამ მიზნის შემლახავი გახდება,

ხალხს უფლება ეძლევა შეცვალოს ან გააუქმოს იგი, და შექმნას ახალი ხელისუფლება, დააფუძნოს იგი ისეთ პრინციპებზე და ისეთი ძალაუფლებით აღჭურვოს, როგორიც, მისი აზრით, ყველაზე ხელსაყრელი იქნება მისი უსაფრთხოებისა და ბედნიერებისათვის" (ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია. 1994. გვ. 35).

თომას ჯეფერსონის ამ სიტყვების მიღმა ის აზრი ხომ არ იკვეთება, რომ როდესაც ხალხი თავისი ხელისუფლებით უკმაყოფილოა, უფლება აქვს, გადააყენოს მთავრობა?! რასაკვირველია, არა. ფრთხილად მოეკიდეთ ამ საკითხს! „უმნიშვნელო და დროებითი" სიძნელეები არასაკმარისი მიზეზია მთავრობის გადასაყენებლად. კერძო უფლებების, სურვილებისა და საჭიროებების დაპირისპირება „საყოველთაო და ზოგად კეთილდღეობასთან" მუდმივად იჩენს თავს დემოკრატიულ საზოგადოებაში. სწორედ ამიტომაა, რომ დემოკრატიული სისტემის პირობებში გამუდმებით მივმართავთ ხელისუფლებას, მხარი დაგვიჭიროს ამგვარი დაძაბულობის განმუხტვის საქმეში და დააწესოს ქცევის სტანდარტები. ჩვენ ჩვეულებრივ ვემორჩილებით ამგვარი სტანდარტების დაწესებას, რადგან ისინი საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ.

სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო ჩვენი ზოგიერთი უპირატესობის ხელისუფლებისათვის „დათმობის" ცნება დემოკრატიული მმართველობისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. რადგან თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოები მეტწილად რესპუბლიკებად გვევლინებიან, მოქალაქეები თავიანთ წარმომადგენლებს იმ გადაწყვეტილებათა მისაღებად ირჩევენ, რომლებიც ელექტორატის ინტერესების დაცვასა და საზოგადოების ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. როდესაც ჩვენ არ ვეთანხმებით კურსს, რომელსაც საზოგადოების წინაშე ჩვენი წარმომადგენლები წარმოაჩენენ, უფლება გვაქვს გამოვხატოთ ჩვენი ნება და საკუთარი ინტერესების დასაცავად სხვა ვინმე ავირჩიოთ. ამგვარად, თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების მთავრობებს ხალხის სურვილებისა და მოთხოვნებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება ევალებათ. თუმცა, თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნების ხელისუფლებისგან, მხოლოდ ამას არ მოველით. არსებობს „დემოკრატიის პრინციპები" ("Democracy for All," Street Law), რომლებიც დემოკრატიის განვითარების პირობებში მყოფ ქვეყნებს მიმართულებას აძლევს და აფასებს, რამდენად წარმატებულად ვითარდება იქ დემოკრატიული პროცესები. ქვეყნები, რომლებიც დემოკრატიულ რეფორმებს ატარებენ, სწორედ ამ პრინციპებით ხელმძღვანელობენ. აქედან გამომდინარე, ქართული დემოკრატიისათვის მიზანშეწონილი იქნება ამ პრინციპების მნიშვნელოვნების გათვალისწინება.

ამბავი III

1215 წლის ინგლისი – შუა საუკუნეების ხანა. გაბატონებულია აბსოლუტური მონარქიის სისტემა. ასე რომ, ინგლისის მეფეს სრული ძალაუფლება უპყრია ხელთ და თავს ახვევს თავის ქვეშევრდომებს. მხოლოდ კათოლიკური ეკლესია ეწინააღმდეგება თვითმპყრობელობას. ეკლესიის წინაშე ფინანსური დავალიანების დასაფარავად მეფე მძიმე ხარკს აკისრებს თავის ქვეშევრდომთ. ურჩ გადამხდელებს უმკაცრეს სასჯელს უწესებენ. განსაკუთრებით ინგლისის მაღალი წოდების წარმომადგენლები – ბარონები და დიდგვაროვნები შეუშფოთებია მეფის ამგვარ ქმედებას, მაგრამ რა იღონონ?! როგორ გგონიათ, რას იგრძნობდნენ დიდებულები, დიდ სიმდიდრეს რომ უნდა შელეოდნენ მეფის საამებლად?! ვითარებას კიდევ უფრო ის ამძიმებდა, რომ ხარკის გადაუხდელობის გამო მეფის ბრძანებით დატუსაღებულნი სასჯელისაგან თავის დაღწევას ვეღარ ახერხებდნენ. ამგვარ პირობებში ვინ რას გახდებოდა, ძლევამოსილი მეფის წინაშე?! 1215 წელს რამდენიმე დიდებულმა მეფის წინააღმდეგ პირი შეკრა. გაჩაღდა სამოქალაქო ომი. დიდებულებმა ლონდონი რომ დაიკავეს, მეფე მათთან შეხვედრასა და მათი მოთხოვნების გათვალისწინებას დათანხმდა. როგორ გგონიათ, რა საკითხები წამოჭრეს დიდებულებმა და რატომ უნდა გაეთვალისწინებინა მეფეს მათი ესა თუ ის მოთხოვნა?

დიდებულებმა მეფე აიძულეს, ხელმოწერით დაედასტურებინა „თავისუფლების დიდი ქარტიის“ (*მაგნა კარტა,* ლათ. *Magna Carta Libertatum*) სახელით ცნობილი დოკუმენტის ჭეშმარიტება. ამ დოკუმენტის წყალობით ბევრი ისეთი კანონი გამოიკვეთა, რომელიც ინგლისში ურთიერთობების მართვას აწესრიგებდა. დადგინდა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი წესი: 1. წინასწარი სამართლებრივი გადაწყვეტილების მიუღებლად პიროვნების დაპატიმრების, გადასახლებისა და დასჯის აკრძალვა; 2. მეფეს ეკისრებოდა ვალდებულება, პარლამენტისაგან გამოეთხოვა დაბეგვრის ნებართვა; 3. ეცნო პარლამენტის უფლებამოსილება. „თავისუფლების დიდი ქარტიის“ საბოლოო დებულების თანახმად გაცხადდა, რომ მეფის მხრიდან დოკუმენტის პირობების უგულებელყოფის შემთხვევაში დიდებულებს მის წინააღმდეგ ომის წარმოების უფლება ენიჭებოდათ. ეს დებულებები ხელს უწყობდა პასუხისმგებლობის, კანონის უზენაესობისა და ხელისუფლებით ბოროტად სარგებლობაზე კონტროლის დაწესების დემოკრატიული პრინციპების დანერგვას. როგორც უინსტონ ჩერჩილმა (Winston Churchill, 1874-1965) 1956 წელს ბრძანა: *„არსებობს მეფეზე ზეაღმატებული – კანონი, რომელიც მან არ უნდა დაარღვიოს. კანონის უზენაესობის ამგვარ დადასტურებასა და ზოგადი ხასიათის ქარტიაში მის წარმოჩინებას დასაბამი მისცა „თავისუფლების დიდი ქარტიის“ შესაქმნელად გაწეულმა შრომამ. ამით და მხოლოდ ამით აიხსნება ხალხის მხრიდან მისდამი ესოდენ მოკრძალებული დამოკიდებულება.“*

თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნებში ხალხი ანგარიშს სთხოვს თავის ხელისუფლებას. ეს, სულ მცირე, იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები და გამოხატოს ხალხის ნება. კანონის უზენაესობის პრინციპი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. ეს იმას ნიშნავს, რომ არავინ დგას კანონზე მაღლა, ყველამ უნდა დაიცვას იგი და კანონზე ძალადობისათვის ყველას თანაბრად მოეკითხოს პასუხი. დაბოლოს, დიდებულებმა, რომლებმაც იძულების წესით დაითანხმეს მეფე, დათმობაზე წასულიყო, შეზღუდეს მისი ძალაუფლება და აიძულეს იგი, ინგლისის პარლამენტთან ეთანამშრომლა, კერძოდ კი, მოეპოვებინა პარლამენტის თანხმობა ხელახალ დაბეგვრასთან დაკავშირებით. როდესაც მმართველი მოხელე პასუხისმგებელია სხვა ძალოვანთა წინაშე, მისი ძალაუფლება იზღუდება და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობაც მცირდება. მართალია, „თავისუფლების დიდი ქარტია“ თავდაპირველად მხოლოდ მე-13 საუკუნის ინგლისელ დიდგვაროვანთა უფლებების დაცვას უზრუნველყოფდა, საბოლოო ჯამში იგი რიგით ადამიანებსაც შეეხო. სწორედ ამ დოკუმენტის საფუძველზე დამკვიდრდა ის პრინციპები, რომელთაც მოგვიანებით ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსი დემოკრატიული ქვეყნების შექმნა განაპირობეს.

ამბავი IV

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარია. წარმოიდგინეთ, რომ წლების განმავლობაში მშობლიურ ენაზე იღებდით განათლებას და ამ დროს თქვენი ხელისუფლება გიცხადებთ, რომ ყველა მნიშვნელოვანი საგანი სხვა ენაზე – ხელისუფლების მიერ „ოფიციალურად“ შემოღებულ ენაზე უნდა შეისწავლოთ. გადის რამდენიმე თვე და თქვენ და თქვენი თანატოლები სიძნელეებს აწყდებით – გიჭირთ ახალი ენის სრულყოფილად ათვისება და კლასიდან კლასში გადასვლა. განათლება თუ ვერ მიიღეთ, რას გიქადით მომავალი? ვალდებულია თუ არა ხელისუფლება, დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნები, მაშინაც კი თუ მთავრობაში არ გყავთ თქვენი წარმომადგენელი? რას უპასუხებთ ამაზე?

აი, რა დაემართათ 1976 წლის ივნისში სამხრეთ აფრიკის დასახლება – სოუეტოში (Soweto) მცხოვრებთ. სტუდენტები აპარტეიდის სახელით ცნობილი სისტემის გარემოცვაში ცხოვრობდნენ. ამ სისტემაში სამხრეთ აფრიკის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ძალაუფლება თეთრკანიანი უმცირესობის ხელთ იყო. ხორციელდებოდა შავკანიანი და ფერადკანიანი მოქალაქეების დათრგუნვის პოლიტიკა, ისინი კი მოსახლეობის 70 პროცენტს წარმოადგენდნენ. ირღვეოდა უამრავი ადამიანისა და მოქალაქის უფლებები. თეთრკანიანთა მმართველმა ხელისუფლებამ შემოიღო სასტიკი კანონები, რომელთა წყალობითაც არათეთკანიანთა სამსახურში მიღება იზღუდებოდა. კანონმდებლები მათ უხარისხო განათლების სისტემას სთავაზობდნენ და

თვითნებურად აწესებდნენ იმასაც, თუ სად ეცხოვრათ, ემოგზაურათ და ემუშავათ შავ და ფერადკანიანებს. ახალი კანონი, რომლის თანახმადაც განათლების მიღება მხოლოდ „ოფიციალურ“ ენაზე იყო ნებადართული, შავი და ფერადკანიანი მოსახლეობის ჩაგვრის კიდევ ერთი ხერხი გახლდათ. ამჯერად სტუდენტებმა უსამართლობა ვეღარ აიტანეს და პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოვიდნენ. ამ კანონს 10000-ზე მეტი სტუდენტი აპროტესტებდა, მაგრამ დემონსტრაციას დიდი დღე არ ეწერა. პოლიციის მიერ გახსნილ ცეცხლს 23 სტუდენტის სიცოცხლე შეეწირა. მართალია, პარლამენტი, რომელმაც ამგვარი კანონები შემოიღო, არჩეული იყო, მაგრამ თავად მმართველობა „დემოკრატიულ“ სისტემად ვერ ჩაითვლებოდა, რადგან დემოკრატიის არაერთი პრინციპი ითელებოდა ფეხქვეშ. უმთავრესად ითრგუნებოდა შავი და ფერადკანიანი მოქალაქეების უფლებები. ადამიანთა უფლებების დაცვაში ადამიანის სიცოცხლისა და ღირსების დაცვა და პატივისცემა იგულისხმება. ილახებოდა სამხრეთაფრიკელი ხალხის გამოხატვის, მონაწილეობის, თავშეყრის, თანასწორობისა და განათლების უფლებები. ეს მაგალითი, იმავდროულად, დემოკრატიულ ქვეყანაში თანასწორობის პრინციპის განხორციელების აუცილებლობასაც წარმოაჩენს. თანასწორობის ამგვარი გააზრება იმას გულისხმობს, რომ ყველა ცალკეული პიროვნება, როგორც საზოგადოების წევრი, ერთნაირად ფასეულია და ყველას თანაბრად უნდა შეეძლოს ხელსაყრელი შესაძლებლობის გამოყენება თუ მართლმსაჯულების აღსრულება. არავინ არ უნდა დაიჩაგროს მიუხედავად რასისა, მრწამსისა, ეთნიკური წარმომავლობისა, სქესისა თუ სექსუალური ორიენტაციისა. კიდევ ერთი პრინციპი, რომელსაც ამ მაგალითის გათვალისწინებით შეგვიძლია ჩავუღრმავდეთ, გახლავთ მოსაზრება „უფლებათა კანონპროექტის”, როგორც დემოკრატიის პრინციპის, შესახებ. უფლებათა კანონპროექტი მოიცავს ყველა იმ უფლებასა და თავისუფლებას, რომლითაც ქვეყანაში მცხოვრები ყოველი ცალკეული პირი შეიძლება სარგებლობდეს. არაერთ დემოკრატიულ სახელმწიფოს აქვს შემუშავებული უფლებათა კანონპროექტი, რომელსაც სახელმწიფო კონსტიტუციის ნაწილად მიიჩნევს და მთავრობისაგან ამ უფლებათა აღიარებას მოითხოვს. სამხრეთ აფრიკის აპარტეიდულ სისტემაში მცხოვრებ ათასობით შავ და ფერადკანიანს არასოდეს ღირსებია ასეთი საიმედო საფარი. ასე რომ, მათი უფლებების ხელყოფა „კანონიერად“ მიიჩნეოდა ამგვარი აპარტეიდული სისტემის პირობებში. საბედნიეროდ, 1994 წელს აპარტეიდის სისტემა დაიშალა ნაწილობრივ იმის გამოც, რომ სამხრეთ აფრიკას სოუეტოს ხოცვა-ჟლეტის შემდეგ საერთაშორისო საზოგადოებრიობამ ყურადღება მიაპყრო. შედეგად, ამჟამად შავი და ფერადკანიანი მოსახლეობა ისეთივე უფლებებით სარგებლობს, როგორითაც თეთრკანიანი მოქალაქეები.

ამბავი V

ეს ამბები არცთუ შორეულ წარსულში მოხდა. ახლა იქ თანამედროვე, ინდუსტრიული სახელმწიფოა. ხალხს ამ სახელმწიფოში მათი უფლებების ხელყოფისაგან, ჩვეულებრივ, კანონი იცავს. ამგვარი მიდგომის გამომუშავებას გარკვეული დრო დასჭირდა, რადგან უმცირესობათაგან შემდგარი ჯგუფები კანონით განმტკიცებულ თანაბარუფლებიანობას მოითხოვდნენ. და მაინც, ჯერ კიდევ არსებობს ხალხის გარკვეული ჯგუფი, რომელიც მისი გონებრივი თუ ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, დისკრიმინაციას განიცდის. ისინი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა კატეგორიას მიეკუთვნებიან და, მნიშვნელოვანწილად, იზოლირებულები არიან საზოგადოებისაგან. განათლების მიღებისა და დასაქმების შესაძლებლობას მოკლებულ ამ ადამიანებს ხელი არ მიუწვდებათ საზოგადოებრივი თავყრილობის ადგილებზე და ხშირად აწყდებიან საცხოვრებლის საკითხთან დაკავშირებულ სიძნელეებს. ამგვარი ვითარებიდან გამომდინარე, ეს პირები ვერ სარგებლობენ იმ უფლებებით, უსაფრთხოების ღონისძიებებითა თუ შესაძლებლობებით, რომლებითაც იმავე სახელმწიფოში სხვა, მოქალაქეები სარგებლობენ. რა უნდა იღონონ ამ პირებმა თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად? შეუძლია თუ არა უმცირესობას, მოითხოვოს კანონების იმგვარად შეცვლა, რომ საზოგადოების უმრავლესობას არანაირი ზიანი არ მიადგეს? უნდა გაითვალისწინოს თუ არა ხელისუფლებამ მათი მოთხოვნები?

ეს ხდებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასეთი აზრი გახლდათ აქ გაბატონებული ლამის მთელი ისტორიის მანძილზე, სანამ ბევრი შშმ პირი, მათი მეგობრები და ოჯახის წევრები გაიაზრებდნენ ამ უსამართლობას და იმას, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ასე აღარ უნდა გაგრძელებულიყო. მათ უნდოდათ, მთავრობას ისეთი კანონები შემოეღო, რომ შშმ პირთა დისკრიმინაციას ბოლო მოღებოდა. ამ მიზნის მისაღწევად მათ ქმედით ღონისძიებათა მომხრეების ჯგუფები შექმნეს, რომლებიც წლების მანძილზე იღვწოდნენ კანონის შესაცვლელად – ატარებდნენ და ესწრებოდნენ საპროტესტო გამოსვლებსა და თავყრილობებს, კრეფდნენ ფულს, ქმნიდნენ კანონპროექტებს, საზოგადოებას აცნობდნენ საქმის ვითარებას, ჩვენებას აძლევდნენ საკანონმდებლო ორგანოებს, მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ კანონმდებლებთან, ფარულად ზემოქმედებდნენ ხელისუფლების მოხელეებზე და სარჩელი შეჰქონდათ დისკრიმინაციული (მეიერსონი. 1992) კანონების გასაუქმებლად. ქმედით ღონისძიებათა მომხრეები ითვალისწინებდნენ იმას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში შშმ პირები უმცირესობას წარმოადგენდნენ. მათ ისიც ჰქონდათ გააზრებული, რომ საზოგადოების მხარდაჭერა უთუოდ უნდა მოეპოვებინათ. არსებული სტერეოტიპებისა და მითების დასამსხვრევად საჭირო იყო საზოგადოებისა და პოლიტიკოსების გათვითცნობიერება იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენდნენ შშმ პირები.

ქმედით ღონისძიებათა მომხრეები მეტწილად იმ დამკვიდრებული თვალსაზრისის აღმოსაფხვრელად იღვწოდნენ, რომლის თანახმადაც შშმ პირები საზოგადოების ცხოვრებაში ვერანაირ ფასეულ წვლილს ვერ შეიტანენ.

ბრძოლამ შშმ პირებისთვის თანაბარი უფლებების მოსაპოვებლად ნაყოფი გამოიღო – გამოიცა არაერთი კანონი. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანთაგანი გახლდათ 1973 წლის ფედერალური „რეაბილიტაციის აქტი". იგი აუქმებდა იმ სააგენტოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც კვალიფიციურ პირთა დისკრიმინაციის ხარჯზე და მხოლოდ და მხოლოდ ამ პირთა შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე ითვისებდნენ ფულად სახსრებს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კანონი იყო 1975 წელს გამოცემული „აქტი – განათლება ყველა უნარშეზღუდულ ბავშვს", რომელიც ადგენდა, რომ შშმ ბავშვებს განათლების მიღების უფლება ჰქონდათ. მართალია, ქმედით ღონისძიებათა მომხრეებს ძალზე ახარებდათ ეს ცვლილებები, ისინი მაინც დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ საჭირო იყო მეტი დამცავი მექანიზმების ამოქმედება და ამიტომ მთავრობისათვის მოთხოვნების წაყენებას განაგრძობდნენ. მათმა მცდელობებმა ნაყოფი 1990 წელს გამოიღო, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა გამოსცა და პრეზიდენტმა ჯორჯ ჰ.უ. ბუშმა ხელის მოწერით დაადასტურა კანონი „აქტი – შეზღუდული უნარის მქონე ამერიკელები". ეს უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო მოღვაწეობა შშმ პირთა თანაბარ პირობებში ჩაყენების საწინდარი გახლდათ მათი დასაქმებისას (კერძო ბიზნესისა და არაკომერციული სააგენტოების ჩათვლით), ტრანსპორტით გადაყვანისას, სახელმწიფო თუ ადგილობრივი სამთავრობო საქმიანობის წარმართვისას. იმაში დასარწმუნებლად, რომ კანონი კანონობს და შშმ პირთა უფლებები არ ირღვევა, ქმედით ღონისძიებათა მომხრეები ბევრგან ადგილობრივ დონეზე ეწეოდნენ თავიანთ საქმიანობას. ერთ-ერთი მათგანი, ქარენ დემფსი (შშმ პირი) თავისი რეგიონის მთავრობასთან თანამშრომლობდა და ამ მიმართულებით აშკარა პროგრესს ამჩნევდა. ის ამგვარ განმარტებას იძლევა: *„ქალაქიც ჩვენ შემოგვიერთდა და აგერ უკვე ხუთი წელია ძალ-ღონეს არ იშურებს მდგომარეობის გვარიანად გასაუმჯობესებლად. ამას ისიც მოწმობს, რომ იგი ცდილობს 2005 წელს შემუშავებული გარდამავალი გეგმის – „უნარშეზღუდული ამერიკელების აქტი" (ADA) – დანერგვას. მაგრამ ბევრი რამ კიდევ გასაკეთებელია, მაგალითად, დაქანებული ტროტუარები, ბორდიურებზე გამოკვეთილი გასასვლელები (მათთვის, ვინც ეტლს იყენებს) და სხვა ხელშემწყობი საშუალებები"* [1].

ცვლილებების განხორციელებასა და შშმ პირების მდგომარეობის გაუმჯობესებას ქარენ დემფსის მსგავსმა ბევრმა მოქალაქემ დიდი ძალისხმევა შეალია. რას ვსწავლობთ ახალს მათგან, ისევე როგორც ამ ამბების გაანალიზებიდან, დემოკრატიის შესახებ? აბა, დავფიქრდეთ, ახლახან განხილულ

[1] ამონარიდი აქტივისტის ჩანაწერიდან. http://www.metrowestdailynews.com/archive/x1078554340/Activists-seek-more-from-Americans-with-Disabilities-Act№ixzz1RMz6XKA7

პრინციპთაგან რომელ ერთს ვითვალისწინებთ? მაგალითად, ვიცავთ თუ არა თანასწორუფლებიანობის პრინციპს?! გასათვალისწინებელი პრინციპებია აგრეთვე მოქალაქეთა თანამონაწილეობა, პოლიტიკური შემწყნარებლობა და გამჭვირვალობა. მოქალაქეებმა აქტიურად უნდა იღვაწონ დემოკრატიის ასამოქმედებლად. რაკი ხმის მიცემა, თავისი არსით, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობად მიიჩნევა, სწორედ ის არის ერთადერთი საშუალება დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს საბოლოო შედეგზე ზემოქმედება შეუძლიათ. საქმის არსში ჩაღრმავება და საკუთარი დამოკიდებულების დაუფარავად გაცხადება, საქმიანობისათვის ხელის შეწყობის მიზნით სხვადასხვა გაერთიანებებში გაწევრიანება, პეტიციებზე ხელის მოწერა თუ პოლიტიკოსებისათვის წერილების გაგზავნა, საზოგადოებრივ მიტინგებსა თუ თავყრილობებზე დასწრება და თვით პროტესტის გამოხატვა – ეს ყველაფერი საკუთარი თვალსაზრისის გამოსახატავად თუ დემოკრატიულ საზოგადოებაში დასამკვიდრებლად საგულისხმო საშუალებებია. სწორედ ამგვარ ქმედებათა წყალობით შემოიღეს ისეთი კანონები, რომლებიც შშმ პირების სხვებთან თანასწორუფლებიანობას უზრუნველყოფს.

ამ ეპიზოდში ხაზგასმულია კიდევ ერთი – პოლიტიკური შემწყნარებლობის პრინციპი, რომელსაც ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა პიროვნებას, თუნდაც იგი უმცირესობის თვალსაზრისს იზიარებდეს, თავისუფლად უნდა შეეძლოს თავისი აზრის გამოხატვა და ჩამოყალიბება. ამგვარი უფლებამოსილება უყოყმანოდ უნდა მიენიჭოთ ამ ჯგუფებს, რაც იმის საწინდარი იქნება, რომ მათ კანონი დაიცავს მაშინაც კი, როდესაც ისინი უმრავლესობისათვის მიუღებელ და მთავრობის საწინააღმდეგოდ მიმართულ შეხედულებებს გაიზიარებენ. დემოკრატიულ საზოგადოებაში უმცირესობის ხმა ყურად უნდა იღონ „უმრავლესობის ტირანიის“ თავიდან ასაცილებლად – ტირანიისა, მხოლოდ უმრავლესობის თვალსაზრისისა თუ ინტერესების გამოხატვასა და საზოგადოებისათვის წარმოჩენას რომ გულისხმობს. შშმ პირთა ქომაგებს რომ ვერ მოეხერხებინათ თავიანთი თვალსაზრისის გამოხატვა და ჩამოყალიბება, ალბათ არანაირი ცვლილებები არ მოხდებოდა. ბევრ ამერიკელს ვერ გაეთავისებინა შშმ პირთა გასაჭირი. ამდენად, სავსებით შესაძლებელი იყო, ქმედით ღონისძიებათა მომხრეებს ვერ გაერთმიათ თავი ამ საქმისათვის და ვერ მოეხერხებინათ ამ საკითხისადმი საზოგადოებისა და კანონმდებელთა ყურადღების მიპყრობა.

დემოკრატიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია გამჭვირვალობა, რაც იმას გულისხმობს, რომ მოქალაქეებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებაზე, ანუ იმაზე, თუ ვინ და რატომ იღებს გადაწყვეტილებებს სამთავრობო წრეებში. არაერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში ზოგიერთი გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ მიიღება, რაც საზოგადოება შემოთავაზებული კანონე-

ბის შესახებ იმსჯელებს. ამის განხორციელება შესაძლებელია საზოგადოებრივ თავყრილობებზე დასწრებისა თუ მთავრობის წარმომადგენლებთან ურთიერთობის დამყარების საშუალებით. ხელისუფლებისათვის საქმის არსის გაცნობის მსგავს საშუალებას შშმ პირთა არაერთი ქომაგი იყენებდა, ზოგი მათგანი კი – კონგრესის წინაშეც გამოდიოდა. ქარენ დემფსის მსგავს გულშემატკივრებს მთავრობის ქმედებათა გამჭვირვალობისა და საკანონმდებლო საქმიანობის პროგრესისათვის თვალყურის დევნება ხელეწიფებათ. თითოეული ამ პრინციპის დაცვა საზოგადოების მაჯისცემის გულდასმით მოსმენის შესაძლებლობას იძლევა.

ამბავი VI

ერთ მმართველს პრეზიდენტის თანამდებობა ოცდაათი წლის განმავლობაში ეკავა. თავიდან იგი ქვეყანას ღირსეულად ემსახურებოდა და ქვეყნის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა თუ ეკონომიკის განვითარებისათვის ძალ-ღონეს არ იშურებდა. თუმცა, დროთა განმავლობაში, თანდათანობით, შინაურების – ოჯახის წევრების თუ ახლობლების – სულ უფრო და უფრო მეტი ძალაუფლებით აღჭურვა დაიწყო. მის და მასთან დაახლოებული პირების ხელში ქვეყნის დოვლათის უმეტესი წილი მოექცა. დიდი ბიზნესიდან შემოსული მოგების 50% მათ განკარგულებაში გადადიოდა მაშინ, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სიღატაკეში ცხოვრობდა და ეკონომიკური პირობების არანაირ გაუმჯობესებას არ ელოდა. პრეზიდენტი ზედამხედველობდა სახელმწიფო მედიასაც და მთავრობის კრიტიკისათვის მკაცრ სანქციებს აწესებდა. ასე რომ, არჩევნები კი ტარდებოდა, მაგრამ მმართველის წინააღმდეგ, რეალურად, ვერცერთი ნამდვილი ოპოზიციური კანდიდატი ვერაფერს გახდებოდა. ქვეყნის 80 მილიონიანი მოსახლეობიდან 50 მილიონი ოცდაათ წლამდე ახალგაზრდები იყვნენ, რომლებიც სამომავლოდ საიმედოს არაფერს ელოდნენ და ვერც ადამიანის უფლებების დაცვის შესაძლებლობას ხედავდნენ. მათ, ვინც ხმას აიმაღლებდა მთავრობის წინააღმდეგ, ატუსაღებდნენ ან, უბრალოდ, აქრობდნენ. კიდევ ერთხელ უნდა ჰკითხოთ საკუთარ თავს, რას იზამდით, ამგვარ ვითარებაში რომ აღმოჩენილიყავით?

ეს ხდებოდა ეგვიპტეში და აქაურმა ახალგაზრდობამ გადაწყვიტა, თავისი მომავლისა და ადამიანის უფლებების დასაცავად ებრძოლა. პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის მმართველობის დროს დემოკრატიის არაერთი პრინციპი იყო უგულვებელყოფილი. მათ შორისაა პერიოდული, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, მრავალპარტიული სისტემა და ეკონომიკური თავისუფლება. პერიოდულ არჩევნებს დიდი მნიშვნელობა აქვს იმის უზრუნველსაყოფად, რომ პოლიტიკურმა ლიდერებმა ანგარიშვალდებულად იგრძნონ თავი იმ ხალხის წინაშე, რომელსაც უნდა ემსახურონ. თავისუფალი და სა-

მართლიანი არჩევნების კიდევ ერთი კომპონენტი ის გახლავთ, რომ გარკვეულ საზოგადოებაში მცხოვრებმა ყველა ცალკეულმა პირმა თავისუფლად უნდა დაუჭიროს მხარი საზოგადოებრივ დაწესებულებებს, რის წყალობითაც შეძლებს მდიდართა თუ მმართველი კლასის ზღვარგადასულობას ზღვარი დაუდოს. დემოკრატიული იდეალების გამოსახატავად, გარდა არჩევნებისა, მრავალპარტიული სისტემისათვის ესოდენ დამახასიათებელი – საპირისპირო შეხედულებების წარმოჩენაც არის აუცილებელი. არჩევნები, რომლის წყალობითაც მრავალგზის გაპრეზიდენტებული ჰოსნი მუბარაქი 30 წლის მანძილზე მართავდა ეგვიპტეს, იმის ნათელი დადასტურებაა, რომ მარტო მოჩვენებითი არჩევნების ჩატარება სულაც არ ნიშნავს ამ პრინციპების სულისკვეთების დანერგვას. მუბარაქის მიერ დაწესებული კონტროლი პრესაზე საშუალებას არ აძლევდა ოპოზიციურ კანდიდატებს, ხმამაღლა გაეკრიტიკებინათ ხელისუფლება და რაიმე ცვლილება განეხორციელებინათ. სხვა კანონებიც, ისევე, როგორც კორუფცია სახელისუფლებო წრეებში, აზრის გამოხატვის თავისუფლებას ზღუდავდა, ღია და „სამართლიანი“ არჩევნების ჩატარებას შეუძლებელს ხდიდა. აქედან გამომდინარე, არ არსებობდა მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბების პირობები. მხოლოდ მრავალპარტიული სისტემის პირობებში შეუძლია ხალხს მოისმინოს განსხვავებული აზრი და აირჩიოს სასურველი კანდიდატი.

ეგვიპტის მოქალაქეები მოკლებულნი იყვნენ ნამდვილ ეკონომიკურ თავისუფლებასაც. ეკონომიკური თავისუფლების პრინციპი ალბათ ყველაზე უფრო წინააღმდეგობრივია, რადგან ის გულისხმობს, რომ დემოკრატიის განვითარებისთვის აუცილებელია თავისებური ეკონომიკური სისტემა. დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ჩვეულებრივ, მიაჩნიათ, რომ ხელისუფლებამ კერძო საკუთრება გარკვეული ფორმით უნდა დაუშვას, რაც ქონებისა და ბიზნესის მფლობელობის უფლებას გულისხმობს და იმასაც, რომ ადამიანს უნდა შეეძლოს, თავისი საქმიანობის სფერო თავისუფალი ნებით აირჩიოს. თუმცა ზღვარი, რომელსაც ამა თუ იმ დემოკრატიული სახელმწიფოს ხელისუფლება ეკონომიკის რეგულირების მიზნით აწესებს, სრულიად სხვადასხვაგვარია. აქედან გამომდინარე, დასავლეთ ევროპის არაერთი სახელმწიფო ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, მეტი ქმედითუნარიანობა გამოიჩინოს მომსახურების თუ საქონელწარმოების მფლობელობისა და განკარგვა-რეგულირების საქმეში. მაგალითისათვის, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა შვედეთი, ჯანდაცვისა და სატრანსპორტო სისტემის მართვის სადავეები სახელმწიფოს ხელშია, შეერთებული შტატების მსგავსი სახელმწიფოები კი უფრო კერძო საკუთრებისაკენ იხრებიან და ეკონომიკურ საქმიანობას თავისუფალი ბაზრის კარნახით წარმართავენ. დემოკრატიულ ქვეყნებში ხალხის ნება-სურვილზეა დამოკიდებული იმ ეკონომიკური მოდელის განსაზღვრა, რომელიც უკეთ ეხამება ქვეყანაში არსებულ პირობებსა და საჭიროებებს. და მაინც, უმრავლესობა ალბათ დაგვეთანხმება, რომ ეგვიპტეში გაბატონებული სისტემა, რომელიც ხელისუფლებას ფუფუნების უფლებას ანიჭებდა, მო-

ქალაქეებს კი მეტწილად სიღატაკისათვის წირავდა, ძალზე არადემოკრატიული გახლდათ, ხოლო ხელისუფლების მიერ ეკონომიკის რეგულირების როლს მთლიანად ამახინჯებდა. ეგვიპტის მოქალაქეებმა ბოლოს და ბოლოს მუბარაქის გადადგომა მოითხოვეს.

დემოკრატიის ბოლო პრინციპი ასევე არჩევნების საკითხს შეეხება, ოღონდ დემოკრატიულ საზოგადოებაში ხალხმაც და პოლიტიკოსებმაც ყოველგვარი ვნებათაღელვის გარეშე უნდა ცნონ დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნების შედეგები. ბოლო ეპიზოდი, ამ საკითხს ნათელს რომ ჰფენს, სათავეს დასავლეთ აფრიკაში მდებარე ქვეყნიდან – სპილოს ძვლის სანაპიროდან (ახლანდელი კოტ-დ'ივუარი) იღებს. როდესაც 2010 წლის ნოემბერში ყოფილი პრეზიდენტი ლორან გბაგბო (Laurent Gbagbo, 1945) ალასანე ოუატარასთან (Alassane Ouattara, 1942) საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა, მან და მისმა მხარდამჭერებმა შედეგები არ აღიარეს და გბაგბომ პრეზიდენტის თანამდებობის დატოვებაზე უარი განაცხადა. დაიწყო დიდი ვნებათაღელვა, რამაც თვეობით გასტანა და ათასობით ადამიანის დაშავება, სიკვდილი, ეკონომიკის ჩამოშლა თუ სოციალური არეულობა გამოიწვია. მღელვარება შეიარაღებული ძალების მიერ ყოფილი პრეზიდენტის – გბაგბოს დამხობით დასრულდა. მთელი ამ უბედურების თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, თუკი დემოკრატიის ეს ბოლო პრინციპი არ შეილახებოდა.

ზემოთ მოტანილ ეპიზოდებში აღწერილია ის პირობები და პრინციპები, რომლებიც დემოკრატიასთან ასოცირდება. მსოფლიოში დროდადრო განვითარებული ამბების გათვალისწინებით შესაძლებელია იმის გააზრება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მმართველობის სტილს დემოკრატიის განვითარებისა თუ შეზღუდვის საქმეში. „დემოკრატიულ პრინციპებში" დასახულ ყველა იდეალს სამარადისოდ არცერთი სახელმწიფო არ აღიარებს. კაცობრიობა ახლაც ბევრ რამეს სწავლობს. თუმცა, დემოკრატიის ხარისხი ქვეყანაში დიდად არის დამოკიდებული ამ ქვეყნის მოქალაქეებზე. ამ თავის მომდევნო მონაკვეთში ყურადღება გამახვილებულია სწორედ იმაზე, თუ რა უნდა იცოდნენ მოქალაქეებმა, როგორ უნდა იმოქმედონ ეფექტურად, რა გზით მიიღონ მონაწილეობა დემოკრატიული იდეალების განხორციელების პროცესში და შეიტანონ თავიანთი წვლილი საზოგადოების გაჯანსაღებაში.

1787 წელს ამერიკის პირველი ცამეტი შტატის დელეგატი ერთმანეთს შეხვდა. მათი მიზანი თავიანთი ახლადჩამოყალიბებული ხელისუფლების რეფორმირება იყო. ამ სხდომაზე დაიწერა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია. ეს სწორედ ის დოკუმენტია, რომელიც დღემდე გვევლინება შეერთებული შტატების ყველანაირი სახის მმართველობის საფუძველთა საფუძვლად. და მაინც, შეერთებულ შტატებში ხშირად იხსენებენ იმ ამბავს, რომ სხდომის დასრულებისას დამფუძნებელ მამათაგან ერთ-ერთისათვის ბენჯამინ ფრანკლინისათვის უკითხავთ, თუ როგორი მმართველობის ფორმაზე შეთანხმდნენ სხდომის დელეგატები. „რესპუბლიკურ მმართველობაზე,

თუ შეინარჩუნებთო”[2], – უპასუხია ფრანკლინს. მოდით ახლა იმას ჩავუღრმავდეთ, თუ რა მოეთხოვებათ მოქალაქეებს საქართველოში ჯანსაღი და მზარდი დემოკრატიის „შესანარჩუნებლად.”

[2] ფრანკლინის ეს განცხადება 1787 წელს კონსტიტუციის ხელმომწერმა ჯეიმს მაკ-ჰენრიმ ჩაიწერა დღიურში.

დემოკრატიული მოქალაქეობა

„პრივილეგირებული მოქალაქეები, როგორც წესი, ჩაგრულთა ინტერესების დასაცავად და გასავითარებლად არ არიან განწყობილი... ნაწილობრივ ეს იმის გამო ხდება, რომ მათი პრივილეგირებული მდგომარეობა გარკვეულწილად სხვათა მუდმივ ჩაგვრაზეა დამოკიდებული". (იანგი 1995. გვ. 189)

ბოლო თავში აღწერილი დემოკრატიის პრინციპები მტკიცეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული ძალები აქტიურად იღვწიან ამ პრინციპების შესანარჩუნებლად. რატომ ხდება ასე? წინა თავში მოცემული სხვადასხვა სცენარები და ზემოთ მოცემული ციტატა ნათლად ასახავენ, რომ ადამიანი პირველ რიგში საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებაზე ფიქრობს, მაშინაც კი, როდესაც ეს საზოგადოების სხვა წევრების ხარჯზე ხდება. თუ ხელისუფალნი შეუზღუდავ ძალაუფლებას ფლობენ, მათი კორუმპირებულობა გარდაუვალია. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ინგლისელი ისტორიკოსის და პოლიტიკოსის ლორდ ექტონის (John Dalberg-Acton, 1834-1902) ხშირად ციტირებადი ფრაზა „ყველანაირი ძალაუფლება მიდრეკილია კორუფციისკენ, ხოლო აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად კორუმპირებულია", ისევე აქტუალურია დღეს, როგორც საუკუნეების წინ. იმისათვის, რომ დავინახოთ თუ რამდენად საზიანოა უკონტროლო ძალაუფლება, საკმარისია სამხრეთ აფრიკის აპარტეიდის, იმპერატორ ცინ შიხუანგისა და ეგვიპტის პრეზიდენტის მუბარაქის მაგალითების გახსენება. მაშინ რა მეთოდებით შეუძლია საზოგადოებას მთავრობის არსებობის, რეალური საჭიროებების, საკუთარი ინტერესების განხორციელების შესაძლებლობების, კორუფციისა და მოცემული შესავლის პირველ თავში აღწერილ დემოკრატიულ პრინციპებს შორის წონასწორობის შენარჩუნება? ამ შეკითხვაზე პასუხი ხელისუფლების სტრუქტურის ტიპში და მის მიერ შესაძლო დარღვევების მონიტორინგშია. მოცემულ თავში აღწერილია ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის აუცილებლობა. დემოკრატიის რესპუბლიკურ ფორმაციაში ხალხის ინტერესების ყველაზე კარგად წარმოჩენა მაშინ ხდება, როდესაც სამოქალაქო საზოგადოება საჯარო მოხელეთა არჩევისა და მათი საქმიანობის მონიტორინგში, ზოგადად საჯარო პოლიტიკის ფორმირებაში აქტიურად მონაწილეობს. როგორც კი საზოგადოება ჩამოშორდება ამ პროცესებს, გამჭვირვალობისა და ბალანსის სისტემის საკვანძო ელემენტი იკარგება და საჯარო მოხელეებს საშუალება ეძლევათ, ამომრჩეველთა მხრიდან მათზე დაწესებული შეზღუდვების გარეშე იმოქმედონ. ამან, თავის მხრივ პოლიტიკოსების და სახელისუფლებო ბიუროკრატიის მხრიდან შესაძლოა საზოგადო ინტერესების კერძოზე შეწირვა გამოიწვიოს და საზოგადოების გარკვეული ნაწილის უფლებების დარღვევამდეც მიგვიყვანოს. როგორც წინამდებარე თავის დასაწყისში შევნიშნეთ ძალაუ-

ფლების მქონე პირთა ინტერესებში შესაძლოა არც შედიოდეს მასის ინტერესების დაცვა, ამიტომაც მათ საკუთარი თავის დაცვა თავად უნდა ისწავლონ.

ამ როლის შესასრულებლად მოქალაქეებს გარკვეული ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები სჭირდებათ. ინფორმაცია დემოკრატიის პრინციპების შესახებ გარკვეულწილად შესავალშივე იყო მოცემული, თუმცა ბევრად მეტის ცოდნაა საჭირო ხელისუფლების როლის, საქართველოში მოქმედი მმართველობის სისტემის, საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის სხვადასხვა მეთოდების, ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი მოქმედების შესახებაც. ამ სახელმძღვანელოში ყურადღება სწორედ ზემოხსენებულ საკითხებს დაეთმობა. პირველ კარში – „მართვა-გამგეობა და საზოგადოება“, აღწერილი იქნება ფილოსოფიური გავლენები დემოკრატიული საზოგადოებების განვითარებაზე და მოკლე ისტორია, მმართველობის სხვადასხვაგვარი სისტემების მიმოხილვასთან ერთად. ამ ძირითადი ინფორმაციის შემდეგ განიხილება სახელმწიფო მმართველობის ისტორია და დემოკრატიის განვითარება საქართველოში, რათა წარმოდგენა შეიქმნას საქართველოს წინაშე არსებული განვითარების უნიკალური გამოწვევებისა და რეალობის შესახებ გლობალური გამოცდილების ფონზე. იმისათვის, რომ მოქალაქემ ხელისუფალს ანგარიშვალდებულება მოთხოვოს, ის ხელისუფლების თითოეული შტოს უფლებამოსილებაში და მის შიგნით არსებულ როლებსა და მოქმედ სტრუქტურებში უნდა ერკვეოდეს. მთავრობის სტრუქტურის პრაქტიკული ცოდნა სჭირდება საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ეფექტური მონაწილეობის უზრუნველყოფასაც. შეძლებენ კი მოქალაქეები გავლენა მოახდინონ პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე, ან ექნებათ მათ მოტივაცია ამ მიმართულებით მოქმედებისა, თუ არ ეცოდინებათ მთავრობის რომელ სტრუქტურებს, დეპარტამენტებს უნდა მიმართონ? სწორედ ამის გამო, პირველ თავში აღწერილია საქართველოს მთავრობისა და საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი კომპონენტები, რომელთა ცოდნა აუცილებელია დემოკრატიულ განვითარებაში თქვენი ჩართულობისთვის.

როგორც უკვე ვთქვით, რესპუბლიკური წყობის დემოკრატიის მქონე ქვეყნის მთავრობას ხალხის წინაშე სპეციფიური ვალდებულებები გააჩნია, როგორიცაა: უსაფრთხოება, დაცულობა და ადამიანის უფლებათა დაცვა. რა როლი შეიძლება ითამაშონ ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა მთავრობის მხრიდან მოცემული ფუნქციების შესრულებისას? მეორე, მესამე და მეოთხე კარებში მოცემულია ამ საკითხთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია. მეორე კარში, სათაურით „ადამიანის უფლებები“ თქვენ შეიტყობთ, თუ რა უფლებები აქვს ყოველ ადამიანს, და ასევე ამ უფლებების დადგენის, დაცვის, განვითარების პროცესის შესახებ. თითოეულმა ადამიანმა უნდა იცოდეს საკუთარი უფლებები და სხვათა უფლებები იმისათვის,

რომ მათი პატივისცემა და დაცვა შეძლოს. ამ კარში განხილული იქნება ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა: სახელმწიფოს პასუხისმგებლობა და სტრუქტურები, რომელთაც ადამიანის უფლებების დარღვევისას უნდა მივმართოთ. მესამე კარის სათაურია „სამოქალაქო საზოგადოება". დემოკრატიული საზოგადოების წევრებს უფლება აქვთ მიზნების დასადგენად, საჭიროების შემთხვევაში, საჯარო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოსახდენად და ხელისუფლების მხრიდან ანგარიშვალდებლების მოთხოვნისათვის ორგანიზებულად ითანამშრომლონ. ყოველივე ეს საზოგადოებაში „სამოქალაქო საზოგადოებად" ცნობილი სექტორის მეშვეობით ხორციელდება. ხელისუფლების ანგარიშვალდებულების მოთხოვნასა და ცვლილებათა ადვოკატირებაში სამოქალაქო საზოგადოება საკმაოდ ძლიერ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამ თავში თქვენ გაეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ისტორიას, და მის, როგორც მთავრობის საპირწონე ძალის მნიშვნელობას. ასევე მიიღებთ ინფორმაციას დღევანდელ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მოქმედებების შესახებ. ყველა კარში მიიღებთ ინფორმაციას ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის საშუალებების შესახებ.

მეოთხე კარში სათაურით „მოქალაქეთა თანამონაწილეობა", თქვენ დემოკრატიულ საზოგადოებაში სამოქალაქო მონაწილეობასთან დაკავშირებულ უფლებებს და პასუხისმგებლობებს გაეცნობით. განხილული იქნება უკანასკნელ ხანებში საქართველოში მიმდინარე მრავალი რეფორმა. ყურადღება გამახვილდება რეფორმათა გავლენასა და ამ პროცესებში მოქალაქეთა როლზე. ვისაუბრებთ საზოგადოების გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებებსა და დემოკრატიის იდეალების განვითარებაში სახელმწიფო მმართველობასთან თანამონაწილეობაზე, ასევე, იმ ქმედებებზე, რომელთა განხორციელებაც მოქალაქეებს ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად ან მასთან თანამშრომლობით შეუძლიათ. ამ კარში განხილული მაგალითები დაგეხმარებათ უკეთესად გაიგოთ, თუ როგორ შეგიძლიათ უფრო მეტად იაქტიუროთ საზოგადოებაში და სოციალური მნიშვნელობის მქონე ძირითად საკითხებთან დაკავშირებით იქონიოთ გავლენა გადაწყვეტილებების მიღებაზე.

აღნიშნულ ოთხ კარში წარმოდგენილი ინფორმაცია მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ საქართველოში მოქმედი დემოკრატიის სისტემა, სახელმწიფო პასუხისმგებლობა, და მოქალაქეთა როლი დემოკრატიული პროცესების დაცვისა და ადვოკატირების საქმეში უკეთესად ვიცოდეთ. თუმცა, მხოლოდ ცოდნის მიღება საკმარისი არ არის. დემოკრატიის საკითხებზე მომუშავე მეცნიერები თვლიან: იმისათვის, რომ საზოგადოებამ ნამდვილად შექმნას და შეინარჩუნოს მმართველობის დემოკრატიული ფორმა მოქალაქეებს გარკვეული უნარები ესაჭიროებათ, შესაბამისად, უპირატესობა „დემოკრატიის კულტურის" განვითარების ხელშეწყობას უნდა მიენიჭოს. წარმატებული დემოკრატია მხოლოდ ინფორმირებული და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას ითხოვს. ამერიკელი პოლიტოლოგის რობერტ დალის (Ro-

bert Dahl, 1915-2014) აზრით ეფექტური დემოკრატიის აუცილებელი პირობა მოქალაქეების „საგანმანათლებლო ცოდნით“ (რობერტ ა. დალი, „დემოკრატიის შესახებ“. 1998. გვ.37) აღჭურვაა. დალი გვიხსნის, რომ საგანმანათლებლო ცოდნის მისაღებად მოქალაქეებს უნდა შეეძლოთ ინფორმაციის მოპოვება და უნდა ჰქონდეთ საკუთარი აზრის გამოხატვის და ალტერნატიული პოზიციების მოსმენის უნარი საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებამდე. თუმცა, ინფორმაციულ ეპოქაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ინფორმაციაზე მხოლოდ სწრაფი ხელმისაწვდომობა არ კმარა. ადამიანებს ინფორმაციის ობიექტურობისა და შესაძლო დამახინჯების შეფასების უნარიც უნდა გააჩნდეთ, რათა ობიექტური დასკვნების გამოტანა შეძლონ. აქედან გამომდინარე, როდესაც ჩვენ დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეთათვის საჭირო უნარებზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ მათ შესაძლებლობას, მოიძიონ ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებიდან, აწარმოონ ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, განიხილონ საკითხები სხვებთან კომუნიკაციაში, მოუსმინონ სხვადასხვა აზრს და გამოიტანონ კომპრომისული აზრი. (ცხრილი 1.1.).

ისეთ დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც მოქალაქეებს ზემოთ ნახსენები უნარები არ გააჩნიათ, გადაწყვეტილებებს იმ გარემოში ღებულობენ, რომელიც ასახავს უმრავლესობის აზრს, მაგრამ შესაძლოა საზოგადოებისთვის მავნებელი იყოს. მაგალითად, წარმოიდგინეთ: ერთ თემში მცხოვრები რამოდენიმე ფერმერი ამჩნევს, რომ მათი ნათესები სწრაფად ავადდება. მეცნიერთა ჯგუფი ამტკიცებს, რომ დაავადების გამომწვევია ჰაერით გავრცელებადი სოკო. უფრო მეტიც, მეცნიერები აცხადებენ, რომ სოკო პესტიციდებზე არ რეაგირებს, ამიტომ სოკოვანი დაავადების სალიკვიდაციოდ გარშემო პერიმეტრზე მდებარე მთელი ნათესები უნდა განადგურდეს. მიღებული რეკომენდაციებიდან და სოკოს საგანგაშო სისწრაფით გავრცელების გამო ადგილობრივი მცხოვრებლები სთხოვენ ხელისუფლებას, სწრაფად იმოქმედოს და დაავადებული ნათესები დაუყოვნებლივ გაანადგუროს. თუმცა, რა იქნებოდა თუკი საკითხის მეტად შესწავლის შედეგად აღმოჩნდებოდა, რომ „მეცნიერთა“ ამ ჯგუფის მეთოდები და მათ მიერ გაკეთებული დასკვნები ტრადიციული მეცნიერების ჩარჩოში ვერ ჯდება? იქნებ არსებობს სხვა, საფუძვლიანი სამეცნიერო ინფორმაცია, რომელიც ზემოთ აღწერილ დასკვნებს ეწინააღმდეგება და ამბობს, რომ სოკო ჰაერით არ ვრცელდება, არამედ ის გადააქვს მხოლოდ ერთგვარ მწერს, რომლის განადგურებაც ადვილად შეიძლება პესტიციდით. მოქალაქეები, რომელთაც აქვთ სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოძიების, მისი კრიტიკული გაანალიზების და სხვებთან თანამშრომლობის უნარი, შეძლებენ რაციონალური, ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებას. ასეთი მოქალაქეები თემისთვის სასიკეთო ქმედებებს განახორციელებენ.

ცხრილი 1.1. დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისათვის აუცილებელი უნარები[1].

1. კრიტიკულად აზროვნების უნარი
2. ინფორმირებულობასა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი
3. ინფორმაციის ანალიზის უნარი
4. ინფორმაციის შეფასების უნარი
5. საკითხების განხილვისა და სხვადასხვა მოსაზრების გათვალისწინების უნარი
6. მიკერძოების, თვალსაზრისის და კონტექსტის ამოცნობის, ინფორმაციის წყაროს სანდოობის შეფასების უნარი
7. მიმდინარე საკითხების შესწავლის და მოხსენებით გამოსვლის უნარი
8. ინფორმაციაზე დაფუძნებული შეკითხვების ფორმულირების უნარი
9. ინფორმაციის მოსაძიებლად ეფექტური სტრატეგიების გამოყენების უნარი
10. ინფორმაციის წერილობითი, გრაფიკული და ვერბალური ფორმით შეჯამების უნარი
11. სხვებთან თანამშრომლობით მიზნის მიღწევის უნარი
12. ლიდერისთვის დამახასიათებელი უნარები
13. პრობლემის გადაწყვეტის უნარი
14. ეფექტური და რაციონალური არგუმენტის მოყვანის უნარი

ცხრილში ჩამოთვლილი სხვა უნარები საზოგადოებაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად მოქალაქეთა საერთო მიზნების მისაღწევად თანამშრომლობის შესაძლებლობას უკავშირდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დემოკრატიის პირობებში პიროვნებებს სხვებთან ერთად გაერთიანებების ჩამოყალიბების შესაძლებლობა უნდა გააჩნდეთ. ასეთი გაერთიანებები მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს, საერთო მიზნების მისაღწევად ჯგუფური რესურსები გამოიყენონ. თუმცა, სხვა მოქალაქეებთან, ორგანიზაციებთან და ხელისუფლებასთან წარმატებული ინტერაქციისთვის საჭიროა დამა-

[1] ცხრილში 1.1. ჩამოთვლილი უნარები ეფუძნება სამოქალაქო განათლების აშშ-ში აპრობირებულ სახელმძღვანელოებსა და შეფასების მეთოდებს: „სამოქალაქო განათლების ეროვნული სტანდარტები“; „სამოქალაქო განათლების პროგრესის ეროვნული შეფასება“ (NAEP); „სოციალური მეცნიერების ეროვნული საბჭოს სტანდარტები სამოქალაქო განათლების საკითხებში“.

ტებითი უნარებიც, განსაკუთრებით კომუნიკაციის მხრივ. დემოკრატიულ მოქალაქეობასთან ასოცირებული უნარების მნიშვნელობის გამო, მოცემულ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სასწავლო კურსი ითხოვს თქვენს აქტიურ მონაწილეობას. აუდიტორიაში საქმიანობით, დავალებების შესრულებით და პროექტებზე მუშაობით თქვენ ბევრი მნიშვნელოვანი უნარის განვითარება შეგეძლებათ. ეს პროცესი სახელმძღვანელოს კითხვისთანავე იწყება. მაგალითად, როდესაც სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ფორმების შესახებ პირველ კარში მოცემულ ინფორმაციას გაეცნობით, ყოველი სისტემის დადებითსა და უარყოფითზეც დაფიქრდით. საქართველოს კონსტიტუციის შესახებ მასალაში დაუკვირდით, დემოკრატიის რომელ პრინციპებს ამოიცნობთ და არის თუ არა ისეთი ელემენტები, რომლებიც, თქვენი აზრით, გაძლიერებას მოითხოვს. ყოველ თავში წარმოდგენილი ინფორმაციის კრიტიკულად აღქმის გზით იგრძნობთ, რომ თქვენ დემოკრატიული საზოგადოების პარტნიორი ხართ და განივითარებთ ისეთ გონებრივ უნარებს, რომლებიც დემოკრატიულ მოქალაქეობასთან ასოცირდება. გახსოვდეთ, რომ დემოკრატიული ქვეყნის ჩვეულებრივი მოქალაქეების პასუხისმგებლობაა, ხელისუფლებას ანგარიშვალდებულებას სთხოვდეს და საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესების პროცესში აქტიურად მონაწილეობდეს. მეოთხე კარში გაეცნობით მაგალითებს, თუ როგორ ახორციელებენ ამ ყველაფერს საქართველოსა და სხვა ქვეყნების მოქალაქეები. თანმხლები სასწავლო კურსის ფარგლებში მიღებული დავალებების შესრულებით თქვენ ასევე შეიძენთ აქტიური სამოქალაქო ჩართულობის გამოცდილებას.

მთავარი, რაც უნდა გავიაზროთ, არის ის, რომ დემოკრატიის განვითარებისათვის მხოლოდ მმართველობის დემოკრატიული სისტემის ფორმირება არ არის საკმარისი. როგორც ეგვიპტეში პრეზიდენტი მუბარაქის „არჩევნების“ გარჩევის დროს განვიხილეთ, დემოკრატია ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე ადამიანებისათვის მხოლოდ ხმის მიცემის უფლების ქონაა (ისევე, როგორც დემოკრატიული მოქალაქეობა ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ არჩევნებში ხმის მიცემა). მეოცე საუკუნეში მოღვაწე მეცნიერები ამბობდნენ, რომ სოციალური, ეკონომიკური, ან პოლიტიკური კრიზისის დროს დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოშლის საფრთხე უფრო რეალურია იმ ქვეყნებში, სადაც „დემოკრატიის კულტურა“ ძლიერად არ არის განვითარებული. დემოკრატიულ ქვეყნებს მეტი შანსი აქვთ, გადაურჩნენ კრიზისს, თუკი დაცული იქნება ისეთი დემოკრატიული იდეალები როგორებიცაა: კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა დაცვა, სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის თანასწორობა და უზრუნველყოფილია ხელისუფლების გამჭვირვალობა. ცხრილში 1.2. აღწერილია ჯანსაღ დემოკრატიასთან ასოცირებული განწყობები, რომელთა გაცნობისას, და რაც უკვე ისწავლეთ იმაზე დაყრდნობით, დაუსვით თქვენს თავს კითხვა: მართლაც მნიშნელოვანია თუ არა თითოეული განწყობა-დამოკიდებულება დემოკრატიის შენარჩუნებისათვის? შემდეგ დაფიქრდით, იმაზე, რომელი

განწყობა გახასიათებთ თქვენ ამჟამად? ამ შეხედულებებიდან ზოგიერთი შესაძლოა ადვილად აითვისოთ, მაგრამ ზოგიერთიც – გამოცდილებისა და ახალი ცოდნის შეძენის შედეგად განგივითარდებათ. მოცემული კურსის მიზანია დაგეხმაროთ დემოკრატიული იდეალების, როგორც საქართველოში ჯანსაღი დემოკრატიისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორების, გამოკვლევისა და გათავისების პროცესში.

ცხრილი 1.2. დემოკრატიულ მოქალაქეობასთან ასოცირებული განწყობები:[2]

1. პიროვნების, როგორც მოქალაქის მიერ პიროვნული, პოლიტიკური და ეკონომიკური პასუხისმგებლობის აღების საჭიროების აღიარება
2. ინდივიდუალური ღირებულებებისა და ადამიანის ღირსების პატივისცემა
3. ხელისუფლებისადმი პატივისცემა და ნდობა, კანონის უზენაესობის პატივისცემა
4. განსხვავებული აზრის და ცხოვრების წესისადმი ტოლერანტულობა
5. საკუთარ საზოგადოებაში ცვლილებების მოხდენაზე ზეგავლენის შესაძლებლობის მნიშვნელობის შეგრძნება
6. დემოკრატიული ქვეყნის ჯანსაღი ფუნქციონირების საკითხში სამოქალაქო პასუხისმგებლობის შეგრძნება და სამოქალაქო აქტივობებში ინფორმირებული, გააზრებული და ეფექტური მონაწილეობა

[2] ცხრილში 1.2 ჩამოთვლილი განწყობები ეფუძნება სამოქალაქო განათლების აშშ-ში აპრობირებულ სახელმძღვანელოებსა და შეფასების მეთოდებს: „სამოქალაქო განათლების ეროვნული სტანდარტები“; „სამოქალაქო განათლების პროგრესის ეროვნული შეფასება“ (NAEP); „სოციალური მეცნიერების ეროვნული საბჭოს სტანდარტები სამოქალაქო განათლების საკითხებში“.

დასკვნა

თითქმის ოცდახუთი წლის წინ საქართველოს მოქალაქეებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებმა მიიღეს შეგნებული გადაწყვეტილება დაეცვათ მათი ყველაზე ფუნდამენტური დემოკრატიული უფლებები და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ტრაექტორია შეეცვალათ. ახლა კი, თქვენი თაობის ამოცანაა, მიიღოს ეს გამოწვევა და განავითაროს დემოკრატიული საზოგადოება, ისე, რომ ის კიდევ უფრო გაძლიერდეს. მოცემული სახელმძღვანელოს მიზანია მოგცეთ ის ცოდნა, რომელიც საქართველოს საზოგადოებაში დემოკრატიული მოქალაქის სტატუსით ეფექტურად მონაწილეობისათვის დაგჭირდებათ. თუმცა, ეს არ არის პასიური ქმედება. მოგიწევთ მთელი თქვენი გონებითა და გულით ჩაერთოთ პროცესში და გაიაზროთ, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებთ საქართველოს დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესებასა და შენარჩუნებაში.

1 მართვა–გამგეობა და საზოგადოება

წარმოდგენილი კარის უმთავრესი მიზანია, სტუდენტები გაეცნონ თანამედროვე პოლიტიკისა და პოლიტიკური პროცესის საკვანძო მოვლენებს და შესაბამისად, მისი მოქმედი პირების მოღვაწეობას. კაცობრიობას დიდი ხანია აინტერესებს გაარკვიოს საკითხი, თუ რატომ იქმნება სახელმწიფო და ხელისუფლება და რა დანიშნულება აქვს მას. იმის მიუხედავად, რომ თითქოსდა ყველა ვთანხმდებით საკითხზე, რომ აუცილებელია არსებობდეს ინსტიტუტების მთელი წყება, რომლებიც მოემსახურებიან საზოგადოების უსაფრთხოების, სოციალური კეთილდღეობის, განათლებისა და ჯანდაცვის, ეკონომიკური განვითარებისა და ადამიანის განვითარების საკითხებს, არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი პასუხი იმაზე, თუ როგორი ფორმით უნდა განხორციელდეს ეს ყოველივე და ვინ უნდა იყოს მისი უპირველესი მოამაგე – სახელმწიფო ინსტიტუტები თუ თვითონ საზოგადოება.

ამ ყველაფერზე ფიქრი და განსჯა თეორიულად ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა დაიწყეს. პლატონმა და არისტოტელემ მრავალი ნაშრომი მიუძღვნეს საკითხს, თუ რა უნდა ყოფილიყო სახელმწიფოსა და პოლიტიკური ინსტიტუტების უმთავრესი დანიშნულება. მათთვის პოლიტიკა, რომლის მთავარი ინსტრუმენტი მმართველობა იყო, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ზნეობრივი სფეროს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და შესაბამისად, სახელმწიფოებრივი, ანუ პოლიტიკური თანაცხოვრების უმთავრესი მიზანიც და დანიშნულებაც უნდა ყოფილიყო. საამისოდ, მათ გამოყვეს მმართველობის ფორმების მთელი რიგი, რომელთა კლასიფიკაციაც მათი ზნეობრივი იდეალების მიხედვით მოახდინეს. დროის ცვალებადობასთან ერთად, ძველმა ბერძნულმა შეხედულებებმაც გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადეს და თანამედროვე გააზრებებისა და ინტერპრეტაციების მიხედვით, მივიღეთ მმართველობის ის ფორმა, რომელსაც დღეს, *ლიბერალურ დემოკრატიას, ან წარმომადგენლობით დემოკრატიას* ვუწოდებთ. მმართველობის აღნიშნული ფორმა, მიუხედავად მისი მრავალი ნაკლოვანებებისა, სადღეისოდ ყველაზე უკეთ პასუხობს ადამიანის საჭიროებებს და მეტ-ნაკლები წარმატებით აწესრიგებს ადამიანისა და პოლიტიკის ურთიერთობებს.

წარმოდგენილ კარში განხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა:

- რას ნიშნავს ხელისუფლება და მმართველობა, როგორ და რისთვის იქმნება იგი?
- რას ნიშნავს კონსტიტუციური მმართველობა და კონსტიტუციონალიზმი?
- როგორ ახერხებს საზოგადოება თანამედროვე წარმომადგენლობით მმართველობაში საკუთარ მონაწილეობას, როგორც ინდივიდუალურად, ასევე პოლიტიკური პარტიების მეშვეობით?
- როგორ შეუძლია საზოგადოებამ თავი დაიცვას ტირანიისა და არაჰუმანური მმართველობის ფორმების ჩამოყალიბებისგან?
- რა არის მთავრობის ძირითადი მოვალეობები საზოგადოების წინაშე და პირიქით, რა სამოქალაქო მოვალეობები აქვს მოქალაქეს?

თავი I

მართვა-გამგეობისა და სახელმწიფოს საჭიროების შესახებ

ადამიანს, როგორც თანამედროვე, ისე წარსულ დროში, უამრავ პრობლემასთან უწევს გამკლავება და მრავალ ცხოვრებისეულ საჭიროებაზე ფიქრი. ვერ მოვნახავთ კაცობრიობის ისტორიაში ისეთ დროებას, როდესაც ადამიანი უზრუნველად ცხოვრობდა და საარსებო რესურსების მოპოვების და უკეთესი ცხოვრების ორგანიზებისთვის განსაკუთრებული ძალისხმევის გამოჩენა არ სჭირდებოდა. ამიტომაც, კაცობრიობა დიდ კოლექტივებად ცხოვრობს და შესაბამისად, ადამიანთა კოლექტიური თანაცხოვრებაც გარკვეული საკითხების მოგვარებასთანაა დაკავშირებული, რომელიც დაფიქრებას და განსჯას მოითხოვს.

ადამიანი მარტოსული არ არის, იგი არსებობს ადამიანთა დიდ კრებულში, რასაც ჩვენ საზოგადოებას ვუწოდებთ. შესაბამისად, ადამიანი იძულებულია მოიფიქროს იმგვარი ზოგადი წესები, რომელიც საზოგადოებას მოწესრიგებული არსებობის და განვითარების საშუალებას მისცემს. მაგრამ, ასეთი წესების მოფიქრება არცთუ უმტკივნეულო პროცესია და ადამიანის მხრიდან მრავალ პირად ინტერესზე უარის თქმასაც მოითხოვს. კაცობრიობის ამგვარი განვითარების ახსნას არაერთი მეცნიერი და მოაზროვნე ცდილობდა. მოაზროვნეებს სურდათ აეხსნათ, თუ რატომ, როგორ და რისთვის შეიქმნა ისეთი დაწესებულება, რასაც ჩვენ სახელმწიფოს, ან ხშირად მთავრობას/მმართველობის სისტემას, ან კიდევ ხელისუფლებასაც ვუწოდებთ. სახელმწიფო საზოგადოების იმგვარი ორგანიზაციული განვითარების ფორმაა, როდესაც საზოგადოება ქმნის, ემორჩილება და ასრულებს ფორმალურ/ოფიციალურ წესებს, რომელსაც კანონებს უწოდებენ. კანონებით თანაცხოვრების წესს სახელმწიფოებრივი თანაცხოვრების წესი ჰქვია.

1.1. „ბუნებითი მდგომარეობა“ და „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“

ალბათ ყველაზე გავლენიანი შეხედულებები სახელმწიფოს, მთავრობის/ხელისუფლებისა და კანონების შექმნის, დანიშნულებისა და მიზნების შესახებ მოგვცეს მე-17 და მე-18 საუკუნეების ინგლისელმა ფილოსოფოსებმა თომას ჰობსმა, ჯონ ლოკმა და ფრანგმა განმანათლებელმა ჟან-ჟაკ რუსომ. ჰობსის, ლოკის და რუსოს შეხედულებებმა ისეთ პოლიტიკურ ტრადიციებს დაუდეს ინტელექტუალური საფუძვლები, რომელთა გარეშეც თანამედროვე სამყარო წარმოუდგენელია. მათ თეორიას სახელმწიფოს და მთავრობის/

მმართველობის სისტემის წარმოშობის და განვითარების შესახებ მეცნიერები **„საზოგადოებრივ ხელშეკრულებას“** უწოდებენ. თუმცა, ჰობსის, ლოკის და რუსოს გარდა, კიდევ ბევრი მეცნიერი იდგა „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ პოზიციაზე. „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ თეორიის მთავარი იდეაა: ადამიანი არსებობდა სახელმწიფოსა და მმართველობის სისტემის შექმნამდე, ე.წ. **„ბუნებით მდგომარეობაში“**, რომელიც საკმაოდ წინააღმდეგობრივი, მოუხელთებელი და ხშირად საშიშროების შემცველია. ამგვარი წინააღმდეგობის დასაძლევად, ადამიანები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სჯობდა შეექმნათ იმგვარი ორგანიზაცია, რომელსაც დაუთმობდნენ საკუთარი „ბუნებითი უფლებების“ ნაწილს, რათა მისგან მიეღოთ სხვა სამაგიერო სიკეთე. თუმცა, როგორი იყო ეს „ბუნებითი მდგომარეობა“ და რა სიკეთე უნდა მიიღოს ადამიანმა სახელმწიფოსა და მმართველობის შედეგად, ამ საკითხზე არ არსებობს საყოველთაო თანხმობა და მოაზროვნეებიც ერთმანეთისგან განსხვავებულ შეხედულებებს გვთავაზობენ.

თომას ჰობსი – „ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ“: ინგლისელმა ფილოსოფოსმა თომას ჰობსმა (Thomas Hobbes, 1588-1679) დაწერა ნაშრომი *„ლევიათანი“ (1651),* სადაც იგი ასაბუთებდა, რომ ადამიანი სახელმწიფოს, მმართველობის და კანონების არარსებობის პირობებში ე.წ. „ბუნებით მდგომარებაში“ ცხოვრობს. ამგვარი „ბუნებითი მდგომარეობა“ ჰობსის მიხედვით სულაც არ არის სასურველი ვითარება, პირიქით, იგი ძალზე მკაცრი და შეუბრალებელია. ჰობსი აღწერდა რა „ბუნებით მდგომარეობას“, აცხადებდა, რომ ეს არის „ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ.“ ამგვარ მდგომარეობაში უაზრობაა შრომისმოყვარეობა, რადგანაც არავისთვისაა გარანტირებული საკუთარი შრომის ნაყოფის მოხმარება, ამიტომაც არ არსებობს არც მიწათმოქმედება, არც გემთმშენებლობა, არც საზღვაო ვაჭრობა, არც შესაბამისი ცოდნა, არ არსებობს ხელოსნობა, ლიტერატურა, საზოგადოება და რაც ყველაზე უარესია, მუდმივი შიში და ძალადობრივი სიკვდილის მოლოდინია გამეფებული, და ადამიანის ცხოვრება მარტოსული, ღარიბი, მიუსაფარი, შინაარსს მოკლებული და მოკლევადიანია“ (Almond, Dalton, G. Powell Jr. P.3). ამიტომაც, ჰობსის მიხედვით, ადამიანები იძულებულნი იყვნენ შეთანხმებულიყვნენ ისეთი ორგანიზაციის შექმნაზე, რომელიც გადაჭრიდა ამგვარ პრობლემებს. ასეთ აქტს ჰობსი უწოდებდა „საზოგადოებრივ ხელშეკრულებას“, რომლის მთავარი იდეა იმის დასაბუთებაა, რომ სახელმწიფო, კანონები და ხელისუფლება იქმნება ადამიანის ნება-სურვილის მიხედვით კონკრეტული საჭიროებისთვის და საერთო არაფერი აქვს რაიმე ზებუნებრივ მოვლენებთან (რასაც ბევრი რელიგიური მოაზროვნე ამტკიცებდა). ჰობსი იმედოვნებდა, რომ მხოლოდ მკაცრი მმართველობის ფორმას შეეძლო დაეთრგუნა საზოგადოების ამგვარი შიში და დაემყარებინა წესრიგი.

ჯონ ლოკი – „გონიერი ადამიანი“: ჯონ ლოკის შეხედულებებმა დიდი როლი ითამაშეს თანამედროვე დასავლური წარმომადგენლობითი დემოკრატიების ჩამოყალიბების საქმეში. ჯონ ლოკის მოსაზრებები მეცნიერებს მიაჩნიათ ჰობსისა და რუსოს შეხედულებების შუალედურ პოზიციად. ჯონ ლოკმა (John Locke, 1632-1704) მისი მთავარი შეხედულებები გადმოსცა ნაშრომში *„ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ“ (1689).* ჯონ ლოკს სჯეროდა, რომ ადამიანები დაბადებითვე, ბუნებით თავისუფალნი და თანასწორნი იბადებიან. ამიტომაც, მათი მთავარი საზრუნავი სწორედ მათი ამგვარი უფლებების დაცვა იქნებოდა. ლოკი იზიარებდა ჰობსის შეხედულებას მკაცრი „ბუნებითი მდგომარეობის“ შესახებ, თუმცა მისგან განსხვავებით, ლოკს ადამიანი უფრო პრაქტიკულ და მშვიდობისმოყვარე არსებად მიაჩნდა. თუმცა, ჰობსის დარად, ლოკიც ფიქრობდა, რომ „ბუნებითი მდგომარეობის“ გადალახვის საშუალებას საზოგადოებრივი ხელშეკრულების საფუძველზე აღმოცენებული სახელმწიფო და მმართველობითი სისტემა წარმოადგენდა. თუკი ჰობსი სახელმწიფოს და მმართველობითი სისტემის უმთავრეს დანიშნულებად ქაოსის აღმოფხვრას, ომისა და ძალადობისგან თავდაცვას მოიაზრებდა, ლოკისთვის მმართველობა უფრო საკუთრების დაცვასთან, ვაჭრობის ხელშეწყობასა და ეკონომიკური ზრდის საკითხებთან იყო დაკავშირებული. თუკი ჰობსისთვის სახელმწიფო ბიბლიურ ურჩხულს „ლევიათანს“, კეთილი ნების დიქტატორს წარმოადგენდა, რომლისთვისაც მოქალაქეებს საკუთარი ძალაუფლება უნდა გადაებარებინათ, ჯონ ლოკი შეზღუდული მმართველობის იდეისა და ინდივიდუალური თავისუფლების მხარდამჭერად გვევლინება.

ჟან-ჟაკ რუსო – „საყოველთაო ნება“: ფრანგ მოაზროვნე ჟან-ჟაკ რუსოსთვის (Jean-Jacques Rousseau, 1712-1778), განსხვავებით ჰობსისგან, „ბუნებითი მდგომარეობა“ ადამიანის ცოდვით დაცემამდე არსებული მდგომარეობაა, როდესაც არ არსებობდა ყველა ის უკეთურება, რაც სახელ-

„საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ თეორიის მთავარი იდეაა: ადამიანი არსებობდა სახელმწიფოსა და მმართველობის სისტემის შექმნამდე, ე.წ. „ბუნებით მდგომარეობაში“, რომელიც საკმაოდ წინააღმდეგობრივი, მოუხელთებელი და ხშირად საშიშროების შემცველია. ამგვარი წინააღმდეგობის დასაძლევად, ადამიანები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სჯობდა შეექმნათ იმგვარი ორგანიზაცია, რომელსაც დაუთმობდნენ საკუთარი „ბუნებითი უფლებების“ ნაწილს, რათა მისგან მიეღოთ სხვა სამაგიერო სიკეთე.



თომას ჰობსი (Thomas Hobbes, 1588-1679)

ინგლისელი ფილოსოფოსი, რომლის მიერ 1651 წელს გამოცემული წიგნი „ლევიათანი“ წარმოადგენს თანამედროვე დასავლური პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს.

მწიფოს გაჩენამ მოიტანა. ჟან-ჟაკ რუსო ნაშრომში *„საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ (1762),* ასევე, სხვა ნაშრომებშიც, ასაბუთებდა, რომ ყველა ადამიანი თავისუფალი იბადება, მაგრამ ყველგან საფრთხის წინაშეა. რუსოს მიაჩნდა, რომ სახელმწიფო ძალაუფლების და უთანასწორობის წარმოშობის წყაროა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ადამიანთა შორის გაუცხოებასა და უგულისყურობას. სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობა ადამიანში კლავს ყველა იმ სისადავეს და უმანკოებას, რაც კი დაბადებითვე არის მისთვის დამახასიათებელი. იგი მას მომხვეჭელ და ანგარებიან არსებად აყალიბებს. რუსო მიიჩნევდა, რომ მთავარია მოქალაქეთა შორის შეუდრეკელი და მტკიცე „საყოველთაო ნება“ ჩამოვაყალიბოთ, რაც ყველაზე კარგი საფუძველია იმისათვის, რომ ადამიანი პირდაპირ დაუკავშირდეს საკუთარი თავის მართვა-გამგეობას და საამისოდ უარი თქვას ყოველგვარი შუალედური ინსტიტუტების არსებობაზე. აი ეს „საყოველთაო ნების“ ჩამოყალიბება უნდა იყოს სწორედ რუსოსთვის „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“, ადამიანთა თანხმობის ფორმირების საფუძველი, რისი მეშვეობითაც შეძლებდა ადამიანი მის წინაშე არსებული სირთულეების გადალახვას. ჟან-ჟაკ რუსოს იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის იდეურ ჩამოყალიბებაში და დღემდე რევოლუციის შემდგომი რესპუბლიკური საფრანგეთის ერთ-ერთ მთავარ იდეურ საფუძველს წარმოადგენს.

1.2. სახელმწიფოს ნიშან-თვისებები

სახელმწიფო შეიძლება გავიგოთ, როგორც ადამიანთა დიდი ორგანიზაციული კრებული, რომელიც ერთ გარკვეულ გეოგრაფიულ არეალშია მოქცეული და გააჩნია მეტ-ნაკლებად მყარი ტერიტორიული საზღვრები. ყოველ სახელმწიფოს აუცილებლად ჰყავს მთავრობა/მმართველობა/ხელისუფლება, რომლის საშუალებითაც ფუნქციონირებს და რასაც მიღებული გადაწყვეტილებების, ანუ კანონების მეშვეობით ახორციელებს.

ტერიტორიისა და მეტ-ნაკლებად მყარი სახელმწიფო საზღვრების გარეშე თანამედროვე სახელმწიფო წარმოუდგენელია. შუა საუკუნეებში სახელმწიფოთა საზღვრები გაცილებით მოძრავი და ცვალებადი იყო. ამ მხრივ განსხვავებული ვითარებაა თანამედროვე ეტაპზე. სახელმწიფოების ტერიტორიული საზღვრების დაცვა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის უმთავრესი პრინციპია. მაგალითად, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის დროს, რუსეთმა გადმოლახა საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიული საზღვრები, უკანონოდ მოახდინა ორი რეგიონის: აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“, შიდა ქართლის ნაწილის ოკუპაცია. შესაბამისად, რუსეთის აღნიშნული ქმედებები დაგმობილია, რადგანაც მან ცალმხრივად უგულვებელყო სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრების ურღვეობის საერთაშორისოდ დადგენილი ნორმები.

სახელმწიფოს ესაჭიროება ფინანსური სახსრები ფუნქციონირებისთვის. ამიტომაც, იგი ქმნის მოქალაქეების სპეციალურ დაბეგვრით სისტემას, რასაც საგადასახადო სისტემა ეწოდება. მოქალაქეები, როგორც წესი იბეგრებიან და საკუთარი შემოსავლების გარკვეულ ნაწილს სახელმწიფოს უხდიან გადასახადების სახით. გადასახადების გადახდით სახელმწიფომ ფინანსურად უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირება და გამართული მუშაობა. გადასახადები, როგორც წესი, გროვდება ცენტრალურ სახელმწიფოებრივ საცავში, რასაც სახელმწიფო ხაზინა ეწოდება. სახელმწიფო ხაზინაში მოგროვილი დანაზოგების და კიდევ ახალი შემოსავლების მოლოდინით იქმნება სახელმწიფოს მთავარი ფინანსურ-ეკონომიკური ინსტიტუტი, რომელსაც ბიუჯეტი ეწოდება. ბიუჯეტი ყველა სახელმწიფოს მთავარი ფინანსურ-ეკონომიკური სტრუქტურაა. ბიუჯეტის მუშაობის სტრატეგია, შექმნა და ხარჯვითი წილი გვაჩვენებს, თუ რამდენად ზრუნავს სახელმწიფო საკუთარ მოქალაქეებზე და როგორ მოახმარს მათ გონივრულად მათ მიერვე გადახდილ გადასახადებს. ბიუჯეტის მუშაობა კარგად აჩვენებს, რომ საჯარო მოხელე საზოგადოების დაქირავებული პირია, რომელიც საზოგადოების ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. საამისოდ ბიუჯეტიდან იგი იღებს შესაბამის გასამრჯელოს, რათა უფრო ეფექტურად იმუშაოს და უკეთ მოემსახუროს საზოგადოებას.

ჯონ ლოკი (John Locke, 1632-1704)

გამოჩენილი ინგლისელი მოაზროვნე, რომლის სახელი მჭიდროდაა ასოცირებული განმანათლებლობასთან. ხშირად მას ლიბერალიზმის ფუძემდებლადაც მიიჩნევენ. მისი მთავარი ნაშრომია „ორი ტრაქტატი მართვა-გამგეობის შესახებ“.



ჟან-ჟაკ რუსო (Jean-Jacques Rousseau, 1712-1778)

ფრანგი მოაზროვნე და განმანათლებელი, რომლის ნაშრომებმა და პოლიტიკურმა იდეებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საფრანგეთის რევოლუციაში.

საკუთარი საზღვრების დასაცავად, სახელმწიფოს აუცილებლად სჭირდება შეიარაღებული ძალები და საპოლიციო სტრუქტურები, რომელთა საშუალებითაც ახერხებს ის შიდა თუ გარე უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ჯარში სამსახური შეიძლება იყოს ნებაყოფლობითიც და სავალდებულოც. საჯარისო და საპოლიციო დანაყოფების არსებობა სახელწიფოს ერთ-ერთი ატრიბუტია. შესაძლებელია რამდენიმე პუნქტის ჩამოთვლა, რომელთა გარეშეც ერთი მხრივ სახელმწიფოს არსებობა არის წარმოუდგენელი და მეორე მხრივ – სახელმწიფოს განასხვავებს სხვა ტიპის ორგანიზაციული დაწესებულებებისგან:

1. სუვერენიტეტი. სახელმწიფოს ნება უზენაესია და ხელშეუვალი;
2. ერთიანი და განუყოფელი ტერიტორია კონკრეტულად დადგენილ საზღვრებში, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სუვერენიტეტი;
3. მმართველობის ორგანოები (აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო შტოები; ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები) და სტრუქტურა, სადაც მიღებულ გადაწყვეტილებებს საჯაროდ ვალდებულებითი ხასიათი აქვს;
4. სავალდებულო საგადასახო სისტემა;
5. საჯარისო და საპოლიციო დანაყოფების ექსკლუზიურად ყოლის უფლება თავდაცვისა და მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად.

ჩანართი 1.1. ძველი ბერძნების შეხედულებები მართვა-გამგეობისა და სახელმწიფოს საჭიროების შესახებ

კანონებისა და სახელმწიფოებრივი თანაცხოვრების საზრისის შესახებ ყველაზე უფრო მკაფიო და დასაბუთებული შეხედულებები მოგვცეს ძველმა ბერძნებმა. მათ აინტერესებდათ გაერკვიათ, თუ რა საშუალებით უნდა ყოფილიყო საზოგადოება გონივრულად ორგანიზებული, რომ მისი არსებობა ჰარმონიული და სამართლიანი გამხდარიყო. ამ მხრივ პლატონმა და არისტოტელემ უდიდესი ინტელექტუალური მემკვიდრეობა დაუტოვეს კაცობრიობას და თავიანთ ნაშრომებში დეტალურად გაანალიზეს „პოლისის“ საზრისი და დანიშნულება. „პოლისი“ ეს იყო ძველბერძნული მოწესრიგებული კოლექტიური თანაცხოვრების ფორმა, რომელსაც დღეს ჩვენ „სახელმწიფოს“ ვუწოდებთ და რომლის საფუძველზეც განვითარდა დასავლური ცივილიზაციის პირველი საწყისები.

ძველმა ბერძნებმა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანეს ტერმინი „პოლიტიკა“, რომელიც შეიძლება გადმოვთარგმნოთ, როგორც „მეცნიერება, ცოდნა პოლისური თანაცხოვრების, ან უბრალოდ სახელმწიფოს შესახებ.“ პლატონისთვის (Plato, დაახ. ძვ.წ. 428/27–348/47) და არისტოტელესთვის (Aristotle, დაახ. ძვ.წ. 384–322) პოლისური კოლექტიური თანაცხოვრების ცოდნა ყველაზე მეტად საკრალური და მნიშვნელოვანი იყო ყველა სხვა ცოდნასთან შედარებით, რადგანაც იგი ადამიანის ცხოვრების ბედ-იღბალთან პირდაპირ იყო დაკავშირებული. მათი აზრით, „პოლისი/პოლიტიკა“ ყველაზე კეთილშობილური სფეროა ადამიანთა თანაცხოვრებისა, რადგანაც იგი საყოველთაო ინტერესების სამსახურს გულისხმობს. „პოლიტიკას“ ჰუმანური, ჰარმონიული საზოგადოება უნდა ჩამოეყალიბებინა და ადამიანი ბარბაროსობისგან დაეცვა. შესაბამისად, მათთვის პოლიტიკური სფერო, საჯარო ცხოვრების სფეროა, რომელიც საყოველთაო ინტერესებით ცხოვრებას ნიშნავს, რაც თავის მხრივ უპირისპირდება სფეროს „ოიკოსს“ (საიდანაც მომდინარეობს ტერმინი „ეკონომიკა“, ანუ

„სახლის მეურნეობა“, ე.ი. პირადი საქმე). ეს უკანასკნელი კერძო ინტერესების სამეუფეოა. ამიტომაც, პლატონს და არისტოტელეს მიაჩნდათ, რომ საჯარო სფერო, იმის გამო, რომ საყოველთაო ინტერესებზე ზრუნვას გულისხმობდა, ზნეობრივად გაცილებით მაღლა იდგა კერძო სფეროზე, რადგანაც ეს უკანასკნელი მხოლოდ ვიწრო, მერკანტილური, პირადი ინტერესების სფეროა და საერთო არაფერი აქვს საზოგადო სიქველეებთან. ამიტომაც, პლატონსაც და არისტოტელესაც, საჯარო-პოლიტიკური სფეროს მთავარ დანიშნულებად საზოგადოების მორალური აღზრდა და მისი გაკეთილშობილება მიაჩნდა, რომელიც მას სამართლიანი კანონების მიღებით და გონივრული ხელისუფლების ჩამოყალიბების საფუძველზე უნდა განეხორციელებინა. მოკლედ, ძველი ბერძნებისთვის საჯარო-პოლიტიკური სფერო ერთმნიშვნელოვნად ზნეობრივი მხარეა ადამიანთა თანაცხოვრებისა და არ შეიძლება მის საქმიანობაში კერძო, მერკანტილური ინტერესების არსებობა გავამართლოთ. პირიქით, სამართლიანმა კანონებმა და ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა გამორიცხოს პოლიტიკის სფეროდან კერძო ინტერესების არსებობა. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: ძალიან ხშირად, როგორც წარსულში, ისე დღეს, ბევრი საჯარო/სახელმწიფო მოხელე ცდილობს პოლიტიკური სფერო პირადი გამდიდრების წყაროდ აქციოს. ჩვენ ამგვარ მოვლენას კორუფციას, რაც ლათინურიდან თარგმანში „შერყვნას“ ნიშნავს, ვუწოდებთ, ხოლო კორუფციაში ჩართულ პირებს კორუმპირებულ მოხელეებად მოვიხსენიებთ. იმ ქვეყნებში, სადაც კორუფციას სისტემური სახე აქვს (ანუ კორუფცია საჯარო-სამოხელეო აპარატში ჩვეულებრივი, ყოველდღიური მოვლენაა), როგორც წესი, მხოლოდ პოლიტიკურ სფეროსთან დაახლოებული პირები გამოირჩევიან კეთილდღეობით, საზოგადოება კი არ სარგებლობს კეთილდღეობით, პირიქით, საზოგადოება ღარიბი, ჩამორჩენილი და მორჩილია.

ამის საპირისპირო მაგალითებია ისეთი ქვეყნები, სადაც კორუფციის ხარისხი პრაქტიკულად ნულის ტოლია და შესაბამისად, მისი საზოგადოება ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შემოსავლებით და სიმდიდრით გამოირჩევა მსოფლიოში. თუკი ჩვენ ვამართლებთ ბიზნესის წარმოებას და ამით ადამიანის გამდიდრებას, ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავამართლებთ პოლიტიკის შემთხვევაში. ბიზნესი ადამიანის კერძო სფერაა და სწორედ მისი გამდიდრებისთვის არსებობს, ხოლო პოლიტიკა საჯარო, საზოგადო სფერაა, რომელმაც არა პოლიტიკოსების (თანამდებობების გამოყენების გზით) გამდიდრებაზე, არამედ ისეთი კანონების შექმნაზე უნდა იზრუნოს, რომ ადამიანებმა/მოქალაქეებმა უკეთ მოახერხონ საკუთარი ცხოვრების მოწყობა და საკუთარი თავის რეალიზება.

1.3. მთავრობის/ხელისუფლების/მმართველობის მთავარი დანიშნულებები

რადგანაც მეტ-ნაკლებად გავარკვიეთ სახელმწიფოს/ხელისუფლების/მმართველობის სისტემების შექმნის საკითხები, გავეცნოთ, თუ რა მთავარ ფუნქციებს ასრულებს სადღეისოდ ხელისუფლება და მთავრობა, რათა მის არსებობას რაიმე ღირებულება ჰქონდეს. ჰობსის, ლოკისა და რუსოდან დაწყებული დღემდე, ბევრჯერ გამხდარა ეს საკითხი საკამათო და სხვადასხვა მოაზროვნეები ხელისუფლებისა და მთავრობის სხვადასხვა საკითხებზე აკეთებდნენ აქცენტს. თანამედროვე გამოკვლევების მიხედვით, მთავრობისა და ხელისუფლების ის ფუნქციები, რომელთა შესრულებაც მათ მეტ-ნაკლები წარმატებით და ინტენსივობით უწევთ, შესაძლებელია, შემდეგნაირად დალაგდეს.

საზოგადოებისა და ერის ფორმირების ხელშეწყობა. თანამედროვე მეცნიერებაში ხელისუფლების უმთავრესი დანიშნულება იმ საზოგადოების დაცვა და ჩამოყალიბებაა, სადაც მიმდინარეობს კონკრეტული მმართველობითი პროცესები. საზოგადოება თავისი არსით წინააღმდეგობრივი წარმონაქმნია, რომელიც სრულიად ერთგვაროვანი არასდროსაა. იგი ყოველთვის შედგება ერთმანეთისგან განსხვავებული ერთობებისგან/ჯგუფებისგან, რომელთაც სხვადასხვა მიზნები და ღირებულებები გააჩნიათ. ამიტომაც, ხელისუფლებას და მთავრობას სხვადასხვა გზებისა და მეთოდების საშუალებით უწევს ამ წინააღმდეგობათა გადალახვა და განსხვავებული სეგმენტებისგან, მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი პოლიტიკური და სამოქალაქო სულისკვეთების მქონე ორგანიზმის ჩამოყალიბება, რასაც თანამედროვე სახელმწიფოს მეცნიერები **„ერი-სახელმწიფოს“** უწოდებენ. „ერი-სახელმწიფოს“ არცთუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი ათვლის წერტილი საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციიდან და ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) ჩამოყალიბების პროცესიდან შეიძლება დავიწყოთ, რაც ქრონოლოგიურად მე-18 საუკუნის მეორე ნახევარია. საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფოს ყველაზე გავრცელებული ფორმა დინასტიური მონარქიები იყო. დინასტიურ მონარქიებში ხელისუფლება და მმართველობის სადავეები მონარქისა და მმართველი პრივილეგირებული პოლიტიკური კლასის ხელში იყო თავმოყრილი და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მათ ქვეშევრდომს წარმოადგენდა, რომელიც ხელისუფლების ფორმირების პროცესში არ მონაწილეობდა. ამის გამო, ხელისუფლების ყოველდღიურ საზრუნავს არ წარმოადგენდა წერა-კითხვის მასობრივი გავრცელება და მოსახლეობის უდიდეს ნაწილში ერთი ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბება, რადგანაც შუასაუკუნეობრივი მონარქიისთვის მთავარი მონარქისადმი პირადი ლოიალობა და მორჩილება იყო და არა სამოქალაქო მონაწილეობა. საფრანგეთის რევოლუციამ და აშშ-ის შექმნამ დაასრულა ხელისუფლებისადმი ამგვარი დამოკიდებულება. თანამედროვეობამ უარყო ძველი სოციალური იერარქიები და მეფის ყოფილი ქვეშევრდომები თანასწორ მოქალაქეებად გამოაცხადა. „ერი“ იქცა ხელისუფლების ჩამოყალიბების საფუძვლად და სუვერენიტეტი, ანუ უმაღლესი ძა-

ლაუფლება ხალხის, ანუ „ერის“ ხელში მოექცა. შესაბამისად, თუკი მანამდე გვქონდა პოლიტიკური ფორმულა „მეფე-სახელმწიფო“, მოგვიანებით გაჩნდა „ერი-სახელმწიფო“. თუკი ძველ დროს მეფე უდრიდა სახელმწიფოს გაგებას, ახლა „ერი“, ანუ ხალხი გახდა სახელმწიფოს სინონიმი.

მთავრობებმა და ხელისუფლებებმა დიდი დრო მოანდომეს წერა-კითხვის უცოდინარი ყოფილი ქვეშევრდომებისგან მიეღოთ მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი წიგნიერი საზოგადოება, რომელთა წევრებსაც საერთო ეროვნული სოლიდარობის განცდა და იდენტობის გრძნობა გაუჩნდებოდათ. დადასტურებული ფაქტია, რომ თუ ქვეყნის მოსახლეობაში არ არსებობს საერთო, მყარი ეროვნული თანადგომის განცდა, იმ ქვეყნებში ხშირია შიდა დაპირისპირებები და ე.წ. „ეთნიკური კონფლიქტები“. საქართველომ საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ საკუთარ თავზე გამოსცადა ამგვარი პროცესი. ეს უმთავრესად იმის გამოხატულება იყო, რომ საქართველოში მცხოვრებ ქართველებს, ოსებს, აფხაზებს და კიდევ სხვა ხალხებს არ ჰქონდათ ერთიანი ძლიერი ეროვნულ/სახელმწიფოებრივი სოლიდარობის შეგრძნება და საკუთარ თავს სხვადასხვა ერთობებად მოიაზრებდნენ, ვიდრე ერთი დიდი ეროვნული სხეულის ნაწილად. შედეგად, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ურთიერთდაპირისპირების პროვოცირება მესამე დაინტერესებული მხარისთვის ფრიად მარტივი აღმოჩნდა, რასაც თავის მხრივ სავალალო შედეგები მოჰყვა. დაპირისპირებას ათასობით ადამიანის სიცოცხლე და მატერიალური დოვლათი შეეწირა.

შეგვიძლია გამოვყოთ ორი ძირითადი მოდელი, თუ როგორ ახერხებს ხელისუფლება და მთავრობა ქვეყანაში ერის შექმნას და ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებას. ეს არის ე.წ. ერის „სამოქალაქო“ და „ეთნოკულტურული“ გაგება. **„ერის სამოქალაქო გაგების“** მიხედვით ერის წევრად ცხადდება ქვეყნის ყველა მაცხოვრებელი, განურჩევლად სისხლისმიერი წარმოშობისა, თუ რელიგიური კუთვნილებისა, თუკი მას გააჩნია კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეობა და მზად არის დაიცვას ამ სახელმწიფოში არსებული კანონები. ეს არის „ერის“ ფრანგული და ანგლოსაქსური ტრადიცია (თუმცა, მათ შორისაც არსებობს გარკვეული სხვაობა). **„ერის ეთნოკულტურული გაგება“** უმთავრესად გერმანული პოლიტიკური ტრადიციაა, რომელიც ერის წევრად აცხადებს მხოლოდ იმ პირს, ვინც ამა თუ იმ ერის წევრია წარმოშობით და სისხლით ნათესაობით და არა მოქალაქეობით. არსებობს ერადქმნადობის კიდევ რამდენიმე უახლესი მოდელიც, რომლებიც ამ ორი კლასიკური მოდელის ერთგვარ სახესხვაობას წარმოადგენენ.

საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარ თავს ეთნოკულტურული ნიშნების მიხედვით გაიაზრებს და ასე აქვს წარმოდგენილი ამა თუ იმ ერის წევრობა. თუმცა, ბოლო წლებია მთავრობამ საკმაოდ ბევრი რამ გააკეთა საიმისოდ, რათა საქართველოში მაცხოვრებელი მოსახლეობის უდიდეს ნაწილში ერთიანი სამოქალაქო თვითშეგნება გაეღვივე-

ბინა და სამოქალაქო თანასწორობის მეტი სიმწიფისთვის მიეღწია. ოფიციალური დოკუმენტაციიდან ამოღებულია „ეროვნების“ გრაფა, რაც საბჭოთა დროინდელი გადმონაშთი იყო, რომელიც ერთმანეთისგან ჰყოფდა „ეროვნებას“ და „მოქალაქეობას“. ეს საიმისოდ გაკეთდა რომ ნელ-ნელა საქართველოს მოსახლეობა „ქართველ ერად“ გადაიქცეს, ოღონდ არა მისი ეთნოკულტურული გაგებით, არამედ „ქართველი ერის“ წევრი გახდეს საქართველოს ყველა მოქალაქე, მისი სისხლისმიერი და ეთნიკური წარმოშობის მიუხედავად. სახელმწიფოს მიერ წარმოებულ ამგვარ პოლიტიკას „სამოქალაქო ინტეგრაცია“ ეწოდება. რაც უფრო მძლავრია ქვეყნის მოსახლეობაში ეროვნული სამოქალაქო იდენტობის გრძნობა, მით მეტ წარმატებას აღწევს ესა თუ ის ქვეყანა (ამის კარგი მაგალითებია: საფრანგეთი, აშშ, ფინეთი, ნიდერლანდები, გერმანია და ა.შ.). ამას, როგორც წესი, მთავრობების უმეტესობა კარგად აცნობიერებს და ცდილობს ეროვნული იდენტობის ფორმირება ერთ-ერთ მთავარ მიზნად გაიხადოს, რასაც სავალდებულო სახელმწიფო განათლების, ერთიანი სახელმწიფო ენის დანერგვით, ჯარში საყოველთაო სამსახურის დაწესებით, საერთო სიმბოლოების (დროშა, ჰიმნი, გერბი) პოპულარიზაციითა და სხვადასხვა მეთოდებით ცდილობს რომ მიაღწიოს.

უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა. მთავრობისა და ხელისუფლების უმთავრეს დანიშნულებად არაერთ მოაზროვნეს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა მიაჩნია. ჰობსი იმედოვნებდა, რომ მხოლოდ მკაცრი მმართველობის ფორმას შეეძლო დაეთრგუნა საზოგადოების „ბუნებითი მდგომარეობით“ გამოწვეული შიში და დაემყარებინა წესრიგი. შესაბამისად, მას მიაჩნდა, რომ მთავრობის უპირველესი მიზანიც და ფუნქციაც სწორედ უსაფრთხოების, კანონიერებისა და წესრიგის უზრუნველყოფაა. უსაფრთხოების უზრუნველყოფაში იგულისხმება, როგორც გარე, ისე შიდა უსაფრთხოება. გარე უსაფრთხოების უზრუნველყოფას სახელმწიფო ძირითადად შეიარაღებული ძალების/ჯარის, უშიშროების სამსახურების, დიპლომატიის მეშვეობით, ან სხვადასხვა ალიანსებში გაწევრიანების საშუალებით ახერხებს, რომელიც ვალდებულია კონკრეტული სახელმწიფო დაიცვას სხვა სახელმწიფოს თავდასხმისა და აგრესიისგან. ხოლო შიდა უსაფრთხოებას სახელმწიფო ძირითადად პოლიციის, მართლმსაჯულებისა და კანონის ამოქმედებით ახორციელებს, რათა აღკვეთოს კრიმინალი, ქაოსი და დაამყაროს მართლწესრიგი.

გერმანელი მეცნიერის მაქს ვებერის (Maximilian “Max” Weber, 1864-1920) მტკიცებით, თანამედროვე სახელმწიფოს უმთავრესი ნიშანი ლეგიტიმური/კანონიერი ძალის გამოყენების უფლებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ მთავრობასა და ხელისუფლებას შეუძლია ფიზიკური ძალის გამოყენება ქაოსისა და კრიმინალის აღმოსაფხვრელად. ამიტომაც, როგორც წესი, ქვეყანათა უდიდესი უმრავლესობის შემთხვევაში, პოლიციის, ჯარის, ან სხვა რომელიმე ე.წ. „ძალოვანი უწყებების“ ფლობის და განკარგვის უფლება მთავრობას ეკუთვნის.

საკუთრებისა და სხვა უფლებების დაცვა. ჯონ ლოკისეული ტრადიციის მიხედვით, ხელისუფლების და მთავრობის უმთავრესი საზრუნავი საკუთრებისა და ადამიანის უფლებების დაცვა უნდა იყოს. ლოკისთვის საკუთრების უფლების უზრუნველყოფა იყო სხვა დანარჩენი უფლებების (სიტყვის და გაერთიანების თავისუფლება, დისკრიმინაციის და თავდასხმის სხვა ფორმებისგან დაცვის უფლება და ა.შ.) გარანტია. საკუთრების უფლების უზრუნველყოფა, მისთვის არა მხოლოდ ერთი რომელიმე სახელმწიფოს, არამედ ყველა სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდის საფუძველი იქნებოდა, რაც თავის მხრივ ხელს შეუშლიდა ძალადობას და ომის წარმოშობას. ამ მოსაზრებით, თუ ხელისუფლება საკუთარი მართლმსაჯულების მიხედვით ვერ უზრუნველყოფს ადამიანის მიერ შექმნილი შრომის ნაყოფის, ანუ საკუთრების სხვა უცხო პირების ხელყოფისგან დაცვას, მაშინ მთელი სოციალური და პოლიტიკური ორგანიზმის არსებობა საფრთხის ქვეშაა. სწორედ საკუთრების თავისუფალი ფლობის და განკარგვის საფუძველზეა შესაძლებელი ადამიანის თავისუფლებისა და სხვა უფლებების უზრუნველყოფა, რადგანაც სხვა შემთხვევაში ადამიანის მოტივაცია იყოს აქტიური და შემოქმედებითი არსება აზრს კარგავს, რადგანაც არ არსებობს მის მიერ წამოწყებული საქმის კეთილად დაგვირგვინების გარანტია. ამიტომაც, ლოკისეული ტრადიციის მიხედვით, თუკი გვსურს მოწესრიგებული და სამართლიანი საზოგადოების შექმნა და შენარჩუნება, უპირველესად მისი შრომისუნარიანობის გაზრდას უნდა შევუწყოთ ხელი, რაც უმთავრესად მის პირად ცხოვრებაში ნაკლებ ჩარევითა და მის მიერ შექმნილი პროდუქტის (მატერიალურის თუ ინტელექტუალურის), ანუ საკუთრების დაცვის უზრუნველყოფით უნდა მოხერხდეს. სხვაგვარად, არცთუ სასურველ „ბუნებით მდგომარეობას“ დავუბრუნდებით, საიდანაც გამოსავლის პოვნა რთულია.

უკანასკნელ ხანებში ხელისუფლების და მთავრობის ფუნქციებს დაემატა საზოგადოების ყველაზე დაუცველი წრეებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოვლენა. მთავრობები სულ უფრო მეტ პროგრამას ახორციელებდნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების ერთი მხრივ მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფისა და მეორე მხრივ, მათი საზოგადოებაში ჩართულობის მიზნით. ამიტომაც, დასავლურ დემოკრატიებში არსებობს სპეციალური პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს, მაგალითად შშმ პირების უნივერსიტეტებსა თუ სამსახურებში მიღება/ჩარიცხვა. არის შემთხვევები, როდესაც ქვეყნები მიმართავენ კვოტირების პოლიტიკასაც, რათა უზრუნველყონ, მაგალითად, გენდერული თანასწორობა. ეს ნიშნავს, რომ ქალებსა და მამაკაცებს თანაბრად მიეცეთ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისა და წარმატების მიღწევის შესაძლებლობა. არსებობს მთელი რიგი საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობები, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოს ავალდებულებს უკეთ დაიცვას მაგალითად, მოხუცები და ბავშვები. ხშირია შემთხვევები, როდესაც სამოქალაქო თანასწორობის უზრუნველსაყოფად, მთავრობები სპეციალურ

გადაწყვეტილებებს იღებენ, რათა აღმოიფხვრას ადამიანის ეთნიკური, რასობრივი, სქესობრივი თუ კიდევ სხვა ნიშნებით დისკრიმინაცია და ჩაგვრა. ეს უკანასკნელი ფუნქციები მთავრობებმა დიდი ხანი არაა რაც შეითავსეს და რომლებიც ადრეულ ეპოქებში მათ პრეროგატივას ნამდვილად არ განეკუთნებოდა.

ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფა და სოციალური სამართლიანობა. იმის გამო, რომ ხელისუფლების ხელშია კანონების მიღების პრეროგატივა, მასზე ბევრადაა დამოკიდებული, თუ რას მოიმოქმედებს ეკონომიკური კეთილდღეობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად. მთავრობაზეა დამოკიდებული, თუ როგორი სტრატეგიით განვითარდება ეკონომიკური პროცესი, პროდუქციის წარმოება და მისი საზოგადოებაში გადანაწილება.

ჩანართი 1.2.

მე-18 საუკუნეში შეიქმნა ეკონომიკური თეორია, რომლის ავტორიც დიდი ბრიტანელი მოაზროვნე ადამ სმითია (Adam Smith, 1723-1790). სმითი ასაბუთებდა, რომ მთავრობა რაც უფრო მეტად მიიღებს ისეთ კანონებს, რომელიც შეამცირებს ხელისუფლების მხრიდან ეკონომიკური რესურსების გადანაწილების მცდელობას, მით უკეთესია, რადგანაც კერძო ინტერესის ხელშეწყობა, მოთხოვნა-მიწოდების პრინციპი და თავისუფალი კონკურენცია განაპირობებს ეკონომიკურ კეთილდღეობას და მოსახლეობის გამდიდრებას. ასეთ ეკონომიკას მეცნიერები, საბაზრო ეკონომიკას უწოდებენ. ხშირად, საბაზრო ეკონომიკის იდეალებთან ყველაზე უფრო მიახლოებულ ქვეყნად აშშ მიაჩნიათ. თუმცა, აშშ-ს გარდა, საბაზრო ეკონომიკა მთელ მსოფლიოში გავრცელდა და ყველგან საკუთარი სპეციფიკური სახე მიიღო. დასავლური ქვეყნები, როგორც წესი, უმთავრესად საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ეყრდნობიან. მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთი აზიური მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებიც, როგორებიცაა, მაგალითად იაპონია და სამხრეთ კორეა. საბაზრო ეკონომიკა მათი ეკონომიკური სასწაულების საფუძველი გახდა. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დამცველი დღემდე ძალიან ბევრი მოაზროვნეა, თუმცა ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ამიტომაც მათ სხვადასხვა სახელებით: „ნეოლიბერალებად“, „ნეოკლასიკოსებად“, „ლიბერტარელებად“, ან „ნეოკონსერვატორებად“ მოიხსენიებენ.

მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა ახალი ეკონომიკური მოძღვრება, რომელიც გერმანელ მეცნიერს კარლ მარქსს (Karl Marx, 1818-1883) უკავშირდება. მარქსიზმი თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას კაპიტალიზმს უწოდებდა, რომელიც არათუ ხელს უწყობდა ეკონომიკის სტიმულირებას და დოვლათის სამართლიან გადანაწილებას საზოგადოებაში, არამედ პირიქით, კლავდა მას და საზოგადოებაში რესურსების უთანასწორო,

უსამართლო განაწილებას იწვევდა. მარქსის მიერ ჩამოყალიბებული სოციალისტური მოძღვრების მიხედვით, მთავრობა და ხელისუფლება არათუ უნდა ჩაერიოს ეკონომიკური წარმოებისა და რესურსების განაწილების პროცესში, არამედ პირიქით, საკუთარ ხელში უნდა მოაქციოს იგი, რადგანაც სხვაგვარად ვერც ეკონომიკური ზრდა მოხდება და ვერც რესურსები განაწილდება თანასწორად და სამართლიანად. მარქსისტული სოციალიზმის იდეალებთან ყველაზე ახლო ყოფნის პრეტენზია ბევრი მეცნიერის თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირს გააჩნდა, სადაც არსებობდა არა საბაზრო, არამედ ე.წ. „გეგმიური ეკონომიკა“. სსრკ-ში სპეციალური დაგეგმვითი სახელმწიფო ორგანოების გარეშე არცერთი ეკონომიკური პროცესი არ წარიმართებოდა, აკრძალული იყო ასევე, კერძო მეწარმეობა და კონკურენცია. დღეისთვის, ასეთ მოდელთან მიახლოებული ყველაზე მეტად ჩრდილოეთ კორეაა.

სახელმწიფოებრივი ეკონომიკური რეგულირების გარკვეული ელემენტები, პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოში მოიძებნება. ასეთი მიდგომა, უმთავრესად აშშ-ში მე-20 საუკუნის 30-იან წლებში გატარებული ეკონომიკური რეფორმებიდან იღებს სათავეს, რომლის თეორიული დასაბუთება ბრიტანელმა მეცნიერმა ჯონ მეინიარდ კეინზიმ (John Maynard Keynes, 1883-1946) შემოგვთავაზა. მას ხშირად „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ იდეას უწოდებენ. კეინზის იდეები განსაკუთრებით პოპულარული მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა. კეინზმა გაამართლა ხელისუფლებისა და მთავრობის ჩარევა ეკონომიკურ პროცესებში, მაგრამ მარქსისგან და საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, კეინზიანიზმი სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის მასობრივ რეგულირებას არ მოითხოვს. იგი სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური რესურსების განაწილებაზე და მასობრივ დასაქმებაზე უმთავრესი პასუხისმგებლობის აღებას აღიარებს, თუმცა არ უარყოფს კერძო სამეწარმეო ინიციატივას და კონკურენციის კანონებს. ასეთ მოდელს ხშირად მეცნიერები „სოციალ-დემოკრატიულ“ ან „საბაზრო სოციალიზმის“ მოდელს უწოდებენ. მოცემული მოდელის იდეალებთან ყველაზე ახლომდგომი ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები არიან (შვედეთი, ნორვეგია, დანია, ფინეთი), სადაც ერთი მხრივ ნებადართულია კერძო მეწარმეობა და ბიზნესი, მაგრამ ამავე დროს, სახელმწიფო აქტიურად ერევა სიმდიდრისა და ქონების გადანაწილების პროცესში.

არსებობს შეხედულება, რომ ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს სოციალური სამართლიანობის საკითხებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ არა მხოლოდ მოქალაქეების ფიზიკური უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს, არამედ სოციალურ კეთილდღეობაზეც იზრუნოს. იმის გამო, რომ სახელმწი-

ფოების დიდი ნაწილი მსოფლიოში საკმაოდ მაღალი ეკონომიკური უთანასწორობით გამოირჩევა, ძალიან ბევრი ადამიანისთვის ხელმიუწვდომელია განათლება, ჯანდაცვა და სოციალური დაზღვევა, ამიტომაც ხელისუფლების საზრუნავი სწორედ აღნიშნული უთანასწორობის აღმოფხვრა უნდა იყოს. ეს იდეა „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ კონცეფციიდან იღებს სათავეს. დასავლურ ქვეყანათა უმრავლესობამ თანხმობა განაცხადა სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფაზე და მთელი რიგი სამთავრობო პროგრამების განხორციელება დაიწყო, რომელიც უმუშევრობის აღმოფხვრას და სოციალური წონასწორობის მიღწევას ისახავდა მიზნად. შედეგად, მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა ისეთი ძვირი მომსახურება, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა, საპენსიო უზრუნველყოფა, სოციალური დაზღვევა და ა.შ. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები (შვედეთი, დანია, ფინეთი, ნორვეგია) გამოირჩევიან, რომლებიც სოციალური უთანასწორობისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ სულ მოსახლეზე განაწილების მიხედვით მსოფლიოს მოწინავე ადგილებს იკავებენ. გერმანული სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელი ჩრდილოეთ ევროპულთან შედარებით უფრო შერეული სახით მოქმედებს, შედეგად, მეტი გასაქანი აქვს კონკურენციას და კერძო ინიციატივას. მასში დიდი წონა აქვს სოციალური წონასწორობის მიღწევისთვის არსებულ სახელმწიფო პროგრამებსაც, თუმცა წინა პლანზე მაინც კერძო სამეწარმეო ინიციატივა და კონკურენციაა. ამ იდეას ყველაზე უკეთ, მე-20 საუკუნის გერმანელი მოაზროვნე და სახელმწიფო მოღვაწე ლუდვიგ ერჰარდი (Ludwig Wilhelm Erhard, 1897-1977) გამოხატავდა. ეს ყველაფერი ერჰარდმა დაასაბუთა ნაშრომში *„კეთილდღეობა ყველას“*. სწორედ ერჰარდისეული „სოციალური საბაზრო ეკონომიკა“ გახდა მეორე მსოფლიო ომის შედეგად დანგრეული გერმანიის „ეკონომიკური სასწაულის“ მთავარი საფუძველი.

აშშ-ში მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ფრანკლინ დელანო რუზველტის (Franklin Delano Roosevelt, 1882-1945) მიერ განხორციელებული „ახალი კურსის“ შედეგად გაიზარდა ხელისუფლებისა და მთავრობის ფუნქცია სოციალური სამართლიანობის დაცვის საქმეში. მრავალი ათეული პროგრამა განხორციელდა დასაქმების, ჯანდაცვისა და განათლების კუთხით, თუმცა ევროპის ქვეყნებთან შედარებით ამერიკული მოდელი უფრო მეტად იხრება კერძო სამეწარმეო საქმიანობისა და კერძო ეკონომიკური აქტივობის წახალისებისკენ.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულით, საქართველო სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას მრავალი ვალდებულება აქვს სოციალური სამართლიანობის დასამყარებლად და ეკონომიკური უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლება საქართველოში მრავალ სახელმწიფო პროგრამას ახორციელებს, ევროპის განვითარებული ლიბერალური-დემოკრატიებისგან განსხვავებით, იგი ჯერ კიდევ მაღალი ეკონომიკური უთანასწორობით გა-

მოირჩევა და შორს არის დასავლური სოციალური კეთილდღეობისგან. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ არ არსებობს მსოფლიოში საყოველთაო შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა დამყარდეს სოციალური სამართლიანობა და რას შეიძლება იგი ზუსტად ნიშნავდეს.



ადამ სმიტი (Adam Smith, 1723-1790)

მე-18 საუკუნეში შეიქმნა ეკონომიკური თეორია, რომლის ავტორიც დიდი ბრიტანელი მოაზროვნე ადამ სმითია. სმითი ასაბუთებდა, რომ მთავრობა რაც უფრო მეტად მიიღებს ისეთ კანონებს, რომელიც შეამცირებს ხელისუფლების მხრიდან ეკონომიკური რესურსების გადანაწილების მცდელობას, მით უკეთესია, რადგანაც კერძო ინტერესის ხელშეწყობა, მოთხოვნა-მიწოდების პრინციპი და თავისუფალი კონკურენცია განაპირობებს ეკონომიკურ კეთილდღეობას და მოსახლეობის გამდიდრებას. ასეთ ეკონომიკას მეცნიერები, საბაზრო ეკონომიკას უწოდებენ.

1.4. როგორ ყალიბდება მთავრობა და ხელისუფლება ლიბერალურ დემოკრატიებში

როდესაც გვსურს დავადგინოთ, თუ როგორი მმართველობის ფორმა აქვს არჩეული ამა თუ იმ სახელმწიფოს, პირველ რიგში ეს მის კონსტიტუციაში უნდა მოვიძიოთ. ყველა იმ მმართველობას, რომელიც ჭეშმარიტად კონსტიტუციონალიზმს და კანონის მმართველობას გულისხმობს, ლიბერალურ-დემოკრატიას უწოდებენ. ლიბერალური-დემოკრატია კონსტიტუციის მთავარი პროდუქტია, რომლის ფარგლებშიც ვითარდება კონსტიტუციონალიზმის იდეალები. კონსტიტუციის მთავარი იდეალი კი, კანონის მმართველობის დამყარებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო კანონებით უნდა იმართებოდეს და არა რომელიმე პირის ან ჯგუფის ნება-სურვილით. თუმცა, არსებობს მთელი რიგი კონსტიტუციები (მაგ. ირანის კონსტიტუცია), რომელიც აცხადებს, რომ მათი კონსტიტუციის მიზანიც დემოკრატიული წეს-წყობილების დამყარებაა. მაგრამ თუ რეალურ პრაქტიკას გადავხედავთ, თანამედროვე ირანის მმართველობა შორს დგას აღწერილი კონსტიტუციონალიზმის სულისკვეთებისგან. ირანის კონსტიტუციაში, დაფიქსირებულია, რომ საერო კანონებზე და ხელისუფლებაზე მაღლა, ისლამური შარიათის კანონები და სასულიერო ხელისუფლება დგას. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით უგულვებელყოფილი იყო კერძო საკუთრება და მეწარმეობა, ხოლო მმართველობის სადავეები მხოლოდ კომუნისტური პარტიის ხელში იყო მოქცეული. ეს ორი ნორმა ფუნდამენტურად განაპირობებდა საბჭოთა კავშირის ჭეშმარიტ არსს და ადამიანის უფლებები, რომელიც ჩამოთვლილი იყო კონსტიტუციაში უფერულდებოდა და რეალურ შინაარსს კარგავდა. ამიტომაც, საბჭოთა კავშირი, რაც არ უნდა განვითარებულიყო ტექნოლოგიური თუ ეკონომიკური დოვლათის დაგროვებისა და გადანაწილების თვალსაზრისით, მოცემული კონსტიტუციური ნორმების ფონზე, ვერასდროს გახდებოდა ლიბერალური დემოკრატია.

ხშირად გავიგებთ შეხედულებას, რომ კანონში შეიძლება ერთი რამ ეწეროს, ხოლო პრაქტიკაში სხვა რამ ხორციელდებოდეს. მოცემული შეხედულების დასამტკიცებლად ბევრი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია (მაგ. ირანისა და საბჭოთა კავშირის მაგალითი ამას კარგად ადასტურებს). თუმცა, ყოველთვის არის კონსტიტუციებში და შესაბამისად სხვა კანონებში, ისეთი ნორმები მოცემული, რომელიც პრაქტიკაში განხორციელების შემთხვევაში არალიბერალურ მმართველობებს განაპირობებს. სწორედ ამიტომ, ყოველი მმართველობის სულისკვეთების გასარკვევად, კონსტიტუციებს უნდა ჩავუღრმავდეთ.

დემოკრატია ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და ამასთანავე გარკვეულწილად წინააღმდეგობრივ ფენომენს წარმოადგენს. პრაქტიკულად არ არსებობს სახელმწიფო მსოფლიოში, რომელიც არ აცხადებს, რომ მას არჩეული აქვს დემოკრატიული მმართველობის გზა. თუმცა, ხშირად მეცნიერები, როცა განიხილავენ დემოკრატიის საკითხებს მსოფლიოში, დემოკრატიის პოპულარობის მიუხედავად, აცხადებენ, რომ რეალურ დემოკრატიას (ან რეალურთან მიახლოებულ დემოკრატიას) არა უმრავლესი სახელმწიფოები, არამედ მხოლოდ მათი გარკვეული ნაწილი წარმოადგენს. მაშ რატომ აცხადებენ მთავრობები, რომ დემოკრატიულნი არიან, როდესაც რეალურ პრაქტიკაში სხვა მმართველობებს და რეჟიმს ემსახურებიან? აქ ერთი მთავარი მიზეზია და ეს მიზეზი სწორედ დემოკრატიის განსაზღვრებაშია.

„დემოკრატია“ ძველი ბერძნული ტერმინია და თარგმანში „ხალხის მმართველობას“ ნიშნავს. დღეს მთავრობების უმრავლესობა აცხადებს, რომ დემოკრატიულია (რაც არ უნდა არადემოკრატიული იყოს), რომ ხალხის წარმომადგენელია და ხალხის ინტერესებს ემსახურება. თანამედროვე სამყაროში აღარ არის პოპულარული ხელისუფლების ღვთიური წარმოშობის იდეა, როგორც ეს შუა საუკუნეებსა და უძველეს დროში იყო. ხელისუფლების და მთავრობის ხალხიდან წარმომავლობის იდეა, თანამედროვეობის მთავარი ნორმაა. არის კი დემოკრატია ყოველთვის ლიბერალური? ამ კითხვაზე პასუხი უარყოფითია, რადგანაც ლიბერალური დემოკრატია თანამედროვე ფენომენია, რომელმაც მასობრივი გავრცელება მე-19 საუკუნიდან დაიწყო, ხოლო თავად დემოკრატია გაცილებით ძველი ფენომენია.

ანტიკური დემოკრატია: როგორც აღვნიშნეთ, ბერძნულად „დემოკრატია“ ხალხის მმართველობას ნიშნავს და შესაბამისად მისი სამშობლოც ძველი საბერძნეთია, რომელიც არ იყო ერთიანი სახელმწიფო, არამედ ცალკეული ქალაქი-სახელმწიფოებისა და ბერძნულად „პოლისების“ (საიდანაც გვაქვს ტერმინი „პოლიტიკა“) გარკვეულ ერთობას წარმოადგენდა. ეს პოლისები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან და მათ შორის პირველ რიგში პოლიტიკური მმართველობის ფორმით. მეცნიერები ძველბერძნულ პოლისებს მმართველობითი ტრადიციის მიხედვით ხშირად ორ ძირითად ნაწილად ყოფენ. შესაბამისად, არსებობდა ორი ძირითადი ტრადიცია: პირველი ეს იყო **ათენური ტრადიცია**, რომელსაც მასთან დაახლოებული სხვა პოლისებიც იზიარებდნენ

საქართველოს
კონსტიტუცია

მუხლი 3. დემოკრატია

„1.საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

2.სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით.

3.არავის აქვს უფლება მიითვისოს ხელისუფლება. საყოველთაო არჩევნებში არჩეული ორგანოს მიმდინარე უფლებამოსილების ვადის კონსტიტუციით ან კანონით შემცირება ან გაზრდა დაუშვებელია.

4. პოლიტიკური პარტიები მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. პოლიტიკური პარტიების საქმიანობა ეფუძნება მათი თავისუფლების, თანასწორობის, გამჭვირვალობის და შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპებს.“

და მეორე **სპარტის ტრადიცია,** რომელსაც საკუთარი მომხრეთა დასი ჰყავდა. ათენური ტრადიცია იყო სწორედ „დემოკრატიის“, ანუ „ხალხის მმართველობის“ ფუძემდებელი, განსხვავებით სპარტისგან, რომელიც უფრო „ოლიგარქიული/არისტოკრატული“, ანუ ისეთი ტრადიციის ფუძემდებელია, როცა ხელისუფლება თავმოყრილია არა „ხალხის“, ბერძნულად „დემოსის“, ანუ უმრავლესობის, არამედ უმცირესობის, „არისტოკრატიის/ოლიგარქიის (თუმცა ეს ორი ცნება განსხვავდება ერთმანეთისგან), ანუ „წარჩინებულების“ ხელში.

„დემოკრატიამ“ სრულყოფას ათენში პერიკლეს (Pericles, ძვ.წ. 494-429) მმართველობის დროს მიაღწია, თუმცა მას ჰყავდა ისეთი წინამორბედი მმართველები, ანუ „არქონტები“, როგორებიც კლისთენე და სოლონი (Solon, ძვ.წ. 638-558) იყვნენ, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ათენურ დემოკრატიას. რას ნიშნავდა ძველი ათენური მმართველობა? ხელისუფლების ჩამოყალიბება და მართვა-გამგეობის განხორციელება „დემოსის“, ანუ „ხალხის“ ხელში იყო თავმოყრილი. ყველა ათენელ 21 წელს მიღწეულ მოქალაქე მამაკაცს ჰქონდა მმართველობის პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება და ერთგვარი მოვალეობაც. ათენელი მოქალაქეები გარკვეული პერიოდულობით იკრიბებოდნენ და განიხილავდნენ ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს. იმის გამო, რომ ადამიანთა დიდი მასის მიერ ტექნიკურად შეუძლებელია ყველა საკითხზე მოთათბირება და გადაწყვეტილების მიღება, საკუთარი რიგებიდან შეარჩევდნენ სხვადასხვა პირებს ამა თუ იმ საკითხის უკეთ დასამუშავებლად, რომელსაც შემდგომში ძირითადად სახალხო კრება, ეკლესია წყვეტდა. ასეთი პროცესი წარმოქმნიდა მმართველობითი ორგანოების ჩამოყალიბების საჭიროებას, რომელიც პერიოდულად სხვადასხვა პირების მიერ კომპლექტდებოდა. ცხოვრებაში ერთხელ მაინც, ყველა ათენელს ჰქონდა უფლება დაეკავებინა ესა თუ ის თანამდებობა, რომლის მეორედ დაკავების უფლება არ ჰქონდა. გამონაკლისები სამხედრო პირები იყვნენ, რომელთაც რამდენჯერმე შეეძლოთ თანამდებობის დაკავება.

რა იყო ის ძირითადი პროცედურა, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა გადაწყვეტილებების მიღება? ეს იყო კენჭისყრა. ყველა გადაწყვეტილება მიიღებოდა კენჭისყრის საფუძველზე უმრავლესობის პრინციპის მიხედვით. კონკრეტულად, სახალხო კრება, ეკლესია თუ რომელიმე გადაწყვეტლებას

უჭერდნენ მხარს, კრების წევრები სპეციალურად განკუთვნილ ამფორაში ყრიდნენ თეთრ კენჭებს, ხოლო თუ წინააღმდეგნი იყვნენ – შავ კენჭებს. რომელი ფერის კენჭის რაოდენობაც მეტი აღმოჩნდებოდა, ის გადაწყვეტილება გამოცხადდებოდა მიღებულად. ამავე დროს, კენჭისყრის მომენტში ყველა მოქალაქის ხმა თანასწორი იყო, განურჩევლად მათი სოციალური მდგომარეობისა. ხალხი პირდაპირ ახორციელებდა საკუთარ მართვა-გამგეობას, ყოველგვარი შუალედური ინსტიტუტების გარეშე და ამიტომაც ასეთ დემოკრატიას „პირდაპირ დემოკრატიას“ და ხშირად – „ანტიკურ/კლასიკურ დემოკრატიასაც“ უწოდებდნენ.

უნდა ითქვას, რომ არც პლატონი და არც არისტოტელე „დემოკრატიას“ მოწყალე თვალით არ უყურებდნენ. პლატონის მიხედვით, მოსახლეობის უმრავლესობას არ გააჩნდა შესაბამისი სიბრძნე და აღზრდა საიმისოდ, რომ გადაწყვეტილება პასუხისმგებლობით და გონივრულად მიეღო. პლატონი ფიქრობდა, რომ ასეთი უნარი მხოლოდ მოსახლეობის განათლებით და აღზრდით გამორჩეულ უმცირესობას გააჩნდა, რომელსაც იგი „არისტოს“, ანუ „წარჩინებულებს“ უწოდებდა. ამიტომაც, პლატონისთვის „დემოკრატია“ ბრბოს ძალაუფლებას, ანუ „ოქლოკრატიას“ უახლოვდებოდა და ყველაზე კარგი მმართველობის ფორმად „არისტოკრატია“ მიაჩნდა. არისტოტელე ეთანხმებოდა პლატონს დემოკრატიის განსაზღვრებაში, რადგანაც „დემოსი“, ძველბერძნულად უბრალო ხალხს და არა ზოგადად ხალხს ნიშნავდა. თუმცა, არისტოტელეს არც „არისტოკრატია“ მოსწონდა ბოლომდე, რადგან მიაჩნდა, რომ ასეთ მმართველობას შესაძლოა მხოლოდ უმცირესობა გაებატონებინა, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობის კეთილდღეობაზე აღარ იზრუნებდა და მხოლოდ საკუთარი, პირადი ინტერესებით იხელმძღვანელებდა. ამიტომაც, არისტოტელეს მიხედვით, ჯობდა ისეთი მმართველობა ჩამოყალიბებულიყო, როდესაც ძალაუფლება არც მხოლოდ გაუნათლებელი უმრავლესობის და არც მხოლოდ განათლებული მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლების ხელში იქნებოდა თავმოყრილი. ასეთ მმართველობას მან „პოლითეა“ უწოდა. „პოლითეა“, არისტოტელეს მიხედვით, ისეთი მმართველობის ფორმაა, როდესაც დღევანდელი ენით, რომ ვთქვათ, ძალაუფლება „საშუალო კლასის“ ხელში იქნებოდა. არისტოტელე დარწმუნებული იყო, რომ „საშუალო ადამიანებს“ არ შეუძლიათ ცუდი მმართველობის ფორმა ჩამოაყალიბონ და იძულებულნი იქნებიან გადაწყვეტილებები გონივრულად და პასუხისმგებლობით მიიღონ. ეს იმიტომ, რომ მათ ხელში არ არსებობს არც ზედმეტი სიმდიდრე ძალაუფლების გადამეტებისთვის და არც ზედმეტი სიღარიბე უგუნური ქცევისთვის. „პოლითეას“ შექმნა საშუალო ფენისთვის ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა და იძულებით დაუდებდა სათავეს გონივრულ მმართველობას, რომლის შედეგადაც უმრავლესობა დარჩებოდა მოგებული. არისტოტელეს მიერ აღწერილი „პოლითეა“ გახდა შემდგომში ძველი რომაული „რესპუბლიკური მმართველობის“ (რომელიც ლათინურიდან თარგმანში „ხალხის საქმეს“ ნიშნავს) საფუძველი და მას დაემყარა თანამედროვე ლიბერალური დემოკრა-

ტია. აქვე განვმარტოთ, რომ ძველი რომის რესპუბლიკაში ძალაუფლება განაწილებული იყო სენატისა და სახალხო კრების ხელში. სენატში თავმოყრილი იყო რომაული არისტოკრატია, ანუ პატრიციუსები, ხოლო სახალხო კრებაში პლებეები, ანუ უბრალო ხალხი. მოგვიანებით, რომაულმა რესპუბლიკის იდეამ გადამწყვეტი როლი ითამაშა აშშ-ის პოლიტიკური სისტემის შექმნაში.

ბევრი დადებითი მხარის მიუხედავად, ანტიკურ დემოკრატიას უარყოფითი ნიშნებიც ჰქონდა: 1. იგი უარყოფდა მამაკაცებისა და ქალების პოლიტიკურ თანასწორობას; 2. ძველი საბერძნეთი მონათმფლობელურ საზოგადოებას წარმოადგენდა, მოსახლეობის უმრავლესობა მონები იყვნენ, რომელთაც არ ჰქონდათ სამოქალაქო უფლებები და გარიყულნი იყვნენ საზოგადოებისგან. მათ ხშირად, უბრალოდ „მოსაუბრე საგნებს“ უწოდებდნენ. შესაბამისად, ათენის მოქალაქეები, ანუ ვისაც მმართველობით პროცესში მონაწილეობის უფლება ჰქონდა, პრაქტიკულად მოსახლეობის უმცირესობას წარმოადგენდა; 3. არ იყო გათვალისწინებული უმცირესობის ნება და უფლება. იმის გამო, რომ ყველა გადაწყვეტილება უმრავლესობის პრინციპის მიხედვით მიიღებოდა, სრულიად უგულვებელყოფილი იყო უმცირესობაში დარჩენილი მოქალაქეების მდგომარეობა და ხშირად მათი დროებითი, ან სამუდამო განდევნა ხდებოდა, რასაც „ოსტრაკიზმს“ უწოდებდნენ; 4. და ბოლოს, ვერასდროს გახდებოდა ათენის მოქალაქე პირი, თუ იგი ათენელი არ იყო წარმოშობით. შესაბამისად, ყველა უცხოელი, რომელიც შეეხიზნებოდა ათენს, რაც არ უნდა დიდი დრო გასულიყო მისი იქ ცხოვრებიდან, არ ხდებოდა მისი სრულყოფილ „ადამიანად“ აღიარება. ძველი ბერძნებისთვის ტერმინები „ადამიანი“ და „მოქალაქე“ ერთი და იგივეა, რადგანაც მათთვის ადამიანი მხოლოდ მაშინაა ადამიანი, ანუ პატივსაცემი პირი, თუკი იგი მოქალაქეა და ქვეყნის საჭირობოროტო საკითხების გადაწყვეტით არის დაკავებული. როგორც არისტოტელე ამბობდა, პოლისს გარეთ შესაძლებელია არსებობდეს მხოლოდ მონა ან ღმერთი. ამიტომაც, არისტოტელემ ადამიანს უწოდა „ზოონ პოლიტიკონ“, ანუ „პოლიტიკური არსება/ცხოველი“.

თანამედროვე დემოკრატია: დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ბერძნებმა ჩამოაყალიბეს შეხედულება დემოკრატიაზე. პრაქტიკულად მე-19 საუკუნემდე დემოკრატიის ძველბერძნული (პლატონის და არისტოტელესეული) განსაზღვრება ბატონობდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ „დემოკრატიაში“ უმთავრესად, გაუნათლებელი მასის ბატონობა ესმოდათ. მაგალითად, როდესაც აშშ იქმნებოდა, მისი დამფუძნებლები ფიქრობდნენ, რომ ისინი ქმნიდნენ „რესპუბლიკას“ და არა „დემოკრატიას“. „დემოკრატია“ პრაქტიკულად სალანძღავი სიტყვა იყო და არა ისეთი მოდური, როგორც ეს დღესაა. დროთა განმავლობაში ვითარება შეიცვალა და ნელ-ნელა დემოკრატიამ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი მსოფლიოში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ადამიანებს „დემოკრატია“ მისი ძველი ბერძნული გაგებით აღარ გვესმის. დღეს „დემოკრატიას“ გაცილებით ფართო გაგება აქვს.

ძველი ბერძნული დემოკრატიისგან განსხვავებით, თანამედროვე დემოკრატიას „ლიბერალურ დემოკრატიას“ ან „წარმომადგენლობით დემოკრატიას“ ვუწოდებთ. რა სხვაობაა მათ შორის? უპირველესად განსხვავება ხელისუფლებისა და მმართველობის სისტემის ჩამოყალიბების წესსა და ფუნქციონირებაშია. თუკი ძველბერძნულ დემოკრატიაში ხალხი პირდაპირ მონაწილეობდა პოლიტიკურ პროცესებში, ახლა უკვე ხალხი ამას ვეღარ ახერხებს, არა იმიტომ, რომ მისი უფლება შეზღუდულია, პირიქით გაცილებით გაფართოებულიცაა, მაგრამ თანამედროვე სახელმწიფოები გაცილებით დიდია ვიდრე ნებისმიერი ძველი ბერძნული პოლისი და ამიტომაც ტექნიკურად ეს შეუძლებელია სახელმწიფოებში მცხოვრები მოსახლეობის, მოქალაქეების სიდიდის გამო. ამასთანავე, თანამედროვე საზოგადოების რთული სოციალური სტრუქტურა, სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთმანეთისგან მკვეთრი გამიჯვნა და ეკონომიკური ცხოვრების წესი აღარ იძლევა პირდაპირი დემოკრატიის ძველბერძნული მოდელის განხორციელების საშუალებას.

თანამედროვე დემოკრატია ემყარება წარმომადგენლობის პრინციპს და არჩევნებს, რაც უცხო იყო ძველი ბერძნებისთვის. იმის გამო, რომ მოსახლეობა გაცილებით ჭარბია, ვიდრე უწინ, მოქალაქეები იძულებულნი არიან არა პირადად იყვნენ ჩართულნი მმართველობით პროცესში, არამედ შეარჩიონ საკუთარი რიგებიდან ადამიანთა გარკვეული ჯგუფები/პირები, ანუ წარმომადგენლები, რომელთა საშუალებითაც მოახერხებენ მართვა-გამგეობას. ამ ყველაფერს მოქალაქე უმთავრესად არჩევნების გზით აკეთებს.

თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის პრინციპი აღიარებს, რომ თუ გვინდა, გვქონდეს სამართლიანი მმართველობის ფორმა, არჩევნები უნდა იყოს ღია და კონკურენტული. ყველა მოქალაქეს აქვს უფლება მისცეს ხმა სასურველ პირს/ჯგუფს და თვითონაც იყაროს კენჭი, მიუხედავად მისი შეხედულებებისა, წარმომავლობისა თუ სოციალური მდგომარეობისა. საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს ადამიანის არჩევნებში მონაწილეობის უფლების შეზღუდვას მისი სოციალური მდგომარეობის, ეთნიკური, ეროვნული, გენდერული თუ რასობრივი კუთხით. თანამედროვე ლიბერალური დემოკრატია მოითხოვს პრინციპს „ერთი ადამიანი – ერთი ხმა“. თუმცა ეს ასე არ იყო ყოველთვის. მაგალითად, მე-19 საუკუნის ბრიტანელი მოაზროვნე ჯონ სტიუარტ მილი (John Stuart Mill, 1806-1873) ასაბუთებდა, რომ მოქალაქეების ხმის მიცემის უფლება უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან მოქალაქეების კომპეტენციისა და განათლების მიხედვით. მაგალითად, უმაღლესი განათლების მქონე პირს უნდა ჰქონდეს ხუთი ხმის უფლება, ხოლო კვალიფიციურ ოსტატს მხოლოდ სამი ხმის უფლება. ამავე დროს, მე-20 საუკუნის დასაწყისამდე, მოქალაქის ხმის მიცემის უფლება ხშირად მის მატერიალურ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. თუ ადამიანს არ გააჩნდა შესაბამისი მატერიალური ქონება, საარჩევნო უფლებას მოკლებული იყო.

თანამედროვე დემოკრატია ემყარება წარმომადგენლობის პრინციპს. მოქალაქეები არჩევნების გზით მათ მიერვე არჩეული წარმომადგენლების საშუალებით მონაწილეობენ მართვა-გამგეობაში.

დიდი ხნის მანძილზე, მათ შორის დღევანდელ დასავლურ დემოკრატიებშიც, არ ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ქალებს. მაგალითად, შვეიცარიაში ქალებმა ხმის მიცემის უფლება, მხოლოდ 1971 წელს მიიღეს.[1] ქალთა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებისთვის მოძრაობა მე-19 საუკუნეში დაიწყო დასავლურ ქვეყნებში და პრაქტიკულად დღემდე გრძელდება. ძალიან ბევრ ქვეყანაში, ქალებს ჯერ კიდევ არ აქვთ ჯეროვანი ადგილი დაკავებული საჯარო-პოლიტიკურ პროცესებში. ხანგრძლივი აღმოჩნდა რასობრივი დისკრიმინაციით გამოწვეული საარჩევნო შეზღუდვები. მოქალაქეთა არჩევნებში მონაწილეობის უფლება შეზღუდული იყო მათი რასობრივი წარმომავლობის გამო (მაგ. სამხრეთ აფრიკის აპარტეიდული კანონები, როდესაც მხოლოდ თეთრ რასას ჰქონდა პოლიტიკაში მონაწილეობის უფლება. ამ მხრივ საინტერესოა აშშ-ის გამოცდილებაც, სადაც დიდხანს არსებობდა რასობრივი სეგრეგაცია და შავკანიანთა უფლებების შეზღუდვა). მე-20 საუკუნის 50-60-იანი წლების სამოქალაქო უფლებებისთვის გაჩაღებულმა მოძრაობებმა (როგორიც მაგ. აშშ-ში მარტინ ლუთერ კინგის (Martin Luther King, 1929-1968) წინამძღოლობით მიმდინარე მოძრაობა იყო) პრაქტიკულად დაასრულეს რასობრივი სეგრეგაციისა და დისკრიმინაციის საკითხები, თუმცა, აღნიშნული ბოლომდე არ აღმოფხვრილა და გარკვეული სახით მაინც არსებობს სხვადასხვა ქვეყნებში.

თანამედროვე წარმომადგენლობით მმართველობას კიდევ ერთი მთავარი პრინციპი განასხვავებს ძველი ბერძნული დემოკრატიისგან. ათენურ დემოკრატიაში ყურადღება იყო გადატანილი ხალხის კოლექტიურ მონაწილეობასა და სამოქალაქო თანასწორობაზე. უგულვებელყოფილი იყო ადამიანის/მოქალაქის ინდივიდუალური არჩევანი და განსხვავებულობა. ამას, ბუნებრივია ჰქონდა თავისი ობიექტური მიზეზები. თანამედროვე დემოკრატიაში ადამიანი უკვე პოლიტიკურ პროცესებში ინდივიდუალურად მონაწილეობს და სამოქალაქო თანასწორობასთან ერთად, გარანტირებულია მისი ინდივიდუალური თავისუფლებაც, ამ შემთხვევაში არჩევანის თავისუფლება. თანამედროვე დემოკრატია ადამიანის ინდივიდუალისტურ გაგებას უფრო ემყარება, ხოლო ძველი ბერძნული დემოკრატია – ადამიანის კოლექტიურ მონაწილეობას ეფუძნებოდა. თუკი ძველბერძნულ შემთხვევაში, ადამიანი, განსხვავებულობის გამო, შესაძლოა დაესაჯათ და პოლისიდანაც კი გაეძევებინათ, ეს დღეს აკრძალულია და ადამიანის განსხვავებულობის გამო დასჯა გაუმართლებელი და უმთავრეს შემთხვევებში აკრძალულია.

[1] საქართველოში ქალებმა საარჩევნი უფლება მსოფლიოს ძალიან ბევრ ქვეყანაზე ადრე – 1918 წელს მიიღეს (ავტორის შენიშვნა).

თუ ძველი ბერძნები ადამიანის კატეგორიაში მხოლოდ მოქალაქეს გულისხმობდნენ, თანამედროვე სამყაროში ადამიანი გვესმის, როგორც მოქალაქე, რომელიც ჩართულია საჯარო-პოლიტიკურ პროცესში, ასევე, როგორც კერძო პირი, რომელსაც საკუთარი პირადი ცხოვრება და მიზნები გააჩნია. არისტოტელეს მსგავსად დღეს ადამიანი აღარ იკიცხება, თუ თავს არიდებს საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობას. ეს პირველად ოფიციალურად დააკანონა 1791 წლის საფრანგეთში მიღებულმა „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ“, რომელმაც მკვეთრად გამიჯნა ერთმანეთისგან ადამიანი, როგორც საჯარო პირი და ადამიანი, როგორც კერძო პირი. თუმცა, უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ამ მხრივ ქრისტიანულ თეოლოგიასაც მიუძღვის გარკვეული წვლილი. ქრისტიანული თეოლოგია იმის გამო, რომ ასაბუთებდა ღმერთის მიერ ადამიანის შექმნის ფაქტს, წინააღმდეგი იყო იმისა, რომ ადამიანი მხოლოდ სახელმწიფოებრივ კუთვნილებად გამოცხადებულიყო, რადგანაც იგი უპირველესად ღვთის ქმნილი ინდივიდი იყო, რომელსაც გააჩნდა აგრეთვე საჯარო-პოლიტიკური პასუხისმგებლობაც ამქვეყნიურ სამყაროში. ეს პრინციპი ყველაზე კარგად ჩანს ქრისტეს სიტყვებში სახარებიდან „კეისარს კეისრისა და ღმერთს ღვთისა.“

დემოკრატიის ამგვარმა თანამედროვე გაგებამ წარმოშვა „სამოქალაქო საზოგადოების“ კონცეფციაც. ძველი ბერძნებისთვის ცნება სამოქალაქო საზოგადოება ცალკე აღებული არაფერს ნიშნავდა, რადგანაც ძველი ბერძნული „პოლისი“ იყო საზოგადოებაც და სახელმწიფოც ერთად აღებული. არ არსებობდა მათი მკაფიო გამიჯვნა, როგორც ეს თანამედროვე ადამიანს ესმის. თანამედროვე დემოკრატია კი არ არსებობს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებისა და სამოქალაქო აქტიურობის გარეშე, პირიქით, იგი მისი ერთ-ერთი მთავარი საზომია. მე-19 საუკუნის დიდ ფრანგ მოაზროვნეს ალექსის დე ტოკვილს (Alexis de Tocqueville, 1805-1859) ძლიერ მოსწონდა დემოკრატიული თანასწორობა, მაგრამ მასში გარკვეულ საფრთხესაც ხედავდა. ტოკვილს მიაჩნდა, რომ დემოკრატიულმა თანასწორობამ შესაძლოა „უმრავლესობის ტირანიაც“ კი ჩამოაყალიბოს, თუ ყურადღებით არ ვიქნებით. ფრანგი მოაზროვნე ფიქრობდა, რომ ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობის პირობებში, ეს საფრთხე გაცილებით ნაკლებია, რადგანაც სამოქალაქო საზოგადოებას ძალუძს გააძლიეროს მოქალაქეში სამოქალაქო პასუხისმგებლობის განცდა, დაიცვას იგი მასობრივი გათანასწორებისგან და ამით ხელი შეუწყოს ადამიანის თავისუფლებას.

ძველბერძნულ დემოკრატიაში „ხალხის“ კატეგორია უკიდურესად შეზღუდული იყო. თანამედროვე წარმომადგენლობით დემოკრატიაში კი „ხალხის“ კატეგორია გაცილებით დიდია, თუმცა იგი უბრალოდ მოსახლეობის ჯამზე მაინც არ დაიყვანება. აქაც გვაქვს გარკვეული შეზღუდვები. ეს არის მოსახლეობის გარკვეული ტიპი, რომელსაც გააჩნია საარჩევნო, ანუ ხელისუფლების/მთავრობის ჩამოყალიბების პირდაპირი უფლება. „ხალხი“

თანამედროვე დემოკრატიაში არის მოსახლეობის ნაწილი (თუმცა, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა), რომელსაც არჩევნებში მონაწილეობა და ხმის მიცემა შეუძლია. პირველ რიგში, ასეთი შეზღუდვა ასაკობრივი შეზღუდვაა. როგორც წესი, თანამედროვე დემოკრატიებში ადამიანის სრულწლოვანების ასაკად 18 წელია აღიარებული. შესაბამისად, მხოლოდ 18 წელს მიღწეული ადამიანები სარგებლობენ აქტიური საარჩევნო უფლებით. ამავე დროს, როგორც წესი, ამა თუ იმ სახელმწიფოში მოსახლე/მომუშავე უცხოელებს, თუ მათ არ გააჩნიათ კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეობა, არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვთ. ხშირია შემთხვევები, როდესაც პატიმრებს ეზღუდებათ არჩევნებში მონაწილეობა სასჯელის გასვლის ვადამდე. კიდევ ერთი შეზღუდვა უწესდებათ პირებს, რომლებიც სულიერად არიან დაავადებულები, რადგანაც ითვლება, რომ ამ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს, არ შეუძლია გონივრული გადაწყვეტილების მიღება.

შესაძლებელია გამოვყოთ ლიბერალური დემოკრატიის რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელსაც ყველა განვითარებული ლიბერალური დემოკრატიის მქონე ქვეყანა ემყარება. ასეთი პრინციპების მქონე მმართველობას ხშირად „კარგ მმართველობასაც“ უწოდებენ:

1. მთავრობა უნდა ყალიბდებოდეს და იცვლებოდეს არჩევნების და საარჩევნო კონკურენციის შედეგად გარკვეული პერიოდულობით;
2. „ერთი ადამიანი – ერთი ხმა“. არჩევნებში ამომრჩეველი ხმას აძლევს ფარულად, ისე რომ არავინ იცის თუ ვის მისცა მან ხმა. ამავე დროს, არჩევნებში მიცემული თითოეული მოქალაქის ხმა ყველა ხმის თანასწორია და არცერთი პირის ხმას არ აქვს რაიმე უპირატესობა. არ უნდა არსებობდეს მოქალაქის რაიმე შეზღუდვა არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, გარდა რამდენიმე ზემოთ უკვე აღნიშნული გამონაკლისისა და მოქალაქეები ინდივიდუალურად უნდა აძლევდნენ ხმას და არა კოლექტიურად;
3. დაცული უნდა იყოს უმცირესობის უფლება. უმრავლესობა გადამწყვეტია გადაწვეტილებების მიღების პროცესში, თუმცა, უმცირესობა იტოვებს უფლებას დარჩეს საკუთარი პრინციპების ერთგული და ამისთვის არ დაისაჯოს;
4. დაშვებული უნდა იყოს საზოგადოების პლურალიზმი, ანუ მრავალფეროვნება. ყველა პირს უნდა ჰქონდეს უფლება შექმნას სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციები, პარტიები და სხვა ორგანიზაციები, თუკი ეს დაჯგუფებები სიძულვილს და სხვა პირების/ჯგუფების განადგურებას არ მოითხოვენ;
5. დაშვებული უნდა იყოს სიტყვის და ინფორმაციის მიღების, გავრცელების, შეკრებისა და პროტესტის გამოხატვის თავისუფლება. მოქალაქეს უნდა ჰქონდეს სხვადასხვა ალტერნატიული საინფორმაციო წყაროების გამოყენებისა და მოპოვების უფლება და არ უნდა იყოს

ვალდებული მხოლოდ ერთ საინფორმაციო საშუალებას დაეყრდნოს;

6. მთავრობა ანგარიშვალდებული უნდა იყოს საზოგადოების წინაშე და მუდმივად მიყურადებული საზოგადოებაში არსებული ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პირდაპირი დემოკრატიიდან ზოგი რამ შეინარჩუნა თანამედროვე დემოკრატიამ. თუ არის რაიმე ისეთი საკითხი, რომლის გადაწყვეტას მთავრობა ერთპიროვნულად ვერ ბედავს, საკითხი რეფერენდუმზე გამოაქვს, სადაც მოქალაქეები პირდაპირ აძლევენ დადებით, ან უარყოფით ხმას, რომელიც შემდგომში უმრავლესობის პრინციპით გადაითვლება. რეფერენდუმი არის პროცედურა, როდესაც ხალხს პირდაპირ ეკითხებიან, თუ როგორ სურს ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა. მაგალითად, საქართველოს უახლეს ისტორიაში სამი ასეთი მნიშვნელოვანი რეფერენდუმი ჩატარდა: 1991 წლის 31 მარტს, 2003 წლის 2 ნოემბერს და 2008 წლის 5 იანვარს (ეს უკანასკნელი იყო რეფერენდუმი/პლებისციტი). პირველ შემთხვევაში მოსახლეობას ჰკითხეს: უნდოდა თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე; მეორე შემთხვევაში – რამდენად ეთანხმებოდა ხალხი პარლამენტის წევრთა რაოდენობის 235-დან 150 წევრამდე შემცირებას; მესამე შემთხვევაში კი – სურდა თუ არა ხალხს საქართველოს ნატოს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში გაწევრიანება. სამივე შემთხვევაში პასუხი დადებითი იყო. შვეიცარიამ ყველაზე მეტად შეინარჩუნა პირდაპირი დემოკრატიის ელემენტები და კანონების დიდი ნაწილი ამ ქვეყანაში დღესაც რეფერენდუმების საფუძველზე მიიღება.

ზოგიერთი ზემოთ აღნიშნული პრინციპი, ხშირად ირღვევა ქართულ რეალობაში. თუმცა, საქართველოში მაინც ბევრი რამ შეიცვალა ამ მხრივ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ და ისეთმა ღირებულებებმა დაიმკვიდრეს ადგილი ჩვენს საზოგადოებაში, რომლებიც მანამდე უცნობი იყო, მაგალითად, როგორებიცაა: სიტყვის თავისუფლება, არჩევნებში მონაწილეობის და სხვადასხვა პოლიტიკური ძალების არჩევის უფლება, ან პოლიტიკური პარტიების თავისუფლად შექმნის უფლება. თუმცა, პრობლემები ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრია და არაერთი ფუნდამენტური საკითხია მოსაგვარებელი. სწორედ ამის გამო, საქართველოს და მსგავსი ტიპის ქვეყნებს, სადაც დემოკრატია ჯერ კიდევ ახლად ფეხადგმულია, „ახალ დემოკრატიებს“, ან „გარდამავალ დემოკრატიებს“ უწოდებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებში დემოკრატია ჯერ კიდევ ნედლი პროდუქტია და მას განვითარება სჭირდება. თუმცა, შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული. მაგალითად, ამერიკელი მეცნიერი რობერტ დალი, ყველა დასავლურ განვითარებულ დემოკრატიას „პოლიარქიას“, ანუ „მრავალთა მმართველობას“ უწოდებს, რადგანაც მიაჩნია, რომ „დემოკრატია“ ეს იდეალია, რომლისთვისაც ჯერ არავის მიუღწევია. დალის მიხედვით, უმთავრეს შემთხვევებში დასავლურ დემოკრატიულ სახელმწიფოებს მართავს მრავალი პირი და ორგანიზაცია, მაგრამ

არა უმრავლესობა. თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილ პრინციპებს ყველა პოლიარქია იზიარებს, რაც ანიჭებს კიდეც მას სიცოცხლისუნარიანობას და რის გამოც უწოდებენ მას დემოკრატიას.

რობერტ დალის მსჯელობებს თუ გავყვებით, აღმოვაჩენთ, რომ თუკი სახელმწიფო აღწევს „პოლიარქიის“ დონეს, მაშინ ჩვენ უკვე შეგვიძლია ამ სახელმწიფოში დემოკრატიული მმართველობის დამყარებაზე ვისაუბროთ, რასაც ხშირად „დემოკრატიულ კონსოლიდაციას უწოდებენ“ (ეს ცნება დაამკვიდრეს ცნობილმა თანამედროვე პოლიტოლოგებმა ხუან ლინცმა (Juan Linz, 1926-2013) და ალფრედ სტეფანმა (Alfred Stepan, 1936-2017). ჩვენ მიერ ჩამოთვლილი საკითხებიც სწორედ „პოლიარქიისთვის“ არის დამახასიათებელი, რომელიც რა თქმა უნდა აბსოლუტურად სრულყოფილი და სამართლიანი არ არის, თუმცა, ის ყველა სხვა მმართველობასთან შედარებით სრულყოფილი და სამართლიანია. როგორც გამოჩენილი ბრიტანელი პოლიტიკოსი, უინსტონ ჩერჩილი ასაბუთებდა, „არავინ ამბობს, რომ დემოკრატია სრულყოფილი ან ყოვლისმცოდნე მმართველობის ფორმაა. როგორც ნათქვამია, რა თქმა უნდა დემოკრატია ცუდი მმართველობის ფორმაა, მაგრამ არა იმ მმართველობებზე ცუდი, რომელთაც დრო და დრო გამოსცდიდა ხოლმე კაცობრიობა.“

დემოკრატია და საზოგადოებრივი მხარდაჭერა. დემოკრატიის დამკვიდრება მხოლოდ ერთჯერადი აქტი არ არის. გარკვეული დრო უნდა გავიდეს საიმისოდ, რომ ხელისუფლების არჩევნებით ცვლა, პიროვნების თავისუფლების დაცვა და კიდევ სხვა პროცედურები ნელ-ნელა ხალხის ტრადიციად გადაიქცეს და ყოველდღიურ ჩვევებში გაჯდეს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ეს ყველაფერი თავისთავად მოხდება. ამერიკელმა მეცნიერებმა გაბრიელ ალმონდმა (Gabriel Almond, 1911-2002) და სიდნეი ვერბამ (Sidney Verba, 1932), მრავალი კვლევის შედეგად დაადასტურეს, რომ დემოკრატია მაშინ მუშაობს კარგად და წარმატებულად, თუკი მას ხალხის მხრიდანაც ექნება ნდობა,

რობერტ დალი (Robert Dahl, 1915-2014)

თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი კლასიკოსი. მისი მთავარი კვლევის ობიექტი თანამედროვე დემოკრატიული სისტემების განვითარება იყო. მას ეკუთვნის ცნობილი „პოლიარქიის“ თეორია.

ხუან ლინცი (Juan Linz, 1926-2013)

თანამედროვეობის გამოჩენილი ესპანელ-ამერიკელი პოლიტოლოგი. იგი განსაკუთრებით ცნობილია დემოკრატიზაციის შესწავლის პროცესებით.

ალფრედ სტეფანი (Alfred Stepan, 1936-2017)

ცნობილი თანამედროვე ამერიკელი პოლიტოლოგი. კოლუმბიის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების პროფესორი. ცნობილია მისი კვლევები თანამედროვე დემოკრატიზაციის პროცესებისა და დემოკრატიის და რელიგიის ერთიერთკავშირის შესახებ.

მხარდაჭერა და ხელშეწყობა. საზოგადოებაში არსებული რწმენა-წარმოდგენების და ღირებულებების სისტემას მათ საზოგადოების „პოლიტიკური კულტურა“ უწოდეს. პოლიტიკური კულტურა სხვადასხვა პირობების მიხედვით ყალიბდება, რაც საბოლოო ჯამში, ხალხში ისეთი შეხედულებებისა და ღირებულებების დანერგვას ემსახურება, რომელიც თავის მხრივ ამა თუ იმ პოლიტიკური მმართველობის საფუძველი ხდება. ამისათვის მთავრობისა და ხალხის მონდომეაა საჭირო. ალმონდმა და ვერბამ დაასაბუთეს, რომ თუ მოქალაქეებში უფრო ფეხმოკიდებულია სამოქალაქო აქტიურობის განცდა (სადაც მოქალაქე დარწმუნებულია, რომ მისი ნების გარეშე არ იქმნება და არც უნდა იქმნებოდეს პოლიტიკური პროცესი), ამ შემთხვევაში დემოკრატია მყარდება გაცილებით ადვილად და ის დიდხანს ცოცხლობს. მაგრამ, თუ მოსახლეობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ იგი უფრო მეტად ქვეშევრდომია და პოლიტიკური ელიტის მსახური, მისი ნება-სურვილის აღმსრულებელი (როცა მოქალაქეების უმრავლესობა ფიქრობს, რომ პოლიტიკა მათი საქმე არაა), ამ შემთხვევაში დემოკრატიას ფეხის მოკიდება უჭირს. ალმონდმა და ვერბამ ისიც კარგად დაასაბუთეს, რომ თუ ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკურად ჩამორჩენილია და თანაც სამოქალაქო განათლება დაბალ დონეზეა, აქაც რთულია დემოკრატიის აშენება. თუმცა, ამ მხრივ გამონაკლისია ინდოეთი, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე სიმდიდრის განაწილებითა და მოსახლეობის ფართო ფენების სამოქალაქო განათლების შესაბამისი დონით არ გამოირჩევა, მაგრამ მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი გახდა (1947 წლიდან) ინდოეთში კონსოლიდირებული ლიბერალური დემოკრატიაა.

კიდევ ერთმა ამერიკელმა მეცნიერმა რობერტ პატნემმა (Robert Putnam, 1941), იტალიის მაგალითზე კარგად დაასაბუთა, რომ თუ საზოგადოების წევრებს ერთმანეთისადმი უფრო მეტი ნდომა და ურთიერთთანადგომის შეგრძნება ექნებათ, რათა ერთად ააშენონ მომავალი, ამ შემთხვევაში, უფრო შესაძლებელია დემოკრატიის დამყარება. მხოლოდ მთავრობის მიერ გატარებულ რეფორმებს ეს არ შეუძლია. მან შეიძლება გარკვეული გარდატეხა მოახდინოს, მაგრამ საზოგადოებაც უნდა გააქტიურდეს, რათა დემოკრატიულ რეფორმებს უკეთესი შედეგი ჰქონდეს. თუკი საზოგადოების წევრების უმრავლესობა კარგად აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას დემოკრატიისა და ქვეყნის მშენებლობის საქმეში, მაშინ მთავრობაც უფრო გულისხმიერი და პროდუქტიული იქნება (რადგან საბოლოოდ ეს საზოგადოება აყალიბებს მთავრობას). თუმცა, თუკი საზოგადოების წევრების უმრავლესობა მხოლოდ მთავრობის მოლოდინში იქნება და თვითონ არ გამოიჩენს ინიციატივას სხვადასხვა მიმართულებით, მაშინ შედეგი გაცილებით მწირი და არაპროდუქტიულია. ამას ადასტურებს მსოფლიო გამოცდილება.

გამოთქმა „რაც ხალხია – ის მთავრობაა“ ყოველთვის მართალი არ არის. არჩევნების დროს, საზოგადოებას არასდროს ამოძრავებს ბოროტი ზრახვები, მაგრამ ხშირად ხელისუფლებაში მოსული ბოროტად, საკუთარი კეთილ-

დღეობისთვის იყენებს საზოგადოების გულწრფელ სურვილებს. აი სწორედ აქ არის საზოგადოებრივი სიფხიზლე და აქტივობა საჭირო, რომ მთავრობამ ვერ მოახდინოს ხელისუფლების უზურპაცია. ხშირად ისიც ხდება, რომ ხალხს ძალადობრივად მოახვევენ ხოლმე ამა თუ იმ პოლიტიკურ რეჟიმს თავზე (მაგ. საქართველოს ბოლშევიკური ტოტალიტარიზმი) და ხალხიც შემდგომში ეჩვევა ახალ რეალობას და პასიური ხდება სამოქალაქო-პოლიტიკური ცხოვრებისადმი, მაგრამ ეს ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ეს ხალხის ბრალია. ხშირად, პოპულისტი პირები ცდილობენ ხალხის მოდუნებული ყურადღების გამოყენებას საკუთარი ინტერესების მიხედვით და ისეთ მმართველობას ამყარებენ, რომელიც მხოლოდ მათ ინტერესებს შეესაბამება. ამიტომაც, ხალხის აქტიურობას მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმატების მისაღწევად და გულისხმიერ და გონივრულ საზოგადოებას ყოველთვის უკეთესი ხელისუფლება ჰყავს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ ქვეყნებში, სადაც უფრო განვითარებულია სამოქალაქო საზოგადოება, მოქალაქეთა სამოქალაქო პასუხისმგებლობა და მონაწილეობა, დემოკრატია გაცილებით კარგად მუშაობს. ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც მოქალაქეთა დიდი ნაწილი მხოლოდ საკუთარი, ვიწრო, მერკანტილური ინტერესებით გამოირჩევა და ერთმანეთისადმი ნდობა და პატივისცემა არ გააჩნია, ანუ სამოქალაქო საზოგადოება სუსტია, მაშინ დემოკრატიის მომავალიც ასეთ ქვეყნებში მყიფე და გაურკვეველია.

გაბრიელ ალმონდი (Gabriel Almond, 1911-2002)

თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი კლასიკოსი. იგი არის შედარებითი პოლიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. განსაკუთრებით ცნობილია მისი სტრუქტურულ-ფუნქციონალური კვლევის მეთოდი. სიდნეი ვერბასთან ერთად შექმნა სამოქალაქო კულტურის კონცეფცია.

სიდნეი ვერბა (Sidney Verba, 1932-2019)

გამოჩენილი თანამედროვე ამერიკელი პოლიტოლოგი. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი. შედარებითი პოლიტიკის აღიარებული სპეციალისტი. გაბრიელ ალმონდთან ერთად, გაითქვა სახელი სამოქალაქო კულტურის კონცეფციის შემუშავებით.

კითხვები გააზრებისთვის:

1. რას ეწოდება „ბუნებითი მდგომარეობა“ და როგორ აღწერეს იგი ჰობსმა, ლოკმა და რუსომ?
2. რომელი ძირითადი ნიშნები გააჩნია სახელმწიფოს, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია მისი არსებობა?
3. რა არის მთავრობისა და ხელისუფლების ძირითადი მიზნები და დანიშნულებები?
4. როგორ ხდება დემოკრატიული ხელისუფლების ჩამოყალიბების პროცესი?
5. რითი განსხვავდებიან ძველი დემოკრატიები თანამედროვე დემოკრატიებისგან?
6. როგორ გესმით „დემოკრატიული გარდაქმნის პროცესი“ და რა მნიშვნელობა აქვს დემოკრატიის დამკვიდრებაში მოქალაქეების აქტიურობას?

თავი II

კონსტიტუცია და სახელმწიფო

„კონსტიტუცია“ ლათინური წარმომავლობის ტერმინია და რაიმეს დადგენას, დაფუძნებას, დაკანონებას ნიშნავს. თანამედროვე ქვეყანათა უდიდეს ნაწილში გამოიყენება ტერმინი „კონსტიტუცია“ იმ წესების ერთობლიობის აღსაწერად, რომლის მიხედვითაც ფუნქციონირებს სახელმწიფო, თუმცა გვაქვს გამონაკლისებიც. მაგალითად, არაბული ქვეყნების დიდ ნაწილში ტერმინ „კონსტიტუციის“ მაგივრად გამოიყენება არაბული ტერმინი „დუსტურ“, თუმცა „დუსტურიც“ თარგმანში იგივეს ნიშნავს, რასაც „კონსტიტუცია“. ძველქართულ, შუასაუკუნოვან სამართლის ტრადიციაში, რაიმე კანონთა კრებულის მიღებას „ძეგლის დადებას“, ან ხანდახან „ძეგლის წერასაც“ უწოდებდნენ. გერმანულ ტრადიციაში ლათინურ ტერმინს კონსტიტუციას ცვლის გერმანული ტერმინი „ძირითადი კანონი“. თუმცა ეს მაგალითები მაინც გამონაკლისია და ტერმინი „კონსტიტუცია“ საყოველთაო გამოყენებისაა.

ხშირად, უმეტესობას წარმოუდგენია, რომ „კონსტიტუცია“ მხოლოდ გარკვეული იურიდიული „მშრალი“ დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს როგორც სახელისუფლებო შტოების, ასევე პოლიტიკური ინსტიტუტებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების მექანიზმს. რა თქმა უნდა, ყოველი კონსტიტუცია სწორედ ამგვარი ფუნქციების შესრულებას ესწრაფვის, მაგრამ ის არ არის მხოლოდ „მშრალი“ დოკუმენტი. საზოგადოებაში მუდამ არსებობს გარკვეული არაფორმალური შეთანხმებები, რომელსაც ვიცავთ და პატივს ვცემთ, როგორებიცაა ტრადიციები, წეს-ჩვეულებები და ადათები. ისინი ზოგიერთ კულტურაში შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს ბევრი ადამიანისთვის, ვიდრე მხოლოდ კანონში აღწერილი ქცევისა და მოქმედების ნორმები. ამიტომ, „კონსტიტუცია“ შეიძლება ეწოდოს იმგვარი წესების ერთობლიობას, რომელიც გულისხმობს, როგორც ოფიციალურად არსებული საკანონმდებლო დოკუმენტის, ისე გარკვეული ზეპირი შეთანხმებების ერთობლიობას, რომლის მიხედვითაც ფუნქციონირებენ სახელმწიფო ინსტიტუტები და საზოგადოება.

> ***საქართველოს კონსტიტუცია***
>
> ***მუხლი 4. სამართლებრივი სახელმწიფო***
>
> ***„4. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მიღებისა და გამოცემის ზოგადი წესი და მათი იერარქია განისაზღვრება ორგანული კანონით.“***

კონსტიტუციები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც წარმომავლობით და ფორმით, ისე შინაარსობრივად. განასხვავებენ ე.წ. „დაწერილ“ და „დაუწერელ“, ან სხვაგვარად „კოდიფიცირებულ“ და „არაკოდიფიცირებულ“ კონსტიტუციებს. „დაწერილი“ ანუ „კოდიფიცირებული“ კონსტიტუციის სამშობლოა

აშშ, სადაც ის 1787 წელს დაიწერა და დღემდე არსებულ „დაწერილ“ კონსტიტუციებს შორის ყველაზე ძველია. იმის მიუხედავად, რომ ძველ რომში და საბერძნეთში არსებობდა კონსტიტუციების წერის გარკვეული პრაქტიკა, ამ მხრივ მაინც აშშ-ს სრულიად საპატიო ადგილი უჭირავს მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში. კონტინენტური ევროპის შემთხვევაში ამ მხრივ პიონერები პოლონელები და ფრანგები იყვნენ, რომელთაც 1791 წელს შექმნეს „დაწერილი“ კონსტიტუციები, თუმცა საფრანგეთისგან განსხვავებით, პოლონეთში, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ რეჩ პოსპოლიტაში დაწერილ კონსტიტუციას პრაქტიკაში თითქმის არ უმუშავია და ამის გამო მას ხშირად არც ახსენებენ ხოლმე. 1791 წელს წარმოშობილმა ფრანგულმა კონსტიტუციონალიზმმა (მას შემდეგ რამდენჯერმე დაიწერა ფრანგული კონსტიტუციის ახალი ვერსია) კი, რომელიც თავის მხრივ საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი იყო, დროს გაუძლო და ამერიკული კონსტიტუციის მსგავსად, დიდი როლი ითამაშა წერილობითი კონსტიტუციონალიზმის განვითარების საქმეში.

წერილობითი კონსტიტუციისთვის დამახასიათებელია ისეთი ერთი მთავარი დოკუმენტის შექმნა, სადაც მეტ-ნაკლებად დეტალურად არის გაწერილი როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირების მექანიზმები, ასევე ამ ინსტიტუტებსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთდამოკიდებულების პრინციპები. შესაბამისად, ყველა საკანონმდებლო თუ სხვა საქმიანობა, რასაც კი სახელმწიფო ინსტიტუტები ასრულებენ, შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ერთ დოკუმენტად გაფორმებულ კონსტიტუციასთან. ზოგი წერილობითი კონსტიტუცია უფრო დეტალურად აღწერს ზემოთ აღნიშნული მექანიზმების ფუნქციონირებას და ზოგი ნაკლებად. დეტალიზებული კონსტიტუციების მაგალითად ხშირად ინდოეთისა და კენიის კონსტიტუციებს ასახელებენ, სადაც უკიდურესი დეტალურობით არის აღწერილი ქვეყნის პოლიტიკური სისტემა, რის გამოც თვითონ კონსტიტუციის ტექსტები მოცულობით საკმაოდ დიდია. შედარებით არადეტალიზებული კონსტიტუციის მაგალითია აშშ-ის კონსტიტუცია, რომელიც ყველა საკითხს დაწვრილებით არ განიხილავს და უფრო ზოგადი, ძირითადი პრინციპების ჩამონათვალით არის შემოფარგლული. ამიტომაც აშშ-ის კონსტიტუციის ტექსტი შედარებით ლაკონური და მოკლეა. შესაბამისად, მასში უფრო მარტივია გარკვეული ცვლილებების შეტანა ისე, რომ საჭირო არ გახდეს ახალი კონსტიტუციის დაწერა.

ტრადიციების არსებობას დიდი როლი აქვს ე.წ. „დაუწერელი კონსტიტუციის“ მქონე ქვეყნებისთვის. ასეთი სულ ორია მსოფლიოში, დიდი ბრიტანეთი და ისრაელი. „დაუწერელი“ კონსტიტუცია იმას არ ნიშნავს, რომ არ არსებობს წერილობითი კონსტიტუცია, უბრალოდ იგი ერთიანი, კოდიფიცირებული ტექსტის სახით არ არის წარმოდგენილი. საუკუნეების განმავლობაში დაწერილი კანონების ერთობლიობა ასრულებს სწორედ წერილობითი კონსტიტუციის ფუნქციებს. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის (რომელსაც მე-

18 საუკუნემდე ინგლისის სამეფო ეწოდებოდა) ისტორიაში რამდენიმე ასეთი დიდი დოკუმენტი შეიქმნა, როგორებიც იყო „მაგნა ქარტა“ მე-13 საუკუნეში, ან „ბილი უფლებათა შესახებ“ მე-17 საუკუნეში, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა.

კონსტიტუციის ამგვარი ტრადიცია ემყარება ე.წ. „პრეცედენტული სამართლის“ (Case law) ძველინგლისურ ტრადიციას, რაც იმას ნიშნავს, რომ ზეპირ შეთანხმებებსაც გარკვეული ძალა გააჩნია და ყოველი სამართლებრივი გადაწყვეტილება კონკრეტული ვითარების მიხედვით უნდა იქნას მიღებული, რომელიც თავის მხრივ არსებული დოკუმენტების ხელახალ ინტერპრეტაციას ემყარება. ამიტომაც, „დაუწერელი კონსტიტუციის“ შემთხვევაში, კონსტიტუცია საზოგადოებრივი ცვლილებების მიმართ კიდევ უფრო მოქნილი და შესაბამისად, დროსა და სივრცეში მდგრადი და გამძლე აღმოჩნდა. თუმცა, მასაც გააჩნია ნაკლოვანებები. მაგალითად, დეტალიზაციის არარსებობამ და საკანონმდებლო ბუნდოვანებამ შეიძლება გარკვეული გაუგებრობები წარმოშვას კანონის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. მაგრამ, დაწერილი კონსტიტუციის მსგავსად, „დაუწერელი კონსტიტუციის“ ჩამოყალიბებაც კონკრეტული ქვეყნის ისტორიული განვითარებით და ტრადიციებით იყო განპირობებული და სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ყველა ქვეყანაში დიდი ბრიტანეთივით წარმატებულად იმუშავებს.

2.1. რატომ იქმნება კონსტიტუცია?

კონსტიტუციების შექნას, როგორ წესი, თავისი მიზეზები და მიზნები ჰქონდა. კონსტიტუციების ჩამოყალიბების უმთავრესი მიზანი იყო მოექცია ხელისუფლების ძალაუფლება და გავლენის ხარისხი საზოგადოებაზე გარკვეულ ჩარჩოში და ზღვარი დაეწესებინა ხელისუფლებისთვის, რათა ის ხალხისთვის საშიში არ გამხდარიყო. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციამ დააკანონა ის ძირითადი ჩარჩო, თუ როგორი ურთიერთობა უნდა ჩამოყალიბდეს ხალხსა და ხელისუფლებას შორის და ხაზი გაუსვა ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, რომელთა ხელყოფა ყველა ხელისუფლებას ეკრძალება. კონსტიტუციამ სისტემაში მოიყვანა ხელისუფლების და ხალხის ურთიერთობა და გაცილებით მოწესრიგებული გახადა, ვიდრე ეს წარსულ საუკუნეებში იყო.

კონსტიტუციამ სისტემაში მოიყვანა ხელისუფლების და ხალხის ურთიერთობა და გაცილებით მოწესრიგებული გახადა, ვიდრე ეს წარსულ საუკუნეებში იყო.

კონსტიტუციონალიზმის იდეა იყო ჩამოეყალიბებინა სისტემა, რასაც ჩვენ „კანონის მმართველობას“ ვუწოდებთ. „კანონის მმართველობა“ ისეთ მმართველობას გულისხმობს, როდესაც არავინ დგას კანონზე მაღლა და ვერცერთი გადაწყვეტილება ვერ მიიღება და ვერცერთი პირი ვერ დაისჯება, თუ ეს კანონით არ არის განსაზღვრული. „კანონის მმართველობის“ მიხედვით ქვეყნის მთავარი გამგებელი და რეგულა-

ტორი „კანონია“, რომელიც თავის მხრივ უნდა ემყარებოდეს ადამიანის ბუნებითი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებასა და პატივისცემას. მაგალითად, თუ არ არის გარანტირებული კერძო საკუთრების უფლება და სახელმწიფოს შეუძლია საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით დაათმობინოს მოქალაქეს საკუთრება, თუ ეს საკუთრება კანონიერად არის წარმოშობილი და არ არის კრიმინალური მოქმედების ნაყოფი, გამოდის, რომ სახელმწიფო არღვევს კანონის მმართველობის პრინციპებს და თვითნებობს საკუთარ მოქალაქეებზე. ამგვარ ვითარებაში, ჯონ ლოკი ამართლებდა ადამიანის ამბოხების უფლებას მოძალადე მთავრობის წინააღმდეგ, რადგანაც იგი ხელს უშლის ადამიანის ბუნებით და თავისუფალ განვითარებას. „კანონის მმართველობა“, ეს ანგლო-საქსური ტერმინი და გამოგონებაა, რომელსაც შემდგომში გერმანულ ტრადიციაში „სამართლებრივი სახელმწიფოს“ კონცეფცია ეწოდა. ანგლო-საქსური ტრადიცია უფრო მიელტვის განსაზღვროს თუ რა არის აკრძალული, ხოლო გერმანული ტრადიცია ცდილობს განსაზღვროს არა მარტო ის თუ რა არის აკრძალული, არამედ ისიც, თუ რა არის დაშვებული.

კონსტიტუცია აწესებს აგრეთვე გადაწყვეტილების მიღების მთავარ მექანიზმს ყოველ სახელმწიფოში და ადგენს კონკრეტული პოლიტიკური სტრუქტურების და ინსტიტუტების კომპეტენციებისა და პასუხისმგებლობების მთავარ სფეროს. შესაბამისად, თუ გვსურს ამა თუ იმ სახელმწიფოს მმართველობის სისტემა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი გავიგოთ, უპირველესად ამ ქვეყნის კონსტიტუციაში უნდა ჩავიხედოთ. კონსტიტუციონალიზმის თეორიის ჩამოყალიბებაში ფუნდამენტური როლი ითამაშეს ჯონ ლოკმა და ფრანგმა განმანათლებელმა შარლ ლუი მონტესკიემ (Montesquieu, 1689-1755). ამ მხრივ მონტესკიეს როლი სრულიად განსაკუთრებულია. ჯონ ლოკი ასაბუთებდა, რომ ადამიანი თავისუფალი და თანასწორი იბადება და შესაბამისად მისი ეს ორი ფუნდამენტური ღირებულება ასახული უნდა ყოფილიყო ქვეყნის პოლიტიკურ ყოფა-ცხოვრებაში. ლოკი ფიქრობდა, რომ ყველა ხელისუფლებას შეიძლება ჰქონდეს საკუთარი ძალაუფლების გადამეტებისადმი მიდრეკილება, რასაც შემდგომში მთავრობა საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენებდა და ხალხის ინტერესებს უგულვებელყოფდა. შედეგად, სახეზე გვექნება ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლების ხელყოფა, რაც თავის მხრივ არღვევს ბუნებით ჰარმონიას და აყალიბებს „უკეთურებას“. ამიტომაც ჯონ ლოკი მივიდა დასკვნამდე, რომ თუ მთავრობას გარკვეულ ჩარჩოში არ მოვაქცევთ და მის ძალაუფლებას კონკრეტულ საზღვრებს არ დავუდგენთ, ყოველთვის იარსებებს მთავრობის მხრიდან ძალაუფლების გადამეტების საფრთხე. ჯონ ლოკის მიხედვით, სწორედ კონსტიტუციას უნდა შეესრულებინა ამგვარი მუხრუჭის ფუნქცია. ამავე დროს, ლოკი ასაბუთებდა, რომ ხელისუფლება ეფექტური და გულისხმიერი რომ გახდეს, სჯობს მთავრობის ხელისუფლების დანაწილება მოხდეს, რათა ძალაუფლების კონცენტრაციამ რომელიმე მთავრობის ხელში უკეთუ-

რი შედეგი არ გამოიღოს. აღნიშნული თეორია განსაკუთრებით კარგად დაამუშავა შარლ ლუი მონტესკიემ ნაშრომში *„კანონთა გონი“ (1748)* რომელსაც დღეს მეცნიერები **„ხელისუფლების დანაწილების“** თეორიას უწოდებენ. მონტესკიე იზიარებდა ლოკის შეხედულებას მთავრობის უკონტროლო ძალაუფლების საშიშროების შესახებ, ამიტომაც შესანიშნავად დაასაბუთა, თუ როგორ უნდა მოხდეს ხელისუფლების ფორმირება ისე, რომ ერთი მხრივ იყოს დანაწილებული, ხოლო მეორე მხრივ არ იყოს დაქსაქსული, არამედ იყოს ეფექტური და გულისხმიერი. მონტესკიეს მიხედვით, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. ოდესღაც ეს სამივე ხელისუფლება მეფის ხელში იყო თავმოყრილი და ამიტომაც, ხშირად იგი საფრთხეს წარმოადგენდა. მონტესკიე ასაბუთებდა, რომ თუ ამ სამი ტიპის ხელისუფლებას გავყოფთ ერთმანეთისგან, ოღონდ ისე, რომ ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეეძლოთ და ამავე დროს ერთმანეთს აკავებდნენ და აწონასწორებდნენ, სწორედ იმგვარ ხელისუფლებას და მმართველობის სისტემას მივიღებთ, რომელიც საყოველთაო ინტერესებს უპასუხებს და არ დაუშვებს ხელისუფლების თავნებობას. ეს კი თავის მხრივ „კანონის მმართველობის“ განხორციელების საფუძველი გახდებოდა. მონტესკიეს თეორიამ უდიდესი გავლენა მოახდინა თანამედროვე მმართველობითი სისტემების ჩამოყალიბებაზე და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. მონტესკიეს აღწერილ ხელისუფლების განაწილების კლასიკურ მოდელთან ყველაზე უფრო ახლოს აშშ-ის მმართველობითი სისტემა დგას, თუმცა ევროპული ქვეყნებიც, როგორ წესი, ერთგულობენ მონტესკიეს ნაფიქრალს, ოღონდ ამ თეორიამ იქ ცოტა განსხვავებული სახე მიიღო, შინაარსი კი იგივე დაიტოვა.

„კანონის მმართველობის“ მიხედვით ქვეყნის მთავარი გამგებელი და რეგულატორი „კანონია“, რომელიც თავის მხრივ უნდა ემყარებოდეს ადამიანის ბუნებითი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებასა და პატივისცემას.

შარლ ლუი მონტესკიე (Montesquieu, 1689-1755)

დიდი ფრანგი მოაზროვნე და ფილოსოფოსი, ავტორი ნაწარმოებებისა „სპარსული წერილები“ (1721), „მოსაზრებები რომაელთა აღზევებისა და დაცემის მიზეზების შესახებ“ (1734). განსაკუთრებით ცნობილია მისი პოლიტიკური ტრაქტატი „კანონთა გონი“ (1748).

2.2. ხელისუფლების დანაწილება კონსტიტუციის მიხედვით

ხელისუფლების დანაწილება და პოლიტიკური რეჟიმები: ხელისუფლების დანაწილება ძირითადი ფუნდამენტია, რაზეც კონსტიტუციონალიზმი დგას, რადგანაც ერთი მხრივ იგი ზღვარს უდებს მთავრობის უფლებამოსილებებს, ხოლო მეორეს მხრივ ანაწილებს ისე, რომ მთავრობამ ვერ შეძლოს ანტიხალხულ მმართველობად გარდაქმნა. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ ადამიანმა მოახერხოს თავისუფლად განვითარება და დაიცვას ის ბუნებითი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც მას დაბადებითვე თან დაჰყვა. ამის მიუხედავად, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ყველა ქვეყანაში ერთი და იგივე არ არის. იმ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლება რეალურად დანაწილებულია და ხალხი მეტ-ნაკლებად დაცულია ხელისუფლების ძალმომრეობისგან, ლიბერალურ დემოკრატიებს უწოდებენ. ლიბერალურ დემოკრატიებში ხელისუფლება ხალხის თავისუფალი არჩევანის საფუძველზე ყალიბდება, რომელიც შემდგომში იძულებულია ანგარიში გაუწიოს ხალხისავე ნება-სურვილებს. ლიბერალურ დემოკრატიებში, კონსტიტუციაში აღწერილი „კანონის მმართველობის“ პრინციპები რეალურ პრაქტიკაში ხორციელდება და ამიტომაც მათ ლიბერალურ დემოკრატიულ რეჟიმებს უწოდებენ. რეჟიმი არის ისეთი წესების და მეთოდების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც იმართება ესა თუ ის ქვეყანა.

ბევრი შემთხვევაა მსოფლიოში, როდესაც ფორმალურად არსებობენ კონსტიტუციები, მაგრამ რეალურად ძალაუფლება ხალხის ხელში არ არის და იგი რომელიმე პირის ან ჯგუფის მიერ არის მიტაცებული. ასეთი ტიპის ქვეყნებს ავტორიტარულ პოლიტიკურ რეჟიმებს უწოდებენ. ავტორიტარულ ქვეყნებში, ხელისუფლება ერთი პირის, ან ჯგუფის მიერაა მიტაცებული. შესაბამისად, ხალხია ხელისუფლების ნება-სურვილის აღმსრულებელი და არა ხელისუფლება ხალხის. როგორც წესი, ასეთ ვითარებაში, ხელისუფლება საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებას და შენაჩუნებას ძალის უკანონო გამოყენებით და ტერორის საშუალებით ახერხებს. ავტორიტარული მმართველობა შესაძლოა წარმოიშვას, როგორც სახელმწიფო გადატრიალების საფუძველზე, ისე გადატრიალების გარეშე ხელისუფლების მითვისებითაც. ხშირია შემთხვევები, განსაკუთრებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, როდესაც მეტ-ნაკლებად სამართლიანად არჩეული ხელისუფლება აღარ თმობს პოზიციებს და სურს მოპოვებული მდგომარეობა უსასრულოდ შეინარჩუნოს. მაგალითად, ცენტრალური აზიის ბევრ ქვეყანაში არჩეულმა პრეზიდენტებმა თავი ქვეყნის სამუდამო მმართველებად გამოაცხადეს და გაურკვეველ დრომდე ინარჩუნებენ ხელისუფლებას. ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში ძალზე გავრცელებულია სამხედრო გადატრიალებები, როდესაც სამხედრო პირები ჩაიგდებენ ხოლმე ხელში ძალაუფლებას და თუკი მათ ძალით არ აიძულებს ვინმე ხელისუფლების დათმობას, საკუთარი ნებით არ თმობენ. ირანში მთელი ძალაუფლება სასულიერო პირების ხელშია მოქ-

ცეული და სახელისუფლებო შტო ვერცერთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს თუ მასზე თანხმობა არ განაცხადა ირანის სასულიერო ლიდერმა, რომელიც „შეიხ ოლ ესლამის“ ტიტულს ატარებს.

შესაძლებელია ავტორიტარიზმში არსებობდეს სამოქალაქო თავისუფლებების მცირე ნაწილი (მაგალითად კერძო საკუთრების და მეწარმეობის უფლება, რისი კარგი მაგალითი ჩინეთია), რომელიც თუკი ხელისუფლებას არ შეუქმნის პრობლემებს, არცერთი ავტორიტარული, დიქტატორული მთავრობა მას არ შეეხება. მაგრამ, როდესაც კი ავტორიტარული ხელისუფლებისთვის საშიში ხდება ასეთი თავისუფლებები, ის შეეცდება დათრგუნოს და გააცამტვეროს ისინი. ყველა ავტორიტარულ ქვეყანაში ფორმალურად არსებობს კონსტიტუციები და ხელისუფლების კონსტიტუციური დანაწილება, რაც მხოლოდ ფასადური სახით სრულდება და საქმე არაფერი აქვს „კანონის მმართველობის“ უმთავრეს საკონსტიტუციო პრინციპთან. ავტორიტარიზმის უკიდურესი ფორმაა ტოტალიტარული სახელმწიფო. ტოტალიტარული სახელმწიფოს კლასიკური მაგალითია სტალინის დროინდელი საბჭოთა კავშირი და ჰიტლერის დროინდელი ნაცისტური გერმანია. ტოტალიტარულ სახელმწიფოში სახელმწიფო „ტოტალურად“, ანუ სრულად აკონტროლებს საზოგადოების ყველა სფეროს. გაბატონებულია ერთი იდეოლოგია, ერთი პოლიტიკური პარტია, აკრძალულია კერძო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ხშირ შემთხვევაში სრულიად აკრძალულია კერძო საკუთრება და მეწარმეობა (როგორც ეს საბჭოთა კავშირში) იყო და ყველა ხელისუფლება პარტიულ ბელადს ემორჩილება. ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმებისთვის სრულიად მიუღებელია ხელისუფლების დანაწილება, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ მიღებულ კონსტიტუციებში წერია ისეთი სპეციალური მუხლები, რომლებიც თითქოს „კანონის მმართველობას“ უნდა ემსახურებოდნენ. ტოტალიტარულ რეჟიმში ადამიანი და საზოგადოება მხოლოდ სახელმწიფოს მსახურის როლშია და მისი ნებისმიერი კრიტიკა და წინააღმდეგობა ისჯება სიკვდილით, ქონების ჩამორთმევით ან გადასახლებით. ასეთი პირები, როგორც წესი, ტოტალიტარიზმის მიერ „სამშობლოს მოღალატეებად“ არიან გამოცხადებულნი და საზოგადოებიდან სრულიად გარიყულები არიან. სადღეისოდ, ტოტალიტარიზმის ამგვარ ფორმას ყველაზე მიახლოებული სახელმწიფო ალბათ ჩრდილოეთ კორეაა. ჩინეთმა, უკანასკნელი ათწლეულებია უარი თქვა ტოტალიტარიზმის ამგვარი კლასიკური ფორმით განხორციელებაზე, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ბელადიზმს, ერთპარტიულ კომუნისტურ მმართველობას და ერთ კომუნისტურ იდეოლოგიას ეფუძნება, თუმცა მასში საკმაოდ ჭარბადაა კერძო საკუთრების და საბაზრო კონკურენციის ელემენტები.

ხელისუფლების განაწილების ძირითადი სისტემები კონსტიტუციების მიხედვით: ყოველი კონსტიტუცია სხვადასხვაგვარად ანაწილებს ხელისუფლებას მის შტოებს შორის. თუმცა, სრულიად ერთგვაროვანი ხელისუფლების განაწილების სისტემა არ არსებობს. არსებობს მხოლოდ მისი სხვადასხ-

ვა ვარიაციები. ამ თვალსაზრისით გამოყოფენ ე.წ. „საპრეზიდენტო მმართველობას“, „საპარლამენტო მმართველობას“ და „ჰიბრიდული“ – შერეული მმართველობის სახეებს.

საპრეზიდენტო მმართველობის პიონერია აშშ. საპრეზიდენტო მმართველობის ამერიკული ფორმა დღემდე კლასიკურად მიიჩნევა და ის ყველაზე ახლოს დგას მონტესკიეს მიერ აღწერილ ხელისუფლების დანაწილების მოდელთან. მოცემული მმართველობის დროს ცალ-ცალკე ყალიბდება, როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლება და ამ ორის თანამშრომლობის შედეგად ვიღებთ სასამართლო ხელისუფლებას. სახელწოდების მიუხედავად არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, რომ საპრეზიდენტო მმართველობებში პრეზიდენტს ყველაზე მეტი ძალაუფლება აქვს. ძალაუფლება ხელისუფლების სამივე შტოს შორის პრაქტიკულად თანაბრადაა განაწილებული და ისინი ერთმანეთის კომპეტენციაში არ ერევიან, თუმცა არც ერთმანეთის გარეშე შეუძლიათ არსებობა. მაგალითად, პრეზიდენტი არის ქვეყნის მეთაური, აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და უმაღლესი მთავარსარდალი, თუმცა საკითხი ომის გამოცხადების და სამხედრო ხარჯების დაფარვის შესახებ აშშ-ის კონგრესის, ანუ საკანონმდებლო ხელისუფლების გადასაწყვეტია. აშშ-ის კონგრესი იღებს კანონებს მაგრამ, იგი უნდა დაამტკიცოს პრეზიდენტმა. პრეზიდენტს შეუძლია ხელი არ მოაწეროს კონგრესის წარდგენილ კანონპროექტს და უკან დაუბრუნოს კონგრესს. პრეზიდენტის ამ უფლებას „ვეტოს“ (Veto ლათინურად ნიშნავს „ვკრძალავ“) უფლებას უწოდებენ. შემდგომში კონგრესი იწყებს პრეზიდენტის დაბრუნებული კანონის ხელახალ განხილვას და თუ მის გადალახვას კონგრესის ორივე პალატის ხმათა 2/3-ით შეძლებს, მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება კანონის მიღება და პრაქტიკაში გატარება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამერიკულ პრაქტიკაში ეს იშვიათად ხდება. თუ პრეზიდენტი უკანონოდ მოიქცევა, კონგრესს უფლება აქვს წამოიწყოს პროცედურა, რომლის შედეგადაც გადააყენებს პრეზიდენტს. კონგრესის ამ უფლებას და პროცედურას „იმპიჩმენტი“ ეწოდება. თუმცა თუ წარმოიქმნა დავა იმის შესახებ, თუ რამდენად კანონიერი და კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოდის პრეზიდენტის ან კონგრესის მოქმედება, საქმე უზენაეს სასამართლოს გადაეცემა, რომლის განჩინება უმაღლესი ვერდიქტია და შემდგომ გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ზოგადად, სასამართლო ხელისუფლებას აშშ-ში დიდ პატივს სცემენ და მას ხშირად „დემოკრატიის თვალსაც“ უწოდებენ.

საპარლამენტო მმართველობა ხელისუფლების დანაწილების მეორე კლასიკური მოდელია, რომლის სამშობლოდ დიდი ბრიტანეთი მიიჩნევა. ამ მოდელით ძალაუფლების უდიდესი ნაწილი პარლამენტის ხელშია თავმოყრილი და აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირება პრაქტიკულად პარლამენტის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. თუმცა, საპარლამენტო მმართველობის ქვეყნებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან და

საკუთარი სპეციფიკა გააჩნიათ. საპარლამენტო მმართველობის ინგლისური ტრადიცია მე-13 საუკუნიდან იღებს სათავეს, როდესაც ბარონებმა აიძულეს მეფე ჯონ უმიწაწყლოს ხელი მოეწერა „მაგნა ქარტაზე". ამის შემდეგ შეიზღუდა მეფის ხელისუფლება და გაიზარდა პარლამენტის ძალაუფლება, რომელიც თავის მხრივ სხვადასხვა სოციალური წოდების წარმომადგენლობითი ორგანო გახდა. ინგლისის მთელი ისტორია, პრაქტიკულად მე-20 საუკუნემდე, მეფეს და პარლამენტს შორის არსებული ბრძოლაა ძალაუფლებისთვის, რომელიც საბოლოოდ პარლამენტის გამარჯვებით დასრულდა. ინგლისი 1688 წლის „სახელოვანი რევოლუციის" (Glorious Revolution) შედეგად კონსტიტუციურ მონარქიად გარდაიქმნა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეფის ხელისუფლება მხოლოდ პარლამენტის დადგენილებების აღმასრულებელ ინსტიტუციად იქცა. დროთა განმავლობაში, მონარქის სააღმსრულებლო ფუნქციაც სიმბოლურად გადაიქცა და ის მინისტრთა კაბინეტის ხელში მოექცა. აღმასრულებელ ხელისუფლებას, მთავრობას/მინისტრთა კაბინეტს დიდ ბრიტანეთში პარლამენტი აყალიბებს და სასამართლო ხელისუფლებაც მის ხელშია თავმოყრილი. ტრადიციულად, დიდ ბრიტანეთში სასამართლო ხელისუფლებას პარლამენტის ზედა პალატა, ლორდთა პალატა ითავსებდა, თუმცა, 2005 წლის რეფორმების შედეგად სასამართლო ხელისუფლებამ ცალკე დაიწყო ჩამოყალიბება, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გამოყოფილი პარლამენტისგან. დიდი ბრიტანეთის მოდელს ხელისუფლების დანაწილების „ვესტმისტერის მოდელს" უწოდებენ, რაც პრაქტიკულად ხელისუფლების სუსტ განაწილებას ნიშნავს, აშშ-ის სისტემისგან განსხვავებით. ამიტომაც დიდი ბრიტანეთი ხშირად მოიხსენიება, როგორც „საპარლამენტო დიქტატურად" ან „არჩევით დიქტატურად".

ბრიტანული მოდელისგან განსხვავებულია გერმანული საპარლამენტო მმართველობა. აქაც ხელისუფლება ძირითადად პარლამენტის ხელშია თავმოყრილი, მაგრამ სასამართლო და სახელმწიფოს მეთაურის ხელისუფლებას (რომელსაც პრეზიდენტი ეწოდება, მაგრამ მისი უფლებები აშშ-ის პრეზიდენტთან შედარებით ძალზედ სუსტია და პრაქტიკულად მხოლოდ სიმბოლურია) მხოლოდ პარლამენტი არ აყალიბებს. ეს ორი ხელისუფლება სხვადასხვა სახელისუფლო შტოების ურთიერთშეთანხმების შედეგად იქმნება. თუმცა, აღმასრულებელ ხელისუფლებას, ანუ მინისტრთა კაბინეტს, რომელსაც პარლამენტის დადგენილი კანონების პრაქტიკაში გატარება ევალება, ექსკლუზიურად გერმანიის პარლამენტი, ანუ ბუნდესტაგი აყალიბებს. დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებით, გერმანია რესპუბლიკაა და არა კონსტიტუციური მონარქია. გერმანიაში, მეორე მსოფლიო ომის შედეგად გაჩნდა „საკონსტიტუციო სასამართლო", რომელიც შემდგომში მთელ ევროპაში და მათ შორის საქართველოშიც გავრცელდა. საკონსტიტუციო სასამართლო გამოყოფილია უზენაესი სასამართლოსგან და მხოლოდ კონსტიტუციური დავის საკითხებს განიხილავს. ეს იყო გერმანული „სამართლებრივი სახელმწიფოს" კონცეფციის განვითარების შედეგი, რომელიც განსხვავდება აშშ-

ისგან, სადაც უზენაესი სასამართლოა უმაღლესი მსაჯული და კონსტიტუციურ დავებსაც მხოლოდ ის აგვარებს. აშშ-ში არ არსებობს ცალკე კონსტიტუციური სასამართლოს პრაქტიკა.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ საპარლამენტო მმართველობის მოდელი საკმაოდ გავრცელებულია და ევროპული ქვეყნების უდიდესი ნაწილი საპარლამენტო მმართველობისაა, თუმცა, თითოეულ ქვეყანას საკუთარი სპეციფიკა გააჩნია და სრულიად არ იმეორებს მეორე ქვეყნის მოდელს.

ნახევრადსაპრეზიდენტო და ჰიბრიდული მმართველობის ფორმები: ხელისუფლების დანაწილების მესამე ძირითადი მოდელია ე.წ. „ჰიბრიდული“ ანუ შუალუდური მოდელი. ამ სისტემას ხშირად „ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკასაც“ უწოდებენ. მისი სამშობლო საფრანგეთია 1958 წლიდან. მმართველობის ამ მოდელში, ზოგადად აღმასრულებელი ხელისუფლება დომინანტობს, მაგრამ იგი ორი პირის, პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის ხელშია თავმოყრილი და განაწილებული. ამერიკული სისტემის მსგავსად, პრეზიდენტის ხელისუფლება, საკანონდებლო ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად ყალიბდება, მაგრამ მის ხელში ძირითადად საგარეო პოლიტიკა და ქვეყნის შიდა პოლიტიკის ზოგადი განსაზღვრის კომპეტენციაა. პრემიერ-მინისტრსა და მინისტრთა კაბინეტს ირჩევს საფრანგეთის პარლამენტი, ანუ ეროვნული კრება/კონვენტი და მის ხელში თავმოყრილია ქვეყნის შიდა პოლიტიკის წარმოების მთავარი ბერკეტები. პარლამენტის ძალა გამოიხატება იმაში, რომ იგი იღებს კანონებს და ირჩევს მინისტრთა კაბინეტს, მაგრამ საკანონმდებლო ინიციატივების დიდი ნაწილი, როგორც წესი, აღმასრულებელი ხელისუფლების წილზე მოდის. სასამართლო ხელისუფლება, დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებით, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების შეთანხმების შედეგად ყალიბდება. თუ პრეზიდენტის, პარლამენტის და პრემიერ-მინისტრის თანამდებობები ერთი პოლიტიკური ძალის ხელშია თავმოყრილი, პრეზიდენტის ძალაუფლება ძალიან იზრდება და პრაქტიკულად უკონტროლო ხდება. ხშირია შემთხვევა, როდესაც პარლამენტის ძალაუფლება სხვა პოლიტიკური პარტიის ხელშია და პრეზიდენტი კი სხვა პარტიის წარმომადგენელია. ამ დროს პრეზიდენტი იძულებული ხდება პრემიერ-მინისტრად საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი დანიშნოს. ამ შემთხვევაში, სუსტდება პრეზიდენტის პრაქტიკული ძალაუფლება და იზრდება პარლამენტის კონტროლი და ძალაუფლება. ეს პროცესი ერთ წელზე მეტ ხანს არ გრძელდება ხოლმე და ხშირად ამ პროცესს „კოაბიტაციას“ („თანაცხოვრებას“) უწოდებენ, რაც გულისმობს პრეზიდენტის და პარლამენტის იძულებით თანამშრომლობას და არანებაყოფილობით დამეგობრებას. „კოაბიტაციის“ დროს, როგორც წესი, არც პარლამენტი და არც პრეზიდენტი რაიმე განსაკუთრებულ გადაწყვეტილებებს არ იღებს. ისინი ცდილობენ ქვეყანა კრიზისში არ შეიყვანონ და მოითმინონ, სანამ ახალი საპრეზიდენტო არჩევნები არ ჩატარდება და ძალ-

თა განლაგება არ შეიცვლება. საფრანგეთის უახლეს ისტორიაში ამგვარი „თანაცხოვრების“ პრეცედენტი რამდენჯერმე მოხდა.

ფრანგული „ჰიბრიდული“, „ნახევრადსაპრეზიდენტი“ მმართველობის მოდელი საკმაოდ გავრცელებულია მსოფლიოში. იგი განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ყოფილი საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ბევრი ქვეყნისთვის, როგორებიცაა: პოლონეთი, ხორვატია, უკრაინა, მოლდოვა, ლიტვა, რუმინეთი და სხვა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ ქვეყნებშიც აღნიშნულმა მოდელმა საკუთარი სახე მიიღო. მოცემულ შემთხვევებში, ხშირად პარლამენტი უფრო მეტს და პრეზიდენტი უფრო სუსტ ძალაუფლებას და უფლებამოსილებებს ფლობს, ვიდრე ეს ფრანგულ ორიგინალურ ვერსიაშია. ამიტომაც, გაჩნდა შედარებით ახალი „ჰიბრიდები“ და სახელწოდებები, როგორებიცაა „საპარლამენტო-საპრეზიდენტო“ და „საპრეზიდენტო-საპარლამენტო“ მმართველობები.

2.3. საქართველო და კონსტიტუციონალიზმი

საქართველო „წერილობითი“ კონსტიტუციის ქვეყანაა. პირველი ქართული კონსტიტუცია 1921 წლის თებერვალში მიიღეს, რომელიც მაშინდელი მსოფლიოს მოწინავე იდეების მიხედვით შექმნეს მისმა ავტორებმა. სამწუხაროდ, საბჭოთა ოკუპაციის გამო, კონსტიტუციამ სულ რამდენიმე კვირა იარსება. საბჭოთა კავშირში საქართველოს გააჩნდა კონსტიტუცია, მაგრამ იმის გამო, რომ იგი მხოლოდ ფასადური სახისა იყო, მას ჩვენი სამშობლოსთვის არ შეუქმნია კონსტიტუციონალიზმის ტრადიცია. ამჟამინდელი კონსტიტუცია 1995 წელს იქნა მიღებული, თუმცა მან რამდენიმე ისეთი ძლიერი ცვლილება (2004, 2010, 2017 და 2020 წელს) განიცადა, რომ პრაქტიკულად ბევრი რამ შეცვალა მის პირვანდელ ვერსიაში. ზოგადად უნდა ითქვას, რომ კონსტიტუციების შექმნის და ცვლილებების პროცესი ძალიან მტკივნეული იყო და არის თანამედროვე საქართველოში და დღემდე ბევრ გაუგებრობას იწვევს. ამიტომაც, განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს მოსახლეობაში კონსტიტუცია არცთუ ისე პოპულარული და ნაცნობი ტექსტია, განსხვავებით მაგალითად აშშ-ისგან, სადაც კონსტიტუცია ამერიკული ეროვნული ტრადიციების კატეგორიას განეკუთვნება. ეს რა თქმა უნდა, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების სპეციფიკით არის განპირობებული. იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ საქართველომ უამრავი საგარეო და საშინაო გასაჭირი გადაიტანა, გაუჭირდა მკვიდრი



საქართველოს კონსტიტუცია
მუხლი 4. სამართლებრივი სახელმწიფო
„3. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.“

სახელმწიფო ინსტიტუტების აშენება, რომელიც როგორც წესი, უმთავრესად პასუხისმგებელია კონსტიტუციის დანერგვასა და მოსახლეობაში მის პოპულარიზაციაზე, ამიტომ, შესაძლოა ითქვას, რომ აშშ-ისგან განსხვავებით, კონსტიტუცია არ იკავებს საქართველოში დღემდე იმავე საპატიო ადგილს. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს მუდამ ასე იქნება. როგორც სხვა ქვეყნების მაგალითი ადასტურებს, კონსტიტუციურმა თანაცხოვრებამ გარკვეული სტაბილური განვითარების ეტაპი უნდა განვლოს, რათა მისდამი პატივისცემა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნორმა გახდეს.

ხელისუფლების დანაწილების საკითხი ერთი-ერთი მთავარი პრობლემათაგანია თანამედროვე საქართველოსთვის. სახელმწიფოებრივი და კონსტიტუციური არამდგრადობა, რომელიც წითელ ზოლად გასდევს ჩვენს უახლეს ისტორიას, დიდწილად სწორედ ხელისუფლების დანაწილების საკითხებითაა განპირობებული. საქართველოში ხელისუფლების დანაწილების პირველი მცდელობები შეიძლება შეგვხვდეს შორეულ წარსულში. მე-12 და მე-13 საუკუნეების საქართველოში, თამარის მეფობის დროს, მეჭურჭლეთუხუცესმა ყუთლუ-არსლანმა მოითხოვა სამეფო სასახლის გვერდით „კარვის“ დადგმა, რომელსაც ხელში უნდა აეღო საკანონმდებლო საქმიანობა და მეფისთვის მხოლოდ აღმასრულებლის ფუნქცია დაეტოვებინა. გამოსვლა დამარცხდა, თუმცა მეფის ერთპიროვნული ხელისუფლება მაინც შესუსტდა და გაიზარდა მეფესთან არსებული სათათბირო ორგანოს – დარბაზის უფლებები. ხშირად ისტორიკოსები ყუთლუ-არსლანის გამოსვლას ინგლისში განვითარებულ საპარლამენტო მოძრაობას ადარებენ და მასთან პარალელებს ავლებენ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენ დაწვრილებით მაინც არ ვიცით ყუთლუ-არსლანის მოძრაობის დეტალური მიზნები და პროგრამა და ამიტომ გადაჭრით რაიმეს თქმა რთულია. ის კი უნდა ითქვას, რომ ისტორიულად მეფის ხელისუფლებამ აბსოლუტურ ძალაუფლებას ვერ მიაღწია საქართველოში და მის ფუნქციონირებაზე დიდ გავლენას ახდენდა ფეოდალური კლასი და ეკლესია, განსაკუთრებით კი მე-15 საუკუნის შემდეგ, როდესაც ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქია გაქრა და მის ადგილზე რამდენიმე ახალი სახელმწიფო აღმოცენდა. მეფე ანგარიშს უწევდა მმართველ ფეოდალურ კლასს და ხშირად მისი ხელისუფლების სიმყარე მასზე იყო დამოკიდებული. თუმცა, ამავე დროს, მეფე არასოდეს არ იყო ეკლესიის ოფიციალური მეთაური, როგორც ეს ბევრ ქრისტიანულ ქვეყანაში იყო (მაგ. ბიზანტიის იმპერიაში, ინგლისში, რუსეთში პეტრე პირველის მმართველობიდან საბჭოთა კავშირამდე სახელმწიფო იყო ეკლესიის უზენაესი გამგებელი და ა.შ.).

სახელმწიფოს მმართველობა ხორციელდებოდა სხვადასხვა სამართლებრივი კოდიფიკაციების მიხედვით (მაგ. ბექა-აღბუღას სამართალი, ვახტანგ მეფის სამართალი, გიორგი ბრწყინვალეს *„ძეგლის დება“* და სხვ.), სადაც მოცემული იყო, როგორც მეფის, ასევე სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციები და კომპეტენციები. საქართველოს ამდაგვარი მდგომარეობა, გარკვეუ-

ლწილად, „დაუწერელი კონსტიტუციის“ ვითარებას გვაგონებს, თუმცა მე-20 საუკუნემდე ჩვენი ქვეყნისთვის უცხო იყო თანამედროვე საკონსტიტუციო ხელისუფლების დანაწილების სისტემა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მე-18 საუკუნის ქართველი მოაზროვნის ალექსანდრე ამილახვრის ნაშრომში (რომელიც მან იმერეთის მეფე სოლომონ I-ს მიუძღვნა) *„ბრძენი აღმოსავლეთისა“* მოცემულია ხელისუფლების დანაწილების გარკვეული ელემენტები, რომელიც ფრანგი განმანათლებლების გავლენის შედეგად შეიქმნა. ალექსანდრე ამილახვრის იდეები პრაქტიკაში არ განხორციელებულა და მყარი პოლიტიკური ტრადიცია არ შეუქმნია. ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე იოანე ბატონიშვილის სახელმწიფო რეფორმების პროექტი, რომელიც მან მე-18 საუკუნის ბოლოს შექმნა ქართლ-კახეთის სამეფოსთვის. რომ არა რუსული ბატონობა, ეს პროექტი რეალობად იქცეოდა. თუმცა, ამ რეფორმების პროექტშიც არ არის ბოლომდე დამუშავებული ხელისუფლების თანამედროვე დანაწილების საკითხები, მაგრამ მანამდე არსებულ ვითარებასთან შედარებით, გაცილებით პროგრესული იყო და ქვეყნის მოდერნიზაციის დასაწყისს მოითხოვდა.

საქართველოში ხელისუფლების დანაწილების პირველი კონსტიტუციური სისტემა მოცემულია 1921 წლის თებერვლის კონსტიტუციაში. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, კონსტიტუციის მიღებამდე პრაქტიკაში საქართველოში უკვე მოქმედებდა ხელისუფლების დანაწილების სისტემა, უბრალოდ 1921 წლის კონსტიტუციამ მისი სისტემატიზაცია მოახდინა. კონსტიტუციით საქართველო კლასიკურ საპარლამენტო ქვეყნად ცხადდებოდა, რომელიც მინისტრთა კაბინეტს და მთავრობის თავმჯდომარეს ერთი წლის ვადით ირჩევდა. სასამართლო ხელისუფლება საპარლამენტო და აღმასრულებელი ხელისუფლების თანამშრომლობის შედეგად ყალიბდებოდა და მთელი პოლიტიკური ძალაუფლება პრაქტიკულად პარლამენტის ხელში იყო თავმოყრილი. თუმცა, ერთი საინტერესო თავისებურების მიხედვით, მთავრობის თავმჯდომარე ქვეყნის მეთაურის ფუნქციებსაც ითავსებდა (მაშინ, როცა კლასიკურ საპარლამენტო მმართველობებში ქვეყნის მეთაური ან მონარქია, თუ ეს საკონსტიტუციო მონარქიებს ეხება და პრეზიდენტია თუ რესპუბლიკაა, რომელიც არა აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, არამედ ქვეყნის მეთაურია მეტად შეზღუდული, ნომინალური უფლებებით), რაც პრემიერ-მინისტრის, ანუ მთავრობის თავმჯდომარის პოლიტიკურ პროცესებზე რეალურ გავლენას გაცილებით ზრდიდა, თუმცა ძალაუფლებას და ლეგიტიმაციას პარლამენტისგან იღებდა. მოცემულმა სისტემამ საქართველოში მხოლოდ 1921 წლის მარტამდე იარსება, როდესაც საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ იძულებით დატოვა ქვეყანა და ემიგრაციაში გაემგზავრა. ამის შემდგომ, 1990 წლის ოქტომბრამდე საქართველოში საბჭოთა ტოტალიტარიზმი ბატონობდა, რომლის უმთავრესი პრინციპი ხელისუფლების უკიდურესი კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია იყო მმართველი პარტიის ხელში. ყველა სხვა დანარჩენი სახელისუფლო შტო რეალურად უშინაარსო, ფასადური ხასიათის იყო.

1990 წლი 28 ოქტომბრის მრავალპარტიულმა საპარლამენტო არჩევნებმა შეცვალა აღნიშნული სისტემა საქართველოში და საპარლამენტო რესპუბლიკა დაამყარა, რომელიც სწრაფადვე 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ ფრანგული ტიპის ჰიბრიდულ რეჟიმად, ანუ ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკად გარდაიქმნა ზვიად გამსახურდიას (1939-1993) მეთაურობით. 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, ფორმალურად, ახალმა ხელისუფლებამ ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით, სწრაფადვე აღადგინა 1921 წლის კონსტიტუცია, რომელსაც რეალურად პრაქტიკაში არასდროს უმოქმედია. გაჩნდა ქვეყნის მეთაურის პოსტი, რომელიც არც პრეზიდენტი იყო და არც მთავრობის თავმჯდომარე. იგი პრემიერ-მინისტრის თანამდებობასთან ერთად თანაარსებობდა. 1995 წელს ახალი კონსტიტუციის მიღების შემდგომ, ქვეყანა ამერიკულ საპრეზიდენტო მმართველობასთან მიახლოებულ სისტემად გამოცხადდა, თუმცა ამერიკული ანალოგისგან ბევრი რამ განასხვავებდა. მაგალითად, პრეზიდენტი პირდაპირი წესით აირჩეოდა და არა ირიბად, როგორც ეს აშშ-ია. ამავე დროს, შეიქმნა სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა, რომელიც პრემიერ-მინისტრის თანამდებობის მსგავსი ერთგვარი კვაზი ვერსია იყო და განსხვავდებოდა ვიცე-პრეზიდენტის ინსტიტუტისგან, როგორც ეს აშშ-ია. ამავე დროს, ქართული ვითარება, ამერიკულის მსგავსად არ ემყარებოდა ხელისუფლების ფედერაციული განაწილების სისტემას. საგულისხმოა, რომ კონსტიტუციის პირველად, შეჯერებულ პროექტში საქართველო ნახევრადსაპრეზიდენტო მმართველობად ყალიბდებოდა, მაგრამ პრაქტიკაში სხვა პროექტის დანერგვა მოხდა. მოცემული მოდელის მიხედვით აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში მოხვდა ფორმალური, თუ არაფორმალური ხელისუფლების კონცენტრაცია, რომელსაც პრეზიდენტი მეთაურობდა. საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებები უმთავრესად აღმასრულებელი ხელისუფლების ნების აღმასრულებლად გადაიქცა, იმის მიუხედავად, რომ მაშინდელი კონსტიტუცია ითვალისწინებდა ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების პრინციპის ბევრ დებულებას. რეალურ პრაქტიკაში, ხელისუფლება არ ნაწევრდებოდა, თუმცა საბჭოთა ხელისუფლებასთან შედარებით, გაცილებით წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

საინტერესოა ისიც, რომ კონსტიტუციაში ჩაიწერა პუნქტი (რომელიც დღემდეა მცირეოდენი ცვლილების მიუხედავად, რაც მის რეალურ შინარსს არ ცვლის), რომელიც სამომავლოდ, როდესაც აღდგებოდა ქვეყნის ტერიტორიული ერთობა და შესაბამისი პირობები შეიქმნებოდა, ითვალისწინებდა ორპალატიანი პარლამენტის შექმნას. ამ მოდელის მიხედვით, პარლამენტის ზედა პალატა – სენატი, შეიქმნებოდა აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიების და სხვა ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლებისგან, რომელსაც 5 პრეზიდენტის მიერ დანიშნული დეპუტატიც დაემატებოდა, ხოლო ქვედა პალატა, რესპუბლიკის საბჭო, პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე ჩამოყალიბდებოდა.

2003 წლის „ვარდების რევოლუციამ“ დაასრულა შევარდნაძის თერთმეტწლიანი მმართველობა და 2012 წლამდე მიხეილ სააკაშვილის მმართველობას დაუდო სათავე. ახალმა ხელისუფლებამ 2010 წლამდე რამდენიმე კონსტიტუციური რეფორმა გაატარა, რომლის შედეგადაც კიდევ უფრო გაიზარდა აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენა საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებზე, გაჩნდა პრემიერ-მინისტრის პოსტი, რომელიც იყოფდა აღმასრულებელი ხელისუფლების გარკვეულ კომპეტენციებს პრეზიდენტთან, თუმცა აღმასრულებელი ხელისუფლების რგოლის მთლიან ხელმძღვანელად მაინც პრეზიდენტი რჩებოდა. ეს იყო ჰიბრიდი, რომელსაც ხშირად მეცნიერები „სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკას“ უწოდებენ. 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, რომელიც 2013 წელს შევიდა ძალაში, შემცირდა პრეზიდენტის უფლებამოსილება და მის ხარჯზე გაიზარდა პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება. ამას შედეგად, თითქოსდა პარლამენტის უფლებამოსილებების გაზრდა უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ რეალურად აღმასრულებელი ხელისუფლების პოზიციები არ შეცვლილა, ის მაინც ორ დანარჩენ სახელისუფლებო შტოსთან შედარებით ძლიერია.

აზრთა სხვადასხვაობაა იმაზე, თუ რომელი ტიპის ქვეყნად ჩავთვალოთ საქართველო: საპრეზიდენტო, ნახევრადსაპრეზიდენტო თუ საპარლამენტო რესპუბლიკად. მას საპარლამენტო მმართველობის (მთავრობას პარლამენტი აყალიბებს და არა პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრია აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და არა პრეზიდენტი, პარლამენტს აქვს მთავრობის გადაყენების და პრეზიდენტის იმპიჩმენტის უფლება) ბევრი ნიშან-თვისება გააჩნია, მაგრამ საკმაოდ ბევრი ნიშნები აქვს ნახევრადსაპრეზიდენტო მმართველობისაც (პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია, პრეზიდენტს აქვს ვეტოს უფლება, არის ქვეყნის თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, წარმომადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში, გასცემს სახელმწიფო ჯილდოებს და ა.შ.).

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია პარლამენტმა 2017 წლის 26 სექტემბრის რიგგარეშე სხდომაზე 117 ხმით, 2 წინააღმდეგ, მესამე მოსმენით მიიღო. პრეზიდენტმა ვეტო დაადო საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციას, თუმცა პრეზიდენტის ვეტო პარლამენტმა დაძლია და 2017 წლის 13 ოქტომბრიდან (საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციას ხელს აწერს პარლამენტის თავმჯდომარე), ძალაში შევიდა კონსტიტუციის ახალი რედაქცია.

2017 წლის 13 ოქტომბერს მიღებული საქართველოს პარლამენტის დადგენილების „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ მიხედვით, მართალია საქართველოს პრეზიდენტი 2018 წლის არჩევნებზე პირდაპირი წესით და 6 წლის ვადით აირჩა, თუმცა, ახალი კონსტიტუციის მიხედვით, საქართველო უარს ამბობს, ჰიბრიდულ, დუალისტური მმართველობის სისტემაზე და წმინდა საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გადადის. კერძოდ, 2024 წლიდან პრეზიდენტს არა პირდაპირი, არამედ საარჩევნო

კოლეგიის მეშვეობით აირჩევენ 5 წლის ვადით დებატების გარეშე ღია კენჭისყრით. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობაში შედის 300 წევრი, მათ შორის საქართველოს პარლამენტის და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობით ორგანოების ყველა წევრი. საარჩევნო კოლეგიის სხვა წევრებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ორგანული კანონის საფუძველზე განსაზღვრული კვოტების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობიდან ასახელებენ შესაბამისი პოლიტიკური პარტიები. კვოტები განისაზღვრება პროპორციული გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპის დაცვითა და ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების პროპორციის მიხედვით. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

მოცემულ კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით ბევრი აზრთა სხვადასხვაობა იყო საზოგადოებაში. საზოგადოების და ოპოზიციური პარტიების მნიშვნელოვანი ნაწილი მოითხოვდა პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესის დატოვებას, მაგრამ პრეზიდენტის პირდაპირ არჩევნებს საბოლოოდ უარი ეთქვა, იმ მოტივით, რომ რადგან წმინდა საპარლამენტო მმართველობა ყალიბდებოდა, პრეზიდენტის გავლენა და როლი მხოლოდ სიმბოლური იყო, საჭიროებას აღარ წარმოადგენდა ხალხის მიერ პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა.

მთავრობა ხდება აღმასრულებელი ხელისუფლების ერთპიროვნული მეთაური, რომლის ლეგიტიმაცია და კონტროლი მხოლოდ პარლამენტზე იქნება დამოკიდებული.

2020 წლის 8 მარტს პოლიტიკური დიალოგის შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელიც მოგვიანებით საკონსტიტუციო ცვლილებებში აისახა. კერძოდ, მანამდე არსებული 77\73 თანაფარდობის ნაცვლად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები 120/30-ზე შერეული, პარალელური საარჩევნო სისტემით ტარდება: 120 პარლამენტარი პროპორციული წესით და 30 – მაჟორიტარული მანდატით აირჩევა.

2024 წლიდან უქმდება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემაც. პარლამენტი მხოლოდ პროპორციული სისტემით არჩეული 150 წევრით დაკომპლექტდება და პარტიებს საარჩევნო ბლოკების შექმნა აეკრძალებათ.

პარლამენტი

- 150 წევრი: 30 მაჟორიტარი დეპუტატი, 120 პროპორციული სიით გამარჯვებული დეპუტატი;
- აირჩევა 4 წლით, პირდაპირი და საყოველთაო არჩევნების შედეგად;
- 2024 წლიდან პარლამენტი მხოლოდ პროპორციული სისტემით არჩეული 150 წევრით დაკომპლექტდება.

საქართველოს კონსტიტუცია

მუხლი 36. პარლამენტის სტატუსი და უფლებამოსილება

1. „საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.“

პრეზიდენტი

- 2024 წლიდან პრეზიდენტს საარჩევნო კოლეგია აირჩევს 5 წლის ვადით;
- ერთსა და იმავე პირს, ზედიზედ ორჯერ შეუძლია პრეზიდენტად გახდომა.

საქართველოს კონსტიტუცია

მუხლი 49. საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი

„1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი.

2. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

3. საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.“

საქართველოს მთავრობა

საქართველოს კონსტიტუცია

მუხლი 54. მთავრობა

„1. საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

2. მთავრობა ანგარიშვალდებულია და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

3. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან.“

მუხლი 55. საქართველოს პრემიერ-მინისტრი

„1. მთავრობის მეთაურია საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს მინისტრების საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, ხელს აწერს მთავრობის სამართლებრივ აქტებს.

3. პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს საქართველოს სახელით.

4. პრემიერ-მინისტრი ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს. იგი უფლებამოსილია ერთ-ერთ მინისტრს დააკისროს პირველი ვიცე-პრემიერის, აგრეთვე ერთ ან რამდენიმე მინისტრს – ვიცე-პრემიერის მოვალეობა.

5. პრემიერ-მინისტრი მთავრობის საქმიანობისთვის ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე, წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აგრეთვე პარლამენტის მოთხოვნით – სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების მიმდინარეობის ანგარიშს.“

სასამართლო ხელისუფლება

საქართველოს კონსტიტუცია
მუხლი 59. სასამართლო ხელისუფლება
„1. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები.
2. საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მისი შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.
3. მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები. სპეციალიზებული სასამართლოები შეიძლება შეიქმნას მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში. სამხედრო სასამართლოს შემოღება შეიძლება საომარი მდგომარეობის დროს და მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში. საგანგებო სასამართლოების შექმნა დაუშვებელია. საერთო სასამართლოებში საქმეებს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. საერთო სასამართლოების სისტემა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.“

მუხლი 61. საქართველოს უზენაესი სასამართლო
„1. საქართველოს უზენაესი სასამართლო არის საკასაციო სასამართლო.
2. უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში შედის არანაკლებ 28 მოსამართლე. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი.
3. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უზენაესი სასამართლოს წევრთაგან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით 10 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.“

მუხლი 64. იუსტიციის უმაღლესი საბჭო
„1. საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა დანიშვნისა და განთავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საერთო სასამართლოების სისტემის ორგანო – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში შედიან 4 წლის ვადით განწესებული 14 წევრი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტს შეადგენენ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ მოსამართლეთაგან არჩეული წევრები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში, გარდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წევრებისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა, შედიან საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრი და პარლამენტის მიერ სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით არჩეული წევრები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრთაგან ორგანული კანონით დადგენილი წესით 4 წლის ვადით, მაგრამ არაუმეტეს მისი როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადისა, ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს 4 წლის ვადით ირჩევს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო მის მიერ არჩეულ წევრთაგან.
3. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანგარიშვალდებულია საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს წინაშე. ანგარიშგების წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.“

საკონსტიტუციო სასამართლო

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 60. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით.

2. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 10 წლის ვადით განწესებული 9 მოსამართლისგან, რომელთაგან 3 მოსამართლეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 მოსამართლეს სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი, ხოლო 3 მოსამართლეს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება და გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაცია. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

3. საკონსტიტუციო სასამართლო თავის შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.“

კითხვები გააზრებისთვის:

1. როგორ იქმნებოდა კონსტიტუციები და რა მთავარი დანიშნულება ჰქონდათ მათ?
2. რას ეწოდება „კანონის მმართველობა“ და რა კავშირი აქვს მას კონსტიტუციურ წესრიგთან?
3. რას ეწოდება „ხელისუფლების დანაწილების პრინციპი“ და რას უნდა ველოდოთ მისგან?
4. რა კავშირი აქვს ერთმანეთთან კონსტიტუციონალიზმსა და პოლიტიკური რეჟიმის ჩამოყალიბებას?
5. აუცილებელია თუ არა კონსტიტუციონალიზმის არსებობა ლიბერალური დემოკრატიისთვის?
6. რატომ შეიძლება არსებობდეს კონსტიტუციები ავტორიტარულ რეჟიმებში?
7. როგორ დაახასიათებდით საქართველოს გამოცდილებას კონსტიტუციონალიზმთან მიმართებაში?
8. რას ფიქრობთ საქართველოში კონსტიტუციონალიზმის განვითარების პერსპექტივებზე?

თავი III

ადგილობრივი მმართველობა და სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა

კონსტიტუციები, როგორც წესი, ხელისუფლებას არა მხოლოდ ჰორიზონტალურად (ეროვნული, ცენტრალური ხელისუფლების დონეზე), არამედ ვერტიკალურადაც (ადგილობრივად, რეგიონულად) ანაწილებს. იმის გამო, რომ ყველა სახელმწიფო შედგება ტერიტორიული ერთეულებისგან (ქალაქი, პროვინცია, მხარე თუ სოფელი), შესაბამისად, ის საჭიროებს ამ ტერიტორიული ერთეულების გარკვეულ სისტემაში მოყვანას, რათა ერთი მხრივ, ეროვნულ ხელისუფლებას გაუადვილდეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა და მეორე მხრივ, მოსახლეობა უფრო ახლოს იყოს საკუთარ ხელისუფლებასთან და ყოველდღიური საჭიროების საკითხები უფრო მარტივად გადაწყვიტოს. მრავალი ქვეყნის კონსტიტუცია დეტალურად აღწერს მოცემული ტერიტორიული ერთეულების კონკრეტულ უფლებამოსილებებს და კომპეტენციებს, ხოლო ზოგი კონსტიტუცია კი მხოლოდ ზოგად კონსტიტუციურ პრინციპებს იძლევა და მისი დეტალიზაცია ცალკე არსებული კონსტიტუციური კანონით რეგულირდება.

3.1. ადგილობრივი მმართველობა და თვითმმართველობა

მმართველობის იმ რგოლს, რომლის კომპეტენციაში არ შედის ეროვნული, საერთო სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტა, ზოგადად ადგილობრივ მმართველობას, ადგილობრივ ხელისუფლებას უწოდებენ. თუმცა, უნდა განვასხვაოთ ადგილობრივი მმართველობა ადგილობრივი თვითმმართველობისგან. ზოგადად ყველა მმართველობა ადგილობრივია, რომელსაც ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლებები ახორციელებენ, მაგრამ მათ შორისაც არსებობენ გარკვეული განსხვავებები.

ისეთ მმართველობას, რომლის კომპეტენციებს განეკუთვნება კონკრეტული ტერიტორიული ერთეულების საკითხების გადაწყვეტა (მაგ. დასუფთავების, კეთილმოწყობის, წყალმომარაგების, განაშენიანების, გამწვანების და ა.შ.) და ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლება, რომელიც ყალიბდება ცენტრალური ხელისუფლების ნება-სურვილის მიხედვით (რაც უმთავრესად ადგილობრივი ხელისუფლების მეთაურის დანიშვნას გულისხმობს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან) ადგილობრივი მმართველობა ეწოდება. ადგილობრივი მმართველობა დამოკიდებულია ცენტრალურ ხელისუფლებაზე და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში, სუსტი და არაეფექტურია. თუმცა, გარკვეულ ვითარებაში (მაგ. საომარი

მდგომარეობა, ან სახელმწიფოს მთლიანობასთან დაკავშირებით) ადგილობრივი მმართველობა გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ის სახელმწიფოებრივი ერთიანობის განმტკიცებას ემსახურება. თუმცა, ზოგადად მოსახლეობის ხელისუფლებასთან დაახლოებისა და სამოქალაქო აქტივობის გაზრდის მიზნით, ადგილობრივი მმართველობა უეფექტო და ნაკლოვანია.



ილია ჭავჭავაძე (1837-1907) თანამედროვეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ქართველი მოაზროვე და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწე.

როდესაც ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლება ყალიბდება არა ცენტრალური ხელისუფლების დანიშვნით, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის ნება-სურვილის (რაც უმთავრესად არჩევნების გზით ხდება) მიხედვით, ასეთ მმართველობას ადგილობრივ თვითმმართველობას უწოდებენ. ყველა თანამედროვე სახელმწიფომ, რომელმაც განვითარებას, ადამიანის უფლებების დაცვას და ეკონომიკურ კეთილდღეობას მიაღწია, როგორც წესი, ეს დიდწილად ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ხარჯზე მოახდინა. ადგილობრივი თვითმმართველობის ტრადიციას, თავის მხრივ, ფესვები ევროპული საქალაქო თვითმმართველობების ტრადიციაში აქვს გადგმული. ადგილობრივი თვითმმართველობა ხელს უწყობს ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში ხალხის გაცილებით მეტ მონაწილეობას და დაახლოებას საკუთარ ხელისუფლებასთან. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე (1837-1907) მიუთითებდა ადგილობრივი თვითმმართველობის საჭიროებასა და მნიშვნელობაზე. ილიას მიხედვით „..ამგვარი მმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობასა: ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალისს უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს.“ ადგილობრივი თვითთმართველობების საკითხის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მასზე რამდენიმე საერთაშორისო დოკუმენტი არის შექმნილი, რომელთა შორის უმთავრესი 1985 წელს ევროპის საბჭოს მიერ მიღებული „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროქარტიაა“. მოცემული ქარტია აღწერს ადგილობრივი თვითმმართველობების მნიშვნელობას და საჭიროებას და მისი შესრულება ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსთვის სავალდებულოა. საქართველოც, როგორც ევროპის საბჭოს წევრი, მიერთებულია მოცემულ ქარტიას და მისი დამკვიდრების ვალდებულებაც ეკისრება. უნდა ითქვას, რომ ყოველი სახელმწიფოს ადგილობრივი მმართველობის სისტემის განვითარება, მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფორმაზეა დამოკიდებული, რაც პირველ რიგში განსაზღვრულია კონკრეტული ქვეყნის კონსტიტუციით.

ტრადიციულად განასხვავებენ 3 ტიპის სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობას: უნიტარული სახელმწიფო, ფედერაციული სახელმწიფო და კონფედერაციული სახელმწიფო. ამ სამს შორის, კონფედერაციას ისტორიულ ფორმას უწოდებენ. ის თანამედროვე დროში თითქმის აღარ გვხდება.

3.2. უნიტარული სახელმწიფო

თანამედროვე სახელმწიფოთა უდიდესი ნაწილი უნიტარული მოწყობისაა. უნიტარულ სახელმწიფოს (ლათინურად unus ერთს ნიშნავს) მარტივი მოწყობის სახელმწიფოს უწოდებენ. უნიტარული სახელმწიფო, როგორც წესი, ცენტრალიზებული სახელმწიფოა, სადაც ეროვნული/ცენტრალური ხელისუფლების როლი ძალიან დიდია ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან შედარებით. ადგილობრივ ხელისუფლებას ქმნის, აუქმებს და უფლებამოსილებების ზღვარს უწესებს ცენტრალური ხელისუფლება. ამიტომაც, უნიტარული სახელმწიფოს შემთხვევაში, ტერიტორიულ ერთეულებს უწოდებენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს. გვაქვს შემთხვევები, როდესაც უნიტარულ სახელმწიფოში ადგილობრივი ხელისუფლების მეთაური ინიშნება პირდაპირ ცენტრალური ხელისუფლების მიერ (მაგ. ისრაელი) და გვაქვს შემთხვევები, როდესაც შეიძლება არ ინიშნებოდეს პირდაპირ ცენტრალური ხელისუფლების მიერ, მაგრამ მასზე დიდი გავლენის მოხდენა შეეძლოს (მაგ. პოლონეთი). ზოგადად, უნიტარული სახელმწიფოს კლასიკურ შემთხვევად საფრანგეთი ითვლება 1789 წლის რევოლუციის და განსაკუთრებით, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ნაპოლეონის მიერ გატარებული რეფორმების შემდეგ. ფრანგული მოდელი შემდგომში მთელ მსოფლიოში გავრცელდა, თუმცა ყველა ქვეყანაში სხვადასხვა სახე მიიღო. როგორც წესი, ფრანგული მოდელის სახელმწიფოს ცენტრალიზებულ უნიტარულს უწოდებენ, რომელიც დიდი ავტონომიების არსებობას უარყოფს საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიულ ფარგლებში. არსებობენ უნიტარული სახელმწიფოები, სადაც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების გვერდით მაღალი ავტონომიის მქონე მსხვილი ტერიტორიული ერთეულები არსებობენ. ამის ყველაზე კარგი მაგალითებია იტალია და ესპანეთი. ესპანეთში 17 ავტონომიური გაერთიანებაა, რომელთა შორის ოთხს (ბასკეთი, კატალონია, გალისია, ანდალუსია) განსაკუთრებული უფლებები გააჩნიათ. ისინი თვითონ ირჩევენ საკუთარ ხელისუფლებებს და ხშირად საკუთარი ბიუჯეტის დადგენაშიც დამოუკიდებელნი არიან. იტალიაში 5 ასეთი განსაკუთრებული ავტონომიის მქონე რეგიონია. ამგვარი ვითარების გამო, ასეთ უნიტარულ სახელმწიფოებს, უნიტარულ-დეცენტრალიზებულ სახელმწიფოებს უწოდებენ. არსებობს უნიტარული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, რომლითაც იგი შეგვიძლია გამოვარჩიოთ სხვა ტიპის სახელმწიფოებისგან:

1. ერთიანობა ერთგვაროვნებაში – მისი მთავარი ფილოსოფიური პრინციპია. ტერიტორიული ერთეული (ქალაქი, სოფელი, რეგიონი და ა.შ.)

მთლიანი ეროვნული სხეულის ნაწილია და უარყოფს მათ ყოველგვარ განკერძოებას;

2. ერთიანი ცენტრალიზებული საგადასახადო სისტემა;
3. ერთიანი ცენტრალიზებული სასამართლო სისტემა;
4. სუვერენიტეტი, ანუ უმაღლესი ძალაუფლება ეკუთვნის მხოლოდ ხალხს.

უკანასკნელი ტენდენციების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტრადიციულმა უნიტარულმა ცენტრალიზებულმა სახელმწიფოებმა (მაგ. საფრანგეთი) მეტი დეცენტრალიზაციისკენ აიღეს კურსი და ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებას უფრო მეტად უწყობენ ხელს.

3.3. ფედერაციული სახელმწიფო

მსოფლიოში სულ დაახლოებით 30-მდე ფედერაციული სახელმწიფოა (federacio ლათინური წარმომავლობის სიტყვაა და კავშირს, გაერთიანებას ნიშნავს). ფედერაცია რთული მოწყობის სახელმწიფოა. პირველ კლასიკურ ფედერაციას აშშ წარმოადგენს. ამერიკული ფედერალიზმი შემდგომში მსოფლიოში გავრცელდა და საკმაოდ პოპულარული გახდა. ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა გერმანია, ავსტრია, კანადა, შვეიცარია (თუმცა შვეიცარიას ოფიციალურად კონფედერაცია ეწოდება, მაგრამ რეალურად ის ფედერაციაა), ბრაზილია, ინდოეთი და კიდევ სხვები, ეფუძნებიან ფედერალიზმის პრინციპებს. იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული სახელმწიფოები ამერიკული მოდელისგან ბევრი რამით განსხვავდებიან, მთლიანობაში, ისინი ფედერაციული სახელმწიფოებია. უნიტარულისგან განსხვავებით, ფედერაციებში სახელმწიფო შედგება ცენტრალური ხელისუფლებისგან და მსხვილი ტერიტორიული ერთეულებისგან, რომელთაც მაღალი ავტონომიის სტატუსი გააჩნიათ. ამ ტერიტორიული ერთეულების უფლებამოსილებები კონსტიტუციურად არის განსაზღვრული და ცენტრალურ ხელისუფლებას მისი ცალმხრივად შეცვლის უფლება არ აქვს. ასეთ ტერიტორიულ ერთეულებს ყველა სახელმწიფოში სხვადასხვა სახელი აქვს: აშშ-ში მას შტატი ეწოდება, შვეიცარიაში კანტონი, კანადაში პროვინცია, გერმანიაში მხარე/ბუნდესლანდერი და ა.შ. მაგალითად ამერიკაში არსებული შტატები თვითონ ირჩევენ და აყალიბებენ საკუთარ ხელისუფლებებს, გააჩნიათ საკუთარი კონსტიტუციები (რომელიც ეროვნულ კონსტიტუციას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს), აქვთ საკუთარი საგადასახადო სისტემა და ხშირად შტატის მოქალაქეობაც. ეს ყველაფერი წარმოუდგენელია უნიტარულ სახელმწიფოში, ხოლო ფედერაციებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა.

ფედერაციული სახელმწიფოს კონსტიტუციებში, როგორც წესი, წინასწარ არის განსაზღვრული ეროვნული ხელისუფლების და ტერიტორიული ერთეულების კომპეტენციები და უფლებამოსილებები. ისეთი საკითხები,

როგორებიცაა მაგალითად, საგარეო პოლიტიკის წარმოება, თავდაცვა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება, ერთიანი საფოსტო კავშირის და კომუნიკაციის უზრუნველყოფა მუდამ ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა. ისეთი საკითხები, როგორებიცაა, მაგალითად ტერიტორიული ერთეულის დონეზე არსებული: ჯანდაცვა, განათლება, შიდა ვაჭრობის რეგულაცია და გადასახადები ტერიტორიული ერთეულის კომპეტენციაა. ფედერაციულ სახელმწიფოში, როგორც წესი, არსებობს გადასახადების გაყოფის ტრადიცია წინდაწინ დადგენილი ნორმების მიხედვით ცენტრალურ ხელისუფლებას და ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლებას შორის. ეს თითქმის წარმოუდგენელია უნიტარულ სახელმწიფოში. ცენტრალური ხელისუფლების დონეზე, როგორც წესი, ყველა ტერიტორიულ ერთეულს ჰყავს საკუთარი წარმომადგენლობა, რითაც ხაზს უსვამს საკუთარ როლს ქვეყნის მართვა-გამგეობის საკითხში. ყველა ფედერაციული სახელმწიფოს პარლამენტები ორპალატიანია, სადაც ზედა პალატა ყოველთვის ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლებისგან შედგება, რაც ყოველთვის ასე არაა უნიტარულ სახელმწიფოში. შეჯამების სახით შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ნიშან-თვისება, რომელიც მუდამ ახასიათებს ფედერაციებს და რომელთა მიხედვითაც იგი შეგვიძლია განვასხვაოთ სხვა ტიპის სახელმწიფოსგან:

1. მისი მთავარი პრინციპია: ერთიანობა მრავალფეროვნებაში. ტერიტორიული ერთეულები აღიქმებიან არა მთლიანი ეროვნული სხეულის ნაწილებად, არამედ წევრებად. წევრის დამოუკიდებლობის ხარისხი, როგორც წესი ნაწილთან შედარებით შეუდარებლად მაღალია;
2. საგადასახადო სისტემა არ არის უნიფიცირებული;
3. სასამართლო სისტემა არ არის უნიფიცირებული. ტერიტორიული ერთეულები ცენტრალური ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად აყალიბებენ საკუთარ სასამართლოებს, რაც გამორიცხულია უნიტარულ სახელმწიფოში;
4. სუვერენიტეტი, ანუ უმაღლესი ძალაუფლება გაყოფილია ტერიტორიულ ერთეულებსა და ხალხს შორის. ამის კლასიკური გამოხატულებაა ამერიკის პრეზიდენტის არჩევნები, როდესაც ხალხი პირდაპირ კი არ აძლევს პრეზიდენტს ხმას, არამედ შტატის დონეზე ირჩევს ამომრჩეველთა კოლეგიას და შემდგომში ეს კოლეგიები ირჩევენ პრეზიდენტს. ამ მოვლენაში ხაზგასმულია, როგორც შტატის, ისე ხალხის უფლებები.

შეუძლია თუ არა ფედერაციებში ფედერაციის სუბიექტს საკუთარი ნებით, ცალმხრივად გამოეყოს სახელმწიფოს? რა თქმა უნდა არა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის გამოყოფას ეთანხმება ცენტრალური ხელისუფლებაც და დანარჩენი ტერიტორიული ერთეულების უმრავლესობაც, სხვა შემთხვევებში ეს აკრძალულია. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ერთეული ამ პირობას დაარღ-

ვევს, ცენტრალურ ხელისუფლებას ძალის გამოყენების უფლებაც აქვს ამგვარი სეპარატიზმის აღსაკვეთად.

3.4. ტერიტორიული მოწყობის და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები საქართველოში

საქართველოს კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა, იმის გამო, რომ ქვეყნის ერთიანობა დარღვეულია (იგულისხმება აფხაზეთის და შიდა ქართლის, ე.წ. „სამხრეთი ოსეთის“ ოკუპაციის საკითხი), თუმცა, კონსტიტუციურად ქვეყანა იყოფა მუნიციპალიტეტებად და აჭარის და აფხაზეთის ავტონომიებად. პრაქტიკაში მოქმედებს სახელმწიფოს 9 მხარედ გაყოფის ტრადიციაც. თითოეულს ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული რწმუნებული ხელმძღვანელობს. თუმცა, ეს დაყოფა და რწმუნებულის თანამდებობას კონსტიტუცია არ აფიქსირებს. საკითხი სხვადასხვა კანონმდებლობითაა განსაზღვრული, მაგრამ მის შეცვლას ან გაუქმებას მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების ერთი დადგენილება სჭირდება.

ადგილობრივი მმართველობის განვითარებამ საქართველოში გრძელი გზა განვლო, უძველესი დროიდან დაწყებული დღემდე და მიიღო ის სახე, რომელიც დღეს აქვს. ფარნავაზ მეფის საერისთაოებად დაყოფიდან დღევანდელ მუნიციპალიტეტამდე მრავალი ცვლილება და სახესხვაობა განიცადა. განსაკუთრებით მკვეთრი იყო ცვლილებები რუსეთის იმპერიის პერიოდში, როდესაც მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქალაქებმა შეზღუდული თვითმმართველობის უფლება მოიპოვეს, რაც ქართული ტრადიციისთვის არ იყო დამახასიათებელი, თუ მე-11-12 საუკუნეების თბილისის თვითმმართველობას არ ჩავთვლით, რომელიც დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის საქართველოს შემოერთებისთანავე გაუქმდა. მას შემდეგ ქალაქები და მხარეები მეფის მიერ დანიშნული ერისთავების და მოგვიანებით მოურავების მიერ იმართებოდა, ან კიდევ ცალკეული ფეოდალე-

საქართველოს
კონსტიტუცია
მუხლი 1. სახელმწიფო სუვერენიტეტი
„1. საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.“

მუხლი 7. ტერიტორიული მოწყობის საფუძვლები
„2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებები და მათი განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონებით, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია.
3. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა გადაისინჯება საქართველოს კონსტიტუციური კანონით, უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.“

ბის სამფლობელოებს წარმოადგენდა, რომელსაც ამა თუ იმ დიდი საფეოდალოს მეთაურის დანიშნული პირი მართავდა.

მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დამდეგს, რუსეთის იმპერიის დროს, ქვეყანა გუბერნიებად და მაზრებად იყო დაყოფილი, რომელთაც თვითმმართველობის უფლება არ გააჩნდათ. მაზრები შემდგომში საპოლიციო უბნებად დაიყო, რომლებიც საბჭოთა რაიონული სისტემების საფუძველი აღმოჩნდა მოგვიანებით. 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობების საზღვრები, ძირითადად რუსეთის იმპერიაში დადგენილ სისტემას მიჰყვებოდა, რომლებიც უკვე საერობო თვითმმართველობის პრივილეგიებით სარგებლობდნენ. თვითმმართველ ერთეულად გადაიქცა ბევრი ქალაქიც. თუმცა, სამწუხაროდ, განვითარებული პროცესების გამო, დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცდილება, საბჭოთა გამოცდილებამ ჩაანაცვლა.

განსაკუთრებით მძლავრი საბჭოთა რაიონული სისტემა აღმოჩნდა, როდესაც ადგილობრივ ორგანოს ხელისუფლებასთან შერწყმული ადგილობრივი პარტიული ლიდერი, რაიკომის მდივანი მართავდა, მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ცენტრალურ ხელისუფლებაზე და ფაქტობრივად თვითმმართველობის შინაარსს მოკლებული იყო. პოსტსაბჭოთა საქართველოში 1991 წელს პირველად ჩატარდა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების, საკრებულოების არჩევნები, თუმცა, რაიონის ხელმძღვანელი პრეზიდენტის მიერ დანიშნული პრეფექტი გახდა. ეს იყო ფრანგული სისტემის დანერგვის მცდელობა. მას შემდეგ ადგილობრივმა მმართველობამ რამდენჯერმე განიცადა ტრანსფორმაცია საქართველოში. დღეისთვის ამ საკითხს არეგულირებს რამდენიმე საკანონმდებლო აქტი: საქართველოს კონსტიტუცია და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.

საქართველო იყოფა 2 ავტონომიურ რესპუბლიკად (აფხაზეთისა და აჭარის) და 64 მუნიციპალიტეტად, რომელშიც განთავსებულია 5 თვითმმართველი ქალაქი, მათ შორის დედაქალაქი თბილისი და 59 თვითმმართველი თემი. საქართველოს დედაქალაქს აქვს განსაკუთრებული სტატუსი და ცალკე საკანონმდებლო დადგენილებებს ექვემდებარება, რომელიც თანხმობაში უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციასთან. მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოებია საკრებულოები, რომლებიც როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატებისგან კომპლექტდება. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და უმაღლესი თანანმდებობის პირი არის მერი, რომელსაც მოცემული მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ირჩევს პირდაპირი წესით.

აჭარას ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი გააჩნია, რაც ნიშნავს იმას, რომ ჰყავს რესპუბლიკის ამომრჩევლის მიერ არჩეული უმაღლესი საბჭო (საკანონმდებლო ხელისუფლება) და ჰყავს აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც შედგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

საქართველოს
კონსტიტუცია
მუხლი 7. ტერიტორიული
მოწყობის საფუძვლები
„4. საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებათა გამიჯვნა ეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს. სახელმწიფო უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ფინანსური სახსრების შესაბამისობას ორგანული კანონით განსაზღვრულ თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებებთან.“

თავმჯდომარისა და მინისტრებისგან. აჭარას აქვს საკუთარი კონსტიტუცია და სახელმწიფო სიმბოლოები (დროშა, გერბი), რომელიც თავისი არსით შესაბამისობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან. აფხაზეთს გააჩნია თითქმის იმავე ტიპის ავტონომიის უფლება საქართველოს კონსტიტუციით, მაგრამ დამატებით აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზური ენა, ქართულთან ერთად სახელმწიფო ენად არის გამოცხადებული. თუმცა, აფხაზეთის უფლებამოსილებები ახალი კანონმდებლობით ზუსტად რეგულირებული არ არის, იმის გამო, რომ იგი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. უნდა ითქვას, რომ აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან ერთად, 1920-იანი წლების საბჭოთა კავშირში შეიქმნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებული იყო აფხაზეთის და სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიები, თუმცა იმის გამო, რომ კონსტიტუციის მიღების შემდეგ მალე მოხდა ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია და საბჭოთა კავშირში იძულებით შეყვანა, ამ კონსტიტუციამ ვერ მოასწრო ამოქმედება. საბჭოთა დროის ავტონომიები ისე იქმნებოდა, რომ ხელი შეშლოდა მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციას და დაახლოებას. ამიტომ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ მარტივი გახდა კონფლიქტების გაჩაღება, რამაც სავალალო შედეგები გამოიღო ქვეყნისთვის. აჭარის ვითარებაც საკმაოდ ორჭოფული იყო ასლან აბაშიძის მმართველობის განმავლობაში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, აჭარის ავტონომია სეპარატიზმის რეალურ საფრთხედ არ ქცეულა.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს კანონმდებლობით სახეზე გვაქვს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება, მუნიციპალიტეტები ჯერ კიდევ სუსტები არიან ბევრი მიზეზის გამო, რათა უფრო ქმედითად იმუშაონ, მაქსიმალურად მოახერხონ მოსახლეობის ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში, ხელი შეუწყონ ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის და კეთილდღეობის განვითარებას. მუნიციპალიტეტები, მაინც ცენტრალური ხელისუფლების ნება-სურვილზე არიან დამოკიდებული. ეს უმთავრესად ცენტრალური ხელისუფლების გამოყოფილ ფინანსურ რესურსებზე დამოკიდებულებაში გამოიხატება. ადგილობრივი თვითმმართველობები საკუთარ მოქმედებებს უმთავრესად ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან გამოყოფილი ფინანსური ტრანსფერების საშუალებით ახერხებენ. ადგილობრივ თვითმმართველობებს, მეტად მწირი ფინანსური სახსრები გააჩნიათ საიმისოდ, რომ მეტი

ინიციატივა და პასუხისმგებლობა გამოიჩინონ და მეტი სარგებელი აღმოუჩინონ ადგილობრივ მოსახლეობას. თვითმმართველობის განვითარების მაღალი ხარისხი ამა თუ იმ ქვეყნის დემოკრატიის და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელია. ამიტომაც საქართველოში ამ მხრივ წინგადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე მიგვანიშნებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმის გამო, რომ არ არის კონსტიტუციურად განსაზღვრული საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა, ადვილი არ არის თქმა, თუ ფაქტობრივი მდგომარეობით როგორ შეიძლება შევაფასოთ ამჟამინდელი ვითარება. იმის გამო, რომ საქართველო არ იყოფა ფედერაციის სუბიექტებად არ შეიძლება იყოს ფედერაცია, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიების კანონმდებლობით საკმაოდ მაღალი უფლებამოსილებების მიუხედავად, რადგან მათი თვითმმართველობის ხარისხი უფრო დაბალია, ვიდრე რომელიმე შტატისა აშშ-ში, ან რომელიმე მხარისა გერმანიაში. იგი უფრო მიაგავს უნიტარულ დეცენტრალიზებულ სისტემას და გარკვეული პარალელები შესაძლოა ესპანეთთან ან იტალიასთან გავავლოთ, თუმცა ბოლომდე არც მათი იდენტურია.


მუნიციპალიტეტის მოსახლეობა
მერი
საკრებულო
მერის მოადგილე/ მოადგილეები
ტერიტორიული ორგანოები
სტრუქტურული ერთეული
საკრებულოს თავმჯდომარე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
აპარატი
აპარატის უფროსი
ფრაქციები
კომისიები

კითხვები გააზრებისთვის:

1. რას ეწოდება სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა და დეცენტრალიზაციის პროცესი?
2. დაახასიათეთ ადგილობრივი მმართველობა და ადგილობრივი თვითმმართველობა.
3. აქვს თუ არა რაიმე კავშირი ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას დემოკრატიის ჩამოყალიბებასთან?
4. რატომ იქმნებიან უნიტარული სახელმწიფოები და რა ძირითადი ნიშან-თვისებები გააჩნიათ მათ?
5. რა არის ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის მიზეზები და რითი გამოირჩევა იგი უნიტარული სახელმწიფოსგან?
6. როგორია საქართველოს გამოცდილება სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების თვალსაზრისით?
7. რას ფიქრობთ საქართველოში სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პერსპექტივებზე?

თავი IV

არჩევნები და პოლიტიკური პარტიები

4.1. არჩევნები და საარჩევნო სისტემები

თანამედროვე საზოგადოების ცვლილებებმა ის გამოიწვია, რომ ნელ-ნელა გაჩნდა პოლიტიკაში მონაწილეობის ახალი ინსტიტუტები. უმთავრესი ამ შემთხვევაში საარჩევნო სისტემების გაჩენა იყო, რომელიც უცნობი იყო ანტიკური სამყაროსთვის. არჩევნები გახდა თანამედროვე დემოკრატიის აუცილებელი მახასიათებელი. როგორც წესი, როდესაც რომელიმე ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის გაზომვა აინტერესებთ, უპირველესად არჩევნებს და საარჩევნო სისტემას განიხილავენ ხოლმე, რადგანაც დემოკრატია არჩევნებიდან იწყება და მის გარეშე არ არსებობს. არც მარტო არჩევნებია მხოლოდ დემოკრატია, მაგრამ მის გარეშე ეს უკანასკნელი საერთოდ წამოუდგენელია. არჩევნები მოქალაქეთა საჯარო-პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობის უმთავრესი საფუძველი და ფორმაა და შესაბამისად, მისი შესწავლა და ცოდნა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა.

არჩევნები ადამიანის პოლიტიკური უფლებაა, რათა აირჩიოს ესა თუ ის მთავრობა და არჩეული მთავრობის საშუალებით გადაწყვიტოს საკუთარი განვითარების ბედ-იღბალი. ადამიანის არჩევანის უფლება, არა მხოლოდ ეროვნული მნიშვნელობისაა, არამედ მას რამდენიმე ფუძემდებლური საერთაშორისო დოკუმენტიც უზრუნველყოფს, რომლის შესახებაც დეტალურად სხვა თავში ვისაუბრებთ. არჩევნების დროს, კენჭისყრის ჩასატარებლად და ხმების დასათვლელად ქვეყანა იყოფა საარჩევნო ოლქად/ოლქებად, რომელიც თავის მხრივ იყოფა საარჩევნო უბნებად. მაგალითად, საქართველოში არჩევნების ჩატარებამდე „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ განსაზღრულ ვადაში საარჩევნო უბნებს ქმნის, მათ საზღვრებსა და ნომრებს ადგენს და შემდგომ კი აქვეყნებს აღნიშნულ ინფორმაციას შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია. მოქალაქეები, ანუ ამომრჩევლები, სპეციალურად დანიშნულ კენჭისყრის დღეს მიდიან საარჩევნო უბნებში და ხმას აძლევენ მათთვის სასურველ საარჩევნო სუბიექტს, რომელიც შესაძლოა იყოს: 1. მაჟორიტარი კანდიდატი საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნების დროს; 2. პოლიტიკური პარტია ან საარჩევნო ბლოკი საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნების დროს. ლიბერალურ დემოკრატიებში, მათ შორის საქართველოშიც, ხმის მიცემის პროცედურა არის ფარული, საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი.



საქართველოში არჩევნების დღეს კენჭისყრის, ხმის მიცემის პროცესის დასრულების შემდეგ ბიულეტენებს ითვლიან საარჩევნო უბანზე, სადაც ხმების დათვლის და შედეგების შეჯამების შემდეგ, დგება კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმი, რომელიც იგზავნება საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო კომისია მის ტერიტორიაზე არსებული საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილი ოქმების საფუძველზე აჯამებს ოლქში არჩევნების შედეგებს და ადგენს საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმს, რომელიც იგზავნება საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცესკო). ცესკო მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული საოლქო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული ოქმების საფუძველზე, აჯამებს არჩევნების შედეგებს და ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

მსოფლიოში საარჩევნო სისტემების ოთხი ოჯახი არსებობს: მაჟორიტარული, პროპორციული, შერეული და სხვა ოჯახი. თუმცა, თანამედროვე მსოფლიოში ძირითადად მაინც ორი – „მაჟორიტარული“ და „პროპორციული“ საარჩევნო სისტემები გამოიყენება. საქართველოში შერეული, პარალელური საარჩევნო სისტემაა დამკვიდრებული, შესაბამისად, მაჟორიტარული სისტემა შერწყმულია პროპორციულ სისტემასთან თუმცა, სამომავლოდ განიხილება მხოლოდ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა.

მაჟორიტარული („უმრავლესობას“ ნიშნავს) სისტემა ნიშნავს უმრავლესობის მიხედვით კანდიდატის/პარტიის არჩევას. ამ დროს, როგორც წესი, ამომრჩეველი ხმას აძლევს ამა თუ იმ კანდიდატს (გააჩნია რომელი მმართველობითი ორგანოს არჩევნებია) და შესაბამისად, თუ მოცემულმა კანდიდატმა ხმების უმრავლესობა მიიღო, ის ცხადდება გამარჯვებულად. მსოფლიოს ბევრ

ქვეყანაში მაჟორიტარული სისტემა გამოიყენება, საკანონმდებლო ორგანოების და პრეზიდენტის ასარჩევად. თუმცა, მაჟორიტარულ მოდელებშიც არსებობს განსხვავებები. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის სისტემას უწოდებენ „ვინც პირველი გადალახავს, ის იგებს ყველაფერს“ (ინგლ. first past the post), ან „მოგებული იღებს ყველაფერს“ (ინგლ. winner takes all). ბრიტანული სისტემის დროს, თუ რომელიმე პოლიტიკური პარტია მეორე პარტიასთან შედარებით მიიღებს ხმების უბრალო უმრავლესობას, იგი გამარჯვებულად ცხადდება. ამავე დროს, დიდ ბრიტანეთში ამომრჩეველი ხმას აძლევს არა მთლიანად პოლიტიკურ პარტიას, არამედ რომელიმე კონკრეტულ პირს, რომელიც თავისი მხრივ წარმოადგენს ამა თუ იმ პარტიას. დაახლოებით მსგავსი წესი არსებობს აშშ-ში, თუმცა გარკვეული სახესხვაობით. განსხვავებულია ფრანგული მაჟორიტარული მოდელი. ფრანგულ სისტემაში კანდიდატმა უნდა მიიღოს ხმების დადგენილ რაოდენობაზე ოდნავ მეტი, რათა გამარჯვებულად გამოცხადდეს. ეს კარგად ჩანს განსაკუთრებით პრეზიდენტის არჩევნების დროს. პრეზიდენტობის ის კანდიდატი ცხადდება გამარჯვებულად, ვინც 50%+1 ხმით გადააჭარბებს, თუ ასე არ მოხდება ინიშნება მეორე ტური, სადაც საუკეთესო შედეგის მქონე (როგორც წესი, პრაქტიკაში უმთავრესად ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი იბრძვის არჩევნების მეორე ტურში) კანდიდატები შეებრძოლებიან ერთმანეთს, საიდანაც უმრავლესობით გამარჯვებული კანდიდატი ხდება პრეზიდენტი. არჩევნების ეს წესი, დიდად განსხვავდება ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებისგან, სადაც პრეზიდენტს არაპირდაპირი არჩევნების გზით ირჩევენ. პროპორციული საარჩევნო სისტემით მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოების არჩევა ხდება. ასეთი სისტემის დროს ამომრჩეველი ხმას აძლევს კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას და პარტიები იმის პროპორციულად იკავებენ ადგილებს საკანონმდებლო კრებაში, თუ ხმების რა პროცენტი მიიღეს არჩევნებში. პროპორციული საარჩევნო სისტემის კლასიკური მაგალითია გერმანია, სადაც ასეთი სისტემით ხდება საკანონმდებლო კრების (ეროვნული/რეგიონული) არჩევნები. ეს სისტემა ძალიან ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული და უმთავრესად საპარლამენტო მმართველობის ქვეყნებს ახასიათებს, თუმცა არა ყოველთვის, როგორც ეს დიდ ბრიტანეთშია, რომელიც საპარლამენტო მმართველობის ქვეყანაა, მაგრამ არჩევნების მაჟორიტარული მოდელია გავრცელებული.

4.2. საარჩევნო სისტემის საკითხები საქართველოში

საქართველოში, როგორც ბევრ პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში, არჩევნების შერეული მოდელია დამკვიდრებული. საქართველოს პარლამენტი 150 დეპუტატისგან შედგება. 2020 წლის 8 მარტის პოლიტიკური დიალოგის შედეგად მიღწეული შეთანხმებით, რომელიც მოგვიანებით საკონსტიტუციო ცვლილებებში აისახა, მანამდე არსებული 77\73 თანაფარდობის ნაცვლად, 2020 წლის საპარ-

ლამენტო არჩევნები 120/30-ზე შერეული, პარალელური საარჩევნო სისტემით ტარდება (120 პარლამენტარი პროპორციული წესით და 30 - მაჟორიტარული მანდატით აირჩევა). ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებში ამომრჩეველთა ხმების თანაბრობის უზრუნველსაყოფად 2015 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს 28 მაისის გადაწყვეტილებით, (რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 23 დეკემბერს აღასრულა), საზღვრები შეიცვალა და ყველა მაჟორიტარული ოლქი 48 000 ამომრჩევლამდე, 10-15% ცდომილების ფარგლებში, დარეგისტრირდა. აღნიშნული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სულისკვეთებით, 2020 წელს საპარლამენტო არჩევნებისთვის 30 მაჟორიტარულ ოლქშიც ამომრჩეველთა ხმები თანაბრობის პრინციპით განაწილდა, რომელთაგან 8 ოლქი თბილისში, ხოლო 22 – საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის დანარჩენ ნაწილზე ამოქმედდა.

2020 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიებისთვის და ბლოკებისთვის დაწესდა 1%-იანი საარჩევნო ბარიერი. ამასთანავე, ბლოკების შემთხვევაში, ბლოკმა მინიმუმ იმდენი პროცენტი უნდა მიიღოს, რამდენი სუბიექტიც არის მასში გაერთიანებული. 2020 წლის საარჩევნო რეფორმა ასევე მოიცავს მნიშვნელოვან ცვლილებას - ჩამკეტის შემოღებას, რითაც გაჩნდა ზედა ზღვარი, რომელიც პარტიას ან ბლოკს პარლამენტში მაქსიმალური მანდატების რაოდენობას უსაზღვრავს იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო სუბიექტი პროპორციული წესით არჩეული მანდატების დაახლოებით 40%-ზე ნაკლებს მოიპოვებს. "გადაჭარბებული მანდატები" კი სხვა 1% გადალახულ სუბიექტებზე გადანაწილდება.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერების მიზნით და 2020 წლის საარჩევნო რეფორმის შედეგად, სავალდებულო დროებითი მექანიზმი - გენდერული კვოტა, ამოქმედდა: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პარლამენტში პროპორციული სიით არჩეულ ყოველ ოთხეულში ერთი წევრი იქნება განსხვავებული სქესის ანუ დაახლოებით 30 პარლამენტარი ქალი, 2024 წლის არჩევნებისთვის - 37 ქალი, 2028 წელს კი სავალდებულო იქნება პროპორციული სიის ყოველ სამეულში ერთი განსხვავებული სქესის წევრის ყოლა, რაც ქალთა წარმომადგენლობას 50-მდე გაზრდის. 2020 წლის საარჩევნო რეფორმის მიხედვით, გენდერული კვოტის დაცვა – იმ შემთხვევაში თუ პარტია სიაში წარადგენს სამეულში ერთ განსხვავებულ სქესს, პარტიების მიერ ფინანსური დანამატის მიღებას უკავშირდება. რაც შეეხება 2021 წლისთვის დადგენილ ადგილობრივ არჩევნებს, ის ინკლუზიური იქნება, ვინაიდან 2020 წლის საკანონმდებლო ცვლილება უზრუნველყოფს ადგილობრივ დონეზე 50%-იან განსხვავებული სქესის წარმომადგენლობას.

4.3. პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემები

თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრება და მით უმეტეს, არჩევნები წარმოუდგენელია პოლიტიკური პარტიების გარეშე. პოლიტიკური პარტიები საზოგადოებაში არსებული ინტერესების მთავარი გადამტანები არიან პოლიტიკურ სისტემაში. პარტიების გარეშე არ ხდება არც საარჩევნო პროცესი, არც პოლიტიკური ელიტის ჩამოყალიბება და არც რომელიმე პოლიტიკური კურსის განხორციელება, რომელსაც სახელმწიფო ორგანოები პრაქტიკაში ატარებენ. ამიტომაც, თუ გვსურს უკეთ გავიგოთ თანამედროვე დემოკრატიის ფუნქციონირების მექანიზმები, წარმოუდგენელია ეს პარტიების შესწავლის გარეშე მოვახერხოთ. თანამედროვე, წარმომადგენლობითი დემოკრატია პრაქტიკულად პოლიტიკურ პარტიებთან ერთად ჩამოყალიბდა, უფრო სწორად, წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმირებამ წარმოშვა სწორედ პოლიტიკური პარტიების არსებობის საჭიროება. კლასიკურ დემოკრატიას პოლიტიკური პარტიები არ სჭირდებოდა, რადგანაც ხალხი პირდაპირ იყო ჩართული მმართველობით პროცესში და შესაბამისად, არც რაიმე შუალედური ორგანიზაცია ესაჭიროებოდათ საკუთარი ინტერესების გასატარებლად. ამას ხალხი თვითონვე ახერხებდა პირდაპირი ფორმით. სულ სხვა ვითარებაა წარმომადგენლობითი დემოკრატიის დროს. იმის გამო, რომ წარმომადგენლობით დემოკრატიაში ხალხი პირდაპირ აღარ იღებს მონაწილეობას მართვა-გამგეობაში, იგი ისეთ ორგანიზაცია/ორგანიზაციებს ქმნის, რომელთა საშუალებითაც მოახერხებს საკუთარი ინტერესების წარდგენას და დაცვას. ამიტომაც გაჩნდა პოლიტიკური პარტიების შექმნის აუცილებლობა.

პოლიტიკური პარტიის მრავალი განსაზღვრება არსებობს, მაგრამ მათი ერთ-ერთი კლასიკური განსაზღვრება მე-18 საუკუნის ბრიტანელ სახელმწიფო მოღვაწეს ედმუნდ ბერკს (Edmund Burke, 1729-1797) ეკუთვნის. ედმუნდ ბერკის მიხედვით, პოლიტიკური პარტია არის ისეთი ინდივიდების მიერ შექმნილი ორგანიზაცია, რომელთაც მეტ-ნაკლებად საერთო

საქართველოს კონსტიტუცია
მუხლი 24. საარჩევნო უფლება
„1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო ავტონომიური რეპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა.
2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში.“

ედმუნდ ბერკი
(Edmund Burke, 1729-1797)

ირლანდიური წარმოშობის ცნობილი ბრიტანელი მოაზროვნე და სახელმწიფო მოღვაწე. იგი ითვლება ანგლოსაქსური კონსერვატიზმის მამამთავრად. ბერკის მთავარი ნაშრომია „ფიქრები საფრანგეთის რევოლუციაზე“ (1790), სადაც გაკრიტიკებული ჰყავს რევოლუციური გარდაქმნების იდეა. მას ღრმად სწამდა ევოლუციური განვითარების ჭეშმარიტებისა, რომელსაც კავშირი უნდა გაეგება წარსულსა და მომავალს შორის, რაც ბერკის აზრით, საზოგადოებრივი განვითარების მთავარი პირობაა.

იდეოლოგიური და მსოფლმხედველობითი შეხედულებები გააჩნიათ. თვითონ ტერმინი პარტია, ლათინური სიტყვიდან pars მომდინარეობს, რაც პირდაპირ თარგმანში რაიმე მთელის გარკვეულ ნაწილს ნიშნავს. მოკლედ რომ ვთქვათ, პარტიების მიზანია ისეთი ადამიანების თავშეყრის ადგილი გახდეს, რომელთაც საერთო ღირებულებები, შეხედულებები და მიზნები გააჩნიათ საზოგადოების და სახელმწიფოს მოწყობის შესახებ. პოლიტიკური პარტიების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი პოლიტიკური ხელისუფლების მოპოვებაა. პარტიების საზოგადოებრივი საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რათა უფრო მეტად მოიზიდონ თავისი მომხრეები და არჩევნების შედეგად გამარჯვებას მიაღწიონ. თუმცა, არცერთი პარტია არ გამოხატავს მთელი საზოგადოების ინტერესებს, რის გამოც წარმომადგენლობით დემოკრატიებში ხშირია მათი მონაცვლეობა მთავრობასა და ხელისუფლებაში. ხან ერთი პარტიაა გამარჯვებული და ხან მეორე. ეს ყველაფერი ხელს უწყობს პარტიების კონკურენციას, შეჯიბრს, რითაც საბოლოო ჯამში საზოგადოება რჩება მოგებული, რადგანაც პარტიული კონკურენციის საშუალებით შესაძლებელია საზოგადოებამ განვითარების სხვადასხვა ალტერნატივები შექმნას და არ იყოს მუდამ ერთ გაბატონებულ იდეასა თუ დოქტრინაზე დამოკიდებული.

პოლიტიკურ პარტიებს გააჩნიათ მეტ-ნაკლებად მყარი ორგანიზაციული სტრუქტურა, საკუთარი მმართველობითი აპარატით და ბიუჯეტით, რომელიც უმთავრესად შემოწირულობების ან კიდევ პარტიის წევრების მიერ საწევრო გადასახადებისგან შედგება. უკანასკნელ ხანებში, ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, გავრცელდა პრაქტიკა, რომ პარტიებმა გარკვეული დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც მიიღონ, რათა ისინი არ გახდნენ რომელიმე გამდიდრებული ჯგუფის, ან პირის ხელში სათამაშო ორგანიზაციები. ბევრი პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურა დეცენტრალიზებულია, სადაც პარტიის ლიდერის და ცენტრალური მმართველობითი სტრუქტურების როლი არცთუ ისე დიდია. ამის კლასიკური შემთხვევა აშშ-ის პოლიტიკური პარტიები არიან, რომლებიც ადგილობრივი ავტონომიური კომიტეტებისგან შედგება და ცენტრალური მმართველობის ორგანოებისგან საკმაოდ დიდი დამოუკიდებლობით სარგებლობენ. ამერიკული ტიპის პოლიტიკურ პარტიებში შედარებით სუსტია პარტიული და ორგანიზაციული დისციპლინა. განსხვავებულად ყალიბდება კონტინენტური ევროპის პარტიები. ისინი გაცილებით ცენტრალიზებულნი არიან და პარტიული ლიდერის და ცენტრალური მმართველობითი სტრუქტურების როლი გაცილებით დიდია. მათ ხშირად, დისციპლინირებულ პარტიებსაც უწოდებენ. აშშ-ის პარტიების დაფინანსება უმთავრესად ნებაყოფილობითი შემოწირულობებით ხდება, როდესაც ევროპაში მეტი ყურადღება საწევრო შენატანსა და ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე კეთდება. ქართულ ვითარებაში, პარტიები უფრო ევროპული ტიპის არიან, როგორც ორგანიზაციული, ისე დაფინანსების კუთხით, თუმცა, ქართული პარტიების დაფინანსების საკმაოდ დიდი წილი კერძო, მსხვილი ბიზნესმენების შენატანზეცაა დამოკიდებული. განსაკუთრებით დიდია

პარტიული ლიდერის როლი პარტიის საქმიანობაში, რაც აკნინებს პარტიული პროგრამებისა და პარტიის დანარჩენი წევრების მნიშვნელობას.

პარტიებმა შესაძლოა არჩევნებში როგორც ცალკე, ისე სხვა პარტიებთან ერთად საარჩევნო ბლოკების შექმნით მიიღონ მონაწილეობა. თუ პარტია ხედავს, რომ მას არ გააჩნია ცალკე, როგორც ფინანსური, ისე ადამიანური რესურსი წარმატების მისაღწევად, ბლოკს ქმნის სხვა შედარებით მონათესავე ტიპის პარტიასთან და ისე იღებს მონაწილეობას არჩევნებში. ეს უფრო ევროპული პარტიებისთვის, და მათ შორის ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის არის დამახასიათებელი. ეს ტრადიცია თითქმის არ ახასიათებს ანგლოსაქსურ ქვეყნებს. როგორც წესი, აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში პარტიები კოალიციებს არ ქმნიან, თუმცა უახლეს ისტორიაში დიდ ბრიტანეთში იყო პარტიული კოალიციის შექმნის რამდენიმე შემთხვევა, მაგრამ ტრადიციულად, ანგლოსაქსურ ქვეყნებში პარტიები მაინც ცალკე მონაწილეობას ანიჭებენ უპირატესობას.

4.4. პარტიების წარმოშობა და იდეოლოგიები

პოლიტიკური პარტიების წარმოშობა მე-17-18 საუკუნეებიდან დაიწყო ანგლოსაქსურ სამყაროსა და დასავლეთ ევროპაში, თუმცა კლასიკური სახით პარტიები მე-19 საუკუნიდან ჩამოყალიბდნენ. საზოგადოებაში გაჩნდნენ ახალი სოციალური ჯგუფები, რომელთა შორის კონკურენცია ძალაუფლების მოპოვებისთვის იყო. ამიტომაც საჭირო გახდა ამ ინტერესების ორგანიზაციული გაფორმება.

პარტიები ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულან. ყოველი სოციალური დაჯგუფება გარკვეული იდეური ერთობის და ინტერესების მატარებელი იყო, რომელსაც იდეოლოგიებს უწოდებდნენ. ისეთი სოციალური ჯგუფები, როგორებიცაა ბურჟუაზია, თავისუფალი პროფესიების წარმომადგენლები და ქალაქის მოსახლეობა, უმთავრესად ლიბერალიზმს უჭერდნენ მხარს. ლიბერალიზმი, რომელიც ჯონ ლოკიდან იღებს სათავეს, უმთავრესად ინდივიდუალურ თავისუფლებას, კონსტიტუციურ მმართველობას, ძველი სოციალური იერარქიების უარყოფას, კერძო საკუთრების დაცვას, შემწყნარებლობას, რელიგიის კერძო არჩევანის სფეროდ გამოცხადებას, საბაზრო ეკონომიკას და თავისუფალ ვაჭრობას ემხრობოდა, მოცემული სოციალური ფენებისთვის მეტად მიმზიდველი აღმოჩნდა და შესაბამისად ლიბერალური პარტიებიც ძირითადად ასეთი სოციალური ჯგუფების გაერთიანების ადგილი გახდა. ლიბერალური პარტიები არასდროს გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული რადიკალიზმით და რევოლუციური გარდაქმნების მოთხოვნებით და ამიტომაც, ადამიანთა მასობრივ გაერთიანებად არასდროს ჩამოყალიბებულან. ლიბერალური ტიპის პარტიებს ყოველთვის ზომიერ პარტიებად მოიხსენიებენ. ლიბერალური პარტიების კლასიკური მაგალითი აშშ-ის დემოკრატიული და დიდი ბრიტანეთის ლი-

ბერალური პარტიებია. ლიბერალურ პარტიებს, როგორც წესი, ცენტრისტულ პარტიებს უწოდებენ, თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც არსებობენ, როგორც მემარცხენე-ცენტრისტული ლიბერალური პარტიები, ისე მემარჯვენე-ცენტრისტული ლიბერალური პარტიებიც.

ძველი სოციალური კლასი (სამეფო ხელისუფლება, ეკლესია, სოფლის მოსახლეობა) უმთავრესად უარყოფდა საზოგადოების რადიკალურ გარდაქმნას, მოითხოვდა ტრადიციული მორალის და ინსტიტუტების დაცვას, ქადაგებდა ეკლესიის და რელიგიისადმი პატივისცემას, მაგრამ ამავე დროს მხარს უჭერდა ინდივიდუალიზმს, კერძო საკუთრებას, საბაზრო, თავისუფალ ეკონომიკას. ასეთი ტიპის იდეოლოგიას კონსერვატიზმს უწოდებენ და შესაბამისად, ამ ტიპის პარტიებსაც კონსერვატულ პარტიებად მოიხსენიებენ. დიდი ბრიტანული კონსერვატიზმის მამამთავრად ითვლება ედმუნდ ბერკი, ხოლო კონტინენტური, ფრანგული კონსერვატიზმისა – ჟოზეფ დე მესტრი. ფრანგული, კონტინენტურ ევროპული კონსერვატიზმი, როგორც წესი, მისი ანგლოსაქსური ანალოგიისგან განსხვავებით, საზოგადოებრივი ცვლილებებისადმი გაცილებით მეტი სიმკაცრით და თავშეკავებით გამოირჩეოდა. ედმუნდ ბერკს მოსწონდა ცვლილებები, მაგრამ არა რადიკალური, რევოლუციური. იგი ერთგული იყო პრინციპებისა: „შევცვალოთ, რათა შევინარჩუნოთ“, ან კიდევ „როდესაც საჭიროა, რომ არ შევცვალოთ, საჭიროა, რომ არ შევცვალოთ“. კონსერვატორებს მიაჩნდათ, რომ საზოგადოების რადიკალური გარდაქმნა და გათანამედროვეობა საზოგადოებრივი ჰარმონიის დაშლას, დაქუცმაცებას და ადამიანთა გაუცხოებას იწვევს. ამიტომ, გამოუცდელი მომავლისადმი უკიდეგანო რწმენა მთლად გამართლებული არ არის. წარსულში ყოველთვის არსებობს ისეთი გამოცდილება, რომლის გათვალისწინება აუცილებელი და სასარგებლოა, თუკი ცივილიზებულ საზოგადოებად ყოფნა გვსურს. ისტორია მხოლოდ ქრონოლოგია არ არის, ისტორია გამოცდილებაა, სადაც ჩვენი წინაპრების წარსული ცხოვრებისეული სიბრძნე გამოსჭვივის, რომლის გაუთვალისწინებლობა ყოვლად დაუშვებელია. თაობათა თანამშრომლობაა წინსვლა და არა თაობათა შორის კავშირის რადიკალური გაწყვეტა. რევოლუცია წარსული თაობისგან სრულ მოწყვეტას ნიშნავს და გაურკვეველ მომავალს გვთავაზობს. ამიტომ, რევოლუცია დასაგმობი და გამოუსადეგარია, ხოლო ევოლუცია და ფრთხილი გარდაქმნა წარსულთან კავშირს აძლიერებს და მომავლისთვის საიმედო ხიდს დებს. კონსერვატული პარტიების კლასიკური მაგალითებია აშშ-ის რესპუბლიკური პარტია და დიდი ბრიტანეთის კონსერვატული პარტია. კონსერვატული ტიპის პარტიებს ხშირად მემარჯვენე, ან მემარჯვენე-ცენტრისტულ პარტიებად მოიხსენიებენ.

მე-19 საუკუნეში დაწყებულმა სამრეწველო გადატრიალებამ, მთელი რიგი ცვლილებები გამოიწვია საზოგადოების წეს-წყობილებაში. ბევრი ძველი სოციალური ჯგუფის გვერდით გაჩნდა ახალი სოციალური ჯგუფი, რომელიც უმთავრესად ახალშექმნილ ქარხანა-ფაბრიკებსა, თუ სხვა საწარ-

მოებში დაქირავებული შრომით ირჩენდა თავს და არა ტრადიციული სოფლის მეურნეობით, ან საქალაქო ხელოსნობით და აღებ-მიცემობით. ამ ჯგუფის საარსებო წყაროს არა საკუთრება, ან რაიმე მემკვიდრეობა წარმოადგენდა, არამედ მხოლოდ მის მიერ გამომუშავებული სახელფასო სარგო. ამიტომ, მუშათა კლასის/ფენის გაჩენამ ახალი იდეოლოგიის და შესაბამისად, ახალი ტიპის პოლიტიკური პარტიების გაჩენას დაუდო სათავე. ამ ახალ იდეოლოგიას სოციალიზმს უწოდებენ, რომელიც ყველაზე უფრო კარგად განავითარა და ჩამოაყალიბა გერმანელმა მოაზროვნემ კარლ მარქსმა. მარქსი კერძო საკუთრებას, როგორც საყოველთაო დამონების საშუალებას უარყოფდა და მმართველი, ბურჟუაზიული კლასის წინააღმდეგ მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობას ქადაგებდა.



ჟოზეფ დე მესტრი (Joseph de Maistre, 1753-1821)

ცნობილი ფრანგი მოაზროვნე, პოლიტიკოსი და დიპლომატი. იგი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთის რევოლუციას და მის იდეებს. ჟოსეფ დე მესტრი ითვლება კონსერვატიზმის კონტინენტურ ევროპული პოლიტიკური ტრადიციის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

მარქსის მტკიცებით, ბურჟუაზია მუშის მიერ გამომუშავებული ზედმეტი ღირებულების მითვისებით ახორციელებდა საკუთარ კლასობრივ ბატონობას დამორჩილებულ მუშათა კლასზე, რომელიც საზოგადოების უმრავლესობა იყო. მარქსი, ლიბერალიზმის და კონსერვატიზმისგან განსხვავებით, ამართლებდა საზოგადოების რადიკალურ, რევოლუციურ გარდაქმნას და აღწერდა კიდეც პროცესს, თუ როგორ დაამხობდა ამბოხებული მუშათა კლასი, პროლეტარიატი, ბურჟუაზიის ბატონობას, მოსპობდა კაპიტალისტურ ეკონომიკას და სათავეს დაუდებდა ახალ სოციალისტურ საზოგადოებას, რომელშიც ნელ-ნელა, სახელმწიფო ინსტიტუტების დახმარებით გაუქმდებოდა კერძო საკუთრება და უკლასო საზოგადოებად ჩამოყალიბდებოდა, სადაც აღარ იქნებოდა სოციალური განსხვავება მდიდარსა და ღარიბს შორის, სახელმწიფოც საერთოდ გაქრებოდა. საამისოდ, მარქსი მოითხოვდა ყველა ტრადიციული ინსტიტუციის, მათ შორის ეკლესიის, გაუქმებას. მარქსი რელიგიას „მასების ოპიუმს“ უწოდებდა, რომლის მეშვეობითაც გაბატონებული კლასები აბრუებდნენ საზოგადოებას და ამით მორჩილებაში ამყოფებდნენ. მარქსისთვის მთავარი არა ინდივიდუალიზმი და საბაზრო ეკონომიკა იყო, როდესაც სახელმწიფო არ ერევა რესურსების წარმოების და პროდუქციის საზოგადოებაში გადანაწილების პროცესში, არამედ კოლექტიური შრომა, კოლექტიური საკუთრება და სოციალური თანადგომა, რომელსაც სოციალური თანასწორობა უნდა დაემყარებინა. სოციალისტური საზოგადოების შემდეგ, მარქსი ასაბუთებდა კომუნისტური საზოგადოების ჩამოყალიბებას, სადაც ქრება ადამიანთა ჩაგვრა, ისადგურებს საყოველთაო ჰარმონია და სიკეთე. მარქსის თანახმად, კომუნიზმის მთავარი პრინციპი იყო: „ყველას შრომის მიხედვით და ყველას მოთხოვნის მიხედვით“. მარქსიზმმა და სოციალიზმმა ფართო გავრცელება ჰპოვა მსოფლიოში და ბევრ დიდ ცვლილებას და

საზოგადოებრივ მოძრაობას დაუდო სათავე. მას დღესაც მრავალი მხარდამჭერი ჰყავს. მარქსიზმის საფუძველზე აღმოცენდნენ კომუნისტური პარტიებიც. ზომიერი სოციალისტური პარტიების კლასიკური ნიმუშებია დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტია და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, ხოლო რადიკალური კომუნისტურის – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, დღევანდელი ჩინეთის და ჩრდილოეთ კორეის კომუნისტური პარტიები. სოციალისტური ტიპის პარტიებს უწოდებენ მემარცხენე, ან მემარცხენე-ცენტრისტულ პარტიებსაც.

4.5. პარტიული სისტემები

გამოყოფენ ორ ძირითად პარტიულ სისტემას: ერთპარტიულ სისტემას და მრავალპარტიულ სისტემას. მრავალპარტიული სისტემა რამდენიმე ქვესისტემად იყოფა, ესენია: ორპარტიული სისტემა, მრავალპარტიული სისტემა და დომინანტურ-პარტიული სისტემა.

ერთპარტიული სისტემის კლასიკური მაგალითებია საბჭოთა კავშირი და ნაცისტური გერმანია ჰიტლერის (Adolf Hitler, 1889-1945) დროს. ერთპარტიული სისტემის დროს, არსებობს მხოლოდ ერთი პარტია და სხვა დანარჩენი აკრძალულია. შესაბამისად, გამარჯვებული მუდამ ერთი პარტიაა და მოქალაქეებსაც სხვა არჩევანი არ გააჩნიათ. პარტიაში დაკავებული თანამდებობა ამავე დროს უდრის სახელმწიფო თანამდებობას. პარტია სრულად არის შერწყმული სახელმწიფო ინსტიტუტებთან და არ განსხვავდება მისგან, რის გამოც, ასეთ სახელმწიფოს პარტია-სახელმწიფოს უწოდებენ. საბჭოთა კავშირში მხოლოდ ერთი კომუნისტური პარტია არსებობდა და თუ ადამიანს რაიმე პოლიტიკური, ან სოციალურ-ეკონომიკური წარმატების მიღწევა სურდა, აუცილებლად კომუნისტური პარტიის წევრი უნდა გამხდარიყო, სხვა არჩევანი მას არ ჰქონდა. მსგავსი მდგომარეობა იყო ნაცისტურ გერმანიაშიც. გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია ერთადერთი ნებადართული პარტია იყო და ის ფლობდა ყველა პოლიტიკურ თანამდებობას და განსაზღვრავდა ქვეყნის განვითარების ბედ-იღბალს. დღეს ერთპარტიული სისტემის შემორჩენილი კლასიკური მაგალითია ჩინეთი და ჩრდილოეთ კორეა, სადაც სხვა პარტიის არსებობა აკრძალული და დაუშვებელია, გარდა კომუნისტური პარტიებისა, რომლებიც ქვეყანაში მოქმედ ერთადერთ კანონიერ პოლიტიკურ ჯგუფებს წარმოადგენენ.

ორპარტიული სისტემის დროს ნებადართულია ბევრი პოლიტიკური პარტიის არსებობა, მაგრამ მხოლოდ ორი პარტია იგებს არჩევნებს და უკავია ხელისუფლება გარკვეული მონაცვლეობით. ხან ერთი პარტიაა გამარჯვებული და ხან მეორე. ორპარტიული სისტემის კლასიკური მაგალითებია აშშ და დიდი ბრიტანეთი. აშშ-ში ორი ძირითადი პარტიაა: რესპუბლიკური და დემოკრატიული და შესაბამისად, ხან ერთია გამარჯვებული და ხან მეორე. არსებობენ სხვა პარტიებიც, მაგრამ მათ ხელისუფლება არასდროს

დაუკავებიათ. დიდ ბრიტანეთში ასეთი პარტიებია კონსერვატული პარტია და ლეიბორისტული პარტია. როგორც წესი, ხან ერთი ფლობს ხელისუფლებას და ხან მეორე, იმის მიუხედავად, რომ მათ გარდა სხვა მრავალი პარტიაც არსებობს.

მრავალპარტიული სისტემის დროს, როგორც წესი, რამდენიმე პარტია იგებს არჩევნებს და იმის გამო, რომ ვერცერთი ვერ ახერხებს უმრავლესობის ჩამოყალიბებას პარტიულ კოალიციებს ქმნიან და ისე აყალიბებენ მთავრობას. სხვა შემთხვევაში მთავრობის შექმნა და ფუნქციონირება შეუძლებელია. მრავალპარტიული სისტემის კლასიკური მაგალითებია გერმანია და თითქმის ყველა ევროპული ქვეყანა, მეტ-ნაკლები განსხვავებულობით. გერმანიაში, როგორც წესი, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი, სოციალ-დემოკრატიული პარტია, მწვანეთა პარტია და თავისუფალი დემოკრატები (ლიბერალური პარტია) ქმნიან ხოლმე სამთავრობო კოალიციებს და ასე ახერხებენ ქვეყნის მართვა-გამგეობას და სხვადასხვა პოლიტიკური კურსის გატარებას.

დომინანტური პარტიული სისტემა ჰქვია ისეთ სისტემას, სადაც მუდამ ერთი პარტია დომინანტობს, თუმცა სხვა პარტიების მოქმედება და საქმიანობა აკრძალული არ არის. არჩევნებში როგორც წესი, მრავალი პარტია იღებს მონაწილეობას, გარკვეულ ადგილებს იკავებენ საკანონმდებლო კრებაში, მაგრამ სრულ გამარჯვებას, როგორც წესი, მხოლოდ ერთი პარტია ახერხებს და მუდამ ის არის მმართველი ძალა წლების განმავლობაში. დომინანტური პარტიული სისტემის კლასიკური მაგალითია იაპონია, სადაც იაპონურ ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიას ათწლეულებია უკვე უკავია სამთავრობო დაწესებულებები, თუმცა სხვა პარტიების არსებობა ნებადართულია და არიან კიდეც წარმოდგენილნი საკანონმდებლო კრებებში. ამის მიუხედავად, მათ არ შეუძლიათ მმართველ ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიას ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიონ და ჩაენაცვლონ ხელისუფლებაში.

4.6. პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემის ფორმირების საკითხი საქართველოში

ქართულ რეალობაში პირველად ტერმინი „პარტია“ 1832 წლის შეთქმულების დროს, მე-19 საუკუნის დასაწყისში გვხვდება. შეთქმულები, ხშირად იყენებდნენ ტერმინ „პარტიას“ საკუთარ საპროგრამო დოკუმენტებში. თუმცა, მან ფართო გავრცელება მე-19 საუკუნის ბოლოდან მოიპოვა, როდესაც საქართველოში პოლიტიკურმა პარტიებმა დაიწყეს ჩამოყალიბება. ამის მიუხედავად, ქართულ სიტყვიერებაში ტერმინ „პარტიის“ სინონიმად ხშირად გამოიყენებოდა ტერმინი „დასი“. მე-19 საუკუნის ისტორიიდან ჩვენ ვიცით პოლიტიკური ძალების „დასებად“ დაყოფის ტრადიცია. არსებობდა „პირველი დასი“, „მეორე დასი“ და „მესამე დასი.“ თუმცა, „დასმა“ მაინც ვერ ჰპოვა საყოველთაო გავრცელება და „პარტიის“ ჩანაცვლება. საქართველოში პარტიებმა ჩამოყალიბება მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის და-

საწყისში დაასრულეს და კონკრეტულად 1917 წელი გახლდათ გადამწყვეტი მათი საბოლოო ფორმირებისთვის. განსაკუთრებული სიდიდით და გავლენით გამოირჩეოდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც თავდაპირველად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნაწილი გახლდათ, ხოლო შემდგომ მოხდა მისი ცალკე ქართულ პარტიად ფორმირება. სწორედ სოციალ-დემოკრატიული პარტია წარმოადგენდა 1918-21 წლების დამოუკიდებელი ქართული რესპუბლიკის მმართველ პარტიას. ლიბერალური და კონსერვატული პარტიები საქართველოში ორგანიზაციული სისუსტით გამოირჩეოდნენ, თუმცა, მათაც ჰყავდათ საკუთარ მომხრეთა ფართო ჯგუფები. ასეთი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (რომელიც ილია ჭავჭავაძისეულ ლიბერალური კონსერვატიზმის იდეის საფუძველზე იდგა). ლიბერალური, კონსერვატული და სოციალისტური იდეოლოგიების ერთგვარ ნაზავს სოციალ-ფედერალისტური პარტია წარმოადგენდა, რომელიც აგრეთვე, საკმაო გავლენით გამოირჩეოდა სოციალ-დემოკრატებსა და ეროვნულ-დემოკრატებთან ერთად. ამასთანავე, არსებობდნენ კიდევ სხვა წვრილ-წვრილი პარტიები, რომელთა უმრავლესობასაც სხვადასხვა განშტოების სოციალისტური პოზიციები ეჭირათ, თუმცა, მათი როლი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უმნიშვნელო იყო.

მრავალპარტიული სპექტრის გაქრობა საქართველოში 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციის დროს დაიწყო და 1925 წელს დასრულდა ერთპარტიული სისტემის ჩამოყალიბებით. არაკომუნისტურმა პარტიებმა საქართველოში ხელახალი აღმოცენება არალეგალურად საბჭოთა რეჟიმის დროს – 1980-იანი წლებიდან დაიწყეს, თუმცა, ორგანიზაციულად უკეთ ფორმირება 1990 წლის 28 ოქტომბრის შემდეგ მოახერხეს, რაც დღემდე გრძელდება. თანამედროვე საქართველო პოლიტიკური პარტიების დიდი რაოდენობით და სიჭრელით გამოირჩევა. დღევანდელი ქართული პოლიტიკური პარტიები არ გამოირჩევიან განსაკუთრებული იდეოლოგიური ერთგულებით (განსხვავებით მე-19 საუკუნის ბოლოს არსებული პოლიტიკური პარტიებისგან) და რთულია მასში კლასიკური ლიბერალური, კონსერვატული ან სოციალისტური პარტიების აღმოჩენა. მაგალითად: ამჟამინდელი მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ გაცხადებულად სოციალ-დემოკრატიული, მემარცხენე ცენტრისტული მიმართულების პარტიაა, თუმცა, მასში საკმაოდ ძლიერია სოციალური კონსერვატიზმის, ტრადიციონალიზმის და სუსტი სეკულარიზმის ელემენტები; „ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“ ოფიციალურად მემარჯვენე-ცენტრისტულ, ლიბერალურ-კონსერვატულ პარტიებს წარმოადგენენ, თუმცა, მათთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია სოციალური კონსერვატიზმი, ტრადიციონალიზმი და უფრო მნიშვნელოვანია სეკულარიზმი; „პატრიოტთა ალიანსი“ ფორმალურად კონსერვატულ პარტიას წარმოადგენს, რომლისთვისაც დამახასიათებელია მემარჯვენე და მემარცხენე პოპულისტური იდეების ეკლექტური ნაზავი; მოძრაობა „ლელო“ მემარჯვენე და მემარცხენე ცენტრისტული და ცენტრისტული ჯგუფების ერთგვარ კონგლომერატს წარმოად-

გენს, რომელსაც სურს ცენტრისტული პოზიციის დაკავება და ა.შ. პოლიტიკური პარტიების გამყოფი ხაზების ფორმირებაში იდეოლოგიურ საკითხზე მეტად, ქვეყნის საგარეო ორიენტაციის საკითხი უფრო მეტ როლს თამაშობს. ამ გაგებით, უფრო მისაღებია ვისაუბროთ ე.წ. „პროდასავლურ“ და „პრორუსულ“ პარტიებად დაყოფაზე, თუმცა, ეს საკითხიც ბოლომდე არ განსაზღვრავს ხოლმე პარტიების იდეურად დაყოფის საკითხებს.

საქართველოს კონსტიტუცია
მუხლი 23. პოლიტიკური პარტიების თავისუფლება
„1. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.“
„3. დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით.“

პარტიული სისტემის თვალსაზრისით, საქართველო ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია და საბოლოო სახე არ მიუღია. ეს არის სისტემა, რომელიც არაკონსოლიდირებულ მრავალპარტიულობასა და დომინანტურ პარტიულ სისტემას შორის მერყეობს, იმის მიუხედავად, რომ წლებია საქართველოს საკანონმდებლო დაწესებულებები მრავალპარტიული შემადგენლობისაა. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდგომ, საქართველოში გამარჯვებული ყველა პოლიტიკური პარტია, რომელიც უმთავრესად კოალიციური სახის იყო, იმდენად დიდ ძალაუფლებას აღწევდა, რომ ოპოზიციური პარტიები მას კონკურენციას ველარ უწევდნენ. როგორც წესი, გამარჯვებული პოლიტიკური პარტიის დამარცხება იწყებოდა მაშინ, როდესაც მმართველ პარტიაში იწყებოდა განხეთქილება და ამ განხეთქილების შედეგად ყალიბდებოდა ძლიერი ოპოზიციური პარტიები. დამარცხების შემდეგ, მმართველი პარტიები ქრებოდნენ პოლიტიკური ავანსცენიდან და მათ ადგილს ახალი მმართველი პარტიები იკავებდნენ. ასეთი რამ დაემართა საარჩევნო პარტიათა ბლოკს „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, რომელსაც პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობდა. მისი ძალადობრივი დამხობის შემდეგ ეს პარტია/ბლოკი გაქრა პოლიტიკური ავანსცენიდან, თუმცა, მისი ნარჩენები შემორჩენილია ამა თუ იმ სახით დღესაც. 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გამარჯვებას მიაღწია საარჩევნო ბლოკმა „მშვიდობა“, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობდა. შემდგომში, 1995 წელს, ამ ბლოკის ადგილზე შევარდნაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა ახალი მმართველი ძალა „მოქალაქეთა კავშირი“. ეს პარტია შევარდნაძის მეთაურობით, პრაქტიკულად ერთპიროვნულად მართავდა სახელმწიფოს 2003 წლამდე. 2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ახალი მმართველი ძალა მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით აგრეთვე, ერთპიროვნულად მართავდა სახელმწიფოს 2012 წლის ოქტომბრამდე. თუმცა, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მმართველი ბლოკი „ნაციონალური მოძრაობა-ბურჯანაძე-დემოკრატები“ დაიშალა და მის ადგილზე მხოლოდ ერ-

თი პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ დარჩა. 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგად პირველად შეიცვალა არჩევნების გზით ხელისუფლება საქართველოში მას შემდეგ, რაც ქვეყანამ 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. ეს მოვლენა დიდი მნიშვნელობისა იყო საქართველოში ლიბერალური დემოკრატიის შემდგომი დამყარების საქმეში. წინა წლებისგან განსხვავებით, ყოფილი მმართველი პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ არ გამქრალა, თუმცა მას ორი ჯგუფი გამოეყო, რომელთაგანაც შეიქმნა მსხვილი ოპოზიციური პარტია „ევროპული საქართველო“ და შედარებით წვრილი პოლიტიკური მოძრაობა „გირჩი“, რომელიც გამოკვეთილად ლიბერტარული იდეების მატარებელია და სხვა პარტიებთან შედარებით მეტი იდეოლოგიური ერთგულებით გამოირჩევა, თუმცა, მისი გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე მსხვილ პარტიებთან შედარებით მცირეა. მმართველი პოლიტიკური ძალა „ქართული ოცნება“, კვლავ კოალიციური ხასიათისა იყო, თუმცა, მისი ძალაუფლება, წინა მმართველი პარტიებისგან განსხვავებით, ისეთივე ერთპიროვნულს აღარ წარმოადგენდა. მის მიერ მოპოვებული ადგილები პარლამენტში საკმარისი არ აღმოჩნდა საკონსტიტუციო უმრავლესობის მისაღებად და ბევრ საკითხთან დაკავშირებით (მათ შორის საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით) ოპოზიციასთან უხდებოდა შეთანხმება. ამგვარი ვითარება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე გაგრძელდა. 2016 წლის საპარლამეტო არჩევნების შედეგად შეიცვალა მოცემული ბალანსი და კოალიციამ „ქართული ოცნება“ ხმათა საკონსტიტუციო უმრავლესობა მიიღო, რაც აძლევდა მას საშუალებას, ერთპარტიულად, ოპოზიციურ პარტიებთან შეთანხმების გარეშე, მიეღო ყველა ფუნდამენტური გადაწყვეტილება. მაგალითად, მას ერთპარტიულად შეეძლო დაემტკიცებინა აღმასრულებელი ხელისუფლება. ამგვარი ვითარების ყველაზე საუკეთესო დასტურია 2017 წლის 13 ოქტომბერს მიღებული ახალი საკონსტიტუციო პროექტი. ახალი კონსტიტუციის მისაღებად მას არც ოპოზოციურ პარტიებთან შეთანხმება დასჭირდა და საჭიროების შემთხვევაშიც პრეზიდენტის მიერ დადებული ვეტოც იოლად გადალახა.

საქართველოში პარტიული სისტემა ფიზიკურად ვერ წავა ვერც ერთპარტიული და ვერც ორპარტიული სისტემისკენ, ეს გამორიცხულია, მას საამისო პირობები არ გააჩნია. ერთპარტიულობის დამკვიდრებას გამორიცხავს ტოტალიტარული სისტემის არარსებობა, ხოლო ორპარტიულობას – საარჩევნო სისტემის თავისებურება. ორპარტიული სისტემები აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარეობს. საქართველოში არჩევნების შერეული მოდელი მოქმედებს, რომელიც 2024 წლიდან სრულად პროპორციული უნდა გახდეს. საქართველოს უწევს არჩევანის გაკეთება მრავალპარტიული და დომინანტური პარტიული სისტემებიდან ერთერთზე. ის ქვეყნები, სადაც ჩამოყალიბებული მრავალპარტიული სისტემებია, უფრო კონსოლიდირებულ ლიბერალურ-დემოკრატიებს წარმოადგენენ, ხოლო ქვეყნები, რომლებიც დომინანტური პარტიული სისტემისკენ მიისწრაფვიან ფაქტობრივად, ავტორიტარიზმის კონსოლოდაციას ესწრაფვიან (მაგ. მექსიკა,

რომელსაც თითქმის 30 წლის განმავლობაში მართავდა რევოლუციურ-დემოკრატიული პარტია) და მათთვის პარტიული კონკურენცია მხოლოდ დემოკრატიის ფასადს წარმოადგენს ავტორიტარიზმის შესანიღბად (იაპონია ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს, თუმცა, იაპონურ დემოკრატიას დასავლური დემოკრატიებისგან ბევრი თავისებურებები გამოარჩევს). თუ საქართველო საბოლოოდ არჩევანს გააკეთებს მკვიდრი ლიბერალური დემოკრატიის აშენებაზე, მაშინ მას მრავალპარტიული სისტემისკენ გადახრა მოუწევს, მაგრამ თუ მასში ავტორიტარულმა რეჟიმმა გარკვეული პოპულარობა მოიპოვა, მაშინ იგი დომინანტურ პარტიულ სისტემად გარდაიქმნება. გამართული პოლიტიკური პარტიების არსებობა და სტაბილური მრავალპარტიული სისტემა საქართველოს საბოლოო დემოკრატიზაციის ერთ-ერთი ფუნდამენტი და მთავარი გარანტორია.

კითხვები გააზრებისთვის:

1. რა დანიშნულება და მიზნები აქვს არჩევნებს პოლიტიკურ პროცესებში?
2. რამდენად მნიშვნელოვანია მოქალაქეთა აქტიურობა და მონაწილეობა საარჩევნო პროცესებში?
3. შეიძლება თუ არა არჩევნების და საარჩევნო პროცესების მიხედვით გავარჩიოთ ერთმანეთისგან სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმი?
4. რატომ გაჩნდნენ პოლიტიკური პარტიები და რა დანიშნულება აქვთ მათ თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებში?
5. უნდა ჰქონდეთ თუ არა პოლიტიკურ პარტიებს იდეური შეხედულებების რაიმე მწყობრი სისტემა?
6. რა სისტემით შეიძლება არსებობდნენ პოლიტიკური პარტიები თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებში?
7. როგორია საქართველოს გამოცდილება პოლიტიკურ პარტიებთან და არჩევნებთან მიმართებაში?
8. რას ფიქრობთ საქართველოში პარტიული და საარჩევნო სისტემების განვითარების პერსპექტივებზე?

2 ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებები პოლიტიკურ-სამართლებრივი ხასიათის მატარებელია. ეპოქის მსოფლმხედველობიდან გამომდინარე და იმის მიხედვით, თუ ვინ იყო მმართველობაში, როგორი იყო პოლიტიკური ელიტის შეხედულებები, ადამიანის უფლებები ხან ეთიკურ, ხან რელიგიურ, ხანაც ფილოსოფიურ შინაარს იძენდა.

თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში ასახული ადამიანის უფლებების უკვე დამკვიდრებული სტანდარტი, მრავალსაუკუნოვანი პროცესის შედეგია. დემოკრატიული საზოგადოების შესაბამისი ნორმები კაცობრიობის ცხოვრების ემპირიულ პროცესში ეტაპობრივად ყალიბდებოდა. კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია თანამედროვე სამყაროში ადამიანის მეტი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან და სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის თავისუფლებისა და პიროვნების აღიარება.

სახელმძღვანელოს ამ კარიდან თქვენ შეიტყობთ ადამიანის უფლებათა არსისა და თვისებების შესახებ. გაეცნობით ადამიანის უფლებათა კლასიფიკაციას. ასევე, ამ კარში განხილულია ინდივიდისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების საკითხები და ის რთული გზა, რომელიც ადამიანის უფლებებმა დღევანდელობამდე განვლო. ყოველი ეპოქა თავის წვლილს მატებდა ადამიანის უფლებათა განვითარების იდეას. ადამიანის უფლებების საერთაშორისო დოკუმენტებით მიღებული თანამედროვე კატალოგი მრავალი ბრძოლისა და ადამიანთა თავგანწირვის შედეგია.

თქვენ ასევე, გაეცნობით ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მიღებულ მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტებს. თანამედროვე მსოფლიოს მიერ აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებათა გვერდით საერთაშორისო დოკუმენტებით აღიარებულ ცალკეულ ჯგუფთა: ბავშვების, ქალების, დევნილების, შშმ პირებისა და სხვათა უფლებებს. ასეთი ჯგუფების განსაკუთრებული დაცვის ზომები მიღებულია არცთუ ისე შორეულ წარსულში საზოგადოებაში მათი დაუცველი და დამამცირებელი მდგომარეობის, მათი დისკრიმინაციის გამო.

თანამედროვე სამყაროშიც ადამიანების წინაშე დგას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა – იმ ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, რომელთა საშუალებითაც ახორციელებს ინდივიდი თვითრეალიზებასა და განვითარებას. თქვენ გაეცნობით ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებსაც. სახელმძღვანელოს ამ კარის დასრულების შემდეგ თქვენ შეძლებთ იმსჯელოთ თუ რა არის:

- ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები, კოლექტიური უფლებები;
- სახელმწიფოს „ნეგატიური“ და „პოზიტიური“ ვალდებულებები;
- ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მიღებული ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტები, როგორებიცაა: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, „ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია“, „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა საფრანგეთის დეკლარაცია“, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ბავშვის უფლებების კონვენცია და სხვა;
- ეროვნულ დონეზე არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები: საქართველოს სასამართლო სისტემა, სახალხო დამცველის ინსტიტუტი;
- ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართალო.

თავი V

ადამიანის უფლებათა არსი, თვისებები, კლასიფიკაცია

5.1. ადამიანის უფლებათა არსი

ალბათ, ძალიან გაგვიჭირდება წარმოვიდგინოთ თანამედროვე მსოფლიო სამართლიანობის, თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული ადამიანის უფლებების გარეშე. ადამიანის უფლებები არის იმ ღირებულებების ორიენტირი, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის. ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებს ვერტიკალურ ურთიერთობებს უწოდებენ, ხოლო ინდივიდებს შორის ურთიერთობებს ჰორიზონტალურს. ადამიანის უფლებათა დეკლარაციის 29-ე მუხლში ვკითხულობთ: „თავისი უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, როგორიც კანონითაა დადგენილი მარტოოდენ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.“

ადამიანის უფლებათა თვისებები. ადამიანის უფლებებს თანდაყოლილს უწოდებენ, რადგან ადამიანს იგი დაბადებისთანავე ენიჭება და ის ბუნებრივი ხასიათისაა. ადამიანის უფლებების თანდაყოლილი თვისების გაგება ათავისუფლებს ადამიანს სახელმწიფოზე დამოკიდებულებისაგან. იმისათვის, რომ ფლობდე მათ, საკმარისია ადამიანად დაბადება. რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებები საყოველთაო ხასიათისაა. მნიშვნელობა არა აქვს დედამიწის რომელ წერტილში დაიბადება ადამიანი, რა ენაზე საუბრობს, როგორია მისი კანის ფერი და არც იმაზეა დამოკიდებული აქვს თუ არა მას რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა. ადამიანის უფლებების შინაარსი ყველა ადამიანისათვის საერთოა.

ადამიანის ბუნებითი უფლების გასხვისება და წართმევა არ შეიძლება, რადგან ის თვით ადამიანის ნაწილია. ამიტომ იგი განუსხვისებელია. ადამიანის უფლებების დარღვევაა მისთვის ბუნებით მინიჭებული უფლების წართმევა ან ვინმესთვის გადაცემა. ადამიანის უფლებები რეგულირდება კანონებით, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები შესაძლებელია განსაკუთრებულ შემთხვევებში შეზღუდული იყოს მხოლოდ კანონით, სახელმწიფოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში გაწერილი ნორმების შესაბამისად. ადამიანის თავისუფლებისა და უფლებების შეზღუდვა განპირობებული უნდა იყოს უფრო მაღალი მიზნებით, რაც გამოხატულია

სახელმწიფოს და საზოგადოების უსაფრთხოებაში, ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაში. ადამიანის უფლებების დროებითი შეზღუდვა შესაძლებელია ომისა და სხვა განსაკუთრებული შემთხვევებისას, როგორებიცაა: სტიქიური უბედურება, ეპიდემია და ა.შ. ან თუნდაც პირს კანონის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა. აუცილებელია, რომ შეზღუდვები შეესაბამებოდეს შექმნილ ვითარებას და იყოს სიტუაციის შესაბამისი.

ადამიანის უფლებები დაფუძნებულია ადამიანის ბუნებრივი თანასწორობის პრინციპზე, ამიტომ ისინი უნივერსალური ხასიათისაა. ყველა ადამიანს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვს თავისუფლება და უფლება. დაუშვებელია ადამიანის უფლებისა და თავისუფლების შეზღუდვა მისი რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური კუთვნილების თუ სხვა განსხვავებულობის საფუძველზე. ადამიანის უფლებების უნივერსალურობა თვით უფლებების შინაარსიდან გამომდინარეობს და ნიშნავს, რომ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ადამიანი თავისუფლებისა და საკუთარი უფლებების მფლობელია.

ადამიანის უფლებები ბუნებისაგან არის მონიჭებული. ამ კონცეფციის თანახმად, ადამიანის უფლებები ხელშეუვალი და განუყოფელია, რადგან ადამიანი ბუნებით თავისუფალი იბადება, და არავის აქვს უფლება ჩამოართვას ადამიანს ბუნებით მინიჭებული უფლება და თავისუფლება.

ადამიანის უფლებები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ერთმანეთისაგან გამომდინარეობს. შეუძლებელია ერთი რომელიმე უფლების განხორციელება და სხვა დანარჩენის უგულვებელყოფა მისი ნაკლები მნიშვნელობის მიზეზით. ადამიანის ყველა უფლება განხილული უნდა იყოს როგორც თანაბრად მნიშვნელოვანი და ღირებული. სწორედ ამ აზრს გამოხატავს ადამიანის უფლებების ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთგამომდინარეობა.

ადამიანის უფლებათა კლასიფიკაცია. ადამიანის უფლებების შევსება და სრულყოფა ახალი „თაობების“ უფლებებით განპირობებულია საზოგადოებისთვის დამახასიათებელი კანონზომიერი პროცესებით. ადამიანის უფლებების ქრონოლოგიური კლასიფიკაცია მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან წარმოიშვა. ამ კონცეფციის თანახმად, ადამიანის უფლებებს სამ „თაობად“ ჰყოფენ.

პირველი „თაობის“ უფლებების წარმოშობა დაკავშირებულია XVII-XVIII საუკუნეების ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქასთან (საფრანგეთის დიდი რევოლუცია, ამერიკელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის). პირველი თაობის უფლებებს მიაკუთვნებენ ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს.

ადამიანის სამოქალაქო უფლებებია: სიცოცხლის უფლება, ადამიანის ღირსებისა და პატივის ხელშეუხებლობის უფლება, თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, გადაადგილების თავისუფლება და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება, თავისუფალი სასამართლოს

უფლება, უდანაშაულობის პრეზუმცია და ა.შ. ადამიანის პირადი უფლებები თავისი შინაარსით ადამიანის თანდაყოლი, განუსხვისებელი და განუყოფელი უფლებებია, ამიტომ სულაც არაა აუცილებელი ადამიანი ფლობდეს განსაკუთრებულ პიროვნულ თვისებებს ან იყოს რომელიმე ქვეყნის მოქალაქე. არც ქვეყნის პოლიტიკურ რეჟიმსა თუ სახელმწიფოს მოწყობის ფორმასა და მართვაზეა დამოკიდებული ადამიანის სამოქალაქო უფლებების ფლობა.

ადამიანის უფლებათა ლოგო ავტორი: სერბი გრაფიკოსი და დიზაინერი – პრედრაგ სტაკიჩი.

ადამიანის პოლიტიკურ უფლებებს მიეკუთვნება: სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის უფლება, გადაადგილების თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, მშვიდობიანი შეკრებების უფლება, გაერთიანებების, კავშირების შექმნის უფლება და ა.შ. პოლიტიკურ უფლებებს მიეკუთვნება ასევე, საარჩევნო უფლებაც. პოლიტიკური უფლებები ადამიანებს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მართვაში და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. პირადი უფლებებისაგან განსხვავებით, პოლიტიკურ უფლებებს გარკვეული წინაპირობა განსაზღვრავთ. პოლიტიკური უფლებები ენიჭება ადამიანს, როგორც კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეს და მათი განხორციელებაც მხოლოდ ქვეყნის კანონმდებლობასთან კავშირშია შესაძლებელი.

ადამიანების მუდმივმა მისწრაფებამ და ბრძოლამ ცხოვრების უკეთესი პირობების შესაქმნელად, კულტურული სტატუსის ამაღლებისათვის მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან წარმოშვა მეორე „თაობის“ უფლებები – სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები.

სოციალურ-ეკონომიკური უფლებებია: შრომისა და დასვენების უფლება, სოციალური უზრუნველყოფის უფლება, ღირსეული ცხოვრების უფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლება და ა.შ. ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებები განსაზღვრავენ ადამიანის ყოფას სოციალურ გარემოში. კულტურულ უფლებებს მიეკუთვნება: განათლების უფლება, კულტურული ღირებულებების ხელმისაწვდომობის უფლება, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, შემოქმედების უფლება, სამეცნიერო მიღწევების გამოყენების უფლება. კულტურული უფლებები ადამიანის სულიერი განვითარების სამსახურში დგას და საშუალებას აძლევს თითოეულ ინდივიდს თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოების სოციალურ განვითარებაში.

სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებების დაცვა დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. თუკი ეკონომიკა ქვეყანაში სუსტადაა განვითარებული და ღარიბი ქვეყნების რიგს მიეკუთვნება, მის ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება სახსრების გამონახვა თავისი მოქალაქეებისათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შესაქმნელად. ადამიანის

სოციალური და ეკონომიკური უფლებების განხორციელებას წინ უნდა უძღვოდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერ და მდიდარ ქვეყანას შეუძლია უზრუნველყოს მოქალაქეთა ღირსეული ყოფა.

მიუხედავად იმისა, რომ პირადი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები შინაარსით განსხვავდება ერთმანეთისაგან, ადამიანის უფლებათა საერთო სისტემაში ამ უფლებებიდან რომელიმეს უპირატესობა არ ენიჭება და ყველა თანაბრად მნიშვნელოვანია.

მესამე „თაობის“ უფლებების წარმოშობა დაკავშირებულია გლობალურ პრობლემებთან, როგორიცაა ეკოლოგიური, ჰუმანიტარული პრობლემები. ეს უფლებები ეკუთვნის არა იმდენად ინდივიდს, რამდენადაც მთელ ერებს. მესამე „თაობის“ უფლებების წარმოშობას წინ უძღვოდა მეორე მსოფლიო ომი, მრავალი ქვეყნის გათავისუფლება კოლონიალიზმის მარწუხებისგან, ეკოლოგიური და ჰუმანიტარული პრობლემების გამწვავება. მესამე „თაობის“ უფლებებს მიეკუთვნება სოლიდარობის ანუ კოლექტიური უფლებები: მშვიდობიან გარემოში ცხოვრების უფლება, ჯანსაღ და ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრების უფლება, თვითგამორკვევის უფლება, ინფორმაციის თავისუფლება და სხვა. კოლექტიური უფლებები არ არის ინდივიდის უფლებებისაგან გამოყოფილი, რაც იმას ნიშნავს, რომ კოლექტიური უფლებები წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ინდივიდის უფლებებთან, არ უნდა ლახავდეს მის უფლებას, თავისუფლებას და ღირსებას, არ უნდა ზღუდავდეს პიროვნების სამართლებრივ სტატუსს.

ინდივიდი და სახელმწიფო. ტრადიციულად, ადამიანის უფლებების საკითხს ინდივიდისა და სახელმწიფოს ურთიერთობის კონტექსტში განიხილავენ. ადამიანის უფლებები უმაღლესი ღირებულებებია, ამიტომ მათი პატივისცემა და დაცვა სახელმწიფოს უპირველესი ვალდებულებაა, ანუ ადამიანის უფლებების აღიარება თავის თავში მოიცავს ვალდებულებასაც სახელმწიფოს მხრიდან:

- პატივი სცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, ანუ არ შეზღუდოს ბუნებით მინიჭებული ადამიანის უფლება და თავისუფლება;
- დაიცვას ადამიანის უფლებები, ანუ არ დაუშვას ადამიანის უფლებათა დარღვევა;
- სახელმწიფო ვალდებულია განუხრელად შეუწყოს ხელი ადამიანის უფლებების განხორციელებას, შექმნას ადამიანის უფლებების დაცვისათვის აუცილებელი გარემო. იზრუნოს, რათა ყოველმა ადამიანმა პატივი სცეს სხვათა უფლებებს.

თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში, სწორედ ადამიანის უფლებებითაა ხელისუფლება შეზღუდული. რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანს ენიჭება უფლება აკონტროლოს და შეზღუდოს ხელისუფლება, სწო-

რედ საკუთარი უფლებების საფუძველზე. ხშირად, სახელმწიფოს ნამდვილი სახე ადამიანის უფლებების ფენომენთან მისი დამოკიდებულებით ვლინდება. ადამიანის უფლებები თანამედროვე ადამიანის ცივილიზებულ სამყაროში ცხოვრების გზამკვლევია, რომელიც არეგულირებს და აწესრიგებს სახელმწიფოსა და ინდივიდებს შორის ურთიერთობებს, მათ ქმედებებს, მოღვაწეობას. ადამიანის პირადი და პოლიტიკური უფლებების განხორციელება არ არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე, ის მთლიანად ხელისუფლების ნებაზეა დამოკიდებული. ამიტომ პირველი თაობის უფლებების დაცვა ხელისუფლების დაუყოვნებლივ შესასრულებელი ვალდებულებაა.

იმისათვის, რომ ადამიანის ცხოვრება სახელმწიფოში იყოს სრულყოფილი და ადამიანმა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობლების რეალიზება, სახელმწიფომ ერთმნიშვნელოვნად უნდა აღიაროს და დაიცვას ადამიანის ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორებიცაა: სიცოცხლის უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, სინდისისა და რწმენის თავისუფლება, აღმსარებლობლისა და საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება, ხმის მიცემის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება და ა.შ. ამ უფლებების დაცვა და განხორციელება სახელმწიფოს „ნეგატიური“ ვალდებულებაა (status negativus), რადგან ეს უფლებები გამოხატავენ სახელმწიფოსა და ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობას. სახელმწიფოს „ნეგატიური“ ვალდებულების თანახმად, სახელმწიფომ უკანონოდ არ უნდა შეზღუდოს ადამიანის თავისუფლება, არ უნდა ჩაერიოს მის პირად ცხოვრებაში.

მეორე „თაობის“ უფლებებს სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში „პოზიტიურს“ (status pozitivus) უწოდებენ, რადგან ამ უფლებების განხორციელება საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართულ ქმედებებს – ჩარევას, აუცილებელი გარემოს შექმნას. ამ უფლებებს მიეკუთვნება სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებები: შრომისა და დასვენების უფლება, განათლების უფლება, სოციალური უზრუნველყოფის უფლება, ჯანდაცვის უფლება და სხვა.

ადამიანის მიერ საკუთარი უფლებისა და თავისუფლების შეგრძნებამ არ უნდა დაარღვიოს სხვა ადამიანების უფლებები და თავისუფლება. ძირითადი უფლებები უნდა იყოს დაცული სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე.

კითხვები გააზრებისთვის:

1. რას უწოდებენ სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის ურთიერთობებს?
2. რას უწოდებენ ინდივიდებს შორის ურთიერთობებს?
3. ჩამოთვალეთ და განმარტეთ ადამიანის უფლებების თვისებები;
4. როდის წარმოიშვა ადამიანის უფლებების ქრონოლიგიური კლასიფიკაცია და რამდენ თაობად ყოფენ მათ?
5. რომელ ეპოქასთან არის დაკავშირებული პირველი თაობის უფლებების წარმოშობა და ადამიანის რომელი უფლებები მიეკუთვნება პირველი თაობის უფლებებს?
6. რომელ ეპოქასთან არის დაკავშირებული და ადამიანის რომელი უფლებები მიეკუთვნება მეორე თაობის უფლებებს?
7. რომელ ეპოქასთან არის დაკავშირებული მესამე თაობის უფლებების წარმოშობა და ადამიანის რომელი უფლებები მიეკუთვნება მესამე თაობის უფლებებს?
8. განმარტეთ სახელმწიფოს „ნეგატიური“ და „პოზიტიური“ ვალდებულებები.

თავი VI

ადამიანის უფლებები

6.1. სამოქალაქო უფლებები

სიცოცხლის უფლება უმაღლესი ღირებულებაა. ის ადამიანის ძირითადი უფლებაა, რომელსაც ეფუძნება სხვა დანარჩენი უფლებები, რადგან ადამიანის დაღუპვის შემდეგ, შეუძლებელია სხვა უფლებების რეალიზება და ისინი აზრს კარგავენ. სახელმწიფოს „პოზიტიური“ ვალდებულებაა დაიცვას თითოეული მოქალაქის სიცოცხლე, მისი სიცოცხლის დასაცავად მიიღოს ყველა საჭირო და აუცილებელი ზომა. ამავე დროს, სახელმწიფოს „ნეგატიური“ ვალდებულება უკრძალავს მას ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი) უშვებს გამონაკლისსაც იმ შემთხვევების გათვალისწინებით, როცა სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას სხვა უდანაშაულო პირის სიცოცხლე. კონვენციის თანახმად, „სიცოცხლის ხელყოფა არ ჩაითვლება ამ მუხლის (მუხლი 2. სიცოცხლის უფლება) საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:

ა) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისგან;

ბ) კანონიერი დაკავებისთვის ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;

გ) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბოხის ჩასახშობად.“ (ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, 2008. გვ. 8) აღსანიშნავია, რომ ამავე კონვენციის პირველი მუხლი არ კრძალავს სიკვდილით დასჯას.

1983 წლის 28 აპრილს სტრასბურგში მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მეექვსე ოქმი – სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით, სადაც: „ამ ოქმის ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები ითვალისწინებენ, რომ ევროპის საბჭოს წევრ რამდენიმე სახელმწიფოში განხორციელებული წინსვლა გამოხატავს სიკვდილით დასჯის გაუქმების საერთო ტენდენციას და თანხმდებიან შემდეგზე:

„მუხლი 1. სიკვდილით დასჯის გაუქმება

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. არ შეიძლება, ვინმეს შეეფარდოს სიკვდილით დასჯა ან ვინმეს მიმართ აღსრულდეს ასეთი განაჩენი.“ (ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, 2008. გვ. 38)

ადამიანის სიცოცხლის უფლება საქართველოში გამყარებულია კონსტიტუციით:

მუხლი 10. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები

„1. ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

2. ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა დაცულია.“

ჩანართი 2.1. სიკვდილით დასჯის გაუქმება საქართველოში

„90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 მუხლი ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულისთვის. იმ დროს საზოგადოებრივი აზრი სიკვდილით დასჯის მომხრე იყო. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, თავისუფალმა პრესამ და მმართველობაში არსებულმა რეფორმისტულად მოაზროვნე ადამიანთა ჯგუფებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საზოგადოებრივი აზრის შემობრუნებაში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. მათი ძალისხმევით საქართველოში ეტაპობრივად იქნა მიღწეული საზოგადოებრივი კონსენსუსი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. თავდაპირველად გამოცხადდა მორატორიუმი. სასამართლოებს კვლავ გამოჰქონდათ სიკვდილით დასჯის განაჩენი, მაგრამ მათი აღსრულება არ ხდებოდა. ასეთი მდგომარეობა იყო 1995 და 1996 წლებში. 1996 წლის 12 ოქტომბერს არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფმა დააარსა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო ცენტრი, რომელსაც მრავალი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციაც შეუერთდა. რამდენიმე თვეში ცენტრმა საქართველოში წამოიწყო სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგო მასშტაბური საგანმანათლებლო კამპანია. მან მოაწყო სხვადასხვა ღონისძიება, პრესკონფერენციები, დაბეჭდა სტატიები, გამოვიდა რადიოთი და ტელევიზიით. ამ კამპანიას მასმედიის წარმომადგენლებმაც აქტიურად აუბეს მხარი. ასეთმა მეცადინეობამ საშუალება მისცა მმართველობაში მყოფ რეფორმატორებს, პარლამენტში გაეაქტიურებინათ ბრძოლა სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად ახალი კანონმდებლობის მიღებისათვის. მათი პირველი წარმატება იმ მუხლების შემცირება იყო, რომლებიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდნენ – 13 მუხლიდან დატოვებული იქნა მხოლოდ ოთხი. ეს მოხდა 1996 წლის მიწურულს. ამავე პერიოდში გამოცხადდა მორატორიუმი სიკვდილით დასჯაზე. ამის შემდეგ იგივე ორგანიზაციები და კერძო პირები მთელი წლის განმავლობაში ატარებდნენ კამპანიას იმ კანონის სრულიად და საბოლოოდ გასაუქმებლად, რომელიც საქართველოში სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა. მათმა მეცადინეობამ მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. 1995 წლის ბოლოს და 1996 წლის დასაწყისში, მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართული კამპანიის წამოწყებისას, მოსახლეობის მხოლოდ 10-20 პროცენტი გამოდიოდა სასჯელის ამ

განსაკუთრებული ზომის წინააღმდეგ. 1997 წლის მიწურულს კი, საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევის თანახმად, ასეთ ადამიანთა რაოდენობამ 50-55 პროცენტს მიაღწია. 1997 წლის 11 ნოემბერს პარლამენტმა საბოლოოდ გააუქმა სიკვდილით დასჯა. საქართველო მეორე პოსტსაბჭოთა ქვეყანა იყო (მოლდოვას შემდეგ), რომელმაც წერტილი დაუსვა სასჯელის ამ განსაკუთრებული ზომის გამოყენებას. ბევრის შიში, რომ ამ სასჯელის გაუქმება გაზრდიდა დანაშაულთა რაოდენობას, უსაფუძვლო აღმოჩნდა. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 1997 წლის ნოემბრის შემდეგ საქართველოში მძიმე დანაშაულების რაოდენობა მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. (ნიკოლაიშვილი. 1998. გვ. 9-10)

უმაღლესი ადამიანური ღირებულების – სიცოცხლის უფლების განხორციელების ერთ-ერთი პრობლემური ასპექტია ფეტუსის, ანუ ჯერაც დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლის უფლება. ჯერაც დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლის უფლებას ეწინააღმდეგება ქალთა უფლებები. საკითხი სენსიტიურია და არასდროს კარგავს აქტუალობას. ამ თემაზე საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაა.

ფეოდალურ საქართველოში სიკვდილით დასჯას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის – მეფეთა საჯარო შეურაცხყოფისა და სამშობლოს ღალატისათვის მიმართავდნენ. გიორგი III-ის 1170 წლის სიგელის მიხედვით სასიკვდილო განაჩენი „მრავალჯერ“ პარვისათვის იყო დაწესებული. „ოქროს საუკუნეში“ თამარ მეფემ (1160 -1213 შესაძლოა 1210 ან 1207) მრავალი რეფორმა განახორციელა, მათ შორის აკრძალა სიკვდილით დასჯა და ადამიანთა წამება. „მოწყალე, კეთილი, ბრძენი მსაჯულის სამფლობელოში არავინ იყო მომძლავრებული, მტაცებელი, მეკობრე და მპარავი. თვითონ იტყოდა ხოლმე: „მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქურივთა“. დინჯმა და ღვთივგაბრწყინებულმა მეფემ სასტიკად აკრძალა სიკვდილით დასჯა და სხეულის დასახიჩრება.“ „წმიდანთა ცხოვრება“, ტომი II, თბილისი, 2001 წ.

ჩანართი 2.2. ფეტუსის სიცოცხლის უფლება

„კითხვა – იცავს თუ არა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი ფეტუსის, ანუ ჯერაც დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლის უფლებას, ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია. არსებითად, აღნიშნული საკითხი დაკავშირებულია იმასთან, თუ როდის იწყება „სიცოცხლე“ , არის თუ არა ემბრიონი/ფეტუსი „ადამიანი“ და საერთოდ, როგორია მისი მორალური და სამართლებრივი სტატუსი. მეორე მხრივ, იმის მიუხედავად, თუ რა სტატუსი აქვს მას, უეჭველია, რომ იგი იმსახურებს სამართლებრივ დაცვას. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა

[1] ჩასახვიდან პირველი რვა კვირის განმავლობაში დაუბადებელ ბავშვს უწოდებენ „ემბრიონს“, შემდგომი პერიოდის განმავლობაში კი – „ფეტუსს“. სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფა განსაკუთრებით აქტუალურია ფეტუსისათვის (ავტორის შენიშვნა).

დაცვის კონვენციის მე-2 მუხლის პირველი წინადადება კი, რომელიც „ყველას სიცოცხლის უფლებას იცავს, ტექსტუალურად სრულიადაც არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მასში ფეტუსის სიცოცხლის უფლებაც იგულისხმებოდეს და არა მხოლოდ დაბადებული ადამიანებისა. პრობლემის სირთულეს ის განაპირობებს, რომ ფეტუსის მორალური და სამართლებრივი სტატუსის საკითხი ერთდროულად უკავშირდება ბიოლოგიურ, სამედიცინო, ეთიკურ, რელიგიურ და ფილოსოფიურ საკითხებს. იგი მჭიდროდაა გადაჯაჭვული აბორტის თემასთან. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ფეტუსის/ემბრიონის სიცოცხლის აბსოლუტური უფლების აღიარება აბორტის სრულ აკრძალვას მოითხოვს და ამიტომ, შესაძლოა ეს დაუპირისპირდეს დედის უფლებასაც. ცნობილია, რომ ამ საკითხზე განსხვავებული შეხედულებები არსებობს მსოფლიოში და არც ევროპული მასშტაბით მოიძებნა კონსენსუსი. ევროპული სასამართლოს ერთგვარი „გაუბედაობაც“ ფეტუსის სიცოცხლის უფლების, როგორც აღიარების, ისე მისი კატეგორიული უარყოფის საკითხში, სწორედ ამითაა გამოწვეული.“ (გოცირიძე. 2007. გვ.60-61)

ფეტუსის სიცოცხლის უფლებასა და ქალის უფლებებს შორის არჩევანის გაკეთება ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოთა ხელისუფლებებს მიანდო. მსოფლიოს 193 ქვეყნიდან აბორტი ლეგალიზებულია 119 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 136-ე მუხლის მიხედვით, „საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს შვილების რაოდენობა და მათი დაბადების დრო. სახელმწიფო უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებს რეპროდუქციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

139-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „ორსულობის ნებაყოფლობით შეწყვეტა ნებადართულია მხოლოდ სათანადო უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, სერტიფიცირებული ექიმის მიერ, თუ:

ა) ორსულობის ხანგძლივობა არ აღემატება 12 კვირას;

ბ) ორსულს სამედიცინო დაწესებულებაში ჩაუტარდა წინასწარი გასაუბრება და გასაუბრებიდან ოპერაციამდე გასულია სამი დღის მოსაფიქრებელი ვადა. გასაუბრების დროს ექიმმა უპირატესობა უნდა მიანიჭოს ნაყოფის სიცოცხლის დაცვას. არჩევანი ქალის პრეროგატივაა.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებები უკავშირდება ცოცხალ დაბადებულ ადამიანს, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჯერ არ დაბადებულ პირსაც შეიძლება გააჩნდეს ერთი უფლება და ეს არის მემკვიდრედ ყოფნის უფლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის

მიხედვით: ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა – უნარი ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან. მემკვიდრედ ყოფნის უფლება კი წარმოიშობა ჩასახვისთანავე, თუმცა ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე, ანუ თუ არ დაიბადა, ისე აზრი ეკარგება მისი ამ უფლების არსებობას.

იმავე მუხლში ვკითხულობთ, რომ ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება მისი გარდაცვალებით. გარდაცვალების მომენტად კი ითვლება ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა. თუმცა არსებობს ისეთი უფლებაც, რომელიც ადამიანს სიკვდილის შემდეგაც უნარჩუნდება და ეს არის მისი სახელის, პატივისა და ღირსების უფლება.

პატივისა და ღირსების უფლება. ღირსება ზნეობრივი კატეგორიაა, თავისი შინაარსით ის უნივერსალური ცნებაა და პიროვნების განუყოფელი ნაწილია. ღირსება ადამიანს წარმომავლობის, სიმდიდრის ან რომელიმე ჯგუფის კუთვნილების საფუძველზე კი არ ენიჭება არამედ, ღირსება ბუნებით მონიჭებული გრძნობაა, ამიტომ, იგი ყველა ადამიანის კუთვნილებაა, მიუხედავად იმისა, როგორია კონკრეტული ადამიანის აღქმა გარშემომყოფთა მხრიდან. ღირსების უფლების აღიარება გამორიცხავს ნებისმიერი ფორმის მონობასა და იძულებას. „პიროვნების ღირსება მდგომარეობს სიყვარულის უნარში, მიუხედავად იმისა არის თუ არა შენი მეგობარი ის, ვინც გიყვარს.“ – ამ სიტყვებში გამოხატა მაჰათმა განდიმ (Mohandas Gandhi, 1869-1948) ადამიანის ცხოვრების მთელი საზრისი და ღირსების გრძნობის უნიკალურობა.

ადამიანის ღირსების შემლახველი ქმედებებია: ადამიანის წამება, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობა, მონობა, ადამიანებით ვაჭრობა, რასობრივი დისკრიმანაცია, ფსიქიკური და ფიზიკური იძულება, დამცირება. 1950 წლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.“ ამავე კონვენციის მე-4 მუხლი კრძალავს მონობასა და იძულებით შრომას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შრომა სავალდებულოა ან ის სასამართლოს მიერ აქვს ადამიანს შეფარდებული.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის პატივი და ღირსება აბსოლუტური უფლებაა, რაც ნიშნავს იმას, რომ მისი შეზღუდვა დაუშვებელია. სხვა უფლებები შეიძლება კანონის ძალით სხვა უფრო ღირებული მიზნისათვის შეიზღუდოს. მაგალითად, თვით სიცოცხლის უფლებაც კი არ არის აბსოლუტური, რადგან აუცილებელი მოგერიების ფარგლებში სხვისი სიცოცხლის მოსპობა შეიძლება გამართლებული იყოს. პატივისა და ღირსების შემთხვევაში კი შეუძლებელია მოიძებნოს რაიმე ხელშესახები გამართლება, რაც გაამართლებს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას. უფლება ღირსებაზე ადამიანს ანიჭებს სრულ თავისუფლებას ცხოვრების წესის არჩევაში. პატივისა და ღირსების ცნებები ურთიერთგანმსაზღვრელი და ურთიერთშემავსებელი ცნებე-

ბია. მიუხედავად მათი ერთიანობისა, მათ შორის სხვაობაცაა, კერძოდ, თუ ღირსება ადამიანის მიერ საკუთარი თავის სუბიექტური შეფასებაა, პატივი საზოგადოების მხრიდან ადამიანის აღიარებაა მისი დამსახურებისა და საქმიანობის მიხედვით. იგი გამოიხატება გარშემომყოფთა მხრიდან პატივისცემასა და ავტორიტეტში.

ადამიანის ღირსების ხელშეუვალობის უფლება გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით:

„1. ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო.

2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.“

ღირსების დაცვას ხელისუფლებას კონსტიტუცია ავალდებულებს, ის აღიარებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითაც. ასევე, მისი დაცვის ვალდებულება ქვეყანას აღებული აქვს სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებითაც, რომელთა ხელშემკვრელ მხარესაც წარმოადგენს საქართველო.

მაგრამ მიუხედავად ვალდებულებისა ხშირად ჩვენს ქვეყანაში მაინც აქვს ადგილი სახელმწიფოს მხრიდან ღირსებისა და პატივის შემლახველ ქმედებებს.

ჩანართი 2.3. სულხან მოლაშვილის საქმე

2004 წლის 22 აპრილს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და უკანონო ფინანსური მაქინაციების ბრალდებით დააპატიმრეს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი. მის დაპატიმრებას წინ უძღოდა მისი პრესკონფერენცია, სადაც განაცხადა, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარედ მუშაობისას მოპოვებული ჰქონდა დოკუმენტაცია, რომელიც ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების კორუფციასთან კავშირს ადასტურებდა. დაპატიმრებიდან სამ თვეში კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს ვაკე-საბურთალოს სასამართლომ უკვე მოხდილი სამთვიანი პატიმრობა კიდევ სამი თვით გაუგრძელა. იგი სტენოკარდიული შეტევით ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. სულხან მოლაშვილის ადვოკატებმა და ზოგიერთმა ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ სულხან მოლაშვილი იყო პოლიტიკური პატიმარი და წინასწარი დაკავების იზოლატორში მას სასტიკად აწამებდნენ. ალტერნატიულმა სამედიცინო ექსპერტიზამ (ექსპერტი მაია ნიკოლაიშვილი) დაადასტურა მისი ელექტროშოკითა და სიგარეტის ნამწვებით წამების ფაქტი. სულხან მოლაშვილის ადვოკატი შალვა

შავგულიძე For.ge–სთან საუბარში იხსენებს: „სულხანი პირველად მე ვნახე, რომ მოიყვანეს, ზურგი სულ ამომწვარი ჰქონდა სიგარეტით. ვერ იძინებდა, ისეთ მდგომარეობაში იყო ტკივილისაგან. მაშინაც ამბობდა ვინ აწამა და გვარებს ასახელებდა. ამბობდა, რომ ხმები ზუსტად მახსოვს ვინ იყვნენო. მან ხმებით იცნო ეს ხალხი, რადგან თავზე გადაფარებული ჰქონდა და ისე აწამებდნენ". საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ წინაწარი დაკავების საკანში კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის მონახულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა: „ის რაც ვნახეთ, შოკში ვართ, კამერაში გაუსაძლისი პირობებია". ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელმა მათიას იორშმა მოლაშვილის წინასწარი დაკავების საკანში მონახულების შემდეგ 8 ივლისს ბრიფინგზე განაცხადა: „თუკი ასეთი საქმეები გასაჩივრდება ევროპის სასამართლოში, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო, გარწმუნებთ, რომ საქართველოს მთავრობის საწინააღმდეგო გადაწყეტილებას გამოიტანს". 2004 წელს სულხან მოლაშვილმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სარჩელით მიმართა.

2008 წელს პატრიარქის თხოვნით და მძიმე ავადმყოფობის გამო, სულხან მოლაშვილი შეიწყალეს. გათავისუფლების შემდეგ ხელისუფლება მისი ოჯახის წევრებზე ზეწოლით ცდილობდა ეიძულებინა მოლაშვილისთვის ევროპული სამართლოდან სარჩელის გამოტანა. მოლაშვილმა დატოვა სამშობლო, მაგრამ სარჩელი ევროპული სასამართლოდან არ გამოუტანია. ათწლიანი ლოდინის შემდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ" საბოლოო ვერდიქტი მიიღო. გადაწყვეტილებას წინ უძღოდა მხარეთა შორის მორიგება. საქართველოს სახელმწიფომ აღიარა ევროკონვენციის არაერთი მუხლის დარღვევა. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 მარტის წერილის საფუძველზე, ხელისუფლებამ სულხან მოლაშვილის წამების ფაქტის საფუძვლიანად გამოძიებისა და სამი თვის ვადაში მოლაშვილის სასარგებლოდ 20 000 ევროს გადახდის ვალდებულება აიღო. ციხეში არაადამიანური წამების შედეგად მძიმედ დაავადებული სულხან მოლაშვილი, სრულიად ახალგაზრდა – 46 წლის, 2016 წლის 29 ივნისს გარდაიცვალა.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ადამიანის ბუნებრივი უფლებაა. „არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პატივისა და რეპუტაციისა. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან." (საერთაშორისო ხელშეკრულებები, პაქტები, კონვენციები, 2012. გვ.7.)

ადამიანის პირადი ცხოვრება მისი პირადი ცხოვრების ფიზიკური და სულიერი სფეროა. ამ სფეროს განკარგვის უფლება მხოლოდ ინდივიდის უფლებაა. პირადი და ოჯახური საიდუმლო პიროვნების პირადი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა დაუშვებელია. ყველა ადამიანი დაცული უნდა იყოს პირადი საიდუმლოს გამჟღავნებისაგან. დაუშვებელია სატელეფონო საუბრების მოსმენა, პირადი მიმოწერის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების, ოჯახური საიდუმლოს (მაგ. შვილად აყვანის) გასაჯაროება. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა კონსტიტუციითაა გამყარებული და მაშასადამე, ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული ეს უფლება არ წარმოადგენს ადამიანის აბსოლუტურ უფლებას. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დანაშაულის თავიდან აცილების ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით. თუმცა, ეს სულაც არ აძლევს ხელისუფლებას უკანონო მოსმენებისა და თვალთვალის უფლებას.

ცნობილია, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს უკანონოდ ისმინებოდა მოქალაქეთა პირადი სატელეფონო საუბრები, უკანონოდ ხორციელდებოდა მოქალაქეთა თვალთვალი. ხელისუფლება ვიდეო და აუდიო მასალას უკანონოდ აგროვებდა მოქალაქეებზე საკუთარი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ უკანონო თვალთვალსა და მოსმენებში ბრალდებული პირების აღიარებით ჩვენებებში დეტალურად იყო აღწერილი ის მექანიზმები, რომლებიც შემუშავებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროში. ხელისუფლება უკანონო მოსმენებისა და თვალთვალის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას იყენებდა პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ბრძოლიდან ჩამოსაშორებლად, შანტაჟისა და ამომრჩევლის თვალში მათი დისკრედიტაციისათვის.

უკანონო მოსმენები მიუღებელია თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოებისათვის. საკითხის ირგვლივ დემოკრატიულ ქვეყნებში აზრთა სხვადასხვაობა და კამათია.

ჩანართი 2.4. ედვარდ სნოუდენი: ჩემი მისია შესრულებულია

„აშშ-ის დაზვერვის ყოფილი კონტრაქტორი ედვარდ სნოუდენი (Edward Snowden, 1983) The Washington Post-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ მისი მისია შესრულებულია. „მე არ მინდოდა საზოგადოების შეცვლა, მე მინდოდა საზოგადოებისთვის მიმეცა შანსი, თავად გადაეწყვიტა შეცვლილიყო თუ არა“, – ამბობს სნოუდენი. დაზვერვის

ყოფილი კონტრაქტორის თქმით, მას ასევე სურდა ეჩვენებინა საზოგადოებისთვის, თუ როგორ იმართებიან ისინი ხელისუფლებისგან. სნოუდენის განცხადებით, ის ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებას ცდილობს და თუ ვინმეს უღალატა, უღალატა ხალხის სასიკეთოდ. შეგახსენებთ, რომ ედვარდ სნოუდენმა ამერიკული დაზვერვის საიდუმლო დოკუმენტები გაასაჯაროვა. დოკუმენტების მიხედვით, ამერიკული სპეცსამსახურები მთელი მსოფლიოს მასშტაბით სატელეფონო მოსმენებს ახორციელებდნენ, ისმინებოდა მსოფლიოს 35 ლიდერის სატელეფონო საუბარი. აშშ სნოუდენს საიდუმლო ინფორმაციის უკანონო გავრცელებაში სდებს ბრალს, თუმცა სნოუდენი ამჟამად რუსეთში იმყოფება. რუსეთის ხელისუფლებამ დაზვერვის ყოფილ კონტრაქტორს თავშესაფარი მიანიჭა." (წყარო: https://www.tabula.ge/)

საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობით ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუვალობის უფლება შეზღუდულია განსაკუთრებულ შემთხვევებში. როდესაც საქმე ეხება ეროვნული ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის პრევენციას, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებს ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვას. კანონი მაქსიმალურად ზღუდავს იმ პირთა მონიტორინგს, რომელთაც კავშირი არ აქვთ გამოძიებასთან.

მოქალაქეთა პირადი მონაცემების ხელშეუვალობის უფლების დაცვის მიზნით, საქართველოში 2013 წლის ივლისში შეიქმნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინსტიტუტი. (საფუძველი: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 2012 წ. მაისი) აღნიშნული ინსტიტუტის ფუნქციაში შედის:

„ა) საჯარო და კერძო დაწესებულებებისათვის (პირებისათვის) კონსულტაციის გაწევა მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ბ) მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა;

გ) მონაცემთა კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება) საჯარო და კერძო დაწესებულებებში;

დ) საზოგადოების ინფორმირება საქართველოში მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ." („პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ", საქართველოს კანონი, 2012) ადამიანებმა უნდა იცოდნენ, როგორ აკონტროლონ სახელმწიფო და როგორ დაიცვან საკუთარი უფლებები.

გადაადგილების თავისუფლება და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-13 მუხლის მიხედვით, „1.ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაუბრკოლებლად იცვლიდეს

ადგილსამყოფელს და ირჩევდეს საცხოვრებელ ადგილს ყოველი სახელმწიფოს ფარგლებში. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დატოვოს ყოველი ქვეყანა, მათ შორის თავისიც და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში." (საერთაშორისო ხელშეკრულებები, პაქტები, კონვენციები, თბ. გვ.7)

თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებლის არჩევის უფლება ბუნებრივ თავისუფლებათაგან ერთ-ერთია. თავისუფლების კატეგორიაში იგი პიროვნების თავისუფალი თვითგამორკვევის, სულიერი განვითარების პირობაა. საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 14. მიმოსვლის თავისუფლება) საქართველოს მოქალაქეებსა და ქვეყანაში კანონიერად მყოფ პირებს აქვთ თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებლის არჩევის უფლება. კონსტიტუციითაა გარანტირებული საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში თავისუფლად დაბრუნების უფლება. მაგრამ თავისუფალი გადაადგილების უფლება არ უნდა გავიგოთ, როგორც ადამიანის აბსოლუტური უფლება – გადაადგილდეს მთელ სამყაროში დაუბრკოლებლად და აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი. ადამიანის ეს უფლებაც სხვა უფლებებით არის შეზღუდული. პირველ რიგში იგი შეზღუდულია საკუთრების უფლებით. არავის აქვს უფლება შევიდეს ან დაიკავოს ადგილი სხვის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე. თავისუფალი გადაადგილების „შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დანაშაულის თავიდან აცილების, ჯანმრთელობის დაცვის, ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით." (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14. მიმოსვლის თავისუფლება).

თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას ითვალისწინებს საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ", სადაც განსაზღვრულია თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის საფუძვლები: შეიარაღებული კონფლიქტი, მასობრივი არეულობა, სტიქიური უბედურება, ეკოლოგიური კატასტროფა, ეპიდემია და ა.შ. ასეთ შემთხვევებში ცხადდება საგანგებო მდგომარეობა.

ჩანართი 2.5. გადაადგილების შეზღუდვა ოკუპირებულ ტერიტორიაზე

„მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა" – ასე უწოდა როლანდ დ. ასმუსმა თავის წიგნს, რომელიც 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ხუთდღიან ომს მიუძღვნა. ამ ომმა საქართველოს ისტორია კიდევ ერთი ტრაგიკული ფურცლით შეავსო: ეროვნული დამცირება, დაღუპულები, დაჭრილები, უგზო-უკვლოდ დაკარგულები, შვილმკვდარი დედები, ობლად დარჩენილი ბავშვები, ნაცრადქცეული მამა-პაპისეული

სახლები, იავარქმნილი ეზო-კარი, საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად ქცეული ათასობით ადამიანი. რუსული ოკუპაციის შედეგად ათასობით საქართველოს მოქალაქეს წაერთვა სამშობლოში, საკუთარ სახლში ცხოვრების უფლება. ტრაგიკული მოვლენებიდან წლების შემდეგ კვლავ პრობლემად რჩება საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოება ე.წ. საზღვრისპირა რეგიონებში. განსაკუთრებით მძიმე ახალგორის მოსახლეობის მდგომარეობაა. ვინაიდან ახალგორი „სამხრეთ ოსეთის" ყოფილი საბჭოთა ავტონომიის საზღვრებში შედიოდა, რუსულმა არმიამ იგი ომის დასრულების შემდეგ დაიკავა. ასე აღმოჩნდნენ საქართველოს მოქალაქეები ოკუპურებულ ტერიტორიაზე. საქართველოში კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, „2014 წელს დეფაქტო ხელისუფლებამ შეზღუდა ახალგორის რაიონის მკვიდრთათვის საშვების გაცემა, რამაც რაიონში სერიოზული დაძაბულობა გამოიწვია. მაისის თვეში მოსახლეობის უმრავლესობას თითქმის ერთი თვის მანძილზე შეეზღუდა გადაადგილება. შემდეგ კი, საშვები გაიცა ქაოტურად, გაურკვეველი კრიტერიუმებით, ხოლო უარის თქმის შემთხვევაში, ახსნა-განმარტების გარეშე. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ოჯახის ზოგიერთ წევრზე გაიცა საშვი, მაგალითად 2 წლის ბავშვზე, მაგრამ დედას უარი ეთქვა. სახალხო დამცველის წარმომადგენელი გაესაუბრა თბილისში სასწავლებლად მყოფ სტუდენტებს, რომელთაც ვერ მიიღეს საშვები და ვეღარ ახერხებენ ახალგორში დაბრუნებას და მშობლების მონახულებას, მშობლებს კი საშვის არქონის გამო, ახალგორის დატოვების საშუალება არ აქვთ.

იმ პირებმა, ვინც ვერ მიიღო საშვი და ესაჭიროებათ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა, ახალგორის „კაგებემ" გამოსავალი შესთავაზა: მოქალაქე სიტყვიერად ატყობინებს მათ, რომ სურს რაიონის დატოვება „დეპორტით", რაც გულისხმობს ტერიტორიის დატოვებას 5 წლის ვადით. ეს ინფორმაცია გადაეცემა რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარების მიერ კონტროლირებად გამშვებ პოსტს, სადაც ხდება გაფორმება. ამ გზას ძირითადად სტუდენტები მიმართავენ, რომლებიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე სწავლობენ. თუმცა, 5 წლის მანძილზე თუ იგივე პიროვნება მიიღებს საშვს, მას შესაძლებლობა ექნება დაბრუნდეს რაიონში და გადაადგილდეს ადმინისტრაციულ ხაზზე." (სახალხო დამცველის ანგარიში „კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში," 2014.)

უფლებათა დაცვა სასამართლოს გზით. „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, რომ მისი საქმე სრული თანასწორობის საფუძველზე, საქვეყნოდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით გაარჩიოს დამოუკიდებელმა, მიუკერძოებელმა სასამართლომ მისი უფლება-მოვალეობათა განსაზღვისათვის და მისთვის მინიჭებული სისხლის სამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის დასადგენად.“ (საერთაშორისო ხელშეკრულებები, პაქტები, კონვენციები, 2012. გვ.7)

ყოველი ადამიანის განუხრელი უფლებაა დაიცვას კანონით მინიჭებული უფლებები სასამართლოს საშუალებით. ჩვენს ქვეყანაში სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელი სახელისუფლებო შტოა. სასამართლოს დამოუკიდებლობა ქმნის სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის გარანტიას. სასამართლოსა და მოსამართლის დამოუკიდებლობა დაცულია კანონით. სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოები. რაიონული ან საქალაქო სასამართლოები პირველი ინსტანციის სასამართლოებია. პირველი ინსტანციის სასამართლოები არსებითად განიხილავენ სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებს და გამოაქვთ გადაწყვეტილება. მეორე ინსტანციის სასამართლოა სააპელაციო სასამართლო, სადაც ხდება პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება. სააპელაციო სასამართლო მდებარეობს თბილისსა და ქუთაისში. საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საბოლოო ინსტანციის, საკასაციო სასამართლოა. იგი გადასინჯავს ქვედა ინსტანციების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. უზენაესი სასამართლოს ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

საკონსტიტუციო სასამართლო ქვეყანაში ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ადამიანს აქვს უფლება მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვოთ იმ ნორმატიული აქტების ძალადაკარგულად ცნობა, რომლებიც კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს ლახავს. საკონსტიტუციო სასამართლო საქმეებს განიხილავს ერთი ინსტანციით. მისი ადგილსამყოფელია ქ. ბათუმი.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.“ საქართველოს კონსტიტუცია ადამიანს ანიჭებს კონსტიტუციურ უფლებას დარღვეულ თუ სადაოდქცეულ უფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ის ასევე შეიცავს უმნიშვნელოვანეს პრინციპებს – სამართლიანი, კანონიერი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლებას, დაცვის უფლების გარანტირებულობას, ერთსა და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ დასჯის აკრძალვას, დასჯის დაუშვებლობას იმ ქმედებისათვის, რომელიც

მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კონსტიტუციის თანახმად, კანონს არა აქვს უკუძალა, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას. ასევე, აღიარებულია მხარეთა თანასწორობის პრინციპი.

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ადამიანის **უდანაშაულობის პრეზუმფციას.** „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.“ (მუხლი 31. საპროცესო უფლებები). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, „ყველა ბრალდებული მიიჩნევა უდანაშაულოდ კანონის შესაბამისად დამნაშავედ ცნობამდე.“

ჩანართი 2.6 . თვითმფრინავის ბიჭები

1983 წლის 18 ნოემბერს ქართველმა ახალგაზრდებმა საბჭოთა საქართველოდან „თავისუფალ სამყაროში“ – დასავლეთში გაქცევის მიზნით სცადეს სამგზავრო თვითმფრინავის გატაცება, რომელიც ასრულებდა რეისს თბილისიდან ბათუმის მიმართულებით. ახალგაზრდები გეგა კობახიძე, თინა ფეტვიაშვილი, სოსო წერეთელი, დავით მიქაბერიძე, გია ტაბიძე და ძმები პაატა და კახა ივერიელები შეიარაღებულები იყვნენ პისტოლეტებითა და სასწავლო ხელყუმბარებით. იმ დროისთვის გეგა 21 წლის, მაგრამ უკვე პოპულარული მსახიობი იყო. 19 წლის თინა სამხატვრო აკადემიის სტუდენტი იყო, მას და გეგას ერთი დღით ადრე ჰქონდათ ქორწილი. გია ტაბიძე, დავით მიქაბერიძე და სოსო წერეთელი მხატვრები იყვნენ, ძმები ივერიელები კი ექიმები. გეგმის თანახმად, გამტაცებლებს თვითმფრინავის აფეთქების მუქარით, უნდა ეიძულებინათ ეკიპაჟი თვითმფრინავის დასმა უახლოეს კაპიტალისტურ ქვეყანაში – თურქეთში, საიდანაც უფრო გაუადვილდებოდათ ამერიკაში მოხვედრა.

თვითმფრინავი პილოტებმა თურქეთის მაგივრად, ისევ თბილისის აეროპორტში დააბრუნეს. თბილისის აეროპორტში ლაინერი მოსკოვიდან სპეციალურად გამოძახებულმა სპეცდანიშნულების რაზმმა „ალფამ“ გარედან დაცხრილა. სროლა იყო თვითმფრინავის სალონშიც გამტაცებლებსა და ეკიპაჟის წევრებს შორის. იმ დღემ 7 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა: 3 ეკიპაჟის წევრის, 2 გამტაცებლისა და 2 მგზავრის. ასევე, თბილისში დაფრენისთანავე თავი მოიკლა ერთ-ერთმა გამტაცებელმა. საქართველოს მოსახლეობამ ამ ამბიდან მხოლოდ 6 თვის შემდეგ შეიტყო მომხდარის შესახებ. სასამართლოს წინაშე 4 გამტაცებელი წარსდგა: გეგა, თინა და ძმები ივერიელები. მათთან ერთად დააპატიმრეს ახალგაზრდების მეგობარი და მათი მოძღვარი მამა თეოდორე (იგი თვითმფრინავში არ იმყოფებოდა), რომელსაც ბრალი ტერორისტული

ბანდის მეთაურობაში დასდეს, გამოძიება 9 თვე მიმდინარეობდა. სასამართლო პროცესი 1 აგვისტოს დაიწყო და რეკორდულ დროში 2 კვირაში – 13 აგვისტოს დასრულდა. ტერორიზმში ბრალდებულ ახალგაზრდებს სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილი მიესაჯათ. თინას 14 წლით თავისუფლების აღკვეთა. ქართულმა ინტელიგენციამ სასჯელის შემსუბუქების თხოვნით მიმართა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას, შეწყალების თხოვნა მოსკოვშიც იყო გაგზავნილი, მაგრამ პასუხს არ დალოდებიან და მაშინდელი კანონმდებლობის დარღვევით 3 თვეში, 3 ოქტომბერს, განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. მშობლებს შვილების სიკვდილის შესახებ არავინ აცნობა. მათ 5 წლის მერე შეიტყვეს სინამდვილე. ორსულ თინას ციხეში აბორტი გაუკეთეს.

გეგა კობახიძის დედა ნათელა მაჭავარიანი იხსენებს: „ადვოკატი რომ აგვეყვანა, ამის უფლება არ მოგვცეს, თვითონ აგვიყვანეს... ახლობლებს სიკვდილმისჯილის ნახვის უფლება აქვთ. არც ამის საშუალება მოგვცეს... თვითონ დახოცეს ხალხი შიგნით და ჯოხი ბიჭებზე გადაამტვრიეს. მიუხედევად ჩვენებების გაყალბებისა, ვერ მოიძებნა თუნდაც ერთი მოწმე, ვინც გეგას თვითმფრინავში სროლის ან აგრესიის ფაქტს დაადასტურებდა. ხუთი წლის განმავლობაში არ ვიცოდი მართლა დახვრეტილი იყო თუ არა, ვინაიდან არანაირი დამადასტურებელი საბუთი არ მიმიღია.“ გეგა კობახიძის ადვოკატი, თემურ გვიშიანი იხსენებს, რომ გამოძიების პერიოდში ის ხვდებოდა თავისი დაცვის ქვეშ მყოფს, „მაგრამ ჩვენს შეხვედრას ყოველთვის ვიღაც მესამე ესწრებოდა. ერთხელ გეგას ვუთხარი: ეს სამშობლოს ღალატი კი არა, კონკრეტული დანაშაული საჰაერო ხომალდის გატაცებაა მეთქი. შეხვედრიდან ორი წუთიც არ იყო გასული, რომ საგამოძიებო ჯგუფის უფროსმა დამიძახა: ეს ბრალდება მოსკოვში უკვე შევათანხმე და ახლა მოთხოვნებს მიყენებო. მერე მუხლი მაინც შეცვალეს და სამშობლოს ღალატის ბრალდება მოუხსნეს. და აი, რატომ: კომუნისტებს არ უნდოდათ, ეღიარებინათ, რომ „სამშობლოს მოღალატეები“ და პოლიტპატიმრები ჰყავდათ“.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში. საქართველოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სისხლის სამართლის საქმეების განხილვა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებასთან ერთად, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოებში. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 12 ძირითადი და 2 სათადარიგო მსაჯულისაგან. საქმის სირთულიდან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს 2-ზე მეტი სათადარიგო მსაჯული. ნაფიცი მსაჯულები შეირჩევიან საქართველოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული, 18 წელს გადა-

ცილებულ პირთა სიიდან. ნაფიცი მსაჯული უნდა ფლობდეს სისხლის სამართლის პროცესის ენას, ცხოვრობდეს ტერიტორიაზე, რომელიც შედის იმ სასამართლოს განსჯადობაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი და ფიზიკური ან ფსიქიკური შესაძლებლობები ხელს არ უნდა უშლიდეს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაში.

პირი ვერ იქნება ნაფიცი მსაჯული, თუ იგი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირია, გამომძიებელია, პოლიციელია, ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, სასულიერო პირია, აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა, ბრალდებულია, ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირია, ფსიქოლოგია, ფსიქიატრია, იურისტია, ან თუ მისი მონაწილეობა ნაფიც მსაჯულად აღნიშნულ საქმეში აშკარად უსამართლო იქნებოდა ამ პირის მიერ გამოხატული მოსაზრებების ან პირადი გამოცდილების საფუძველზე.

ნაფიცი მსაჯულები, დღეის მდგომარეობით, იხილავენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე-114-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეებს. ასევე, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში მითითებული თანამდებობის პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმეებს, რომელთაც ეკავათ, ან უკავიათ შესაბამისი თანამდებობა და იმ პირთა საქმეებს, რომელთაც ბრალი ედებათ დანაშაულის ჩადენაში ზემოაღნიშნულ პირთან ერთად. თუ ბრალდებულს ბრალი წაუყენეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, საქმეს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალდებული შუამდგომლობს, რომ საქმე განხილულ იქნეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი ბრალდება ნაფიც მსაჯულთა განსჯადია, მაგრამ ბრალდებული თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას, საქმე განიხილება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე ჩვეულებრივი წესით.

6.2. პოლიტიკური უფლებები

სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის უფლება ადამიანს იურიდიულად ეძლევა. ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვაში, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ადამიანის უშუალო მონაწილეობა სახელმწიფოს მმართველობით საქმიანობაში გამოიხატება არჩევნებში და რეფერენდუმებში საკუთარი ნების გამოხატვაში. ეს უფლება გზას უხსნის ადამიანს, მოქალაქეს, პირადად მიიღოს მონაწილეობა აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების ფორმირებაში. მას უფლება აქვს, ერთი მხრივ, აირჩიოს ასარჩევ თანამდებობაზე შესაბამისი პირები, მეორე მხრივ კი, თავადაც აქვს უფლება კენჭი იყაროს და იყოს არჩეული ამ თანამდებობებზე. შესაბამისად, საარჩევნო უფლება იყოფა აქ-

ტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებად:

აქტიური საარჩევნო უფლება: მოქალაქის უფლება ხმის მიცემის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ხალხის წარმომადგენელთა ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ საყოველთაო არჩევნებსა და რეფერენდუმში.

პასიური საარჩევნო უფლება: მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად.

საარჩევნო უფლების ეს ორი ელემენტი დემოკრატიულ ქვეყნებში მინიმალურ შეზღუდვებს (ცენზებს) ითვალისწინებს. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად:

„1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რეპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.

2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში.“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 24. საარჩევნო უფლება).

კიდევ უფრო მეტი შეზღუდვებია დაწესებული პასიური საარჩევნო უფლებისთვის. მაგალითად, შეიძლება პირს 18 წლის ასაკიდან უფლება ჰქონდეს ისარგებლოს აქტიური საარჩევნო უფლებით, მაგრამ იმისათვის, რომ ის არჩეულ იქნეს გარკვეულ თანამდებობაზე, უფრო მაღალი ასაკია დადგენილი. პირობითად, პრეზიდენტად პირი აირჩევა 40 წლის ასაკიდან, საქართველოს პარლამენტის წევრად – 25 წლის ასაკიდან.

სიტყვის თავისუფლება თავის თავში მოიცავს აზრისა და საჯარო დისკუსიებში მონაწილეობის უფლებას, ბეჭდვითი სიტყვისა და მედიის ცენზურისაგან თავისუფლებას, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებასა და თავისუფლებას. იგი დემოკრატიის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარეობს, ამიტომ დემოკრატიულობაზე პრეტენზიის მქონე ქვეყნებისათვის მისი დაცვა უპირველესი ვალდებულებაა. სიტყვის თავისუფლება გარკვეულ შეზღუდვებსაც გულისხმობს. მისი გამოყენება ძალადობის, ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის მოწოდებით კანონით აკრძალულია. ასევე იკრძალება მისი გამოყენება ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური შუღლის

გასაჩაღებლად, სხვა ადამიანების შეურაცხყოფისათვის. კანონიერი შეზღუდვა მისი ბოროტად გამოყენების უფლებას კრძალავს.

საქართველოს კონსტიტუციის 17-ე მუხლით გარანტირებულია ადამიანის ამ ფუნდამენტური უფლების დაცვა.

„1. აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

4. ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება.“

ჩანართი 2.7. „ჩემი სიმართლე ჩემი მტერია“

ნაზი შამანაურმა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი 1971 წელს წარჩინებით დაამთავრა. თავის სტატიებში ახალგაზრდა ჟურნალისტი დაუფარავად წერდა ქვეყანაში მიმდინარე მანკიერ მოვლენებზე და გაბედულად ამხელდა მაღალი თანამდებობის პირებს თვითნებობასა და უსამართლობაში. 1974 წელს (1974 წლის 7 ივნისს გამოქვეყნდა მისი უკანასკნელი წერილი გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“). ნაზი შამანაურისათვის სამუდამოდ ჩაირაზა ყველა გაზეთისა და ჟურნალის, რადიოსა და ტელევიზიის კარი. თავის დღიურებში იგი წერდა „მაშ, რისთვის არსებობს უნივერსიტეტი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი თუ ჟურნალისტი სიმართლეს არ მოემსახურება ბრძოლაში, რომელიც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას. არ უნდა ავუაროთ გვერდი გადამჭრელ პრობლემებს, მწვავე საკითხებს, არ უნდა მივჩქმალოთ სულიერ ცხოვრებაში არსებული ნაკლოვანებანი და სიძნელეები უნდა ვამხილოთ.“

1982 წლის 14 აგვისტოს ვაჟაობაზე ჟურნალისტ ნაზი შამანაურს სიტყვთ გამოსვლაზე უარი უთხრეს. მაგრამ ჟურნალისტი მაინც მივიდა

ტრიბუნასთან და ჩვეული გამბედაობით ისაუბრა ქვეყნის პრობლემებზე, თანამდებობის პირთა უსამართლობებზე. თავის დღიურში ჟურნალისტი ამ დღეს ასე იხსენებს: „1982 წლის 14 აგვისტოს ჩარგალში ვაჟაობაზე ვიყავით მე და დედა. გადავწყვიტე სიტყვით გამოვსულიყავი და ვთხოვე ნებართვა რაიონის ხელმძღვანელს, რომელმაც სიტყვის უფლება არ მომცა და მისი მითითებით გაოგნებული საზოგადოების თვალწინ, დედა-შვილი მილიციის მანქანით წამოგვიყვანეს. ორი დღე დაგვტოვეს მილიციის საპატიმროში... 16 აგვისტოს, ორშაბათს წამოგვიყვანეს თბილისში და დედა-შვილი მოგვათავსეს ფსიქიატრიული საავადმყოფოს ქალთა პირველ განყოფილებაში, სადაც უფრო მეტად აგზნებული ავადმყოფები არიან. მე და დედას შიშისაგან არ გვეძინა მე-13 დღეს დაგვაშორეს ერთმანეთს, დედა გადაიყვანეს მე-9 განყოფილებაში და მე პირველ განყოფილებში დამტოვეს. ამ დღიდან დაიწყო ჩემი ტანჯვა-წამება, გამატიტვლეს ყველას თვალწინ, თმებით მათრიეს, 13 დღის ნაშიმშილევს შემიკრეს ზეწრით ხელ-ფეხი, მუცელში მცემდნენ, ცხვირზე ხელს მიჭერდნენ რომ პირი გამეღო... შიგ სახეში მცემდნენ, ხითხითებდნენ, შენ აქედან ცოცხალი ვერ გახვალ, შენთვის ეს სურამის ციხედ იქცევა, ჟურნალისტი, გამოვიდა სიმართლის მაძიებელი.“ (ნ. შამანაური, თბ. 1991. გვ. 15-16).

1982 წლის 9 დეკემბრით დათარიღებულ დღიურში ნაზი შამანაური ფსიქიატრიულ საავადმყოფოში საკუთარ ყოფაზე წერდა: „რისთვის მტანჯავენ? მტკივა ნეკნები, თმის ძირები, 70 დღის შიმშილის შემდგომ ფილტვებს უჭირს სუნთქვა, სხეულს მოძრაობა, ჯდომა, წოლაც კი, საშინელად გავხდი. ვიტამინების ნაკლებობით თითები დამიწყლულდა, კანი ცარიელ ძვლებზეა გადაკრული, პირში მძაფრი აცეტონის სუნი მაქვს. დღე და ღამე ფიქრი, წამება, დამცირება, დამდაბლება, ისმის ყვირილი და ღრიანცელი, ტირილი, ცემა-ტყეპა. 70 დღეზე მეტია ამ ყოფაში ვართ. ეს სიცოცხლის ყოველდღიური კვლაა. გაუსაძლისი ბოღმა მარწუხებივით მიჭერს, ფიქრის საშუალებაც არ მაქვს, დასიცხულ ფარასავით ტრიალებენ გარშემო ადამიანები...“ (ნ. შამანაური, თბ. 1991. გვ. 23). ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ნაზი შამანაურმა 70 დღე იშიმშილა. 1983 წლის 20 იანვარს საავადმყოფოს პერსონალის მიერ სასტიკად ნაცემი ახალგაზრდა ჟურნალისტი უგონო მდგომარეობაში გარდაიცვალა. მის დაკრძალვას დუშეთში მხოლოდ 70-მდე ადამიანი ესწრებოდა. უმრავლესობა თბილისიდან ჩამოსული ახალგაზრდები იყვნენ, რადგან ადგილობრივი ხელმძღვანელობის შიშით ბევრმა ვერ გაბედა დაკრძალვაზე მისვლა.

მანიფესტაციებსა და შეკრებებში მონაწილეობის უფლება. მანიფესტაციებსა და შეკრებებში მონაწილეობის უფლება გულისხმობს ადამიანის უფლებას მონაწილეობა მიიღოს მანიფესტაციებში, დემონსტრაციებში, საპროტესტო აქციებსა თუ შეკრებებში, მოაწყოს საჯარო ღონისძიებები და იმონაწილეოს მათში. აღნიშნული უფლების განხორციელება მჭიდრო კავშირშია სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებასთან. ადამიანის ეს უფლება ინდივიდს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის უფლებას ანიჭებს, რაც პიროვნების თვითგამოხატვისა და თვითგანვითარების ერთ-ერთი საფუძველია. საქართველოს კონსტიტუციით „ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოების შემადგენლობაში, აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების უფლება.“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 21. შეკრების თავისუფლება). ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრებებისა და ასოციაციების თავისუფლებისა.“.

შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. საქართველოს კონსტიტუცია არ ავალდებულებს ღონისძიების ორგანიზატორებს ხელისუფლების წინასწარ ინფორმირებას, გარდა განსაზღვული შემთხვევებისა. კერძოდ, კანონის თანახმად, თუკი შეკრება მასობრივ ხასიათს ატარებს და მოსალოდნელია საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ხალხის სავალი ნაწილის გადაკეტვა, შეკრების ორგანიზატორებმა უნდა აცნობონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაგეგმილი ღონისძიების შესახებ (ღონისძიების ჩატარებამდე 5 დღით ადრე). რათა ხელისუფლებამ უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგი და საფრთხე არ შეექმნას ღონისძიების ჩატარებას. „კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 21. შეკრების თავისუფლება). საქართველოს კონსტიტუციით „ხელისუფლებას შეუძლია შეკრების შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 21. შეკრების თავისუფლება). კანონის თანახმად, შეკრებებზე დაუშვებელია მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისა და ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც წარმოადგენს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

ჩანართი 2.8. 2009 წლის 15 ივნისი – დარბევა პოლიციის მთავარ სამმართველოსთან

2009 წლის 15 ივნისს, მოქალაქეების ჯგუფმა, დაახლოებით 14.00 საათზე, თბილისის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოს წინ საპროტესტო აქცია გამართა. აქციაზე 100-მდე მომიტინგე იმყოფებოდა. სახალხო დამცველის რწმუნებული აქციის მიმდინარეობაზე მონიტორინგს ახორციელებდა. საპროტესტო აქციის დაწყებიდან დაახლოებით 10 წუთში აქციის მონაწილეები დაარბიეს სამართალდამცავებმა. აქციაზე მყოფ ყველა ჟურნალისტსა და ოპერატორს ჩამოართვეს აპარატურა, მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. პოლიციამ აქციის დაახლოებით 38 მონაწილე დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადებით, თბილისის შსს მთავარ სამმართველოსთან ოპოზიციის წარმომადგენლებმა ბლოკირება გაუკეთეს პოლიციის მთავარ შესასვლელს და გადაკეტეს სამანქანო გზა.

პოლიცია შეეცადა შესასვლელის და სამანქანო გზის გათავისუფლებას, რა დროსაც მომიტინგეები არ დაემორჩილნენ პოლიციის თანამშრომლებს და გაუწიეს ფიზიკური წინააღმდეგობა. სამართალდამცავების მიერ პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტზე დააკავეს აქციის მონაწილეები. მოგვიანებით, სამინისტრომ გააკეთა კიდევ ერთი განცხადება, რომლის თანახმადაც, სამართალდამცავებმა აქციის მიმდინარეობისას შენიშნეს რამდენიმე პირი, რომლებიც მონაწილეობდნენ ამა წლის 12 ივნისს პარლამენტთან განვითარებულ მოვლენებში და სცადეს მათი დაკავება. სამართალდამცავებს წინააღმდეგობა გაუწიეს აქციის მონაწილეებმა, რამაც გამოიწვია ინციდენტი. 15 ივნისის ინციდენტის გამო, შსს-ის გენერალურმა ინსპექციამ ჩაატარა მოკვლევა. შედეგად, სასტიკი საყვედური გამოეცხადა 2 თანამშრომელს, საყვედური 4 თანამშრომელს, ხოლო 3 თანამშრომელს შეუჩერდა უფლებამოსილება გამოძიების დასრულებამდე. სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს აქციის მონაწილეებსა და ჟურნალისტებს, ასევე ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებს. 2009 წლის 16 ივნისს სახალხო დამცველის რწმუნებული იმყოფებოდა ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში. მიმღები განყოფილების ჟურნალის თანახმად, 15 ივნისს ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში ქალა-ტვინის ტრავმებითა და სხეულის სხვადასხვა სახის დაჟეჟილობებით აქციის 17 მონაწილე შეიყვანეს. ახსნა-განმარტებებიდან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, კერძოდ, ინტერნეტგამოცემა iTV.ge-ის მიერ გავრცელებული კადრებიდან ჩანს, რომ აქციის მონაწილეების მხრიდან ადგილი არ ჰქონია ძალადობას ან წინააღმდეგობას, მაშინ, როდესაც პოლიციამ

ყველანაირი გაფრთხილების გარეშე დაიწყო აქციის დაშლა. ამასთან, აქციის მონაწილეებს არ გადაუკეტავთ გზა და მათი ადგილსამყოფელი სამმართველოს შენობიდან აღემატებოდა 20 მეტრს. iTV.ge-ის მიერ გავრცელებული კადრებისა და აქციის მონაწილეთა ახსნა-განმარტებების თანახმად, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ალყაში მოაქციეს მომიტინგეები, არ მისცეს მათ გაქცევის საშუალება და დაუწყეს ცემა.

ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება აქციის მონაწილეთა განმარტებით, ძირითადად ზურგისა და თავის არეში ხდებოდა. აღნიშნული დასტურდება ასევე ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრის მიმღები განყოფილების ჟურნალში არსებული ჩანაწერებით. პოლიციელებმა აქციის მონაწილეები ჯერ დაკავებისას სცემეს, შემდეგ პოლიციელებმა დაკავებულები სამმართველოს შენობაში იატაკზე დააწვინეს და იქ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს სახალხო დამცველის რწმუნებული, რომელიც ასევე სასტიკად სცემეს და დააკავეს. შემდეგ დაკავებულები დაარეგისტრირეს და დროებითი მოთავსების იზოლატორში ჩაიყვანეს. მათ ჩამოართვეს ნივთები და გახადეს ტანსაცმელი. საკანში დაკავებულების ხელახალი რეგისტრაცია მოხდა, თუმცა დაკავების ოქმი არც სახალხო დამცველის რწმუნებულსა და არც სხვა დაკავებულ პირებზე დაკავების მომენტში არ შედგენილა. 2009 წლის 23 ივნისს წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრმა „ემპათიამ“ შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების №2 იზოლატორში სამედიცინო მონიტორინგი ჩაატარა და კონსულტაცია გაუწია 5 დაკავებულს. „ემპათიას“ ანგარიშის თანახმად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების და დროებითი დაკავების იზოლატორის სამედიცინო პერსონალის მიერ გაკეთებული დაზიანებათა აღწერა ერთმანეთს არ ემთხვევა და ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგება კიდეც. „ემპათიას“ დასკვნით, მოხდა როგორც მინიმუმ სასტიკი, ღირსების შემლახავი და არაჰუმანური მოპყრობა, რასაც ამძიმებს არაადეკვატური სამედიცინო მომსახურება.

15 ივნისს ქ.თბილისის სამმართველოს წინ მიმდინარე აქციის ამსახველი კადრებიდან დგინდება, რომ არანაირი გაფრთხილება აქციის მონაწილეთა მიმართ სამართალდამცავების მხრიდან არ გაკეთებულია. გარდა ამისა, არ იყო აშკარა საფრთხე იმისა, რომ მიმდინარე აქცია, რომელშიც დაახლოებით 70-80 კაცი მონაწილეობდა, მიიღებდა კანონსაწინააღმდეგო ხასიათს“ (საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში – ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში, 2009).

გაერთიანების უფლება სხვა პოლიტიკურ უფლებებთან ერთად ინდივიდებს ანიჭებს უფლებას საკუთარი ინტერესების საფუძველზე შექმნან და გაერთიანდნენ საერთო მიზნების განსახორციელებლად ასოციაციებში, პროფესიულ კავშირებში, ამხანაგობებსა თუ სხვა გაერთიანებებში. საქართველოს კონსტიტუცია, ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს ანიჭებს გაერთიანების თავისუფლებას, პოლიტიკური პარტიების შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი აწესებს შეზღუდვებსაც. „დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით.“

საქართველოს კონსტიტუციით დაუშვებელია შეიარაღებული ფორმირების შექმნა. ვრცელდება შემდეგი შეზღუდვები: „2. პირს, რომელიც ჩაირიცხება თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, განწესდება მოსამართლედ, უწყდება პოლიტიკური პარტიის წევრობა“; „4. პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 23. პოლიტიკური პარტიების თავისუფლება)

ჩანართი 2.9. „მხედრიონი“

1989 წელს სრულიად პატრიოტული, ეთნოკონფლიქტების დარეგულირების მიზნით დაარსდა ფორმირება „მხედრიონი“. თავდაპირველად „მხედრიონში“ 40-მდე ახალგაზრდა გაწევრიანდა. მათ სამშობლოს წინაშე ერთგულების ფიცი დადეს: „მამულო ჩემო, ვფიცავ, ჩავდგე „მხედრიონის“ რიგებში, აღვასრულო მცირე თუ დიდი დავალებანი მისნი, რათა შეჭურვილ ვიქნე ხილულთა თუ უხილავ მტერთა ზედა. ვფიცავ, მტლედ დავედო სამშობლოს და საჭიროების შემთხვევაში შევეწირო ტყვეობიდან მისი გამოხსნის საქმეს. და თუ გადავედ მე ფიცსა ამას, შეჩვენებული მყოს ხალხმა“. „მხედრიონის“ იდეები თავდაპირველად იმდენად მიმზიდველი და კეთილშობილური ჩანდა, რომ მასში გაწევრიანებას ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც არ თაკილობდნენ. მხედრიონელის მედალიონის ტარება ერთგვარ პატივადაც კი ითვლებოდა. მაშინ „მხედრიონი“ იყო არაპოლიტიკური გაერთიანება, არამედ გაერთიანება საბრძოლო ნიშნით. იგი ერთგვარად ევროპული „ორდენის“ ანალოგს წარმოადგენდა იმ განსხვავებით, რომ ევროპაში

„ორდენები“ რელიგიურ საწყისზე იქმნებოდა. 1990-იანი წლების დასაწყისში “მხედრიონი“ უკვე შეიარაღებული გაერთიანება გახდა. მისი რიგები დღითიდღე იზრდებოდა.“ 1992 წლის მაისში საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი „მხედრიონის“ საპატიო წევრი გახდა. 1991 წელს „მხედრიონმა“ მონაწილეობა მიიღო ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილ გადატრიალებაში. მომდევნო ორი წელიწადი კი დამხობილი ხელისუფლების მომხრეთა საპროტესტო აქციების დარბევაში მონაწილეობდა. იბრძოდა აფხაზეთის ომში. 1995 წელს „მხედრიონი“ უკანონოდ გამოცხადდა და მისი საქმიანობა აიკრძალა. „მხედრიონის“ ლიდერები კი დააპატიმრეს.

6.3. სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები

ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები აღიარებულია 1966 წლის „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით“. მათ შორის, **შრომის უფლება,** ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალური უფლებაა, რადგან სწორედ ამ უფლების საფუძველზე შეუძლია ადამიანს მოიპოვოს საარსებო სახსრები. ეს უფლება ყველაზე მოთხოვნადია თანამედროვე საზოგადოებაში, რადგან შრომის უფლება იძლევა ადამიანის ღირსეული ცხოვრებისათვის სახსრების მოპოვების საშუალებას. „ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.“ დეკლარაციის მიხედვით, შრომის უფლება თავის თავში მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას დაიცვას ადამიანები უმუშევრობისაგან, უზრუნველყოს სამუშაო ადგილები. შრომის უფლება ადამიანს მხოლოდ მატერიალური სახსრების მოპოვების საშუალებას კი არ აძლევს, არამედ, ადამიანის მრავალმხრივი განვითარებისა და საკუთარი უნარების რეალიზების საშუალებასაც. ყოველ ადამიანს აქვს დისკრიმინაციის გარეშე თანაბარი შრომისა და ანაზღაურების უფლება. სამართლიანი, თანასწორი სამუშაო პირობების შექმნა კი სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის თანახმად, „შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია.“ შრომის თავისუფლებაში მხოლოდ იძულებითი შრომის აკრძალვა კი არ მოიზრება, არამედ ადამიანის თავისუფალი ნება – აირჩიოს პროფესია და დასაქმების სფერო. შრომის თავისუფლება ასევე გულისხმობს ადამიანის უფლებას მიიღოს ანაზღაურება გაწეული შრომისთვის, დაცული იყოს სამსახურიდან უკანონოდ და დისკრიმინაციის საფუძველზე გათავისუფლებისაგან.

XIX საუკუნის ამერიკელი პოლიტიკოსისა და დიპლომატის ედუარდ ევერეტის (Edward Everett, 1794-1865) სიტყვებმა: „განათლება თავისუფლებას უკეთ იცავს, ვიდრე საომრად გამზადებული ჯარი“ (Encyclopedia Britanica _ New York: encyclopedia britanica, inc, 1911 t. 10 p.8-9), ერთი საუკუნის შემდეგ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში შემდეგი ფორმულირება მიიღო: „განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრულ განვითარებასა და ადამიანის უფლებათა ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ, განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას. ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.“

განათლების უფლება ადამიანის განუყოფელი და აუცილებელი უფლებაა. საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების მიხედვით, განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების და მისი ღირსების შეგნების სრული განვითარებისაკენ. განათლებამ ყველა ადამიანს თავისუფალი საზოგადოების წევრობის შესაძლებლობა უნდა მისცეს.

განათლების უფლების სრულყოფილად განხორციელებისათვის „დაწყებითი განათლება ყველასათვის უნდა იყოს სავალდებულო და უფასო.“ განათლების უფლება ყველას უფლებაა განურჩევლად ეროვნებისა, რასისა, ეთნიკურობისა თუ რელიგიური მრწამსისა. საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ადამიანის ამ უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის თანახმად:

„1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.
2. სკოლამდელი აღზრდა და განათლება უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.
3. აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია უზრუნველყოფილია.“

საქართველოში განათლების სფერო რეგულირდება განათლების შესახებ კანონებით. შრომითი რესურსების ხარისხი განათლების სფეროსთან უშუალო კავშირშია და გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

6.4. კოლექტიური უფლებები

თანამედროვე სამყაროში ადამიანის უფლებების სხვადასხვა თაობებისადმი მიკუთვნებულობის თემაზე მეცნიერებს შორის განსხვავებულ აზრთა მიუხედავად, მესამე თაობის უფლებებს ადამიანთა კოლექტიურ უფლებებს მიაკუთვნებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ უფლებებით სარგებლობა მხო-

ლოდ ადამიანთა ჯგუფს შეუძლია და არა კონკრეტულ ინდივიდს. თუმცა, კოლექტიური უფლებების განხორციელებამ არ უნდა შეზღუდოს ინდივიდის უფლებები. კოლექტიურ უფლებებს მშვიდობის, თვითგამორკვევის, უმცირესობათა უფლებები მიეკუთვნება.

კოლექტიურ უფლებებს სოლიდარობის უფლებებსაც უწოდებენ, რადგან ისინი ადამიანთა სოლიდარობის იდეას ეფუძნებიან. სამყარო ჯერაც ვერ გათავისუფლდა ომისა და სიღარიბის საშინელებისაგან. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით, დღეისათვის მსოფლიოში 795 მილიონ ადამიანს არა აქვს საკმარისი საკვები ანუ დაახლოებით ყოველი მეცხრე ადამიანი შიმშილობს (https://www.wfp.org).

ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლებაც კოლექტიური უფლებების შემადგენელი ნაწილია. მე-20 საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში მასშტაბური სამეცნიერო აღმოჩენების ასწლეულად შევიდა, თუმცა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და ე.წ. „სამრეწველო რევოლუცია“ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, რამაც ადამიანს ბუნების საკუთარ სამსახურში ჩაყენების საშუალება მისცა. ადამიანებმა უფრო კომფორტული გახადეს საკუთარი ყოფა: ააგეს კაშხლები, მდინარეებს შეუცვალეს ბუნებრივი კალაპოტი, დაიწყეს ბუნებრივი რესურსების ინტენსიური და უკონტროლი მოხმარება. სწორედ ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებით გამოყენებამ და გარემოს დაბინძურებით გამოწვეულმა პრობლემებმა დააფიქრა თანამედროვე მსოფლიო ეკოლოგიურ პრობლემებზე და მოსალოდნელ გლობალურ საფრთხეებზე. „ევროპელებს აქვთ უფლება, იცხოვრონ სუფთა და ჯანსაღ გარემოში“ – აცხადებენ ევროპელი გარემოსდამცველები და ამ უფლებას ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებში მოიაზრებენ.“ (კ. კორკელია, 2002. გვ.9).

გარემოს დაცვის და ეკოლოგიურ საკითხებზე საერთაშორისო თანამეგობრობამ მსჯელობა გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. შეიქმნა სამოქმედო გეგმები, მიღებულ იქნა აქტები და დეკლარაციები, რომლებმაც დასაბამი მისცეს საერთო ეკოლოგიურ სამართალს.

ეროვნულ უმცირესობათა უფლებები. ეროვნული უმცირესობები „სახელმწიფოში მცხოვრებ მოქალაქეთა ჯგუფია, რომლებიც რიცხობრივად მცირეა ძირითად მოსახლეობასთან შედარებით და განსხვავდება მისგან თავისი ენით, რელიგიით, ეთნიკური კუთვნილებით.“ (ადამიანის უფლებათა ლექსიკონი, 1999). ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა საერთაშორისო საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობითა და შემწყნარებლობით არის შესაძლებელი.

1995 წლის 1 ნოემბერს სტრასბურგში ევროპის საბჭოს წევრი და სხვა სახელმწიფოების მიერ ხელი მოეწერა ჩარჩო კონვენციას ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ (ძალაში შევიდა 1998 წლის 1 თებერვალს). კონვენცია ეფუძნება ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასა და მის ოქმებს, გაერთიანებული ერების ორგა-

ნიზაციის მიერ მიღებული კონვენციებისა და დეკლარაციების პრინციპებს. კონვენციის თანახმად, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები ევროპის ისტორიის კვლევის შედეგად მივიდნენ დასკვნამდე, რომ სტაბილურობის, დემოკრატიული უსაფრთხოებისა და მშვიდობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვას.

საქართველოს პარლამენტის მიერ ჩარჩო კონვენცია ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ რატიფიცირებულია 2005 წელს. კონვენციის ხელშემკვრელი ქვეყნები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ საკუთარ სახელმწიფოში ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა, რაც გამოიხატება უპირველეს ყოვლისა კანონის წინაშე თანასწორობაში, ეროვნული ნიშნით ადამიანთა დისკრიმინაციის დაუშვებლობაში. მე-5 მუხლის თანახმად, „მხარეები იღებენ ვალდებულებას შეუქმნან აუცილებელი პირობები იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მათი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის.“

დაუშვებელია ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ასიმილიცია ძირითად მოსახლეობასთან საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ. ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან შექმნან და წაახალისონ ტოლერანტობისა და კულტურათაშორისი დიალოგის, ურთიერთთანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემის განწყობები. ეროვნულ უმცირესობებს ისეთივე უფლება აქვთ ისარგებლონ მშვიდობიანი შეკრებების, გაერთიანების უფლებით, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით, როგორც ძირითად მოსახლეობას. დაუშვებელია ეროვნული უმცირესობების შეზღუდვა – მშობლიურ ენაზე ინფორმაციის მიღებისა და გაცემის უფლებაში, რაც, სახელმწიფოს მხრიდან, მასმედიის საშუალებების შექმნისა და გამოყენების პირობების უზრუნველყოფაში გამოიხატება.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს უფლება აქვთ საჯაროდ თუ კერძოდ ისაუბრონ და წერონ მშობლიურ ენაზე. ეროვნულ უმცირესობას მიკუთნებული პირის დაკავებისას, მას მშობლიურ ენაზე უნდა განემარტოს დაკავების მიზეზი და ყველა საჭირო ინფორმაცია. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს იგი უფასო თარჯიმნის მომსახურებით. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს უფლება აქვთ ისარგებლონ თანაბარი ხელმისაწვდომობით განათლებაზე. ერთად დასახლებული ეროვნული უმცირესობების შედარებით დიდი ჯგუფების მოთხოვნის შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მათი მშობლიურ ენაზე სწავლება.

ჩარჩო კონვენციის მე-20 მუხლის თანახმად, ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული ნებისმიერი პირი პატივს უნდა სცემდეს ეროვნულ კანონმდებლობას, უმრავლესობათა და სხვა ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს. დაუშვებელია, ასევე, ეროვნულ უმცირესობათა მხრიდან საკუთარი უფლე-

ბების გამოყენება სახელმწიფოს სუვერენიტეტის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ.

„ეროვნულ უმცირესობათა საკითხი მწვავედ იდგა სსრ კავშირის დაშლის პროცესში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის 1990 წლის აპრილის კანონით ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სხვა ავტონომიებს უფლება მიეცათ თვითონვე გადაეწყვიტათ თავიანთი ბედი და გამოყოფოდნენ იმ რესპუბლიკას, რომელიც სსრ კავშირიდან გასვლას დააპირებდა. პირველ რიგში ეს შეეხო საქართველოს, აზერბაიჯანსა და მოლდოვას, სადაც ეწყობოდა ე.წ. ეთნიკური კონფლიქტები, რომლებიც რუსეთის რეაქციული წრეების მიერ იყო ინსპირირებული და მათი უშუალო დახმარებით სარგებლობდა. ეს წრეები ცდილობდნენ, შიგნიდან აეფეთქებინათ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ყოფილი „მოკავშირე რესპუბლიკები“, მაგრამ ამას დაბრკოლებას უქმნიდა და უქმნის სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა, რომელიც უარყოფს ნებისმიერი ეროვნული უმცირესობის წადილს, ცალმხრივად გამოეყოს სახელმწიფოს.“ (ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, 2005. გვ.91) საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. საუკუნეების მანძილზე ქართველთა გვერდით ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, უკრაინელები, ებრაელები, ბერძნები, ასირიელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. საქართველოს მოქალაქეები თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ საკუთარი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

საქართველოს სახელმწიფოში კონსტიტუციით დაცულია ეროვნულ უმცირესობათა უფლებები.

ტოლერანტობა XVI საუკუნეში ლათინურ და ფრანგულენოვან ლიტერატურაში დამკვიდრდა და კონფესიურ განხეთქილებას დაუკავშირდა. ამ კონტექსტში მან, უპირველეს ყოვლისა, სხვა რელიგიურ აღმსარებლობათა მიმართ შემწყნარებლობის ვიწრო მნიშვნელობა შეიძინა. XVI-XV საუკუნეებში რელიგიური ტოლერანტობა უკვე სამართლებრივ ცნებად გვევლინება. მთავრობები გამოსცემენ ტოლერანტულ აქტებს, რომელიც სახელმწიფო მოხელეებსა და მართლმორწმუნე მოსახლეობას რელიგიურ უმცირესობებთან: ლუთერანებთან, ჰუგენოტებთან, პაპისტებთან მიმართებაში ტოლერანტულ ქცევას აკისრებს. განსხვავებული რწმენის ადამიანებისა და მათი პრაქტიკის ადმინისტრაციული ფორმით შეწყნარების სამართლებრივი აქტები დღემდე განსაზღვრავენ ტოლერანტული დამოკიდებულების მოთხოვნას ჩაგრული და დევნილი რელიგიური გაერთიანებების წევრების მიმართ. ინგლისური ენა უფრო მკაფიოდ განასხვავებს ტოლერანტობას („tolerance“), როგორც ქცევის ნორმასა თუ სიკეთეს და ტოლერანტობას („toletation“), როგორც სამართლებრივ აქტს, ვიდრე გერმანული ენა.

მიუხედავად ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის მიერ განხორციელებული მრავალი პროექტისა, ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობებს მაინც ბევრი პრობლემა აქვთ. ამ პრობლემათაგან უმთავრესი კი ქართულ საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის პრობლემაა, რაც ხელს უშლის მათ აქტიურ ჩართვას სახელმწიფო მმართველობაში, პრობლემის სათავე კი სახელმწიფო ენის – ქართულის არცოდნაა.

კითხვები გააზრებისთვის:

1. ადამიანის რომელი უფლებები მოიაზრება სამოქალაქო უფლებებში?
2. რომელი საერთაშორისო დოკუმენტი კრძალავს სიკვდილით დასჯას? რომელი დოკუმენტითაა გამყარებული საქართველოში ადამიანის სიცოცხლის უფლება?
3. რატომაა ღირსებისა და პატივის უფლება ადამიანის აბსოლუტური უფლება?
4. როგორ ფიქრობთ, რა წინააღმდეგობას ვაწყდებით სახელმწიფოს ვალდებულებაში, ერთი მხრივ, დაიცვას ადამიანთა უსაფრთხოება და, მეორე მხრივ, არ დაარღვიოს ადამიანის პირადი უფლებები?
5. ადამიანის რომელი უფლებები მოიაზრება პოლიტიკურ უფლებებში?
6. როგორ განიმარტება „აქტიური საარჩევნო უფლება“ და „პასიური საარჩევნო უფლება“?
7. რომელი უფლებები მიეკუთვნება კოლექტიურ უფლებებს და რატომ ეწოდება მათ კოლექტიური, სოლიდარობის უფლებები?

თავი VII

გზა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისაკენ

ადამიანის უფლებების იდეის განვითარების ისტორია ღირსების, თავისუფლების და თანასწორობისათვის ბრძოლის ისტორიაა. ადამიანის უფლებები ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს: სამართლებრივს, სოციალურს, პოლიტიკურს, ფილოსოფიურს, ეთიკურს, რელიგიურს და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ასპექტებს. ამიტომ კაცობრიობის ისტორიაში მის მიმართ ინტერესი არასდროს ნელდებოდა. საერთაშორისო დოკუმენტებით მიღებული და განმტკიცებული ადამიანის უფლებების თანამედროვე კატალოგი საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. ყოველმა ეპოქამ მისთვის დამახასითებელი ღირებულებების, ნორმების, ტრადიციების საფუძველზე საკუთარი წვლილი შეიტანა ადამიანის უფლებების იდეის განვითრებაში. ადამიანის უფლებების თანამედროვე გაგება მდიდარია თავისი შინაარსით, რადგან ადამიანთა ემპირიული მოღვაწეობის მდიდარ გამოცდილებას ეფუძნება.

ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის უძველეს მითოლოგიურ ძეგლებში ჰომეროსთან და ჰესიოდესთან გვხვდება სამართლიანობის, პირადი ღირსების, სამართლიანი კანონის ცნებები. ბერძენმა ფილოსოფოსმა პლატონმა იდეალური სახელმწიფოს მოდელის ძიებას მიუძღვნა ტრაქტატი „*სახელმწიფო*“, სადაც ფართოდ განიხილავს სახელმწიფოთა სამართლიანობის პრობლემას. მისი აზრით, სამართლიანი მხოლოდ ის სახელმწიფოა, რომელიც მოქალაქეებს თავისი უნარისა და ნიჭის მიხედვით მიუჩენს ადგილს საზოგადობაში. პლატონისათვის სახელმწიფო ინტერესები უმნიშვნელოვანესია და ის ყველა დანარჩენ ინტერესებზე მაღლა დგას. პლატონი ადამიანების ბუნებით უთანასწორობის იდეას ეხმიანება – დაბადებიდან ადამიანები უთანასწორონი არიან, თავის ნიჭისა და უნარების, ფიზიკური ძალის მიხედვით, მაგრამ ეს უთანასწორობა სულაც არ უშლის ხელს მოქალაქეებს იყვნენ კანონის წინაშე თანასწორნი. პლატონი, ალბათ, პირველი იყო, ვინც ხმამაღლა განაცხადა, რომ ქალებს ისეთივე უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში, როგორც მამაკაცებს (ძველ საბერძნეთსა და რომში ქალებს არ ჰქონდათ სახელმწიფო საქმეებში მონაწილების უფლება, ისინი არც არჩევნებში მონაწილეობდნენ).

პლატონი და არისტოტელე

პლატონის მოსწავლე არისტოტელე თავის წიგნში „*პოლიტიკა*“ წერდა: „ჩვენ გადავწყვიტეთ ვიკვლიოთ

საუკეთესო სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელიც ყველა ადამიანს აძლევს საშუალებას რომ იცხოვროს ისე, როგორც უნდა“ (არისტოტელე 1993. გვ.31). არისტოტელესთვის უმნიშვნელოვანესია ოჯახის ინსტიტუტის თვითმყოფადობა და მისი სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობა. მასწავლებლისაგან განსხვავებით, არისტოტელე იცავს ადამიანის უფლებას კერძო საკუთრებაზე.

არისტოტელე აღფრთოვანებულია ათენელი კანონმდებლის სოლონის (Solon, ძვ.წ. 638-558) კანონებით „სოლონის შესახებ ამბობენ ის საუკეთესო კანონმდებელი იყო, მან მოსპო ოლიგარქია, რომელიც მმართველობის სუსტი ფორმა იყო. ბოლო მოუღო ხალხის მონობას და ჩამოაყალიბა დემოკრატია, შესანიშნავად შეურია რა ერთმანეთში მამაპაპისეული და რესპუბლიკური კანონები“ (არისტოტელე 1993. გვ.62).

სიმბოლურია, რომ სწორედ ანტიკური დემოკრატიის ეპოქაში – ძველი საბერძნეთისა და რომის სოციალურ და პოლიტიკურ აზროვნებაში გამოიკვეთა ადამიანის თავისუფლების, ინდივიდის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობის, მოქალაქეობის და ადამიანის პოლიტიკური უფლებების იდეა. ანტიკური ეპოქის განმანათლებლები, სოფისტები, ამოდიან რა ბუნებითი თანასწორობის იდეიდან, მიუღებლად მიიჩნევდნენ ადამიანების დაყოფას მონებად და თავისუფლებად. მათი ცნობილი ფორმულა „ადამიანი ყველაფრის საზომია“ (პროტაგორა, Protagoras, ძვ.წ. 480-410) სამყაროს ცენტრში ადამიანის, მისი აზრის და ინდივიდუალურობის დაყენების მცდელობაა.

მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებებში არ არსებობდა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დამკვიდრებისა და განხორციელების პოლიტიკური ნიადაგი, თუმცა ამ ეპოქებში ადამიანის უფლებები კულტურულ, ეთიკურ, რელიგიურ და სოციალურ ღირებულებებად ჩამოყალიბდა.

შუასაუკუნეებში ახალმა რელიგიამ – ქრისტიანობამ ადამიანის უფლებებს ახალი ელფერი შესძინა: ყველა ადამიანი თანასწორია, როგორც „ღვთის შვილები“. ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეა ქრისტიანულმა რელიგიამ „დააკანონა“ – საკურთხევლის წინ მეფე-პატარძლისათვის თანაბრად დასმული შეკითხვით ქორწინებაზე თანხმობის შესახებ. თუმცა ხშირ შემთხვევაში, ეს მხოლოდ ფორმალური ხასიათის იყო და რეალურად ამ და სხვა საკითხებში ქალისა და მამაკაცის თანასწორობას ვერ უზრუნველყოფდა.

ლიბერალური ფილოსოფიის მიხედვით, მას მერე რაც ადამიანმა ნებაყოფლობით, ხელშეკრულების საფუძველზე დათმო თავის თავისუფლების რაღაც ნაწილი და გადასცა იგი ხელისუფლებას ათასწლეულების მანძილზე, ეპოქის დიდი მოაზროვნეები ცდილობდნენ მოეძებნათ ის ოქროს შუალედი, სადაც დაცული იქნებოდა ადამიანის უფლება და თავისუფლება და სახელმწიფოებრივი ინტერესები.

ახალი დროის ლიბერალიზმის ფუძემდებლების აზრით, ადამიანებმა სახელმწიფო იმისთვის შექმნეს, რომ დაეცვათ თავისი უფლება სიცოცხლესა და საკუთრებაზე (ჯონ ლოკი, 1632-1704). საყოველთაო მშვიდობის დამყარე-

ბა გახდა მიზეზი სახელმწიფოსა და ხელისუფლების შექმნისა (თომას ჰობსი, 1588-1679). მშვიდობის გარეშე შეუძლებელია ადამიანმა შეინარჩუნოს თავისუფლება და დაცული იყოს თავის უფლებებში.

მხოლოდ მე-17-18 საუკუნეებიდან რევოლუციების და ბურჟუაზიის კლასად ჩამოყალიბების შემდეგ გახდა შესაძლებელი ადამიანის უფლებების მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სამართლებრივ დოკუმენტებში დაკანონება. მათ შორის ალბათ, ყველაზე მეტად აღნიშვნის ღირსია „ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ და „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა საფრანგეთის დეკლარაცია.“

4 ივლისი ამერიკელი ხალხის თავისუფლებისა და სიამაყის სიმბოლოა, რადგან 1776 წლის 4 ივლისს ამერიკის კონგრესმა მიიღო **„ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია“**. 13 შტატმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა (მანამდე ეს შტატები ბრიტანეთის კოლონიებად ითვლებოდა). დეკლარაციით ამერიკელმა ხალხმა უარი განაცხადა ბრიტანული კოლონიური კანონებისადმი დამორჩილებაზე, რადგან ბრიტანული კანონები ლახავდა ამერიკელი ხალხის უფლებებს. ადამიანები კი ღმერთმა თანასწორნი შექმნა და მათ უბოძა სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერების ხელშეუვალი უფლებები. სწორედ ამ უფლებების გასამტკიცებლად იქმნება მთავრობები, რომლებიც კანონიერ ძალაუფლებას ხალხის ნების საფუძველზე იღებენ.

დეკლარაციის ტექსტის ავტორი იყო ამერიკელი იურისტი თომას ჯეფერსონი (Thomas Jefferson, 1743-1826). იგი ორი წელი მუშაობდა დოკუმენტზე. მოგვიანებით კი ამერიკის შეერთებული შტატების მესამე პრეზიდენტი გახდა. „თავისუფლების ზღვა არასოდეს არსებობს ღელვის გარეშე“ – ამბობდა ჯეფერსონი. ამავე დროს იგი ამერიკული რევოლუციის ერთ-ერთ იდეოლოგად და სულისჩამდგმელად მოიაზრება.

„ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა საფრანგეთის დეკლარაცია.“ ფრანგულმა განმანათლებლობამ ნიადაგი მოუმზადა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას – საფრანგეთის დიდ რევოლუციას. ეს რევოლუცია არა მხოლოდ



In CONGRESS, July 4, 1776.

A DECLARATION

By the REPRESENTATIVES of the

UNITED STATES OF AMERICA,

In GENERAL CONGRESS ASSEMBLED.

JOHN HANCOCK, President.

ATTEST. CHARLES THOMPSON, Secretary.

„ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ და მისი ავტორი თომას ჯეფერსონი (Thomas Jefferson, 1743-1826)

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

ფრანგული მოვლენა იყო, არამედ ევროპულიც, რადგან ბიძგი მისცა ევროპაში განმათავისუფლებელ რევოლუციურ მოძრაობებს. საფრანგეთის რევოლუციის დღეებში, 1789 წელს ვერსალის სასახლეში მიიღეს დეკლარაცია ადამიანის და მოქალაქის უფლებების შესახებ. მოგვიანებით, 1791 წელს, დეკლარაციის ძირითადი დებულებები საფრანგეთის კონსტიტუციაში შევიდა. დეკლარაცია 17 პუნქტისაგან შედგება. მასში დაგმობილია მონარქიული დესპოტური პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემა და აღიარებულია ადამიანის ბუნებრივი და ხელშეუვალი უფლებები. დოკუმენტი ადგენს კანონის წინაშე თანასწორობას და კერძო საკუთრებას ხელშეუხებელად აცხადებს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

ტერმინი „გაერთიანებული ერები" პირველად 1942 წლის 1 იანვარს ვაშინგტონში 26 დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიერ მიღებულ გაერთიანებული ერების დეკლარაციაში ჩაიწერა. მისი ავტორი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტია (Franklin Roosevelt, 1882-1945). 1945 წლის 25 ივნისს სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 50 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) წესდებას, რომელიც ძალაში იმავე წლის 24 ოქტომბერს შევიდა. ორგანიზაციის შექმნის უმთავრეს მიზნებს წესდების პირველსავე ფურცელზე ვკითხულობთ: „ჩვენ გაერთიანებული ერების ხალხებმა მტკიცედ გადავწყვიტეთ თავიდან ავაცილოთ მომავალ თაობებს ომის საშინელი შედეგები... კვლავ დავამკვიდროთ რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისა, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ფასეულობისა, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობისა და დიდი და პატარა ერების თანაბარი უფლებებისა..." (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და საერთაშორისო სამართლის სტატუტი – გაეროს საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტის ოფისი საქართველოში, 1993. გვ.3). გაეროს შტაბ-ბინა ნიუ-იორკშია, ევროპული ოფისები ჟენევასა და ვენაში. დღეისათვის გაერო 193 წევრ სახელმწიფოს აერთიანებს, დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობენ ვატიკანი და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია.

საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი 1992 წელს გახდა. გაეროს სახლი თბილისში 1993 წელს გაიხსნა. დღეისათვის საქართველოში გაეროს ეგიდით 12 სააგენტო მუშაობს, მათ შორის:

UNHCR The UN Refugee Agency	**გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის** საქმიანობა ორიენტირებულია თავშესაფრის მაძიებლების, ლტოლვილების, იძულებით გადაადგილებული პირებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებების პატივისცემასა და დაცვაზე, მათი ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებასა და ადამიანთა უსაფრთხოების გაზრდაზე.
	გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენლობა საქართველოში ეხმარება მთავრობას/სამოქალაქო საზოგადოებას ინსტიტუციურ გაძლიერებაში ადამიანის უფლებების დაცვისა და უშუალო განხორციელების მიზნით. ამის გარდა გაეროს უმაღლესი კომისრის ოფისის მიზანია მოახდინოს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა გაეროს სააგენტოების საქმიანობაში.
unicef	**გაეროს ბავშვთა ფონდი** საქართველოს ეხმარება ბავშვთა დაცვის, ჯანმრთელობისა და განათლების სფეროებში სახელმწიფო სოციალური რეფორმის განხორციელებაში.
UN WOMEN United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women	**გაეროს ქალთა ორგანიზაციის** საქმიანობა ორიენტირებულია გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებაზე და საქართველოში მუშაობს შემდეგ თემებზე: ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება; ქალების მიმართ ძალადობის აღმოფხვრა; ქალების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერება; გენდერის ჩართვა ეროვნული დაგეგმვისა და ბიუჯეტირების პროცესებში.
ILO	**შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია** საქართველოში ახორციელებს პროექტს, სახელწოდებით "საქართველოში შრომის კანონმდებლობის შესრულების გაუმჯობესება".

ელეონორა რუზველტი (Eleanor Roosevelt, 1884 -1962)

1945-1951 წლებში იყო გაეროს გენერალურ ასამბლეაში აშშ-ს წარმომადგენელი და ადამიანის უფლებათა კომისიის ხელმძღვანელი.

კაცობრიობის ისტორიაში დედამიწაზე ყველაზე მასშტაბური, სასტიკი და სისხლისმღვრელი ომი მეორე მსოფლიო ომია, რომელშიც მსოფლიოს 72 სახელმწიფო მონაწილეობდა. ომმა 62 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მეორე მსოფლიო ომის შედეგების გათვალისწინებით საერთაშორისო საზოგადოებამ გადაწყვიტა აღარ დაეშვა მსგავსი მკვლელობები და ნგრევა დედამიწაზე. გაერომ 1948 წლის 10 დეკემბერს პარიზში მიიღო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

დეკლარაციის ტექსტის განხილვაში მსოფლიოს 56 ქვეყანა მონაწილეობდა. დეკლარაციას დადებითი ხმა 48 სახელმწიფომ მისცა (8 სახელმწიფომ თავი შეიკავა). მიუხედავად იმ დროისათვის გაერთიანებული ერების დამფუძნებელი წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეკონომიკური თუ კულტურული და რელიგიური განსხვავებულობისა, დეკლარაციის წინააღმდეგ ხმა არცერთ ქვეყანას არ მიუცია.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია არის დოკუმენტი, რომელიც ადგენს კავშირს საერთაშორისო მშვიდობასა და ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას შორის. დეკლარაცია შედგება პრეამბულისა და 30 მუხლისაგან. დეკლარაცია ადგენს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებს. დეკლარაციის 3-21 მუხლები იცავს ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს: სიცოცხლის, პირადი ხელშეუხებლობის, ღირსებისა და პატივის უფლებებს. კრძალავს მონობას, ადამიანებით ვაჭრობას. დოკუმენტის მიხედვით, ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია და ყველა ადამიანს აქვს დამოუკიდებელი და ობიექტური სასამართლოს უფლება, ადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციას. ხელშეუვალია ადამიანის პირადი ცხოვრება. ყოველ ადამიანს აქვს გადაადგილების, აზრის სინდისისა და რელიგიის, სიტყვის თავისუფლება; კერძო საკუთრების ქონის, ოჯახის შექმნის უფლება; სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის უფლება. დეკლარციის 21-28-ე მუხლებში გადმოცემულია ადამიანის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები: განათლების, შრომის, სოციალურო უზრუნველყოფის, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებები. 30-ე მუხლის თანახმად, „ამ დეკლარაციაში არაფერი არ უნდა განიმარტოს, როგორც მინიჭება რომელიმე სახელმწიფოსათვის, პირთა ჯგუფისა თუ ცალკეული პიროვნებისათვის უფლებისა, ეწეოდნენ ისეთ საქმიანობას ან ჩაიდინონ ისეთი მოქმედება, რომლებიც მიმართულია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მოსასპობად.“

დეკლარაციის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდა ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, აშშ-ს პირველი ლედი ელეონორა რუზველტი (Eleanor Roosevelt, 1884 -1962). იგი 1945-1951 წლებში იყო გაეროს გენერალურ ასამბლეაში აშშ-ს წარმომადგენელი და ადამიანის უფლებათა კომისიის ხელმძღვანელი.

თავი VIII

ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მიღებული სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტები

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ საფუძველი დაუდო ადამიანის უფლებების საკითხში სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების შემუშავებასა და მიღებას.

ევროპის ათი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა 1949 წლის 5 მაისს ლონდონში ხელი მოაწერეს **ევროპის საბჭოს** წესდებას. 1970 წლამდე ევროპის საბჭოს კიდევ 8 სახელმწიფო შეუერთდა. 1993 წლის ოქტომბერში საფუძველი ჩაეყარა ევროპის საბჭოს გაფართოების პოლიტიკას და დღეს ამ ორგანიზაციის წევრი 47 ქვეყანაა, მათ შორის საქართველოც, რომელიც ორგანიზაციის წევრი 1999 წელს გახდა. ევროპის საბჭოს მიზანია: ადამიანის უფლებების, პლურალისტური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვა; ევროპული კულტურის თვითმყოფადობის აღქმისა და განვითარებისათვის ხელშეწყობა; ევროპული საზოგადოების წინაშე მდგარ პრობლემათა გადაწყვეტის გზების ძიება (უმცირესობათა დისკრიმინაცია, ქსენოფობია, შეუწყნარებლობა, გარემოს დაცვა, კლონირება, შიდსი, ნარკოტიკები, ორგანიზებული დანაშაული და სხვა) (ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი. 2005. გვ.78).

ამ მიზნების განხორციელებისათვის ევროპის საბჭომ 1950 წლის 4 ნოემბერს, რომში მიიღო **ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია,** რომელიც ძალაში სამი წლის შემდეგ – 1953 წელს შევიდა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციას ეყრდნობა და მასში ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებებია გაწერილი. მეორე ნაწილი სასამართლოს რეგულირების საკითხებს ეძღვნება. მესამე ნაწილი დასკვნით დებულებებს მოიცავს. „სახელმწიფოებს გააჩნიათ საერთაშორისო ვალდებულება კონვენციასთან შესაბამისობის მხრივ. ამჟამად ევროპის საბჭოს ყველა წევრ ქვეყანას ინტეგრირებული ან ადაპტირებული აქვს კონვენციის დებულებები შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, რომელიც ავალდებულებს მათ იმოქმედონ კონვენციით მოცემული დებულების შესაბამისად“ (მონაცემთა დაცვის ევროპული სასამართლო, 2015. გვ.19). ევროპული კონვენცია საქართველოში პარლამენტის 1999 წლის 12 მაისის დადგენილებით 2000 წელს ამოქმედდა.

1966 წლის 16 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ორი უმნიშვნელოვანესი და იურიდიულად სავალდებულო ხასიათის დოკუმენტი:

1. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე;
2. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე ეყრდნობა რა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას ითვალისწინებს ადამიანის ისეთ ფუნდამენტურ უფლებებს, როგორებიცაა სიცოცხლის უფლება, პირადი ხელშეუხებლობის უფლება, თავისუფლად გადაადგილებისა და საცხოვრებლის არჩევის უფლება, სამართლიანი, ობიექტური და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და სხვა. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე კრძალავს მონობას, წამებას, ადამიანის ღირსების შემლახველ და დამამცირებელ ქმედებას და სხვა. პაქტის მიხედვით, ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია. საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე დაემატა ორი ფაკულტატური ოქმი. ერთი ადამიანს ინდივიდუალურ პეტიციათა წარდგენის უფლებას ანიჭებს, ხოლო მეორე – კრძალავს სიკვდილით დასჯას.

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე ითვალისწინებს ისეთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა დაცვას, როგორებიცაა: შრომის უფლება, შრომის სამართლიანი პირობების უფლება, პროფესიული კავშირების შექმნის ან მათში გაწევრიანების უფლება, სოციალური უსაფრთხოების უფლება, პირადი და ოჯახის ადეკვატური ცხოვრების პირობების უფლება, განათლების უფლება, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და სამეცნიერო პროგრესის შედეგებით სარგებლობის უფლება და სხვ. პაქტის შესრულებას ზედამხედველობას უწევს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი (ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ლექსიკონი-ცნობარი, 2005. გვ.175).

ორივე პაქტს საქართველო 1994 წელს შეუერთდა. პაქტები ფაკულტატური ოქმების ჩათვლით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასთან ერთად, შეადგენენ „**საერთაშორისო ბილს ადამიანის უფლებათა შესახებ**.“

1979 წლის 18 დეკემბერს გაერომ მიიღო **„ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კონვენცია.“** კონვენცია სრულიად გარკვევით ამტკიცებს თანასწორობის პრინციპებს, რომელიც შეიცავს მონაწილე სახელმწიფოებისადმი მიმართულ მოთხოვნას მიიღონ „ყველა საჭირო ზომა, მათ შორის საკანონმდებლო, რათა უზრუნველყონ ქალთა ყოველმხრივი განვითარება და პროგრესი, მათ მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხორციელება და გამოყენება მამაკაცებთან თანასწორობის საფუძველზე“ (კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ CEDAW-ის აღსრულების კვლევა საქართველოში, 2011. გვ.95). კონვენცია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს:

- უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებებზე ქალისა და მამაკაცის თანაბარი ხელმისაწვდომობა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.
- მიიღონ ყველა საჭირო ზომა ქალებით ვაჭრობისა და ქალთა პროსტიტუციის ექსპლუატაციის აღსაკვეთად.
- კანონის წინაშე თანასწორობას, გენდერული დისკრიმინაციის გარეშე, ქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხებში.
- პოლიტიკური უფლებებით სარგებლობაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველყოფას.
- თანასწორობის უზრუნველყოფას საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობის უფლებაზე, შრომისა და განათლების უფლებებზე.
- ქალის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას სამედიცინო მომსახურებაზე (ორსულებისა და მეძუძური დედების სამედიცინო დახმარება).

კონვენციის მე-14 მუხლი იცავს სოფლადმცხოვრები ქალების უფლებებს. მე-17 მუხლის თანახმად, კონვენციის შესრულებას ზედამხედველობას გაუწევს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის სალიკვიდაციო კომიტეტი. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კონვენცია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 1994 წელს. საქართველო ტრადიციულად პატრიარქალური ქვეყანაა. მშობლები სიხარულით ხვდებიან ოჯახში ვაჟის, გვარის გამგრძელებლის დაბადებას. აბორტების უმრავლესობაც მდედრობითი სქესის ნაყოფზე მოდის. ხშირია საქართველოში გოგონების ადრეულ ასაკში გათხოვება. 2011-2013 წლებში საბაზო განათლების დასრულებამდე 7367 გოგონამ შეწყვიტა სწავლა გათხოვების მიზეზით. არასრულწლოვანი გოგონას გათხოვება არცთუ იშვიათად მშობლების გადაწყვეტილება ან იძულებაა. მართალია საქართველოს კანონმდებლობით ქალი და მამაკაცი თანასწორნი არიან, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ქალებს უფრო მეტად მხოლოდ შვილების გამზრდელად და ოჯახის მომვლელად მოიაზრებენ. 1990-იან წლებში შექმნილმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ ბევრი ქალი აიძულა სამშობლოდან შორს, უცხო ქვეყანაში მოეძებნა სამუშაო და იქიდან დახმარებოდა თავის ოჯახს. უცხოეთში გადახვეწილ ქალებს ხშირად მძიმე სამუშაოს შესრულება უწევთ. არც სამშობლოში დარჩენილები არიან უკეთეს პირობებში. ხშირია ქალზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ოჯახში.

კიდევ უფრო რთული მდგომარეობაა ლგბტ პირებთან მიმართებაში. „ხშირია ლგბტ პირთა მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევები, რაც მათ აიძულებთ, დამალონ ინფორმაცია გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის შესახებ. მაშინ, როდესაც საზოგადოება დასაშვებად მიიჩნევს ჰეტეროსექსუალი წყვილების ურთიერთობის საჯარო გამოხატულებას, ლგბტ პირების შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი მათ მიმართ ძალადობის მიზეზი ხდება“ (სახალხო დამცველის ანგარიში. გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები).

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში 2001 წელს შეიქმნა ბავშვისა და ქალის უფლებების დაცვის ცენტრი. 2013 წელს მის ბაზაზე ჩამოყალიბდა გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს საქართველოში გენდერული თანასწორობის საკითხებში ეროვნული თუ საერთაშორისო აქტების შესრულებას. დეპარტამენტის ფუნქციებში შედის გენდერული იდენტობის და სექსუალური ორიენტაციის გამო ადამიანთა დისკიმინაციის ფაქტების შესწავლა და რეაგირება. გენდერული თანასწორობის ცენტრის მუშაობის ერთ-ერთი მიმართულებაა საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა, გააზრება და დანერგვა. გენდერული თანასწორობის საკითხი კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი უძველესი პრობლემაა. საქართველოს კანონმდებლობით ქალი და მამაკაცი ჩვენს ქვეყანაში თანაბარუფლებიანები არიან, მაგრამ პატრიარქალური მენტალობიდან გამომდინარე, რეალურად ქალები დისკრიმინაციას განიცდიან. პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სამოქალაქო შემეცნებისა და თვითშეგნების დონის ამაღლებაა. ამ კუთხით გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი ეწევა კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას.

ჩანართი 2.10. ქალთა ჩართულობა სახელმწიფოს მართვაში

„ნორვეგია, შვედეთი, ისლანდია და ფინეთი მრავალი საზომით მსოფლიოს ყველაზე დემოკრატიული და მდიდარი ქვეყნები, უკანასკნელი 6–7 წლის განმავლობაში აქტიურად ლიდერობენ Global Gender Gap Index–ის გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით ყველაზე წარმატებულ ქვეყანათა სიას. ამ სახელმწიფოებში ყველაზე მაღალია ქალთა მონაწილეობა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში, ბიზნესში, მსხვილი საფინანსო კორპორაციების მართვაში. პირდაპირ-პროპორციულად, სწორედ ეს ქვეყნები წარმოადგენენ დემოკრატიულობით, ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს, მსოფლიოში პოლიტიკურად, ეკონომიკურად, სოციალურად ყველაზე სტაბილურ და წარმატებულ ქვეყნებს“ (ჭაჭუა. 2011. გვ. 5–6) ქალების სახელმწიფო მმართველობაში ჩართვის მიზნით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შემოღებულია „კვოტირების სისტემა“, რაც ქალებისათვის გარკვეული ადგილების გამოყოფას ნიშნავს სახელმწიფო სტრუქტურებსა და პოლიტიკურ პარტიებში. „კვოტირების სისტემა“ ხელოვნური და იძულებითი ფორმაა, მაგრამ ის ეხმარება ქალებს დაბრკოლებების დაძლევაში და გზას უხნის სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებისაკენ, სახელმწიფოს მმართველ

სტრუქტურებში მაღალი პოზიციის დასაკავებლად.

1966 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო **კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ,** რომელიც ძალაში 1989 წელს შევიდა. კონვენციის პირველი მუხლი უკანონოდ აცხადებს რასობრივ დისკრიმინაციას, ანუ კანის ფერის, ეთნიკური თუ ეროვნული ნიშნით ადამიანების გამორჩევას და ჩაგვრას. კონვენციის მიხედვით, ყველა ადამიანს აქვს თანაბარი ხელმისაწვდომობა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სხვა სფეროში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა აღიარებასა და გამოყენებაზე.

კონვენციის თანახმად, დაგმობილია სეგრეგაცია და აპარტეიდი. დოკუმენტი დანაშაულად აცხადებს რასობრივ უპირატესობას და სიძულვილზე აგებული იდეების ყოველგვარ გავრცელებას, რასობრივი დისკრიმინაციისაკენ წაქეზებას, აქტებს, რომლებიც მიმართულია რასობრივი ჯგუფების ან კანის ფერის თუ ეთნიკური წარმოშობის ნიშნით განსხვავებული ჯგუფების წინააღმდეგ (ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, 2005. გვ.119). კონვენცია, ასევე, კრძალავს ისეთ ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობაც მიმართულია რასობრივი დისკრიმინაციის პროპაგანდისაკენ. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ შეასრულონ აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული მოთხოვნები. ამ მოთხოვნათა შესრულებაზე მონიტორინგს აწარმოებს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი.

მსოფლიო საზოგადოება ბავშვების მდგომარეობით პირველად 1923 წელს დაინტერესდა. არასამთავრობო ორგანიზაციამ „გადავარჩინოთ ბავშვების საერთაშორისო კავშირმა“ მიიღო პირველი ბავშვთა უფლებების დეკლარაცია, რომელიც ხუთი მუხლისაგან შედგებოდა. დეკლარაცია ჟენევის ბავშვთა

ბიოლოგიური სქესი წარმოადგენს ანატომიურ და ფიზიკურ მახასიათებელს, რომელიც ჰყოფს ადამიანებს ქალებად და კაცებად. ბიოლოგიური და ფიზიკური განსხვავებები ქალებსა და კაცებს შორის ასახულია მათ შორის ანატომიურ სხვაობაში. ასევე ეს განსხვავებები გამოხატულია ჰორმონალურ და ბიოქიმიურ დონეზე ადამიანის სხეულში. სქესი ბიოლოგიურად არის განსაზღვრული. ქცევის ფორმებს, რომლებიც დაკავშირებულია ქალისა და კაცის სხვადასხვა ბიოლოგიურ ფუნქციებთან, ეწოდება სქესობრივი როლები.

გენდერი არის სოციალური კონსტრუქტი, რომელიც განვითარებულია საზოგადოების მიერ და განსაზღვრავს ქალის და კაცის სოციალურ როლს, მათ სტატუსს სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტში. გენდერული როლები მოიცავს ქალებისა და კაცებისთვის სოციალურად და კულტურულად განსაზღვრულ ქცევათა ფორმებს, ნორმებსა და ღირებულებებს.

რასობრივი დისკრიმინაცია – „ნებისმიერი განსხვავება, გამორიცხვა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, წარმომავლობის, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე, რომელიც მიზნად ისახავს ან შედეგად მოაქვს თანაბარი შესაძლებლობების, ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების აღიარების, სარგებლობის და გამოყენების გაუქმებას ან დაბრკოლებას პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ან საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სხვა სფეროში“.

უფლებების დეკლარაციის სახელითაა ცნობილი და იგი 1924 წელს ერთა ლიგის მეხუთე ასამბლეის მიერაა დამტკიცებული. 1959 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ბავშვის უფლებათა ახალი დეკლარაცია, რომელიც ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის ათ ძირითად პრინციპს შეიცავდა. მაგრამ მსოფლიო თანამეგობრობამ საკმარისად არ მიიჩნია აღნიშნული დოკუმენტები ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში, რადგან ისინი სრულყოფილად ვერ გამოხატავდნენ ბავშვის უფლებებს. კვლავაც მაღალი იყო მთელ მსოფლიოში ბავშვთა სიკვდიალიანობის დონე, ბავშვების ექსპლუატაცია და მათზე ძალადობა. ბევრ ქვეყანაში ბავშვებისათვის მიუწვდომელი იყო სამედიცინო დახმარება და ბაზისური განათლების მიღების შესაძლებლობა. 1979 წელი გამოცხადებილი იყო ბავშვთა საერთაშორისო წლად. სწორედ ამ წელს გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ პოლონეთის მთავრობის ინიციატივის საფუძველზე მუშაობა დაიწყო ბავშვის უფლებათა ახალ დოკუმენტზე, რომლის შექმნაშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ და რომელზე მუშაობაც 10 წელი გაგრძელდა. გაეროს გენერალურმა ანსამბლეამ 1989 წლის 20 ნოემბერს ერთხმად მიიღო **„ბავშვის უფლებათა კონვენცია“.** 1990 წელს „ბავშვის უფლებათა კონვენციას 20-მა სახელმწიფომ მოაწერა ხელი, რის შემდეგაც იგი ოფიციალურად შევიდა ძალაში.

საქართველო „ბავშვის უფლებათა კონვენციას“ 1994 წლის 21 აპრილს შეუერთდა, რითაც აიღო ვალდებულება კონვენციით გათვალისწინებული მუხლების შესრულებაზე. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტს რეგულარულად წარუდგინონ ანგარიში კონვენციის განხორციელების შესახებ. ქვეყნის კულტურული, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ აწესებს საერთო სტანდარტებს მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის. კონვენცია ეყრდნობა ძირითად პრინციპებს, რომლის მიხედვითაც:

- ✓ კონვენციის თითოეული მუხლი ეხება აბსოლუტურად ყველა ბავშვს მთელ მსოფლიოში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.
- ✓ ყველა შემთხვევაში ბავშვის მიმართ განხორციელებული ქმედებისას უპირველესად გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ინტერესები და მისი დაცვა.

- ✓ ყოველ ბავშვს დედამიწაზე აქვს სიცოცხლის და თავისუფალი განვითარების უფლება.
- ✓ ბავშვის მიმართ გამხორციელებულ ქმედებებში და საკითხებში, რომელიც ეხება ბავშვს, გათვალისწინებული უნდა იყოს მისი აზრი და შეხედულება.

კითხვები გააზრებისთვის:

1. როგორ ყალიბდებოდა და მკვიდრდებოდა ადამიანის უფლებები ანტიკური ეპოქიდან დღემდე?
2. რომელი ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი უძღვოდა წინ ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციას?
3. როდის და რა მიზნით შეიქმნა გაერო?
4. რა შინაარსის მატარებელია ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია?
5. როდის და რა მიზნით მიიღო ევროპის საბჭომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია?
6. როდიდან მოქმედებს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია?
7. კიდევ რომელი საერთაშორისო დოკუმენტებია მიღებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში?

თავი IX

ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები

ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები ეროვნულ დონეზე. ადამიანის უფლებათა ვრცელი კატალოგი მოიცავს ადამიანის კიდევ ერთ უფლებას – დაიცვას თავისი უფლებები და თავისუფლება. სახელმწიფოთა ვალდებულება ადამიანის უფლებათა აღიარება და დაცვაა, ადამიანის უფლებათა დაცვაში კი მოიაზრება ეფექტური ორგანიზაციულ-სამართლებრივი სისტემების შექმნა, რომელიც ადამიანს სამართლებრივი დაცვის საშუალებას აძლევს. ადამიანის უფლებათა დაცვის შიდა სახელმწიფოებრივი მექანიზმებიდან პირველ რიგში იურიდიულად გაფორმებული ქვეყნის სამართლებრივი სისტემაა. ადამიანის უფლებების და თავისუფლების დაცვა ქვეყნის კონსტიტუციური ვალდებულებაა. თავისუფალმა, მიუკერძოებელმა და ობიექტურმა სასამართლომ უნდა დაიცვას ადამიანის უფლებები, რომ ხელისუფლების დანარჩენმა ორმა შტომ არ გადააჭარბოს თავის უფლებამოსილებას და არ შეზღუდოს ადამიანის უფლება და თავისუფლება.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის თანახმად, თავისი უფლებების დასაცავად ყოველ ადამიანს აქვს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. საქართველოს სასამართლო სისტემა შედგება: საერთო – რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისაგან, სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოსაგან. ადამიანის უფლებათა დაცვაზე საკონსტიტუციო კონტროლი საკონსტიტუციო სასამართლოს უმთავრესი ფუნქციაა.

საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოში 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე 1996 წელს შეიქმნა. მისი საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, საქართველოს კანონით „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ და სხვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს ქვეყანაში კონსტიტუციის, როგორც ქვეყნის ძირითადი და უზენაესი კანონის დაცვას, კონსტიტუციის კანონიერებას, საქართველოს კონსტიტუციაში გაწერილი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას. ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია სარჩელით მიმართონ, იურიდიულმა პირებმა, ასევე, საქართველოს მოქალაქე და საქართველოში მცხოვრებმა მოქალაქეობის არმქონე ფიზიკურმა პირებმა. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს ქვეყნის პრეზიდენტს, პარლამენტის წევრებს (არანაკლებ საერთო რაოდენობის ერთი მეხუთედისა), საერთო სასამართლოს, სახალხო დამცველს და სხვა.

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით დადგენილი ინსტიტუტია და ის ჩვენს ქვეყანაში ამავე წლიდან მოქმედებს. „საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 6 წლის ვადით სრული შემადგენლობის 3/5-ის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი". (საქართველოს კონსტიუცია, მუხლი 35. საქართველოს სახალხო დამცველი) „სახალხო დამცველის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „სახალხო დამცველის შესახებ". საქართველოს სახალხო დამცველის ფუნქციებში შედის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და რეაგირებისათვის შესაბამისი ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდება. „საქართველოს ომბუდსმენი განიხილავს საქართველოს მოქალაქეთა, მოქალაქეობის არმქონე პირთა და საქართველოში მყოფ უცხოელთა, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციათა განცხადებებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთა, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, საწარმოთა თანამდებობისა და იურიდიული პირების მოქმედებებს ან მათ აქტებს, აგრეთვე სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევებს, რომელთა მონაწილეც საქართველოა" (კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, თბ. 2005. გვ. 114)

აუცილებელი არ არის სახალხო დამცველს მხოლოდ მაშინ მივმართოთ, როცა საქართველოს კონსტუტუციითა და კანონით დადგენილი ჩვენი უფლებები ირღვევა. სახალხო დამცველისათვის მიმართვა სხვათა უფლებების დარღვევის შემთხვევაშიცაა შესაძლებელი. სახალხო დამცველის უფლებამოსილებას სცილდება სასამართლოს მიერ გამოტანილი უკანონო გადაწყვეტილების გაუქმება, მაგრამ მას შეუძლია რეკომენდაციით მიმართოს იმ ორგანოს, რომელმაც თქვენი უფლებები დაარღვია. ასევე სახალხო დამცველის

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ". „კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად. დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი."

კანონის თანახმად, სახალხო დამცველს შეუძლია როგორც მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, ისე პირადი ინიციატივით დაიწყოს დისკრიმინაციულ ფაქტზე საქმის შესწავლა.

უფლებამოსილებაა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები გამოაქვეყნოს სპეციალურ მოხსენებებსა და ყოველწლიურ ანგარიშებში. სახალხო დამცველთან განცხადების ან საჩივრის გაგზავნა შესაძლებელია ფოსტითაც და პირადად ოფისში მიტანითაც. სახალხო დამცველის მომსახურება კანონის თანახმად, უფასოა. „სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 35. საქართველოს სახალხო დამცველი).

სახალხო დამცველის ოფისში 2001 წლიდან მოქმედებს **ბავშვის უფლებათა ცენტრი**, რომლის საქმიანობასაც საფუძვლად გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენცია უდევს. 2005 წელს სახალხო დამცველის ოფისში შეიქმნა **ტოლერანტობის ცენტრი,** რომელიც აქტიურად მუშაობს საქართველოში ტოლერანტობის კულტურის განვითარებისა და თანასწორუფლებიანი გარემოს ჩამოყალიბებისთვის. ცენტრს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვაში. ამ კუთხით, იგი უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის მრავალმხრივი დიალოგის ხელშემწყობ პირობებს ქმნის, ახორციელებს საგანმანათლებლო ღონისძიებებს, ავლენს რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე დისკრიმინაციისა და ქსენოფობიის შემთხვევებს, სწავლობს ამ სფეროში არსებულ ტენდენციებს და სისტემური ხასიათის პრობლემებს.

2013 წელს 2001 წლის ბავშვთა და ქალთა უფლებების ცენტრის საფუძველზე შეიქმნა **გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი.** დეპარტამენტი ახორციელებს ზედამხედველობას გენდერული თანასწორობის საკითხებზე. ასევე, დეპარტამენტის საქმიანობაში შედის გენდერული თანასწორობის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. 2015 წლიდან სახალხო დამცველის ოფისში მოქმედებს **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი**, რომელიც 2008 წელს ლიხტენშტეინის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით დაარსებული შშმ პირთა ცენტრის საფუძველზე შეიქმნა. დეპარტამენტი ახორციელებს მონიტორინგს შშმ პირთა უფლებების დაცვაზე. 2009 წელს საქართველომ ხელი მოაწერა გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის „შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებების დაცვის კონვენციას“, ხოლო 2013 წლის 26 დეკემბერს მოხდა მისი რატიფიცირება, რომელიც ძალაში 2014 წლის 12 აპრილიდან შევიდა. შშმ პირთა დეპარტამენტის ფუნქციებში შედის 2006 წლის კონვენციის საქართველოში იმპლემენტაციის მონიტორინგი.

2006 წლის 13 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (UNCRPD) და მისი დამატებითი ოქმი. კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნა 2007 წელს. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების კონვენცია 21-ე საუკუნის პირველი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტია. კონვენციამ ფუნდამენტურად შეცვალა შშმ პირებისადმი დამოკიდე-

ბულება. თუ კონვენციის მიღებამდე შშმ პირებს მხოლოდ პაციენტებად აღიქვამდნენ, კონვენციის თანახმად, შშმ პირები სრულფასოვანი მოქალაქეები არიან, მათი უფლებებისა და თავისუფლების სათანადო განხორციელებას აფერხებს ის სოციალური და ფიზიკური გარემო, რომელიც შშმ პირთა საჭირობას არ ითვალისწინებს. ამ კონცეფციის თანახმად, სამედიცინო მოდელი ჩაანაცვლა სოციალურ-კულტურულმა მოდელმა. საზოგადოებაში დამკვიდერბული სტერეოტიპი, რომ შშმ პირები მხოლოდ დახმარებას საჭიროებენ, ჩაანაცვლა მათი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად აღქმამ.

გაეროს 2006 წლის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ კონვენციის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სხვა პირთა თანაბრად აქვთ:

- სიცოცხლის უფლება
- კანონის წინაშე თანასწორობის უფლება
- მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფლება
- პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება
- წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელისაგან თავისუფლებლების უფლება
- ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან თავისუფლების უფლება
- პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება
- მოქალაქეობისა და გადაადგილების თავისუფლება
- დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართვის უფლება
- აზრისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება
- საცხოვრებლისა და ოჯახის პატივისცემის უფლება
- განათლების უფლება
- ჯანმრთელობის უფლება
- შრომისა და დასაქმების უფლება
- ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის და სოციალური დაცვის უფლება
- პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება
- კულტურულ, სპორტულ, გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება.

საქართველომ კონვენციას 2009 წელს მოაწერა ხელი. 2013 წლის 27 დეკემბერს კი საქართველოს პარლამენტმა 91 ხმით არცერთის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ რატიფიკაცია მოახდინა. რითაც

იკისრა ვალდებულება ხელი შეუწყოს შშმ პირთა უფლებების დაცვას როგორც საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვითა და გაძლიერებით, ისე ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებით და შშმ პირთა უფლებაშემლახავი პრაქტიკის შეცვლით. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესრულებას მონიტორინგს უწევს საქართველოს სახალხო დამცველი. (საქართველოს სახალხო დამცველი წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვისა და პოპულარიზაციის საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ეროვნულ ინსტიტუტს, რომელსაც ირჩევს პარლამენტი. საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ინსტიტუტს საგანმანათლებლო ფუნქციას ანიჭებს, ხოლო 31 მუხლის თანახმად საქართველოს სახალხო დამცველი ასრულებს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს, რის საფუძველზეც ხორციელდება დახურული დაწესებულებების მონიტორინგი, რაც სწორედ მისი პრეროგატივაა. საქართველოს სახალხო დამცველს ჰყავს 40-ზე მეტი ექსპერტი უფლებათა დაცვის საკითხებში (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და დისკრიმინაციის საკითხებში ექსპერტები), აქვს მატერიალურ-ტექნიკური და ადმინისტრაციული რესურსები, რომელიც საჭიროა ზემოაღნიშნული ფუნქციის განსახორციელებლად.)

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი „**დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ**“. „კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად. დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი“. კანონის თანახმად, სახალხო დამცველს შეუძლია როგორც მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, ისე პირადი ინიციატივით დაიწყოს დისკრიმინაციულ ფაქტზე საქმის შესწავლა.

ჩანართი 2.11. ომბუდსმენი

ომბუდსმენის ინსტიტუტი მსოფლიოში არცთუ ისე დიდი ხნის წინ შეიქმნა. დღეს იგი 120-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს და მისი არსებობა ქვეყნის დემოკრატიულობის განმსაზღვრელადაც კი იქცა. სიტყვა ომბუდსმენი შვედური წარმოშობისაა და პირველი ომბუდსმენიც, სწორედ, ამ ქვეყანაში გამოჩნდა. მე-18 საუკუნეში შვედეთის ჯარების რუსეთთან ომში დამარცხების შემდეგ, შვედეთის მეფემ კარლ XII-მ მოკავშირის ძიებაში თურქეთს მიაშურა. მისმა მოგზაურობამ თითქმის 5 წელს გასტანა. 1713 წელს აბსოლუტური მონარქიის პირობებში შვედეთის მეფემ კარლ XII-მ შემოიღო იუსტიციის სამეფო ომბუდსმენის თანამდებობა, რათა სახელმწიფო მოხელეებსა და მოსამართლეებს ბოროტად არ ესარგებლათ მეფის სამშობლოდან შორს ყოფნით და არ დაეჩაგრათ ხალხი. შესაბამისად, მეფის ომბუდსმენის ფუნქციებში ჩინოვნიკთა საქმიანობაზე ზედამხედველობა შედიოდა. 1809 წელს შვედეთის პარლამენტმა (RIKSDAGEN) მიიღო ქვეყნის კონსტიტუცია, რომლის საფუძველზეც შემოიღო ომბუდსმენის თანამდებობაც. მაგრამ შვედეთის პარლამენტის ამ ინიციატივას კარგა ხანს სხვა ქვეყნების ხელისუფლებაში მიმბაძველი არ გამოჩენია.

ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმები. ადამიანის უფლებების დაცვა სახელმწიფოს საკუთარი კონსტიტუციითა და კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებაა. თუმცა ქვეყნის მიერ სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის ვალდებულებას ზედამხედველობას უწევენ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციები. სწორედ ამ მიზნით, მსოფლიოში შექმნილია ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები.

უნივერსალური სისტემა. გაეროს ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვას არაერთი ორგანო და ინსტიტუტი ზედამხედველობს. ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს გაეროში განიხილავენ როგორც ძირითადი ორგანოები: გაეროს გენერალური ასამბლეა, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, ასევე დამხმარე ორგანო, როგორიცაა ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატი (შეიქმნა 1946 წელს). ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთი წლის შემდეგ შეიქმნა დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და უმცირესობათა დაცვის გაეროს ქვეკომისია, რომელიც 1999 წლიდან „ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ქვეკომისიად“ იწოდება. ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გაეროს ფარგლებში მოქმედებს სახელშეკრულებო ორგანოები, რომელთაგან „საქართველოსთან მიმართებით ინდივიდუალური საქმეების განხილვის უფლებამოსილება გააჩ-

ნიათ: ადამიანის უფლებათა კომიტეტს, ქალთა დისკრიმინიციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტს, კომიტეტს წამების წინააღმდეგ და რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს."

რეგიონული სისტემები. არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონული სისტემები, რომლებიც რეგიონების მიხედვით იქმნება. რეგიონულ სისტემებს მიეკუთვნება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემა, რომელზეც მოგვიანებთ ვრცლად ვისაუბრებთ.

ამერიკული სისტემა. შექმნილია ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში რომელმაც 1969 წლის 20 ნოემბერს მიიღო „**ადამიანის უფლებების ინტერამერიკული კონვენცია**". კონვენცია ძალაში 1978 წელს შევიდა. კონვენციის თანახმად, სახელმწიფოთა მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებულების შესრულებაზე კონტროლი ადამიანის უფლებათა ინტერამურიკულ კომისიასა და სასამართლოს დაეკისრა.

აფრიკული სისტემა. აფრიკის სახელმწიფოების კავშირმა 1981 წელს შექმნა ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონული ორგანიზაცია და მიიღო ადამიანისა და ხალხის უფლებათა ქარტია. კონტინენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ქარტიაში პრიორიტეტულია რასიზმისა და კოლონიალიზმის საკითხები.

ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საერთაშორისო მექანიზმი **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოა**. იგი 1959 წელს, 1950 წლის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის საფუძველზე დაარსდა. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში გაწერილია ის უფლებები და ვალდებულებები, რომელთა დაცვასაც კისრულობს კონვენციის ხელშემკვრელი ქვეყანა. დღეისათვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მეთვალყურეობს 800 მილიონი ადამიანის უფლებათა დაცვას 47 სახელმწიფოში. თავდაპირველად ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო ორსაფეხურიანი იყო. იგი ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და ევროპული სასამართლოსგან შედგებოდა. 1998 წლის 1 ნოემბერის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-11 მუხლის საფუძველზე გატარებული რეფორმით ევროპული სასამართლო გახდა მუდმივმოქმედი, რამაც ადამიანებს პირდაპირ ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის საშუალება მისცა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მდებარეობს საფრანგეთში, სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასახლეში.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 47 მოსამართლეა, ზუსტად იმდენი, რამდენი ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანაცაა მიერთებული აღნიშნულ კონვენციას. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო ზედამხედველობას უწევს სახელწიფოთა მხრიდან ევროპული კონვენციით აღიარებული ადამიანის უფლებების დაცვას. კონვენციით და მისი ოქმებით დაცულია „სიცოცხლის უფლება, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო ხასიათის საქმეების სამართლიანი განხილვის უფლება, პირადი და ოჯახური

ცხოვრების დაცულობის უფლება, აზრის გამოხატვის თავისუფლება, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება, საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება, არჩევნებში ხმის მიცემისა და საკუთარი კანდიდატურის წამოყენების უფლება“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კითხვა-პასუხი, 2009. გვ.4).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით აკრძალულია: „ადამიანის წამება და არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა, თვითნებური და უკანონო პატიმრობა, დისკრიმინაცია კონვენციით უზრუნველყოფილი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას, საკუთარი მოქალაქეების სახელმწიფოს ტერიტორიიდან გაძევება ან მათი ამ ტერიტორიაზე შესვლის დაბრკოლება, სიკვდილით დასჯა, უცხოელების კოლექტიური გაძევება“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კითხვა-პასუხი, 2009. გვ.5). ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შეიძლება მიმართონ როგორც კერძო ან იურიდიულმა პირმა, ასევე, სახელმწიფოებმა. აუცილებელი არ არის განმცხადებელი ევროპის საბჭოს წევრი რომელიმე ქვეყნის მოქალაქე იყოს. საკმარისია, ადამიანის უფლებები დაირღვეს ხელშეკრულების ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრიდან, საკუთარი იურისდიქციისა და ტერიტორიის ფარგლებში.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შეუძლია მიმართოს მხოლოდ დაზარალებულმა ან მისმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა. ევროპულ სასამართლოში განცხადების შეტანამდე განმცხადებელს ამოწურული უნდა ჰქონდეს ყველა სამართლებრივი დაცვის შიდა სახელმწიფოებრივი მექანიზმი. თუკი სასამართლო მიიჩნევს, რომ რომელიმე ხელშემკვრელმა სახელმწიფომ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად აღიარებული ადამიანის უფლებები, წარმოებაში მიიღებს საქმეს და გამოიტანს გადაწყვეტილებას. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება სავალდებულოა. თუმცა გადაწყვეტილების აღსრულება სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებს სცდება და მასზე პასუხიმგებელი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტია.

ჩანართი 2.12. საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ

„2006-2007 წლებში რუსეთიდან საქართველოში 7004 მოქალაქეა დეპორტირებული. იურისტების შეფასებით, დეპორტაცია, ევროკონვენციის მუხლების უხეში დარღვევით განხორციელდა. ამის გამო, საქართველომ, დეპორტირებული ქართველების უფლებების დასაცავად, რუსეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, სტრასბურგის სასამართლოს ინდივიდუალურად, დეპორტირებულებმაც მიმართეს. რუსეთის ფედერაციიდან ქართველთა მასობრივი დეპორტაცია, საქართველოში რუსი ოფიცრების დაკავებასა და შპიონაჟში დადანაშაულებას მოჰყვა. რუსეთის მიგრაციის სამსახურის წარმომადგენლები, ქართველებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე აკავებდნენ და საქართველოში სატვირთო თვითმფრინავებით აგზავნიდნენ. ქართული წარმოშობის ადამიანები დევნას განსაკუთრებით მოსკოვსა და მის მეზობელ ქალაქებში განიცდიდნენ. დაკავებულთა შორის მრავლად იყვნენ ეროვნებით ქართველი, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებიც, რომელთაც ყველა სახის დოკუმენტაცია წესრიგში ჰქონდათ.

2007 წლის 26 მარტს, დეპორტირებული ქართველების უფლებების დასაცავად, საქართველომ, რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა. ეს სარჩელი რუსეთის წინააღმდეგ პირველია, როცა მეზობელ ქვეყანას თავის დაცვა სახელმწიფოს წინაშე მოუწევს. რუსეთის იუსტიციის სამინისტრომ, ქართულ მხარეს უკვე გადასცა შესაგებელი, სადაც საქართველოს პრეტენზიები უსაფუძვლოდ არის შეფასებული. რუსეთის იუსტიციის სამინისტრო კატეგორიულად მოითხოვს იმის აღიარებას, რომ 2006 წელს საქართველოს მოქალაქეების დეპორტაცია დაგეგმილი არ იყო და ეთნიკური ნიშნით არ მომხდარა.“ რუსეთის ფედერაციას მოქალაქეთა დეპორტაციისათვის, რამაც მათ სულიერი, ფიზიკური და მატერიალური ზიანი მიაყენა, საქართველომ კომპენსაციის სახით 70 320 00 ევროს გადახდა მოსთხოვა. 2014 წლის ივნისში 17 მოსამართლისაგან შემდგარი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს დიდი პალატის დადგენილებით „ევროპულმა სასამართლომ რუსეთის ფედერაცია პასუხისმგებელ სახელმწიფოდ ცნო საქართველოს მოქალაქეების კოლექტიური გამოძევების, მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის, უკანონო დაკავებისა და დაპატიმრების, სამართლებრივი დაცვის საშუალებების არქონის ნაწილში. ევროპული სასამართლო ასკვნის, რომ აღნიშნული დარღვევები წარმოადგენდა ადმინისტრაციულ პრაქტიკას და რუსეთის ხელისუფლების სხვადასხვა შტოს კოორდინირებული და მიზანმი-

მართული ქმედებების შედეგია. რუსეთის ფედერაცია დამატებით იქნა ცნობილი ევროპული კონვენციის 38-ე მუხლის დამრღვევად. აღნიშნული მუხლი ევროპულ სასამართლოსთან სახელმწიფოს თანამშრომლობას ითვალისწინებს. რუსეთის ფედერაციამ ევროპულ სასამართლოს მოთხოვნის მიუხედავად შესაბამისი დოკუმენტაციები არ მიაწოდა. რაც შეეხება კომპენსაციის ნაწილს, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული საკითხის განხილვა ერთი წლის ვადით გადადო და ამ ვადაში მხარეებს – საქართველოსა და რუსეთს კომპენსაციის ირგვლივ მორიგების საშუალება მისცა." (წყარო: https://gyla.ge/)

კითხვები გააზრებისთვის:

1. როგორ არის მოწყობილი საქართველოს სასამართლო სისტემა?
2. რას უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლო ქვეყანაში?
3. ვის და რა შემთხვევაში აქვს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლება?
4. რას უწევს ზედამხვედელობას საქართველოში სახალხო დამცველი? და რა შედის მის ფუნქციებში?
5. დაასახელეთ ადამიანის უფლებათა დაცვის ყველაზე ეფექტიანი საერთაშორისო მექანიზმი;
6. რას უწევს ზედამხედველობას ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო?
7. რა შემთხვევაში და ვის შეუძლია მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს?

3 სამოქალაქო საზოგადოება

მოცემულ კარში განხილულია სამოქალაქო საზოგადოების კონცეფცია და ის ცვლილებები, რაც აღნიშნულმა ცნებამ მისი ჩასახვის დღიდან თანამედროვე პერიოდამდე განიცადა. ასევე, სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიული ფუნქციებიც, რაზეც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ლარი დაიმონდი (Larry Diamond, 1951).

სამოქალაქო საზოგადოების ქმედითი ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი სოციალური კაპიტალია. სოციალური კაპიტალის ცნებას, დანიშნულებასა და განსხვავებულ განსაზღვრებებს სტუდენტები ასევე მოცემული კარის მეორე თავში გაეცნობიან.

მესამე კარის მესამე თავი ეთმობა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ისტორიას, გამოცდილებას და განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებს. განხილულია როგორც მე-19 საუკუნის, ასევე ტოტალიტარიზმისა და პოსტტოტალიტარიზმის ეპოქები.

მოცემული ნაწილის შესწავლის შემდეგ, თქვენ შეგეძლებათ, უპასუხოთ ისეთ კითხვებს, როგორიცაა:

- რას ნიშნავს ცნება „სამოქალაქო საზოგადოება“?
- რა ცვლილებები განიცადა სამოქალაქო საზოგადოების ცნებამ უძველესი დროიდან დღემდე?
- რა ფუნქციები აქვს დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის პირობებში სამოქალაქო საზოგადოებას?
- რას ნიშნავს სოციალური კაპიტალი და რა როლი აკისრია მას სამოქალაქო საზოგადოების ქმედითუნარიანობის საქმეში?
- მე-19 საუკუნის საქართველოში რამდენად არსებობდა სამოქალაქო საზოგადოების ელემენტები?
- პოსტკომუნისტურ საქართველოში რა ფაქტორები უშლის ხელს სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური კაპიტალის განვითარებას?

თავი X

სამოქალაქო საზოგადოება: ცნების თანამედროვე და ისტორიული გაგება

10.1. სამოქალაქო საზოგადოების ცნების დეფინიცია და ძირითადი მახასიათებლები

საბჭოთა კავშირისა და, ზოგადად, კომუნისტური სისტემის დაშლის, ასევე თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი მზარდი ინტერესისა და ახალი, დემოკრატიული სახელმწიფოების მშენებლობების შედეგად სამოქალაქო საზოგადოების იდეა განსაკუთრებით აქტუალური გახდა. დასავლეთის დემოკრატიული, ლიბერალური საზოგადოებისა და პოლიტიკური თუ სამეცნიერო წრეებისთვის ერთ დროს თითქოს ბოლომდე პასუხგაცემული და ამოწურული თემატიკა – მოქალაქეობის, სამოქალაქო საზოგადოების, მისი ფუნქციებისა და როლის შესახებ – კვლავ მთელი აქტუალობით და ახალი სიმწვავით XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩნდება. ხმამაღლა გაცხადებულმა მისწრაფებამ – შეექმნათ ლიბერალური, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემები – ახლადჩამოყალიბებული სახელმწიფოები არაერთი გამოწვევის წინაშე დააყენა. თავისუფალი, სამართლიანი არჩევნების ჩატარება და უზრუნველყოფა, დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების დამკვიდრება და გამყარება, აქტიური და მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურის ელემენტების დანერგვა, პოლიტიკური პარტიებისა და პარტიული, ასევე დამოუკიდებელი სასამართლო სისტემების ჩამოყალიბება – ეს მხოლოდ არასრული ჩამონათვალია იმ გამოწვევებისა, რომლის წინაშეც ახლადშექმნილი სახელმწიფოები (პოსტკომუნისტური ქვეყნები) აღმოჩნდნენ. პრობლემათა მოცემულ ჩამონათვალში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქმედითი სამოქალაქო საზოგადოებისა და, შესაბამისად, აქტიური მოქალაქის შექმნის თემატიკა.

სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული განმარტება ლარი დაიმონდს ეკუთვნის. სამოქალაქო საზოგადოება – ესაა ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, რომელიც თვითწარმოქმნადია, თვითგნვითარებადია, სახელმწიფოსგან ავტონომიურია და შეკრულია საკანონმდებლო წესრიგით ან გაზიარებულ წესთა ერთობლიობით.

სამოქალაქო საზოგადოება – ესაა ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, რომელიც თვითწარმოქმნადია, თვითგნვითარებადია, სახელმწიფოსგან ავტონომიურია და შეკრულია საკანონმდებლო წესრიგით ან გაზიარებულ წესთა ერთობლიობით.

ამასთანავე, არსებობს სხვა განსაზღვრებებიც. თუმცა ზოგადი, საერთო მოსაზრებით, სამოქალაქო საზოგადოება – ეს არის საზოგადოების ნებაყოფლობითი ორგანიზების ტიპი, სადაც ჩვეულებრივი, რიგი-

თი მოქალაქეები აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საზოგადოებრივი ცხოვრების კუთხით აქტიურობა არ მოიცავს და არ გულისხმობს მხოლოდ რომელიმე ერთ მიმართულებას. მოცემული აქტიურობის არეალი მეტად ფართოა და მოიცავს საზოგადოებისთვის პრობლემურ ნებისმიერ სფეროს, იქნება ეს სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი თუ სხვა სფეროები. სამოქალაქო საზოგადოება არის ადამიანთა ორგანიზების ის სფერო, რომელიც ფართო გასაქანს აძლევს კონკურენციას. ამასთანავე, სამოქალაქო საზოგადოება, ძირითადად, ინიცირებისა და კონტროლის ფუნქციას გულისხმობს და მის კომპეტენციაში არ და ვერ შევა იმგვარი საქმიანობა, რაც ცალსახად სახელმწიფოს მოვალეობებშია: კანონმდებლობა, სასამართლო საქმეთწარმოება, თავდაცვა, უშიშროება და მართლწესრიგის დამყარება, საგარეო ურთიერთობები თუ აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელება.

სამოქალაქო საზოგადოება არ თავსდება არც კერძო (ოჯახურ) სფეროში და არც ბიზნეს ან სახელმწიფოებრივ სექტორებში. ეს არის შუალედური რგოლი ერთი მხრივ კერძო ინტერესებს, ცალკეულ ინდივიდებსა თუ სოციალურ ფენებს და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს და მის ინსტიტუტებს შორის. სწორედ მოცემული „შუალედური რგოლის“ გამო, სამოქალაქო საზოგადოებას, ხშირად, ე.წ. გამტარის, შუამავლის ფუნქციის მატარებლადაც მოიაზრებენ. სამოქალაქო საზოგადოების მოცემული როლი კარგად წარმოჩინდება მის ფუნქციაში – მოახდინოს საზოგადოებიდან წამოსული იმპულსებისა და მოთხოვნების აგრეგაცია და არტიკულირება და შესძლოს ხელისუფლებამდე მოცემული მოთხოვნების უკვე ჩამოყალიბებული სახით მიტანა.

სამოქალაქო საზოგადოება არსებობს და ფუნქციონირებს გარკვეულ გარემო პირობებში. ზოგიერთი მკვლევარი სამოქალაქო საზოგადოების არსებობაზე არალიბერალურ და არადემოკრატიულ რეჟიმებშიც საუბრობს, მაგალითად, შესაძლოა შევხვდეთ ტერმინებს: „სამოქალაქო საზოგადოება ირანში“, „სამოქალაქო საზოგადოება პაკისტანში“, თუმცა, ზოგადად, მიღებულია, რომ სამოქალაქო საზოგადოება სრულფასოვნად მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოებში ფუნქციონირებს. უფრო მეტიც, ერნესტ გელნერის (Ernest Gellner, 1925-1995) მოსაზრებით, რომელსაც იგი თავის ცნობილ ნაშრომში, *„თავისუფლების პირობები: სამოქალაქო საზოგადოება და მისი მტრები“* ანვითარებს, ჭეშმარიტად ქმედით სამოქალაქო საზოგადოებაზე სრულფასოვნად საუბარი მხოლოდ 1945 წლიდან თუ არის შესაძლებელი.

ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების არსებობის ძირითად განმაპირობებელ ფაქტორებზე საუბრისას, გამოყოფენ რამდენიმე მათგანს. კერძოდ, ეს ფაქტორებია:

- გაერთიანების თავისუფლება და ხარისხი;
- განვითარებული და ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობები;
- სოციალური თუ სხვა ვალდებულებების დეცენტრალიზაცია.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1. გაერთიანების თავისუფლება და ხარისხი. ადამიანები თავისუფლად, საკუთარი ინიციატივით ერთიანდებიან სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაში. ამგვარ გაერთიანებას სახელმწიფო ხელს უწყობს შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციებით. როდესაც სახელმწიფოს მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობაზე ვსაუბრობთ, ცალსახად უნდა ითქვას, რომ აქ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვგულისხმობთ. სახელმწიფოს, სადაც ადამიანის თავისუფლება, უფლებები და მოვალეობები არამარტო ქაღალდზეა გაწერილი, არამედ რეალურად, ცხოვრებაშიც ხორციელდება. დემოკრატია ხალხის მმართველობას ემყარება და ხალხის თანხმობაზე ანუ კონსენსუსზეა დაფუძნებული. ხელისუფლების ლეგიტიმურობის წყარო ხალხია. შესაბამისად, თავად დემოკრატიული სახელმწიფოს ინტერესებშია ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა. მიუხედავად არსებული მოსაზრებებისა, რომ თანამედროვე ტიპის სამოქალაქო საზოგადოება მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის პირმშოა, ფაქტია, რომ სხვადასხვა ტიპის ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება ევროპასა და ამერიკაში ბევრად უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე თანამედროვე, მოდერნის ტიპის ნაციონალური სახელმწიფოები. რიგ ქვეყნებში მოცემულმა გაერთიანებებმა მნიშვნელოვანი სოციალური, კულტურული თუ ეკონომიკური როლიც იტვირთეს. მაგალითად, ნებაყოფლობითი ასოციაციები ბერძნულ-რომაულ სამყაროში, ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ VI საუკუნეში, სოლონის პერიოდიდან გვხვდება და განსაკუთრებული აყვავების პერიოდს ელინიზმის ხანაში განიცდის. ახ. წ. აღ. პირველ საუკუნეში რომის იმპერიის უკვე მთელ ტერიტორიაზე არაერთი ასოციაცია მოქმედებდა, როგორც ურბანულ ასევე (ნაკლები დოზით, მაგრამ მაინც) არაურბანულ ზონებშიც. ბერძნულ-რომაულ სამყაროში, ნებაყოფლობითი ასოციაციების სხვადასხვა ტიპი არსებობდა. მათ შორის, შეგვიძლია გამოვყოთ: ფილოსოფიური ასოციაციები, რომლებსაც, ზოგჯერ, ფილოსოფიურ სკოლებსაც უწოდებენ; საზოგადოებრივი რელიგიური ასოციაციები, რომლებსაც „მისტერიული რელიგიის“ სახელით მოიხსენიებენ; კერძო რელიგიური და პროფესიული ასოციაციები, რომლებსაც, როგორც წესი, ყველაზე ხშირად, „ნებაყოფლობით“ ასოციაციებს ეძახიან.

ანალოგიურად, მსგავსი ტიპის თავისუფალი ასოციაციები და გაერთიანებები ფართოდ გავრცელებული მოვლენაა შუა საუკუნეების ევროპაში – იქნება ეს გილდიები, ამქრები თუ სხვადასხვა ტიპის სპორტული კლუბები.

აქტიური სამოქალაქო საზოგადოება, ანუ, საზოგადოება რომელიც არ არის მატერიალურ მოგებაზე ორიენტირებული და არ არის დაკავებული რაიმე სახის ბიზნეს ან კომერციული საქმიანობით (თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ქმედებები არ შეიძლება მიმართული იყოს კერძო საკუთრების, ფინანსური და მატერიალური რესურსების დაცვისკენ), თავისთავად, საზოგადოებრივი სტაბილურობის ერთ-ერთი გარანტია. სახელმწიფოში, სადაც მოქალაქეებს საკუთარი ინტე-

რესების თავისუფლად გამოხატვისა და ამ ინტერესების დასაცავად კანონის ფარგლებში ბრძოლის უფლება აქვთ – საზოგადოებაც უფრო მეტად ჰარმონიული, სტაბილური და გაწონასწორებულია. სამოქალაქო საზოგადოების წევრთა შორის კონკურენცია და სამართლიანი შეჯიბრობითობის პრინციპების არსებობა და დაცვა სახელმწიფოს ლეგიტიმურობის ერთ-ერთ წყაროდ იქცევა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, სამოქალაქო საზოგადოების არამომგებიანი საქმიანობის სფერო და არეალი, ერთი მხრივ, ცალკეული კერძო ინტერესების საერთო საზოგადოებრივ ინტერესად ტრანსფორმირებას ახდენს. თუმცა, მეორე მხრივ, ხშირად, შესაძლებელია ეს ცალკეული ვიწრო ინტერესები, სულაც არ ისახავდეს მიზნად საერთო საზოგადოებრივ სარგებელს და ვიწრო ჯგუფური ინტერესების საზღვრებში დარჩეს.

2. სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია და მძლავრად განვითარებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. მოქალაქეების ჩართულობას საზოგადოებრივ საქმიანობაში, დიდწილად, სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები განაპირობებენ. იქ, სადაც სახელმწიფო მძლავრად ცენტრალიზებული ან ფორმალურად დეცენტრალიზებული ხასიათისაა ან, თუნდაც, რეალურად არ არსებობს ქმედითი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები, საკუთარი ფინანსური სახსრებითა და უფლება-მოვალეობების მრავალფეროვანი სპექტრით – მოქალაქეთა ჩართულობა მხოლოდ ცენტრალური ორგანოების არჩევით შემოიფარგლება. ქმედითი ადგილობრივი ორგანოების არსებობა კი, დიდწილად, განაპირობებს მოქალაქეთა ფართო ჩართულობას ლოკალურ დონეებზე – ადგილობრივი საბჭოები, საკრებულოები, არჩევითი ორგანოები. ადგილობრივი ხელისუფლება არის ლეგიტიმურობის გარანტი. მოქალაქე, რომელიც ირჩევს ხელისუფლების ქვედა რგოლებს ადგილობრივ სამუნიციპალიტეტო დონეებზე, მის მიერ არჩეული ხელისუფალის გაკონტროლების თუ ადგილობრივი დონის საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის კუთხით უფრო მეტ პასუხისმგებლობას, მოვალეობას და უფლებებს გრძნობს.

3. გარკვეული ფუნქციების დელეგირება. სახელმწიფოს საზოგადოების წინაშე გარკვეული მოვალეობები აკისრია – იქნება ეს სოციალური, ეკონომიკური, საკანონმდებლო თუ სხვა ტიპის მოვალეობები. სახელმწიფოს, ლიბერალური თეორიის მიხედვით, ადამიანები სწორედ გარკვეული მოვალეობების შესრულების მიზნით ქმნიან და საზოგადოებაში გაერთიანებისა და აბსოლუტური თავისუფლების უფლებაზე უარს სწორედ ამ ვალდებულებების შესრულების გამო ამბობენ. თუმცა, დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში, რომლის ერთ-ერთი მახასიათებელი (ან, იქნებ განმაპირობებელიც) ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობაა, სახელმწიფო ახდენს გარკვეული უფლებებისა და ვალდებულებების დელეგირებას. არაკომერციული სტატუსის მქონე ისეთი გაერთიანებები, როგორიცაა, მაგალითად, თეატრები, სკოლები, საბავშვო ბაღები – თავისუფლების გარკვეული ხარისხით სარგებლობენ და ამავდროულად, მათ მიმართ სახელმწიფოს გარკვეული უფლებები აქვს.

სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელი ელემენტები, ამგვარად, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციას თუ მოქალაქეთა დაჯგუფებას მოიცავს, რომელთა საქმიანობის სფერო უკიდურესად ფართოა – დაწყებული ადამიანის უფლებების დაცვით, დამთავრებული თუნდაც, მაგარი ალკოჰოლური სასმელების აკრძალვის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობით. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს მიაკუთვნებენ ისეთ ნებაყოფლობით გაერთიანებებს, როგორიცაა საქველმოქმედო ორგანიზაციები, კომუნალური ფონდები, კოოპერატივები, გარემოს დაცვითი ორგანიზაციები, სამოქალაქო მილიცია და ა.შ.

რა ტიპის გაერთიანებები მოიაზრება სამოქალაქო საზოგადოებაში?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა განმარტება არსებობს. ასევე, არ არის აზრთა ერთიანობა იმის თაობაზე, თუ რომელი ტიპის გაერთიანებები შედის სამოქალაქო საზოგადოებაში და რომელი არა.

არის თუ არა პარტიები სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი? ან, რამდენად დასაშვებია რელიგიური გაერთიანებების სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელ ელემენტად განხილვა? მოქალაქეთა ყველა ტიპის გაერთიანება სამოქალაქო საზოგადოებაა თუ გადამწყვეტი მნიშვნელობა მსგავსი გაერთიანების მიზნებს ენიჭება? თუ ეს ასეა, მაშინ რა არის არასამოქალაქო საზოგადოება? იმისათვის, რომ აღნიშნულ კითხვებზე უფრო კონკრეტულად და უფრო თვალნათლივ გავცეთ პასუხები, განვსაზღვროთ სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელი სფეროები და მათ შორის, სხვადასხვა „პრობლემური „თუ „საეჭვო“ შემთხვევა.

1. სამოქალაქო საზოგადოებაში მოიაზრება აქტივობებისა და სოციალური ურთიერთობების ის ფორმები, რომლებიც არ ჯდება ოჯახის სფეროში. სამოქალაქო საზოგადოება ცალსახად საჯარო სივრცეა, შესაბამისად, ის დიდად სცდება ვიწრო ახლობლურ, მეგობრულ თუ ნათესაურ ურთიერთობა-კავშირებს.

2. სამოქალაქო საზოგადოება გულისხმობს აქტივობებისა და სოციალური ურთიერთობების იმ ფორმას, რომელიც არ განეკუთვნება ბიზნესის სფეროს. სამოქალაქო საზოგადოების ერთეულებისგან განსხვავებით, სამეწარმეო სფეროში, იგივე ბიზნესში, ადამიანები მატერიალური მოგების მიღების მიზნით ერთიანდებიან.

3. სამოქალაქო საზოგადოების აქტივობა და სოციალური ურთიერთობების ფორმა სახელმწიფოს კომპეტენციის მიღმაა.

4. პოლიტიკური პარტიები. მართალია, თავისთავად, პოლიტიკური პარტიები იმ ტიპის გაერთიანებებია, რომლებიც უმთავრეს მიზნად ხელისუფლებაში მოსვლას ისახავენ, მაგრამ, ამასთანავე, პარტიები შუალედური ტიპის ორგანიზაციებია, რომელთა ერთ-ერთი ფუნქციაც სახელმწიფოსა და

სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტს შორის კავშირის დამყარებაა. ამ გაგებით, პოლიტიკური პარტიები, თავისი ბუნებით, ხასიათით და ფუნქციით – სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელ ნაწილადაც შეიძლება ჩაითვალოს.

5. მასობრივი მედიასაშუალებები. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბიზნესისა და სახელმწიფოს საქმიანობის სფეროები არ არის სამოქალაქო საზოგადოების აქტივობის სფეროთა არეალში. თუმცა, აქვე უნდა დავამატოთ, რომ თანამედროვე პერიოდში ძალიან რთულია ერთმანეთისგან მოცემული სფეროების სრული გამიჯვნა. ამის საუკეთესო მაგალითი, ალბათ მასმედიის შემთხვევაა. თავისი ბუნებით, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ბიზნეს ჯგუფებია, რადგან ეს არის მოგებაზე, კომერციულ სარგებელზე ორიენტირებული გაერთიანებები. მიუხედავად ამისა, როგორც წესი, ყველაზე მეტად საზოგადოებრივი ინტერესების არტიკულირება და აგრეგირება სწორედ მედიასივრცის მეშვეობით ხდება. მედიაა მოღვაწეობის ის სფერო, რომელიც ყველაზე წარმატებით ახდენს საზოგადოების მობილიზებას ამა თუ იმ პრობლემის ირგვლივ. საზოგადოებრივი საერთო საქმისთვის მოქალაქეთა მობილიზება კი, თავისთავად, სამოქალაქო საზოგადოების უმთავრესი მისია და გამოხატულებაა. შესაბამისად, ძალიან ხშირად, მასმედიას სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელ ნაწილად მოიხსენიებენ (მეოთხე ხელისუფლება – მისი მნიშვნელობისა და როლის ალბათ ყველაზე უკეთ გამომხატველი ტერმინია).

6. პროფკავშირები. ისევე როგორც მედია, პროფესიული კავშირებიც სამოქალაქო საზოგადოების შიგნით არსებული საკმაოდ საინტერესო შემთხვევაა. სხვადასხვა ტიპის პროფესიული კავშირი ამა თუ იმ პროფესიათა წევრების გაერთიანებაა, რომლებიც დაქირავებულ შრომას ეწევიან – არ აქვს მნიშვნელობა ვინაა დამქირავებელი – სახელმწიფო თუ კერძო ბიზნესი. მათ აქვთ ეკონომიკური სარგებელი და, როგორც წესი, მათი მოთხოვნები სარგებლის გაზრდის, სამუშაო პირობების თუ, ზოგადად, პირადი ეკონომიკური ინტერესების გასაუმჯობესებლადაა მიმართული. თუმცა, ეს მაინც გარკვეულწილად, სპეციფიური შემთხვევაა, რადგან პროფესიული კავშირები ნებაყოფლობითი ტიპის ორგანიზაციებია, რომლებიც თავიანთი არსით, მთლიანად საკუთარი წევრების ინტერესების გამომხატველი და დამცველია. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. პროფკავშირები საკმაოდ მჭიდროდაა მიბმული ბიზნეს თუ სახელმწიფო სივრცესთან, სწორედ თავისი სპეციფიურობიდან გამომდინარე, სამოქალაქო საზოგადოების ფართოსპექტრიანი ჩამონათვალის ერთ-ერთ სეგმენტად მოიაზრება.

7. რელიგიურ რწმენაზე დამყარებული გაერთიანებები, ეკლესიები თუ ჯგუფები. მოცემული ტიპის ორგანიზაციები განსაკუთრებული შემთხვევაა იმ მიზეზის გამო, რომ ისინი, როგორც თავისუფალი, ნებაყოფლობითი და არამომგებიანი ინტერესების გარშემო გაერთიანებული ორგანიზაციები,

ცალსახად ხვდებიან სამოქალაქო საზოგადოების ფართოსპექტრიან ჩამონათვალში, მაგრამ თავად მისი წევრები ნაკლებად მოიაზრებენ თავს სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელ ნაწილებად.

8. დაახლოებით ამ კატეგორიაში გადის სხვადასხვა კერძო ტიპის გაერთიანება, რომლებიც, ერთი შეხედვით, მხოლოდ საკუთარ ინტერესებს ემსახურებიან, მაგალითად, გოლფის, ამა თუ იმ საფეხბურთო კლუბის, ბოულინგის თუ სხვა სპორტული თამაშების მოყვარულთა გაერთიანებები, კლუბები. მოცემული ორგანიზაციების ფუნქციონირებისთვის მართალია, არაა აუცილებელი სამოქალაქო საზოგადოების ელემენტებთან ურთიერთობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თავად ისინი საკუთარ თავს არ მოიაზრებდნენ სამოქალაქო საზოგადოების ნაწილებად.

ვაცლავ ჰაველი (Václav Havel, 1936-2011)

ჩეხი დისიდენტი, დრამატურგი, ესეისტი და პოლიტიკოსი. 1989 წლის „ხავერდოვანი რევოლუციის“ შემდეგ, რომლის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ლიდერი თავად გახლდათ, ჰაველს ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტად ირჩევენ. სლოვაკეთის გამოყოფის შემდეგ, 1993 წლიდან 2003 წლამდე კი ჰაველი ჩეხეთის პირველი პრეზიდენტია. არის ათეულობით პიესისა და სხვადასხვა თხზულების ავტორი. მიჩნეულია მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ ინტელექტუალად. პოლიტიკური აზროვნების სფეროში მას ეკუთვნის ცნობილი ესე, 1978 წელს დაწერილი „ძალა უძალოთა“, რომელშიც ავტორი ეხება პოლიტიკისა და მორალის ურთიერთმიმართებისა და ხელისუფლების მორალური ლეგიტიმურობის საკითხებს.

სამოქალაქო საზოგადოების ცნება, ზოგადად, ლიბერალურ წიაღში წარმოიქმნა (ამაზე ოდნავ ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ). შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების ცნების განსაზღვრისას ლიბერალური ღირებულებებია გადამწყვეტი. მაგრამ, რა ხდება ისეთ შემთხვევაში, როცა ესა თუ ის სამოქალაქო ტიპის გაერთიანება, რომელიც გარეგნულად აკმაყოფილებს სამოქალაქო საზოგადოებისთვის წაყენებულ „მოთხოვნებს“, არის თავისუფალ გაერთიანებაზე დაფუძნებული, არ არის მოგებაზე ორიენტირებული, გამოხატავს საზოგადოების გარკვეული წრეების ინტერესებს და მიიჩნევს, რომ სწორედ თავად არის საერთო საზოგადოებრივი ინტერესებისთვის მებრძოლი – რეალურად კი, ამგვარი გაერთიანებების ღირებულებითი სპექტრი სრულ წინააღმდეგობაშია ლიბერალურ საწყისებთან და ხშირად, ძალადობის აშკარა მომხრეებადაც კი გვევლინებიან? მაგალითად ავიღოთ, თუნდაც „ალ-კაიდა“, „ჰესბოლა“, „ისლამური სახელმწიფო“, „კუკლუქს კლანი“ და ა.შ. მოცემული გაერთიანებები (მაგალითად, „ისლამური სახელმწიფო“) ხშირად, კონკრეტული ჯგუფების მხარდასაჭერად გარკვეული ტიპის სოციალურ საქმიანობასაც ეწევიან, რაც სამიზნე ჯგუფებში მათი პოზიციების გამყარებას ემსახურება. მსგავსი ტიპის ჯგუფების აღსანიშნავად, ხშირად, მეცნიერები გამოიყენებენ ტერმინს **„არასამოქალაქო საზოგადოება“.** თუმცა, მოცემული ტერმინი გარკვეულ უხერხულობებს წარ-

მოქმნის, რადგან ძნელია „სამოქალაქო“ და „არასამოქალაქო“ საზოგადოებების ერთმანეთისგან მკვეთრი გამიჯვნა. ხშირად ისინი ერთიდაიმავე სივრცეში, გვერდი-გვერდ თაანარსებობენ და დაახლოებით ერთიდაიმავე გარეგნულ კრიტერიუმებსაც აკმაყოფილებენ.

ვაცლავ ჰაველი სამოქალაქო საზოგადოების შესახებ

სამოქალაქო საზოგადოებაზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ინტელექტუალისა და პოლიტიკოსის, ჩეხეთის პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის მიერ ჩამოყალიბებულ მოსაზრებას სამოქალაქო საზოგადოების შესახებ.

1. პირველ და უმთავრეს ფაქტორად ჰაველი სამოქალაქო საზოგადოების მიერ პლურალიზმის წარმოქმნასა და ხელშეწყობას ასახელებს. პლურალიზმი გულისხმობს კონკურენციის არსებობას. იქ, სადაც კონკურენციაა – არსებობს ხარისხი. ხარისხი აბსოლუტურად ყველაფერში – დაწყებული ეკონომიკური სფეროდან, ბაზრისა და კომერციული საქმიანობის ჩათვლით, დამთავრებული კერძო ინტერესების სფეროთი – არის იქ, სადაც კონკურენცია დიდია და, შესაბამისად, იმარჯვებს მხოლოდ საუკეთესო იდეა. ცენტრალური ხელისუფლებისა და, ზოგადად, ცენტრალური ორგანოებისთვის „საუკეთესოს მოძიების“ პრობლემის გადაცემა, საბოლოო ჯამში, რეგრესის მომტანია. ანუ, როგორც ლორდი აქტონის (John Acton, 1834-1902) ცნობილ ფრაზაშია: „ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება კი აბსოლუტურად რყვნის“. რაც მეტია უფლებამოსილება, მეტი ინიციატივის გამოჩენა შეუძლია ცენტრალურ ხელისუფლებას, მით მეტია შანსი ხელისუფლების მონოპოლიისა. როგორც ჰაველი აღნიშნავს, თუ თავისუფლება გვინდა, არსებობის უფლება უნდა მივცეთ იმას, რაც მისი რეალური ხორცშესხმაა – ანუ სამოქალაქო საზოგადოებას.

2. პირველი ფაქტიდან გამომდინარეობს და, შესაბამისად, მასთან აშკარა კავშირშია ის, რომ რაც უფრო ძლიერია სამოქალაქო საზოგადოება, მით უფრო სტაბილურია შიდა პოლიტიკური სიტუაცია. ქმედითი სამოქალაქო საზოგადოება იცავს პოლიტიკური რყევებისგან მთელ საზოგადოებას. როგორც დევიდ ისტონის (David Easton, 1917-2014) პოლიტიკური სისტემის მოდელი გვიჩვენებს, გამტარები, იგივე სამოქალაქო საზოგადოება, არის შუამავალი რგოლი ხელისუფლებასა და რიგით მოქალაქეებს შორის. შესაბამისად, როდესაც შუა რგოლი მყარია, იგი ახერხებს რთული პოლიტიკური რყევების პირობებშიც კი – შეინარჩუნოს სისტემის წონასწორობა და შესაბამისად, სტაბილურობაც. ქვედა დონეებზე მომხდარი ცვლილებების შედეგებს ის თავადვე „ისრუტავს“ და ამით ასუსტებს პოლიტიკური რყევის სიძლიერეს. ქმედითი და აქტიური სამოქალაქო საზოგადოებისთვის ხელისუფლებაში მომხდარი მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებებიც კი არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც ჰაველი შენიშნავს, „ყველაფრის მიწასთან გამსწორებელ ქა-

რიშხლად“. როდესაც სამოქალაქო საზოგადოება სუსტად განვითარებულია, მაშინ ნებისმიერი პოლიტიკური ცვლილება მკვეთრად აისახება საზოგადოების წევრებზე და შემდეგ ხელისუფლებამდეც მიდის. შესაბამისად, ხელისუფლებას იმგვარი პრობლემების გადაჭრა და მოგვარება უწევს, რაც ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობის პირობებში მისი მოსაგვარებელი ნაკლებად იქნებოდა. ხშირად კი, ჰაველის აზრით, ამის გაკეთება იმ საკითხების გადაჭრის ხარჯზე ხდება, რაც მხოლოდ სახელმწიფოს გასაკეთებელია და რასაც ვერცერთი სხვა ინსტიტუცია ვერ გააკეთებს. ამასთანავე, როგორც ჰაველი აღნიშნავს, მსგავსი ტიპის ვალდებულებების გაფართოებას ხშირად, ავტორიტარიზმის აღზევებაც მოჰყვება. რაც უფრო მეტადაა კონცენტრირებული ძალაუფლება ერთი ცენტრის ხელში, მით უფრო ადვილია ასეთი ძალებისთვის ფართო კონტროლის დამყარება.

3. კიდევ ერთი ფაქტორი, რაზეც ჰაველი ამახვილებს ყურადღებას – წმინდა ეკონომიკური ფაქტორია. ერთიდაიმავე მიზნებისთვის სახელმწიფოს მხრიდან გაწეული ხარჯები უფრო მეტ ფინანსებს საჭიროებს, ვიდრე სამოქალაქო საზოგადოების მიერ გაღებული ხარჯები. ზემოდან ქვემოთ მიმართული გადარიცხვებისას არცთუ ცოტა თანხა იკარგება. ამასთანავე, საშეღავათო პირობების არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი დონორი უკეთ ერკვევა საზოგადოების საჭიროებებში, ვიდრე საჯარო მოხელე. თუ ქვეყანაში მოქმედებს საგადასახადო შეღავათები – საზოგადოებრივი საჭიროებებისთვის ინიციატივები უფრო წარმატებულად ფინანსდება და ხორციელდება.

4. და ბოლო, თუმცა ჰაველის მოსაზრებით, სამოქალაქო საზოგადოების ყველაზე მთავარი მახასიათებელი, ადამიანები არ არიან მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული არსებები, მომხვეჭელები, ძალაუფლების მოყვარენი და ხარბები. ადამიანები, პირველ რიგში, პოლიტიკური ცხოველები არიან. ის, რაც არისტოტელესეული განმარტებით ადამიანს დაბადებიდანვე თან დაჰყვება არის სხვა, მისნაირ ადამიანებთან კავშირის, ურთიერთობისა და გაერთიანების სურვილი. სამოქალაქო საზოგადოება სწორედ გაერთიანების ის ფორმაა, სადაც ადამიანები ყველაზე უკეთ ახდენენ საკუთარი თავისა და ბუნების გამოვლენას.

10.2. სამოქალაქო საზოგადოების იდეის ისტორიული ევოლუცია

როგორც ციცერონი აღნიშნავდა, civitas – ესაა მოქალაქეთა ერთობა, რომლებსაც საერთო მიზანი და საერთო საქმე აერთიანებთ: ქუჩები, წეს-ჩვეულებები, მეგობრული თუ ნათესაური კავშირები, სასამართლოები, კანონმდებლობა და ა.შ. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამოქალაქო თემი, პირველ რიგში, ესაა, ადამიანთა შორის არსებული ის სულიერი ერთობა, რომელიც მათ მოქალაქეებად აქცევს.

მოქალაქის და სამოქალაქო საზოგადოების ცნებები არ არის ახალი. მათ წარმოშობა – განვითარებას დიდი ისტორია აქვს. ეს ორივე იდეა ჯერ კიდევ უძველეს პერიოდში, ძველი საბერძნეთიდან იღებს სათავეს და მათი ჩასახვა

ძველბერძნულ პოლიტიკურ წარმონაქმნში, ქალაქ-სახელმწიფოებში მოხდა.

სამოქალაქო საზოგადოების ცნებას ძველ საბერძნეთში ბევრად უფრო ფართო დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე დღევანდელ ეპოქაში. სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო ერთმანეთის სინონიმებია. სამოქალაქო საზოგადოება არსებობს იქ, სადაც არსებობს პოლიტიკური წარმონაქმნი – პოლისი. მოქალაქისა და სამოქალაქო საზოგადოების ცნების შესახებ მსჯელობა პირველად არისტოტელეს „*პოლიტიკაში*" გვხვდება. შესაბამისად, სწორედ არისტოტელე იყენებს პირველად ტერმინს – „სამოქალაქო საზოგადოება". ძვ.წ.აღ. IV საუკუნეში, ათენში მოღვაწე დიდი ბერძენი ფილოსოფოსი, არისტოტელე, თავის „*პოლიტიკაში*" ადამიანზე საუბრობს, როგორც პოლიტიკურ ცხოველზე, რომელიც დანიშნულებას და საკუთარი თავის რეალიზებას სამოქალაქო საზოგადოებაში, იგივე პოლითეაში (სახელმწიფოში) პოულობს. სწორედ პოლისი (და არა რაიმე სხვა ტიპის საზოგადოებრივი გაერთიანება) არის ორგანიზების ის ფორმა, სადაც ადამიანები გაერთიანებულნი არიან საერთო სარგებლის შესაქმნელად. მისთვის სამოქალაქო საზოგადოება, იგივე ქალაქი, ყველა სხვა ასოციაციაზე მაღლა დგას, რადგან ის თავის თავშივე აერთიანებს თითოეულ მათგანს: ოჯახს, სოფელს, გვარს, თემს. მათგან განსხვავებით, მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოება ისახავს მიზნად საერთო სიკეთეს და არა რომელიმე შემადგენელი ნაწილის კეთილდღეობას. არისტოტელეს მიხედვით, პოლიტიკა არის ადამიანის, იგივე პოლიტიკური ცხოველის (zoon politikos) უმაღლესი დანიშნულება და ამ პოლიტიკურ რეალიზებას ადამიანი სწორედ სამოქალაქო საზოგადოებაში ახდენს.

ამასთანავე, არისტოტელე ცდილობს, შემოგვთავაზოს მოქალაქის უნივერსალური გაგება: მოქალაქეობის უფლება სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემაში სხვადასხვაგვარად განისაზღვრება, თუმცა, საერთო ჯამში, მოქალაქეა ის, ვინც მონაწილეობს სასამართლო და პოლიტიკურ საქმიანობაში. არისტოტელე ერთმანეთისგან მიჯნავს კარგი მოქალაქის და კარგი ადამიანის ცნებებს. ვინ არის კარგი მოქალაქე? კარგი მოქალაქეა ის, ვინც იცავს კანონებს და, შესაბამისად, კანონმორჩილია. კარგი ადამიანის გაგება განსხვავდება კარგი მოქალაქის ცნებისგან. კარგ ადამიანობას გარკვეული ზნეობრივ-მორალური თუ სხვა პიროვნული თვისებები განაპირობებს, კარგი მოქალაქეობა კი მოქალაქეობრივი ვალდებულებების შესრულებასა და კანონმორჩილებასთან არის ასოცირებული.

„მოქალაქე, ზოგადი არსით არის ის, ვინც მონაწილეობას იღებს ბატონობასა და მორჩილებაში. ყოველი სახელმწიფო მოწყობის პირობებში მოქალაქე არის ის, ვისაც შეუძლია და სურს მორჩილება და ბატონობა იმგვარად, რომ ამ დროს ის გამოდის სათნოების თანახმად ცხოვრების წესიდან"[1] – აღნიშნავს არისტოტელე.

[1] არისტოტელე, (1996) პოლიტიკა, თარგმანი თამარ კუკავასი, თბილისი, 1284ა

ოღონდ, ეს არ არის მონური მორჩილება. ეს არის თავისუფალი მოქალაქის მორჩილება, რომელიც ემსახურება საერთო, სამოქალაქო სიკეთის შექმნას. სწორედ მსგავსი თავისუფალი მოქალაქეობრივი მორჩილების მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ სოკრატეს მაგალითი.

ჩანართი 3.1. სოკრატეს ამბავი

ანტიკური ხანის უდიდესი მოაზროვნე სოკრატე, თავისი პერიოდის ათენში უდიდესი პატივით სარგებლობდა და უამრავი მოწაფე, მიმდევარი თუ მეგობარი ჰყავდა. სოკრატეს, ძვ.წ.აღ. 399 წელს სახალხო კრებაზე ოსტრაკიზმოს გამოყენების საფუძველზე, სასჯელად სიკვდილით დასჯა გამოუტანეს. სამოცდაათი წლის ფილოსოფოსს სახალხო კრებაზე ბრალი დასდეს ახალგაზრდების გარყვნაში, ასევე, მას ბრალად ედებოდა სხვა ღმერთების თაყვანისცემა და იმ ღმერთების უარყოფა, რომლებსაც ათენი აღიარებდა. შესაბამისად, ბრალდების თანახმად, თავის სწავლებებში სოკრატე ახალგაზრდობას უღმერთობისა და კანონდაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებდა. ბრალის წაყენების შემდეგ, სოკრატეს თავდაცვისთვის სიტყვა მისცეს. ამასთანავე, ბრალის აღიარების შემთხვევაში, სასჯელის შემსუბუქებასაც შეპირდნენ (ის ბრალდება, რაც სოკრატეს ჰქონდა წაყენებული უმაღლეს სასჯელს, სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა). ბრალის აღიარების ნაცვლად, სოკრატემ კრებაზე საჯაროდ წარმოთქმულ სიტყვაში კიდევ ერთხელ სცადა საკუთარი სიმართლის დამტკიცება და პირიქით, მბრალდებლებს მოუწოდა, მისთვის, როგორც ქალაქის ანუ სახელმწიფოსთვის თავდადებული და ღვაწლმოსილი მოქალაქისთვის, პატივი მიეგოთ და დაეჯილდოებინათ კიდეც.

„მე ახლა თავს კი არ ვიცავ, ათენელებო, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით მოეჩვენოს კაცს, არამედ თქვენ გიცავთ, დიახ, თქვენ, რადგან ვშიშობ, თუკი სიკვდილით დამსჯით, არ დაკარგოთ უფლის მიერ ბოძებული ღვთიური ნიჭი. მართლაც, თუ მომკლავთ, სადღა ჰპოვებთ ჩემნაირ კაცს, რომელიც – სასაცილოა, ღმერთმანი – თვითონ უფალმა მიუჩინა ჩვენს ქალაქს, როგორც ძლიერსა და კეთილშობილ, მაგრამ მეტისმეტი სიმსუქნისგან გაზარმაცებულსა და გაზულუქებულ ცხენს, რომელსაც უჭირს განძრევა, თუ აბეზარი კრაზანა თავისი ბასრი ნესტრით, როგორც წვეტიანი დეზებით, არ უწყლავს ფერდებს. მე მგონია ღმერთმაც სწორედ ამ მიზნით წარმომგზავნა ამ ქალაქში, რომ მთელი დღე მუხლჩაუხრელად ვიარო კარდაკარ, გამოგაფხიზლოთ, მოსვენება არ მოგცეთ, ყვედრებით აგავსოთ“ (პლატონი, 2013, გვ. 216).

„...არა, ათენელნო, არც ისე ძნელია სიკვდილისგან თავის დაღწევა; გაცილებით უფრო ძნელია, თავი დააღწიო სულიერ სიკვდილს: ის უფრო

სწრაფად და უფრო მალე ეწევა თავის საბრალო მსხვერპლს... მალე ყველანი წა1ვალთ ამ ქვეყნიდან: მე თქვენს მიერ განწირული და სიკვდილმისჯილი; ისინი – თვით სიმართლის მიერ ვერაგობასა და უსამართლობაში მხილებულნი. მე ჩემი განაჩენის ანაბარა ვრჩები, ისინი – თავიანთი სასჯელის ამარა" (პლატონი, 2013, გვ. 228).

სოკრატეს, რომელიც თავის გაკვეთილებში არასდროს იღებდა თანხას, უამრავი შეძლებული მეგობარი ჰყავდა, რომლებიც, ამავდროულად, მისი იდეების მიმდევრებიც იყვნენ. მეგობრებმა სოკრატეს გაქცევის რეალური გეგმა შესთავაზეს. სოკრატემ უარი განაცხადა გაქცევაზე და, საბოლოოდ, მისთვის განკუთვნილი სასჯელი საკუთარი ხელით აღასრულა – სავსე თასით შესვა საწამლავი (მაშინდელ ათენში სიკვდილით დასჯის ეს მეთოდი არსებობდა).

როგორ შეიძლება აიხსნას სოკრატეს მოქმედება და მის მიერ სიცოცხლის შენარჩუნებაზე უარის თქმა? ერთი მხრივ, თავად სასამართლოზე სოკრატეს სიტყვა იმდენად გამომწვევი და ირონიული იყო ბრალმდებლების მიმართ, რომ თითქოს განგებ ცდილობდა ბრალდებული – მისთვის სასჯელის უმაღლესი ზომა გამოეტანათ. მეორე მხრივ, უკვე სასჯელმისჯილის მიერ გაქცევაზე უარის თქმა გარკვეულ ვერსიებს წარმოშობს. სამოცდაათი წლის სოკრატე მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა პოლისის სულიერ მონაპოვრად კანონმორჩილებას, სამართლიანობას და თანამოაზრეობას (ანუ ერთიანი მიზნისკენ სწრაფვას მიიჩნევდა). შესაბამისად, მის მიერ სასჯელისგან თავის არიდება ავტომატურად, მთელი მისი მოძღვრებების ჭეშმარიტებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. სოკრატეს ქმედება აიხსნება, როგორც კანონმორჩილი, თუმცა, თავისუფლად მოაზროვნე მოქალაქის ქმედება. მოქალაქის, რომელიც ემორჩილება სახელმწიფოს მიერ გამოტანილ განაჩენს, თუმცა, თავს არ სცნობს დამნაშავედ და მკაფიოდ აქვს გააზრებული საკუთარი სიმართლე.

მოქალაქეობის გაგებაში თვისებრივად ახალი საფეხური რომის იმპერიას უკავშირდება. რომმა მოქალაქეობის ძველბერძნული გაგება გააფართოვა და იგი განავრცო რომის იმპერიის პრაქტიკულად მთელ ფარგლებზე. თუკი ათენში მოქალაქეობის პრივილეგიით მხოლოდ მოსახლეობის მცირე წრე სარგებლობდა, რომის იმპერიაში მოქალაქეობის უფლება იმპერიის ყველა წევრზე გავრცელდა.

მოქალაქეობის ცნება ვიწრო პოლისურ ჩარჩოებს სცდება გვიანდელი სტოიციზმის ფილოსოფიურ მიმდინარეობაში. მოქალაქეობა აღარაა ერთ კონკრეტულ სახელმწიფოსთან თუ ქალაქთან ასოცირებული. მოქალაქეობა ზოგადსაკაცობრიო ჭრილში მოიაზრება. ხშირად, აღინიშნება, რომ სწორედ

სტოიკოსებთან შეინიშნება კოსმოპოლიტიზმის პირველი ნიშნები – ადამიანი, როგორც მთელი სამყაროს მოქალაქე და არა რომელიმე ერთი ქალაქის, პოლისის თუ სახელმწიფოსი.

შუა საუკუნეების პერიოდში, ეკლესიისა და ხელისუფლების ავტორიტეტის ზრდისა და შესაბამისად, ბევრ სახელმწიფოში აბსოლუტური მონარქიის გამარჯვების შედეგად, სამოქალაქო საზოგადოების, როგორც იდეისა და ცნების განვითარება შეჩერდა.

მოგვიანებით, ინგლისის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში მოქალაქისა და სამოქალაქო საზოგადოების შესახებ მსჯელობა აქტიურად გრძელდება. ისევე როგორც არისტოტელესთვის, XVII საუკუნეში მოღვაწე ბრიტანელი მოაზროვნეებისთვის – თომას ჰობსისა და ჯონ ლოკისთვისაც სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოს სინონიმად გამოიყენება.

განსხვავებით არისტოტელესგან, ჰობსისთვის სამოქალაქო საზოგადოება არა ბუნებრივი, არამედ ხელოვნური წარმონაქმნია, რომლის წარმოშობის საფუძველიც ადამიანთა შორის ლოგიკური მსჯელობა, თანხმობა და ერთსულოვნებაა. თუმცა, მხოლოდ ჩამოთვლილი ფაქტორები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ (იგივე სახელმწიფომ) წარმატებით დაიცვას მოქალაქეთა სამოქალაქო, იგივე პოლიტიკური უფლებები. ამისთვის, აუცილებელია, არსებობდეს უმაღლესი ხელისუფალი – მთავრობა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების შექმნის უმთავრეს მიზანს დაიცავს და მის შესრულებას უზრუნველყოფს. ამგვარად, ჰობსისეული მსჯელობით, უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების არსებობა განაპირობებს სამოქალაქო საზოგადოების, იგივე პოლიტიკური თემის არსებობას.

დაახლოებით იგივე მოსაზრება განვითარდა ჯონ ლოკთანაც. მისი შეხედულებით, ადამიანები, გამოდიან რა ბუნებრივი მდგომარეობიდან, თავიანთ ბუნებრივ თავისუფლებას ტრანსფორმირებას სამოქალაქო (იგივე პოლიტიკურ) თავისუფლებაში უკეთებენ, რომლის უმთავრეს მახასიათებლებად იგი სამ ძირითად თვისებას გამოჰყოფს: 1. საჯარო ხელისუფლების არსებობა, რომელსაც ექნება სასჯელის დაკისრებისა და აღსრულების უფლება; 2. ხელისუფლების იმგვარი ორგანიზება, რომელიც ზღუდავს და ალაგმავს თვითნებობას. ხოლო აბსოლუტური თავისუფლება კი სამოქალაქო (იგივე პოლიტიკურ უფლებებში) გადააქვს. 3. პიროვნების თავისუფლების პრინციპებზე გაერთიანებული ადამიანთა თანამეგობრობა, რომელიც ერთიან პოლიტიკურ სხეულადაა ჩამოყალიბებული.

სტოიციზმი – ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც წარმოიქმნა ძველ საბერძნეთში, ათენში, ჩვ.წ.აღ-მდე III საუკუნეში. მის დამაარსებლად მიჩნეულია ძენონ კიტიონელი.

არც XVIII საუკუნის ფრანგი მოაზროვნეები – მონტესკიე (Montesquieu, 1689-1755) და რუსო (Jean-Jacques Rousseau, 1712-1778) არ განასხვავებდნენ ერთმანეთისგან პოლიტიკურ და სამოქალაქო კანონებს. რუსოსთვის ადამიანი, ინდივიდი, რომელიც ბედნიე-

რად ცხოვრობს ბუნებრივ მდგომარეობაში, თმობს ამ თავისუფალ ცხოვრებას, ქმნის და შედის სამოქალაქო საზოგადოებაში, სადაც მისი ინდივიდუალური თავისუფლება კოლექტიური ნების მორჩილებაში გადადის. კარგი მოქალაქეობის განმსაზღვრელი ფაქტორი საერთო ნების, სუვერენისადმი მორჩილებაა.

ამგვარი მკვეთრად კოლექტივისტური მიდგომა თანდათან იცვლება XVII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისის მოზროვნეებთან. ერთ-ერთი პირველი, ვინც ერთმანეთისგან დაპირისპირებულ იდეებად წარმოაჩინა სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო იყო შოტლანდიელი მოაზროვნე, ადამ ფერგიუსონი (Adam Ferguson, 1723-1816). იგი თავად იყო არისტოკრატიული საზოგადოების ეტაპობრივად ბურჟუაზიულ საზოგადოებად გარდაქმნის მომსწრე და შიშს გამოთქვამდა იმის გამო, რომ სახელმწიფო, თავისთავად ცალკეულ მოქალაქეებზე მაღლა მდგომი ინსტიტუცია – ხომ არ მოახდენდა მოქალაქეების დამონებას.

სამოქალაქო საზოგადოებაზე მსჯელობისას გამორჩეული ადგილი უკავია გერმანელ ფილოსოფოსს, ჰეგელს (Wilhelm Hegel, 1770-1831), რომელმაც ერთმანეთისგან გამიჯნა სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკური საზოგადოება და ტერმინს თანამედროვე მნიშვნელობა შესძინა. იგი ტერმინით – „სამოქალაქო საზოგადოება“ გამოხატავდა ადამიანთა იმგვარ აპოლიტიკურ გაერთიანებებს, რომლებიც მიმართულია ინდივიდების მრავალფეროვანი, განსხვავებული და ზოგჯერ, შესაძლოა, დაპირისპირებული ინტერესების დაკმაყოფილებისკენ. სამოქალაქო საზოგადოების არსებობა მისი მოქალაქეების მნიშვნელოვანი აქტიურობის მაჩვენებელია.

ჰეგელმა, გამოჰყო რა ადამიანური ყოფიერების სამი სხვადასხვა დონე: ოჯახი, სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო – ხაზი გაუსვა თითოეული მათგანის დამოუკიდებლობას. თუმცა, მისივე მოსაზრებით, სამოქალაქო საზოგადოების არსებობის განმაპირობებელი სწორედ ძლიერი, უპიროვნო, კერძო ინტერესებზე მაღლა მდგომი და ყველაზე თანაბრად მზრუნველი ინსტიტუცია – სახელმწიფო იყო. ჰეგელისთვის სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოზე გვიან წარმოიქმნა – როგორც აღნიშნავს, მხოლოდ თანამედროვე ეპოქაში, ანუ იმ ეპოქაში, როდესაც თავად მოღვაწეობდა. ერთი მხრივ, სამოქალაქო საზოგადოება – ეს არის კერძო ინტერესების გამოხატვის სფერო, მეორე მხრივ კი, ამ ინტერესების სულისჩამდგმელი საერთო, საზოგადოებრივი ინტერესებია.

ჰეგელის წარმოდგენით, სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ოჯახსა და სახელმწიფოს შორის დგას, არის ორგანიზაციების ან ინსტიტუტების ერთგვარი კავშირი და იგი ქვეყანაში იმ სახის სხვადასხვა სამუშაოს ახორციელებს, რომელსაც ვერ ან არ ასრულებს მთავრობა.

კარლ მარქსისთვის კი სამოქალაქო საზოგადოება კაპიტალისტების ინტერესების დაცვასთან ასოცირდებოდა. იგი, აკრიტიკებდა რა ჰეგელის

თეორიას, მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო თავისთავად იყო ცალკეული კლასის, კონკრეტულად კი ბურჟუაზიის კლასის ინტერესების გამტარებელი. ხოლო სამოქალაქო საზოგადოება ამ ერთგვარი ჯაჭვის კაპიტალისტები – სახელმწიფო ნაწილს წარმოადგენდა.

ამგვარად, ტერმინმა „სამოქალაქო საზოგადოებამ“ უძველესი დროიდან მოყოლებული მე-19 საუკუნემდე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ანტიკური პერიოდიდან ახალი დროის ფილოსოფოსებამდე ტერმინი „პოლიტიკური საზოგადოების“ სინონიმი იყო და აღნიშნავდა ადამიანთა იმგვარ ერთობას, რომელიც საერთო სიკეთის ქმნისთვის იყო მოწოდებული. ჰობსსა და ლოკთან კი სამოქალაქო საზოგადოება, ქაოსისა და ძალადობის ნაცვლად, კანონის საფუძველზე მართული საზოგადოებაა და განსხვავდება „ბუნებითი საზოგადოებისგან“, სადაც ადამიანები ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე მოქმედებენ. საზოგადოების „სამოქალაქო“ ხასიათი ამ გაგებით, იმ შეზღუდვებს გულისხმობს, რომლებსაც ადამიანები ნებაყოფლობით უწესებენ თავს. სანაცვლოდ კი მათი ცხოვრება უფრო უსაფრთხო და დაცული ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცივილიზებული ხდება. სამოქალაქო საზოგადოების ცნება ახლოს დგას ლიბერალური სახელმწიფოს ცნებასთან. სამოქალაქო საზოგადოების მოცემული იდეა ლიბერალიზმის ფუძემდებლების ნააზრევში წარმოიქმნა. სახელმწიფოს, როგორც „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“, ანუ ადამიანთა ნებაყოფლობითი შეთანხმების პრინციპის გაგება ახლოს დგას თავად სამოქალაქო საზოგადოების დღევანდელ გაგებასთან. მართალია, დღეს ეს ტერმინი ამ გაგებით აღარ გამოიყენება, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ლიბერალური მრწამსის მსგავსად, რომელიც ადამიანთა ნებისმიერი გაერთიანების (მათ შორის სახელმწიფოსაც) კანონიერებას მის ნებაყოფლობითობის პრინციპში ეძიებს, სამოქალაქო საზოგადოების უმთავრესი პრინციპიც ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა.

	მოქალაქეობის გაგება	**სამოქალაქო საზოგადოების ცნება**
ძველი ბერძნები	მოქალაქეობის პრივილეგიით მხოლოდ მოსახლეობის მცირე წრე სარგებლობს (ათენში დაბადებული თავისუფალი მამაკაცები 18-დან – 60 წლამდე)	
რომის იმპერია	მოქალაქეობის უფლება იმპერიის ყველა წევრზე ვრცელდება.	

სტოიციზმი	მოქალაქეობა აღარაა ერთ კონკრეტულ სახელმწიფოსთან თუ ქალაქთან ასოცირებული და ზოგადსაკაცობრიო ჭრილში მოიაზრება – ადამიანი, როგორც მთელი სამყაროს მოქალაქე და არა რომელიმე ერთი ქალაქის, პოლისის თუ სახელმწიფოსი.	
არისტოტელე (ძვ. წ. აღ. IV)		ადამიანი არის პოლიტიკური ცხოველი, რომელიც დანიშნულებას და საკუთარი თავის რეალიზებას სამოქალაქო საზოგადოებაში, ანუ სახელმწიფოში პოულობს. სამოქალაქო საზოგადოება და ქალაქი/ სახელმწიფო სინონიმური ცნებებია. მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოება ისახავს მიზნად საერთო სიკეთეს და არა რომელიმე შემადგენელი ნაწილის კეთილდღეობას.
თომას ჰობსი ჯონ ლოკი (XVII საუკუნე)		სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო კვლავ სინონიმური ცნებებია. თუმცა, არისტოტელესგან განსხვავებით, ის არა ბუნებრივი, არამედ ხელოვნური წარმონაქმნია, რომლის წარმოშობის საფუძველიც ადამიანთა შორის ლოგიკური მსჯელობა, თანხმობა და ერთსულოვნებაა. იმისთვის, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ (იგივე სახელმწიფომ) წარმატებით დაიცვას მოქალაქეთა სამოქალაქო, ანუ პოლიტიკური უფლებები, აუცილებელია, არსებობდეს ხელისუფლება.
ჟან ჟაკ რუსო (1712 – 1778)		პოლიტიკური და სამოქალაქო კანონები არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ადამიანი, ინდივიდი, რომელიც ბედნიერად ცხოვრობს ბუნებრივ მდგომარეობაში, თმობს ამ თავისუფალ ცხოვრებას, ქმნის და შედის სამოქალაქო საზოგადოებაში, სადაც მისი ინდივიდუალური თავისუფლება კოლექტიური ნების მორჩილებაში გადადის.
ადამ ფერგიუსონი (1723-1816)		სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო ერთმანეთისგან დაპირისპირებული იდეებია. სახელმწიფო, თავისთავად ცალკეულ მოქალაქეებზე მაღლა მდგომი ინსტიტუციაა და არსებობს საფრთხე, რომ მან დაიმონოს, დაიმორჩილოს მოქალაქეები.

ვილჰელმ ჰეგელი (1770-1831)		არაპოლიტიკური გაერთიანების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ინდივიდების მრავალფეროვანი, განსხვავებული და ზოგჯერ, შესაძლოა, დაპირისპირებული ინტერესების დაკმაყოფილებისკენ. სამოქალაქო საზოგადოების არსებობა მისი მოქალაქეების მნიშვნელოვანი აქტიურობის მაჩვენებელია.
კარლ მარქსი (1818-1883)		სამოქალაქო საზოგადოება კაპიტალისტების ინტერესების დაცვასთან ასოცირდება. სახელმწიფო ცალკეული კლასის, კონკრეტულად კი ბურჟუაზიის ინტერესების გამტარებელია. ხოლო სამოქალაქო საზოგადოება ამ ერთგვარი ჯაჭვის კაპიტალისტები – სახელმწიფო ნაწილს წარმოადგენს.

კითხვები გააზრებისთვის:

1. როგორ ფიქრობთ, ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფო რატომ უჭერს მხარს და უწყობს ხელს ძლიერი, ქმედითუნარიანი სამოქალაქო საზოგადოების არსებობას?
2. თქვენი აზრით, რამდენად ურთიერთგანმაპირობებელია დემოკრატიული მმართველობა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება?
3. რა ცვლილებები განიცადა ტერმინმა „სამოქალაქო საზოგადოებამ“ უძველესი დროიდან დღემდე?
4. როგორ შეაფასებდით ვაცლავ ჰაველის მოსაზრებებს სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციების შესახებ?
5. შეიძლება თუ არა მასმედია და პროფესიული კავშირები განვიხილოთ, როგორც სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელი ნაწილები? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება;
6. რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ტერმინები: „სამოქალაქო საზოგადოება ირანში“, „სამოქალაქო საზოგადოება პაკისტანში“ და ა.შ.?

თავი XI

სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიული ფუნქციები და სოციალური კაპიტალი

11.1. სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიული ფუნქციები

თანამედროვე პერიოდის ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა, ლარი დაიმონდმა, არაერთი კვლევა მიუძღვნა არადემოკრატიულ და ნახევრად დემოკრატიულ სახელმწიფოებში სამოქალაქო საზოგადოებების როლისა და ფუნქციების შესწავლას. დაიმონდი თავის ნაშრომში, „*დემოკრატიული კონსოლიდაციისკენ*“, გამოყოფს ათ ძირითად ფუნქციას, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოება ასრულებს დემოკრატიის გამყარების კუთხით. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1. პირველი ფუნქცია დაიმონდის თქმით, „სახელმწიფო ძალაუფლების ბაზისის შეზღუდვის უზრუნველყოფაა.“ მოცემულ ფუნქციაში ორი ძირითადი მექანიზმი იგულისხმება. ერთი, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის პირობებში სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა განახორციელოს ხელისუფლების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, იმოქმედოს, როგორც ხელისუფლების ძალაუფლების გავრცელების შემზღუდველმა მექანიზმმა. მეორე მხრივ კი, არადემოკრატიული, ავტორიტარული მმართველობის პირობებში, დაიმონდის მოსაზრებით, სწორედ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები (ან მისი ჩანასახები) იქცევიან იმ მექანიზმებად, რომლებმაც ხელისუფლების დემოკრატიზების ფუნქცია უნდა შეასრულონ.

2. დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში (ისევე როგორც, არადემოკრატიულში), პარტიის ფუნქციებზე საუბრისას, როგორც წესი, გამოყოფენ პარტიის ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა მოქალაქეთა სოციალიზაცია და მობილიზაცია, ინტერესების არტიკულაცია, აგრეგირება და ზოგადი ინფორმაციულობის დონის ამაღლება. როცა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები აქტიურობით გამოირჩევიან და ფართოდ არიან ჩართულნი აქტუალური პრობლემების მოგვარებაში – ეს კარგი მაგალითია დანარჩენი მოქალაქეებისთვის. ასეთ შემთხვევაში, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები საკუთარი აქტივობებით პარტიებს მოცემული ფუნქციების განხორციელებაში უწყობენ ხელს.

3. სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც გულისხმობს მრავალფეროვანი ინტერესების მქონე სხვადასხვა ჯგუფის გაერთიანებას, ხელს უწყობს ისეთი დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას, როგორებიცაა – თანამშრომლობა, შემწყნარებლობა, სხვისი აზრის გამოხატვის თავისუფლების პატივისცემა, კონსენსუსი (თანხმობა) და კომპრომისი. მართალია, ნებისმიე-

რი დემოკრატიული სახელმწიფო საკანონმდებლო დონეზე ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ღირებულებას აკანონებს და ფორმალიზებულ სახეს აძლევს, მაგრამ მეორეა, თუ რამდენად ქმედითი და ღირებულია რიგითი მოქალაქეებისთვის სახელმწიფოს მიერ ვერტიკალურ დონეზე გატარებული და დანერგილი ფასეულობები. მხოლოდ სახელმწიფო ვერ აგვარებს მსგავს პრობლემებს, მით უმეტეს, როდესაც საზოგადოება არაჰომოგენური და ნაკლებ შემწყნარებელია. ამასთანავე, როგორც წესი, მსგავსი ტიპის საზოგადოებებს, დემოკრატიული მმართველობის არცთუ ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ ჰორიზონტალურ დონეზე, თავად მოქალაქეებს შორის მოცემული ღირებულებების დამკვიდრება და გატარება (სახელმწიფოსთან ერთად) უფრო ქმედითი და შედეგიანი პრაქტიკაა.

4. სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიის განვითარებას ხელს უწყობს იმითაც, რომ იგი დამატებით არხებს სთავაზობს მოქალაქეებს საკუთარი ინტერესების გამოსახატავად. მრავალფეროვანი ინტერესების გამოხატვის გზა კი მეტ საშუალებას იძლევა მათ დასაბალანსებლად. შესაბამისად, თუ სამოქალაქო საზოგადოება ძლიერია, მხოლოდ პარტია აღარ რჩება მოქალაქეთა ინტერესების გამომხატველ და ხელისუფლებამდე მიმტან მთავარ ინსტიტუტად. მოცემულ ფუნქციას, როგორც დაიმონდი აღნიშნავს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ პირობებში, როდესაც დემოკრატიული ინსტიტუტები არცთუ ისე მყარია ან, როცა საქმე ეხება პოლიტიკაში ჩართულობის დაბალი ხარისხით გამორჩეულ ჯგუფებს, მაგალითად ქალებს, რელიგიურ, ეთნიკურ თუ რასობრივ უმცირესობებს. ასეთ შემთხვევაში, სწორედ სამოქალაქო საზგადოება არის ის არეალი, სადაც მოცემულ ჯგუფებს ყველაზე უკეთ შეუძლიათ გამოხატონ საკუთარი ინტერესები. აქვე, სწორედ ამ ფუნქციის მნიშვნელობაზე საუბრისას, დაიმონდი ხაზს უსვამს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ქმედითუნარიანობის მნიშვნელობას. მოცემულ ფუნქციაზე კი ჩვენ პირველ ნაწილში საკმაოდ ვრცლად უკვე ვისაუბრეთ.

ლარი დაიმონდი (Larry Diamond, 1951)

გამოჩენილი ამერიკელი პოლიტიკური სოციოლოგი და დემოკრატიის მკვლევარი, სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი. არის ათეულობით სამეცნიერო წიგნისა და სტატიის ავტორი. დაიმონდი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დემოკრატიული მმართველობის ჩამოყალიბებისა და გამყარების საკითხებს, ასევე სამოქალაქო საზოგადოების როლსა და ფუნქციებს. მისი ნაშრომებია: „დემოკრატიის სულისკვეთება, პოლიტიკური კულტურა და დამოკრატია განვითარებად ქვეყნებში“, „დემოკრატიის განვითარება: კონსოლიდაციისკენ“ და სხვ.

კომპრომისი (ლათ.compromissum – მოდავეთა შეთანხმება) ურთიერთდათმობების საფუძველზე მიღწეულ შეთანხმებას ჰქვია. ცნობილი გამონათქვამი „პოლიტიკა კომპრომისების ხელოვნებაა“ გულისხმობს, რომ პოლიტიკაში სხვადასხვა სადავო საკითხზე შეთანხმება თითქმის ყოველთვის ურთიერთკომპრომისის ხარჯზე საერთო ინტერესების გამოძებნით ხორციელდება.

5. სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც თავისი არსით, მრავალფეროვანი, განსხვავებული და ხშირად, ურთიერთდაპირისპირებული ინტერესების დაცვასა და ადვოკატირებას ემსახურება, პლურალიზმის იდეის ხელშემწყობია. როდესაც განსხვავებული ინტერესების მქონე ადამიანები ჩართულნი არიან საზოგადოებრივ ასპარეზზე, მათ უწევთ სხვადასხვა, ხშირად, საკუთარ შეხედულებებთან რადიკალურად დაპირისპირებულ იდეასა და მიდგომასთან შეჯახება. ერთიანი საკანონმდებლო სივრცის პირობებში, ყველა აქტორი კანონის ფარგლებში მოქმედებს. შესაბამისად, თითოეული მათგანი, აქვს რა შეხება დაპირისპირებულ იდეებთან, მეტი ალბათობით, უფრო დამთმობი ხდება და მეტად ეძიებს კონსენსუსს. ასევე, თითოეული მოქმედი პირი სწავლობს შემწყნარებლობას და განსხვავებული იდეებისადმი მინიმუმ, შემგუებლობას მაინც.

6. პოლიტიკური პარტიების მსგავსად, რომელთა ერთ-ერთი ფუნქცია პოლიტიკური ლიდერების წინ წამოწევა და რეკრუტირებაა, სამოქალაქო საზოგადოების, როგორც დემოკრატიის ხელშემწყობი ინსტიტუტის ფუნქციაც დაახლოებით იგივეა. სხვადასხვა სამოქალაქო აქტივისტი, არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერი და ა.შ. სამოქალაქო აქტივობების განხორციელების პროცესში იძენენ რა გამოცდილებას, უნარ-ჩვევებსა და ეჩვევიან პრაქტიკულ მოღვაწეობას, ხშირად, პარტიული პოლიტიკის სფეროში გადადიან და მთავრობასა თუ სხვადასხვა მნიშვნელოვან სახელისუფლებო თანამდებობაზეც ინიშნებიან. ამგვარად, დაიმონდის მიხედვით, მეექვსე ფუნქცია – სამოქალაქო საზოგადოებისგან პოლიტიკური ლიდერების „გამოწრთობას“ გულისხმობს. სამოქალაქო სექტორში მოღვაწეობისას მათ უწევთ მართვა, მობილიზება, დაგეგმვა, თანხების მოძიება და, შესაბამისად, უცხოელ თუ ადგილობრივ დონორებთან ურთიერთობის პრაქტიკულ გამოცდილებასაც იძენენ. ეს გამოცდილება ხელისუფლების სხვადასხვა შტოსა და დონეზე მუშაობის პირობებში ფრიად საჭირო და გამოსადეგია. მოცემულ ფუნქციაზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით საქართველოს შემთხვევას. ჩვენ თვალწინ გვაქვს არაერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ მოვიდნენ აქტიურ პოლიტიკაში სამოქალაქო სექტორის სხვადასხვა სეგმენტის წარმომადგენლები პარტიულ ლიდერებად, მინისტრებად, მინისტრის მრჩევლებად თუ პარლამენტარებად. მაგალითისთვის რამდენიმე მათგანიც კმარა: 1980-იანი წლების ერთ-ერთი გამორჩეული ახალგაზრდა სამოქალაქო აქტივისტი და მწვანეთა მოძრაობის ლიდერი – ზურაბ ჟვანია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ხდება, „კმარას“ (მოძრაობა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ვარდების რევოლუციის პერიოდში) აქტივისტები რევოლუციის შემდეგ აქტიურ პოლიტიკაში გადადიან და ზოგიერთი მათგანი პარლამენტარი თუ აღმასრულებელი ხელისუფლების წევრი ხდება, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრები სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ინიშნებიან მთავრობასა და პრეზიდენტის აპარატში და ა.შ.

7. სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის გამყარებაში. გარდამავალ, არაკონსოლიდირებულ დემოკრატიებში სამოქალაქო სექტორის სეგმენტები, უფრო კონკრეტულად კი, არასამთავრობო ორგანიზაციები, ხშირად, საკუთარ თავზე იღებენ ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა საარჩევნო სისტემის რეფორმირებაზე მუშაობა, არჩევნების მონიტორინგი, პარტიების დემოკრატიზებისა და ხელისუფლების დეცენტრალიზაციის გეგმების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა, სასამართლო რეფორმის განხორციელება, ციხეებზე მონიტორინგი და ა.შ.

8. სამოქალაქო საზოგადოება, უფრო კონკრეტულად კი, მისი ერთ-ერთი სეგმენტი, დამოუკიდებელი მასმედია, ის მთავარი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს მიეწოდებათ ინფორმაცია ხელისუფლების საქმიანობაზე, ქვეყანაში არსებულ პრობლემატიკაზე და ა.შ. დამოუკიდებელ ორგანიზაციებს შეუძლიათ, ასევე, მოქალაქეებს მიაწოდონ ძნელად მოსაპოვებელი ინფორმაცია ხელისუფლების ამა თუ იმ შტოს საქმიანობის შესახებ. ხშირად, მსგავსი ინფორმაციები რიგითი მოქალაქეებისთვის არცთუ ადვილი მოსაპოვებელია და, ამასთანავე, მედიის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არა მხოლოდ სახელისუფლებო ხედვებს წარმოაჩენს, არამედ განსხვავებულ შეხედულებებსა და შეფასებებსაც გვთავაზობს.

9. სამოქალაქო საზოგადოება დადებით როლს თამაშობს სახელმწიფოში ახალი იდეების და რეფორმების, განსაკუთრებით კი ეკონომიკური რეფორმების გატარების კუთხით. ეკონომიკური რეფორმების გატარება, თავისთავად, ხელისუფლების ფუნქციებში შედის, თუმცა, ამ რეფორმებისადმი მოქალაქეების შემზადება, ინფორმირებულობა, ხშირად, სწორედ სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციაა. როგორც წესი, ხშირად, მყისიერი, კრიზისის დასაძლევად ეკონომიკური მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები საკმაოდ მტკივნეულია. ისევე როგორც უფრო გრძელვადიან, მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე დამყარებული რეფორმები (მაგ. პრივატიზება). შესაბამისად, ეკონომიკურ რეფორმებს ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა ესაჭიროება.

10. როდესაც სამოქალაქო საზოგადოება წარმატებით ახერხებს სისტემის დემოკრატიზაციაზე ზეგავლენის მოხდენას, საარჩევნო სისტემის მოწესრიგებასა და არჩევნების მონიტორინგს, ადამიანების უფლებების დაცვაზე ზრუნვას, რეფორმებისა და, ზოგადად, სახელისუფლებო ინიციატივების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებულობასა და მოქალაქეებისთვის გასაგებ ენაზე ყველა დონეებთან მიტანას – რეალურად, იგი პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობის საფუძვლებს ამყარებს. რაც უფრო მყარია სისტემის ლეგიტიმაცია, მით უფრო მაღალია მოქალაქეების სახელმწიფოსადმი ნებაყოფლობითი მორჩილების ხარისხი. შესაბამისად, მაღალია სტაბილურობისა და ნდობის ხარისხიც. ამგვარად, ბოლო, მეათე ფუნქცია დანარჩენი ფუნქციების წარმატებულობაზეა დამოკიდებული.

როგორც ვნახეთ, დაიმონდი სამოქალაქო საზოგადოების არსებობის შესაძლებლობას გარკვეული სახით, არადემოკრატიული პოლიტიკური სისტემის პირობებშიც უშვებს. ამ კუთხით, განსაკუთრებით საინტერესო მაგალითია აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი კომუნისტური ბლოკის ქვეყნები, სადაც პოსტოტალიტარიზმის ხანაში დაწყებულმა მოძრაობებმა თანამედროვე მსოფლიო ისტორიაში სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობისა და მისი როლის შეფასების კუთხით, თვისებრივად ახალი ფურცელი ჩაწერეს.

სამოქალაქო მოძრაობები კომუნისტურ აღმოსავლეთ ევროპაში

1980-იანი წლების ბოლოს ევროპის კომუნისტურ ქვეყნებს მოედო ფართომასშტაბიანი სახალხო მღელვარებები. საბჭოთა კავშირში ამ დროს მიმდინარე გარდაქმნის პარალელურად, კომუნისტური ბლოკის ქვეყნებში დაწყებულმა სამოქალაქო აქტივობამ შეარყია კომუნისტური ბანაკის სიმტკიცე და, საბოლოო ჯამში (ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად), მის არსებობასაც ბოლო მოუღო. რეგიონში დაწყებული მღელვარებები 1990 წელს კომუნისტური ბანაკის საბოლოო დაშლითა და ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნით დასრულდა. ისტორიაში „ხავერდოვანი რევოლუციების“ სახელით შესულმა მოვლენებმა ახალი ფურცელი ჩაწერა უახლეს ისტორიაში, უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა როგორც ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციის კუთხით, ასევე სამოქალაქო საზოგადოების როლისა და მნიშვნელობის უკეთ გააზრების მხრივაც. სისტემის რღვევაში მონაწილე კომუნისტური ბანაკის თითოეული ქვეყანა, თავისთავად, საინტერესო მაგალითს წარმოადგენს სამოქალაქო აქტივობის შედეგებისა და ფუნქციების შესწავლის მხრივ, თუმცა ჩვენ მხოლოდ სამ მათგანს – პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიასა და რუმინეთს შევეხებით.

ჩანართი 3.2. პოლონეთის ამბავი: „სოლიდარობის“ მოძრაობა

1970-იანი წლების დასაწყისიდან პოლონეთში დაწყებული დისიდენტური მოძრაობის კიდევ უფრო გააქტიურებასა და ახალი ბიძგის მიცემას, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურად წარმოშობით პოლონელი იოანე პავლე II-ის არჩევამ, რომელიც უდიდესი რეპუტაციით სარგებლობდა არა მარტო პოლონეთში, არამედ ზოგადად, მთელ კათოლიკურ სამყაროშიც. 1979 წლის 2 ივნისს იოანე პავლე II-მ, რომის პაპის რანგში პოლონეთში თავისი პირველი ვიზიტის ფარგლებში, ვარშავაში აღვლენილ მესაზე, რომელსაც ასიათასობით ადამიანი ესწრებოდა, მოქალაქეებს პირდაპირ მოუწოდა თავისუფლებისა და რელიგიური ტრადიციების დაცვისკენ. პოლონეთზე, როგორც კათოლიკურ და, ზოგადად, ქრისტიანობის უდიდეს დამცველ და მნიშვნელოვანი სულიერი მისიის მქონე ქვეყანაზე ხაზგასმა კომუნის-

ტური მმართველობის პირობებში, თავისთავად, უკვე ნიშნავდა სისტემისადმი უდიდეს გამოწვევას. იოანე პავლე II-ს აღნიშნული ისტორიული გამოსვლა ვარშავის გამარჯვების მოედანზე და მთელი მისი ცხრადღიანი ვიზიტი სამშობლოში რევოლუციის მორალურ-ზნეობრივ საფუძვლადაა მიჩნეული, რომელსაც მოკლე ხანში ძირეული პოლიტიკურ-სოციალური ტრანსფორმაციაც მოჰყვა. რეალურად, ეს გამოსვლა პოლონელი ხალხის თავისუფლებისთვის ბრძოლის დაწყების ერთგვარ სიმბოლოდ იქცა.

1980 წელს პოლონეთში დაწყებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ქ. გდანსკში, გემთმშენებელ ქარხანაში იწყება მუშათა გაფიცვა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პროფესიით ელექტრიკოსი ლეხ ვალენსა. მალე გაფიცვას 200-მდე ქარხანა შეუერთდა. მოთხოვნათა სპექტრი საკმაოდ ფართო იყო – მედიის ცენზურისგან გათავისუფლება, პოლიტმატიმრების გათავისუფლება, ეკლესიის უფლებების გაზრდა, გაფიცვის უფლება. კომუნისტური ხელისუფლება იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო და დაეკმაყოფილებინა გაფიცულთა მოთხოვნები, რასაც შედეგად ე.წ. „გდანსკის ხელშეკრულებების“[1] დადება მოჰყვა. გაფიცულთა მხრიდან ხელშეკრულებას ხელს ლეხ ვალენსა აწერდა, რომელსაც, როგორც ამბობენ, ხელმოწერის დროს ხელში იოანე პავლე II-ის მასიური გამოსახულებიანი საწერი კალამი ეჭირა. მოკლე ხანში, ლეხ ვალენსას მეთაურობით იქმნება კომუნისტურ სისტემაში პირველი დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი – „სოლიდარობა“. დაახლოებით ორ წელიწადში, „სოლიდარობის“ მოძრაობაში 10 მილიონამდე ადამიანი გაწევრიანდა. ეს იყო უნიკალური მოვლენა იმ თვალსაზრისით, რომ ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი ნებაყოფლობით წევრიანდება ქვეყანაში შექმნილ პირველ დამოუკიდებელ ორგანიზაციაში. იან რულევსკი, „სოლიდარობის“ ერთ-ერთი ლიდერი ხმამაღლა აცხადებდა, რომ სოლიდარობას, როგორც უზარმაზარ უროს, ისე უნდა დაემსხვრია ტოტალიტარიზმის სისტემა. საყოველთაო დაუმორჩილებლობის ტალღის აგორების შემდეგ, პოლონეთის კომუნისტურმა მთავრობამ საგანგებო სამხედრო რეჟიმი გამოაცხადა, დააპატიმრა მოძრაობის ლიდერი ლეხ ვალენსა და აკრძალა „სოლიდარობა“. 1983 წელს იოანე პავლე II-ს კიდევ ერთი ვიზიტის შემდეგ ქვეყნის კომუნისტურმა ხელისუფლებამ გააუქმა სამხედრო რეჟიმი. „სოლიდარობა“ კვლავ ლეგალიზებულ იქნა, ხოლო ვალენსა კი – გათავისუფლებული.

---

[1] გდანსკის ხელშეკრულება იგივე გდანსკის შეთანხმებები – პოლონეთის მთავრობასა და გაფიცულ მუშებს შორის დადებული ხელშეკრულება.

სულ უფრო მზარდი საერთო სახალხო უკმაყოფილებისა და სამოქალაქო აქტივიზმის შედეგად, კომუნისტურ ხელისუფლებასა და „სოლიდარობას“ შორის დაიწყო მოლაპარაკებები მრგვალი მაგიდის გარშემო, რომლის ინიციატორად და მედიატორად პოლონეთის კათოლიკური ეკლესია გამოვიდა. მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტის მქონე ეკლესიამ ორ რადიკალურად დაპირისპირებულ ძალას შორის ურთიერთობის მშვიდობიანად მოგვარებაში გადამწყვეტი და უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა, რაც საბოლოო ჯამში, 1990 წელს დამოუკიდებელი არჩევნების ჩატარებით დასრულდა. აღნიშნულ პროცესებში ეკლესიის, როგორც სამოქალაქო ინსტიტუტის მიერ შესრულებულ დადებით როლზე კარგად მიუთითებს ისიც, რომ კომუნისტური რეჟიმის პირობებში არსებული ერთადერთი შედარებით დამოუკიდებელი სამეცნიერო ცენტრი „ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტი“ სწორედ პოლონეთის კათოლიკური ეკლესიის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. მოცემულ უნივერსიტეტში ახალგაზრდებს დასავლეთევროპულ დემოკრატიულ და ლიბერალურ ღირებულებებს ასწავლიდნენ და აზიარებდნენ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პოსტკომუნისტური დემოკრატიული სახელმწიფოს ადმინისტრაცია, ძირითადად, სწორედ ლუბლინის კათოლიკურ უნივერსიტეტში განათლებამიღებული ახალგაზრდებით იქნა დაკომპლექტებული.

კომუნისტური სისტემის ნგრევაში პოლონელების მიერ შესრულებული როლი და მისი მნიშვნელობა, ალბათ ყველაზე უკეთ, ლეხ ვალენსამ გამოხატა 2005 წლის 29 აგვისტოს, „ბიბისი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში: „რაც დრო გადის, უფრო და უფრო ნათელი ხდება, თუ რა მნიშვნელოვანი იყო ის მომენტი. ევროკავშირი ვერ გაფართოვდებოდა, გერმანიის გაერთიანება არ იქნებოდა შესაძლებელი და ვერც სხვა ქვეყნები მოიპოვებდნენ თავისუფლებას, პოლონელებს რომ არ ჩაემტვრიათ საბჭოთა დათვისთვის კბილები. ხოლო როდესაც სხვა ქვეყნებმა თავისუფლებისთვის ბრძოლა დაიწყეს, დათვს უკვე აღარ შეეძლო მათი კბენა... ჩვენ დასავლეთს უდიდესი საჩუქარი გავუკეთეთ – მათ აღარ ჭირდებათ ცივი ომის იარაღი“ (Walesa recalls Solidarity triumph, 29.08.2005).

ჩანართი 3.3. ჩეხეთის ამბავი ანუ „პრაღის გაზაფხული“ და ვაცლავ ჰაველი

1967 წელს პრაღაში სტუდენტთა ანტისაბჭოთა გამოსვლა მოეწყო. 1968 წლის იანვრიდან კი მსგავსმა გამოსვლებმა უფრო ფართო და მასშტაბური ხასიათი მიიღო. ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლების სათავეში ახლადმოსულმა ალექსანდრე დუბჩეკმა „სოციალიზმის დემოკრატიზაციის აუცილებლობაზე“ გააკეთა განაცხადი და ლიბერალიზაციის პოლიტიკის გატარება დაიწყო, რასაც შედეგად, საწყის ეტაპზე ცენზურის შესუსტება, საბოლოოდ კი, მისი სრული გაუქმება მოჰყვა. ქვეყანაში ანტისაბჭოთა განწყობა თანდათანობით მასობრივ ხასიათს იღებდა. მიმდინარე პროცესების საპასუხოდ, საბჭოთა ხელისუფლებამ 1968 წლის 21 აგვისტოს ჩეხოსლოვაკიაში სამხედრო ნაწილები შეიყვანა (ოპერაცია „დუნაი“). ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლებას აეკრძალა სამხედრო ძალის გამოყენება. მოქალაქეები საკუთარი ძალებით დაუპირისპირდნენ საბჭოთა ჯარებს. საბოლოო ჯამში, 1968 წლის „პრაღის გაზაფხული“ ტანკებით იქნა ჩახშობილი. დაიღუპა 100-ზე მეტი და დაიჭრა ჩეხოსლოვაკიის 500-მდე მოქალაქე. ამ მოვლენებს ერთ-ერთი პირველი ხმამაღლა დაუპირისპირდა ვაცლავ ჰაველი, იმ პერიოდში უკვე კარგად ცნობილი ჩეხი მწერალი და დრამატურგი, მომავალში კი თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ინტელექტუალად აღიარებული პოლიტიკოსი და პიროვნება, რომელიც თავისი ანტისაბჭოთა ხასიათის მოწოდებებითა და შემოქმედებით 1960-იანი წლების ბოლოდან დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდებს შორის. კომუნისტურმა ხელისუფლებამ ჰაველი დააპატიმრა და 4 თვით ციხეში ჩასვა, მისი პიესები კი აიკრძალა. ციხიდან გამოსულმა ჰაველმა გააგრძელა დისიდენტური მოძრაობა და მალე ჩამოაყალიბა ორგანიზაცია – „ქარტია 1977“. ჰაველი კვლავ დააპატიმრეს, ამჯერად 4 წლით. საბჭოთა კავშირში დაწყებულმა „პერესტროიკის“ პროცესმა სამოქალაქო აქტივობის ზრდას ჩეხოსლოვაკიაშიც მისცა ბიძგი. ჰაველისვე ინიციატივით, 1989 წლის 17 ნოემბრის სტუდენტთა მშვიდობიანი მანიფესტაციის პოლიციის მიერ სასტიკად დარბევის საპასუხოდ, ჩამოყალიბდა „სამოქალაქო ფორუმი“, რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური რეჟიმისგან გათავისუფლებისკენ მიმართულ კიდევ უფრო ფართომასშტაბიან და საყოველთაო მოძრაობას ჩაუდგა

1989 წლის 26 ნოემბერი. ნახევარ მილიონზე მეტი მოქალაქე პრაღაში აპროტესტებს კომუნისტურ რეჟიმს.

სათავეში. ჩეხეთშიც, საერთო სახალხო აქტივობაში საკმაოდ აქტიურად იყო ჩაბმული კათოლიკური ეკლესია, რომელიც, მართალია ისეთი ზეგავლენით არ სარგებლობდა მოსახლეობაში, როგორც ეს პოლონეთის შემთხვევაში იყო, თუმცა, აშკარად გამოხატავდა მიმდინარე პროცესებში მოქალაქეთა მხარდაჭერას. კომუნისტური რეჟიმისადმი წინააღმდეგობის ეს პროცესი წარმატებით დასრულდა 1990 წლის არჩევნებით, კომუნისტური პარტიის მარცხითა და ჰაველის ხელისუფლებაში მოსვლით.

თავისი შემდგომი პოლიტიკური მოღვაწეობის პერიოდში, ვაცლავ ჰაველი კომუნისტური რეჟიმის საწინააღმდეგოდ ჩეხეთში ჩამოყალიბებული და ფართოდ განვითარებული სამოქალაქო მოძრაობის როლს არაერთხელ უსვამდა ხაზს. იგი ბევრს საუბრობდა სამოქალაქო საზოგადოების იდეაზე და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პოსტტოტალიტარულ ხანაში ჭეშმარიტი სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებას. „სამოქალაქო საზოგადოება, ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრით, არის მსოფლიოსადმი ადამიანის პასუხისმგებლობის განხორციელების შესაძლებლობებიდან ერთ-ერთი. არა მგონია აუცილებელი იყოს იმის აღნიშვნა, თუ რამდენად საჭიროა დღევანდელ მსოფლიოში, რომელსაც ესოდენ ბევრი საფრთხე ემუქრება, ამგვარი შესაძლებლობების გაფრთხილება და ხელშეწყობა.

საბოლოოდ, ამას მივყავართ საკითხამდე, რომელიც, ალბათ, თანაბრად ეხება როგორც ჩემს თანამოქალაქეებს, ისე – თქვენ. დღევანდელ მსოფლიოში, თავისი გლობალური, მატერიალისტური და საკუთარი თავისთვის საფრთხის მატარებელი ცივილიზაციით, ერთ-ერთი საშუალება სულ უფრო მზარდ საშიშროებასთან საბრძოლველად არის უნივერსალური სამოქალაქო საზოგადოების მეთოდური შენება. ჩემი აზრით, მომავალი საუკუნის სახელმწიფომ, სწრაფად მზარდი კაცობრიობის არსებითი ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ამბიციების მისტიკური განსახიერებიდან და კერპიდან საკუთარი თავი სამოქალაქო მართვის ერთეულად უნდა გარდაქმნას. მან უნდა აღიაროს, რომ აუცილებელია ძალაუფლების საკმაოდ დიდი ნაწილის გადაცემა ან ქვედა დონეებისთვის, ანუ სამოქალაქო საზოგადოებისთვის, ან მასზე მაღალი დონეებისთვის, ანუ ტრანსნაციონალური თუ გლობალური და შესაბამისად, ნამდვილად სამოქალაქო გაერთიანებებისა და ორგანიზაციებისთვის.

მე ნამდვლად არ ვარ პატრიოტიზმის წინააღმდეგი. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ჩვენი ქვეყანა ისევე, როგორც ჩვენი ოჯახი, სოფელი თუ ქალაქი, ჩვენი პროფესია, პლანეტა, რომელზეც ვცხოვრობთ და რომელზეც ჩვენი სამშობლოა. მე მხოლოდ ნაციონალიზმის, როგორც ნაციონალური კუთვნილების ყველაფერზე ზემოთ ბრმად დაყენების წინააღმდეგი

ვარ. მე არც რომელიმე რელიგიის, კულტურის ან ცივილიზაციის ცალკეული ტრადიციების წინააღმდეგი ვარ. ჩემთვის მიუღებელია ყველა სახის ფანატიზმი და ფუნდამენტალიზმი, რომელიც ისევ და ისევ, გარკვეულ ადამიანებს სხვებზე მაღლა აყენებს. ვფიქრობ, რომ ყველაზე თავისუფალი წყობა, ანუ ის, რომელიც საუკეთესო საშუალებას აძლევს ადამიანის ყველა სახის თვითგამოხატვას განვითარდნენ ერთმანეთის გვერდით, არის წყობა, რომელიც ემყარება სამოქალაქო პრინციპს. წყობა, რომელსაც საფუძვლად უდევს რწმენა მოქალაქეობისა და ურთიერთპატივისცემისა. ასეთი სამოქალაქო წყობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოხატულება არის ის, რასაც ჩვენ სამოქალაქო საზოგადოებას ვუწოდებთ. წარმატებას გისურვებთ ამ თემაზე დისკუსიაში და დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ის ადამიანი, ვინც მიუკერძოებლად ფიქრობს ამ საკითხზე, გზას გვიკაფავს უკეთესი მომავლისკენ" („ვაცლავ ჰაველის სახელობის სამოქალაქო საზოგადოების სიმპოზიუმზე", (2014) გვ. 161).

ჩანართი 3.4. „რუმინეთის ამბავი"

მასობრივი სახალხო გამოსვლები რუმინეთში 1989 წლის 16 დეკემბერს, ტრანსილვანიაში, ტიმიშოარაში, ეროვნებით უნგრელი ანტიკომუნისტი მღვდლის, ლასლო თეკეშის დაპატიმრებით დაიწყო. თეკეში, ამავდროულად, სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იყო, რომელიც უნგრელებით დასახლებული რამდენიმე რაიონის „ეთნიკურ ავტონომიას" მოითხოვდა. მის დაპატიმრებას შედეგად მასობრივი გამოსვლები მოჰყვა, რომელიც ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო. ყოველივე ამან ბიძგი მისცა ფართომასშტაბიან სახალო გამოსვლებს. საწყის ეტაპზე სეპარატისტული ლოზუნგებით დაწყებული გამოსვლები, საბოლოო ჯამში, ანტიკომუნისტურ ლოზუნგებში გადაიზარდა, რომელშიც უკვე რეჟიმით უკმაყოფილო რუმინელებიც მასობრივად ჩაერთვნენ. საერთო სახალხო გამოსვლებს სათავეში ეროვნული გადარჩენის ფრონტი ჩაუდგა, რომელსაც ლიდერობდა იონ ილიესკუ. პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიისგან განსხვავებით, რუმინეთის ხელისუფლების მეთაურმა, ნიკოლაე ჩაუშესკუმ, რომელიც ავტორიტარული მმართველობის გამო დიქტატორის სახელითაა ისტორიაში შესული, სახალხო გამოსვლებისას არ ისურვა დათმობებზე წასვლა. გამწვავებული სამოქალაქო გამოსვლების ფონზე, სამხედრო ძალებმა მოქალაქეებს ცეცხლი გაუხსნეს. 1989 წლის შეტაკებების შედეგად, საერთო ჯამში, რუმინეთში, ათასზე მეტი მოქალაქე დაიღუპა (მათ შორის დემონსტრანტები და შეიარაღებული პოლიციის ნაწილების წევრებიც). ნიკოლაე ჩაუშესკუ

მეუღლესთან ერთად იძულებული იყო გაქცეულიყო, თუმცა, იგი შეიპყრეს და სასწრაფო წესით სამხედრო ტრიბუნალზე გაასამართლეს. ტრიბუნალმა ჩაუშესკუსა და მის მეუღლეს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა. ტრიბუნალის სხდომა გადაიცემოდა ტელევიზიით. სასჯელი დაუყოვნებლივ იქნა აღსრულებული – ორივე მსჯავრდებული დახვრიტეს. პრაქტიკულად, ეს იყო ერთადერთი შემთხვევა აღმოსავლეთ ევროპის ხავერდოვან რევოლუციებში, როდესაც კომუნისტური რეჟიმის ნომენკლატურის უმაღლესი წარმომადგენელი სიკვდილით იქნა დასჯილი.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი შემთხვევები (პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და რუმინეთი) მხოლოდ ნაწილია იმ დიდი საპროტესო ტალღისა, რაც მოქალაქეთა აქტივიზმს მოჰყვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. იგივე ტალღამ გადაუარა რეგიონის პრაქტიკულად ყველა ქვეყანას. პირველი ორი – პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია, სამოქალაქო აქტივიზმის მაგალითებია, რომელიც მშვიდობიანი, უსისხლო რევოლუციით დასრულდა. ხოლო მესამე შემთხვევაა, რუმინეთი, როდესაც რეჟიმისგან განთავისუფლებას არცთუ მცირე მსხვერპლი და სისხლისღვრა მოჰყვა. სამივე მათგანს აერთიანებთ ერთი საერთო მახასიათებელი – მოქალაქეთა აქტიურობისა და პროცესებში ჩართულობის მაღალი დონე. თუმცა, არის განსხვავებაც: პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში არსებობდა და ფუნქციონირებდა სამოქალაქო საზოგადოების საკმაოდ ძლიერი საფუძვლები – 1970-იან წლებში დისიდენტური მოძრაობების სახით, ხოლო 1980-იანი წლებიდან კი უკვე უფრო ფართო და აშკარა სამოქალაქო გაერთიანებებით. ორივე ქვეყანაში ეკლესია, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, აქტიურობით გამოირჩეოდა. თუმცა, პოლონეთი ამ მხრივ, მთელ აღმოსავლეთ ევროპაში (და არა მხოლოდ იქ) გამონაკლისს წარმოადგენს, სადაც სწორედ ეკლესიის ავტორიტეტმა და პროცესებში აქტიურმა ჩართულობამ განაპირობა ის, რომ მთელი სამოქალაქო აქტივიზმის მანძილზე, ადგილი არ ჰქონია ძალადობის შემთხვევებს და ხელისუფლებას არ გამოუყენებია ძალა დემონსტრანტების წინააღმდეგ. რუმინეთში კი, სადაც კომუნისტურმა მმართველობამ აშკარად ავტორიტარული ხასიათი მიიღო – აშკარად სუსტი იყო სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები. რუმინეთში არც დისიდენტური მოძრაობა იყო ისე აქტიურად განვითარებული, როგორც ამას პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში ჰქონდა ადგილი. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების არაფორმალიზებული, სუსტი სახით არსებობის, ასევე სამოქალაქო მოძრაობაში ძლიერი, გამოკვეთილი ლიდერის არარსებობის პირობებში, ხელისუფლების მხრიდან ძალადობის გამოყენება გასაკვირი აღარაა. ისევე როგორც ის ფაქტი, რომ სწორედ რუმინეთში ვერ მოხერ-

ხდა რევოლუციის მშვიდობიანი გზით განვითარება, არჩევნების ჩატარება და ხელისუფლების შეცვლა. რეჟიმის ცვლილებამ ასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის, ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალისაც. როგორც უკვე ზემოთ განვიხილეთ, ლარი დაიმონდის მიერ გამოყოფილი სამოქალაქო საზოგადოების ათი დემოკრატიული ფუნქციიდან უპირველეს ფუნქციად ავტორიტარული სისტემის პირობებში რეჟიმის დემოკრატიზაციის ხელშეწყობა იგულისხმება. აღმოსავლეთ ევროპის მაგალითები, ამ მხრივ, ფაქტობრივად, კარგად ადასტურებს დაიმონდის მოსაზრების მართებულობას.

პიერ ბურდიე (Pierre Bourdieu, 1930-2002)

ფრანგი სოციოლოგი, ეთნოლოგი, ფილოსოფოსი და პოლიტიკური პუბლიცისტი. ათეულობით სამეცნიერო ნაშრომისა და პუბლიკაციის ავტორი. ბურდიე შეისწავლიდა სოციალური იერარქიის წარმოქმნის მექანიზმებს, აკრიტიკებდა მარქსისეულ ხედვას ეკონომიკური პრიმატის შესახებ და ამისგან განსხვავებით, ხაზს უსვამდა კულტურული და სიმბოლური ფაქტორების მნიშვნელობას. მისი ნაშრომებია: „პოლიტიკის სოციოლოგია"; „სახელმწიფოს სული: ბიუროკრატიული ველის გენეზისი და სტრუქტურა"; „სიმბოლური ხელისუფლების შესახებ" და სხვ.

11.2. სოციალური კაპიტალი: ცნება, როლი და ფუნქციები

„სოციალური კაპიტალი" – თანამედროვე დემოკრატიის პირობებში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული და მნიშვნელოვანი ტერმინია. ამასთანავე, მოცემული ცნების ერთიანი განსაზღვრება არ არსებობს. სხვადასხვა ავტორის მიერ შემოთავაზებულ მრავალფეროვან განსაზღვრებებს შორის ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანს გამოვყოფთ.

ცნების გაჩენა 1980 წელს ფრანგი სოციოლოგის და სოციალური მეცნიერის, პიერ ბურდიეს (Pierre Bourdieu, 1930-2002) სახელს უკავშირდება. ბურდიე მოცემული ტერმინით იმ სოციალური კავშირების ქსელს აღნიშნავდა, რომლებმაც, შეიძლება მოგება მოგვიტანოს. ეს არის ჯგუფური კაპიტალი და რაც უფრო მყარი და მჭიდროა მოგებაზე ორიენტირებული ჯგუფის შიგნით არსებული კავშირები, მით უფრო მყარია სოციალური კაპიტალი. მყარი სოციალური კაპიტალი ამცირებს დანახარჯებს: ადამიანებს ჯგუფის შიგნით ნაკლებად აქვთ ხელშეკრულებების დადების, რეგულირებების ფორმალური წესების შემუშავების, წერილობითი სახის დოკუმენტების გაფორმების დანახარჯები, შესაბამისად კი, იზრდება კაპიტალი და ა.შ.

ჯეიმზ კოულმანმა (James Coleman, 1926-1995), ამერიკელმა სოციოლოგმა და სოციალურმა მეცნიერმა, რომელსაც ეკუთვნის თავად ტერმინ „სოციალური კაპიტალის" შემოტანა, 1988 წელს სოციალური კაპიტალის განახლებული და ერთგვარად განსხვავებული დეფინიცია შემოგვთავაზა. კოულმანი, ბურდიესგან განსხვავებით, ხაზს უსვამს სოციალურ კაპიტალს, როგორც საზოგადოებრივ სიკეთეს, რომელსაც ინდივიდები საკუთარი მოგების მიზნით აწარ-

მოებენ. ანუ, სოციალური კაპიტალი – ეს არის საზოგადოებრივი სიკეთე, რომელსაც აწარმოებს ინდივიდი და, რომლის მიზანს, საბოლოო ჯამში, პირადი სარგებლის ნახვა შეადგენს. სოციალური კაპიტალის არსებობისთვის საჭიროა მოქმედებდეს გარკვეული სოციალური ნორმები (ისევე, როგორც ამას ადგილი აქვს, დავუშვათ, საზოგადოებრივი ხელშეკრულების დადების დროს, რომლის შედეგადაც იქმნება პოლიტიკური სხეული – სახელმწიფო) და არსებობდეს ნდობა. ამ ნორმების შესრულება (ბურდიეს ხედვის მიხედვით) და აქტორებს შორის არსებული ნდობის ფაქტორი ამცირებს ბიუროკრატიის არსებობის საჭიროებას და, შესაბამისად, მინიმუმამდე დაჰყავს ტრანზაქციული დანახარჯები. კოულმანის აზრით, სოციალური კაპიტალიც ყველა სხვა კაპიტალის მსგავსად, მოგებას მაშინ იძლევა, როდესაც აქტიურ მოხმარებაშია.

კოულმანს შემოაქვს და ამკვიდრებს „კეთილი საქმეების კრედიტის" კონცეფციას: მე გეხმარები შენ – შენ მეხმარები მე; მე ვალდებული ვარ შენს წინაშე, შენ კი იმავეს გრძნობ ჩემს მიმართ. ამგვარი ვალდებულების გრძნობა რაც უფრო მეტია და ხშირია ჯგუფის შიგნით, მით მეტია ჯგუფის შეკრულობა და მაღალია სოციალური კაპიტალის ხარისხი. ადამიანები ვერ ტოვებენ ჯგუფს იმის გამო, რომ ისინი „ვალში" არიან ვიღაცის მიმართ. რაც უფრო მეტია ვალდებულებები, მით უფრო მყარადაა შეკრული თავად მოცემული სისტემა.

ჩანართი 3.5. ნდობა – როგორც ვაჭრობის ხელშემწყობი ფაქტორი

კოულმანს სოციალურ კაპიტალზე საუბრისას, არაერთი მაგალითი მოჰყავს, მათ შორის ალმასის საბითუმო ბაზარზე მოვაჭრეების. ვაჭრობის პროცესში სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა ის, რომ ალმასით სავსე ქისა შეფასების მიზნით, ერთმა მოვაჭრემ სრულიად მშვიდად გადასცეს მეორე მოვაჭრეს ან მოცემული საქმის ექსპერტს ყოველგვარი დოკუმენტაციის ან ხელშეკრულების გაფორმების გარეშე. საქონლის ღირებულება შეიძლება ათეულ ან ასეულ ათასობით დოლარს შეადგენდეს, თუმცა პროცესში ჩართული მხარეებისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. როგორც წესი, ალმასის საბითუმო ბირჟები ძალიან ჩაკეტილი სისტემებია როგორც ეთნიკური, ასევე ოჯახური კავშირების კუთხითაც. მაგალითად, ნიუ-იორკის ალმასის ბირჟა მთლიანად ებრაული ოჯახების ხელშია, ისინი ქორწინდებიან ერთმანეთზე, დადიან ერთიდაიმავე სინაგოგებში, ცხოვრობენ ბრუკლინში. მოცემული ბაზრის კვლევამ აჩვენა, რომ სწორედ ოჯახებს შორის არსებული მჭიდრო კავშირები, რელიგია, წეს-ჩვეულებების ერთიანობა და შედეგად, ნდობაზე დაფუძნებული ვაჭრობა აადვილებს სავაჭრო საქმიანობის წარმართვას და მოგების ზრდასაც უწყობს ხელს (არ საჭიროებს ოფიციალური ხელშეკრულებების დადებას, ნოტარიულად დოკუმენტების დამოწმებას,

დაზღვევას და ა.შ.). მსგავს ჩაკეტილ სისტემაში ნებისმიერი წევრის მიერ ალმასის ქვის შეცვლა, მოპარვა ან თუნდაც დროებით მითვისება – სამუდამოდ აკარგვინებს მას და მის ოჯახს მანამდე მის მიმართ არსებულ რელიგიურ, ოჯახურ და პიროვნულ კავშირებს.

რობერტ პატნემი (Robert Putnam, 1941)

პოლიტიკის მეცნიერი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი. მისი კვლევითი ინტერესების ძირითადი სფერო სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური კაპიტალია. პატნემი თავის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ნაშრომში „ბოულინგი მარტო“, საუბრობს აშშ-ში 1960-იანი წლების შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული სამოქალაქო, სოციალური, ასოციაციური და პოლიტიკური ცხოვრების ეტაპობრივ შესუსტებაზე. ასევე, პატნემს ეკუთვნის პოლიტიკური მეცნიერების კლასიკად ქცეული ნაშრომი, „როგორ ვამუშაოთ დემოკრატია: სამოქალაქო ტრადიცია თანამედროვე იტალიაში.“ პატნემი იტალიის მაგალითზე იკვლევს დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების წარმატებული ფუნქციონირებისა და კონკრეტული საზოგადოებისთვის დამახასიათებელ სოციალურ კონტექსტს შორის არსებულ ურთიერთკავშირს.

რობერტ პატნემმა (Robert Putnam, 1941), ამერიკელმა მეცნიერმა, სოციალური კაპიტალის განსხვავებული, ახალი სტრუქტურა შემოგვთავაზა. ფიზიკური კაპიტალისგან განსხვავებით, რომელიც ინდივიდის საკუთრებას აღნიშნავს, სოციალური კაპიტალი ინდივიდებს შორის კავშირს გულისხმობს. იგი დაკავშირებულია სამოქალაქო სათნოებასთან. სამოქალაქო სათნოება კი მაშინ ძლიერდება, როცა სოციალური კავშირები აღმოცენდება. საზოგადოება, რომელსაც გააჩნია მრავალი სათნოება, მაგრამ ინდივიდები იზოლირებულნი ცხოვრობენ და ნაკლები კავშირი აქვთ ერთმანეთთან – სოციალური კაპიტალის კუთხით მდიდარი არ არის.

სოციალური კაპიტალი არის კავშირების, ნორმების და ნდობის ერთიანობა. ეს ერთიანობა ამ პროცესში მონაწილე მოქალაქეებს უფრო ეფექტური მოქმედების საშუალებას და პირობებს უქმნის. რაც მთავარია, პატნემის აზრით, მათი თანამშრომლობა, საბოლოო ჯამში, საერთო ინტერესებსა და საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას ან გაზრდას ემსახურება.

პატნემი გამოყოფს სოციალური კაპიტალის მიკრო და მაკრო დონეებს. მიკრო დონეებში იგი გულისხმობს შიდაჯგუფურ კავშირებს, მაკრო დონეში კი – კავშირს ჰეტეროგენულ ჯგუფებს შორის. ამ ჯგუფების მეტ-ნაკლებად თანაბარი დონით განვითარების შემთხვევაშია მათ შორის თანამშრომლობა პროდუქტიული.

პატნემი ერთმანეთისგან ასევე მკვეთრად მიჯნავს პოლიტიკურ და სოციალურ ჩართულობას. არჩევნებში მონაწილეობა – ეს პოლიტიკური ჩართუ-

ლობაა და იგი სულაც არ ნიშნავს სოციალური ჩართულობის აუცილებელ არსებობას. შესაბამისად, პოლიტიკური ჩართულობა სრულიადაც ვერ უზრუნველყოფს სოციალური კაპიტალის წარმოქმნას. სამაგიეროდ, მეგობრებთან, ახლობლებთან, თანამშრომლებთან დასვენება თუ უბრალოდ, დროის გატარებაც კი, სოციალური კაპიტალის წარმოქმნას, ზრდას და გამყარებას ემსახურება. ხშირად, სწორედ მსგავსი ტიპის სოციალური ქსელების გზით აღწევენ ადამიანები დასახულ მიზნებს და აღარ საჭიროებენ მოცემული მიზნების მიღწევაში ხელისუფლების დახმარებას. ამ კუთხით, რა თქმა უნდა, მსგავსი ტიპის ქსელები პოზიტიურ ფუნქციას ასრულებენ. თუმცა, მეორე მხრივ, მოცემული სისტემები ჩაკეტილი სისტემებია და, როგორც წესი, მხოლოდ მისი წევრების სიკეთეებს ემსახურება. ასეთ შემთხვევაში, საგებელს ვერ/ან ნაკლებად იღებენ დაბალი სოციალური კაპიტალის მქონე ადამიანები.

ფრენსის ფუკუიამაც (Francis Fukuyama, 1952) საუბრობს სოციალურ კაპიტალზე და ხაზს უსვამს საერთო ნორმებისა და წესების არსებობას ჯგუფის წევრებს შორის. ეს ნორმები არის ის, რაც შესაძლებელს ხდის ამა თუ იმ ჯგუფის არსებობასა და ფუნქციონირებას. თუმცა, ფუკუიამა დასძენს, რომ სოციალური კაპიტალის შემქმნელი ნორმები, ამავდროულად, ჯგუფის წევრებს შორის ნდობის ფაქტორის არსებობას და ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფასაც გულისხმობს.

ჩანართი 3.6. იტალიის ამბავი: XIX საუკუნე

რობერტ პატნემი, მსჯელობს რა იტალიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული ინსტიტუტის, ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებაზე, თავის ცნობილ წიგნში „როგორ ვამუშაოთ დემოკრატია – სამოქალაქო ტრადიციები თანამედროვე იტალიაში“, იმ დასკვნამდე მიდის, რომ თვითმმართველობის ერთიდაიმავე საკანონმდებლო ბაზისა და პრაქტიკულად თანაბარ სასტარტო (საკანონმდებლო დონეზე მაინც) პირობებში, ქვეყნის ჩრდილოეთმა ნაწილმა საკმაოდ წარმატებულად შეძლო თვითმმართველობის დამკვიდრება და ქმედითუნარიანი ადგილობრივი ორგანოების შექმნა, მაშინ, როცა, სამხრეთ რეგიონებში ამის გაკეთება საკმაოდ რთული და ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა. ჩრდილოეთ რეგიონებში, სადაც მოქალაქეები უფრო აქტიურები არიან (აქ პატნემის საზომი მოსახლეობის ასოციაციებში ჩართულობა, არჩევნებში მონაწილეობა და თვითმმართველობაში აქტიურობის ხარისხია) ადამიანებმა კარგად ისარგებლეს მათთვის გადაცემული უფლებამოსილებებით.

განსხვავებით ჩრდილოეთ იტალიისგან, სამხრეთ იტალიაში, ინიციატივისა და ადგილობრივი საქმეების მოგვარებისთვის ქვედა დონეებზე გადაცემამ, სამოქალაქო აქტივიზმის კუთხით ისედაც პასიურ

იუსიჰირო ფრენსის ფუკუიამა (Francis Fukuyama, 1952)

იაპონური წარმოშობის ამერიკელი პოლიტიკური მეცნიერი. განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა ნაშრომმა „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“, რომელშიც იგი აყალიბებს მოსაზრებას, რომ კომუნისტური სისტემის კრახის შემდეგ ლიბერალური დემოკრატია იქცა კაცობრიობის სოციოკულტურული განვითარების უკანასკნელ წერტილად და შესაბამისად, მოცემული მმართველობის ფორმა არის ერთადერთი და უკონკურენტო. მართალია, დროთა განმავლობაში ფუკუიამამ, გარკვეულწილად, უარყო მოცემული მოსაზრების მართებულობა, თუმცა მის ნაშრომში გამოთქმული ხედვები დღემდე რჩება პოლიტიკის მეცნიერებაში მნიშვნელოვანი კამათისა და განსხვავებული ხედვების დაპირისპირების წყაროდ.

სამხრეთელებში კიდევ უფრო გააუარესა მმართველობის ხარისხი. იტალიაში თვითმმართველობის ორგანოების დამკვიდრების შესწავლის და ღირებული ანალიზის მიზნით, საკვლევი პერიოდის – 1960-80-იანი წლების იტალიის სოციალური, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის შესწავლის პარალელურად, პატნემმა საკუთარი კვლევის შედეგების მიზეზთა ძიება იტალიის სხვადასხვა რეგიონის ისტორიულ-პოლიტიკურ და კულტურულ მემკვიდრეობაშიც სცადა. შუასაუკუნეების იტალიის რეგიონების ხშირად, რადიკალურად განსხვავებულმა ისტორიულმა გამოცდილებამ – ჩრდილოეთში რესპუბლიკანიზმის, ქალაქ-სახელმწიფოებისა და თვითმმართველობის ტრადიციებმა, ხოლო სამხრეთში კი, მეტწილად სამეფო-სამთავროებისა და რომის პაპების სამფლობელოდ ყოფნის გამოცდილებამ, არცთუ უმნიშვნელო დაღი დაასვა ქვეყნის დიფერენცირებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ განვითარებას. წარსულისა და თანამედროვე მაგალითების შესწავლის საფუძველზე, პატნემი ასკვნის, რომ სწორედ უკიდურესად მწირი სოციალური კაპიტალი და მოსახლეობაში ურთიერთმიმართ არსებული ნდობის დეფიციტი, რაც საუკუნეების მანძილზე მკვეთრად გამოარჩევდა სამხრეთ იტალიის რეგიონებს ჩრდილო იტალიის რეგიონებისგან და, შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების სუსტი განვითარება – ქმედითი თვითმმართველობის ორგანოების დანერგვისა და განვითარების ერთ-ერთ მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა. პატნემის მიერ იტალიის შესახებ ჩატარებული კვლევის გამოქვეყნებამ საფუძველი დაუდო სოციალურ მეცნიერებებში სოციალური კაპიტალის თემატიკის კიდევ უფრო მეტ აქტუალიზაციასა და პოპულარიზაციას.

„ერთობის შეგრძნების არარსებობა ნებისმიერი სოციალური კლასის დონეზე განპირობებული იყო დაქვემდებარების იმ ჩვევით, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არსებულმა დესპოტიზმმა დატოვა.

თვით დიდგვაროვნებიც კი მიეჩვივნენ ობსტრუქციას და ფიქრობდნენ, რომ თუ მოახერხე, მთავრობა ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე შეიძლება გააცურო... არ იყო იმის შეგნება, რომ გადასახადები უნდა გადაიხადო; განწყობა ასეთი იყო: თუ ადამიანთა ერთი ჯგუფი ხეირს ნახავდა კანონის გვერდის ავლით, სხვა ჯგუფებსაც ერჩიათ საკუთარ გამორჩენაზე ეზრუნათ. ყოველი პროვინცია, ყოველი კლასი, ყოველი წარმოება სარგებელს სხვის ხარჯზე პოულობდა" (პატნემი რ, 2000, გვ. 174).

1880–1920–იანი წლების სამხრეთ იტალიურ სასოფლო თემს შემდეგნაირად ახასიათებენ: „გლეხობა ერთმანეთს უფრო ებრძოდა, ვიდრე სოფლის საზოგადოების სხვა ფენებს; ეს ქიშპი ფარავდა ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და კულტურულ წინააღმდეგობებს... წარსულის ტვირთი, ზედ დამატებული 1860 წლის შემდგომ სახელმწიფოს წარუმატებლობანი, გლეხობასა და მემამულეებს შორის ურთიერთობები, ქმნიდა იმგვარ საზოგადოებრივ ატმოსფეროს, რომელშიც fede publica (სამოქალაქო ნდობა) მინიმუმამდე იყო დაყვანილი: chi ara diritto, muore disperato (ვინც პატიოსნად იქცევა, ის ცუდად ამთავრებს) – ცნობილი კალაბრიული ანდაზა იყო" (პატნემი რ, 2000, გვ. 174). თანდაყოლილი უნდობლობა, უამრავ სხვა ანდაზაშიც აისახა:

- *„სხვისი მიმნდობი დაწყევლილიაო";*
- *„ნუ გაასესხებ, ნუ გააჩუქებ, სიკეთეს ნუ იზამ, თორემ ცუდად*
- *შემოგიბრუნდებაო";*
- *„ყველა საკუთარ მოგებაზე და სხვის წაგებაზე ფიქრობსო";*
- *„მეზობლის სახლი ცეცხლმოკიდებული რომ ნახო, წყალი შენსაში*
- *მიიტანეო".*[1]

აღნიშნული ტრადიციებისგან რადიკალურად არის განსხვავებული ჩრდილოეთ იტალიაში არსებული ისტორიული გამოცდილებაა. „1870-იან წლებში უკვე ჩანდა რის სასარგებლოდ გააკეთეს არჩევანი იტალიის ყველაზე უფრო განვითარებულმა პროვინციებმა – ეს იყო სასოფლო კოოპერატივები, ურთიერთდახმარების ასოციაციები, სავაჭრო პალატები, შემნახველი სალაროები. იმავე პერიოდში სამხრეთელები კლიენტელურ კავშირს აბამდნენ სხვადასხვა დონის (საპარლამენტო იქნებოდა ეს თუ ადგილობრივი) ჩინოვნიკებთან" (პატნემი რ, 2000, გვ. 176).

---

[1] იტალიური ანდაზების მაგალითზე, შეგვიძლია ქართული რეალობიდან გამომდინარე, ანალოგიური ტიპის ანდაზების მოძიება. მაგ.: „სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირი", „კაისათვის კაი ვის უქნია", „სხვისი ლუკმა გემრიელიაო," „ჩემს იქით თოფი გინდ კუნძს მოხვდეს და გინდ კაცსაო". თუმცა, გაცილებით მრავლად მოიძებნება საპირისპირო ტიპის ანდაზები, მაგალითად: „წისქვილის ქვები ერთმანეთს რომ არ ეხმარებოდეს, ერთმა რამდენიც არ უნდა იბრუნოს, ვერას დაფქვავს," „ძმა თუ არ გყავდეს – სხვა იძმე, უძმოდ სიკვდილი მწარეა," „ძმა-ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო," „ძალა ერთობაშია", „შენც იგი უყავ სხვასაო, რაც არგებს შენსა თავსაო," „შენი კარი გააღე, სხვისიც ღია დაგხვდება", „ყველაფერი დაიქცევა კეთილი საქმის გარდა", „მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო" და სხვ.

მიუხედავად ტერმინ „სოციალური კაპიტალის“ განმარტებათა მრავალფეროვნებისა, არსებობს გარკვეული მახასიათებლები, რაც პრაქტიკულად, საერთოა ყველა მათგანისთვის. ამგვარად, შესაძლებელია, გამოიყოს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც სოციალური კაპიტალის აუცილებელი პირობა და მახასიათებელია:

- ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა თანხმდება, რომ სოციალური კაპიტალი გარკვეული ნორმებისა და წესების ერთობლიობაა.
- სოციალური კაპიტალი, ისევე როგორც კაპიტალის ნებისმიერი სხვა ფორმა, დაგროვებადია. იგი არ მოიპოვება ერთ დღეში. ქმედითი სოციალური კაპიტალის დაგროვებისთვის საკმაო რუდუნებაა საჭირო.
- სოციალური კაპიტალის, ისევე როგორც კაპიტალის სხვა ფორმების, (მაგ. ეკონომიკური კაპიტალი) არა მარტო მოპოვება, არამედ შემცირება, გაფლანგვა და დაკარგვაც შეიძლება.
- გამოიყოფა ორი ტიპის სოციალური კაპიტალი: შემაკავშირებელი და შემაკავებელი. შემაკავებელი სოციალური კაპიტალი ეს არის იმგვარი კაპიტალი, რომლის დროსაც იქმნება კლანური და ჯგუფური კავშირები, რაც, საერთო ჯამში, ხელს უშლის სოციალური კაპიტალის გავრცელებასა და გაფართოებას. შემაკავშირებელი კაპიტალი კი სოციალური კაპიტალის ის ტიპია, რომელიც ხელს უწყობს არა მარტო ახლობლების, ნათესავებისა და მეგობრების გაერთიანებას, არამედ უცხო ადამიანებს შორის კავშირების წარმოქმნას.
- სოციალური კაპიტალი გულისხმობს ასოციაციების შექმნას. ადამიანებს შორის არსებული კავშირები უფრო გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად და სარგებლის გასაზრდელად, როგორც წესი, ასოციაციური ტიპის ფორმალიზებულ გაერთიანებებში გადაიზრდება.
- სოციალური კაპიტალი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სამოქალაქო საზოგადოება. სოციალური კაპიტალის ფორმები შეიძლება გამოიხატოს პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროებში, ანუ იქ, სადაც მოგებაზე ხდება ორიენტირება. ამისგან განსხვავებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია – თუ ის ან პოლიტიკურ საქმიანობაში გადადის, ან ეკონომიკურ სარგებელზე ხდება ორიენტირებული – ტოვებს სამოქალაქო საზოგადოების ვირტუალურ ფარგლებს, მაგრამ კვალავაც რჩება სოციალური კაპიტალის მატარებლად. მოკლედ რომ ვთქვათ, სამოქალაქო საზოგადოებისგან განსხვავებით, სოციალური კაპიტალი არის ყველგან, სადაც არის ჯგუფური ასოციაციები.
- სოციალური კაპიტალის ნებისმიერი ფორმა მოიცავს სამ ელემენტს: დონორს – ადამიანს, რომელიც მეორე ადამიანს საკუთარ სოციალურ კაპიტალს უნაწილებს (მაგ. აცნობს თავის ნაცნობებს, ახლო-

ბლებს), მიმღებს – ადამიანს, რომელიც იღებს მეორე ადამიანისგან სოციალურ კაპიტალს და მესამე, თავისთავად რესურსს, კაპიტალს – იმას, რასაც დონორი აძლევს მიმღებს.

- მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ სოციალური კაპიტალის წარმოქმნის აუცილებელი წინაპირობა არის ნდობა. ნაწილი კი მიიჩნევს, რომ თავად სოციალური კაპიტალი წარმოქმნის ნდობას ინდივიდებს შორის. მიუხედავად მოცემულ აზრთა სხვადასხვაობისა, ერთი რამ უდავოა – სოციალური კაპიტალი და ნდობა ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია. ნდობის, ასოციაციების შექმნისა და სიმრავლის კუთხით ამერიკის შეერთებული შტატები გამორჩეულია. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, ალექსის დე ტოკვილი (Alexis de Tocqueville, 1805-1859) თავის წიგნში *„დემოკრატია ამერიკაში,“* აღნიშნავდა ამ მხრივ ამერიკის უნიკალურობას. იგი განსაკუთრებით აღფრთოვანებული იყო ამერიკელების უნარით – შეექმნათ კერძო ასოციაციები. მიუხედავად იმისა, რომ ყველა კონკრეტულ ასოციაციას რაღაც სარგებლის მიღება ჰქონდა დასახული მიზნად – იქნებოდა ეს ეკონომიკური, პოლიტიკური თუ ნებისმიერი სხვა ტიპის სარგებელი, მათ აერთიანებდათ ერთი მთავარი რამ – ისინი ყველა ერთად, საერთო ჯამში, უფრო დიდი სარგებლის შექმნას ემსახურებოდნენ, ვიდრე მხოლოდ თითოეული მათგანისას. ასოციაციებში ადამიანები სწავლობენ დემოკრატიულ ღირებულებებს, ეჩვევიან თამაშის წესებს და, საერთო ჯამში, ხელს უწყობენ სოციალური კაპიტალის გაღრმავებას. როგორც ამერიკული დემოკრატიით აღფრთოვანებული ალექსის ტოკვილი აღნიშნავდა, ნებაყოფლობითი ასოციაციები შეიძლება განვიხილოთ დიდ საყოველთაო სკოლად, რომელსაც ესწრება ყველა მცხოვრები გაერთიანების ზოგადი თეორიის შესასწავლად.

ადამიანებს შორის ნდობის არარსებობის შემთხვევაში, სოციალური კაპიტალიც ან არ არსებობს, ან ძალიან მყიფეა. იმ ქვეყნებში, სადაც მოქალაქეებს შორის ურთიერთნდობის ხარისხი დაბალია, როგორც ფუკუიამა აღნიშნავს, მაღალია სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების ხარისხი. როდესაც მოქალაქეებს არ ძალუძთ გაერთიანდნენ და ბევრი პრობლემა ურთიერთდახმარების, ნდობისა და ხელშეწყობის მეშვეობით მოაგვარონ, ისინი ამის გაკეთებას და მოგვარებას სახელმწიფოსგან ელიან. შესაბამისად კი, ერევა რა ხელისუფლება მოქალაქეთა საქმიანობის კერძო სფეროებში, მცირდება თავად ამ მოქალაქეთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხარისხიც.

შოტლანდიელი ფილოსოფოსის, დევიდ იუმის (David Hume, 1711-1776) მიერ სასოფლო თემის მაგალითზე ქვემოთ განხილული ეს შემთხვევა საუკეთესოდ ასახავს სოციალურ კაპიტალში ნდობის ფაქტორისა და მოგებაზე ორიენტირებულობის ურთიერთკავშირს. იქ, სადაც არ არსებობს ნდობა,

ჭირს მატერიალური სარგებლის ნახვაც. მოყვანილი მაგალითი ნათლად ასახავს, თუ რამდენად რაციონალური და მომგებიანია, როდესაც ინდივიდები, მიუხედავად ურთიერთმიმართ არსებული სიმპათია-ანტიპათიისა, ენდობიან ერთმანეთს.

„შენი ხორბალი დღეს ასაღებად მზადაა; ხვალ ჩემი იქნება. ორივესთვის სახეიროა, თუ დღეს მე მოგეხმარები, ხვალ კიდევ – შენ. მე შენდამი კეთილ-განწყობილი არა ვარ და ვიცი, არც შენ გეხატები გულზე. ამიტომ, შენთვის თავს არ ავიტკივებ. რომ მოგეხმარო, შენგან საპასუხო დახმარების მომლოდინეს, ვიცი, იმედი გამიცრუვდება, ამაოდ უნდა ველოდო შენგან მადლიერებას. ჰოდა, მეც დახმარების გარეშე გტოვებ, მარტო. შენც ასე მექცევი. ამასობაში, ამინდი იცვლება და, იმის გამო, რომ გვაკლია ურთიერთნდობა და გარანტიები, ორივენი ვკარგავთ მოსავალს“ (Hume D, 1740, გვ. 199).

კითხვები გააზრებისთვის:

1. რას ნიშნავს ტერმინი „სოციალური კაპიტალი“?
2. როგორ განმარტავს სოციალური კაპიტალის ცნებას რობერტ პატნემი?
3. თქვენი აზრით, როგორია ურთიერთკავშირი სოციალურ კაპიტალსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის?
4. რამდენი ტიპის სოციალური კაპიტალი არსებობს და რა განსხვავებაა მათ შორის?
5. რა განსხვავებაა იტალიის ჩრდილოეთ და სამხრეთ რეგიონებს შორის სოციალური კაპიტალის კუთხით და როგორ ფიქრობთ, რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი მოცემული განსხვავებების წარმოქმნას?
6. რა მნიშვნელობა აქვს ნდობის ფაქტორს სოციალური კაპიტალისთვის?
7. როგორ შეაფასებდით პოლონეთის კათოლიკური ეკლესიის როლს კომუნისტური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში?

თავი XII

სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში

12.1. სამოქალაქო საზოგადოების იდეა საქართველოში: ისტორიული ევოლუცია

„მოქალაქეობა არის ბრძოლა თავის წრესთან, თავის თავთან. მოქალაქეობა მოითხოვს შეგნებას, პატიოსნებას, ფიქრს, მხნეობას, ჭკუას: მოქალაქეობა მოითხოვს ნათლიანთვალით საგნების დანახვას, წინდახედულებას, აუჩქარებლობას, სიმდაბლეს, რომელიც არაა მონის მაჩვენებელი, არამედ განათლებულ ადამიანის, სხვისი აზრის გაგონებას და ადამიანში ადამიანის ძებნას და დაფასებას.... მოქალაქეობა არის მსხვერპლის გაღება. თვისი საკუთარი თავის დაწვა სხვისთვის გასანათლებლად“ (მინდიაშვილი ბ, www.tolerantoba.ge.)-გრიგოლ ფერაძე

1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხელყოფის შემდეგ, ქვეყანა იმ იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ცენტრალიზებული და ავტორიტარული მმართველობის სტილით. ამასთან ერთად, ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ცარისტული რუსეთი მე-19 საუკუნის ევროპაში მიმდინარე პროგრესული პოლიტიკური თუ სოციალური იდეებისგანაც განზე იდგა.

შესაბამისად, მის შემადგენლობაში იძულების წესით საქართველოს აღმოჩენამაც, ქვეყნის განვითარებას საკმაოდ დიდი დაღი დაასვა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან თავად რუსეთის იმპერიაში იწყება გარკვეული პროგრესული ძვრები: ევროპიდან გავრცელებას იწყებს ლიბერალიზმის იდეები და, ნაწილობრივ, ხდება კიდეც ამ იდეათა დანერგვა. მოცემული პროცესები ურბანულ ცენტრებში, მათ შორის იმ პერიოდის თბილისშიც აისახებოდა, კაპიტალიზმის განვითარება ხელს უწყობდა ახალი პოლიტიკური და სოციალური კლასების წარმოქმნას.

როგორც წესი, მე-19 საუკუნის თბილისის ახალი ბურჟუაზია არაქართულენოვანი იყო და, მეტწილად, ეთნიკურად სომხური წარმოშობის ვაჭრებისგან შესდგებოდა. თავისთავად, ის ფაქტი, რომ მაშინდელ ქართველ ინტელექტუალებსა და ახლადშექმნილ ეთნიკურად სომეხ ბურჟუაზიას შორის მწვავე დაპირისპირება მიმდინარეობდა (რაც საადგილმამულო ბანკის გახსნაშიც აისახა) ზოგადად, სამოქალაქო განვითარების დაბალი ხარისხის გამოხატულება იყო. სომხური კაპიტალის გარდაქმნა ქართულ (ვგულისხმობთ არა ეთნიკურად, არამედ სახელმწიფოებრივად ქართულ) კაპიტალად არ მომხდარა. ბუნებრივია, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქართული სახელმწიფოებრიობის არარსებობაც იყო. თავის მხრივ, არც სომხური ბურჟუაზია

იყო დადებითად განწყობილი ქართველი ფეოდალური კლასის წარმომადგენელთა მიმართ. საბოლოო ჯამში კი, მათ შორის ნდობის არარსებობამ ხელი შეუშალა ერთიანი მიზნისკენ გაერთიანებასა და სოციალური კაპიტალის გარკვეული წანამძღვრების შექმნას.

მეფის რუსეთის პოლიტიკური მმართველობა (განსხვავებით ტოტალიტარული საბჭოეთისგან), ბოლომდე არ ზღუდავდა სამოქალაქო აქტივობის სივრცეს. მოცემული აქტივობის ჩამოყალიბებას და სტრუქტურირებული ხასიათის მიცემას უპირველეს ყოვლისა, განათლებამ შეუწყო ხელი. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ძირითადად, მოსკოვისა და პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში განათლებამიღებულმა ქართველმა ახალგაზრდებმა იმ პროგრესული და დასავლური იდეების გავრცელება, რომლებსაც ისინი რუსეთში ეზიარნენ, სამშობლოში დაბრუნებულებმა საქართველოშიც სცადეს. იქმნება არაერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მაგალითად, „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება“, „თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისთვის“, მედიკოსთა, არტისტთა საზოგადოებები. ამ მიმართულებით გადადგმულ სხვადასხვა ნაბიჯს შორის თვისებრივად ახალია იმ პერიოდის საზოგადო მოღვაწეთა მიერ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ შექმნა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი ეს, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის უმთავრესი მიზანი მოსახლეობაში წერა-კითხვის გავრცელება და, შესაბამისად, განათლების საფუძვლების ჩაყრა იყო, გამორჩეულია საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და შეტანილი წვლილის კუთხით. მაშინდელი ქართველი ინტელექტუალები პრაგმატული მოქმედებებით გამოირჩეოდნენ და თავიანთ მიზნებად განხორციელებად და შესრულებად ამოცანებს ისახავდნენ. მთელი მათი მოღვაწეობა, რეალურად, სამოქალაქო მონაწილეობისა და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის პრაქტიკის დამკვიდრებისა და გაზრდისკენ იყო მიმართული. ამ ყოველივეს მიღწევა კი მათ მოსახლეობაში წერა-კითხვის გავრცელებისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით ესახებოდათ. 1879 წელს დაარსებული და 1923 წლამდე მოქმედი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტით არის გამორჩეული. ერთი მხრივ, ეს იყო საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი, წარმატებული და დადებითი შედეგების მომტანი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც, ცალსახად, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტს წარმოადგენდა. მეორე მხრივ, მოცემული საზოგადოების თავად შექმნა იყო თვისებრივად ახალი მოვლენა ქართულ სამოქალაქო სივრცეში. საზოგადოება შემოწირულობების ხარჯზე შეიქმნა. მისი დაარსების ინიციატივის გაჟღერების შემდეგ, ქვეყნის მოსახლეობა აქტიურად ჩაერთო თანხის შეგროვების პროცესში. სხვადასხვა პირისა თუ გაერთიანებისგან ირიცხებოდა ფული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიშზე. მაგა-

ლითად, თბილისის საადგილმამულო ბანკმა ილია ჭავჭავაძის (1837-1907) მეთაურობით 11 ათასი მანეთი გადარიცხა საზოგადოების ანგარიშზე, ასევე, მნიშვნელოვანი თანხები გაიღო ქუთაისის ბანკმა, რომლის ნაწილი ქუთაისშივე სათავადაზნაურო სკოლის გახსნას მოხმარდა. თანხის შეგროვების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები მაშინდელი ქართველი მეცენატები: დავით სარაჯიშვილი (1848-1911) ძმები ზუბალაშვილები და ბაქოში მოღვაწე ქართველები. მაგალითად, სტეფანე ზუბალაშვილი ბაქოდან იწერებოდა: „ჩვენის საზოგადოების 25 წლის ფრიად თვალსაჩინო და განუწყვეტლის შრომის აღსაბეჭდად მე განვიზრახე შეძლებისდაგვარად დავეხმარო საზოგადოებას. ამასთანავე, გიგზავნით 10 000 მან. და გთხოვთ მიიღოთ ეს მწვლილი ჩემგან, როგორც ერთის გულშემატკივრის ქართველისაგან. ღრმა პატივისცემით დავშთები. სტეფანე ზუბალაშვილი. ბაქო.“

აღნიშვნის ღირსია სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის ვაჟის, ნიკოლოზის მიერ დადიანების მთელი საგვარეულო ბიბლიოთეკის უძველესი ხელნაწერების (179 ერთეული) წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის გადაცემა. თანხის შეგროვება სხვადასხვა საშუალებით ხდებოდა: თამაშდებოდა ლატარიები, იმართებოდა სპექტაკლები, შემოსული ფული კი საზოგადოების საქმიანობას ხმარდებოდა, მწერლები და პოეტები თავიანთი თხზულებების გამოცემის საავტორო უფლებებს ფონდს გადასცემდნენ. მაგალითად, იაკობ გოგებაშვილმა (1840-1912) გარდაცვალების შემდეგ მისი წიგნების გამოცემის უფლება სწორედ მოცემულ საზოგადოებას დაუტოვა ანდერძით.

საზოგადოების საქმიანობის შედეგად, თბილისსა და ქუთაისში დაფუძნდა სათავადაზნაურო გიმნაზიები, სადაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა სწავლა-განათლება. საერთო ჯამში, გაიხსნა 33 ახალი სკოლა. საზოგადოება მის მიერ დაარსებულ სკოლებს ამარაგებდა წიგნებით, ზრუნავდა მასწავლებლების ხელფასებზე, ეხმარებოდა ხელმოკლე მოსწავლეებს და ხელს უწყობდა ქართულენოვანი სახელმძღვანელოების შექმნას. დახმარებას უწევდა სამრევლო და საკვირაო სკოლებს ზრდასრულებისთვისაც. სკოლების ბაზაზე საზოგადოება აქტიურად ეხმარებოდა სამკითხველოების გახსნის საქმესაც. მოცემულ სამკითხველოებში აქტიურად მონაწილეობდა ზრდასრული მოსახლეობა, რომელთათვისაც ეს არა მარტო ცოდნის გაღრმავების, არამედ პროგრესული იდეების გავრცელებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის ადგილიც იყო. 1916 წლისთვის უკვე 90-მდე ასეთი სამკითხველო არსებობდა.

„ამისთანა მაღალ-მნიშვნელოვანი საზოგადოება ჩვენში ჯერაც არ დაბადებულა. მას დანიშნულებად აქვს არა რაიმე დაბალი საგანი, არამედ იმისთანა უძვირფასესი საუნჯე ადამიანისთვის, როგორიც არის ერის განათლება. იგი ემსახურება არა ერთ რომელსამე წოდებას ქვეყნისა, არამედ ვალად იღებს ზრუნვას მთელს ერზედ. მისთვის არ არსებობს არც თავადი, არც აზნაური, არც საღვდელო, არც გლეხი. იგი ემსახურება საერთოდ მთელს ქართველობას“ (ბაინდურაშვილი რიტა, 9.07.2011.) – აღნიშნავდა იაკობ გოგებაშვილი.

ჩანართი 3.7. ზაქარია ჭიჭინაძე (1854-1931)

გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და ისტორიისა და ლიტერატურის მკვლევარი, ზაქარია ჭიჭინაძე 1875 წლიდან თავად იწყებს წიგნების გამოცემას. აი, რას წერდა ამ დროისთვის იგი: "ჩემი თვალების გახელის დროს მე ვიყავი ძლიერ დაღონებული და გული დარდით მქონდა სავსე, რომ ქართველებს ქართული წიგნი სულ არა გვქონდა. ვიყავით დატუქსული, ქართული ენა იდევნებოდა. წიგნების გამოცემა და დამრავლება მიმაჩნდა ჩვენი ეროვნების აღდგენის მალამოდ და ამიტომ დღედაღამ ამითი ვსულდგმულობდი". ზაქარია არამარტო წერს, აწყობს და ბეჭდავს წიგნებს, არამედ წიგნების პატარა მაღაზიასაც ხსნის. წიგნების გასაღების მიზნით, იგი ქართულ ქალაქებსა და სოფლებშიც იწყებს მოგზაურობას.

ზაქარია ჭიჭინაძეს, გარდა იმისა, რომ ფეხით ჰქონდა მთელი საქართველო შემოვლილი, მისი ყველა კუთხე-კუნჭული კარგად იცოდა – ყველგან, სადაც მიდიოდა და ზურგზე მოკიდებული სავსე ხურჯინით მიჰქონდა მის მიერ დაწერილი და გამოცემული ქართული წიგნები და უსასყიდლოდ ურიგებდა მოსახლეობას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჭიჭინაძის ღვაწლი აჭარის მუსლიმ ქართველებს შორის ქართული წიგნების გავრცელების საკითხში. გარდა იმისა, რომ სამუსლიმანო საქართველოს შესახებ წიგნებს გამოსცემდა, თავადაც არერთხელ იმოგზაურა აჭარაში. მარტო 1890 წელს მცირე დროის მონაკვეთში, აჭარაში მოგზაურობისას, 280-მდე სოფელი მოინახულა. მეჩეთშიც ხშირად დადიოდა და მუსლიმ ქართველებთან ერთად ლოცულოდა. ამგვარ საქციელს კი ასე ხსნიდა: „სჯული, სარწმუნოება სხვაა, ეროვნება სხვა. სარწმუნოებით შეიძლება სხვადასხვა ვიყვნეთ, ეროვნებით კი ერთი ოჯახის შვილნი ვართ და უნდა ასეთად დავრჩეთო". სწორედ ამიტომ, არაბულ ლოცვებს ქართულად ბეჭდავდა, მუსლიმ ქართველებში ავრცელებდა და ამით ცდილობდა, აჭარლებს შორის ქართული წერა-კითხვისადმი ინტერესი გაეჩინა. "შარშან რომ ვიყავი აქ და წიგნები მოვიტანე, ამ საქმეს ბევრმა ეჭვის თვალით შეხედა. მაგრამ მალე დარწმუნდნენ საქმის უვნებლობას და წიგნების შეძენა დაიწყეს. შარშან მათში იშვიათად ნახავდით ქართულად კითხვის მცოდნეს, წელს კი ასე არ არის – შარშანდელი ორი ათასი წიგნი ისეა მოფენილი ქობულეთის ხეობაზედ, რომ დღეს ყოველ ნაბიჯზედ შეხვდებით ქართული ანბანის მცოდნეს, ნამეტნავად ბავშვებს" – წერდა გაზეთ "ივერიას" ზაქარია ჭიჭინაძე (ფუტკარაძე ოთარ, „ზაქარია ჭიჭინაძე – აჭარის დიდი გულშემატკივარი").

იმ საქმიანობის და სამოქალაქო აქტივიზმის, რასაც მაშინდელი ქართველი ინტელექტუალები ქართული სახელმწიფოებრიობის არარსებობის პირობებში ეწეოდნენ, ძირითად სამიზნე ჯგუფად ეთნიკური ქართველობა მოიაზრებოდა. ეთნიკური სომხებისადმი დამოკიდებულება, როგორც ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, არცთუ დიდად კეთილგანწყობილი იყო. ამის თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება საზოგადოების შექმნის პროცესში დამფუძნებლებს შორის წარმოშობილი განსხვავებული ხედვები იმის თაობაზე, თუ მოსახლეობის რა ნაწილზე უნდა გავრცელებულიყო საზოგადოების საქმიანობა. დიმიტრი ყიფიანი ემხრობოდა მოსაზრებას, რომ საზოგადოება არ უნდა ყოფილიყო მიმართული მხოლოდ ეთნიკურ ქართველებს შორის წერა-კითხვის გავრცელებაზე და, შესაბამისად, საზოგადოების სახელიც ამ მხრივ, ნეიტრალური უნდა ყოფილიყო. თუმცა, გაიმარჯვა გრიგოლ ორბელიანის განსხვავებულმა შეხედულებამ, რომელიც საზოგადოების მთავარ სამიზნე ჯგუფად სწორედ ეთნიკურ ქართველებს მოიაზრებდა და არა რომელიმე სხვა ეთნიკურ ჯგუფს (მაგ. სომხებს). ამ შეხედულების გამარჯვების შედეგია ის, რომ საზოგადოების დასახელებაში გაჩნდა სიტყვები: „ქართველთა შორის.....“

მსგავსი დამოკიდებულება, როდესაც თანამედროვე პირობებში საქართველო ცდილობს შექმნას და გააძლიეროს სამოქალაქო ნაციონალიზმისა და ერი-სახელმწიფოს იდეები, როდესაც სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის ინტეგრაციასა და ჩართულობის ხარისხის ამაღლებაზე, გარკვეულწილად, უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს. თუმცა, იმ ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, რაშიც მაშინდელი საქართველო და ქართველობა იმყოფებოდა – მსგავსი მოცემულობის ახსნა სრულიად გასაგებია. სამოქალაქო ნაციონალიზმის იდეა უცხოა მაშინდელი ქართული რეალობისთვის. ხალხისთვის, რომელიც ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების, თვითგადარჩენისა და ზოგადად, „ერადქმნადობისთვის“ იღწვის, რომელსაც არ აქვს სახელმწიფო, ბუნებრივია, სამოქალაქო ნაციონალიზმის იდეები ვერ იქნება დღის წესრიგში. შესაბამისად, სამოქალაქო ნაციონალიზმის იდეა იმ პერიოდის საქართველოში რომ ვერ იკიდებს ფეხს, არცაა გასაკვირი.

ქალთა საქმე XIX საუკუნის საქართველოში

მე-19 საუკუნის სამოქალაქო აქტივიზმზე საუბრისას აღნიშვნის ღირსია ქალთა ჩართულობა განათლების გავრცელების მიმართულებით წარმართულ საქმიანობაში და, ზოგადად, ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში არაერთი ქალი წევრი იყო, რომლებმაც განათლება ევროპის საუკეთესო სასწავლებლებში მიიღეს და სამშობლოში დაბრუნებულნი აქტიურად ჩაერთნენ ქვეყნის სამოქალაქო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ვაჟა-ფშაველა (ნამდვილი სახელი და გვარი ლუკა რაზიკაშვილი, 1861-1915) ეხმიანება რა ქალთა უფლებების გაზრდის თემატიკას, წერილში – *„სადღეისო წერილი მეგობართან“* აღნიშნავს: „დიდად და დიდად საჭიროა დაკმაყოფილდეს ქალთა მოთხოვნილება. მჯერა, მწამს და ვერცავინ შემაცვლევინებს ამ რწმენას. დღეს რომ მაღალ ბიუროკრატიულ წრეებში, გავლენიან ადგილებზე მინისტრებისა და სხვა, დედაკაცები იყვნენ, დღევანდელი გამწარებული და გამწვავებული ცხოვრება რუსეთისა, მალამოს დაიდებდა და საჭირო რეფორმებს მალე ველირსებოდით. დედაკაცები ამდენს სიჯიუტეს არ გამოიჩენდნენ, როგორსაც დღეს იჩენენ მაღალი სფეროს მაღალი პირნი – ისინი ხომ მამაკაცები არიან – „კაი-ბიჭობად“, „გულ-მაგრობად“ არ გაასაღებდნენ თავინთ სიჯიუტეს. ვინაიდან დედაკაცნი უფრო ლმობიერნი, გრძნობიერნი არიან და დღევანდელი ცხოვრება ყველაზე მეტად რას მოითხოვს, თუ გარდა ერთის გრძნობის, რომელსაც ეწოდება შებრალება, შეწყნარება. იფიქრე, თუ ასე არ იყოს. მიიხედ-მოიხედე – სად არის ეს შებრალება? კაცი ძვალ-ტყავად ქცეული გემუდარება გეხვეწება: „კაცო, ღმერთი-რჯული, მთელი ერთი კვირაა მშიერი ვარ, სული ამოდის. ეს არი ვკვდები, წყალობა მოიღეო!“ მე და შენ იმას ყურს არ ვათხოვებთ და ჩვენს ქცევას გავამართლებთ სხვადასხვა ფილოსოფიურის მოსაზრებით; გამოვჩხრეკთ ჩხრიკიანს მოძღვრებას და იმის წყალობით წინაშე ქვეყნისაც თავს გავიმართლებთ და თავის თავთან ხომ მართლანი ვართ და მართალნი. მაგრამ დედაკაცი ამას არ იზამს. ერთ გროშს მაინც მიაწვდის... მრწამს მე ეს და ამიტომ მენატრება, რომ დედაკაცს მიეცეს ისეთივე უფლება, რაც მამაკაცს, როგორც სწავლაში, ისევე სამსახურში... შენ როგორც გნებავს იფიქრე: საჭიროა გაქვავებული გული მამაკაცისა გაათბოს დედაკაცის ხმამ და მისი რწმენა, რომ მე მამაკაცი ვარ, მე ადვილად არ უნდა გავტყდე, არ უნდა მოვიხადო ქედი ხალხის მოთხოვნილების წინაშე, რათა სილაჩრე არავინ დამწამოსო, უნდა მოათავსოს კეთილგონიერების ფარგალში იმავე დედაკაცის ხმამ...“ (ფშაველა ვ. „სადღეისო წერილი მეგობართან“).

მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი ქართველი საზოგადო მოღვაწეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქალთა უფლებების გაზრდას, რეალურად, თავად იმ პერიოდში მოღვაწე ქალები – ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია თუმანიშვილი, ეკატერინე მელიქიშვილი და სხვები ხშირად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ქალთა განათლების საკითხებისადმი არასათანადო ყურადღების გამო. მაგალითად, ეკატერინე გაბაშვილი, რომელიც თავად იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ჩიოდა მისივე საზოგადოების მხრიდან ქალთა სკოლების გახსნისადმი ნაკლები ინტერესის გამო. ქალთა შორის განათლების გავრცელების კუთხით თავად ქალების აქტიურმა მოღვაწეობამ შედეგი გამოიღო და 1890 წელს ეკატერინე გაბაშვილის სახლში გაიხსნა პირველი ქალთა სასწავლებელი.

მოგვიანებით, XX საუკუნის დასაწყისში ქალთა უფლებებისთვის ბრძოლას აქტიურად უდგება სათავეში კატო მიქელაძე, რომელმაც დააფუძნა

გაზეთი *„ხმა ქართველი ქალისა“* და არაერთხელ გამოვიდა სხვადასხვა პოლიტიკური ძალის კრიტიკით. „დღევანდელს მამაკაცთა სოციალისტების უმრავლესობას რომ ჰკითხოთ, თუ რა აზრით უყურებენ ისენი ქალთა თანასწორუფლებიანობას, ასეთს პასუხს მიიღებთ: „ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვს მისი, რომ ქალები სწორუფლებიანი იყვნენ ჩვენთან, მხოლოდ გვაშინებს ის მოფიქრება, რომ თავიანთ უფლებით ქალები რეაქციას გააძლიერებენ, რადგან ბუნებრივათ თუ ისტორიულად ესენი კონსერვატორები არიანო... ეხლანდელს ბოლშევიკების საქციელს რომ ვაკვირდები, რომლებიც თავიანთ აჟინებულს სურვილებს ვერ იჭერენ, ვერც ქვეყნის დამხობის საშიშროების წინაშე და ვერც გარეშე მტრის შემოსევის დროს, ვფიქრობ, რომ მოვალეობის შეგნებას ზემო აღნიშნული სოციალისტები კონსერვატიზმს უწოდებენ...“ (მიქელაძე კ, 1917, №29). – აღნიშნავდა კატო მიქელაძე 1917 წელს, გაზეთში *„ხმა ქართველი ქალისა“*.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ისტორიაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით კავკასიაში პირველი ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის – თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიას. მეოცე საუკუნის ქართველ ინტელექტუალებს შორის თანდათანობით მომწიფდა ქართულენოვანი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების აუცილებლობის იდეა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ქართულ ენაზე დაწყებითი განათლების კუთხით თავისი, მეტად მნიშვნელოვანი მისია შეასრულა. საჭირო იყო ახალ ეტაპზე გადასვლა. „დაბალსა და საშუალო ეროვნულ სკოლას ბუნებრივი და საღი განვითარება არ შეუძლიან თუ რომ ეროვნულ განათლებას უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი არ აგვირგვინებს“ – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი (1876-1940) თავის გამოსვლებში, როდესაც ცდილობდა საზოგადოებაში უნივერსიტეტის შექმნის იდეის ფართო მხარდაჭერა მოეპოვებინა.

ჩანართი 3.8. უნივერსიტეტის დაარსების ამბავი

1907–1917 წლებში ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით პეტერბურგში მოქმედი სტუდენტთა სამეცნიერო წრის ინიციატივით, ჯერ კიდევ 1911–1912 წლებში დაეგზავნათ ანკეტები რუსეთსა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში განათლების მისაღებად წასულ და იქ მოღვაწე ქართველ სტუდენტებსა თუ მეცნიერებს. აღნიშნული ანკეტირება მიზნად ისახავდა სხვადასხვა სამეცნიერო დარგში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა შესახებ მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენის შექმნას. ანუ, წინასწარ იქმნებოდა მონაცემთა ბაზა იმ მეცნიერთა შესახებ, რომელთაც სამომავლოდ შეეძლებოდათ ქართულენოვან უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ქართველი მეცნიერები: ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი უზნაძე და სხვანი აქტიურად იწყებენ უნივერსიტეტი

გახსნისთვის ბრძოლას. ბრძოლას იმდენად, რამდენადაც ერთი მხრივ მოსაძიებელი იყო ფინანსები უნივერსიტეტის დასაარსებლად, მეორე მხრივ კი თავად მაშინდელი რუსეთის დროებითი მთავრობა ეწინააღმდეგებოდა ქართულენოვანი უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას და ამის სანაცვლოდ, რუსულენოვანი სასწავლებლის გახსნას გეგმავდა. დაბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი „ბრძოლის“ ასპარეზი, ალბათ, მაინც თავად ქართველი საზოგადოების ქართულენოვანი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების აუცილებლობაში დარწმუნება იყო.

„რამდენი იყო ჩვენში 1917 წელს, ისეთი განათლებული ქართველი, რომელსაც ან მთელი ეს კამათი სასაცილო გულუბრყვილობად მიაჩნდა, ანდა მის გაგონებაზე ღიმილი მოსდიოდა. რამდენი გვყავდა ბრძენი დამრიგებელი, ჭკუის მასწავლებელნი და წინასწარმეტყველნიც კი, რომელნიც, მათი ღრმა რწმენით, სრულებით უნიადაგო და უიმედო განზრახვისგან ხელის აღებას გვირჩევდნენ. ისეთებიც ხომ იყვნენ, მათ შორის მეცნიერებიც კი, რომელთაც მთელი ეს გეგმა და დაწყებული საქმე თვით ქართველებისათვისვე დამღუპველად ჰქონდათ პრესაშიც კი აღიარებული: კულტურული დაქვეითების მეტი არაფერია საქართველოს მეცნიერული აზროვნებისათვის ამ გეგმის განხორციელებისაგან მოსალოდნელიო და, ამავე დროს, იგი პეტერბურგში (ან ლენინგრადში) დიდი გაჭირვებით და ხანგრძლივი მუშაობით შექმნილი სომხურ-ქართული ფილოლოგიის ერთ-ერთი კერის გავერანებას უდრისო“ – აღნიშნავდა მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილი.

ივანე ჯავახიშვილი (1876-1940)

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი. ივანე ჯავახიშვილის სახელს უკავშირდება საქართველოს ისტორიის თანამედროვე სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბება. მისი ნაშრომებია: ქართველი ერის ისტორია, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ქართული სამართლის ისტორია და სხვ.

უნივერსიტეტის დაარსებას 1917 წლის 1 მარტს ივანე ჯავახიშვილის ბინაზე შეკრებილი საინიციატივო ჯგუფის კრებაზე ჩაეყარა საფუძველი. 1938 წელს ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „ჩვენ მაშინ ვერ ვგრძნობდით, რომ ისტორიულ საქმეს ვაკეთებდით. ეს რომ ასე იყო, ისიც ადასტურებს, რომ ოქმიც კი არ შეგვიდგენია“.

უნივერსიტეტის დაარსება საერთო სახალხო აქტივობის და სამოქალაქო ჩართულობის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად იქცა. ფულადი სახსრები უნივერსიტეტის გასახსნელად შემოდიოდა საქართველოს ყველა კუთხიდან, დაიწყო ლატარიის გათამაშებაც, საიდან შემოსული თანხაც მთლიანად უნივერსიტეტის მშენებლობის ფონდში ირიცხებოდა. თანხის შეგროვებასა და შემოწირუ-

ლობებში აქტიურად ჩაერთნენ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებიც. შეგროვებული ფინანსური დახმარების შედეგად, უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოებამ და საფინანსო კომისიამ დაიწყო ქართველ მეცნიერთა მოწვევაზე ზრუნვა. საბოლოოდ კი, ფართო საზოგადოებრივმა ჩართულობამ და მოქალაქეობრივმა აქტივობამ შედეგი გამოიღო და 1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა პირველი უმაღლესი სასწავლებელი კავკასიაში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საბჭოთა პერიოდი: სამოქალაქო საზოგადოების გაქრობის პროცესი

1921 წლის საბჭოთა ოკუპაციის შედეგად, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ის საფუძვლები და პერსპექტივები, რაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ იქმნებოდა, პრაქტიკულად, მთლიანად განადგურდა. საბჭოთა ტოტალიტარულმა მანქანამ, მთლიანად შთანთქა ის, რასაც ჰეგელი ადამიანთა ყოფიერების მეორე დონედ გამოყოფდა – ეგრეთ წოდებული გამტარები – რგოლი, რომელიც შუამავალ ფუნქციას ასრულებდა სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის. შესაბამისად, მოქალაქე პირისპირ აღმოჩნდა სახელმწიფოსთან. სახელმწიფომ შთანთქა ადამიანთა თავისუფალი გაერთიანების ყველა დონე და საფეხური. ამგვარ სიტუაციაში, ძირითადად ოჯახმა იკისრა ის ფუნქციები, რასაც სამოქალაქო საზოგადოების თუ სხვა ნებაყოფლობითი გაერთიანებების ინსტიტუტები ასრულებდნენ. ჩვენს მიერ ზემოთ უკვე განხილული შემაკავებელი ტიპის სოციალური კაპიტალი, განსაკუთრებით სწორედ ამ პერიოდში ძლიერდება. ოჯახურ-ნათესაური კავშირების როლი და ფუნქცია ტოტალიტარიზმის ხანაში პოულობს მძლავრ განვითარებას. ადამიანებს, რომლებსაც წართმეული აქვთ თავისუფალი გაერთიანებისა და ასოციაციების შექმნის ყველანაირი უფლება, ერთადერთ თავისუფალ აქტივობის წრედ – ოჯახი, სამეგობრო და სანათესაო კავშირები რჩებათ. საბჭოთა პერიოდში არაერთი სხვადასხვა ფორმალური ტიპის გაერთიანება იქმნებოდა, მაგალითად, მწერალთა კავშირი, მხატვართა კავშირი, კომპოზიტორთა კავშირი და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად, მოცემული კავშირები დამოუკიდებელი და თავისუფალი ასოციაციები იყო, რეალურად, ისინი ხელისუფლების მიერ შექმნილ, დაფინანსებულ და, შესაბამისად, კონტროლირებად ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ. ამიტომ მათი, როგორც სამოქალაქო საზოგადოების სეგმენტების განხილვა არ მიგვაჩნია უპრიანად. კონტროლი მოცემული ტიპის ორგანიზაციებზე იზრდებოდა და სუსტდებოდა თავად საბჭოთა ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესებისდა შესაბამისად. მსგავსი კავშირები, როგორც წესი, ხელისუფლების მიერ ამა თუ იმ ქმედების ლეგიტიმაციისთვის გამოიყენებოდა. ხშირად, მოცემული კავშირები და გაერთიანებები „დამოუკიდებლად“

მიიღებდნენ ამა თუ იმ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, რაც, როგორც წესი, ხელისუფლებისგან იყო ინსპირირებული და საბჭოთა მთავრობის ნების აღსრულებას უფრო წააგავდა, ვიდრე ორგანიზაციების დამოუკიდებელ, ნებაყოფლობით გადაწყვეტილებას. მაგალითისთვის კმარა, თუნდაც, მიხეილ ჯავახიშვილისა და გრიგოლ რობაქიძის მწერალთა კავშირიდან გარიცხვა.

ტოტალიტარიზმის წნეხის შესუსტების შემდეგ, მართალია სუსტად, მაგრამ მაინც, 1970-იანი წლებიდან ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული ჩანასახები ჩნდება. იწყება დისიდენტური მოძრაობა, იქმნება იატაკქვეშა ორგანიზაციები და არალეგალური პოლიტიკური პარტიები, მაგალითად „ჰელსინკის კავშირი“, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და სხვ. რომლებსაც თავიანთი იატაქვეშა საქმიანობით და აქტივობებით მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული წვლილი შეჰქონდათ მოქალაქეთა ეროვნულ და სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებაში. ამ პროცესებში განსაკუთრებული და თვისებრივად გამორჩეული ადგილი უჭირავს 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებს, რომელიც თავისი მასშტაბებით და შედეგებით უნიკალური მასალას იძლევა სამოქალაქო აქტივიზმის შესწავლის კუთხით.

ჩანართი 3.9. საბჭოთა საქართველოს ამბავი. 1978 წლის კონსტიტუცია

1978 წელს გამოქვეყნდა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი. პროექტის მე-7 თავის 75-ე პარაგრაფი გამოიყურებოდა: „საქართველოს სსრ რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის.“ ამგვარად, პროექტის მიხედვით, ქართული ენა კარგავდა სახელმწიფო ენის სტატუსს და თანაბრდებოდა საქართველოში არსებულ სხვა ენებთან. ეს იყო სტანდარტული ვარიანტი, რომელიც ყველა რესპუბლიკას შესთავაზეს. საქართველოსთან მიმართებით არსებითი სხვაობა და სიტუაციის გამწვავების მიზეზი კი ის იყო, რომ კონსტიტუცაიის ძველ ვარიანტში, ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს ატარებდა.

საბჭოთა ხელისუფლება საერთაშორისო საზოგადოებასა და თავად საკუთარი ქვეყნის მოსახლეობაში ქმნიდა იმის წარმოდგენას, რომ გადამწყვეტი სწორედ ხალხის მოსაზრება იყო. შესაბამისად, კონსტიტუციაში შესატან ნებისმიერ ცვლილებას და თავად ახალ კონსტიტუციის პროექტსაც საერთო სახალხო განხილვა უნდა გაევლო და მხოლოდ „ხალხის თანხმობის“ შედეგად მოხდებოდა მისი მიღება. შესაბამისად, საჯარო განხილვის პროცედურების გავლა მოცემული კონსტიტუციის პროექტსაც შეეხო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ენათმეც-

ნიერების ინსტიტუტი და მწერალთა კავშირი ამ განხილვების მოთავეები იყვნენ. განხილვებში აქტიურად ჩაერთო სტუდენტი ახალგაზრდობა და მაშინდელი ქართული ინტელიგენცია. განხილვები საბოლოოდ, მასობრივ სახალხო საპროტესტო დემონსტრაციაში გადაიზარდა, რომელიც 1978 წლის 14 აპრილს, საკანონმდებლო ორგანოში პროექტის განხილვის დღეს მოეწყო. საბოლოო ჯამში, მძლავრმა სამოქალაქო აქტივიზმმა შედეგი გამოიღო და საბჭოთა ხელისუფლებას მოუწია უკანდახევა და დათმობაზე წასვლა. პროექტში წარდგენილი 75-ე მუხლი შეიცვალა და ასეთი სახე მიიღო: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული. საქართველოს სსრ რესპუბლიკა ახორციელებს ზრუნვას ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისთვის და უზრუნველყოფს მის ხმარებას სახელმწიფო, საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებში“ (საქართველოს სსრ კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), 1978 წ., თავი მეშვიდე, მუხლი 75).

ფოტოზე გამოსახულია 1978 წლის 14 აპრილს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში შეკრებილი ათასობით მოქალაქე, რომლებიც კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილების განხორციელებას აპროტესტებენ.

წიგნში “1078.14 აპრილი” გადმოცემულია ქართული ენის დასაცავად გამართულ მასობრივ მსვლელობაში მონაწილეთა ზეპირი ისტორიები, რაც ყველაზე კარგად გვიქმნის მაშინდელ მოვლენებზე სრულ წარმოდგენას – ასე ჩასწორდეს.

„სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი. 14 აპრილს აქციაზე მეც ვაპირებდი გასვლას, როგორც ჩვეულებრივი მონაწილე. თუმცა, ისე მოხდა, რომ ამ დღეს თეატრალურ უნივერსიტეტში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის აგენტების მიერ ჩატარებულ დაკითხვაზე ჩაკეტილი აღმოვჩნდი. გარეთ რომ გამოვედით, აქცია უკვე დაშლილი იყო, ქუჩაში ადამიანები გახარებულები და ცოტა დაბნეულები ჩანდნენ. მაგრამ მახსოვს, რომ მაშინ, 18 წლისამ პირველად ვიგრძენი თავი მოქალაქედ.“ (მერი ტორაძე, მასწავლებელი). (1978/14 აპრილი, 2012, რედ. ბაქანიძე, გვ. 18).

„წინა დღეების მღელვარების მიხედვით ყველამ ვიცოდით, რომ 14-ში რაღაც მასშტაბური მოხდებოდა. მე ჩემი სტუდენტები არასდროს მიმიტოვებია და ვერც იმ დღეს მივატოვებდი. ახალგაზრდა ლექტორებთან ისინი უფრო გახსნილები იყვნენ, მათთან ვმეგობრობდი კიდეც. დილით ძალიან ადრე მივედი უნივერსიტეტში, 7-ის ნახევარი იქნებოდა.

ეზოში ქვიშის დიდი წითელი გორები იდგა. როგორც ჩანს, სპეციალურად მოაწყვეს, რომ ხალხი არ შეკრებილიყო. მაგრამ რამდენიმე საათში, 9–10 საათისთვის, იქ 30 000–მდე ადამიანი შეგროვდა. მთავრობის სასახლის წინ კი უკვე 60 000–ზე მეტი ადამიანი მაინც იქნებოდა შეკრებილი და ყველა ელოდა, რომ მთავრობა ძალას გამოიყენებდა. იმ დილით მეუღლეს მეც დავემშვიდობე. იმედი არ მქონდა, რომ უკან ცოცხალი დავბრუნდებოდი. ყველამ ვიცოდით, რომ მერვე პოლკი თბილისში იმყოფებოდა და მთავრობის სასახლესთან შეიარაღებული ჯარისკაცები იდგნენ.“ (მერაბ ვაჩნაძე, ისტორიკოსი). (1978/14 აპრილი, 2012, რედ. ბაქანიძე, გვ. 34).

„14 აპრილს საოცარი სანახავი იყო, თუ როგორ მოდიოდა ყოველი მხრიდან ახალგაზრდობა. მოსალოდნელი საშიშროების ფონი რომ არა, ეს მოგაგონებდა სახალხო ზეიმს, საბედნიეროდ, ყველაფერი მართლა ზეიმად იქცა და დემონსტრაცია მშვიდობიანად დამთავრდა.“ (გია ალიბეგაშვილი). (1978/14 აპრილი, 2012, რედ. ბაქანიძე, გვ. 45).

მოგვიანებით, თავად მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ედუარდ შევარდნაძე აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით იხსენებდა:

„უკვე მესმოდა: დედა ენა! დედა ენა! მაშინ მე თავი გავწირე, გამოვაცხადე, რომ მივიღეთ გადაწყვეტილება ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის შენარჩუნების შესახებ. მიკროფონი ხომ ჩართული იყო, მაგრამ ბავშვებს ეს არ სჯეროდათ. მანამდე კი, უზენაესი საბჭოს ეზოში რომ შევედი, ტანკები დამხვდა. უშიშროების უფროსმა ალექსი ინაურმა მითხრა, ეს მოსკოვის ბრძანებაა საქართველოს მთავრობის დასაცავადო. დედაენა რომ არ შეგვენარჩუნებინა, თბილისში სისხლი დაიღვრებოდა. ეს იყო საერთო გამარჯვება. ამის გამო სუსლოვთან დაგვიბარეს მე, ზურაბ პატარიძე, გენადი კოლბინი და პავლე გილაშვილი. სუსლოვს შენიშვნები გაეკეთებინა ფურცელზე, საქართველოში ნაციონალიზმი ყვავის და პარტია ამას ყურადღებას არ აქცევსო. ამ დროს ბრეჟნევმა დარეკა. სუსლოვმა უთხრა, პოლიტბიუროს სხდომაზე საქართველოს საკითხი უნდა გავიტანოთ, რადგან ცეკას დადგენილება არ შეასრულესო, მაგრამ ბრეჟნევმა არ გაატანინა.“ (1978/14 აპრილი, 2012, რედ. ბაქანიძე, გვ. 29).

12.2. სამოქალაქო საზოგადოება თანამედროვე საქართველოში

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველო, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზას დაადგა, არაერთი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, საშინაო და საგარეო პრობლემებთან ერთად, ქვეყანა სამოქალაქო საზოგადოების შექმნისა და განმტკიცების აუცილებლობის წინაშეც დადგა. როდესაც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების კუთხით არცთუ დიდად სახარბიელო მდგომარეობაზე საუბრობენ, ბევრ სხვადასხვა ფაქტორთან ერთად, ხშირად, ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების სისუსტესა და მყიფე სოციალურ კაპიტალზეც მიუთითებენ. შუა საუკუნეებში, საქართველოში ევროპის მსგავსად, არსებობდა სავაჭრო გილდიები, ამქრები ხელოსანთა გაერთიანებები. მე-19 საუკუნეში, როგორც უკვე წინა პარაგრაფში ვნახეთ, არაერთი გაერთიანება, კულტურულ-საგანმანათლებლო ტიპის საზოგადოება, დაწყებითი სასწავლებელი, საკვირაო სკოლა თუ დამოუკიდებელი ჟურნალ-გაზეთი წარმოიქმნა და საკმაოდ წარმატებითაც ფუნქციონირებდნენ, თუმცა, ბოლშევიკურმა ოკუპაციამ ჩაკლა სამოქალაქო საზოგადოების შემდგომი განვითარების პერსპექტივა. ამიტომ, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყანას, სამოქალაქო საზოგადოების კუთხით ნამდვილად მწირი ნიადაგი ჰქონდა.

ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტზე – ასოციაციებზე, რელიგიურ კავშირებზე, პარტიებზე, მასმედიასა თუ პროფკავშირებზე.

დღევანდელ საქართველოში სამოქალაქო სექტორის რამდენიმე ძირითადი და მეტ-ნაკლებად აქტიური მიმართულება შეიძლება გამოიყოს:

1. არასამთავრობო ორგანიზაციები. ქვეყანაში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსად, სამოქალაქო სექტორის განვითარების ძირითადი წილი არასამთავრობო ორგანიზაციებზე, ე.წ. „ენჯეოებ“-ზე მოდის. 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული ინტენსიურად იქმნება სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია. 2002-2003 წლების მონაცემებით, ქვეყანაში 3 000-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია იყო დარეგისტრირებული. ბოლო, 2014 წლის მონაცემებით კი, მათმა რაოდენობამ 9 000 გადააჭარბა. არასამთავრობო ორგანიზაციათა მსგავსი ტემპებით ზრდა სულაც არ მეტყველებს მათ რეალურ ქმედითუნარიანობაზე. ეს სპონტანურ და ქაოტურ პროცესს უფრო ასახავს, ვიდრე სამოქალაქო სექტორის რეალურ სიძლიერეს. ფაქტობრივად, დარეგისტრირებული ორგანიზაციებიდან მხოლოდ რამდენიმე ათეული თუ არის მოქმედი. არასამთავრობო ორგანიზაციების მსგავს ზრდას ხელი შეუწყო დასავლეთის, განსაკუთრებით კი აშშ-ს მხრიდან ფინანსურმა მხარდაჭერამ. ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, პოსტკომუნისტურ საქართველოშიც, დასავლურმა სახელმწიფოებმა დემოკრატიის დანერგვისა და გამყარების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად სამოქალაქო სექტორის განვითარებისთვის ხელშეწყობა მიიჩნიეს. შესაბამისად,

სწორედ დასავლეთიდან წამოსული დიდი ფინანსური დახმარებისა და გრანტების გაცემის შედეგად ქვეყანაში წახალისდა არასამთავრობო ორგანიზაციების, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ, მესამე სექტორის გაფართოება. მოცემული ფაქტი სამოქალაქო საზოგადოების გარკვეულწილად, მოწყვლადობაზე მეტყველებს. ის, რომ არასამთავრობო სექტორი ქვეყნის გარედან ფინანსდება ხშირად, ბევრ კითხვას წარმოქმნის ქვეყნის მოსახლეობაში. რამდენად აქტუალურია ის საკითხები, რასაც სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი სეგმენტი, არასამთავრობო ორგანიზაციები წამოსწევენ წინ? ვის ინტერესებს ემსახურება ესა თუ ის არასამთავრობო ორგანიზაცია? როგორია, თითოეული აქტივობის შემთხვევაში „დამკვეთის“ ინტერესი და რამდენად ადეკვატურად ასახავს ის ქართულ რეალობას ან რამდენად შეესაბამება საზოგადოებრივ ინტერესებს? ეს და არაერთი სხვა კითხვა სწორედ ქვეყნის გარედან მიღებული დაფინანსების გამო, ხშირად ჩნდება მოსახლეობაში.

საქართველოში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ძირითადად, მიმართულია ადამიანის უფლებათა დაცვის, საგანმანათლებლო და სამოქალაქო განათლების, სოციალური კეთილდღეობისა და ჯანდაცვის კუთხით. არასამთავრობო სექტორის აქტივობა ასევე თვალშისაცემია საარჩევნო პროცესებზე დაკვირვებისა და მონიტორინგის, ისევე როგორც, ზოგადად, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე აქცენტირების კუთხით. უკანასკნელ პერიოდში აშკარად იმატა გარემოსა და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობებმაც. ამის მაგალითებია არაერთი საკმაოდ ფართომასშტაბიანი გამოსვლა და მოძრაობა: „არა ხუდონჰესს“, „არა პანორამა თბილისს“, „დაიცავი ვაკის პარკი“, და. ა.შ.

2. პროფკავშირები. პროფესიული გაერთიანებები ქვეყანაში პრაქტიკულად, ყველა პროფესიის წარმომადგენლებს შორის გვხვდება. თუმცა, სხვადასხვა პროფესიული კავშირი, საერთო ჯამში, ერთიანი პროფკავშირების შემადგენლობაში არიან გაერთიანებულნი. ამ

ტოტალიტარიზმი – პოლიტიკური რეჟიმი, რომლის პირობებშიც სახელმწიფო არეგულიებს საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროს. ხელისუფლება პრეტენზიას აცხადებს საზოგადოების ინტერესების სრულად გამოხატვაზე. მისი ლეგიტიმურობა დამყარებულია ძალადობრივ მექანიზმებზე. გამოყოფენ ტოტალიტარიზმის რამდენიმე ძირითად მახასიათებელს:

- *ხელისუფლების უკიდურესი ცენტრალიზაცია რომელიმე პიროვნების, პიროვნებათა ჯგუფის ან პარტიის ხელში.*
- *მონოპოლიური იდეოლოგია, რომელიც მიმართულია არსებული პოლიტიკური რეჟიმის გამართლებისკენ.*
- *ერთპარტიული სისტემა.*
- *რეპრესიული, ძალისმიერი პოლიტიკა, რომლის მეშვეობითაც კონტროლირდება ადამიანთა საქმიანობის ყველა სფერო.*
- *ინდივიდუალური თავისუფლება მთლიანად „შთანთქმულია“ საზოგადოებრივი ინტერესების მიერ. არ არსებობს არც სამოქალაქო საზოგადოება. ინდივიდუალური და საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროს სახელმწიფო აკონტროლებს.*

ტოტალიტარული მმართველობები მეოცე საუკუნის მოვლენაა. განასხვავებენ მის ორ ძირითად ტიპს: მემარჯვენე ტოტალიტარიზმი, რომლის გამოვლინებაა ფაშისტური იტალია, ნაცისტური გერმანია და ფრანკოს პერიოდის ესპანეთი და მემარცხენე ტოტალიტარიზმი – სსრკ სტალინის მმართველობის პერიოდში.

უკანასკნელის აქტივობები, პრაქტიკულად, ნაკლებად ასოცირდება დამოუკიდებელ საქმიანობასთან. პროფკავშირების დიდი ნაწილი ფორმალური ტიპის კავშირებია და მასში გაერთიანებული მოქალაქეები ნაკლებად ენდობიან იმ სტრუქტურას, რომლის წევრებიც არიან. ხშირად, მათ წარმოდგენაც კი არ აქვთ, თუ სად და რაში იხარჯება მათი ხელფასიდან პროფკავშირის ანგარიშზე ყოველთვიურად ჩარიცხული თანხები. მართალია, უკანასკნელ პერიოდში პროფკავშირების აქტივობის აშკარა ზრდა შეინიშნება, მაგალითად, მოეწყო რკინიგზის მუშაკთა, ტყიბულის მაღაროელების, სამარშრუტო ტაქსის მძღოლების, ფოთის პორტის თანამშრომლების გაფიცვები, თუმცა, ძირითადად, მსგავსი ტიპის გაფიცვები ნაკლებად კოორდინირებულია და სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ ან მხოლოდ ნაწილობრივ თუ აღწევს მიზანს. საერთო ჯამში, ამ ეტაპზე, პროფკავშირები, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი სეგმენტი, ქვეყანაში ჯერაც საკმაოდ სუსტია.

3. მასმედია. მასობრივი მედიასაშუალებების, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტის როლი საქართველოს უახლოეს ისტორიაში ალბათ ყველაზე თვალშისაცემი და აშკარაა. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ დაიმონდი სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიულ ფუნქციებზე საუბრისას, უმნიშვნელოვანეს როლს საზოგადოების ინფორმირებულობასა და მობილიზებაში სწორედ მედიასაშუალებებს ანიჭებს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყანაში რამდენიმე დამოუკიდებელი ტელევიზია და ჟურნალ-გაზეთი შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ 1990 წლების ბოლოდან მოყოლებული, ქვეყანა ეკონომიკურ-სოციალურ და პოლიტიკური განვითარების კუთხით პრაქტიკულად, სტაგნაციაში იმყოფებოდა, ხოლო სახელმწიფო ინსტიტუტების ყველა დონეზე კორუფცია ფართოდ იყო გავრცელებული, სიტყვის თავისუფლების კუთხით მეტ-ნაკლებად დადებითი სიტუაცია იყო. შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში წლების მანძილზე დამოუკიდებელი მედიასაშუალებები საკმაო თავისუფლებით სარგებლობდნენ. თუმცა, 2002 წელს, შევარდნაძის ხელისუფლების მიერ დამოუკიდებელი ტელევიზიის, „რუსთავი 2-ის“ მიმართ განხორციელებულმა ქმედებებმა დიდი რეზონანსი და პროტესტი გამოიწვია მოსახლეობაში. ამან ხელისუფლება იძულებული გახადა უკან დაეხია. შემდგომში, სწორედ „რუსთავი 2“-მა შეასრულა საზოგადოების ინფორმირებულობისა და მობილიზაციის ფუნქცია, რამაც საბოლოო ჯამში, 2003 წლის ნოემბრის რევოლუციამდე მიიყვანა ქვეყანა. ანალოგიურად, 2007 წლის 7 ნოემბერს „იმედის“ ტელევიზიაში სპეცრაზმის შეჭრამ და ხელისუფლების მიერ მასზე განხორციელებულმა ძალადობრივმა ქმედებებმა (შეჭრა, დარბევა, დახურვა) ერთ-ერთი მთავარი კატალიზატორის როლი ითამაშა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების (ნაციონალური მოძრაობის) საწინააღმდეგო განწყობების გაძლიერებაში. ამას ხელს უწყობდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღნიშნული ქმედების მწვავედ გაკრიტიკება და როგორც დემოკრატიის პრინციპებთან შეუსაბამო ქმედებად შეფასება.

ანალოგიურად, 2012 წლის არჩევნების წინა პერიოდში, რომელსაც შედეგად ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის პირველი შემთხვევა მოჰყვა, მობილიზაციისა და სამოქალაქო აქტივობის გაზრდის კუთხით პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, უდიდესი და გადამწყვეტი როლი დამოუკიდებელმა ტელეარხებმა: „მაესტრომ", „კავკასიამ" და „ინფო 9-მ" ითამაშეს[1].

ჩანართი 3.10. გუდიაშვილის სკვერის ამბავი

თბილისის ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ძეგლი, გუდიაშვილის სკვერი, რომელიც ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეყვანილი, 2011 წელს ხელისუფლებამ რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის მიზნით გადასცა ავსტრიულ კომპანიას Zechner & Zechner-ს. როგორც გაირკვა, აღნიშნული კომპანიის მიერ დაგეგმილი სარესტავრაციო ცვლილებების შედეგად სკვერი კარგავდა თავის ისტორიულ იერსახეს. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფდა სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელებულ ინფორმაციას გუდიაშვილის სკვერის ისტორიული სახის შესაძლო დაკარგვასთან დაკავშირებით, არასამთავრობო სექტორის ინიციატივით, სოციალური ქსელის მეშვეობით დაიგეგმა საპროტესტო აქცია: „დაიკავე გუდიაშვილი". 2011 წლის 24 დეკემბერს გამართული აქციის ორგანიზატორი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ტფილისის ჰამქარი." სამოქალაქო სექტორის მიერ წამოწყებულმა მოძრაობამ თანდათანობით ფართო ხასიათი მიიღო და მასში აქტიურად ჩაერთნენ რიგითი მოქალაქეები. გუდიაშვილის სკვერის დასაცავად აქციები რამდენიმე წლის მანძილზე, გარკვეული პერიოდულობით იმართებოდა. მშვიდობიანი აქციის ფარგლებში ეწყობოდა გამოფენა-გაყიდვები, სხვადასხვა წარმოდგენა და ა.შ. საბოლოო ჯამში, სამოქალაქო სექტორის ინიციატივით დაწყებული კამპანია წარმატებით დასრულდა. გუდიაშვილის სკვერსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოცხადდა კონკურსი ე.წ. საკონსერვაციო გეგმაზე, ეს არის პირველი შემთხვევა თბილისში, როცა ქალაქი მსგავს დოკუმენტს აკეთებს. მოცემული კონცეფცია საინტერესოა იმითაც, რომ იგი ითვალისწინებს არა მარტო თითოეული სახლის, არამედ ტერიტორიის კომპლექსურ რეაბილიტაციას.

[1] თუ არ ჩავთვლით 1990 წლის არჩევნებს, როდესაც გამსახურდიამ უდიდესი უპირატესობით სწორედ არჩევნებში დაამარცხა კომუნისტური ხელისუფლება. თუმცა, მოცემულ შემთხვევას თვისებრივად განსხვავებულ ისტორიულ-პოლიტიკურ კონტექსტში ჰქონდა ადგილი.

ჩანართი 3.10. სამოქალაქო აქტივიზმის ამბავი

სამოქალაქო აქტივიზმის კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა 2015 წლის 13 ივნისის ღამეს თბილისში დატრიალებული სტიქიური უბედურების შემდგომი მოვლენები, როდესაც მოხალისეები დამოუკიდებლად, ყოველგვარი ლიდერის ან სპეციალური მოწოდების გარეშე სტიქიის ღამესვე დაიძრნენ დაზარალებულების დასახმარებლად, ხოლო მომდევნო დღეებში კი უკვე ათასობით მოხალისე, რომელთა შორის უმრავლესობა ახალგაზრდები იყვნენ, დღეების განმავლობაში თავდაუზოგადავად მუშაობდა სტიქიის შედეგად დაზარალებული ქალაქის სხვადასხვა უბანში. ეს არ ყოფილა სამოქალაქო სექტორის რომელიმე სეგმენტის მიერ დაგეგმილი აქცია, ეს იყო თვითრეგულირებადი და თვითდაგეგმილი მოქალაქეობრივი ვალის მოხდის აქტი. მოხალისეთა მსგავსი მასშტაბების აქტივობა და ორგანიზებულობა საქართველოს უახლეს ისტორიას ნამდვილად არ ახსოვს.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თავისებურებებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მასში შესაძლებელია რამდენიმე ფაზის გამოყოფა:

1. 1990-იანი წლები, როდესაც იქმნება და ფუნქციონირებას იწყებს სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ინსტიტუტი, თუმცა ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოება პასიურობით ხასიათდება და ვერ და არც ახდენს ინტერესთა შესაბამის აგრეგირებასა და არტიკულირებას;

2. 2000-იანი წლების დასაწყისი. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მკვეთრი გააქტიურების ხანა, რაც ფართომასშტაბიან სახალხო აქტივობაში გადაიზარდა და შედეგად, ვარდების რევოლუცია მოიტანა;

3. ვარდების რევოლუციის შემდგომი ერთგვარი სტაგნაციის პერიოდი, როდესაც სამოქალაქო სექტორის აქტიური წევრები ტოვებენ სამოქალაქო სექტორს და გადადიან ხელისუფლებაში. დაიმონდის ხედვისგან განსხვავებით, რომელიც მსგავს შემთხვევებს დემოკრატიის გამყარების ხელშემწყობ ფაქტორად განიხილავს, სამოქალაქო სექტორიდან აქტივისტთა ხელისუფლებაში გადასვლამ ხელისუფლებაში დემოკრატიული ინსტიტიუტების გამყარებაზე მეტად, შედეგად სამოქალაქო სექტორის დასუსტება უფრო მოიტანა. მეორე მხრივ, თავად ხელისუფლებამ არა მხოლოდ შეასუსტა კავშირი სამოქალაქო სექტორთან, არამედ, ხშირ შემთხვევაში, სრულად უგულვებელყოფდა მის რეკომენდაციებს და უზღუდავდა სამოქმედო სივრცეს;

4. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ მოსული ხელისუფლება გარკვეულწილად, ცდილობს შეცვალოს სამოქალაქო სექტორის მი-

მართ დამოკიდებულება. ამ მხრივ, უდიდეს როლს თამაშობს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც ხელისუფლებას სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობას ავალდებულებს. 2013 წლის დეკემბერში პარლამენტისა და 160-ზე მეტმა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ ურთიერთშორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში გაიზარდა საკანონმდებლო ორგანოსა და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის ხარისხი. პარლამენტი სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კონცეფციაზე თავად სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად მუშაობს. გაიზარდა სამოქალაქო სექტორის როლი ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საჯარო თანამდებობის პირის კანდიდატურის არჩევისას. მაგალითად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევის პროცესში აქტიურად იყო ჩართული სამოქალაქო სექტორი.

სოციალური კაპიტალი: ხელისშემშლელი ფაქტორები და პერსპექტივები

სამოქალაქო სექტორის განვითარებაზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით ვერც სოციალურ კაპიტალს. სოციალური კაპიტალი, როგორც ბაზისი მყარი სამოქალაქო საზოგადოების შექმნისთვის, თანამედროვე საქართველოსთვის ასევე პრობლემას წარმოადგენს. ამ მხრივაც, საქართველო ნამდვილად არ არის გამონაკლისი შემთხვევა. კომუნისტური წარსული აქაც თავის როლს თამაშობს.

2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულ მზიურის ტერიტორიაზე მომუშავე მოხალისეები.

ჩანართი 3. 11. „შავი ქვა“

„ერთხელ ვიღაც ბორდოელი ვაჭრები მოსულიყვნენ ჩვენში, დაეთვალიერებინათ, ადგილობრივ გაესინჯათ შავი-ქვა და დაღლილ-დაქანცულები მოგვადგნენ კარზე. ჩვენ ჩვეულებისამებრ პატივი ვეცით უცხო სტუმრებს და მოვუსვენეთ იმ ღამეს სასტუმროში.... რამდენიმე დღეს დარჩნენ ჩვენსა სტუმრები და მამაჩემი ისე მიეჩვია, რომ ხანდახან მუნჯურათაც-კი ანიშნებდნენ ხოლმე ერთმანეთს.... როდესაც ბორდოელებმა წასვლა გადაწყვიტეს, მთხოვეს, რომ პირობა შემეკრა მათთან შავი ქვის შესახებ, მაგრამ რადგანაც მამულები მამაჩემისა იყო, კანონით იმასთან უნდა შეეკრათ პირობა. აქაც ერთი ახირებული ამბავი მოხდა. სხვათა შორის, პირობაში ისიც იყო მოხსენებული, რომ წლამდე ჩვენ სხვას ვერ

გადავვცემდით მადანს სამუშაოდ და თუ ამ ხნის განმავლობაში ისინი აღარ მოვიდოდნენ, მაშინ-კი ხელგახსნლნი ვიქნებოდით. ხელის მოწერაზე რომ მიდგა საქმე, მოხუცმა მასპინძელმა იწყინა და ასე სთქვა: „ეგ რაღა საჭიროა? თუ სიტყვას ძალა დაუკარგავს და სანდო აღარ არის? თუ კი ვინმე იმ ღვთის მოცემულს ნიჭს ენას უმტყუნებს და სიტყვას გასტეხს, კაცის ხელით გაკეთებულს მაგ პატარა ქაღალდს რაღად იწამებსო! აბა მე ძველი კაცი ვარ, ჩვენის მეფეების მომსწრე, და ისე ვწირავ, როგორც დღემდი მიწირავსო. მე ჩემს სიტყვას არ შევცვლი და თქვენ თქვენი იციოთო,“ ეს სთქვა და დასამტკიცებლად ულვაშზე გადაისვა ხელი. ფრანცუზები გაოცებით მისჩერებოდნენ, და როდესაც მე ავუხსენი მათ, თუ რას ნიშნავდა ჩვენში ძველად ულვაშზედ ხელის გადასმა და რა დიდი აღთქმა იყო, ბაზილმაც მაშინვე, თავის მხრითაც, დარბაისლურად გადაისვა ხელი ულვაშზედ და ახალგაზრდა პონშარმა-კი სიცილითა სთქვა: „მე რომ ჯერ არც კი მეტყობა ულვაში, არ უნდა გადავისვა ხელიო? მაგრამ მასპინძლისგან ეს პასუხი მიიღო: „ვისაც ულვაში სწამს, ის არც საულვაშეს უღალატებსო!“ და გადაასმევინა ხელი. ამით გათავდა იმათი პირობა და ხელშეკრულება! წლის განმავლობაში ყოველ დღე მოუთმენლად ელოდა მამაჩემი თავის ნაცნობ სტუმრებს, ერთი წელიწადიც კიდევ პაემანზე მეტი უცადა და, რომ მაშინაც აღარ მოვიდნენ, როგორღაც დაფიქრდა... ამასობაში სხვებმა, ვისაც კი ჰქონდა შავი-ქვა, მუშაობა დაიწყეს და ჩვენ კი მხოლოდ ბორდოელების შემჩერე ვიყავით. ერთხელ ჩემმა უფროსმა ძმამ მოახსენა მამას: „ბატონო! ქვეყანა გაკეთდა ამ შავი ქვით და ჩვენ-კი ვსხედვართ გულ-ხელ დაკრებილი და ფრანცუზებს ვუცდითო! ეგების ისინი ახლა ცოცხალიც აღარ იყვნენო! ამას წინად ომი ჰქონდათ გერმანელებთან, შეიძლება იმ ომში მოჰკლესო!“ ჰმ, სწორედ მაგრე იქნება, მამაჩემი ნუ წამიწყდება... თორემ მე რომ ის ხალხი მიცვნია, ცოცხალი პირობას არ გასტეხდნენო... ისე შეიცხადა, როგორც ნამდვილი ნათესავები და მეგობრები და ბოლოს, როცა მოიგლოვა, იკითხა: იქაურის კანონით ხომ შვილები იქნებიან მათი მემკვიდრეები და ყოველი გვარი მოვალეობაც შვილებზე გადადისო. ჩვენ დასტური მივეცით, მაგრამ ესეც კი დავამატეთ, რომ ულვაშების მემკვიდრეობა არ იციან იმ ქვეყანაში-თქო. არაო, მე მაინც ობლებს უნდა მოვუცადო, სანამ დაიზრდებიანო, სთქვა და გაათავა. სიტყვის შებრუნება ტყუილი იქნებოდა. მას შემდეგ რამდენიმე წელი იცოცხლა მამაჩემმა და ვინც უნდა მოსულიყო შავ-ქვაზე ყველას ამას ეუბნებოდა! „სხვასთან მაქვს საქმე დაჭერილი და გათავებულიაო! „როცა კვდებოდა, მიმიხმო და მითხრა: „შვილო ერთი ანდერძი მინდა დაგიდო და შემისრულეო! სანამ ობლები არ დაიზარდნენ, შავ-ქვას ნურავის გადასცემთო!“ ჯერაც არ გასულა ოცდაერთი წელიწადი, ნიშანი სრულწლოვანებისა, და მეც ვიცდი...“ („შავი ქვა“, აკაკი წერეთელი, 2012, გვ. 73-74)

მარკ ჰოვარდი, პოსტკომუნისტური სივრცის ცნობილი მკვლევარი მოცემულ სივრცეში სოციალური კაპიტალის დაბალ მაჩვენებლებზე საუბრისას გამოყოფს სამ უმთავრეს მიზეზს.

კომუნისტური წარსული და გამოცდილება – ეს არის უმთავრესი მიზეზი, რის გამოც მოქალაქეები უნდობლობით არიან განმსჭვალულნი ნებისმიერი ჯგუფური საქმიანობის, გაერთიანებისა თუ აქტივობის მიმართ. ადამიანებს არ ან ძალიან ნაკლებად სურთ გაწევრიანდნენ რაიმე ტიპის ჯგუფში. მსგავსი დამოკიდებულება ძნელი ასახსნელი არ არის. საბჭოთა პერიოდის გამოცდილებიდან გამომდინარე, ადამიანები სხვადასხვა გაერთიანებაში საკუთარი ნებით არ ერთიანდებოდნენ და მათი იქ „მოღვაწეობა“ სრულიად არათავისუფალი, არანებელობითი აქტი იყო. შესაბამისად, სისტემის ნგრევის შემდეგ, როდესაც გაქრა იძულებითი გაერთიანებების მექანიზმები, ადამიანებს ნაკლებად უჩნდებათ რაიმე ორგანიზაციაში გაერთიანების სურვილი.

კომუნისტურმა ეპოქამ, რომელიც პრაქტიკულად, სრულად შთანთქავდა სამოქალაქო აქტივიზმის რაიმე გამოვლინებას, ხელი შეუწყო ჯგუფურ/კლანური გაერთიანებების ჩამოყალიბებას, იმას, რასაც „შემაკავებელ სოციალურ კაპიტალსაც უწოდებენ“. შესაბამისად, ოჯახებმა, სამეგობროებმა და ვიწრო ნათესაურმა კავშირებმა დაიკავეს სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური კაპიტალის „ფართო ბაზარი“. ადამიანები საკუთარი თავის რეალიზებას პოულობდნენ უახლოეს სამეგობრო და სანათესაო წრეებში, რომლის ფარგლებშიც ასევე ხშირად ახორციელებდნენ ეკონომიკურ საქმიანობას. აღნიშნული ტიპის ურთიერთობები კიდევ უფრო გამყარდა პოსტკომუნისტურ ხანაშიც. საქართველოს მაგალითზე, დღემდე, ძალიან ხშირად, ნებისმიერ სფეროში, განსაკუთრებით კი ეკონომიკურ საქმიანობაში კვლავაც ვიწრო კლანურ – სამეგობრო წრისადმი ნდობის ხარისხი ბევრად მაღალია, ვიდრე ამ წრის გარეთ მდგომი ადამიანებისადმი (მაგ. მჭიდრო, შიდაჯგუფურ სოლიდარობაზე მიუთითებს კავკასიის კვლევის რესურსების ცენტრის მიერ 2012 წელს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევა, რომლის მიხედვითაც, რესპოდენტთა 93% ამბობს, რომ საჭიროების შემთხვევაში მიმართავს ოჯახს, ხოლო 80% კი – მეგობრებს) (მოხალისეობა საქართველოში, კვლევის დასკვნები და რეკომენდაციები, Caucasus Research Resourse Centre, 2012).

თუკი დასავლურ ქვეყნებში ასოციაციებში ადამიანების გაერთიანების ერთ-ერთი მიზეზი მათ მიერ სანაცნობო წრის გაფართოება და გაზრდაცაა, საქართველოს შემთხვევაში (ისევე როგორც სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნების შემთხვევებში) ადამიანები ჩაკეტილ საახლობლო წრეს ანიჭებენ უპირატესობას და ნაკლებად გამოხატავენ ახალ ასოციაციებში გაერთიანების სურვილს.

ბოლო, მესამე ფაქტორად ხშირად, პოსტკომუნისტური ეპოქისთვის დამახასიათებელი იმედგაცრუება სახელდება. ეს არის ის, რაც არა მარტო საქართველომ, არამედ კომუნისტური ბლოკის დაშლის შედეგად წარმოქმ-

ნილმა პრაქტიკულად ყველა ქვეყანამ გამოსცადა საკუთარ თავზე. საბჭოთა სისტემის რღვევამ და თავისუფლების მოპოვებამ უამრავი სხვადასხვა პრობლემის წინაშე დააყენა კომუნისტურ რეჟიმგამოვლილი ქვეყნები. დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა არც ისეთი ადვილი გამოდგა, როგორც ეს ბევრს წარმოედგინა. შესაბამისად, საზოგადოებაში იმატა ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უშლის სამოქალაქო საზოგადოებისა და სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებას.

რა შეიძლება იყოს გამოსავალი? პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში სოციალური კაპიტალის გაზრდის პერსპექტივებზე საუბრისას, მეცნიერები სხვადასხვა შესაძლებლობაზე მიუთითებენ. მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოსაზრების მიხედვით კი თაობათა ცვლა არის ის ფაქტორი, რამაც უნდა შეასუსტოს კომუნისტური ტრადიციების ზეგავლენა და გაზარდოს ნდობისა და სოციალური კაპიტალის ხარისხი.

კითხვები გააზრებისთვის:

1. თქვენი აზრით, რა როლი და ფუნქციები ჰქონდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“?
2. როგორ შეაფასებდით საქართველოში პირველი უნივერსიტეტის დაარსებას?
3. როგორ ფიქრობთ, რა როლი ითამაშა 1978 წლის 14 აპრილს თბილისში განვითარებულმა მოვლენებმა?
4. მოიყვანეთ და იმსჯელეთ თანამედროვე საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმის შემთხვევებზე.
5. რა პრობლემებს გამოყოფდით სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კუთხით თანამედროვე საქართველოში?

4 მოქალაქეთა თანამონაწილეობა

წიგნის ამ ნაწილში თქვენ გაეცნობით მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობას და მისი განხორციელების სტრატეგიებს. ქვეყნის დემოკრატიულობის შეფასებისას მოქალაქეების ჩართულობა პოლიტიკურ-მმართველობით პროცესებში ერთ-ერთი უმთავრესი ინდიკატორია. მნიშვნელოვანია საკითხის ორი მიმართულებით შესწავლა. პირველი, რამდენად ახორციელებს სახელმწიფო მოქალაქეზე ორიენტირებულ პოლიტიკას, ქმნის სივრცეს ჩართულობის ხელშესაწყობად და მეორე, თავად მოქალაქეები, რამდენად არიან დაინტერესებულნი ჩაერთონ აღნიშნულ პროცესში.

კარგი მმართველობის კონცეფციის გატარება და ახალი საჯარო მენეჯმენტის პრინციპების დანერგვა სახელმწიფოს მიერ მოქალაქის, როგორც სერვისის მიმღების აღქმით, ახალ ეტაპს წარმოადგენს. ადგილობრივ თვითმმართველობაში ჩართულობასა და ამისათვის თანამონაწილეობითი სტრატეგიის გამოყენებას ორმაგი მნიშვნელობა აქვს – გადაწყვეტილებას ლეგიტიმურობას სძენს, ეფექტური და საზოგადოების მოთხოვნებზე მორგებული ხდება. ამ ნაწილის გავლის შემდეგ თქვენ საშუალება გექნებათ პასუხი გასცეთ შემდეგ კითხვებს:

- რა არის მოქალაქეთა ჩართულობა?
- შესაძლებელია თუ არა მოქალაქის ჩართულობის ხარისხის დიფერენცირება?
- როგორ არის შესაძლებელი სისტემა გახდეს მოქალაქეზე ორიენტირებული?
- რა მნიშვნელობა აქვს დეცენტრალიზაციას?
- მოქალაქეთა ჩართულობის რა სტრატეგიების გამოყენება არის შესაძლებელი?
- რა არის ადვოკატირება და როგორ დავგეგმოთ ადვოკატირების ეფექტური კამპანია?

თავი XIII

მოქალაქე და სამოქალაქო პასუხისმგებლობა

თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ცენტრალური ფიგურა მოქალაქეა, რამდენადაც ის აფუძნებს სახელმწიფოს, მონაწილეობს მართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ქვეყნის კონსტიტუცია განსაზღვრავს მოქალაქის სტატუსს, უფლებებსა და მოვალეობებს, რომლის განხორციელება მას კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე შეუძლია.

მოქალაქეობის ინსტიტუტის არსებულ კონცეფციას, რომლის თანახმადაც მოქალაქე არის პოლიტიკური ერთობის წევრი, რომელიც აცნობიერებს და აღიარებს მასზე დაკისრებულ უფლებებს და მოვალეობებს (Stanford Encyclopedia of Philosophy, 2011), საფუძველი ჩაუყარა საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციამ. ამ დროს ინსტიტუციურ დონეზე ერთმანეთისგან გაიმიჯნა მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე უცხოელი. მოქალაქეობა ფორმალურად განისაზღვრა, როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებთა საერთო უფლებები და მოვალეობები, რომელიც არ იყო დაფუძნებული ეთნიკურ კუთვნილებაზე, საცხოვრებელ რეგიონზე, გვაროვნულ წარმომავლობაზე, არამედ საერთო სახელმწიფოებრივ აღქმაზე, რომელსაც მოგვიანებით, „საკუთარი მომავლის ხედვა“ უწოდეს (imagine its own future). რეალურად, სწორედ საფრანგეთის რევოლუციამ წარმოშვა ერის სამოქალაქო კონცეფცია, რომელიც ადამიანის „ერის“ წევრად გახდომას მოქალაქეობით განსაზღვრავდა.

თუმცა, ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ მოქალაქეობის ინსტიტუციურ დონეზე გაფორმება არ არის საკმარისი სახელმწიფოსადმი კუთვნილების გრძნობის შესაკვრელად. საჭიროა მისი ჩართვა პოლიტიკურ-მმართველობით პროცესებში, რითაც მოქალაქეები ინაწილებენ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობას. ამ ფორმით მიღებული გადაწყვეტილება მოერგება საზოგადოებრივ საჭიროებებს, იქნება უფრო მეტად ეფექტური და ლეგიტიმური.

მოქალაქის ჩართულობის ხარისხი დიდწილად განსაზღვრავს, თუ რამდენად ახდენს ის სახელმწიფოსთან იდენტიფიცირებას და პირიქითაც, სახელმწიფოსთან მიკუთვნებულობის განწყობა ზეგავლენას ახდენს მოქალაქეთა ჩართულობის მაჩვენებელზე, როგორიც არის მაგალითად, საქართველოში კომპაქტურად მოსახლე ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში. ამასთანავე, დღესდღეობით სახელმწიფო პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულობის ერთ-ერთი უმთავრესი ინდიკატორი გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მაღალი ხარისხია.

ჩანართი: 4.1. დემოკრატიის შემსწავლელი კომისია

2000 წელს შვედეთში შეიქმნა დემოკრატიის შემსწავლელი კომისია, რაც განპირობებული იყო მოსახლეობის არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებლის კლებით. ხელისუფლება შიშობდა, რომ ეს მაჩვენებელი მოსახლეობის სხვა სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობაზეც აისახებოდა. კომისიის მუშაობის შედეგად გაირკვა, რომ სამოქალაქო აქტივიზმი შემცირდა ახალგაზრდების ჩართულობის შემცირების ხარჯზე, რომელთაც ნაკლებად აინტერესებდათ სამოქალაქო-პოლიტიკური პროცესები. პრობლემის აღმოფხვრის და მომავალი გართულებების პრევენციის მიზნით, ხელისუფლებამ დაიწყო საგანმანათლებლო კამპანიების სერია, რომელიც მოქალაქისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებას ისახავდა მიზნად. როგორც კომისიის ანგარიშშია ნათქვამი: თანამონაწილეობითი დემოკრატიის წახალისებისათვის აუცილებელია ყველა მოქალაქეს ჰქონდეს მონაწილეობის, ზეგავლენის მოხდენის და ჩართულობის შესაძლებლობა. როდესაც მოქალაქეები ირწმუნებენ, რომ მათი ჩართულობა ნამდვილად მნიშვნელოვანია, დიდი ალბათობით მათი ჩართულობის მოტივაცია იმატებს და პირიქით. მონაწილეობა ან არმონაწილეობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მათ შეძლეს, ან ვერ შეძლეს ენახათ მათი ზეგავლენის შედეგი. წყარო: Ministry of Justice Stockholm. 2000.§.5

შვედეთის დემოკრატიის შემსწავლელი კომისიის შემთხვევა (ჩანართი 4.0) კარგი ილუსტრაციაა იმის საჩვენებლად, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქის ჩართულობის წახალისებით დაინტერესებულია არა მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოება, არამედ ხელისუფლება, რომელსაც ამ მიზნის მისაღწევად მრავალი რესურსის გამოყენება შეუძლია, რომელთა შესახებ წიგნის შემდეგ ნაწილში ვისაუბრებთ. თანამონაწილეობის წახალისება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებში, რადგანაც ამ ეტაპზე მათი პასიურობა ზეგავლენას მოახდენს მომავალში საზოგადოების პოლიტიკური კულტურის დონეზე. სწორედ ამ პრობლემის ხაზგასმას და ახალგაზრდების ჩართულობის წახალისებას ისახავდა მიზნად საქართველოს პრეზიდენტის ფონდის მიერ 2016 წელს განხორციელებული ინიციატივა „შენი ხმა ჩვენი მომავალია“, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ღონისძიებები ახალგაზრდა ამომრჩევლების სამოქალაქო ცნობიერების ასამაღლებლად.

რა არის მოქალაქეობა?

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მოქალაქის კონცეფციის განხილვისას შესაძლებელია გამოიყოს სამი კომპონენტი. მოქალაქეობა რო-

გორც სტატუსი, მოქალაქეთა უფლება-მოვალეობები და მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობები (Cohen 1999; Kymlicka & Norman 2000; Carens 2000).

მოქალაქის სტატუსი გულისხმობს სახელმწიფოსთან სამართლებრივ კავშირს და ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების გარანტირებულ დაცვას (საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ, მუხლი 3.1). საქართველოს კანონმდებლობით მოქალაქეობა პირს მიენიჭება დაბადებით და ნატურალიზაციით. დაბადებით მოქალაქეობის მოპოვება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც დაბადების მომენტისათვის ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა ან დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე. ხოლო ნატურალიზაციის წესით მოქალაქეობის მიღება კი ითვალისწინებს მოქალაქეობის მინიჭებას უცხოელისთვის ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის მისი თხოვნის საფუძველზე თუ ის აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ნატურალიზაცია ასევე გულისხმობს საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგამონაკლისო წესით მოქალაქეობის მინიჭებას პირისთვის, რომელსაც კაცობრიობის ან საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს ან მისთვის მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს. საქართველოს მოქალაქეს მოქალაქეობა უნარჩუნდება, მიუხედავად იმისა რა ხნის განმავლობაში ცხოვრობს ის საზღვარგარეთ (კანონმდებლობა შეზღუდვებს ითვალისწინებს პოლიტიკური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში), როგორია მისი ოჯახის წევრების მოქალაქეობრივი სტატუსი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციით დაუშვებელია მოქალაქეობის ჩამორთმევა ან მოქალაქის ქვეყნის ტერიტორიიდან გაძევება, შესაძლებელია საქართველოს მოქალაქემ დაკარგოს მოქალაქეობა თუკი საქართველოს კომპეტენტური ორგანოების თანხმობის გარეშე შევა სხვა ქვეყნის სამხედრო, პოლიციის ან უშიშროების სამსახურში, მოქალაქეობას მოიპოვებს ყალბი დოკუმენტაციით ან მიიღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას (საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ მუხ. 21.ა)ბ)გ). თუმცა მოქალაქეობიდან გასვლაზე შესაძლოა მოქალაქეს უარი ეთქვას იმ შემთხვევაში თუ მოქალაქეს შეუსრულებელი აქვს ქვეყნის წინაშე სამხედრო, ან სხვა ტიპის ვალდებულება, ან ბრალდებულია და არსებობს მის მიმართ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, რომელიც უნდა აღსრულდეს. (იქვე, მუხლი 20).

ამასთანავე, საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს, განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 32). საჭიროების შემთხვევაში ის ახორციელებს დიპლომატიურ დაცვას, რაც ითვალისწინებს ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომელიც არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს და მიმართულია მოქალაქის უფლებების მესამე სახელმწიფოს მიერ შემდგომი დარღვევების თავიდან ასაცილებლად და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მისაღწევად (განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი). ამ უკანასკნელის მაგალითია საქართველოს ხელი-

სუფლების მცდელობა დაეცვა მალაიზიაში დაკავებული საქართველოს ორი მოქალაქე, რომელთაც ბრალი ქვეყანაში დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეტანაში ედებოდათ. მალაიზიის კანონმდებლობა მსგავსი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს. სასამართლო დაცვის პროცესში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და სახალხო დამცველი. ასევე, მათ შუამავლობა სთხოვეს არაერთ საერთაშორისო ორგანიზაციას, მათ შორის Amnesty International-ს. მათი აქტიური ჩართულობის შედეგად მოხერხდა ბრალდებულების საქართველოში ექსტრადიცია.

ჩანართი 4.2. ვის როგორ ესმის დემოკრატია

1998 წელს კომპანიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ჩეხეთიდან შვეიცარიაში უნდა გადავსულიყავი სამუშაოდ. მომამაგრეს სპეციალური აგენტი (Relocation Assistance), რომელიც ბინის დაქირავებაში, ბავშვებისათვის სკოლის შერჩევაში, ბარგის გადმოტანაში და ა.შ. უნდა დაგვხმარებოდა... სახლის პატრონმა ჩვენი აგენტის თანდასწრებით დაგვათვალიერებინა სახლი და ჩვენს თვალწინ შეამოწმა ყველა ხელსაწყო-დანადგარი, რაც კი სახლში არსებობდა – მაცივარი, ელექტროლუმელი, ჭურჭლის სარეცხი მანქანა, ჩვეულებრივი სარეცხი მანქანა და ა.შ. ოქმი შეადგინა და ხელიც მოგვაწერინა, რომ ისეთივე გამართულ მდგომარეობაში დავტოვებდით ამ მოწყობილობებს, როგორც ჩაგვაბარეს. ბოლოს ნაგვის ყუთთან მიგვიყვანა (რომელიც ხელსაბანის ქვეშ იყო ჩამონტაჟებული) და ახსნა-განმარტება დაიწყო – აგვიხსნა, რომ კანტონში აკრძალული ყოფილა ყველაფრის ერთ სანაგვეში გადაყრა. ნაგავი უნდა დახარისხდეს და ისე გადაიყაროს – ცალკე საჭმლის ნარჩენები, ცალკე საყოფაცხოვრებო ნაგავი, ცალკე შუშის ტარა (თეთრი მინისა ცალკე, მწვანე – ცალკე, ყავისფერი – ცალკე). ასევე უნდა დახარისხდეს და დაიყოს ქაღალდი და კარდონი, კოკა-კოლას გამჭვირვალე პლასტმასის ბოთლები და სხვა, „არაგამჭვირვალე“ პლასტმასის ბოთლები, დაცლილი ფანრის ელემენტების („ბატარეიკების”) სანაგვეში გადაყრა სასტიკად ყოფილა აკრძალული, უნდა სპეციალურ პუნქტში მიიტანოთო და ა.შ. ვატყობდი როგორ ეცვლებოდა ჩემს მეუღლეს სახის გამომეტყველება, ამიტომ დავასწარი და სახლის პატრონს ვკითხე – რამე რომ აგვერიოს და არასწორად გადავყაროთ ნაგავი, რა მოხდება მაშინ? – დაჯარიმდებით კანტონალური კანონების დარღვევისათვისო, მიპასუხა. როდესაც სახლის პატრონმა მარტო დაგვტოვა, ჩვენს აგენტს მივმართე – ეს რა კანონია ამისთანა, ნაგავს რომ ჩემ გემოზე არ მაყრევინებს-თქო. პასუხად მივიღე ისტორია იმის შესახებ, რომ რამდენიმე წლის წინ კანტონმა გადაწყვიტა გაეუმჯობესებინათ ეკოლოგიური

მდგომარეობა (ეს გადაწყვეტილება რეფერენდუმის შედეგად იქნა მიღებული). ამიტომ ააშენეს ნაგვის გადამამუშავებელი ქარხანა, მინის ტარის მიმღები პუნქტები და მინის გადამამუშავებელი ქარხანა და ა.შ. კანტონის ტერიტორიაზე მოისპო ყველა ნაგავსაყარი. ამ ღონისძიებებზე კანტონმა უზარმაზარი თანხა დახარჯაო. ამიტომ თქვენს მიერ ნაგვის გადაყრის წესების დარღვევა, კანტონალური კანონმდებლობის დარღვევად იქნება კვალიფიცირებული, შესაბამისად ჯარიმა რამდენიმე ასეული ფრანკი შეიძლება იყოსო.

– კი მაგრამ ვინ ამოწმებს ჩემს ნაგავს, საიდან უნდა გაიგონ რას ვყრი ნაგავში? – ვიკითხე მე.

– პირველ რიგში მეზობლები დაგაკვირდებიან, სცემთ თუ არა პატივს მათ საკრებულოს და იცავთ თუ არა კანტონისა და ზოგადად მათი ქვეყნის კანონებს. არ არის გამორიცხული, რომ მენაგვეებმაც „გაქექონ“ თქვენი ნაგავი, თუ რომელიმე მათგანს ეჭვი შეეპარა თქვენს კეთილსინდისიერებაში, აუცილებლად აცნობებენ პოლიციასო. წყარო: კავკასიძე, 2010

სამეცნიერო წრეებში განიხილება მოქალაქეთა ჩართულობის ორი – სოციალური და პოლიტიკური მხარე. სოციალური ნაწილი გამოიხატება საზოგადოების დანარჩენ წევრთა მიმართ განწყობებში, გარემოზე და ადამიანებზე ზრუნვაში. პოლიტიკური ნაწილი გულისხმობს პოლიტიკური აქტორებისადმი დამოკიდებულებას და ჩართულობას გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების პროცესში. ასევე, გამოიყოფა მოხალისეობრივი საქმიანობა, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს მონაწილეობის როგორც სოციალურ, ასევე, პოლიტიკურ ნაწილს. „სოციალური მოქალაქეობის“ კონცეფცია XX საუკუნის პროდუქტია, რომლის თანახმადაც სამოქალაქო უფლებები არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ პოლიტიკით და

ნატურალიზაცია – მოქალაქეობის მინიჭება უცხოელისათვის ან მოქალაქეობის არმქონე პირისათვის მისი თხოვნის საფუძველზე. ნატურალიზაციით საქართველოს მოქალაქეობის მიღების წესი ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

- *პირი მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში;*
- *დადგენილ ფარგლებში იცის სახელმწიფო ენა;*
- *დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს ისტორია და კანონმდებლობა;*
- *საქართველოში აქვს სამუშაო ადგილი ან რაიმე უძრავი ქონება.*

ორგანული კანონი ითვალისწინებს გამონაკლისს ცალკეული კატეგორიის პირების მიმართ, როდესაც დაშვებულია ასეთი პირის განთავისუფლება ზემოთ ჩამოთვლილი პირობებისაგან. კერძოდ, კანონის თანახმად (მუხლი 27) საქართველოს პრეზიდენტს, გამონაკლისის სახით, უფლება აქვს, ჩამოთვლილი პირობების შეუსრულებლად საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭოს ამა თუ იმ პირს, რომელსაც: კაცობრიობის ან საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება თავისი სამეცნიერო ან საზოგადოებრივი საქმიანობით, ან აქვს ისეთი პროფესია, ან კვალიფიკაცია, რომელიც ხელსაყრელია საქართველოსთვის; მისთვის მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან. ამავე კანონით განსაზღვრულია, რომ საქართველოს მოქალაქეობა არ მიენიჭება პირს, თუ იგი ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისთვის, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წელზე მეტი ვადით, და თუ ეს ნასამართლეობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული.

ის უნდა გავრცელდეს სოციალურ ცხოვრებაზეც, რაც ურთიერთსანაცვლო მოვალეობებს აკისრებს როგორც მოქალაქეს, ასევე სახელმწიფოს. ეს უკანასკნელი გამოიხატება სახელმწიფოს მიერ შესაბამისი კანომდებლობის მოწესრიგებაში, აღსრულებასა და მონიტორინგში, ხოლო მოქალაქეები, თავის მხრივ აქტიურად არიან ჩართულნი აღნიშნულ პროცესში. მოქალაქესა და პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის ურთიერთობის განხილვისას აქცენტი კეთდება რამოდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე: 1. მოქალაქეთა ჩართულობის ზრდა, ჩართულობის ახალი ფორმების ინიცირება, დელიბერაციული (მსჯელობაზე დაფუძნებული მოდელი, სადაც მოქალაქეებს თავისუფლად შეუძლიათ თავიანთი აზრის გამოხატვა, და რაც მთავარია, აქტიურად არიან ჩართულნი ამ პროცესში) მოდელების გამოყენება, ხოლო, მეორეს მხრივ, ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის პრინციპების გაძლიერება ინსტიტუტების მუშაობის პროცესში.

ჩანართი 4.3. არალეგიტიმური არჩევნების შედეგები პერუში

2000 წელს პერუში გაიმართა საპრეზიდენტო არჩევნების ორი რაუნდი. პირველი რაუნდში გაიმარჯვა ყოფილმა პრეზიდენტმა ალბერტო ფუკიმორიმ, რომელსაც ბევრი კრიტიკოსი ჰყავდა. პრეზიდენტობის მეორე კანდიდატმა ალეხანდრო ტოლედომ მოუწოდა მომხრეებს მოეხდინათ არჩევნების ბოიკოტი. ამით ეჩვენებინათ მოსახლეობისათვის, რომ პრეზიდენტი არა უმრავლესობის, არამედ უმცირესობის რჩეული იყო. შედეგად ფუკიმორიმ არჩევნებში გაიმარჯვა. თუმცა არჩევნებზე ამომრჩეველთა მცირე აქტიურობა საფუძვლად დაედო ახალ კამპანიას, რომელშიც აქტივისტები სწორედ არალეგიტიმურობის მოტივით მოითხოვდნენ პრეზიდენტის გადადგომას. მოძრაობა წარმატებული აღმოჩნდა და ახლადარჩეული პრეზიდენტი ფუკიმორი იძულებული გახდა გადამდგარიყო.

მოქალაქეებსა და პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის ურთიერთობის ხასიათი და ლეგიტიმაციის დონე დიდწილად დამოკიდებულია წარმომადგენელთა მხრიდან ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის ხარისხზე. ჩართულობის ტრადიციული და თანამედროვე ფორმების სინთეზი და რაც მთავარია, მათი აქტიური გამოყენება, საშუალებას იძლევა თავიდან იქნას აცილებული ე.წ. ლეგიტიმაციის კრიზისი, რომელიც XX საუკუნის დასასრულს სახელმწიფოების უმრავლესობას დაემუქრა და მოქალაქეების პოლიტიკისადმი ნდობის და შესაბამისად, ჩართულობის კლებაში გამოიხატა.

ტერმინი „ლეგიტიმაციის კრიზისი“ პირველად გერმანელმა სოციოლოგმა იურგენ ჰაბერმასმა (Jürgen Habermas, 1929) გამოიყენა, და ამით აღწერა

პროცესი, რომლითაც ორგანიზაციებს და პოლიტიკურ ინსტიტუტებს არ შესწევთ ეფექტური ფუნქციონირების უნარი. ლეგიტიმაციის კრიზისის გაზომვის საშუალებად დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი არსებული განწყობები იქცა (Friedrichs, 1980). განსხვავებით ტრადიციული საზოგადოებისგან, სადაც ლეგიტიმაციის წყარო მითები ან ღმერთის ავტორიტეტი შეიძლებოდა ყოფილიყო, თანამედროვე საზოგადოებაში პოლიტიკური ინსტიტუტების ლეგიტიმურობა კონსტიტუციის ხალხის ნებად გამოცხადებასა და არჩევნების შედეგების აღიარებაშია (Reyes, 2010).

13.1. არჩევნები და სამოქალაქო პასუხისმგებლობა

მოსახლეობის პოლიტიკურ მმართველობით პროცესებში ჩართულობის ერთ-ერთ უძველეს ფორმას არჩევნებში მონაწილეობა წარმოადგენს, როდესაც პირდაპირი დემოკრატიის პირობებში მოქალაქეები უშუალოდ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და აკეთებენ თავიანთ არჩევანს. ამ მოდელის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მცირე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებში, როგორიც, მაგალითად, ძველბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები იყო.

თანამედროვე სახელმწიფოთა მოსახლეობის რაოდენობა და განსახილველი საკითხების მასშტაბურობა პირდაპირი დემოკრატიის რეალიზებას შეუძლებელს ხდის. სახელმწიფოს ყველა მოქალაქის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესს დროში ძალიან გაწელავს და სახელმწიფოს პარალიზებას გამოიწვევს. თუმცა, პირდაპირი დემოკრატიის გარკვეულ ნიშნებს შეიცავს რეფერენდუმი, პლებისციტი, ხელმოწერების შეგროვება, რომლებიც თანამედროვე სახელმწიფოებში მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოიყენება. მაგალითად, შვეიცარია ერთადერთი დემოკრატიული ქვეყანაა, სადაც მოსახლეობა პირდაპირ იღებს მონაწილეობას კანონების შექმნის პროცესში. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ყველა კანო-

იურგენ ჰაბერმასი (Jürgen Habermas, 1929)

გერმანელი სოციოლოგი, პოლიტოლოგი და ფილოსოფოსი. ჰაბერმასმა შექმნა დისკურსისა და კომუნიკაციური მოქმედებების ახლებური თეორიები, რამაც დასაბამი მისცა კანონისა და დემოკრატიის ახალ პერსპექტივებს. მეცნიერებაში უმნიშვნელოვანეს განაცხადს წარმოადგენს საზოგადოებრივი სფეროს სტრუქტურული ტრანსფორმაცია (1962), სადაც სხვადასხვა სწავლებებიდან მიღებული ემპირიული და თეორიული კვლევების შეჯერებით მეცნიერმა დემოკრატიის ახლებური თეორია ჩამოაყალიბა. კომუნიკაციური მოქმედების თეორიაში (1981) ჰაბერმასი გვთავაზობს კრიტიკული სოციალური თეორიის ახალ საფუძველს და თავისუფალი და თანაბარი უფლებების მქონე მოქალაქეებში დისკურსის შესაძლებლობას განიხილავს. დემოკრატიის კონცეფციები მან სხვა სტატიებშიც განავითარა, სადაც შეეხო გლობალიზაციას, მულტიკულტურულ საზოგადოებებსა და ნაციონალიზმს.

ნი საერთო სახალხო რეფერენდუმით მიიღება. რეფერენდუმის შედეგებს ამტკიცებს პარლამენტი და ადგენს კანონის ამოქმედების ვადას. პარლამენტს არ შეუძლია რეფერენდუმის შედეგები გააუქმოს (თუკი რაიმე დარღვევას არ ექნა ადგილი). რეფერენდუმის შედეგებს კი შეუძლია პარლამენტის გადაწყვეტილების გაუქმება. ასე რომ, დღევანდელი შვეიცარია ალბათ ყველაზე უფრო „დემოკრატიულია“ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

პირდაპირი დემოკრატიის ალტერნატივაა წარმომადგენლობითი დემოკრატია, რომლის არსი მოქალაქეთა მიერ საკუთარი მმართველობითი უფლებების წარმომადგენელთათვის გადაცემაში მდგომარეობს. ძალაუფლების მოპოვება და ხელისუფლების კონტროლი, როგორც წესი, პერიოდული არჩევნებით მიიღწევა, ხოლო თავად ხელისუფლების წარმომადგენლები ანგარიშვალდებულნი არიან მოქალაქეთა წინაშე. მოქალაქეთა წარმომადგენლების არჩევნები და მასში ნებაყოფლობითი (საქართველო, გერმანია, საფრანგეთი, აშშ), ან სავალდებულო (არგენტინა, ავსტრალია, ბრაზილია) მონაწილეობა საშუალებას იძლევა მოქალაქეები მმართველობით პროცესებში არაპირდაპირ, წარმომადგენლის საშუალებით ჩაერთონ. ეს გადაწყვეტილების მიღებას უდაოდ უფრო ეკონომიურს და ეფექტურს ხდის.

არჩევნებში მონაწილეობა, როგორც ჩართულობის ფორმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლადდამოუკიდებლობა მიღებულ სახელმწიფოებში. ამით მოქალაქეებს, ხშირ შემთხვევაში, პირველად ეძლევათ საშუალება თავად აირჩიონ მმართველი ძალა. შესაბამისად, მსგავი საარჩევნო პროცესები ჩართულობის მაღალი მაჩვენებელით ხასიათდება. მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში (ქ. სოუეტოში) ჩატარებული აპარტეიდის შემდგომი პირველი არჩევნები მსოფლიოს ისტორიაში შევიდა დიდი საარჩევნო რიგის სახელით, სადაც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ინფორმაციით პოტენციური 20 მილიონი ამომრჩევლიდან საარჩევნო უბანზე 19,726,579 გამოცხადდა.

სწორედ აქ ჩნდება კითხვა – რა ბერკეტები აქვს მოქალაქეს აკონტროლოს თავისი წარმომადგენელი? ხომ არ ხდება უფლებამოსილების გადაბარებით მოქალაქის გარიყვა სამოქალაქო-პოლიტიკური პროცესებისგან? მოქალაქის დისტანცირება ხომ არ გამოიწვევს იმედგაცრუებას, შესაბამისად, ჩართულობის მაჩვენებლის კლებას? ხომ არ არის მმართველი ელიტის ჩამოყალიბების საფრთხე, რომელიც შეეცდება ძალაუფლების შენარჩუნებას? ეს ის კითხვებია, რომელიც „ეფექტური დემოკრატიის“ მშენებლობის პროცესს თან ახლავს და მოქალაქის ჩართულობის გაძლიერების, მათი ძალაუფლებით აღჭურვის აუცილებლობაზე მიუთითებს. სოუეტოს მსგავსად მოქალაქეთა არჩევნების პროცესში აქტიურობა მნიშვნელოვანია, მაგრამ კიდევ უფრო მეტად არის მნიშვნელოვანი ის, რომ მათ არ დაკარგონ რწმენა, რომ შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზემოქმედება.

პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატიის ანალიზისას უმთავრესი საკითხი მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხია, რომელსაც შესაძლებე-

ლია სამოქალაქო თავისუფლება ეწოდოს. პირდაპირი დემოკრატია უძველესი სამოქალაქო თავისუფლებაა, რომელიც ცდილობს ადამიანი სახელმწიფოს ძალადობისგან დაიცვას, თუმცა ვერ უზრუნველყოფს მმართველი უმრავლესობის ძალადობისგან დაცვას. მაგალითად, ლიბერალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჯონ სტიუარტ მილი სამოქალაქო თავისუფლებაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ კაცობრიობას ისტორიულად ახასიათებს მმართველობის ცენტრალიზებული ფორმა, საზოგადოება კი მუდმივად ცდილობდა რაიმე ფორმით დაეწესებინა ზღვარი მისი გავლენისთვის. ამ მხრივ საუკეთესო გამოსავალი ძალაუფლების კონსტიტუციით შეზღუდვა და მისი ხალხისთვის გადაცემა იყო. თუმცა, როგორც აღმოჩნდა ძალაუფლების გადამცემნი და ძალაუფლების მიმღებნი ხშირ შემთხვევაში განსხვავებულად აღიქვამენ ამ უკანასკნელს. მაგალითად, 1600 წელს ჯორდანო ბრუნო (Giordano Bruno, 1548-1600) კოცონზე დაწვეს, ბრალი დასდეს რა ერეტიკოსობაში, დღესდღეობით კი არავის ეპარება ეჭვი, რომ დედამიწა ნამდვილად ბრუნავს. ასეთ შეცდომებს კი ადამიანები ბევრს სჩადიან, რაც გაბატონებული შეხედულებებით და დოგმატური აზროვნებით არის გამოწვეული. საკმარისი არ არის თავი დაიცვა სახელმწიფოს ძალადობისგან, არამედ საჭიროა უმრავლესობის ძალადობისგანაც თავდაცვა, რათა უმცირესობასაც მიეცეს საშუალება მოახდინოს თავისი სამოქალაქო თავისუფლების რეალიზაცია.

დემოკრატიის მეორე აღქმა, თანამედროვე სამოქალაქო თავისუფლებაა, რომელიც მოქალაქის მმართველობით პროცესში მონაწილეობისა და პასუხისმგებლობის გადანაწილების აუცილებლობაზე უსვამს ხაზს, რითაც ხერხდება როგორც სახელმწიფოს ასევე, უმრავლესობის ძალადობისგან თავდაცვა.

ჩართულობაზე ორიენტირებული მოქალაქის კონცეფცია განსაკუთრებით თვალშისაცემი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში. ჰანა არენდტი (Johanna "Hannah" Arendt, 1906-1975) ჩართულობას განიხილავს, როგორც კულტურის მიღწევას, სოციალიზაციის შედეგს. როდესაც ადამიანები სწავლობენ თუ როგორ უნდა ჩაერთონ

ამომრჩეველთა რიგი სოუეტოში.

ჰანა არენდტი (Johanna "Hannah" Arendt, 1906-1975)

პოლიტიკის თეორეტიკოსი, ფილოსოფოსი. XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე. დაიბადა ებრაელების ოჯახში, გერმანიაში. 1933 წ. ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საფრანგეთში გაიქცა, თუმცა საკონცენტრაციო ბანაკში მაინც მოხვდა, რომელსაც მალე დააღწია თავი და აშშ-ში მიიღო თავშესაფარი. ის სწავლობდა ძალაუფლების ბუნებას, ავტორიტარიზმს, ტოტალიტარიზმს. მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომებია „ტოტალიტარიზმის საფუძვლები" (1951), რომელშიც სტალინურ რუსეთსა და ნაცისტურ გერმანიას შორის ავლებს პარალელებს, და „აიხმანი იერუსალიმში: ანგარიში ბოროტების ბანალურობის შესახებ" (1963). ამ ნაშრომში აიჰმანს, საზოგადოებრივი აზრისგან განსხვავებით, ფაშიზმის არა ერთ-ერთ უმთავრეს წარმომადგენლად, არამედ რიგით ჩინოვნიკად წარმოაჩენს.

სამოქალაქო-პოლიტიკურ პროცესებში. სწავლების პროცესში ასევე იაზრებენ ჩართულობის სარგებლიანობას. არენდტი მოქალაქეობას განიხილავს, როგორც ადამიანისათვის დამახასიათებელ, გაცნობიერებულ როლს, რომელსაც მოქალაქეები ასრულებენ მოცემულ საზოგადეობაში. ინფორმირებულობა, გამჭვირვალობა და ანგარიშგება საჯაროობის ძალიან მაღალ მაჩვენებელს განაპირობებს.

აღნიშნულ საკითხზე დებატებისას ერთმანეთს უპირისპირდება დემოკრატიის ორი გაგება: ელექტორალური და ლიბერალური. **„ელექტორალური დემოკრატია“** უკავშირდება დემოკრატიის ე.წ. მინიმალისტურ გაგებას, რომლის თანახმად უმთავრესია შეჯიბრზე დაფუძნებული, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს აღნიშნულისთვის საჭირო უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიების არსებობას, როგორიცაა მაგალითად შეკრებისა და ასოციაციებში გაერთიანების თავისუფლება, თავისუფალი მედიის არსებობა. ამ მიდგომის თანახმად სოციალური მობილიზაცია და ჩართულობა არ წარმოადგენს ხელისუფლების გაკონტროლებისთვის აუცილებელ მოცემულობას, რასაც არ ეთანხმება დემოკრატიის მეორე მოდელი. **„ლიბერალური დემოკრატიის“** თანახმად, დემოკრატიული სისტემის განვითარებისათვის აუცილებელი წინაპირობაა პლურალიზმი, თვითმმართველობა, თანამონაწილეობა, ნდობისა და ტოლერანტობის მაღალი მაჩვენებელი, რაც თავის მხრივ თავისუფალი არჩევანის და ხელისუფლების გაკონტროლების შესაძლებლობას განაპირობებს. ეს არის სისტემა, როდესაც საზოგადოება დომინირებს სახელმწიფოზე (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი. 2004).

მმართველთა მიერ გადაწყვეტილების მიღების, განხორციელებისა და შედეგების აღიარებისას ხშირად ჩნდება გაუთვალისწინებელი შემთხვევები, რომელთა გამორიცხვა შესაძლებელი იქნებოდა თუკი მასში ყველა შესაძლო მხარე ჩაერთვებოდა ვისაც ეხება აღნიშნული გადაწყვეტილება – ანუ მოქალაქეები. სწორედ გაუთვალისწინებელი შემთხვევების პრევენციის მცდელობამ განაპირობა **გადაწყვეტილების მიღების დელიბერაციული მოდელის** შემუშავება.

ამ მოდელში ცენტრალური ადგილი კომუნიკაციას უკავია, რომელიც დაფუძნებულია კონსტრუქციულ დიალოგზე, ჩართულ მხარეებს (ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მოქალაქეებს) შორის ინფორმაციის გაცვლაზე და არგუმენტირებულ მსჯელობაზე. გადაწყვეტილების მიღების დელიბერაციული მოდელის გამოყენებისას ორი მთავარი მიმდინარეობა შეიმჩნევა:

პირველი, რომლის თანახმადაც ის აღქმულია, როგორც დემოკრატიული მმართველობის რესურსი, რამდენადაც ემყარება პოლიტიკის მკეთებელთა და პოლიტიკით მოსარგებლეთა შორის ინფორმაციისა და საჭიროებების გაცვლას, ასევე, გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და, რაც მთავარია,

ლეგიტიმურობას. ამ მიმდინარეობით ერთმანეთს უკავშირდებიან სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური ინსტიტუციების წარმომადგენლები.

დელიბერაციული მოდელის მეორე მიმდინარეობა აღქმულია, როგორც საშუალება, რათა შემუშავდეს კვლევაზე, საჭიროებების ანალიზზე დაფუძნებული პოლიტიკური კურსი. ის წარმოადგენს ერთგვარ ხიდს გადაწყვეტილების მიმღებებსა და სამეცნიერო საზოგადოებას შორის, რომელთაც ძალუძთ აღნიშნული გადაწყვეტილების ექსპერტიზა. ორივე მოდელს აქვს საერთო მიზანი, ხელი შეუწყოს პოლიტიკის კეთების პროცესში სხვადასხვა აქტორების ჩართვას და შესაბამისად, ეფექტური პოლიტიკური კურსის გატარებას და შედეგის მაქსიმიზაციის მიზნით შესაძლებელია მოხდეს მათი კომბინაცია.

ჩანართი 4.4. დიალოგი ქალაქთან, დასავლეთ ავსტრალიის გამოცდილება

დელიბერაციული დემოკრატია არის არა ერთი, ცალკეული ღონისძიება, არამედ პროცესი. სწორედ აღნიშნულის რეალიზაციის მცდელობა იყო პროგრამა: „დიალოგი ქალაქთან“ – ლოკალური დიალოგების სერია, რომელიც მიზნად ისახავდა მეტროპოლიის მოსახლეობის ჩართულობის სტიმულირებას. მეტროპოლიის მაცხოვრებლების ზრდის პარალელურად, მოთხოვნა მიწაზე, რესურსებსა და გარემოზე იზრდებოდა, რაც ქმნიდა მისი დაგეგმვის, საცხოვრებელი, ეკონომიკური და ეკოლოგიური გარემოს ჰარმონიზაციის აუცილებლობას. ქალაქდაგეგმარებისას მოდელად გამოიყენეს კარსონისა და ჰარც-კარპის (Carson and Hartz-Karp) კლასიფიკატორი, რომელიც უნდა ახასიათებდეს დელიბერაციულ პროცესს: ჩართულობა, დელიბერაცია და ზეგავლენა.

ჩართულობა გულისხმობს, როგორც მრავალრიცხოვან, ასევე რეპრეზენტაციულ (საზოგადოების ყველა ჯგუფის წარმოდგენას) მონაწილეობას. პირველ ეტაპზე საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების და ქალაქის მაცხოვრებლების ხედვებისა და ღირებულებების გამოსავლენად ჩატარდა მოსახლეობის გამოკითხვა, რომელშიც 8000-მდე მცხოვრები მონაწილეობდა. აღნიშნული თემის ამსახველი სტატიები გამოქვეყნდა ციფრულ და ბეჭდვით მედიაში, მიეძღვნა ტელე და რადიოგადაცემები, თოქ-შოუები, რათა ყურადღება გამახვილებულიყო პრობლემის მნიშვნელობასა და კომპლექსურობაზე. ასევე, ჩატარდა ესეების კონკურსი სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებში, ქალაქის მომავალ სახესთან დაკავშირებით. საბოლოო ჯამში, ზემოთაღნიშნულმა ღონისძიებებმა ე.წ. დელიბერაციულ ფორუმში თავი მოუყარა 1100-ზე მეტ დაინტერესებულ პირს საზოგადოების თითქმის ყველა წრიდან, მათ შორის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნესის, სხვადასხვა ინტერესჯგუფების, სამეცნიერო წრეე-

ბის, სათემო ჯგუფების წარმომადგენლებს. ამ ადამიანებს უნდა ემუშავათ თუ როგორ დაგეგმილიყო ქალაქის მომავალი ზრდა. ამას წინ უძღოდა მკვლევართა მუშაობა, რომელთაც კვლევაზე დაყრდნობით მოამზადეს შესაძლო პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების ამსახველი ანგარიშები. აღნიშნული ანგარიშები წარედგინა საზოგადოებას, განსაკუთრებით სიღრმისეულად კი ფორუმში ჩართულ მონაწილეებს.

ფორუმის საკმაოდ ინტენსიური, ხანგრძლივი, მრავალფეროვანი (ინტენსიური დისკუსიიდან სიმულაციურ თამაშამდე) მუშაობის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა დოკუმენტი „ქსელური ქალაქი: სათემო დაგეგმვის სტრატეგია“, რომელიც ჯერ დამგეგმავმა კომისიამ, შემდეგ კი მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა და მასზე დაყრდნობით განხორციელდება ქალაქის დაგეგმარება (წყარო: Hartz-Karp J. 2005).

ზემოთ ჩამოთვლილ მოდელთა შორის თუ რომელია უფრო მეტად მართებული, ამაზე პასუხს ისტორიული გამოცდილება იძლევა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების უმრავლესობამ დემოკრატიაზე გადასვლის განაცხადი გააკეთა, რაც ამავე დროს პოლიტიკური ელიტის განაცხადსაც წარმოადენდა. მიუხედავად არჩევნების ჩატარებისა, „ეფექტური დემოკრატიის“ მაჩვენებელი ამ სახელმწიფოებში არცთუ ისე მაღალია. კორუფცია, კანონის უზენაესობის არარსებობა და, რაც მთავარია, მოქალაქეთა ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი საშუალებას იძლევა ვისაუბროთ „ფსევდო დემოკრატიების“ არსებობაზე. შესაბამისად, დემოკრატიის უმთავრეს მაჩვენებელს მოქალაქის რეალური ძალაუფლებით აღჭურვა წარმოადგენს.

მოქალაქის ძალაუფლებით აღჭურვა

მოქალაქეთა ჩართულობას დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში შესაძლოა სხვადასხვა მიზანი ჰქონდეს. ეს დამოკიდებულია არსებულ სამოქალაქო კულტურაზე და შედეგზე, რასაც გადაწყვეტილების მიმღები მოელის ამ ურთიერთობიდან.

ჩანართი 4.5. სოფლის დახმარების პროგრამა

საქართველოს ხელისუფლების მიერ დეკლარირებული პოლიტიკის თანახმად, სოფლის დახმარების პროგრამა მიზნად ისახავს სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაფინანსებას, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციას, კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარებას და სხვა. პროგრა-

მის მიზანია ამ პროცესში მოქალაქეების ჩართულობის მხარდაჭერა და შესაბამისად, მათი გააქტიურების ხელშეწყობა.

შესასრულებელი სამუშაო უნდა განისაზღვროს მხოლოდ სოფლის მოსახლეობასთან კონსულტაციის შედეგად. წინასწარი კონსულტაციის გამართვაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – გამგეობის რწმუნებული. რწმუნებულმა უნდა ჩაატაროს მოსახლეობის გამოკითხვა, ან ორგანიზება გაუწიოს სოფლის კრების მოწვევას, მოაწყოს საჯარო განხილვა და ამ გზით შეათანხმოს თანხის ხარჯვის მიზანი მოსახლეობასთან. მოსახლეობასთან შეთანხმებულ წინადადებებს რწმუნებული წარუდგენს შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობას.

სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაო მიმართული უნდა იყოს მხოლოდ საჯარო სარგებლობის ობიექტისთვის. ამ ობიექტით სარგებლობის საშუალება უნდა ჰქონდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას. შესრულებული სამუშაოს შედეგი დროში ხანგრძლივად უნდა შენარჩუნდეს – მას არ უნდა ჰქონდეს ერთჯერადი დახმარების სახე. სამუშაოს შესრულების დროს მაქსიმალურად უნდა დასაქმდეს სოფლის მოსახლეობა.

პროგრამის განხორციელების შეფასებისას აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 74%-ს პროგრამაზე ინფორმაცია აქვს. აქედან 37%-მა განაცხადა, რომ პროგრამის შესახებ სმენია, თუმცა დეტალების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს. ეს გვაფიქრებინებს, რომ რეალური ჩართულობა პროგრამაში (ინფორმირებულობის დონეზე) სულ სოფლის მოსახლეობის 30-37%. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონების მიხედვით ეს მონაცემი მერყეობს და ყველაზე მეტად ინფორმირებული მოსახლეობა სოფლის დახმარების პროგრამის შესახებ კახეთშია (გამოკითხულთა 52% ამბობს, რომ პროგრამაზე ინფორმაციას ფლობს). ყველაზე ნაკლებად კი სამცხე-ჯავახეთში (22 %). ჩართულობის მაჩვენებელს ამყარებს კითხვაზე – მიიღეთ თუ არა მონაწილეობა პროგრამის პრიორიტეტების განსაზღვრაში, მიღებული პასუხების სტატისტიკაც. კერძოდ: გამოკითხულთა 18% ამბობს, რომ უშუალოდ მიიღო მონაწილეობა, 11%-ის თქმით კი მონაწილეობა მიიღო მისმა ოჯახის წევრმა. ანუ საუბარია სულ 29%-იან ჩართულობაზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხულთა 48% ადასტურებს, რომ სოფელში ჩატარდა კრება პრიორიტეტების შესარჩევად. მიუხედავად იმისა, რომ მათ ნაწილს მონაწილეობა არ მიუღია ამ კრებაში (წყარო: ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. 2011).

შესაბამისად განსხვავებულია ჩართულობის ხარისხი, რომელიც საფეხუროვანი კიბის პრინციპით განალაგა შერი არნსტეინმა (Sherry Arnstein, 1930-1997). მან გამოყო მონაწილეობის რვა საფეხური, რომელიც დაყო სამ ჯგუფად: მონაწილეობის არარსებობა, მინიმალური მონაწილეობა და მოქალაქის ძალაუფლებით აღჭურვა.

მანიპულაცია და **თერაპია** არის **მოქალაქეთა ფსევდომონაწილეობის** ეტაპები, როდესაც იქმნება სურათი, რომ მოქალაქეები თითქოს ჩართულები არიან, მაგრამ რეალურად ეს ასე არ არის. მანიპულაციის მაგალითია საზოგადოებრივი მრჩეველთა ჯგუფების შექმნა, გამოკითხვების ჩატარება, შეხვედრების ორგანიზება არა საზოგადოების ჩართულობის ხელშესაწყობად, არამედ იმის საჩვენებლად, რომ „მოქალაქეთა მონაწილეობის კომპონენტი“ არის დაცული.

შემდეგი ჯგუფი მოიცავს **მინიმალური ჩართულობის** დონეებს, როდესაც მოქალაქეებს აქვთ მეტი ხმა, მაგრამ მათ ნაკლებად უსმენენ. მონაწილეობის ყველაზე დაბალ დონეს წარმოადგენს **ინფორმირებულობა,** როდესაც მოქალაქეებს მხოლოდ აწვდიან ინფორმაციას გეგმების შესახებ. ინფორმირება, საწყისი, თუმცა უაღრესად მნიშვნელოვანი ეტაპია მოქალაქეთა ჩართულობისას. ის ცალმხრივი პროცესია და არ მოიცავს უკუკავშირს, საზოგადოების აზრის გაგებას. ინფორმირების საშუალებებად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მედია, საინფორმაციო ბუკლეტები და ა.შ. შემდეგი საფეხურია **კონსულტაცია,** შეხედულებების გაზიარება. ამ ეტაპზე შესაძლებელია როგორც ინფორმაციის მიწოდება ასევე, მოქალაქეთა შეხედულებების მოსმენა. ამ ორი საფეხურის დროს მოქალაქეები არ ფლობენ ძალაუფლებას და ვერ ახდენენ გადაწყვეტილებაზე ზემოქმედებას. მინიმალური ჩართულობის ყველაზე მაღალი საფეხურია **დამშვიდება**, როდესაც ხელისუფლება საზოგადოების წევრებსა და ჯგუფებს სთხოვს წარმოადგინონ საკუთარი იდეები და მოსაზრებები, თუმცა გადაწყვეტილების მიღების ბერკეტებს თავად ფლობს.

შერი არნსტეინის თანამონაწილეობის კიბე . წყარო: Arnstein. 1969

შემდეგი სამი საფეხური აერთიანებს ეტაპს, როდესაც **მოქალაქე ძალაუფლებითაა** აღჭურვილი. **პარტნიორობის** დროს მოქალაქეები ხელისუფლებასთან ერთად არა მხოლოდ განიხილავენ შესაძლო ალტერნატივას, არამედ თავადაც ერთვებიან

განხორციელების პროცესში, მაგალითად, კოალიციების შექმნის გზით. ძალაუფლების დელეგირება და მოქალაქის კონტროლი გულისხმობს გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად მოქალაქეთა ჯგუფებს გადაეცეთ სხვადასხვა რესურსები და ამასთანავე თავად განახორციელონ მიღებული გადაწყვეტილების შესრულების მონიტორინგი. აშკარაა, რომ არნსტეინის მოცემული მოდელი სურათის გამარტივებული აღწერაა, მაგრამ ის ასევე კარგად უჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი სხვაობაა ჩართულობის ხარისხებს შორის.

კრიტიკოსები თვლიან, რომ მოქალაქის ჩართულობა საკმაოდ ძვირადღირებული და დროში გაწელილი პროცესია (მაგ. დასავლეთ ავსტრალიაში განხორციელებული პროგრამა „დიალოგი ქალაქთან“ რეალიზებას დასჭირდა 570 000 ავსტრალიური დოლარი მაშინ, როდესაც არადელიბერაციული დაგეგმვის შემთხვევაში ეს ხარჯი დაახლ. 250 000 იყო იხ. ჩანართი 4.5), რადგანაც ის დაკავშირებულია კონსულტაციებთან, საზოგადოებისთვის საკითხის წარდგენასთან, საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვასთან, საზოგადოების მხრიდან უკუკავშირის მოლოდინთან და ა.შ. თუმცა, პრაქტიკამ აჩვენა, რომ მოქალაქეთა ჩართულობის შედეგად მიღებული სარგებელი დიდწილად აღემატება მისთვის გაღებულ დანახარჯს. ეს გამოიხატება მოქალაქეთა მზაობაში, ჩაერთონ რეალიზაციის პროცესში, გაინაწილონ პასუხისმგებლობა მთავრობასთან ერთად, გაგებით შეხვდნენ შესაძლო წარუმატებლობას და ა.შ. სწორედ ამის გამოა, რომ შედეგზე ორიენტირებული მთავრობები უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ დელიბერაციულ პრაქტიკას.

ჩართულობის შედეგად მიღებული სარგებელი

- ინფორმაცია თუ რეალურად რა პრობლემა აწუხებს საზოგადოებას;
- საზოგადოების მხრიდან ხელშეწყობა დაგეგმვის პროცესში;
- საზოგადობის წინააღმდეგობის და გაჭიანურებული კონფლიქტების არიდება;
- კეთილი ნება მომავალი გადაწყვეტილების განხორციელებისათვის;
- თანამშრომლობის განწყობა და ნდობის დამყარება საზოგადოებასა და გადაწყვეტილების მიმღებთ შორის.

წყარო: Cogan & Sharpe, 1986

კითხვები გააზრებისთვის:

1. როგორია მოქალაქეობის კონცეფცია და რა კომპონენტებისგან შედგება ის?
2. რომელია სახელმწიფოსადმი მიკუთვნებულობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები?
3. რატომ უწევთ მოქალაქეებს მათი სამოქალაქო მოვალეობის შესრულებისას რესურსების გაღება?
4. რას გულისხმობს "სოციალური მოქალაქეობის" კონცეფცია?
5. რა გამოწვევების წინაშე დგას წარმომადგენლობითი დემოკრატია და როგორ არის შესაძლებელი მათი დაძლევა?
6. რა არის გადაწყვეტილების მიღების დელიბერაციული მოდელის ძლიერი და სუსტი მხარეები?
7. როგორია ძალაუფლებით აღჭურვილი მოქალაქე?
8. არნსტეინის თანამონაწილეობის კიბის შესაბამისად რატომ ითვლება ინფორმირებულობა ჩართულობის საშუალო დონედ?
9. შეაფასეთ „სოფლის დახმარების პროგრამა" არნსტეინის თანამონაწილეობის კიბის გამოყენებით.

თავი XIV

მოქალაქეზე ორიენტირებული მმართველობა

მმართველობის საყოველთაოდ მიღებული განმარტების თანახმად, ის გადაწყვეტილებების მიღების პროცესია, რომელიც ზეგავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე. მმართველობაზე შესაძლოა ვისაუბროთ რამდენიმე კონტექსტში, დაწყებული საერთაშორისო მმართველობიდან ადგილობრივი თვითმმართველობით დასრულებული.

ცნობილია, რომ ყველა მმართველობა ვერ იქნება ეფექტური, რადგანაც მხოლოდ მმართველობაზე ორიენტირება ქმნის ბიუროკრატიულ სისტემას, რომელიც მოიცავს იერარქიული, ცენტრალიზებული, უფრო მეტად მოქნილი და სწრაფი მმართველობის პრაქტიკის დანერგვას, რითაც არ ტოვებს ადგილს დელიბერაციული მეთოდების გამოყენებისათვის. საზოგადოებაში არსებულ აქტორებთან თანამშრომლობა დროში გაწელილი პროცესია და მოითხოვს კონსესუსზე ორიენტირებას, რაც თავის მხრივ უპირისპირდება მმართველობის ბიუროკრატიულ სისტემას. ამ უკანასკნელს ასევე ახასიათებს დიდი რაოდენობით საჯარო მოხელეების არსებობა, რომელიც თავის მხრივ სახელმწიფო რესურსების დანახარჯს ზრდის. მისგან განსხვავებით კარგი, დემოკრატიული მმართველობა მოიცავს კერძო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოებას, მედიას, მოქალაქეებს, ინდივიდებს, რომლებიც წარმოადგენენ არა მხოლოდ მაკონტროლებლებს, არამედ ხელისუფლებისაგან დელეგირებული აქვთ გარკვეული უფლებამოსილებები, რათა თავიანთი პასუხისმგებლობით მოახდინონ მათი იმპლემენტაცია.

აქ ჩნდება კითხვები, თუ როგორ არის შესაძლებელი შევაფასოთ რამდენად „კარგი“ და დემოკრატიულია მთავრობა, რა კრიტერიუმების გამოყოფაა შესაძლებელი შეფასების პროცესში და რატომ არის ეს შეფასება მნიშვნელოვანი საქართველოსთვის, როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე მისი მოქალაქეებისთვის, რომლებიც დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას ცდილობენ.

კარგი, დემოკრატიული მმართველობა შესაძლოა განვიხილოთ, როგორც მმართველობა, სადაც ხალხი ჩართულია მაქსიმალურად და მიღებული გადაწყვეტილებებიც მათზე არის მორგებული. მმართველობითი პროცესის ეფექტურობა დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ღიაა პროცესი, რამდენად შესაძლებელია დაინტერესებული პირები და განსაკუთრებით, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ჩაერთონ მასში.

ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მოქალაქეებს შორის თანამშრომლობა დემოკრატიული მმართველობის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. თუმცა ფაქტია, რომ მმართველები ხშირად ხდებიან კრიტიკის ობიექტი სწორედ მოქალაქეებისგან დისტანცირების გამო, რამდენადაც

არ ესწრაფვიან მოქალაქეთა ჩართულობის წახალისებას. რასაც საბოლოო ჯამში, მივყავართ საზოგადოების პოლიტიკისგან დისტანცირებამდე. ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს, რომ არჩევნებზე მისულ მოქალაქეთა რაოდენობა ევროკავშირის ქვეყნებში 1980 წლიდან 2013 წლამდე 87%-დან 65%-მდე შემცირდა (ნახ.№3). შესაბამისად, ჩნდება კითხვა, როგორ არის შესაძლებელი გაუცხოების გადალახვა, ხელისუფლების მხრიდან პროცესის გახსნილობის ინიცირება და მოქალაქეებში მონაწილეობის, როგორც ვალდებულების განწყობის გაღვივება?



* 2016 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების თანახმად დიდი ბრიტანეთის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა ევროკავშირის დატოვებას. წლის ბოლოსთვის დაიწყება ევროკავშირის ოფიციალურად დატოვების პროცედურები.

1980-2013 წწ. არჩევნებში მონაწილეთა კლების მაჩვენებელი ევროკავშირის სახელმწიფოებში. წყარო: Bouza. 2014. გვ. 6

ამ პრობლემის გადალახვის მცდელობას წარმოადგენს **„კარგი მმართველობის კონცეფციის“** დანერგვა, რომლის ინიციატორი მსოფლიო ბანკი იყო. ის ამ ნაბიჯით შეეცადა ადრე არსებული არაეფექტური, მოქალაქისგან დისტანცირებული მმართველობის პროცესისთვის დაეპირისპირებინა განსხვავებული – მოქალაქეზე ორიენტირებული კონცეფცია.

კარგი მმართველობის კონცეფცია ეყრდნობა რამდენიმე ძირითად პრინციპს, რომლის საფუძველზე ასევე შესაძლებელია შევაფასოთ, თუ რამდენად დემოკრატიულია სახელმწიფო. ესენია:

ანგარიშვალდებულება. ხელისუფლების წარმომადგენელი თავის უფლებამოსილებას აღიქვამს არა როგორც პრივილეგიას, არამედ როგორც პასუხისმგებლობას და თითოეულ საჯარო მოხელეს გააზრებული აქვს, რომ ის ვალდებულია ხალხის წინაშე. ანგარიშვალდებულების პრინციპის დაცვისათვის აუცილებელია კანონის უზენაესობის დაცვა, სახელმწიფო აპარატის კორუფციისგან განთავისუფლება და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა. ანგარიშვალდებულების დაცვის მაგალითია, როდესაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ყველა საჯარო მოხელე ვალდებულია ყოველწლიურად შეავსოს ფინანსური დეკლარაცია, რითაც ის საკუთარ ფინანსურ აქტივობებს ხდის გამჭვირვალეს და ამცირებს კორუფციის რისკს. ამასთანავე, აღნიშნული დეკლარაციები ღიაა და მასთან წვდომა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს (https://declaration.gov.ge/).

რეაგირება. მთავრობა ადეკვატურად პასუხობს ხალხის საჭიროებებს. საჯარო მომსახურება ეფექტურია და ორიენტირებული ხალხზე და ხალხი ხედავს, რომ ხელისუფლება ითვალისწინებს მის მოთხოვნებს და ზრუნავს მასზე. ამასთანავე, რეაგირება უნდა განხორციელდეს რაციონალურ ვადებში. დროული რეაგირება იწვევს მოქალაქეებში ნდობის განვითარებას, რაც თავის მხრივ პოლიტიკური ინსტიტუტების გაძლიერების წინაპირობას წარმოადგენს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინიციატივით 2010-2011 წლებში ფუნქციონირებდა პორტალი „ჩემი ქუჩა“, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევდა შეეტყობინებინათ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის (სერვისი ფუნქციონირებდა საქართველოს 4 ქალაქში: თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი) არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემის შესახებ, როგორიცაა, მაგალითად, ჩანგრეული გზა, დაზიანებული გარეგანათება, სიცოცხლისთვის საშიში კონსტრუქციები და ა.შ. მოენიშნათ მათი ადგილმდებარეობა რუკაზე და მოეთხოვათ პრობლემის დროული გადაჭრა. რეაგირების შემდეგ ვებგვერდზე პრობლემა ინიშნებოდა, როგორც მოგვარებული. პორტალზე განთავსებული განაცხადების და გადაჭრილი პრობლემების გაანალიზება საშუალებას იძლეოდა გაგვეკეთებინა დასკვნა, რომ ხელისუფლების მხრიდან პრობლემებზე რეაგირება ახდენდა მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობას და ზრდიდა მათ მოტივაციას თავად ეზრუნათ თავიანთი გარემოს მოწესრიგებაზე.

გამჭვირვალობა, როცა მოქალაქეები ინფორმირებულები არიან თუ რას აკეთებს ხელისუფლება, რას აკეთებდა და რას გეგმავს მომავალში. აღნიშნულის წინაპირობაა ისეთი საკანონმდებლო ბაზის არსებობა, რომელიც მოქალაქეებს ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობას მისცემს. შესაბამისად, მიღებული პრაქტიკაა ინფორმაციის შესახებ კანონის მიღება, როგორც ეს მაგალითად აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, დანიასა და სხვა სახელმწიფოებში განხორციელდა. კანონი ხელისუფლების ორგანოებს ავალდებულებს საჯარო ინფორმაციის აღქმადი ფორმით როგორც გამოქვეყნებას, ასევე, მის გაცემას მოთხოვნის შემთხვევაში. გამჭვირვალე სისტემა მოქალაქეს საშუალებას აძლევს თვალი ადევნოს მმართველობით პროცესს, აკონტროლოს გადაწყვეტილების მიღებისა და იმპლემენტაციის პროცედურები და საჭიროების შემთხვევაში ჩაერთოს მასში. გამჭვირვალე სისტემა ამცირებს კორუფციისა და დანაშაულებრივი ქმედების შესაძლებლობებს და ზრდის სივრცეს მოქალაქისა და საჯარო მოხელეთა თანამშრომლობისათვის, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის დადგენილებით ,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ (№219. 26.08.2013) აღმასრულებელი ხელისუფლების მთელ რიგ ორგანოებს დაეკისრათ ვალდებულება უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება საკუთარ ვებგვერდებზე. აღნიშნული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის, გეგმების, დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის, სახელმწიფო შესყიდვებისა და ქონების პრივატიზაციის გამჭვირვალობას. საჯარო დაწესებულებები ვალდებულნი არიან განათავსონ და განაახლონ ინფორმაცია იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მისი ჩამოტვირთვა, ბეჭდვა, კოპირება.

თუმცა, ამავე დროს, პროაქტიულად გამოქვეყნება ადმინისტრაციულ ორგანოს არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან, რომ მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს საჯარო ინფორმაცია. თუ პირი წერილობით (განცხადებით) მიმართავს საჯარო დაწესებულებას ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, დაწესებულება ვალდებულია გასცეს ინფორმაცია დაუყოვნებლივ, მაგრამ თუ ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული (მაგ. დიდია და გაბნეულია სხვადასხვა დოკუმენტებში, საჭიროებს სხვა დასახლებული პუნქტიდან შეგროვებას), მაშინ დაწესებულება ინფორმაციის გაცემას ახდენს არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

თანამონაწილეობა. მოქალაქეთა ჩართულობა ნიშნავს, როდესაც საზოგადოების ყველა წევრს აქვს უფლება და პასუხისმგებლობა ჩართული იყოს დემოკრატიული მმართველობის პროცესში და, რაც მთავარია, ყოველი მათგანი დარწმუნებულია, რომ მისი ხმა გაზიარებული და მნიშვნელოვანია.

ხელისუფლება კი ხელს უწყობს მოქალაქეებს საჭირო ცოდნისა და უნარების მიღებაში რათა, ისინი გახდნენ სრულყოფილი პარტნიორები და არა მხოლოდ პროცესის მონაწილეები. თანამონაწილეობა გულისხმობს მოქალაქეთა ჩართულობას, როგორც კანონპროექტის შემუშავების, ისე მისი იმპლემენტაციის პროცესში.

მაგალითად, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, 2013 წელს საქართველოს დაეკისრა ვალდებულება მიეღო კანონი, რომელიც დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების აღმოფხვრისკენ იქნებოდა მიმართული. საქართველოს მთავრობამ კანონპროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელ ორგანოდ იუსტიციის სამინისტრო განსაზღვრა, რათა კანონპროექტზე მუშაობის პროცესში მომხდარიყო საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველყოფა. საკითხის განხილვის პროცესში აქტიურად ჩაერთვნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, სასულიერო პირები და მოქალაქეები. თუმცა, საწყის ეტაპზე არ მომხდარა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირება, მისი ცნობიერების ამაღლება, რამაც მოგვიანებით იჩინა თავი და საფუძველი დაუდო ანტიდისკრიმინაციული კანონისა და მისი მიღების მიზეზების განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. საზოგადოების ნაწილი კანონს ადამიანის უფლებათა დამცავ რეგულაციად თვლიდა, ნაწილისათვის უმცირესობათა უფლებების დაკანონება რელიგიური მრწამსისა და ეროვნული ფასეულობების საფრთხეს წარმოადგენდა. კანონი მიღებულ იქნა კონსესუსის შედეგად, რამდენადაც გათვალისწინებულ იქნა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მოთხოვნა და კანონში კვლავ დარჩა კანონპროექტის პირველი მუხლი, რომელშიც დაკონკრეტებულია დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმები, მათ შორის გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია. ასევე გათავალისწინებულ იქნა საპატრიარქოს მოთხოვნა და დაემატა დათქმა საზოგადოებრივი ზნეობის დაცვის აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული მაგალითი აჩვენებს, რომ საზოგადოების ჩართულობა პოლიტიკის კეთების ნებისმიერ ეტაპზე ხელს უწყობს ლეგიტიმური, მოქალაქეზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღებას და ამარტივებს მისი რეალიზაციის პროცესს.

ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი (Friedrich Hayek, 1899-1992)

ავსტრიელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი. XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი თეორეტიკოსი. ნობელის პრემიის ლაურეატი (გ. მიურდალთან ერთად 1974). კლასიკური ლიბერალიზმის ერთ-ერთი მიმდევარი, რომელსაც სწამდა, რომ ინდივიდუალიზმი და საბაზრო ურთიერთობები უპირისპირდებოდა სოციალიზმს. მისმა შემოქმედებითმა მემკვიდრეობამ დიდი როლი შეასრულა ახალი მემარჯვენეობის იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე. ნაშრომებიდან აღსანიშნავია „გზა მონობისკენ“ (1948) და „თავისუფლების კონსტიტუცია“ (1960).

კანონის უზენაესობა ნიშნავს, რომ ყველა თანასწორია კანონის წინაშე და საზოგადოებრივი ურთიერთობების დარეგულირება კანონის საშუალებით ხორციელდება. საზოგადოებაში კანონის მიმართ არსებული ინტერპრეტაციებისა და ხშირ შემთხვევაში უნდობლობის გათვალისწინებით, ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი (Friedrich Hayek, 1899-1992) პოლიტიკოსებს მოუწოდებდა, რომ კონსტიტუციის პრეამბულაშივე განემარტათ, თუ რას შეიძლებოდა დარქმეოდა კანონი, რადგან ყველაფერი არ შეიძლება გახდეს კანონი. სწორედ აქ გადის ზღვარი კანონის მმართველობასა და კანონის უზენაესობას შორის.

მთლიანობაში **კარგი მმართველობა** ესაა პროცესი, როდესაც მმართველებს გათვითცნობიერებული აქვთ, რომ ხალხთან დიალოგს შეუძლია ბიძგი მისცეს პოლიტიკურ ლეგიტიმაციასა და ეფექტურობას. მიუხედავად ზემოთაღნიშნული კრიტერიუმებისა, რომელზედაც დაყრდნობით შესაძლებელია გაიზომოს ქვეყნის დემოკრატიულობის მაჩვენებელი, საჭიროა მათი დაკონკრეტება, ამოცანების განსაზღვრა, რომელიც შეფასების პროცესს უფრო გაამარტივებს. შესაბამისად, ინიციატივის თანახმად ამ მოდელის დამკვიდრება, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად სახელმწიფოებში მნიშვნელოვან ცვლილებებს მოითხოვს პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ სფეროში და რაც მთავარია, ის მოქალაქის ჩართულობის ხარისხზე ახდენს ზეგავლენას. კერძოდ:

1. იზრდება პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რაც უკავშირდება ხალხის მიერ აღიარების აუცილებლობას და რეგულარული არჩევნების ჩატარებას ხელისუფლების ლეგიტიმაციის მიზნით;
2. უზრუნველყოფილია ასოციაციების შექმნისა და მმართველობით პროცესებში მონაწილეობის თავისუფლება სხვადასხვა რელიგიური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თუ პროფესიული ჯგუფებისათვის;
3. იზრდება სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და იხვეწება საკანონმდებლო ბაზა, რათა დაცულ იქნას ადამიანის უფლებები, სოციალური სამართლიანობა და არ მოხდეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენება;
4. იზრდება ბიუროკრატიული აპარატის ანგარიშვალდებულება, რათა გამარტივდეს სისტემის მონიტორინგი და კონტროლი, რაც თავის მხრივ მის გამჭვირვალობას უწყობს ხელს;
5. უზრუნველყოფილია ინფორმაციის თავისუფლება ხელისუფლების მუშაობის ეფექტურობის შეფასების მიზნით;
6. პროფესიულად ძლიერდება საჯარო ადმინისტრაცია, რაც მის მუშაობის ხარისხზე აისახება;
7. გააქტიურებულია სამოქალაქო სექტორისა და ხელისუფლების თანამშრომლობა.

საბოლოო ჯამში, კარგი მმართველობის კონცეფცია მოქალაქეთა ჩართულობის და ადამიანის უფლებათა დაცვის გზით ეფექტური მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებას უკავშირდება.

14.1. ელექტრონული დემოკრატია და ელექტრონული მონაწილეობა

ტექნოლოგიების განვითარებამ გააფართოვა და ახალი შინაარსი შესძინა საჯარო სამსახურებსა და მოქალაქეთა ურთიერთობებს. ერთი მხრივ საჯარო სექტორს მიეცა შესაძლებლობა საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით გააუმჯობესოს მომსახურებისა და ინფორმაციის მიწოდება, ადვილად მიიღოს მოქალაქეთაგან უკუკავშირი და ამით უზრუნველყოს კარგი მმართველობის პრინციპების შესრულება. მეორე მხრივ, გაიზარდა სამოქალაქო-პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები და შესაძლებლობები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გაჩნდა ელექტრონული დემოკრატიის კონცეფცია, რომელიც გულისხმობს მმართველობის ისეთ ფორმას, სადაც მოქალაქეებს აქვთ საშუალება თანაბრად იმონაწილევონ სამოქალაქო-პოლიტიკურ პროცესებში, რამდენადაც მმართველობის მექანიზმი უზრუნველყობს მონაწილეობისათვის საჭირო ელექტრონული რესურსის შეთავაზებას.

თანამონაწილეობის პირვანდელი მოდელები ეფუძნება მონაწილეობის ე.წ. „ქაღალდზე დაფუძნებულ“ (offline) მოდელებს. გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფო სერვისის მიღების პროცესში პირისპირი კომუნიკაცია მონაწილეობის აუცილებელი პირობა იყო. ამისათვის მოქალაქე თმობდა დროს, ხარჯებს რაც შესაძლებელია, განვიხილოთ, როგორც თანამონაწილეობის შემაკავებელი ფაქტორი. ელექტრონული მმართველობის კონცეფცია კი მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობას ქმნის სახლიდან გაუსვლელად, მინიმალური დანახარჯების გაღებით. ელექტრონული დემოკრატია ეფუძნება დემოკრატიის დელიბერაციულ მოდელს, რამდენადაც შეუძლია ვებსივრცეში შექმნას გარემო დისკუსიებისა და განხილვებისთვის.

დღესდღეობით არსებობს ელექტრონული მმართველობის რამდენიმე დეფინიცია: ციფრული მმართველობა, ონლაინმმართველობა, ინტერნეტმმართველობა და სხვა. რა ტერმინითაც არ უნდა აღვნიშნოთ სახელმწიფო მმართველობის ეს ახალი და ნოვატორული საშუალება, ფაქტია, რომ გლობალური მასშტაბით ის აქტიურად იმკვიდრებს ადგილს, როგორც სახელმწიფო ადმინისტრირების მნიშვნელოვანი მექანიზმი. აღსანიშნავია, რომ ელექტრონული მმართველობის პრაქტიკული დანერგვა და განვითარება ოთხი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება:

- ელ-მმართველობა მოქალაქეებისათვის – G2C (Government-to-Citizen);
- ელ-მმართველობა ბიზნესისთვის – G2B (Government-to-Business);
- ელ-მმართველობა სახელმწიფო ორგანოებისთვის – G2G (Government -to-Government);
- ელ-მმართველობა საჯარო მოხელეებისათვის – G2E (Government-to-Employees).

ამ ფორმატით ელ-მმართველობის განვითარება დაკავშირებულია ხელი-

სუფლების მიერ საზოგადოებისთვის სხვადასხვა ონლაინ რესურსების შეთავაზებასთან, როგორიცაა საჯარო ინფორმაციის ონლაინ გამოქვეყნება, საზოგადოებრივი ონლაინ გამოკითხვები, აქტიური ორმხრივი ინტერაქტივი სახელმწიფო სტრუქტურებსა და მომხმარებლებს შორის, სხვადასხვა ონლაინ სერვისების არსებობა, ხმის მიცემის ელექტრონული ფორმატი და სხვა (როსტიაშვილი, 2010).

ელექტრონული მმართველობის განხორციელების რამდენიმე დონის გამოყოფაა შესაძლებელი. პირველ დონეზე ხდება **ცალმხრივი კომუნიკაცია** – სახელმწიფო უწყების ვებგვერდი მოქალაქეებს აწვდის ინფორმაციას, სიახლეების, სტრუქტურის, მოხელეების, ბიუჯეტისა თუ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. შედარებით მაღალი, ანუ ინტერაქციული დონის ელექტრონული კომუნიკაციის შედეგად მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის მყარდება **ორმხრივი კომუნიკაცია.** სახელმწიფო უწყების ვებგვერდზე შესაძლებელი ხდება ონლაინკონსულტირების მიღება. ასევე, რეგისტრაციის შედეგად შესაძლებელი ხდება სხვადასხვა სახის ელექტრონული მომსახურების გაწევა მოქალაქეთათვის. ელექტრონული მმართველობის ყველაზე **მაღალ ანუ ჩართულობით დონეზე,** მოქალაქეები თავად არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესის მონაწილეები. მოსახლეობა აქტიურად არის ჩართული მათთვის მნიშვნელოვანი თემის შესახებ არსებულ დისკუსიაში. ამის განხორციელებისთვის სხვადასხვა გზა არსებობს, მაგალითად, ელექტრონული პეტიციების შექმნა, საიტზე მოსაზრების დაფიქსირება – გამოკითხვისა თუ ფორუმში მონაწილეობით.

საქართველო 2011 წლიდან არის პროექტ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ წევრი ქვეყანა. პარტნიორობის მიზანია მართვის პროცესის მაქსიმალური გაუმჯობესება, გამჭვირვალობისა და ეფექტურობის გაზრდა, რომლის მიღწევისთვის, სახელმწიფოს ერთ-ერთ სტრატეგიას წარმოადგენს ელექტრონული მმართველობის დანერგვა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო დაწესებულებების, მუნიციპალიტეტების ვებგვერდებით აღჭურვას და მოქალაქისათვის სხვადასხვა ელექტრონული რესურსების შეთავაზებას. შესაბამისად, ვებგვერდების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია სამივე დონის იდენტიფიცირება. მაგალითად, მუნიციპალიტეტების ვებგვერდები ძირითადად ცალმხრივ ინტერაქციაზეა ორიენტირებული, გვხვდება ორმხრივ ინტერაქციაზე აგებული ვებგვერდებიც, ხოლო ვებგვერდით ჩართულობის და ინიციატივების შესაძლობლობას მისი ძალიან მცირე ნაწილი იძლევა.

ელექტრონული სერვისებიდან განსაკუთრეული აღნიშვნის ღირსია მოქალაქის ელექტრონული პირადობის მოწმობა (ID ბარათი). მისი საშუალებით შესაძლებელია არაერთი ელექტრონული მომსახურების მიღება, რომელიც თავმოყრილია მოქალაქის ელექტრონულ პორტალზე (www.my.gov.ge), მათ შორისაა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა, რომელსაც შემდეგ ნაწილში დეტალურად განვიხილავთ. აღნიშნული საიტი წარმოადგენს სახელმწიფო

სტრუქტურებში არსებული ელექტრონული სერვისების კრებულს. ამჟამად განთავსებულია 70-ზე მეტი ელექტრონული მომსახურება, მათ შორის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა.

14.2. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა

მოქალაქის ძალაუფლებით აღჭურვის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი ინფორმაციის ფლობაა. შესაძლებელია გამოვავლინოთ აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების რამდენიმე წყარო: პირველი – სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც გამჭვირვალობის პრინციპის გათვალისწინებით, ვალდებულნი არიან გაასაჯაროონ მონაცემები, მეორე – მეორადი მონაცემები, რომელიც წარმოადგენს ვინმეს ინტერპრეტაციას და მესამე – პირველადი მონაცემები, რომლის მოძიების პროცესში, თავად მოქალაქეა ჩაბმული. სწორედ ამ უკანასკნელთან არის დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის მოძიების პროცესი.

1. *რა არის საჯარო ინფორმაცია?* საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაცულია საჯარო დაწესებულებაში და ამ ორგანოს საქმიანობას უკავშირდება. საჯარო ინფორმაცია შეიძლება იყოს: ორგანიზაციის ბიუჯეტი და ხარჯები, საშტატო განრიგი და ა.შ.

2. *ვინ არის ვალდებული გასცეს საჯარო ინფორმაცია?* საჯარო დაწესებულებები, ანუ ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო და დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), ასევე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია თუ რა ტიპის ინფორმაციის გასაიდუმლოებაა დაუშვებელი:

- ✓ ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;
- ✓ საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;
- ✓ საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი;
- ✓ საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალებათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება;

- ✓ კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები;
- ✓ არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;
- ✓ საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;
- ✓ საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;
- ✓ საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;
- ✓ საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე;
- ✓ იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს;
- ✓ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია.
- ✓ ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებად ან არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს.

წყარო: IDFI ელექტრონული ჩართულობის სახელმძღვანელო. 2015. თბილისი

1. *რატომ უნდა მოითხოვოს მოქალაქემ საჯარო ინფორმაცია?* საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნისას მოქალაქეები ახდენენ ხელისუფლების მონიტორინგს, ასევე უბიძგებენ მათ გახდნენ უფრო მეტად ანგარიშვალდებულნი და საქმის წარმოება გახადონ გამჭვირვალე;

2. *როგორ არის შესაძლებელი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა?* საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია წერილობით და ელექტრონულად. ელექტრონულად ინფორმაციის გამოთხოვნის სამი გზა არსებობს: პირველი – საჯარო დაწესებულების ვებგვერდი, მეორე – ელექტრონული პორტა-

ლი www.my.gov.ge და მესამე – დაწესებულების მიერ ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირთან დაკავშირება.

ა) საქართველოს მთავრობის დადგენილებით „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ სამთავრობო დაწესებულებათა ნაწილს (კერძოდ: საქართველოს მთავრობის კანცელარია; საქართველოს სამინისტროები; საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები; საქართველოს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები; საქართველოს მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულებები) დაევალათ ვებგვერდზე უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესაძლებლობა შესაბამისი ფუნქციის დამატებით;

ბ) www.my.gov.ge წარმოადგენს ელექტრონული სერვისების კრებულს, სადაც განთავსებულია 70-ზე მეტი ელექტრონული მომსახურება მათ შორის ინფორმაციის გამოთხოვა. პორტალის მეშვეობით საჯარო ინფორმაცია შესაძლებელია გამოთხოვილ იქნას 52 სახელმწიფო დაწესებულებიდან (მათი ქვეუწყებებისა და რეგიონული სამსახურების ჩათვლით 408 (2015 წლის მონაცემებით). პორტალის მეშვეობით საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვა შესაძლებელია ყველა იმ სახელმწიფო უწყებიდან, რომელიც ჩართულია საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში;

გ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ელ-ფოსტა – თითოეული საჯარო დაწესებულება ვალდებულია ჰყავდეს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. იგი დამოუკიდებლად უნდა წყვეტდეს ცალკეული ინფორმაციის გაცემა-გასაჯაროების საკითხს. მისი საკონტაქტო ინფორმაცია (სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა) მითითებული უნდა იყოს შესაბამისი დაწესებულების ოფიციალურ ელექტრონულ რესურსზე. თქვენ შეგიძლიათ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა გააგზავნოთ ხსენებული საჯარო მოხელის ელ-ფოსტაზე.

ჩანართი 4.6. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2010-2015 წლებში

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, 2010–2015 წლებში განხორციელებული პროექტების ფარგლებში, საჯარო დაწესებულებებში სულ გაიგზავნა 30 152 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, საიდანაც პასუხი მიღებულია 24 438 მოთხოვნაზე. 2010–2015 წლებში IDFI–ის მიერ განხორცილებული პროექტებიდან, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე გაცემული პასუხების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (90%) 2013 წელს ფიქსირდება. 2014 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 82%–მდე შემცირდა, ხოლო 2015 წელს დაკმაყოფილებული განცხადებების მაჩვენებელმა 86% შეადგინა. ამასთან, 2010–2015 წლებში IDFI–ის მიერ გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული სრულყოფილი პასუხების ყველაზე დაბალი (33%), ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე მაღალი (48%) მაჩვენებლები 2010 წელს განხორციელებული პროექტის ფარგლებში ფიქსირდება. პროექტის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლის ხშირი ცვლილებისა, 2010 წელთან შედარებით დღესდღეობით მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია. ასევე ნიშანდობლივია, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე დიდ გავლენას ახდენს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი არჩევნები, ასევე დაწესებულებების ხელმძღვანელ პირთა დამოკიდებულება ღია და ანგარიშვალდებული მმართველობისადმი. მაგალითად, 5 წლის განმავლობაში ჩვენს მიერ წარმოებულმა სტატისტიკამ აჩვენა, რომ არჩევნების შემდგომ პერიოდში შეინიშნება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, თუმცა, პროგრესი შეიძლება ხანმოკლე იყოს და გაგრძელდეს მხოლოდ ახალი ხელისუფლების მოღვაწეობის საწყის ეტაპზე, როდესაც საჯარო დაწესებულებების მიერ რაიმე სახის ინფორმაციის დამალვის სურვილი ნაკლებად არსებობს. წყარო: IDFI. 2015.

საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია მსოფლიოს მასშტაბით ონლაინსერვისების შეთავაზებით მოქალაქეებისთვის, თუმცა, აქ საუბარია ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პროექტებზე და ეს ნაკლებად ეხება ადგილობრივ თვითმმართველობებს. მაშინ, როდესაც ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

14.3. ადგილობრივი თვითმმართველობა და მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობები

მმართველობის ბიუროკრატიული აპარატის ნეგატიური პრაქტიკის აღმოფხვრის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება დეცენტრალიზებული ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაა, რამდენადაც ის ორიენტირებულია ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაზე და მასში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობაზე. შესაბამისად, სახელმწიფოთა დემოკრატიულობის შეფასებისას ერთ-ერთ ინდიკატორად ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების მაჩვენებელი უნდა მივიჩნიოთ.

„ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის" თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს: ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად" (ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია).

ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები ცენტრალური ხელისუფლებისაგან გამიჯნულია, რაც მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს ადგილობრივი საკითხები მათი ინტერესების გათვალისწინებით და მათივე ჩართულობით გადაწყდეს. ამასთანავე, ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქის ჩართულობა შესაძლებელია იყოს უფრო მეტად შედეგზე ორიენტირებული, რამდენადაც მათ შეუძლიათ ადგილობრივი პრობლემების პრიორიტეტიზაცია, ინიცირება, მისი მოგვარების ალტერნატიული გზების წარმოდგენა, მოგვარების პროცესში ხელისუფლებასთან თანამშრომლობა და, რაც მთავარია, შეუძლიათ გაიზიარონ პასუხისმგებლობა მიღებული გადაწყვეტილების შესაძლო შედეგების გამო.

ჩანართი 4.7. „თვითდახმარების ჯგუფი" – მოქალაქეთა ორგანიზებული ერთობა

საქართველოს ზოგიერთ სოფელში თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში შეიქმნა „თვითდახმარების ჯგუფები", რომელიც წარმოადგენს თემში მცხოვრებთა ორგანიზებულ ერთობას. მისი წარმომადგენლები წელიწადში ერთხელ აწყობენ განხილვებს (მრგვალ მაგიდებს) ადგილობრივი პრობლემების შესახებ. თავდაპირველად ატარებენ კვლევას, ანუ გამოკითხვას პრობლემატიკის იდენტიფიცირების მიზნით. შემდეგ, ითვლიან მონაცემებს და ატარებენ „მრგვალ მაგიდას", რომელსაც ესწრებიან თვითმმართველობის წარმომადგენლები. „მრგვალი მაგიდების" მიზანია, სოფლის განვითარების პროგრამაში, რომელსაც ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობა, გათვა–

ლისწინებული იყოს მათ მიერ გამოყოფილი საჭიროებები. მოქალაქეთა და თვითმმართველობების წარმატებული თანამშრომლობის არაერთი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი: სოფელ წინწყაროში, ქალთა „თვითდახმარების ჯგუფებმა“ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით რამდენიმე ადგილობრივი პრობლემა მოაგვარეს: საბავშვო ბაღის გახსნა, გამრიცხველიანება, სანაგვე ყუთების დადგმა. „მრგვალი მაგიდის“ ფორმატში შეხვედრები მოაწყვეს თვითმმართველობასთან (ფონდი „ტასოს“ მხარდაჭერით, ქალთა საინფორმაციო ცენტრის ინიციატივით). შეხვედრებს წინ უძღოდა საჭიროებების კვლევა, რომელიც ჯგუფებმა ჩაატარეს და შედეგები თვითმმართველობას გააცნეს. ანაკლიაში და ერგეტაში „თვითდახმარების ჯგუფებმა“ მოაგვარეს სკოლის ავტობუსის დანიშვნის, საბავშვო ბაღის შენობის გარემონტებისა და ნაგვის გატანის პრობლემა. „ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ადგილობრივ ხელისუფლებასთან. აქ ბედნიერი შემთხვევაა, რადგან სოფლის საკრებულოს თავმჯდომარეც და რწმუნებულიც ღია არიან ჩვენთან თანამშრომლობისთვის. ვფიქრობ, სხვა შემთხვევაში ძალიან გაგვიჭირდებოდა პრობლემების მოგვარებაზე მუშაობა. ჩვენ ვიცნობთ გვერდით თემს, სადაც ჯერ ჩანასახშიც არ არის არც მობილიზაციის და არც თანამშრომლობის მაგალითები. მართალია, გვინდა, ვიმუშოთ იმ თემში, მაგრამ ძალიან რთულია მათი გააქტიურება“ (ანაკლიის თვითდახმარების ჯგუფის წევრი) (წყარო: ხარატიანი ქ. 2014).

ადგილობრივი თვითმმართველობის, როგორც ინსტიტუტის განვითარება პირდაპირ კავშირშია მმართველობის სისტემის ღიაობისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარების საკითხთან. ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორიც, მაგალითად, საქართველოა, აღნიშნული ინსტიტუტის განვითარებას არაერთი წინაღობა ხვდება. პირველი, ქვეყნის განვითარების არცთუ ისე კარგი მაჩვენებელი, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, პოლიტიკური და ეთნიკური კონფლექტები ართულებს ამ საკითხისთვის პრიორიტეტის მინიჭებას. მეორე, მმართველობის საბჭოთა კავშირში არსებული და შემდეგ, ინერციით გამოყოლილი პრაქტიკა, რომელიც ხელისუფლების ქვედა დონეზე აბსოლუტურ კონტროლს გულისხმობს, ხელისუფლებას კომფორტულ მდგომარეობაში ამყოფებს, აძლევს საშუალებას სასურველი სცენარით წარმართოს ადგილზე პოლიტიკის განხორციელება. მაგრამ, ამავე დროს, გამორიცხავს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების შესაძლებლობას. ყველა პოლიტიკური ძალა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლის ამბიცია გააჩნდა, დეცენტრალიზაციის აუცილებლობაზე საუბრობდა. მაგრამ, ხელისუფლების სათავეში მოსული, მალე ივიწყებდა დაპირებას და, ადგილობრივ ინტერესთა ჯგუფებზე დაყრდნობით, ცდილობდა,

მაქსიმალურად გაეხანგრძლივებინა სრული, აბსოლუტური და განუყოფელი ბატონობა ხელისუფლების ყველა დონეზე (ლოსაბერიძე, 2012).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თვითმმართველობის ეფექტურობის თემა დაკავშირებულია მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის საკითხთან, თუ რამდენად მოახდენს უფლებამოსილებათა ცენტრალური ხელისუფლებიდან დაბალ რგოლებზე გადაცემას, შესაბამისი ფინანსური რესურსების უზრუნველყოფით. ეს კი მმართველებსა და მოქალაქეებს შორის კავშირს უფრო მეტად მჭიდროს ხდის.

„ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის“ თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს: ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად“ (ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია).

ზემოთ განხილული მაგალითი „თვითორგანიზების ქსელების“ საქმიანობის ეფექტურობის შესახებ (ჩანართი 4.8) დეცენტალიზებული მმართველობის სისტემის ფარგლებშია შესაძლებელი, რადგან, ადგილობრივი პოლიტიკური არენის არსებობა მოქალაქეებისთვის ამარტივებს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზეგავლენის შესაძლებლობას, ხელს უწყობს ინიციატივების წარმოჩენისა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხებით დაკავების პროცესს. დეცენტრალიზაცია ასევე ხელს უწყობს პოლიტიკური სისტემის ღიაობას, რამდენადაც ძალაუფლების დანაწილების პირობებში იზრდება ძალაუფლების გაზიარებისა და წარმომადგენლობის შესაძლებლობები.

ძალაუფლების მონოპოლიზაცია და ცენტრალიზებული მმართველი ელიტის ჩამოყალიბება ინტეგრაციისა და საზოგადოების კონსოლიდაციის ხელისშემშლელი ფაქტორი ხდება, მაშინ როდესაც, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პირობებში შესაძლებელია უმცირესობები და მარგინალიზებული ჯგუფები ჩართულ იყვნენ ადგილობრივი პრობლემების მოგვარების პროცესში, რაც კონფლიქტური სიტუაციებისგან თავის არიდების საშუალებასაც წარმოადგენს და ამავე დროს ხელს უწყობს საზოგადოებაში ტოლერანტობის გრძნობის ჩამოყალიბებასა და აღნიშნულ უმცირესობათა ინტეგრაციას. დეცენტრალიზაცია ასევე ხელს უწყობს დემოკრატიზაციის პროცესს, რამდენადაც აძლიერებს მოქალაქეთა ჩართულობისა და ადგილობრივი ხელისუფლების ეფექტური კონტროლის შესაძლებლობებს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს დეცენტრალიზაციის პირობებში გაცილებით უმტკივნეულოდ შეუძლიათ ადაპტირება ადგილობრივ ნორმებთან და მახასიათებლებთან, შესაბამისად, უკეთესად შეუძლიათ ადგილობრივ საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავება, ვიდრე ამას ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები შეძლებენ.

რას უწყობს ხელს ადგილობრივი სისტემის დეცენტრალიზაცია?

- ის ქმნის შესაძლებლობებს ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- აწარმოებს ადგილზე მორგებულ სოციალურ და ეკონომიკურ სერვისებს;
- ქმნის კომუნიკაციის ეფექტურ არხს ადგილობრივ მოსახლეობასა და ცენტრალური ხელისუფლებას შორის;
- ვითარდება ადგილობრივი ინსტიტუტები, მატულობს მათი ეფექტურობის მაჩვენებელი;
- ის წარმოადგენს მოქალაქეთა რეალიზაციისა და ლიდერობის გამოვლენის პოტენციალს ადგილობრივ დონეზე.

დეცენტრალიზაციას ასევე ახასითებს სისტემურობა, რაც მთლიანობაში ქვეყნის პოლიტიკური სისტემის გამართულობაზე ახდენს ზეგავლენას. შესაბამისად, დეცენტრალიზაცია წარმოადგენს ეფექტური მმართველობის საშუალებას. და სწორედ დეცენტრალიზაციის არარსებობა წარმოადგენდა საქართველოში ინსტიტუტის სისუსტის უმთავრეს მიზეზს. მაგალითად:

- 1991 წელს, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მართალია, შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მაგრამ პარალელურად შეიქმნა მათი კონტროლის მექანიზმი, პრეზიდენტის მიერ დანიშნული პრეფექტის სახით;
- 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის კონტროლი პრეზიდენტის მიერ დანიშნული რწმუნებულების (რეგიონებში) და გამგებლების (რაიონებში) საშუალებით ხორციელდებოდა.

1997 წელს, „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის მიღებამ და 1998 წელს მუნიციპალური არჩევნების ჩატარებამ დეცენტრალიზაციისათვის სასტარტო პირობები შექმნა. თუმცა, სისტემა კვლავ ცენტრალიზებული მართვის ნიშნებს ატარებდა – რაიონების აღმასრულებელი შტოების ხელმძღვანელები ცენტრიდან ინიშნებოდნენ. რეალურ თვითმმართველობებს ქვედა დონეზე არსებული საქალაქო, სადაბო, სათემო და სასოფლო ხელისუფლების ორგანოები ქმნიდნენ. კანონით მათ საკმაო უფლებამოსილებები გააჩნდათ, მაგრამ, შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე, ეს უფლებები მხოლოდ ფორმალური რჩებოდა.

საქართველოს მოქალაქეს, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, უფლება აქვს:

- აირჩიოს და არჩეულ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა, თუ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
- მიიღოს დეტალური და ამომწურავი ინფორმაცია მუნიციპალური სოციალური პროგრამების შესახებ და შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ისარგებლოს სოციალური სერვისებით;
- წინასწარ გაეცნოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებების პროექტებს, მონაწილეობა მიიღოს მათ განხილვაში, მოითხოვოს გადაწყვეტილებათა პროექტების გამოქვეყნება და საჯარო განხილვა;
- გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი სახის საჯარო ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის ორგანოებიდან; დაესწროს თვითმმართველი ერთეული საკრებულოს, მისი კომისიებისა და სხვა ცალკეულ ერთეულთა საჯარო სხდომებს;
- მიმართოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და თანამდებობის პირებს, შესთავაზოს წინადადებები ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის შესამუშავებლად.

- 2006 წელს გაუქმდა თვითმმართველობის ქვედა დონე იმ მოტივით, რომ რაიონულ დონეს, რომელიც მოქალაქეებს საკმაოდ დაშორდა, ექნებოდა მეტი ფინანსური და ადამიანური რესურსების მობილიზების საშუალება;
- საქართველოში თვითმმართველობის განვითარების ახალი ეტაპი თვითმმართველობის კოდექსის მიღებას უკავშირდება, რომელმაც ქალაქების გამგებლებისა და მერების არჩევით შექმნა დეცენტრალიზების წინაპირობა.

საქართველოს მოქალაქეებს ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის კანონმდებლობით გარანტირებული არაერთი ბერკეტი აქვთ. მათ შორის უმნიშვნელოვანესია უფლება, წინასწარ გაეცნონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებების პროექტებს; მონაწილეობა მიიღონ მათ განხილვაში; მოითხოვონ გადაწყვეტილებათა პროექტების გამოქვეყნება და საჯარო განხილვა; საჭიროების შემთხვევაში მიმართონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და თანამდებობის პირებს; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთ პროცენტს უფლება აქვს მოამზადოს და მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წარუდგინოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი; დაესწრონ მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და მთავრობის სხდომებს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 20%-ის წერილობითი ინიციატივით, შესაძლებელია მერს უნდობლობა გამოუცხადონ. მოიწვიონ მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1%-ის მოთხოვნით; მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს წევრი ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც მოაწყონ საჯარო შეხვედრა ამომრჩევლებთან და მათ წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, აგრეთვე უპასუხონ ანგარიშის განხილვისას ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

კითხვები გააზრებისთვის:

1. რა სხვაობაა ტერმინ „მმართველობასა“ და “კარგ მმართველობას“ შორის?
2. რომელი უმთავრესი კომპონენტებისაგან შედგება „კარგი მმართველობის“ კონცეფცია?
3. როგორ ახდენს „კარგი მმართველობა“ მოქალაქეთა ჩართულობაზე ზეგავლენას?
4. რას გულისხმობს ელექტრონული მმართველობის კონცეფცია და რომელია მისი უმთავრესი მიმართულებები?
5. რატომ არის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა მნიშვნელოვანი?
6. რატომ არის ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობა უმნიშვნელოვანესი?
7. რა არის ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენცია?
8. რატომ არის მნიშვნელოვანი ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზაცია?

თავი XV.

მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგიები

დელიბერაციული მოდელი გულისხმობს მოქალაქეთა აქტიურ ჩართულობას სამოქალაქო-პოლიტიკურ საქმიანობაში დისკუსიებისა და განხილვის პროცესში მონაწილეობის გზით, რომელიც წარმოაჩენს გადაწყვეტილებათა ალტერნატიულ გზებს და ამავე დროს, აღრმავებს თანამშრომლობით პროცესებს მოქალაქესა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის. თუმცა, თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნა მთელი რიგი სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობენ ინფორმირებული და გააზრებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და, რაც მთავარია, ორიენტირებული არიან შედეგზე, რომელიც კონსესუსის საფუძველზე მიიღება. სახელმძღვანელოში რამდენიმე მათგანს განვიხილავთ.

სამოქალაქო მრჩეველთა ჯგუფი. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვანია მოქალაქეთა კონსულტაციის საფუძველზე საჭიროებების დადგენა და მათი კომპეტენციების გამოყენებით გადაწყვეტილების მიღება და იმპლიმენტაცია. შესაბამისად, მოქალაქეთა, მრჩეველთა საბჭოებისა და კომისიების შექმნა, აპრობირებულ სტრატეგიას წარმოადგენს. სამოქალაქო მრჩეველთა ჯგუფები იძლევა მოქალაქეთა, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი ჩართვის შესაძლებლობას, რამდენადაც მოქალაქეები ეცნობიან წარმოდგენილ საკითხებს შინაარსობრივად, ხდება კონსულტაცია და მოსაზრებათა გაცვლა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის.

ჩანართი 4.8. რუმინეთის გამოცდილება

რუმინეთი, ბრასოვი, 2001 წელი. საჯარო განხილვას 538 მოქალაქე ესწრება. ეს დიდი მიღწევაა მას შემდეგ, რაც წინა წელს კრებაზე მხოლოდ 35 ადამიანი გამოცხადდა. შესაბამისად, აღნიშნული შეხვედრა არის უფრო მეტად წარმომადგენლობითი და ლეგიტიმური. შეხვედრის ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა ტრანსპორტის საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო მრჩეველთა ჯგუფის შექმნაა. 14 კაციანი ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთაგან, იმუშავებს ქალაქის სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგების საკითხებზე, რომელიც ქალაქის ბიუჯეტის რიგით მესამე პრიორიტეტს წარმოადგენს. მოსაგვარებელი საკითხებია მგზავრობის გადასახადი, სუბსიდიები, ავტოპარკის განახლების საკითხი და ა.შ. (წყარო: Holdar, Zakharchenko. 2002. გვ. 21).

ამასთანავე, ეს მექანიზმი საშუალებას იძლევა შეიქმნას ხიდი მმართველებსა და მართულებს შორის. მსგავსი ჯგუფის შექმნის ინიციატორი შესაძლებელია იყოს, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი, ასევე, თავად მოქალაქეებიც. პირველის დაინტერესება საზოგადოებისგან კონსულტაციის მიღებაა, მოქალაქეების კი მათზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღება. მრჩეველთა ჯგუფებში მონაწილეობა, როგორც წესი, არ ანაზღაურდება და სამოხალისეო პრინციპებზეა დაფუძნებული, მაგრამ სამუშაო სივრცით, როგორც წესი, ადგილობრივი ხელისუფლება ეხმარება.

საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი ითვალისწინებს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობას და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდას. აღნიშნული მიზნის მიღწევა ამ ორგანოს შეუძლია საჯარო განხილვებისა და დისკუსიების ორგანიზებით, რითაც ხელს უწყობს საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ზრდას და ამავე დროს იზრდება მმართველთა ანგარიშვალდებულების კულტურაც. მაგალითად, 2015 წელს ქ. ბათუმის მრჩეველთა საბჭომ გაავრცელა მიმართვა, სადაც ხაზს უსვამდა, რომ ბათუმის ბიუჯეტში შესული ცვლილება, რომელიც ითვალისწინებდა რეკლამის საერთაშორისო ფესტივალის 400 000 ლარით დაფინანსებას, ეჭვის საფუძველს ბადებდა. კერძოდ, ფესტივალის ბათუმში ჩატარების შესახებ განცხადება გაკეთდა ბათუმის თვითმმართველობის თანხმობის გარეშე. ბიუჯეტიდან ისედაც ფინანსდება ოთხი ფესტივალი, რომლის საერთო დანახარჯი 290 000 ლარია და როცა ქალაქის ბიუჯეტიდან ყოველთვის რთულია ფინანსური სახსრების მოძებნა პრიორიტეტების კვლევის, ქალაქის ურბანული განვითარების გეგმის, თუ სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების განსახორციელებლად, რამდენად ლოგიკურია ამ ფესტივალის 400 000 ლარით დაფინანსება (ბათუმელები.09.04.2015). იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტებში მრჩეველთა საბჭო იქმნება სამოქალაქო საწყისებზე და მის შემადგენლობაში შედიან კერძო და სამოქალაქო სექტორის, მედიის წარმომადგენლები, ის საშუალებას იძლევა გახდეს ეფექტური ბერკეტი ძლიერი თვითმმართველობის ჩამოყალიბების პროცესში.

თანამონაწილეობითი ბიუჯეტის შემუშავება. ადმინისტრაციული ერთეულის ბიუჯეტის დაგეგმვა და განხორციელება მნიშვნელოვანი პროცესია და მოქალაქეების ჩართვა მას უფრო მეტად ეფექტურს და გამჭვირვალეს ხდის. ბიუჯეტის მოქალაქეებთან ერთად დაგეგმვის პროცესი **„თანამონაწილეობითი ბიუჯეტის“** სახელწოდებით არის ცნობილი და ბოლო 20 წლის მანძილზე მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთ პოპულარულ მეთოდს წარმოადგენს, რომელიც ლათინურ ამერიკაში, კერძოდ ბრაზილიაში, წარმოიშვა და მოგვიანებით მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

ჩანართი 4.9. თანამონაწილეობითი ბიუჯეტის რეალიზაციის საუკეთესო გამოცდილება

1989 წ. პორტუ-ალეგრი, ბრაზილია. ქალაქის მოსახლეობის მესამედი ცხოვრობს იზოლირებულ უბნებში, სადაც არ აქვთ წვდომა სოციალურ პაკეტებზე, ასევე, მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურა. მოსახლეობის საცხოვრებელი სტრანდარტის გათანასწორების მიზნით შემუშავდა ინიციატივათა პაკეტი, რომელთაგან ერთ-ერთი მოსახლეობის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში ჩართვას ითვალისწინებდა. მას შემდეგ ბიუჯეტის პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები ყოველწლიურად იმართება. ის მოიცავს ამხანაგობების, რაიონული და ქალაქის მასშტაბით შეხვედრებს, რომელშიც ჩართულნი არიან მაცხოვრებლები (დაახლ. 50 ათასი მაცხოვრებელი 1.5 მილიონიანი ქალაქიდან) და დელეგატები, რომლებიც იკვლევენ მომავალი ბიუჯეტის პრიორიტეტებს. თანამონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში არ იგეგმება სახელმწიფოს ვალდებულებები, როგორიცაა, მაგალითად, პენსიის ანაზღაურება, ხოლო მშენებლობა და სერვისები დაახლოებით 200 მლნ დოლარი საზოგადოების ბიუჯეტირების საგანია. შედეგი შთამბეჭდავია: კანალიზაცია და წყლის მომარაგება გაიზარდა 75%-დან 98%-მდე, სკოლების რიცხვი გაიზარდა 4-ჯერ, განათლებისა და ჯანდაცვის ბიუჯეტი გაიზარდა 13%-დან 40%-მდე (წყარო: Sintomer, Herzberg, Rocke. 2008).

თანამონაწილეობითი ბიუჯეტი ერთგვარი შესაძლებლობების ფანჯარაა, როგორც მოქალაქეებისთვის, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. აღნიშნული სტრატეგიის ძლიერი მხარეა ასევე ის თავისებურება, რომელიც მოითხოვს მასში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას, რის გარეშეც პროცესის წარმატებით წარმართვა შეუძლებელია. ჩართულ აქტორთა შორის შესაძლებელია გამოვყოთ:

- სამოქალაქო ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ მოსახლეობის ორგანიზების, საინფორმაციო კამპანიების ჩატარების შესაძლებლობა და რესურსები;
- ბიზნესისა და საწარმოების წარმომადგენლები, ფინანსური თვალსაზრისით მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ქალაქის ფუნქციონირების საქმეში;
- სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები, რათა მოხდეს საზოგადოების ყველა სეგმენტის მოთხოვნილებათა შესწავლა და შესაბამისი პრიორიტეტების განსაზღვრა;
- მედიის წარმომადგენლები, აღნიშნულ პროცესში ინფორმაციის გავრცელება უმნიშვნელოვანესია, შესაბამისად ადგილობრივ მედიას აქვს

რესურსი ჩაერთოს მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებისა და მასების მობილიზაციის პროცესში;

- განმანათლებლები და ტრენერები, რომელთაც აქვთ კვალიფიკაცია და შეუძლიათ მოქალაქეებს გადასცენ ცოდნა და დაეხმარონ შესაბამისი უნარების განვითარებაში.

თანამონაწილეობითი ბიუჯეტის მომზადების პროცესი კომპლექსურია და ის გარკვეული ღონისძიებების გატარებას ითვალისწინებს. კერძოდ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა შეიმუშაონ საბიუჯეტო კალენდარი და განსაზღვრონ თუ რომელ ეტაპზეა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასარგებლო მოქალაქეთა ჩართვა; ბიუჯეტირების პროცესის გამჭვირვალედ წარმართვა, რათა მოქალაქეებმა გაიგონ თუ რეალურად როგორ იხარჯება მათ მიერ გადახდილი გადასახადები; შესაბამისად, რათა მოქალაქეებს გაუჩნდეთ ნდობა აღნიშნული პროცესისადმი.

ქალაქის განვითარების გეგმის მომზადება და მოქალაქეებისთვის გაცნობა, ასევე, არსებული სტრატეგიული გეგმის შესახებ ინფორმაცია მაქსიმალურად დეტალური ენით მიეწოდება მოსახლეობას, რათა თავად ჩაერთონ მოქალაქეზე, ანუ მათზე მორგებული ქალაქის დაგეგმისა და იმპლემენტაციის პროცესში.

რუკაზე მონიშნულია ქალაქები, სადაც ბიუჯეტის დაგეგმვა თანამონაწილეობის პრინციპით ხორციელდება



წყარო: Sintomer. Herzberg. Rocke. 2008

თანამონაწილეობითი ბიუჯეტის შემუშავების განსხვავებული პრაქტიკაც არსებობს და შესაძლებელია მისი ადგილობრივ თავისებურებებზე მორგება. მაგალითად, ესპანეთის ქალაქი კორდობა (320,000 მაცხოვრებელი), სადაც თანამონაწილეობითი ბიუჯეტის შემუშავება 2001 წელს დაიწყო, შესაძლებელია შეფასდეს, როგორც „პორტუ-ალეგრის მოდელის ევროპისთვის ადაპტირება". ამ მაგალითში აქტორები არიან არა მოქალაქეები, არამედ ასოციაციები, ფედერაციები და სხვადასხვა ორგანიზებული ჯგუფის წარმომადგენლები და მას შეიძლება „ორგანიზებული ინტერესის თანამონაწილეობა" ვუწოდოთ.

ბიუჯეტის მომზადების პროცესში მოქალაქეთა ჩართვის მცდელობას წარმოადგენდა თბილისის მერიის ინიციატივა „დაგეგმე შენი ქალაქის ბიუჯეტი", რომლის ფარგლებშიც უნდა მომხდარიყო ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრა. ანკეტები რიგდებოდა როგორც მოსახლეობაში, ასევე მისი შევსება შესაძლებელი იყო ელექტრონული სახითაც. აღნიშნული ჩართულობის მეთოდის გამოყენება საკმაოდ ეფექტურია, მაგრამ ამავე დროს მოითხოვს მთელ რიგ წინაპირობებს. როგორიცაა: საზოგადოების მაღალი თანამონაწილეობითი კულტურა, რომელიც უბიძგებს მათ ჩართულობისკენ; ასევე, აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციები და ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც მოახდენენ ინტერესთა არტიკულაციას; ბიუჯეტირების პროცესის შესახებ ინფორმაციის ფლობას და, რაც მთავარია, ადგილობრივი ხელისუფლების მზადყოფნას ჩართონ მოქალაქეები და გაითვალისწინონ მათი საჭიროებები, ამ ყველაფრის განხორციელება თბილისის შემთხვევაში ვერ მოხერხდა.

თანამონაწილეობითი ბიუჯეტის დაგეგმვის კიდევ ერთ მცდელობას წარმოადგენს ქვემო ქართლში, კერძოდ, მარნეულში ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივა, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობას საშუალება ეძლევა თავად განსაზღვროს ბიუჯეტის პრიორიტეტები. აღნიშნული პროექტის განხორციელებას თან ახლდა სემინარები, რომელიც მიზნად ისახავდა მონაწილეებში პრობლემის იდენტიფიცირების, მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრის და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებას. განსხვავებით საქართველოს დედაქალაქის მაგალითისგან, ამ შემთხვევაში ბიუჯეტირების პროცესი გაცილებით უფრო მეტად დაგეგმილია და საწყის ეტაპზე ორიენტირებულია ამ თემატიკაზე მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებაზე, სტრატეგიის მნიშვნელობის გაგებაზე, რაც ზრდის მოქალაქეთა მოტივაციას და პროცესს უფრო მეტ მდგრადობას სძენს.

საჯარო მოსმენა. გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმირებულობას. კონსესუსის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება ამარტივებს მისი განხორციელების შესაძლებლობას. ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ტექნიკას საჯარო განხილვა წარმოადგენს. ეს არის ერთგვარი ფორუმი, სადაც მოქალაქეები,

საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ხელისუფლების წარმომადგენლები ხვდებიან ერთმანეთს, უზიარებენ ინფორმაციას, იდეებს, პროექტებს, სანამ უშუალოდ განხორციელების ეტაპზე გადავლენ. შესაბამისად, საჯარო მოსმენა, როგორც წესი, იმართება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელისუფლება იწყებს რაიმე ინიციატივის განხორციელებას და სჭირდება საზოგადოებისგან მიიღოს კონსულტაცია და ამავე დროს, მისი საქმიანობა იყოს ლეგიტიმური.

საჯარო მოსმენა ერთგვარი ანგარიშვალდებულების ინსტრუმენტია, რაც არჩეულ მოქალაქეთა წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს გაიარონ კონსულტაცია ამომრჩევლებთან, წარუდგინონ საქმიანობის ანგარიში, ხოლო მოქალაქეებისთვის ერთგვარი აზრის დაფიქსირებისა და მათ საჭიროებებზე მორგებული შედეგების მიღების საშუალებაა. ამასთანავე, მოქალაქეებმა იციან, რომ მათი მოსაზრება, კრიტიკა თუ რჩევა გათვალისწინებული იქნება. ის, როგორც წესი, ყველა მოქალაქისათვის ღიაა, ამიტომაც დაგეგმვისას გათვალისწინებულ უნდა იყოს მოსაზრების მიწოდების ალტერნატიული შესაძლებლობები მათთვის, ვინც პროცესში ჩართვას ვერ ახერხებს (მაგ. ფოსტით, ელ-ფოსტით, სატელეფონო შეტყობინებით და ა.შ).

ჩანართი 4.10. საჯარო მოსმენა ნიუ ჯერსიში

2015 წ. ივლისი, ნიუ ჯერსის შტატი, ქალაქი რალეი. ქალაქის საბჭომ გამართა საჯარო მოსმენა სტოუნის საწყობის გაყიდვასთან და მისი მომავალი იერსახის პროექტთან დაკავშირებით. ეს თემა მნიშვნელოვანია, რადგანაც უკავშირდება ქალაქის განვითარებისა და დაგეგმარების საკითხებს. შესაბამისად, მასში ქალაქის მცხოვრებთა ჩართულობა მნიშვნელოვანია. ქალაქის მმართველობამ მოამზადა გეგმა, რომელიც დაფუძნებულია სამ ძირითად პრინციპზე: ნაგებობისთვის ისტორიული იერსახისა და მნიშვნელობის შენარჩუნება, ასევე მისი საზოგადოებრივი გამოყენება. საპროექტო წინადადება გაეგზავნა შვიდ კომპანიას, რომელთაც უნდა შეემუშავებინათ ნაგებობის ახალი სიცოცხლის ხედვა. პროექტთა უმრავლესობა ნაწილობრივ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. საბოლოო ჯამში შეირჩა შპს „ტრანსფერ დეველოპმენტსი“, რომელიც მზად არის აღნიშნულ ნაგებობაში გადაიხადოს 2,2 მლნ. დოლარი. იმ მოქალაქეებს, რომლებიც ვერ ახერხებენ საჯარო მოსმენაზე დასწრებას, შეუძლიათ მოსაზრებები გამოაგზავნონ, როგორც ფოსტით, ასევე ელექტრონული ფოსტით. წყარო: http://www.nj.gov/bpu

საჯარო მოსმენა, ისევე როგორც მოქალაქეთა ჩართულობის სხვა მეთოდოლოგია, მოითხოვს სამოქალაქო კულტურის გარკვეულ დონეს, მოქალაქეთა ინფორმირებულობას, გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების გამჭვირვალე პრაქტიკის ქონას ან სურვილს მაინც. ამიტომაც,

გარდამავალ საზოგადოებებში ჩართულობის წახალისების პრაქტიკის დაგეგმვისას საჯარო მოსმენა ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებულ ინსტრუმენტს წარმოადგენს (Holdar, Zakharchenko. 2002. გვ. 72).

საქართველოშიც, ადგილობრივი თვითმმართველობის შესწავლისას მოქალაქეთა ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები საკუთარ გამოსვლებში ხშირად აღნიშნავენ, რომ მოქალაქისთვის დღეს ბევრად მარტივია ჩაერთოს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში, თუმცა საზოგადოებაში ჯერ კიდევ არის განწყობა, რომ მის სიტყვას არ მოუსმენენ, რაც, გარკვეულწილად, ხსნის იმ ფაქტს, რომ თვითმართველობების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, მათ შორის საჯარო განხილვებში, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები უფრო ხშირად მონაწილეობენ, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქეები.

როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ისე სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ინიციატივით ტარდება საჯარო მოსმენები, სადაც მოქალაქეთა ჩართულობის მაჩვენებელი დროთა განმავლობაში იზრდება, შესაბამისად, იზრდება აღნიშნულ შეხვედრათა ეფექტურობაც. მაგალითად, 2015 წლის 19 მარტს ახალციხის USAID-ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების გეგმის შესახებ საჯარო მოსმენა გაიმართა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. თუმცა, ქართულ კონტექსტში ყველაზე დიდ ნაკლს მოქალაქეთა ჩართულობის ნაკლებობა წარმოადგენს.

შეფასების ბარათები. შეფასების ბარათები ერთგვარი კვლევის ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია საზოგადოების დამოკიდებულების გარკვევა ამა თუ იმ საკითხის მიმართ, რათა გაუმჯობესდეს საზოგადოების წევრებისათვის სერვისის მიწოდება. მისი საშუალებით შესაძლებელია როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მონაცემების მოპოვება, სერვისების მიწოდების არსებული სტანდარტებისა და პრობლემების შესახებ, ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე. შეფასების ბარათები, ასევე, კარგი ინსტრუმენტია შედარებითი ანალიზისთვის თუ რამდენად აქვს საზოგადოების ყველა წევრს არსებული რესურსების წვდომა და ხომ არ ხდება რომელიმე ჯგუფის მარგინალიზაცია ან დისკრიმინაცია რაიმე ნიშნის მიხედვით.

უშუალოდ საზოგადოებრივი სერვისის მომხმარებელთაგან უკუკავშირის მიღების შემდეგ მონაცემები კარგი საფუძველია როგორც სააგენტოების, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სამუშაო გეგმის მოსამზადებლად, რომელზედაც დაყრდნობით შესაძლებელია მმართველობითი პროცესი უფრო მეტად გამჭვირვალე და ანგარიშგებაზე ორიენტირებული გახდეს.

ჩანართი 4.11. შეფასების ბარათები, საუკეთესო გამოცდილება

1993 წ. ბანგალორი, ინდოეთი. სამოქალაქო ჯგუფების ინიციატივით სახელმწიფო სერვისების ეფექტურობის მონიტორინგის მიზნით ჩატარდა მოქალაქეთა გამოკითხვა შეფასების ბარათებით. ეს ერთგვარად წარმოადგენდა საზოგადოების ზეწოლას ადგილობრივ ხელისუფლებაზე, რათა დაეწყოთ ფიქრი რეფორმათა პაკეტის ინიცირებაზე. შეფასების ბარათი წარმოადგენდა შვიდბალიან სკალას, რომელიც ზომავდა საზოგადოების კმაყოფილების დონეს მიწოდებული სერვისების, მოხელეთა პროფესიონალზმის, კორუფციისა და სხვა მსგავსი საკითხების მიმართ. შედეგები ადგილობრივი მედიის საშუალებით ფართოდ გავრცელდა. სააგენტოები და საჯარო მოხელეები იძულებულნი გახდნენ დაეწყოთ რეფორმის პაკეტის მომზადება, რასაც წინ უძღოდა სამუშაო შეხვედრები, რაც მოქალაქეთა დიდი ჩართულობის ფონზე მიმდინარეობდა. ასევე ჩატარდა შეხვედრები მოსახლეობასთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სადაც განხილულ იქნა თუ რა საკითხები უნდა გამხდარიყო რეფორმის პრიორიტეტი. ამ შემთხვევამ გამოძახილი ქვეყნის სხვა რეგიონებშიც ჰპოვა. შეიქმნა ასზე მეტი სამოქალაქო ორგანიზაცია, რომელიც ატარებდა კამპანიას საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და გამჭვირვალე სახელისუფლებო მენეჯმენტის მიღწევის მიზნით. 1999 წელს ჩატარდა განმეორებითი შეფასების ბარათებით გამოკითხვა, რათა გაეზომათ თუ რა შედეგი მოყვა ექვსი წლის წინანდელ ინიციატივას. ნაწილობრივი ცვლილება ზოგიერთ რაიონში შესამჩნევი იყო. შესწავლილი რვა სააგენტოდან ოთხში შეიმჩნეოდა მოქალაქეთა დაკმაყოფილების მიზნით გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. წყარო: Empowerment Case Studies: Citizens' Report Cards, Bangalore

როგორია შეფასების ბარათების მომზადების პროცედურა? შეფასების ბარათი ერთგვარი კვლევის ინსტრუმენტია, რომლის დროსაც მზადდება თვითადმინისტრირებადი კითხვარი, რომელსაც მოქალაქეები დამოუკიდებლად, ინტერვიუერის ჩარევის გარეშე ავსებენ. შესაბამისად, ანგარიშგასაწევია რამდენიმე ეტაპი: კითხვარის მომზადება, რესპოდენტთა შერჩევა, მონაცემთა მოგროვება და გაანალიზება. კითხვარის მომზადებისას გასათვალისწინებელია, კონკრეტულად რის შესწავლა იგეგმება. ასევე, თავიდან უნდა იქნეს არიდებული მიმართულების მიმცემი და ჰიპოთეტური შეკითხვები, რომელთაც, შესაძლოა, კვლევის შედეგზე მოახდინონ ზეგავლენა. რესპოდენტთა შერჩევისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას მისი რეპრეზენტატულობა, ანუ გამოკითხულთა რაოდენობა შეესაბამებოდეს მთლიანად საკვლევ ერთობლიობას და იძლეოდეს შესაძლებლობას მიღებული შედეგები განზოგადდეს ამ ერთობლიობაზე. ამასთანავე, შეფასების ბარათების გამოყენება მოითხოვს მნიშვნელოვან დროს, ფინანსურ და ადამიანურ რესურს.

ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკვლევი ინსტრუმენტის შედგენის, შერჩევისა და მონაცემთა დამუშავების პროცესში, რადგანაც დაშვებულმა შეცდომებმა შეიძლება კვლევის შედეგების სანდოობის ან ვალიდურობის საკითხი დააყენონ.

შეფასების ბარათების საშუალებით შესაძლებელია მივიღოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- რამდენად ხელმისაწვდომია სერვისი
- როგორია მისი გამოყენების არეალი
- რამდენად ხარისხიანია სერვისი
- სერვისის მიღებისას წარმოშობილი პრობლემები
- რამდენად ხდება სერვისის მწარმოებელთა მხრიდან ამ პრობლემებზე რეაგირება
- სერვისის წარმოების გამჭვირვალობის, მათ შორის ხარისხის სტანდარტისა და ნორმების კონტროლი
- სერვისის წარმოებისას გაღებული დანახარჯი
- რეკომენდაციები სერვისის გასაუმჯობესებლად

ამ პროცესის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ხელისუფლების წარმომადგენელთა მზაობა ინტერესით მოეკიდონ და გაითვალისწინონ საზოგადოების შეფასება და განწყობები, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარება მოითხოვოს საზოგადოებაში.

კითხვები გააზრებისთვის:

1. რა არის მოქალაქეთა ჩართულობის მრავალფეროვანი სტრატეგიების დანერგვის უმთავრესი მიზანი?
2. რა შესაძლებლობებს იძლევა სამოქალაქო მრჩეველთა ჯგუფი მოქალაქეთა ჩართულობის ხელშესაწყობად?
3. რა არის თანამონაწილეობითი ბიუჯეტი?
4. რაში მდგომარეობს საჯარო მოსმენის უმთავრესი არსი?
5. როგორია შეფასების ბარათების მომზადების პროცედურა?
6. იძლევა თუ არა მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგიები ფსევდო მონაწილეობის ილუზიის შექმნის შესაძლებლობას? როგორ არის შესაძლებელი აღნიშნულის თავიდან აცილება?

თავი XVI.

ადვოკატირება საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად

თანამონაწილეობის სტრატეგიების გამოყენების ერთ-ერთ უმთავრეს სარგებელს საზოგადოებისა და ინდივიდის ღირებულებათა ტრანფორმაციის შესაძლებლობა წარმოადგენს. ეს ის პროცესია, როდესაც თითოეული მოქალაქე აღიქვამს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა და გუნდური მუშაობა. ასევე აცნობიერებენ საკუთარ როლს და შესაძლებლობებს. მსგავსი თანამშრომლობითი პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ეხება ადვოკატირების კამპანიის წარმართვას.

ადვოკატირება საზოგადოების ინტერესების დაცვის მეთოდია, რომელსაც იყენებენ საზოგადოებისათვის სასარგებლო ცვლილებების მისაღწევად. ადვოკატირების კამპანია შესაძლოა მიზნად ისახავდეს გარკვეული ჯგუფის უფლებების დაცვას, არსებული პრაქტიკის შეცვლას, ან არშეცვლას. კამპანიას, როგორც წესი, ჰყავს ზემოქმედების ობიექტი, ანუ ვინც უნდა გაითვალისწინოს ადვოკატირების პროცესში ჩართულ მხარეთა მოსაზრებები, ვინც არის პასუხისმგებელი აღნიშნული საკითხის მოგვარებაზე.

ადვოკატირება საზოგადოების ინტერესების დაცვის მეთოდია, რომელსაც იყენებენ საზოგადოებისათვის სასარგებლო ცვლილებების მისაღწევად.

ადვოკატირების ობიექტები შეიძლება იყვნენ: გადაწყვეტილების მიმღები პირები, სერვისის მიმწოდებლები და ა.შ. ხოლო ადვოკატირების შედეგად არსებული ნაკლოვანი პრაქტიკის შეცვლა შეიძლება გამოვლინდეს კანონმდებლობის ცვლილებაში, გადაწყვეტილების მიღების პროცედურების ცვლილებაში და ა.შ.

ადვოკატირება წარმოადგენს მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთ ინსტრუმენტს, როდესაც არჩევნებს შორის პერიოდში მოქალაქეს ეძლევა საშუალება თავისი ინტერესები დაიცვას, მოუწოდოს ხელისუფლებას ეფექტური პოლიტიკის გატარებისკენ, აკონტროლოს მიღებული გადაწყვეტილების შესრულება და ა.შ. ადვოკატირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა თავად ამ პროცესს უფრო მეტად ეფექტურს და ლეგიტიმურს ხდის. ამასთანავე, ის ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების გაჯანსაღებას. ადვოკატირება არ არის ავტონომიური პროცესი, მასში ჩართული არიან საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ბიზნესისა თუ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. თანამშრომლობითი საქმიანობა კი ნდობის ამაღლებას და მომავალი პარტნიორობის შესაძლებლობას ქმნის. ამასთანავე, ადვოკატირების პროცესი მოიცავს არაერთ სტრატეგიას, რომლის დროსაც მოქალაქეების მობილიზაცია, მათი სხვადასხვა ფორმით ჩართულობა წარმატების მიღწევის პროცესში გადამწყვეტია.



სქემა: ადვოკატირების პროცესი

ადვოკატირება უკავშირდება საჯარო პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების პროცესის განხილვას. ხშირ შემთხვევაში ადვოკატირების კამპანია იწყება **პრობლემის იდენტიფიცირებით.** ეს ეტაპი უმნიშვნელოვანესია, რამდენადაც ამ პროცესში, როგორც წესი, ჩართული არიან ის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთაც კავშირი აქვთ მიზნობრივ საზოგადოებასთან, იცნობენ ადგილობრივ მდგომარეობას, საჭიროებებს, განწყობებს. ამათანავე, გარდა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, პრობლემის იდენტიფიკაცია და წინ წამოწევა შესაძლებელია მოახდინოს მედიამ, პოლიტიკურმა პარტიებმა, ასევე თავად საზოგადოების ცალკეულმა წევრებმა, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ადვოკატირების კამპანია სწორედ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ იწყება ხოლმე. მაგალითად, შშმ პირთათვის არაადაპტირებული საარჩევნო გარემოს არსებობა არის ის პრობლემა, რომლის ადვოკატირებასაც კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ ეწევა. ისინი ადვოკატირების საწყის ეტაპზე ცდილობენ გამოკვეთონ პრობლემები, რომელიც შშმ პირთა სამოქალაქო აქტივობებში, კერძოდ, საარჩევნო პროცესში ჩართვას უშლის ხელს. საქართველოში საარჩევნო უბნებზე პანდუსებისა და ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ბიულეტენების არარსებობა იყო ის საკითხები, რომელზედაც აღნიშნული კოალიცია ახდენდა აქცენტირებას. აღნიშნულმა ადვოკატირების კამპანიამ შედეგები უკვე მოიტანა, რაც დიდწილად განაპირობა პრობლემის სწორად იდენტიფიცირებამ.

ჩანართი 4.12. ადვოკატირების საუკეთესო გამოცდილება

უგანდა. აფრიკა. 2006 წ. მალარიასთან საბრძოლველად ხელისუფლება აქტიურად იყენებს პესტიციდებს, მათ შორის ტრიქლოროეთანს, რომელსაც გარემოში გავრცელებისას აქვს გვერდითი ეფექტებიც, კერძოდ, აბინძურებს გარემოს და საფრთხეს უქმნის უგანდაში წარმოებული პროდუქციის ეკოლოგიური სისუფთავის სტატუსს. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის ინიციატივით შეიქმნა კოალიცია, რომელშიც გაერთიანდნენ ფერმერები, კაკაოს ექსპორტიორი კომპანიები და სოფლის მეურნეობის საკითხებზე მომუშავე ასოციაციები. კოალიციამ დაგეგმა ადვოკატირების კამპანია, რომლის მიზანი იყო არსებული პრაქტიკის გაუქმება და მალარიასთან ბრძოლის პროცესში ტრიქლოროეთანის გამოყენების აკრძალვა.

კამპანიის ფარგლებში შემუშავდა განსხვავებული აქტივობები მიზნობრივი აუდიტორიის გათვალისწინებით, რომელიც საკმაოდ ვრცელი იყო და მოიცავდა, როგორც მოქალაქეებს, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლებს. მათ შორის საკითხის ლობირების მიზნით მოეწყო ორი მასობრივი მშვიდობიანი დემონსტრაცია და მომზადდა პეტიცია პრეზიდენტის სახელზე, რომელსაც 20 000 მოქალაქემ მოაწერა ხელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მოქალაქეთა მოტივაცია და აქტიური ჩართვა განხორციელებულ აქტივობებში. კამპანიამ მიაღწია შედეგს, რამდენადაც დაიწყო ტრიქლოროეთანის გამოყენების მონიტორინგი და რამდენიმე ოლქში აიკრძალა კიდევაც.

შესაძლებელია, კონკრეტული პრობლემა უკვე იყოს ნაცნობი საზოგადოებისა და პოლიტიკური წრეებისათვის, მაგრამ კონკრეტული მიზეზების გამო (არაპრიორიტეტულობა, საზოგადოების ნაკლები ყურადღება) ის პოლიტიკის დღის წესრიგში ვერ ხვდებოდეს. შესაბამისად, ადვოკატირების კამპანიის მიზანია პრობლემის პრიორიტეტულად ქცევა და შესაბამის ინსტიტუტებთან მიტანა. მოქალაქეთა ჩართულობა ამ ეტაპზე განსაკუთრებულია, რამდენადაც პრობლემის პოლიტიკის დღის წესრიგში მოხვედრას დიდწილად განაპირობებს ის ფაქტი, თუ რამდენად არის ეს საკითხი თავად საზოგადოების დღის წესრიგში. აქედან გამომდინარე, საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება და ამისათვის საინფორმაციო შეხვედრები, მედიის ჩართვა მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს, რათა გადაწყვეტილების მიმღები ინსტიტუტები ამ საკითხით დაინტერესდნენ.

პრობლემით დაინტერესების შემდეგ ხდება პოლიტიკის ფორმირება, რომელიც შესაძლებელია გამოიხატოს საკანონმდებლო რეგულაციაში ან კონკრეტული პროგრამის გატარებაში. შეიძლება საკითხი საჭიროებდეს საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებას და ასევე, შესაბამისი პროგრამის განხორციელებას, რომელიც ხელს შეუწყობს კანონმდებლობის რეალობად

ქცევას. მაგალითად, კოალიცია „თავისუფალი ცხოვრებისათვის“ მიერ განხორციელებული ადვოკატირების კამპანიის საფუძველზე განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით შეიქმნა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების სტრატეგია 2009-2012. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სტრატეგიის მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელება. ამ მიზნით მუშაობის პროცესში აქტიურად ჩაერთვნენ სამი რეგიონის: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, იმერეთისა და კახეთის წარმომადგენლები. აქტივობის შედეგად გამოვლინდა და მუშაობაში ჩაერთვნენ ახალგაზრდა შშმ ლიდერები.

პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია არ, ან არასაკმარისად ითვალისწინებდეს საზოგადოების მოთხოვნებს. ამიტომაც მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე მოხდეს საზოგადოების პოზიციის დაცვა და ადვოკატირების კამპანიის წარმართვა. ეს ეტაპი შესაძლოა წარმოადგენდეს ადვოკატირების კამპანიის გაგრძელებას წინა ეტაპების გათვალისწინებით, ან ახალი კამპანიის დასაწყისს.

ჩანართი 4.13. გენდერული კვოტირება საქართველოში

გენდერული კვოტირება ქმედით საშუალებას წარმოადგენს გენდერული თანასწორობის მისაღწევად. ქალთა ჩართულობა სახელმწიფოს მმართველ სტრუქტურებში მრავალ ბარიერს უკავშირდება. კვოტირება, როგორც იძულებითი და დროებითი ზომა, ამ ბარიერების გადალახვას ემსახურება. არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად ლობირებდნენ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობის გენდერულად დაბალანსების ინიციატივას, რომლის მიღწევის გზად გენდერული კვოტირების პრინციპს სთავაზობდნენ ხელისუფლებას.

2020 წლის საარჩევნო რეფორმის შედეგად, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერების მიზნით, კერძოდ: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პარლამენტში პროპორციული სიით არჩეულ ყოველ ოთხეულში ერთი წევრი იქნება განსხვავებული სქესის ანუ დაახლოებით 30 პარლამენტარი ქალი, 2024 წლის არჩევნებისთვის – 37 ქალი, 2028 წელს კი სავალდებულო იქნება პროპორციული სიის ყოველ სამეულში ერთი განსხვავებული სქესის წევრის ყოლა, რაც ქალთა წარმომადგენლობას 50-მდე გაზრდის. 2020 წლის საარჩევნო რეფორმის მიხედვით, გენდერული კვოტის დაცვა – იმ შემთხვევაში თუ პარტია სიაში წარადგენს სამეულში ერთ განსხვავებულ სქესს, პარტიების მიერ ფინანსური დანამატის მიღებას უკავშირდება. რაც შეეხება 2021 წლისთვის დაგეგმილ ადგილობრივ არჩევნებს, ის ინკლუზიური იქნება, ვინაიდან 2020 წლის საკანონმდებლო ცვლილება უზრუნველყოფს ადგილობრივ დონეზე 50%-იან განსხვავებული სქესის წარმომადგენლობას.

პოლიტიკის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანია ადვოკატირების ერთ-ერთი სტრატეგია – ლობირება (გავრცელებულ შეცდომას წარმოადგენს ლობირების ადვოკატირების სინონიმად გამოყენება. სინამდვილეში, ლობირება ადვოკატირების ერთ-ერთი სტრატეგიაა, რომლის დახმარებითაც მიიღწევა დასახული მიზანი). ლობირების პროცესი გულისხმობს მუშაობას უშუალოდ საკანონმდებლო ცვლილებებზე და, როგორც წესი, სახელმწიფო ინსტიტუტებთან თანამშრომლობას. მისგან განსხვავებით, ადვოკატირება მოიცავს ზოგადად საზოგადოების ტრანსფორმაციის მცდელობას და თანამშრომლობს სხვადასხვა ტიპის აქტორებთან. ამასთანავე, ადვოკატირების პროცესში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მრავალფეროვანი სტრატეგიები და ტექნიკები სარეკლამო კამპანიიდან დაწყებული საგანმანათლებლო სემინარებით დასრულებული.

ლობირების პროცესში მნიშვნელოვანია ადვოკატირების აქტორებს არა მხოლოდ შესთავაზო სამომავლო ცვლილებათა იდეა, არამედ – კონკრეტული სამოქმედო გეგმა, თუ როგორ წარმოუდგენია ლობირების განმახორციელებელ ორგანიზაციას მიზნის მიღწევა. შესაბამისად, ლობირების წარმატებაზე დიდწილადაა დამოკიდებული რამდენად მოხერხდება საზოგადოების ინტერესების დაკმაყოფილება.

პოლიტიკის განხორციელების პროცესი, შეიძლება იყოს ადვოკატირების ახალი კამპანიის საფუძველი, როგორც წინა პროცესის გაგრძელება. პროცესის მონიტორინგი, მიღწეული შედეგის მდგრადობის შეფასება შეიძლება აღმოჩნდეს მოსახლეობას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის ახალი ეტაპის დაწყების საფუძველი. მაგალითად, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“, რაც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს დროულად მიიღონ ინფორმაცია და ამავე დროს, უზრუნველყონ მმართველობითი პროცესების გამჭვირველედ წარმართვა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის აქტიური მუშაობა, რაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას ისახავდა მიზნად. ამ გადაწყვეტილებით აღმასრულებელი ხელისუფლების მმართველობის სფეროში შემავალ ადმინისტრაციულ ორგანოებს დაევალათ „საჯარო ინფორმაციის გვერდის“ შექმნა და წლის ბოლომდე ამავე დადგენილებით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოქვეყნება საკუთარ ელექტრონულ რესურსებზე. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ მოხდა კანონის იმპლემენტაციის მონიტორინგი, რომლის დროსაც გამოვლინდა, რომ, მაგალითად, შესწავლილი 72 საჯარო სამართლის იურიდიული პირების და საქვეუწყებო დაწესებულებების 59%-მა შექმნა საჯარო ინფორმაციის გვერდი, 19%-ს არ ჰქონდა საჯარო ინფორმაციის გვერდი, ხოლო 22%-ს საერთოდ არ ჰქონდა ვებგვერდი.

ადვოკატირების პროცესში მნიშვნელოვანია, როგორც ადვოკატირების სუბიექტების და ობიექტების, ასევე, თავად ორგანიზატორების განწყობები და პოზიცია, დასახული მიზნები და გამოყენებული საშუალებები. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოიყოს ადვოკატირების რამდენიმე სახეობა. ესენია:

1. შემთხვევის ადვოკატირება. ეს ტიპი შეეხება კრიზისულ სიტაუაციას და, როგორც წესი, მოკლე ხანგრძლივობით ხასიათდება. შესაძლებელია მისი კომბინაცია სხვადასხვა ტიპის ადვოკატირების კამპანიასთან, რათა დამატებითი სამუშაოები ჩატარდეს კონკრეტული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით.

2. თვითადვოკატირება. ადამიანები იკრიბებიან რათა ისაუბრონ თავიანთ შესახებ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც გარკვეული საჭიროებების მქონე ადამიანები თვითონ იწყებენ მუშაობას გარემო პირობებისა და სერვისების გაუმჯობესებისათვის. მაგალითად შშმ პირები, რომლებიც ერთიანდებიან კონკრეტული მიზნის გარშემო და ეწევიან თავიანთი უფლებების ადვოკატირებას.

3. თანატოლთა ადვოკატირება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადვოკატირების სუბიექტსა და ინიციატორს აქვთ საერთო გამოცდილება ან ცხოვრობენ საერთო გარემოში. ეს განსაკუთრებით ეხება მოზარდებს, რომლებიც განეკუთვნებიან მოწყვლად ჯგუფს ან საჭიროებენ რაიმე ტიპის დახმარებას. ამ ტიპის ადვოკატირების წარმატებას განაპირობებს ის დაშვება, რომ საერთო გამოცდილება და გარემო ურთიერთგაგების უფრო მეტ შესაძლებლობას ქმნის.

ჩანართი 4.14. ადვოკატირება საგზაო უსაფრთხოებისთვის

2014 წ. ბათუმი. „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის“ ბაზაზე არსებული „ბათუმის ახალგაზრდული ცენტრის“ წევრებმა განახორციელეს პროექტი „ადვოკატირება საგზაო უსაფრთხოებისათვის“. კამპანიის ფარგლებში მათ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის თანატოლთა ტრენინგი ჩაატარეს. ადვოკატირების კამპანია ბათუმის საპატრულო პოლიციასთან ერთად განხორციელდა და მისი მიზანი იყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ქვეითად მოსიარულეთა უფლებებისა და საგზაო უსაფრთხოების დასაცავად. წყარო: “ბათუმელები”. 2014

4. სამოქალაქო ადვოკატირება. ეს არის მოქალაქეზე დამყარებული მოძრაობა, როგორც წესი გრძელვადიანი, რომლის დროსაც მოქალაქეები უშუალოდ ურთიერთობენ ერთმანეთთან. ადვოკატირებისას ცდილობენ აღიარონ, ხელი შეუწყონ და დაიცვან მოწყვლადი ადამიანების უფლებები, ასევე, შეიცვალოს მოქალაქეთა განწყობები და დამოკიდებულებები. სამოქალაქო ადვოკატირების პროცესში შესაძლებელია ადვოკატირების კამპანიის წარმმართველს ჰქონდეს სხვადასხვა როლი და იყოს: მენტორი, მრჩეველი, მოკავშირე, რამდენადაც ის სამოხალისეო საფუძველზე ცდილობს იმ ადამიანიების მდგომარეობის გაუმჯობესებას ვინც არის მარტო, ან იმყოფება კრიზისულ სიტუაციაში.

5. სისტემური ადვოკატირება. ადვოკატირების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, როდესაც პრობლემა მოითხოვს სისტემურ ცვლილებას კანონმდებლობის, სტრატეგიული თუ პოლიტიკური კურსის დონეზე. სისტემური ადვოკატირება მიზნად ისახავს მდგომარეობის გაუმჯობესებას არა მხოლოდ ინსტიტუციურ დონეზე, არამედ ცდილობს საზოგადოების განწყობებისა და დამოკიდებულებების ტრანსფორმაციასაც. მსგავსი ტიპის ადვოკატირებას ნაკლებად ეწევიან ინდივიდები, ეს, როგორც წესი, თანმიმდევრული კომპლექსური ადვოკატირების კამპანიის პროცესში ხორციელდება.



წყარო: მწვანე ალტერნატივა. 2011.გვ.6

როგორ ვაწარმოოთ ადვოკატირება

ადვოკატირების კამპანია კომპლექსურია, რამდენადაც მოიცავს არაერთ ეტაპს, მოითხოვს საკითხში ჩართულ ყველა მხარესთან მუშაობას, მათთან ურთიერთობის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებას და, რაც მთავარია, საზოგადოების ნდობის მოპოვებას დასახული მიზნის მისაღწევად.

პოლიტიკაში, ცვლილებების ხელშეწყობა სტრატეგიულ დაგეგმვას, მონიტორინგს და შეფასებას საჭიროებს. დაგეგმვა ხელს უწყობს ქმედითი გადაწყვეტილებების მიღებას და რესურსების სწორ განაწილებას. ის აგრეთვე უზრუნველყოფს, რომ ადვოკატირებისთვის შერჩეული სტრატეგია და ღონისძიებები ჯანსაღ ლოგიკას ეფუძნებოდეს. ადვოკატირების დაგეგმვის პროცესის ორგანიზება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორია ორგანიზაციის გამოცდილება, რას ანიჭებს ის უპირატესობას, როგორი პროცედურები აქვს მას და რა მოთხოვნებს აყენებენ დონორები.

ზოგადად, ადვოკატირების დაგეგმვა მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას, დისკუსიებს და საერთო შეთანხმების მიღწევას შემდეგ საკითხებზე:

- რატომ ხორციელდება ადვოკატირება (საბაზისო ინფორმაცია და პრობლემის ანალიზი)?
- რის მიღწევას ვვარაუდობთ ადვოკატირების სამუშაოების შედეგად (ამოცანები)?
- რომელია ის სპეციფიკური კონტექსტი, სადაც ჩარევა უნდა განხორციელდეს (პოლიტიკის კონტექსტი)?
- ვინ არიან ძირითადი მონაწილე მხარეები და რა ურთიერთდამოკიდებულებაა მათ შორის ძალაუფლების თვალსაზრისით (ძალაუფლების ანალიზი)?
- როგორ დავგეგმოთ დასახული ამოცანების მიღწევა (სტრატეგიები)?
- რა რესურსები გვჭირდება და რა ეღირება ისინი (ბიუჯეტი)?
- როდის განვახორციელებთ ჩვენს გეგმას (ვადები), ვინ რის გაკეთებაზე აგებს პასუხს (შრომის განაწილება)?
- როგორ შევაფასებთ სამუშაოს წარმატებას (მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო)?



წყარო: მწვანე ალტერნატივა. 2011.

ადვოკატირების პირველი ეტაპია პრობლემის განსაზღვრა და ინფორმაციის მოგროვება. საწყის ეტაპზე უნდა განისაზღვროს პრობლემა. პრობლემის შესწავლა და გამოკვლევა, ინფორმაციის მოძიება, ყველა ადვოკატირების კამპანიის აუცილებელი ნაწილია, რადგანაც მუშაობის პროცესში საჭიროა ჩართულ მხარეებს აუხსნათ თუ რაში მდგომარეობს პრობლემის არსი.

ასევე, თავიდანვე უნდა განისაზღვროს პროცესში მონაწილე მხარეები, მათგან ვინ არიან ადვოკატირების პროცესის მომხრეები, ვინ მოწინააღმდეგენი, ასევე სად არის შესაძლებელი ინფორმაციის და მომხრეების მოძიება, რათა კამპანია უფრო მეტად ეფექტური და ფართო ფენებზე გათვლილი გამოვიდეს. ასევე, მნიშვნელოვანია რისკების განსაზღვრა და დაგეგმვის დაწყებისას მათი გათვალისწინება.

ადვოკატირების კამპანიის დაგეგმვისას რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტი უნდა იქნეს გათვალისწინებული: მკაფიოდ განსაზღვრული მიზანი – რა იქნება კამპანიის შედეგი; რა უნდა შეიცვალოს და როგორ უნდა განხორციელდეს ეს ცვლილება; ეს ხანგრძლივი თუ ხანმოკლე პროცესი იქ-

ნება; რა უნდა მოვითხოვოთ; საჭიროა თუ არა ცვლილება კანონმდებლობაში, პოლიტიკაში, რეგულაციებსა თუ დაფინანსების ნაწილში. მკაფიო მიზანი ასევე ამარტივებს მონიტორინგს.

ვინ არიან ჩართული მხარეები ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე (ვისმა ქმედებამ/უმოქმედობამ გამოიწვია შედეგი; ვინ არის პასუხისმგებელი პრობლემის მოგვარებაზე: დაინტერესებული მხარეები, ცენტრალური ხელისუფლება, დონორები და ა.შ). პოტენციური მოკავშირეების გამოვლენის შემდეგ საჭიროა განისაზღვროს თუ რამდენად შესაძლებელია მათი ადვოკატირების კამპანიაში ჩართვა. ასევე, მნიშვნელოვანია სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა; ვისზე უნდა მოახდინოთ ზემოქმედება; ვინ უნდა შეცვალოს არსებული პრაქტიკა.

ადვოკატირების კამპანიის წარმართვისას შესაძლებელია არაერთი სტრატეგიის გამოყენება. მათგან უმთავრესია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ამ ნაბიჯის მიზანია საზოგადოებას გააცნოს თუ რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხისადმი ყურადღების გამახვილება. მაგალითად, თბილისში სკვერების ტერიტორიაზე კომერციული პროექტების განხორციელების მცდელობისას კამპანიის ინიციატორები შეეცადნენ საზოგადოებისათვის სხვადასხვა ხერხით აეხსნათ თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქალაქისათვის გამწვანებული ადგილების და სოციალური სივრცეების არსებობა. ქ. თბილისის ისტორიულ-კულტურული ძეგლების შენარჩუნების საკითხზე მუშაობისას ორგანიზაცია „თბილისის ჰამქარმა“ შეიმუშავა პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოებისთვის ისტორიის გაცნობას.

მეორე შემთხვევაა, როდესაც პრობლემა საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია, მაგრამ თავად საზოგადოება არ აღიქვამს ამ საკითხს პრობლემად. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება იმაზე, თუ როგორ არის შესაძლებელი ორივე მხარის მორიგება, ოქროს შუალედის გამონახვა.

ქსელური მუშაობა საშუალებას იძლევა, რათა ადვოკატირების კამპანიამ უფრო მასშტაბურ შედეგებს მივაღწიოს. გარდა ამისა, ეს სტრატეგია ზრდის მოკავშირეების რაოდენობას, შესაბამისად, იზრდება ინფორმაციაზე და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. ამასთანავე, შესაძლებელია კამპანიაში ჩაერთონ როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონული და საერთაშორისო პარტნიორებიც.

შეფასება ადვოკატირების დასკვნითი, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილია და დაგეგმვის პროცესში აუცილებლად ხდება მისი გათვალისწინება. შეფასება არ გულისხმობს მხოლოდ კამპანიის დასრულების შემდეგ დასკვნის გამოტანას, არამედ ის სტრატეგიის განხორციელების პარალელურად, აფასებს, თუ რამდენად წარმატებულად მიმდინარეობს ადვოკატირება, ხომ არ საჭიროებს სტრატეგია ცვლილებას ან გადაფასებას.

ადვოკატირების გეგმის სტრუქტურული შაბლონი	
შესავალი	ადვოკატირების გეგმის ზოგადი აღწერა
საკითხის ისტორია და კონტექსტი	განმარტება: რატომ ხორციელდება ეს ადვოკატირების გეგმა და რომელ კონკრეტულ კონტექსტში უნდა განხორციელდეს ინტერვენცია?
გრძელვადიანი მიზანი	რა სოციალური ცვლილების განხორციელებას ისახავს მიზნად ადვოკატირების გეგმა?
ზოგადი და შუალედური ამოცანები	დააკონკრეტეთ შუალედური ამოცანები გრძელვადიანი გეგმის მისაღწევად; როგორ აპირებთ მიზნის მიღწევას?
სამიზნე აუდიტორია	ვინ არის სამიზნე აუდიტორია და რა არის მათი მთავარი მახასიათებელი?
სტრატეგიები	სტრატეგიების და თანმიმდევრობის შერჩევა: კვლევა, ლობირება, კომუნიკაცია, მობილიზაცია. როგორ იგეგმება სტრატეგიის განხორციელება?
მატრიცის დაგეგმვა	რამდენად ლოგიკურია გეგმა? როგორ იგეგმება მიზნის მიღწევა?
ვადა	გეგმის ქრონოგრამა ღონისძიებების მითითებით
შიდა სტრუქტურა	როგორია შიდა ორგანიზაცია – ვინ რის კეთებაზეა პასუხისმგებელი?
ადამიანური რესურსები	საჭირო რესურსების აღწერა
ფინანსური რესურსები	ბიუჯეტის აღწერა
მონიტორინგის და შეფასების სისტემა	შეფასების ინდიკატორების გამოვლენა. რა შესრულდა? რამდენად წარმატებით შესრულდა (როგორ იზომება წარმატება)?

წყარო: მწვანე ალტერნატივა. 2011.

ადვოკატირების კამპანიის წარმართვა ძალზედ მნიშვნელოვანია ისეთ საზოგადოებაში, სადაც სამოქალაქო ცნობიერების დონე არ არის მაღალი და სამოქალაქო სექტორის აქტიურ ჩარევას საჭიროებს. ეს საკითხი მით უფრო აქტუალური ხდება იმ ფონზე, როდესაც საქართველოში აშკარად შეიმჩნევა ახალგაზრდების მიერ ადვოკატირების კამპანიის აქტიური წარ-

მართვის შემთხვევები. ხელისუფლების წარმომადგენლები და სამოქალაქო განმანათლებლები, როგორც წესი, ახალგაზრდებთან მუშაობის გააქტიურებისას აქცენტს აკეთებენ იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული პროცესისგან შესაძლებელია ორმაგი სარგებლის მიღება. ერთი ის, რომ ვითარდებიან თავად ახალგაზრდები და მეორე, ვითარდება ის საზოგადოება, რომელსაც ისინი წარმოადგენენ.

სამოქალაქო აქტივობებში ახალგაზრდების ჩართვისას სარგებელს შორის შესაძლებელია გამოიყოს მათ მიერ არაერთი ფსიქოსოციალური და ფიზიკური სარგებელი, მათ შორის: კომუნიკაციის თუ კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება. ვითარდება თვალსაწიერი, რომლის არეალში ექცევა არა მხოლოდ პირადი, არამედ საზოგადოებრივი პრობლემები, იზრდება თვითშეფასება და ცვლილების განხორციელების, გუნდურად მუშაობის სურვილი. საზოგადოება, სადაც ახალგაზრდის სამოქალაქო ცნობიერება მაღალია, დიდია ინკლუზიურობის მაჩვენებელი და ნაკლებად ირღვევა ადამიანის უფლებები.

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ ადვოკატირების კამპანია საზოგადოებაში არსებული პრობლემების გამოვლენას, მათ შესწავლას და გადაჭრას ემსახურება. ადვოკატირების პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა, როდესაც მოქალაქეები ხდებიან ინფორმირებულები, ეცნობიან მათი აქტიურობის მნიშვნელობას და შეიგრძნობენ თუ რამხელა ძალა აქვს მოქალაქეების აქტიურობას. ისინი დგებიან არჩევანის წინაშე ჩაეთონ ან თავი შეიკავონ და გაიაზრონ თითოეული არჩევანის შესაძლო შედეგი.

კითხვები გააზრებისთვის:

1. რა არის ადვოკატირება?
2. რატომ არის მნიშვნელოვანი მისი წარმართვა თანამონაწილეობის ხელშეწყობის თვალსაზრისით?
3. ვინ შეიძლება იყოს ადვოკატირების ობიექტი და რამდენად მნიშვნელოვანია მათი მრავალფეროვნება?
4. რა არის ლობირება და რით განსხვავდება ის ადვოკატირებისაგან?
5. რა ტიპის სტრატეგიების გამოყენება არის შესაძლებელი ადვოკატირების პროცესში?

დასკვნა

თანამედროვე დემოკრატია აქტიური მოქალაქის გარეშე წარმოუდგენელია. ეს აქტიურობა, როგორც ვნახეთ, ორი მიმართულებით ვლინდება. პირველი, როდესაც მოქალაქე თავისი ინიციატივით მონაწილეობს საზოგადებრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარებაში, საკუთარი და თანამოქალაქეთა უფლებების დაცვაში და მეორე, როდესაც მისი აქტიურობა სახელმწიფო მმართველობით პროცესებში თანამონაწილეობაში გამოიხატება.

მოქალაქეს, რომელიც საკუთარი ინიციატივით აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში, ამოძრავებს იმის შეგნება, რომ მხოლოდ სახელმწიფოს რეგულირებაზე და საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე არ არის დამოკიდებული დემოკრატიული საზოგადოების განვითარება. ამისთვის აუცილებელია, რომ თითოეულმა მოქალაქემ, ან მოქალაქეთა ჯგუფმა თავისი წილი პასუხისმგებლობაც აიღოს საკუთარ თავზე და გადადგას კონკრეტული ნაბიჯები ცალკეული სფეროს გაუმჯობესების კუთხით.

თანამედროვე დემოკრატიაში მოქალაქე ასევე აქტიურად მონაწილეობს საჯარო ხელისუფლებასთან მმართველობითი ამოცანების გადაჭრაში. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოსა და მოქალაქის ორგანიზებული თანამშრომლობის ფორმებს. მოქალაქის თანამონაწილეობის ეს ფორმები იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ყველა წევრს მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა ჰქონდეს უზრუნველყოფილი. თითოეულს უნდა ჰქონდეს რეალურად იმის განცდა, რომ ის სახელმწიფოს ღირსეული წევრია.

აღნიშნული გამოწვევების შესაბამისად, საჯარო ადმინისტრაციამ მოქალაქის როლი უფრო აქტიური გახადა და მას სახელწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობაში თანამონაწილეობის შესაძლებლობა მისცა. თანამონაწილეობის აპრობირებულ ფორმებად ჩამოყალიბდა მოქალაქეთა გამოკითხვებისა და შეკრებების ორგანიზება, ერთობლივი ბიუჯეტის შედგენა, მრგვალი მაგიდების მოწყობა და სხვ. საჯარო ადმინისტრაციასთან ურთიერთობის თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოქალაქეებისთვის მომსახურების მაქსიმალურად გამარტივებას და ზედმეტი ბიუროკატიული ბარიერების შემცირებას.

მართალია, ბოლო პერიოდში საქართველოში სახელმწიფოსა და საჯარო ადმინისტრაციის რეფორმირების კუთხით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ კვლავ მთავარ ამოცანად რჩება კომპეტენტური, პოლიტიკურად ნეიტრალური საჯარო ადმინისტრაციის არსებობა. მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი მოქალაქეთა თანამონაწილეობის ისეთი ფორმების დასამკვიდრებლად, რომელიც მოქალაქეს იმის რეალურ შეგნებას ჩამოუყალიბებს, რომ ის სახელმწიფოს პარტნიორი და ხელისუფლების წყაროა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო. (2009). *ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კითხვა-პასუხი.* შპს პეტიტი. თბილისი.
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. (1999). *ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი.* წიგნი მეორე, თბილისი.
3. გაეროს განვითარების პროგრამა UNDP. (2005). *ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი.* ლექსიკონი-ცნობარი, თბილისი.
4. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული. (2008). თბილისი.
5. არისტოტელე. (1993). *პოლიტიკა,* (თარგ. თ.კუკავასი). თბილისი.
6. არისტოტელე. (1995 პირველი ნაწილი, 1996 მეორე ნაწილი). *პოლიტიკა.* სააქციო საზოგადოება: პირველი სტამბა. თბილისი.
7. ბავშვის უფლებათა კონვენცია. (2004). სეზანი. თბილისი.
8. ბაინდურაშვილი რ. (9.06.2011). *იგი მთელ ქართველობას ემსახურებოდა.* http://www.24saati.ge/weekend/story/18476-igi-mtels-qartvelobas-emsakhureba (მოძიებულია: 15.11.2015).
9. ბაქანიძე ა. (რედ). (2012). *1978/14 აპრილი.* მერიდიანი. თბილისი.
10. გაეროს საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტის ოფისი საქართველოში. (1993). *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და საერთაშორისო სამართლის სტატუტი.* გაეროს სახლი. თბილისი.
11. განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი. http://library.court.ge/gil/enggeo.php.
12. გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები. www.ombudsman.ge (მოძიებულია: 14.06.2016).
13. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (2011). *სოფლის დახმარების პროგრამა საქართველოში (მონიტორინგის შედეგები).* http://www.eprc.ge/index.php?a=main&pid=11&lang=geo&stext. (მოძიებულია: 14.06.2016).
14. სალამაძე ვ. ნაცვლიშვილი ვ. და სხვ. (2014). *ვაცლავ ჰაველის სიტყვა „ვაცლავ ჰაველის სახელობის სამოქალაქო საზოგადოების სიმპოზიუმზე“.* სამოქალაქო საზოგადოება, ალმანახი, სიესეი. თბილისი.
15. ვახუშტი ბაგრატიონი. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა.* თბილისი: საბჭოთა საქართველო. წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ.4.
16. სარედაქციო სვეტი. (18.08.2016). გიორგი მარგველაშვილი კამპანიის „შენი ხმა ჩვენი მომავალია“ ფარგლებში, ბაკურიანის სკოლის მონაწილეებს შეხვდა. *ინტერპრესნიუსი.* http://bit.ly/2gXykKz (მოძიებულია: 20.10.2016).
17. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. (2015). *ელექტრონული ჩართულობის სახელმძღვანელო.* თბილისი.
18. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (2015). *საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში – 2010–2015 წლების შემაჯამებელი ანგარიში.* https://idfi.ge/ge/access-to-public-information-in-georgia-report-summarizing-2010%E2%80%932015. (მოძიებულია: 11.02.2016).
19. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (09.01.2014). *ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების განხორციელება საქართველოში.* https://ogpgeoblog.wordpress.com/2014/01/09/1222/. (მოძიებულია: 11.02.2016).

20. იუმი დ. (1740), წიგნი 3, ნაწილი 2, გვ. 5, ციტირებულია წიგნში პატნემი, რ, (2000) როგორ ვამუშაოთ დემოკრატია – სამოქალაქო ტრადიციები თანამედროვე იტალიაში. ლოგოს პრესი. თბილისი. გვ. 199.
21. კავკასიძე გ. *ვის როგორ ესმის დემოკრატია*. http://azrebi.ge/index.php?pid=1195 (მოძიებულია: 12.08.2015).
22. კოდუა ე. და სხვ. (2004). *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი.* ლოგოს პრესი. თბილისი.
23. კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (2011). თბილისი.
24. კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო. (2005). თბილისი.
25. კორკელია კ. (რედ) (2002) *ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები.* თბილისი.
26. ლორთქიფანიძე მ. (რედ). (2013). *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* თბილისი. ტ.4.
27. ლოსაბერიძე დ. (2013). „*საქართველოს ადგილობრივი დემოკრატიის განვი-თარების ანგარიში* 1991-2012“. სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი. (თბილისი). http://www.lsg.ge/uploadedFiles/files/adgilobrivi%20demokratiis%20ganvitarebis%20angarishi%201991-2012.pdf (მოძიებულია: 12.08.2015).
28. მაგშტადტი თ. (2010). *გავიგოთ პოლიტიკა: იდეები, ინსტიტუტები და პრობ-ლემები.* ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
29. მაცაბერიძე მ. (1995). *საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია.* ცოდნა. თბილისი.
30. მილი ჯ. *თავისუფლების შესახებ.* http://library.iliauni.edu.ge/ebooks/jon-stiuart-mili/ (მოძიებულია: 12.09.2015).
31. მინდიაშვილი ბ. (2011). *ჩემი პატრიარქი-გრიგოლ ფერაძე.* http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619730&kat=189 (მოძიებულია: 25.07.2015).
32. მიქელაძე კ. (06.10.1917). *ხმა ქართველი ქალისა,* №29, ქუთაისი.
33. მონაცემთა დაცვის ევროპული სასამართლო. (2015). იურისტების სამყარო. თბილისი.
34. მონტესკიე შარლ ლუი (1994). *კანონთა გონი.* კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი.
35. მოხალისეობა საქართველოში, კვლევის დასკვნები და რეკომენდაციები, (2012), კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი http://crrc.ge/uploads/tinymce/documents/Completed-projects/Volunteerism_Report_GEO.pdf (მოძიებულია: 20.04.2017).
36. მწვანე ალტერნატივა (2011). *ადვოკატირების სახელმძღვანელო. როგორ დავგეგმოთ და ვაწარმოოთ ადვოკატირების კამპანია გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისათვის.* თბილისი. http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Advocacy_campaign_2011.pdf (მოძიებულია: 11.09. 2015).
37. მწვანე ალტერნატივა (2011). *ადვოკატირება გარემოსდაცვითი და სოცია-ლური სამართლიანობისთვის. ადვოკატირების ათი კამპანია.* (თბილისი). http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/advocacy_cases_geo.pdf (მოძიებულია: 11.09.2015).

38. ნაფეტვარიძე ვ. (2015). ქართული მუნიციპალიტეტების ვებგვერდების და ონლაინსაზოგადოების კვლევა. *სამოქალაქო განათლების მიმოხილვა.* №1. სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია. თბილისი.

39. ნიკოლაიშვილი გ. (1998) *ადამიანის უფლებები საქართველოში: კრიტიკული ანალიზი.* თბილისი.

40. ნოდია გ. სქოლბახი ა. (2006). *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი. პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები, პრობლემები.* კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი. თბილისი.

41. პაპავა ი. *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის როლი და მნიშვნელობა შიდა სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სამართალში. თბილისი.* www.iuristebi.ge (მოძიებულია: 26.07.2017).

42. პატნემი რ.(2000). *როგორ ვამუშაოთ დემოკრატია, სამოქალაქო ტრადიციები თანამედროვე იტალიაში.* ლოგოს პრესი. თბილისი.

43. პლატონი. (2013), *სოკრატეს აპოლოგია, ადრეული დიალოგები,* წიგნი მეორე, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძისა. თბილისი.

44. პლატონი. (2013). *სახელმწიფო* (ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი). ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი.

45. როსტიაშვილი ქ. (2010). *ელექტრონული მმართველობა საქართველოში: მსოფლიო ტენდენციები.* IDFI. თბილისი.

46. საერთაშორისო ხელშეკრულებები, პაქტები, კონვენციები. (2012). ბონა კაუზა. თბილისი.

47. სარედაქციო სვეტი. საია და მრჩეველთა საბჭო ბათუმის რეკლამის ფესტივალისათვის 400 000 ლარის გამოყოფას უარყოფითად აფასებენ. (04.09. 2015). *ბათუმელები.* http://batumelebi.netgazeti.ge/news/11597/№sthash.zGge-2jnf.dpbs (მოძიებულია: 11.09.2015).

48. საქართველოს კანონებისა და საერთაშორისო აქტების კრებული. (2009). *ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ.* თბილისი.

49. საქართველოს პარლამენტი. (2012) *საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.* https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437 (მოძიებულია: 2015.11.09).

50. საქართველოს პარლამენტი. (2005) *საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.* http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Sakanonmdeblo/30.pdf (მოძიებულია: 11.09.2015).

51. საქართველოს პარლამენტი (1995). *საქართველოს კონსტიტუცია* http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68. (მოძიებულია 20.08.2020).

52. "საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/4824798?publication=0 (მოძიებულია 20.08.2020).

53. საქართველოს პარლამენტი. (2005). საქართველოს კანონი საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ. http://www.parliament.ge/files/budget-off/biujeti/laws/tbilisi.doc. (მოძიებულია: 12.10.2016).

54. საქართველოს პარლამენტი. (2014). საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/33436 (მოძიებულია: 12.10.2016).

55. საქართველოს პარლამენტი. (2014). საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2342552 (მოძიებულია: 11.09.2016).

56. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. (2011). *დემოკრატიული ტენდენციები: ანტიკური სამყარო და საქართველო.* თბილისი. http://bit.ly/2wjCWAy (მოძიებულია: 12.09.2016).

57. საქართველოს საკანონმდებლო ტერმინთა ლექსიკონი. (2008). სიესტა. თბილისი.

58. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში. (2014) *კონფლიქტებით და ზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში.* www.ombudsman.ge (მოძიებულია: 17.06.2016).

59. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში (2009). *ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში.* http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/82.pdf (მოძიებულია: 15.07.2016).

60. საყვარელიძე ფ. (შემდგ.) (1999). *ადამიანის უფლებათა ლექსიკონი.* დასი. თბილისი.

61. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. (2004), *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი.* ლოგოს პრესი, თბილისი.

62. სსრ უმაღლესი საბჭო. (1978). *საქართველოს სსრ კონსტიტუცია.* „საბჭოთა საქართველო". თბილისი.

63. ტოკვილი ა. (2011). *დემოკრატია ამერიკაში.* გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

64. ფუტკარაძე ო. (2010). *ზაქარია ჭიჭინაძე – აჭარის დიდი გულშემატკივარი*, http://litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=3930 (მოძიებულია 15. 03.2017).

65. ფშაველა ვ. *სადღეისო წერილი მეგობართან*, http://www.gdi.ge/uploads/other/0/574.pdf (მოძიებულია10.08.2015).

66. შაიო ა. (2003). *ხელისუფლების თვითშეზღუდვა: კონსტიტუციონალიზმის შესავალი.* აირის საქართველო. თბილისი.

67. შამანაური ნ. (1991). *ჩემი სიმართლე ჩემი მტერია.* თბილისი.

68. ციცერონი. (2013). *სიტყვები და დიალოგები*, მთარგმნელი იამზე გაგუა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი.

69. წერეთელი ა. (2012). *შავი ქვა.* ხუთტომეული, ტომი 5, წერილები, თბილისი, გვ. 73-74.

70. ჭავჭავაძე ი. (1928). *ცხოვრება და კანონი* / ნაწერების სრული კრებული: ცხრა ტომი: ტომი VIII: / რედ.-ბი: პავლე ინგოროყვა და ალ. აბაშელი. http://lib.ac.ge/index.php?option=com_djcatalog2&view =item&id=9226&cid=300&Itemid=487&prod=1№.VbtHsLOqqko (მოძიებულია: 21.12.2016).

71. ჭაჭუა მ. (2011). *ქალთა უფლებები ძველ რომსა და თანამედროვე მსოფლიოში.* თბილისი.

72. ხარატიანი ქ. (2014). *სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები საქართველოს სოფლებში.* ფოკუს-ჯგუფის შედეგების ანალიზი. ფონდი ღია საზოგადოება საქართველო. თბილისი.
73. ჯავახიშვილი ი. (1928). *ქართული სამართლის ისტორია.* ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. თბილისი.
74. ჯავახიშვილი ი. (2010). *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ოცი წლისთავისათვის.* წერილები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
75. ჯონსი ს. (2012). *საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.* სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი.
76. ჰეივუდი ე. (2010). *პოლიტიკა.* საქართველოს მაცნე. თბილისი.
77. Arend H. (1959). *Reflection of the little rock.* http://learningspaces.org/forgotten/little_rock1.pdf (მოძიებულია: 20.08.2015).
78. Arnstein Sh. (1969). *A Ladder of Citizen Participation,* JAlP, Vol. 35, No. 4. pp. 216-224.
79. Ascough R. S. (2002). Greco-Roman Philosophic, Religious, and Voluntary Associations. In *Community Formation in the Early Church and the Church Today*. Edited by Richard N. Longenecker, 3–24. Peabody, MA: Hendrickson.
80. BBC News Channel. *Walensa Recalls Solidarity Triumph.* Monday, 29 August 2005 http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/4194204.stm (მოძიებულია 20.08.2015).
81. Bouza L. (2014). *Addresing Youth Absenteesm In European Elections*. http://www.youthforum.org/assets/2014/02/YFJ-LYV_StudyOnYouthAbsenteeism_WEB.pdf (მოძიებულია: 20.08.2015).
82. Brubaker W. (1990). *Citizenship and Nationhood in France and Germany.* Columbia University. New York. http://www.sscnet.ucla.edu/soc/faculty/brubaker/Publications/Brubaker_Dissertation.pdf (მოძიებულია: 29.10.2016).
83. Carens J. H. (1987). "Aliens and Citizens: The Case for Open Borders", *The Review of Politics*, 49 (2): 252–273.
84. Carson L. Hartz-Karp J. (2005). *Adapting and Combining Deliberative Designs: Juries, Polls, and Forums in Gastil*. Western Sydney University. Sydney.
85. Cogan C. Sharpe G. (1986). *Planning Analysis: The Theory of Citizen Involvement*. http://pages.uoregon.edu/rgp/PPPM613/class10theory (მოძიებულია: 12.12.2010).
86. Cohen J. (1999). Changing Paradigms of Citizenship and the Exclusiveness of the Demos, *International Sociology*, 14 (3): 245-268.
87. Coleman J. (2000). *Capital: A Multifaceted Perspective. Partha Dasgupta, Ismail Serageldin.* The World Bank. Washington.
88. Diamond L. (1996). Towards Democratic Consolidation. *Journal of Democracy,* v.5, N.3.
89. Encyclopedia Britanica. (1911). New York.
90. EU Election Observation Mission to South Africa in 1994 http://eeas.europa.eu/eueom/missions/1994/south-africa/index_en.htm
91. Friedrichs D. (1980). *The Legitimacy Crisis in the United States: A Conceptual Analysis.* Social Problems. 27 (5): 540–555.
92. Fukuyama F. (2008). *Trust: Human Nature and the Reconstitution of Social Order*. Free Press; 1st Free Press Pbk. Edition (June 18, 1996).

93. Gabriel A. Almond, Russell J. Dalton, G. Bingham Powell Jr. (2010). *Comparative Politics Today: A World View*. 9th Edition. Longman.

94. Gelner E. (1996). *Conditions of Liberty: Civil Society and Its Rivals*. Penguin Press. New York.

95. Habermas J. (1976). *Legitimation Crisis.* London: Heinemann.

96. Hartz-Karp J. (2005). A Case Study in Deliberative Democracy: Dialogue with the City An Article Submitted to *Journal of Public Deliberation.* Manuscript 1002. http://www.21stcenturydialogue.com/resources/Dialogue%20with%20the%20City%20Case%20Study%20published.pdf (მოძიებულია: 11.09.2015).

97. Heywood A. (2004). Political Theory. Palgrave Macmillan. New York. http://discuss.forumias.com/uploads/FileUpload/eb/1ad8e33f4e8a2c8b7e1e6811e174ca.pdf http://static.mrdi.gov.ge/5326b29e0cf287919443293a.pdf (მოძიებულია: 14.12.2016).

98. Kymlicka W. (1995). *Multicultural Citizenship,* Oxford: Oxford University Press.

99. Levine P. *The Deliberative Democracy Handbook: Strategies for Effective Civic Engagement in the Twenty-First Century*, Jossey Bass, USA.

100. Linz J. Stepan A. (1996). *Problems of Democratic Transition and Consolidation: Southern Europe, South America and Post-Communist Europe.* John Hopkins University Press. Maryland.

101. Ministry of Justice Stockholm. (2000). *Sustainable Democracy, Policy for Government by the People in the 2000s*. Sweden Report of the Government Commission on Swedish Democracy Official Government Reports-SOU 2000:1. http://ilrs.org/budapest/democracy.pdf (მოძიებულია: 03.11.2016).

102. Otaola Fecha M. (2012). *Sustainable Legitimacy, Contested Elections, and Democratic Consolidation: the Contrasting Cases of Mexico and Peru.* http://www.razonypalabra.org.mx/democracia_sustentable/2012/012012_Democracia Sustentable.htm (მოძიებულია: 17.11.2016).

103. Reus-Smit C. (2007). *International Crises of Legitimacy.* International Politics. 44: 157-174. doi:10.1057/palgrave.ip. 8800182. Retrieved 8 November 2014.

104. Reyes G. (2010). *Theoretical Basis of Crisis of Legitimacy and Implications for Less Developed Countries: Guatemala as a Case of Study.* Tendencias Revista de la Facultad de Ciencias Económicas y Administrativas. Universidad de Nariño Vol. XI. No. 1 1er. Semestre, páginas 142-163.

105. Sintomer Y. Herzberg C. Rocke A. (2008) *Participatory Budgeting in Europe: Potentials and Challenges* Volume 32.1 March2008 164–78 International Journal of Urban and Regional Research DOI:10.1111/j.1468-2427.2008.00777.

106. Stanford Encyclopedia of Philosophy. (2011). http://plato.stanford.edu/entries/citizenship/ (მოძიებულია: 04.12.2016).

107. Strauss L. Cropsey J. (ed.). (1987). *History of Political Philosophy*. 3rd edition. University of Chicago Press; Chicago.

108. The World Bank. (2003). *Empowerment Case Studies: Citizens' Report Cards, Bangalore.* http://siteresources.worldbank.org/INTEMPOWERMENT/Resources/14832_Bangalore-web.pdf (მოძიებულია: 21.10.2016).

109. Затыка М. (2015). Роль католической церкви в современной Польше. *Перевод с польского Денис Беляев, Публикуется с согласия журнала* Res Publica Nowa, http://www.vestnik-evropy.ru/issues/the-role-of-the-catholic-church-in-modern-poland.html (მოძიებულია 20.08.2015).

საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი (IFES)
ნიკო ნიკოლაძის №7, 0108, თბილისი, საქართველო
www.IFES.org

ISBN 978-9941-8-2129-5